ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები

თბილისი
1955



ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა
მველი რედაქციები

МИНИСТЕРСТВО ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ СССР
ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ им. СТАЛИНА

Труды кафедры древнегрузинского языка. 1.

ДРЕВНИЕ РЕДАКЦИИ ЖИТИЙ СИРИЙСКИХ ПОДВИЖНИКОВ в Грузии

ТЕКСТЫ

с исследованием и вокабуларием

издал
ИЛЬЯ АБУЛАДЗЕ

Издательство Тбилисского государственного университета имени И. В. Сталина
Тбилиси—1955

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 1.

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები

ტექსტები

გამოკვლევითა და ლექსიკონით

გამოსცა

ილია აბულაძემ

საპატრიარქოს + ბიბლიოთეკა

ეპისკოპოსის გაიოზის № ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი—1955

რედაქტორი — ა. შანიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . . . . VII—VIII

შესავალი . . . . IX—XXXII

1. იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნები (IX—XXIII).
2. შიო მღვიმელის ცხოვრების წიგნები (XXIII—XXV).
3. დავით გარესჯელის ცხოვრების წიგნები (XXV—XXVI).
4. აბიბოს ნეკრესელის მოქალაქობისა და წამების წიგნები (XXVI—XXXII).

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი . . . . 1—213
(ტექსტები)

1. ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ (2—68),
2. ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი (69—143),
3. ცხორებაჲ დავით გარესჯელისაჲ (144—187),
4. წამებაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ (188—196).

დამატება . . . . 197—213

თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოჲსთაჲ, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან (199—213)

გამოყენებული ხელნაწერები 214

ლექსიკონი . . . . 215—219

საძიებლები (პირთა, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა) . . . . 220—223

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემის ძირითადი მიზანია, ხელთ გვქონდეს თავ-მოყრილად ძველი ქართული კულტურის სარბიელზე გარკვეული კვალის აღმბეჭდველი ე. წ. «ასურელი მოღვაწეების» (ანუ სირიელი მოღვაწეების) ცხოვრებათა წიგნები, რომელთა ამა თუ იმ რედაქციის მიხედვით (ყოველთვის არც თუ სანდო გამოცემისა) მიმდინარეობს დღემდის მეცნიერული მსჯელობა ამ პირთა ვინაობისა და მოღვაწეობის ხანის გარკვევისათვის. ამისა და სხვა მსგავსი საგულისხმო საკითხის ჯეროვანი გაშუქებისათვის უპირველესი პირობაა, გამოვლინებულ იქნეს წარსულისაგან ნამემკვიდრევი სათანადო წერილობითი წყაროები (ამ შემთხვევაში ცხოვრების წიგნები) და გარკვეულ იქნეს მათი ერთმანეთთან მიმართების საკითხი.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გაწეული ძიება შემდეგს არკვევს:

იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნი სამი რედაქციით არის მოღწეული. უძველესი მათგანი, რომელიც ერთად-ერთი და მასთან ნაკლულევანი ხელნაწერის სახით არის მოღწეული (Q 795), X ს.-ის მეორე ნახევარშია გამოთქმული, რაც ეკუთვნის ამ ხანის მოღვაწეს არსენ II-ს. მეორე რედაქცია, აგრეთვე ერთი ნუსხით დაცული (A 199), მისგან არის გამოკრებილი (მოკლე რედაქციაა) და მესამე კი, რომელიც მრავალ ხელნაწერშია შემონახული, ცხოვრების მოკლე წიგნზე აღმოცენებული მეტაფრასული რედაქციაა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი. პირველი ორი რედაქციის წარმოსადგენად გამოყენებულია თითო ცალად შემონახული ხსენებული ნუსხები, ხოლო მესამისათვის მოხმობილია სამი ადრინდელი ხელნაწერი (A 160, A 130 და S 449). ამათგან უძველესი რედაქციის ტექსტი პირველად ქვეყნდება. იგი ანასეული «ქართლის ცხოვრების» ხელნაწერს აქვს დართული (XV ს.). ამ ნუსხაში ძველი დედნის ცალკეული ადგილები და ორთოგრაფია შებღალულია გადამწერთა ხელში, რის გამო ტექსტი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გავმართეთ და ორთოგრაფიაც შევასწორეთ [1].

შიოსა და ევაგრეს ცხოვრების წიგნისა მხოლოდ ორი რედაქციაა ხელნაწერებში წარმოდგენილი: მოკლე და მისი გადანაკაზმი—მეტაფრასი. შენიშნულია პროფ. კ. კეკელიძის მიერ, რომ შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი იოანე ზედაზნელის ცხოვრების მოკლე წიგნის გაგრძელებაა, რაც ნამდვილი უნდა იყოს. ამდენად უნდა მივიღოთ, რომ იოანე ზედაზნელის ნაკლულევანად შემონახული არსენისეული ცხოვრების წიგნი, რომლის თანმიმდევრულ გამონაკრებს მოკლე წიგნი წარმოადგენს, მოიცავდა აგრეთვე შიოსა და ევაგრეს ცხოვრების აღწერასაც. ცალ-ცალკე ეს ცხოვრებანი მხოლოდ მეტაფრასულ რედაქციებშია წარმოდგენილი. ამათი მიდევნებით ჩვენ მიერ გამოცემული წყაროცა (მოკლე რედაქცია) და მისი პირველწყაროც (არსენისეული ცხოვრე-

---

[1] ხელნაწერის გადალეული და დაკლებული სიტყვები თუ ფრაზები კავებშია მოთავსებული.

ბის წიგნი) გარკვეულ ნაწილებში გადალაგებულია, მაგრამ მათი პირვანდელი აღნაგობის სახის წარმოდგენა შესაძლებელი იქნება, თუ შემადგენელ ნაწილებს სათვალავებს მივსცემთ. მეტაფრასული რედაქციისათვის ყველა ის ნუსხაა გამოყენებული, რომლებიც იოანე ზედაზნელის ცხოვრებისათვის ავარჩიეთ (A 160, A 130, S 449), ხოლო მოკლე ცხოვრებისათვის, გარდა აქამდე ცნობილი ერთი უძველესი ნუსხისა (A 199), რომლის მიხედვით ის პროფ. ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა, ჩვენ ერთი ახალი, ბოლო წლებში გამოვლინებული, შედარებით გვიანდელი ნუსხითაც ვისარგებლეთ (H 1336).

დავით გარესჯელის ცხოვრების წიგნი ორი რედაქციით იყო და რჩება ჯერხნობით გამოვლინებული: მოკლითა და მეტაფრასულით. უკანასკნელისათვის ყველა ის ნუსხა გამოვიყენეთ, რაც იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრების წიგნთათვის შევარჩიეთ (A 160, A 130 და S 449), ხოლო მოკლე რედაქციისათვის, რომელიც აქამდის ცნობილი იყო ერთად-ერთი ნუსხით (A 199), და ისიც ნაკლულევანით, ჩვენ ვისარგებლეთ იმ ახალი, ბოლო წლებში გამოვლინებული ხელნაწერითაც, რომელსაც ცხოვრების ეს წიგნი სრულად დაუცავს (H 1336).

აბიბოს ნეკრესელის წამების წიგნისა ორნაირი რედაქცია მოგვეპოვება. დღემდის ცნობილი და ორგზის გამოქვეყნებული[1] უძველესი ხელნაწერის ტექსტი სხვებთან შედარებით რამდენადმე მომცროა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც შემატებულად მიჩნეულ ადგილებს მასზე უფრო ვრცელისა და შედარებით გვიანდელ ნუსხებში წარმოდგენილი ცხოვრების წიგნიდან გამოვრიცხავთ, უკანასკნელის უპირატესობა ირკვევა პირველთან მიმართებით. ეს გარემოება დავუდევით სწორედ საფუძვლად იმას, რომ წინამდებარე გამოცემაში გვიანდელი ნუსხებით წარმოდგენილი რედაქცია პირველ ადგილზეა წამოწეული, ხოლო ადრინდელი ხელნაწერით მოცემული — მეორეზე. პირველი რედაქციისათვის ის ნუსხები გამოვიყენეთ, რომელთაც დაუცავთ სხვა ასურელ მოღვაწეთა მეტაფრასული რედაქციები (A 130 და H 2121), ხოლო მეორისათვის — მისი ერთად-ერთი შემცველი ხელნაწერი (A 832).

დამატების სახით ზემორე ხსენებულ ცხოვრებათა და წამების წიგნებს დავურთეთ «თხრობაჲ სასწაულთათჳს მამისა შიოჲსთაჲ», შეკრებილი ბასილი კათალიკოსის მიერ. ამ თხრობას გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესი აქვს ჩვენი მეცნიერებისათვის, როგორც ეს აღნიშნულია უკვე მკვლევართაგან. ეს გარემოება გვიკარნახებდა ჩვენ მის ხელახლა გამოქვეყნებას (პირველად მ. საბინინმა გამოსცა ის ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნების მეტაფრასულ რედაქციებთან ერთად თავის «საქართველოს სამოთხეში»). ეს ძეგლი მხოლოდ XVIII ს.-ის ხელნაწერებით არის ცნობილი; წინამდებარე გამოცემაში ის წარმოდგენილია ორი მათგანის მიხედვით (H 1371 და S 4621), რომლებიც მხედრულადაა ნაწერი.

ტექსტებს ვურთავთ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელსა და მოკლე ლექსიკონსაც. უკანასკნელში მხოლოდ იშვიათად ხმარებული სიტყვებია განმარტებული.

თბილისი, 2.X.1955 — ილია აბულაძე

---

[1] პირველად მ. ჯანაშვილის მიერ წიგნში: „Описание рукописей церковного музея... книга III. Тбилиси, 1908, გვ. 25—28, და მეორედ ს. კაკაბაძის მიერ წიგნში: ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები... თბილისი, 1928 წ., გვ. 42—46.

შესავალი

ცამეტ ასურელ მამათაგან, რომლებიც სამონასტრო სარბიელზე მოღვაწეობდნენ საქართველოში, ცხოვრების წიგნი მხოლოდ ზოგიერთს მოეპოვება.

I. იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნები

იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნებიდან ყველაზე ადრე ცნობილი შეიქნა ის რედაქცია, რომელიც მ. საბინინმა გამოაქვეყნა თავის «საქართველოს სამოთხეში» 1882 წელს. ამ კრებულში შესული ზედაზნელის ცხოვრების ტექსტი მომდინარეობს ქართველ წმიდათა წამება-ცხოვრებათა კრებულიდან, რომლის შედგენა, როგორც უკვე გარკვეულია[1], დაკავშირებულია ვახტანგ VI-ის ძმის დომენტი კათალიკოზის სახელთან. ეს კრებული, მისი გადამწერის გ. საგინაშვილის ანდერძის თანახმად, დომენტის შეუდგენია 1704—1713 წწ.[2] კრებულის შემდგენელს მასში შეუტანია იოანე ზედაზნელის ცხოვრების ისეთი რედაქცია, რომელიც წინათ საკმაოდ ყოფილა გავრცელებული ჩვენში, როგორც ამას ჩვენამდის მოღწეული ნუსხებიც მოწმობენ (ასეთია მაგ. S-449, რომელიც ხელის მიხედვით XVII ს.-ისა უნდა იყოს, და A-160—1699 წლისა[3]).

ხელნაწერთა შორის იოანე ზედაზნელის ცხოვრების სხვა წიგნის არსებობაც აღინიშნა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. 1901 წელს თ. ჟორდანიას მიერ შედგენილ საეკლესიო მუზეუმის (აწ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის) მანუსკრიპტთა აღწერილობაში № 199 ხელნაწერის შედგენილობის აღნუსხვისას აღნიშნულია, რომ მე-18 გვერდიდან იწყება იოანე ზედაზნელის ცხოვრება, რომელიც შემდეგნაირად არის დახასიათებული: „Это древний вариант жития св. Иоанна из доселе известных". ეს ნუსხა თუ ვარიანტი[4] ყველაზე უწინარეს განიხილა ზემორე დასახელებული ცხოვრების წიგნთან მიმართებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. კ. კეკელიძემ თავისი «ქართული მწერლობის ისტორიის» პირველსავე გამოცემაში 1923 წ.[5] შემდეგში, 1928 წ., ეს ძველი ვარიანტი რამდენიმე სხვა ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებთან ერთად «საისტორიო კრებულის» I წიგნის დამატებად გამოაქვეყნა პროფ. ს. კაკაბაძემ: «ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები».

არსებობს კიდევ იოანე ზედაზნელის ცხოვრების ერთი წიგნი. ის დაცულია ანასეული ქართლის ცხოვრების ნუსხაში სულ ბოლოს. მისი არსებობა

---

[1] ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. «პუშკინის სახ. თბილისის სახელ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები», ტ. VIII, 1950 წ.

[2] დღეს ის დაშლილი სახით არის წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში: A—130 და H—1557. უკანასკნელშია დაცული იოანე ზედაზნელის ცხოვრება, რომელიც გამოცემაში ჩვენ A-130-თან ერთად D-თი გვაქვს აღნიშნული.

[3] თ. ჟორდანია. Описание рукописей церковного музея, т. I, стр, 162—4, გამოცემაში ეს ხელნაწერი C-თია აღნიშნული, ხოლო S-449—E-თი.

[4] გამოცემაში წარმოდგენილია B-თი.

[5] პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ.: ძველი მწერლობა, გვ. 153—8, თბილისი, 1923 წ.

პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა. მან აღმოაჩინა ქართლის ცხოვრების ეს ნუსხა (1913 წ.), რომელიც მის სიცოცხლეში მისსავე კუთვნილებას შეადგენდა, ხოლო დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა და მის ხელნაწერთა Q ფონდშია დაცული № 795-ის ქვეშ[1].

ანასეული ქართლის ცხოვრების ნუსხაში შესული იოანე ზედაზნელის ცხოვრების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, V—XVIII სს.»[2] შემდეგს აღნიშნავდა: „...ამ ადგილას იოანე ზედაზნელის საყურადღებო ცხოვრებაა... და იქ, სადაც ეხლა ხელნაწერი წყდება, არამც თუ «ცხოვრება» დამთავრებული არ არის, არამედ ბლომად აკლია“[3].

იოანე ზედაზნელის ამ, მართლაც, საინტერესო ცხოვრებას აკად. ივ. ჯავახიშვილი ეხება ზემორე ხსენებული თავისი წიგნის მეორე შევსებულ გამოცემაში, რომლის პირველი ნაკვეთი 1921 წელს გამოვიდა. მიაჩნია რა ეს ცხოვრების წიგნი მეორედ დაწერილად, აქ მას განსვენებული მეცნიერი იხილავს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა მიზეზით უნდა ყოფილიყო იგიცა და სხვა ასურელ მამათა ცხოვრებანი ხელმეორედ დაწერილი. მკვლევარს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს მოჰყავს ამ ცხოვრების წიგნის სათაური და ადგილები შესავლიდან, რომელთა ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილს ეს ძველი წარმოუდგენია არსენი კათალიკოსის მიერ შესრულებულ გადაკეთებად, განახლებულად და გავრცობილად, რომელიც, როგორც წესი, შემკობილია სასწაულებით და შეგუებულია მოთხოვნილებასთან მაშინდელი მკითხველებისა, რომლებიც გატაცებული ყოფილან საღვთისმეტყველო ფილოსოფიით, რის გამო ასეთი „«განახლებული» და «გავრცელებული» ცხოვრებანი საზოგადოდ და კერძოდ იოანე ზედაზნელის ცხოვრება მეტად ძვირფასი წყაროა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და სალიტერატურო გემოვნების ისტორიის შესასწავლად-ო“[4].

მიუხედავად იმისა, რომ ასე კარგად არის შეფასებული ცხოვრების ეს ახალი წიგნი, იგი აქამომდის გამოუქვეყნებელი იყო. დღემდის არავის მიუყვია ხელი ამ წიგნის არა თუ გამოცემისათვის, არამედ შედარებისათვისაც კი უკვე გამოქვეყნებულ ცხოვრების წიგნებთან, ე. ი. მეტაფრასულსა და ე. წ. არქეტიპულ რედაქციებთან, გარდა ლ. მენაბდისა, რომლის ნაშრომი[5], თუმცა შეიცავს შედარებასაც დასახელებული ნუსხებისას, მაგრამ ახალს ამათ ერთმანეთთან მიმართების საქმეში არას იძლევა. ასურელ მამათა ცხოვრების გარშემო, და მათ რიცხვში იოანე ზედაზნელის ცხოვრების შესახებაც, მსჯელობა და ანა-

---

[1] ამას გამოცემაში **A**-თი აღვნიშნავთ.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს. ს.), თბილისი, 1916.

[3] იქვე, გვ. 257, შდრ. 1945 წლის გამოცემას, გვ. 304.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მე-2—3 გამოცემა თბილისი, 1945 წ. გვ. 39—44.

[5] მხედველობაში გვაქვს ავტორის სადისერტაციო შრომა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ლიზი სამეცნიერო ლიტერატურაში უმთავრესად მიიმართებოდა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს მეტაფრასული რედაქციის მიხედვით.

თუ რას წარმოადგენს ერთმანეთთან მიმართებით იოანე ზედაზნელის ცხოვრების დასახელებული წიგნები და რომელი მათგანია ადრინდელი, ეს ქართული ფილოლოგიის საზრუნავი საქმე უნდა ყოფილიყო ადრევე, იმ დროიდან მაინც, რაც ხელ-მისაწვდომი შეიქნა მესამე წიგნი (ანასეულ «ქართლის ცხოვრებას» დართული), მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით სრული ანალიზი არ ყოფილა ჩატარებული.

ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში დაცულ «იოანე ზედაზნელის ცხოვრებას» ვრცელი შესავალი მიუძღვის. ცხოვრების წიგნთათვის წამძღვარებული ასეთი შესავლების მსგავსად (მოვიგონოთ თუნდ «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება») ესეც საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შინაარსისაა.

ამ შესავალში ის აზრია გატარებული, რომ საჭიროა თხრობით, ე. ი. ისტორიით, ითქვას დიდ პირთა შესახებ, რომლებიც უნდა იქადაგნენ ქვეყანაზე სიტყვის მსახურთაგან. ჩვენო,—აცხადებს აგიოგრაფი,—ვეძებთ არა თუ ადვილად საზრუნავს, არამედ ისეთ პატიოსან, ანუ ძვირფას მარგალიტებს, რომლებიც შრომითა და გარჯითაა მოსაპოვებელი ზღვის სიღრმეში. გვინდა გამოვაცხადოთ ისინი, რომლებიც მზად არიან გაუყონ სიმდიდრე—საღვთო ძღვენის წაუხდენელი განძი—ჩვენ ხალხსო.

თუ ვისი საქმენია გამოსაცხადებელი, ამას აგიოგრაფი გვაუწყებს იმ საპასუხო ეპისტოლით, რომელიც მას მიუწერია, როგორც ირკვევა, ზედაზნის უდაბნოს წინამძღვრისათვის, ვინმე მიქელისთვის. ამ წერილიდან ვტყობილობთ, რომ აგიოგრაფისათვის მიქელს უთხოვია, აეწერა «დიდისა იოანე ზედაძნელისა ცხოვრებაჲ» და მიეწოდებინა უდაბნოსათვის იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, დავიწყებას არ მისცემოდა დიდი მოძღვრის სათნოებანი და, მეორეც, რომ მის სათნოებათა აღწერით სარგებელი შეეძინა ყველას.

აგიოგრაფს მიუღია წინადადება და მცირე ქარტაც, რომელშიც ზოგი რამ ამოუკითხავს იოანეს შესახებ, მაგრამ მის გარდა ის გამოკითხვასაც შესდგომია: „ზოგი რაჲმე მისთჳს... და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, მათ შინა ადგილთათჳს“, ერთი სიტყვით იგი ცდილა მოეპოვებინა ოქროს მარცვლები, რომელთაგან მას, როგორც ხელოვანს, უნდა შეექმნა ჭურჭელი.

მივიღე წინადადება—გვითხრობს აგიოგრაფი—მაგრამ, როცა შევატყვე, რომ ნაკლებ მცოდნე და ენა-ბრგჳ აღმოვჩნდი დავალებისათვის და არ ვიცოდი, საიდან დამეწყო თხრობა, გადავწყვიტე, მიმებაძა შრომის მოყვარე ფუტკრისათვის, რათა „სამოთხეთა შუენიერთა წიგნთა მიერ მოვიწილნე ყუავილნი, რაჲთა განუმზადო ჭამადი ტკბილი წადიერთა“-ო. მაგრამ ამის შედგომამდე საჭიროა ლოცვა, რომელმაც დედის მუცელში „განაპოხა სამოელ და წინასწარმეტყუელად გამოაჩინა“; იგია, რომ შეეწია მოსე სჯულმდებელს სჯულის ფიცართა მიღებისასო.

მოსეს მოგონება დასაწყისშივე იმისთვისაც არის საჭირო, რომ იგია „დამწყებელი სახლის-წერითა, ჭეშმარიტისა მომასწავებელითა“-ო. მოსე აირჩია

ისრაელის წინამძღვრად ღმერთმა, რომელიც არის დაუსაბამო, უხილავი, უცვალებელი-ო... აქ აგიოგრაფი ჩამოთვლის დამახასიათებელ ნიშნებს დიოფიზიტური მოძღვრების შესაბამისად, რომლებიც ვითომც ღმერთს მოეპოვებოდეს; იგონებს, თუ როგორ ვერ ცნეს ჭეშმარიტად საზღვარი გვამისა და ბუნებისა არიოსმა და მისმა მიმდევრებმაო და აკრიტიკებს მაკედონის მოძღვრებას სულიწმიდის რაობის განსაზღვრების საქმეში.

დიოფიზიტურ შეხედულებათა გადმოცემის შემდეგ აგიოგრაფი გვაქცნევს თავის განზრახვას, უცთომელად შეამკოს იოვანე ზედაზნელი.

წინასიტყვაობისა თუ შესავლის ამ მოკლე შინაარსიდან ნათელია, რომ აგიოგრაფს დაკვეთილი ჰქონია დაეწერა იოანე ზედაზნელის ცხოვრება, რომელშიც აღწერილი იქნებოდა ამ მოღვაწის სათნოებანი. გარდა ზოგიერთი იმ ცნობისა, რომელიც იოანეს შესახებ მოკლე წიგნით ანუ ქარტით თვით დამკვეთს მიუწოდებია, აგიოგრაფს განუზრახავს კიდევ მოეკრიბა საჭირო ცნობები, მაგრამ არა მარტო იოანეს სათნოებათა შესახებ, არამედ მის მოწაფეთათვისაც და აგრეთვე ადგილთათვის (ალბათ ამათ სამოღვაწეო ადგილებზეა საუბარი). ავტორის აღიარებით არც ეს აღმოჩენილა საკმარისი. ის საგონებელშია: როგორ მოვახერხო სათნოებათა გადმოცემა, საიდან დავიწყო თხრობაო, და იქვე გამოსავალსაც პოულობს,—უნდა ვემგსავსო შრომის მოყვარე ფუტკარს და მის მსგავსად მოვიწილო მასალაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორს წიგნებით უნდა შეავსოს მასალა, რომ შეადგინოს სათანადო საზრდო,—ცხოვრების წიგნი,—რომლითაც, ჯერ ერთი, არ მიეცემა დავიწყებას იოანეს სათნოებანიო და, მეორეც, სასარგებლო იქნება ის უდაბნოს სპოდიონთათვისო, ე. ი. როგორც თვითონვე ხსნის, მ ო ს წ რ ა ფ ე თ ა თ ვ ი ს ო (ან მონაზონთათვის: σπουδαῖος—მოსწრაფე, გადატანით—მონაზონი). მიუხედავად ცდისა, ფაქტობრივი მასალა, რომელსაც სათნოებანი უნდა დაემოწმებინა, აგიოგრაფის შეფასებითვე, საკმარისი არაა, მცირეა მრავლისაგან, რადგან ამის მიზეზიაო—დაყოვნებაჲ ჟამისაჲ, ე. ი. ხან-დაზმულობაო.

ამრიგად, ცხოვრების წიგნის დასაწერად აგიოგრაფს ხელთ ჰქონია შემდეგი წყაროები: 1) მიქელისგან გამოგზავნილი «წულილი ქარტაჲ», 2) მოკითხული ცნობები იოანესთვის, მისი მოწაფეებისა და მათი მოღვაწეობის ადგილის შესახებ, და 3) წიგნთაგან გამოკრებილი მასალა. რაში ან სად შეინიშნება პირველი ან მეორე წყაროს გამოყენება, ძნელია ზედმიწევნით მითითება, მაგრამ მესამე—წიგნთაგან გამოკრებილი მასალა—ნათლად შეიმჩნევა ცხოვრების წიგნში, მეტადრე მის შესავალსა თუ წინასიტყვაობაში. საღვთისმეტყველო საკითხები, რომლებზედაც საუბარი აქვს აგიოგრაფს ამ ნაწილში, სწორედ წიგნთაგან არის მოწილული, ცხადია, საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან, პირველ რიგში ე. წ. ეკლესიის მამათა ნაწერებიდან, რომლებიც ასეთ საკითხებს ეხებიან.

ცხოვრების წიგნი რამდენიმე თავისაგან შედგება. პირველი მათგანის სათაური ცხოვრებაშივეა მოყვანილი: «დასაბამი ცხორებისა წმიდისა მამისა

ჩუენისა იოანე ზედძნელისაჲ». სხვას, ცალკე გამოყოფილ თავს, იქ ვეღარ ვხვდებით, მაგრამ ამ ერთის არსებობაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ცხოვრების წიგნს სხვაც ექნებოდა. ჩვენი ვარაუდით ეს თავი იქ უნდა სრულდებოდეს, საიდანაც იწყება თხრობა იოანეს ჯერ განზრახვასა და შერმე გადაწყვეტილების მიღებაზე საქართველოში გამოსამგზავრებლად.

ამ მეორე თავში ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობასაც ვხვდებით. დასაწყისიდანვე აშკარა ხდება, თუ ვინ არის ცხოვრების წიგნის გამომთქმელი. იგია მცხეთის კათალიკოსი, რაც ნათლად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: «ესე ნეტარი იოვანე ... წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოიწია ქუეყანასა ქართლისასა მახლობელად დედა ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას" (გვ. 12,15-19). „მცხეთაა ჩვენი დედაქალაქიო", აგრე VI ს.-დან ქართლის კათალიკოსს შეეძლო ეთქვა და არა სხვა რომელიმე პირს.

აგიოგრაფი ამ თავში თავის მიზან-დასახულებასაც გვიმჟღავნებს. როცა ის იოანეს ასურეთში (სირიაში) მოღვაწეობას მოკლედ გადმოსცემს, ურთავს: „ამას რაჲ ვიტყჳ, არა თუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხორებასა მისსა გაუწყებ თქუენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა, მიგითხრობ, ხოლო პირველი იგი ცხორებაჲ და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად" (გვ. 18,13-20). ამ ადგილიდან აშკარა ხდება, რომ ჩვენს აგიოგრაფს უმთავრესად აინტერესებს იოანეს მოსვლის მიზეზი ჩვენში, მისი აქ მოღვაწეობა. წინა პერიოდი, ასურეთში მოღვაწეობა, იმ პირველ წიგნში სწერიაო. ამ თქმასთან დაკავშირებით საკითხი ისმის, თუ რომელია ეს მითითებული პირველი ცხოვრება, რომელშიც ცალკე ყოფილა აღწერილი იოანეს ასურეთში მოღვაწეობა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრების წიგნის შედგენისას აგიოგრაფს ხელთ ჰქონია, როგორც ის აცხადებს, ერთი წერილობითი წყარო,—მიქელისაგან გამოგზავნილი «წულილი ქარტაჲ»,—რომელშიც მას ამოუკითხავს „რომელთაგანი საქმეთა მამისა ჩუენისა ზედაძნელისანი". უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო „პირველი იგი ცხოვრებაჲ", სადაც „საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან". ამ წიგნთან მიმართებით აგიოგრაფს მეორედ აღწერილად თავისი მიაჩნია. პირველის გეგმა და მიზან-დასახულება, ეტყობა, ჩვენს აგიოგრაფს არ აკმაყოფილებს. ეს კი იმიტომ, რომ მასში იოანეს მოღვაწეობა ყოფილა უფრო მეტად აღწერილი ასურეთში და მისთვის კი იმდენად ეს არ ყოფილა ძირითადი („არა თუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხოვრებასა გაუწყებ თქუენ"), რამდენადაც ის, თუ „რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა". ამის განსახორციელებლად თავის მეორედ აღწერილ ცხოვრებაში ზოგი რამ იოანეს მოღვაწეობის შესახებ საქართველოში თუ ასურეთში მაინც ამოუკითხავს და გამოუყენებია.

მომდევნო მესამე თავად შეიძლება გამოვყოთ ის ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს ზედაზნელის საქართველოში მოსვლას და ზედაზენს დამკვიდრებას. საგულისხმო ცნობები ამ თავშიც მოიპოვება. ერთი მათგანი ისაა, რომ ცხოვრების წიგნის ავტორის დროს ზედაზენს აშენებული ყოფილა მონასტერი,—

(„აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰრქჳან ზედაზადენ, სადა-იგი აწ მონასტერი მისი აღშენებულ არს"; გვ. 26,7-10).

არა ნაკლებ საინტერესოა აგიოგრაფის ის სიტყვებიც, რომლებითაც იგი ცდილობს ახსნას ზედაზნელისა და მისი მოწაფეების საქართველოში („ქართლში") დამკვიდრების მიზეზი,—„რამეთუ უფალმან ყო დამკჳდრებაჲ იგი მისი აქა ორისა საქმისათჳს: პ ი რ ვ ე ლ ა დ, რაჲთა სამკაულ იქმნას და გჳრგჳნ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი, ათორმეტნი იგი თუალნი პატივის-ცემულნი... და მ ე ო რ ე დ, რამეთუ ადგილი იგი, რომელსა მიივლინა, გოდოლი იყო პირველთა მათ წარჩინებულთაჲ, სადა-იგი კერპთ მსახურებაჲ აღმაღლებულ იყო... რაჲთამცა მათვე ადგილთა ამაღლდა ღმრთის მსახურებაჲ, განწმიდნა მიერ გესლოვანებაჲ იგი უკეთურთა მათ ეშმაკთაჲ, ვითარცა ყო ოდესმე საბა ადგილსა მას კასტელისასა..." (გვ. 26-28).

ამ ამონაწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ აგიოგრაფი საქართველოს კათალიკოსია, რადგან მცხეთას ისევ-და-ისევ თავის ქალაქს ეძახის („სამკაულ იქმნას და გჳრგჳნ ჩუენისა ამის ქალაქისა"). ამას გარდა, ავტორის ცნობის თანახმად, ზედაზნელის მოსვლის დროს, ე. ი. VI ს-ში, მცხეთის ახლოს ჯერ კიდევ არ ყოფილა აღმოფხვრილი კერპთმსახურება. აშკარაა ისიც, რომ აგიოგრაფი იცნობს საბა განწმენდილის ცხოვრებას, რომელთანაც ის ერთ შემთხვევაში პარალელს ატარებს. საფიქრებელია, რომ საბას ცხოვრებას ზედაზნელის ცხოვრების წიგნის გამომთქმელი ქართული თარგმანით იცნობდეს, რაც, ცხადია, თარგმანის აღმოცენების terminus post quem non იქნება და ერთი ადრინდელი მოწმობაც საბას ცხოვრების გამოძახილისა ქართულ მწერლობაში.

მეოთხე თავად უნდა მივიჩნიოთ ცხოვრების წიგნის ის ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს იოანე ზედაზნელის მიერ მის მოწაფეთა დაგზავნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალ-ნერგი ქვეყნის განსამტკიცებლად და მისთვის სათნო ცხოვრების ნიმუშთა მისაცემად. ვრცელი დამოძღვრის შემდეგ, ნათქვამია აქ, იოანემ წარავლინა „რომელნიმე მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით, და ერთი ვინმე გარეშეთად, და სხუანი გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეუფოსა. ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ქალაკთა და რომელნიმე მთათა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა" (გვ. 38,4-11).

როგორც წინა თავებში, ისე აქაც აგიოგრაფი მცხეთას ეძახის „ქალაქსა ამას ჩუენსა სამეუფოსა", რაც, ცხადია, იმას მოწმობს, რომ გამომთქმელი მცხეთას (რომელიც, როგორც ვნახეთ, მისთვის ხან არის „დედა ქალაქი ესე ჩუენი" და ხან „ჩუენი ესე ქალაქი"), უეჭველად ისე უცქერის, როგორც თავის რეზიდენციას. ასეთი პირი, ასურელ მამათა მოღვაწეობის ხანისათვისაც კი, სხვა არ შეიძლება იყოს ვინმე, თუ არ ქართლის კათალიკოსი.

მომდევნო მეხუთე თავს უნდა მიეკუთვნოს ცხოვრების წიგნის ის ადგილი, რომელიც მოგვითხრობს მოწაფეთა დამკვიდრებას თავიანთ სამყოფელ ადგილებში, სადაც მათ თან ჰქონდათ მოძღვრისაგან ბოძებული ნიშნი წმიდათანი, რომელთა სახელზე ისინი ეკლესიებს აშენებენ.

მეექვსე თავად უნდა გამოიყოს ტექსტის ის ნაწილი, რომელიც იოანე ზედაზნელის ცხოვრება-მოღვაწეობას ეხება მის ერთ მოწაფესთან ერთად, ელიასთან, ზედაზენს, რასაც თითქოს ვერ უთმობენ ეშმაკები, რომლებიც თავს ესხმიან მას და ურჩევენ დატოვოს ადგილი, მაგრამ იოანე ვითომც ქრისტეს შეწევნით თვით მათ აიძულებს გაშორდნენ იქაურობას და მიმართონ „უშინარესთა წარმართთასა... ჩრდილოჲთ კერძო".

შინაარსობლივ ამავე თავს უნდა მიეკუთვნოს სხვა „სასწაულებიც" იოანესი, როგორიცაა: ა) წყაროს ამოხეთქა იმ ადგილს, სადაც თითქოს იოანეს ჯვარი დაესვენებინოს, „რომელი დღეს,—აცხადებს ავტორი,—დის მყოფთათჳს მის მონასტრისათა და არა ხოლო თუ მათ კმა-ეყოფვის, არამედ სიმრავლისათჳს დიდძალისა" (გვ. 50,18-22) იგი წარმოადგენს სამკურნალო წყაროსაცო. ბ) დათვის დატუქსვა, რის შემდეგ მხეცმა თითქო ხელი აიღო თავის მხეცურ ბუნებაზე და გ) ღრეკილის განმრთელება, რომლისაგან მხოლოდ დასაწყისი სიტყვებილა არის შემორჩენილი. დანარჩენი კი ცხოვრების წიგნის გაგრძელებასთან ერთად დაკარგულა.

«ქართლის ცხოვრების» ანასეულ ნუსხაში დაცულ იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნს გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ცნობილია კიდევ ამ ცხოვრების ორი წიგნი: მოკლე და ვრცელი. ვრცელს ეძახიან მეტაფრასულს; იგი მოდის პირველისაგან, ე. ი. მოკლისაგან.

განვიხილოთ თვითეული მათგანი ანასეულ ნუსხაში დაცული იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნთან მიმართებით.

შესავალი, რომელიც ანასეულს გააჩნია და მისი ავტორის განცხადებას წარმოადგენს, თუ რა მიზნითა და რა წყაროებზე დაყრდნობით აავო მან თავისი წიგნი, მოკლეს სრულიად არ მოეპოვება. პირველთან შესაბამისი ადგილები ამის შემდეგ იწყება მეორეში. ზოგან თითქმის სიტყვა-სიტყვით გასდევენ ისინი ერთმანეთს, ზოგან კი მოკლე წიგნის ტექსტი ანასეულ ნუსხაში დაცული ცხოვრების წიგნის არსებითი ნაწილის გამონაკრებს წარმოადგენს. გვაქვს რამდენიმე გადახვევაც, რომლებიც მათს ერთმანეთთან მიმართებაზე მეტყველებს.

ერთი ასეთი გადახვევა ისაა, რომ მოკლე წიგნში ავტორის ვინაობის მაუწყებელი ადგილები, წინააღმდეგ ანასეული ნუსხის ცხოვრების ტექსტისა, ისეა მოცემული, რომ მითითება ცხოვრების წიგნის გამომთქმელზე სრულიად წარხოცილია. აღნიშნული გვქონდა ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში დაცული ზედაზნელის ცხოვრების განხილვისას, თუ როგორ გამოსჭვივის პირველი თავის დასაწყისი სიტყვებიდან ის, რომ მისი გამომთქმელი მცხეთის კათალიკოსია. ამ წიგნის სიტყვები: „ესე ნეტარი იოვანე ... მოიწია ქუეყანასა ქართლისასა, მახლობელად დედა-ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას", ასეა წარმოდგენილი მოკლე წიგნში: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე... მოიწია ქუეყანასა ამას ქართლისასა, მახლობელად წმიდასა დედა-ქალაქსა მცხეთასა" (გვ. 12, 15-21). ასევეა მომდევნო თავებშიც: „მოიწია ჩუენსა ამას დედაქალაქსა მცხე-

თას“ (ანასეულით)—„მოიწივნეს ქალაქსა მცხეთისასა“ (მოკლით); ან „უფალმან ყო დამკჳდრებაჲ იგი მისი აქა ორისა საქმისათჳს:—პ ი რ ვ ე ლ ა დ, რაჲთა სამკაულ იქმნას და გჳრგჳნ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი... სარგებელ და მ ურნალ ყოველთათჳს მყოფთა ქალაქისა ამის ჩუენისა, რომელნი ხადიან მათ“ (გვ. 26-28; ანასეულით)—„ხოლო ესე ამისთჳს ყო ღმერთმან, რამეთუ პ ი რ ვ ე ლ ა დ სამკაულ ექმნა ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა“ (მოკლით); ან კიდევ: „წარავლინნა ... სხუანი გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეუფოსა“ (ანასეულით)—„წარავლინნა... სხუანი გარემო ქალაქსა ჩუენსა“ (მოკლით). თუ რით არის გამოწვეული ასეთი ცვლილებები, ამის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

შეცვლილია აგრეთვე პირველი თავის ბოლო სიტყვებიც, სადაც ავტორი იმაზე ლაპარაკობს, თუ რა მიზან-დასახულება ჰქონდა მას, როცა ხელი მოჰკიდა ცხოვრების წიგნის გამოთქმას:

ა ნ ა ს ე უ ლ ი თ:	ო კ ლ ი თ:
„ამას რაჲ ვიტყჳ, არა თუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხორებასა მისსა გაუწყებ თქუენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა, მიგითხრობ, ხოლო პირველი იგი ცხორებაჲ და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“. (გვ. 18,13-20)	„ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან“ (გვ. 18,15-17).

როგორც ვხედავთ, აქაც, მოკლეში, ავტორის სახე გაუჩინარებულია ამასთან ტექსტი ისეა შემოკლებული, რომ დაუკავშირებელია ის როგორც წინა, ისე მომდევნო კონტექსტთან.

რაზე უნდა მიგვითითებდეს ცხოვრების წიგნის დასაწყისშივე შესამჩნევი ასეთი მიმართება ამ ორი ტექსტისა? უეჭველია იმაზე, რომ მოკლე ცხოვრების წიგნი ნამდვილად შემოკლებაა ანასეულ ნუსხაში დაცული ვრცელი ცხოვრების წიგნისა. შემოკლებას, როგორც ჩანს, გარკვეული მიდგომა ახასიათებს. შემმოკლებელს, ეტყობა, მიზნად აქვს მესამე პირით იყოს გამართული თხრობა და არსად ჩანდეს მითითება ავტორზე და მისი ესა თუ ის აღიარება ცხოვრების წიგნის განკარგვასთან დაკავშირებით. ამ მოვლენ ის სამოწმო ადგილები ბლომადაა ტექსტში. აი ერთი მათგანი: „ხოლო ღჳნისათჳს მეტსა ვგონებ ჩემსა სიტყუასა“ (ვრცელით, ანასეულით)—„ხოლო ღჳნისათჳს ნამეტნავ არს სიტყუადცა“ (მოკლით).

ცხოვრების წიგნის უკანასკნელი თავის ერთი ადგილიდან ირკვევა, რომ ბოლომდის მაინც ვერ დაუცავს ეს მომენტი მოკლე წიგნს. ვრცელის თხრობა პირველი პირით აქაც უცვლელად რჩება: „და კუალად მუნვე შევიდე, რომელსა-იგი მიწყიეს“ (ვრცელით) — „ხოლო მე პირველსავე ვიტყოდი“ (მოკლით).

აღნიშნულ მოვლენას თუ დავუკვირდებით, უნდა დავადგინოთ, რომ მოკლე წიგნი ავტორის ხელიდან გამოსული არაა. მისი განმკარგველის, ე. ი. რედაქტორის მიზანია, მოგვცეს ცხოვრების წიგნის ისეთი საკითხავი ანუ რედაქცია, როგორსაც სვინაქსარებში ვხვდებით ჩვეულებრივ. ამრიგად, ცხოვრების მოკლე წიგნი, ისე გამოდის, რომ ერთგვარ სვინაქსარულ რედაქციას წარმო-

ადგენს და არა არქეტიპს, როგორც მას გამომცემელი ეძახის[1], ანდა გამომთქმელის ხელიდან გამოსულ ნაშრომს, კიმენურ რედაქციას, რომელიც თითქოს საფუძვლად დასდებოდეს ვრცელ რედაქციებს, კერძოდ ანასეული ქართლის ცხოვრების ნუსხაში წარმოდგენილ ვრცელი ცხოვრების წიგნს, რომელიც მეტაფრასულ რედაქციად წარმოუდგენია ზოგ ჩვენ მკვლევარს[2].

ეს სვინაქსარული რედაქციის ნიშნები, რომელთაც ცხოვრების წიგნის პირველსავე თავში ვხვდებით, გასდევს მთელს მოკლე რედაქციის წიგნს. ამათ ზოგიერთი ახალი ნიშანი მომდევნო თავებიდანაც ემატება. ერთი ასეთი ახალ ნიშანთაგანი ისაა, რომ მოკლე რედაქციაში ვერსად ვხვდებით ანასეულ ნუსხაში დაცული ვრცელი რედაქციის ისეთ ადგილებს, რომლებიც ავტორს შედარებათა და პარალელების გასატარებლად, ანდა ძირითადი საღვთისმეტყველო კატეგორიების განსამარტავად მოჰყავს (მაგ., სულისა, ხორცისა, ნებისა და სხ...), როგორც ის შესავალში აცხადებს, მოწილვით სხვადასხვა შუენიერთა წიგნთაგან. ამას მოკლე წიგნის განმკარგველი, როგორც ვნახეთ, აერიდა შესავალშივე, რომელიც ასეთი ხასიათის გამო სრულიად გამოტოვა. ასევე ერიდება ის ზოგჯერ შედარებისა და პარალელის მოყვანას ბიბლიიდან (კერძოდ მეორე თავის დასაწყისში, როცა ავტორს იოანე ზედაზნელის გადაწყვეტილება —განვიდეს თავისი ქვეყნიდან, ასურეთიდან, და მიმართოს ჩრდილო მხარეს—აგონებს აბრაამს, რომლის მსგავსად იოანესაც გაუწია წინამძღვრობა სულიწმიდამო).

სხვა ნიშნებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორის გრძნობების გამომხატველი ადგილები, რომლებიც ანასეულ ნუსხაში დაცული ცხოვრების წიგნს გააჩნია, მოკლე რედაქციაში ისეა გადაკეთებული, რომ ამ თვისებებისაგან დაცლილია. როდესაც ხსენებულ ვრცელ რედაქციაში იოანეს მოწაფეების გადაწყვეტილებაზეა საუბარი—არ დაშორდნენ თავიანთ მოძღვარს, რომელიც საქართველოში ეპირება გამოემგზავროს—აგიოგრაფი წერს: „ჵ შუენიერთა მოძღურისა მოწაფეთა კეთილი იგი შეთქმულებაჲ! საკრველსა მას სიყუარულისასა შეეკრნეს, ორნატსა მას ქრისტესსა მიზიდვიდეს ერთობით“, რაც მოკლეში ასეა წარმოდგენილი: „ესრეთ შეკრულ იყვნეს სიყუარულითა სულიერითა“-ო. უმეტესად ასეთი ადგილები მოკლე რედაქციაში მთლიანად არის ხოლმე გამოტოვებული (გვ. 27,14-16), თუმცაღა უნდა შევნიშნოთ, რომ აქაც, მსგავსად თხრობის მესამე პირზე გადაყვანისა, სულ ბოლომდის ეს ტენდენცია გატარებული არაა, განსაკუთრებით წიგნის ბოლო ნაწილში. ცხოვრების მოკლე წიგნში

---

[1] ს. კაკაბაძე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები. «საისტორიო კრებულის» წიგნი I-ის დამატება, თბილისი, 1928 წ., გვ. 1-18.

ამ ჩვენი დასკვნის მსგავსი მოსაზრება შენიშვნის სახით გამოთქმული აქვს აკად. ს. ჯანაშიას (შრომები, II, გვ. 288, შენიშ.): „კაკაბაძის მიერ გამოცემული ტექსტები, რასაკვირველია, არქეტიპები კი არ არის, არამედ მერმინდელი შემოკლებები (სვინაქსარული მიდრეკილებისა). სიმოკლე არ არის ერთად-ერთი და აუცილებელი ნიშანი ამგვარი ძეგლების სიძველისა“.

[2] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე» VI, გვ. 83-84.

საპატრიარქოს + ბიბ

თითქმის ყველგან გამოტოვებულია ვრცელი რედაქციისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, როგორიც არის ავტორის თანამედროვე ხანის რეალიების წარმოდგენა, რომლის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ აგიოგრაფის განცხადება, რომ ზედა-ზადენს „აწ მონასტერი მისი აღშენებულ არს“-ო.

ამნაირად, მოკლე ანუ სვინაქსურული რედაქცია, ზემორე ჩამოთვლილი წესით განკარგული, ყველგან მისდევს ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში დაცულ ზედაზნელის ცხოვრების ვრცელ წიგნს სათანადო ადგილების ან მთლიანი გადმოღებით, ანდა არსებითი ნაწილის გამოკრებით. ვრცელისაგან მომდინარე მოკლე ცხოვრების წიგნში მთლიანად გამოტოვებულია ის ადგილები, რომლებშიც სადვთისმეტყველო საკითხებზეა საუბარი; ამასთან ერთად მეტწილად დაგდებულია, ან მეტად შემოკლებულია ის ადგილები, რომლებიც ავტორის გრძნობებს გამოხატავს, ანუ, როგორც იტყვიან, ლირიკულ გადახვევას წარმოადგენს. ასევე ხშირად უგულებელ-ყოფილია ავტორის თანამედროვე სინამდვილის რეალიების დაცვაც. არის მოკლეში შეტანილი ცვლილებებიც, რომელთაგან უმთავრესი ისაა, რომ ცხოვრების წიგნის გამომთქმელის ვინაობა ამ რედაქციაში გამოუმჟღავნებელია და თხრობაც, რომელიც ვრცელში მომთხრობის, ე. ი. პირველი პირით მიმდინარეობს, მოკლეში, უმთავრესად დასაწყის თავებში, მესამე პირით მიიმართება.

ეგევე ნიშნები ახასიათებს ცხოვრების წიგნის ბოლო ნაწილსაც, რომელიც მოკლე, სვინაქსარულ რედაქციას დაუცავს, ხოლო ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში დაცულ ვრცელ რედაქციას აღარ შემორჩენია დეფექტურობის გამო. თუ ეხლა მოკლე რედაქციაში წარმოდგენილ ამ ნაწილს მივადევნებთ თვალს, უნდა აღვიაროთ, რომ ცხოვრების წიგნის დასახელებულ ვრცელ ნუსხაში მეშვიდე თავად უნდა ყოფილიყო თხრობა იოანეს მოწაფეთა შესახებ, რომელთაგან უმთავრესის, შიოს შესახებ თხრობას მოკლე რედაქციაში ცალკე სათაური მოეპოება: «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ევაგრესი». ამის მომდევნო თავად კი იოანე ზედაზნელის სხვა მოწაფის, ისე წილკნელისათვის თხრობა იქნებოდა. მერვე და მეცხრე თავად კვლავ შიოს დაყუდებისა და აღსასრულის თხრობა, რასაც მოსდევდა მეათე და უკანასკნელ თავად ერთვოდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის აღწერა.

ასეთ მიმდევრობას ვრცელისათვის (ე. ი. ანასეული «ქართლის ცხოვრების» დანართისათვის) ის გვავარაუდებინებს, რომ მოკლე, რომელიც ვრცელთან მიმართებით შემონახულ ნაწილში წარმოადგენს ვრცელის თანმიმდევრულ გამონაკრებს, ბოლო ნაწილში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრძელ მსჯელობას სადვთისმეტყველო საკითხებზე), თითქმის უცვლელად სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს ვრცელის ტექსტს.

ცხოვრების ვრცელ წიგნში რომ საუბარი უნდა ყოფილიყო იოანეს დასახელებულ მოწაფეთა შესახებ, ამას მისი შესავალიც მოწმობს: იქ, როგორც ვნახეთ, აგიოგრაფი აცხადებს, რომ იოანეს ცხოვრების წიგნის შესადგენად, გარდა **„წულილი ქარტისა“**, რომელიც ზედაზნის მონასტრის წინამძღვარს მიქელს **გაუგზავნია, „ზოგი რაჲმე გამოვიკითხეთ მისთჳს და მისთა მათ მოწაფეთა მათ-**

თა, მათ შინა ადგილთათჳს“-ო (გვ. 4,22 24). მაშასადამე, მოწაფეების შესახებ მას ცხოვრების წიგნში შეუტანია თხრობანი.

ამრიგად, წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შემდეგ დასკვნამდის მივდივართ: «ქართლის ცხოვრების» ანასეულ ნუსხაში დაცული ცხოვრების ვრცელი ტექსტიდან მომდინარეობს მოკლე, ე. ი. სვინაქსარული რედაქცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვრცელი ტექსტი უშუალოდ გამოსულია ცხოვრების წიგნის გამომთქმელის ხელიდან, ხოლო მოკლე ამ ვრცელისაგან წარმომავლობს.

ეს ჩვენი დასკვნა უპირისპირდება სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდის გამოთქმულ მკვლევართა აზრს, კერძოდ მოკლე წიგნის ანუ სვინაქსარული რედაქციის გამომცემლის პროფ. ს. კაკაბაძისას, რომელსაც ის მიაჩნია VII ს-ის დასასრულს დაწერილად არსენ საფარელის მიერ[1]. არც გამომცემელს და არც სხვა რომელიმე მკვლევარს ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში დაცული ზედაზნელის ცხოვრების წიგნი საგანგებოდ არ შეუსწავლია. მათ იცოდნენ მხოლოდ სათაური ამ ცხოვრების წიგნისა და მისი ზოგიერთი ექსცერპტი, რომლებიც აკად. ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა გამოქვეყნებული თავის «ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში», და მათ მიხედვით ის ერთ-ერთ მეტაფრასულ რედაქციად მიაჩნდათ, მომდინარედ მოკლე რედაქციისაგან, ან როგორც ისინი ეძახდნენ, არქეტიპიდან. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც აკად. კ. კეკელიძე წარმოადგენს. მისი საგანგებო გამოკვლევის მიხედვით, „იოანე ზედაზნელის ბიოგრაფია გადაკეთებულია, როგორც ეს ანა დედოფლისეული ნუსხიდან ჩანს, ზედაზნის წინამძღვრის მიქელის შეკვეთით ვიღაც უცნობი მეტაფრასტის მიერ, რომელიც მიქელს უპასუხებს „ძმური“ ტონით და კრძალულებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის არაა კათალიკოსი საზოგადოდ და არსენი კერძოდ, როგორც ცხოვრების სათაურშია აღნიშნული“[2].

ავტორის ხელიდან გამოსულია მოკლე რედაქციაო, გვიმტკიცებენ ისინი. ასე რომ იყოს, მაშინ რით ავხსნათ ვრცელი ცხოვრების წიგნის გამომთქმელის ის ხშირი განცხადებანი, რომლებითაც ის მცხეთას თავის დედაქალაქს ეძახის, ხოლო მოკლე მარტო დედაქალაქს, თუ არ იმით, რომ ვრცელი წიგნი ავტორის ხელიდან არის გამოსული და მოკლე კი მისი გამონაკრებია, ერთგვარი სვინაქსარული რედაქცია! ანდა, როგორ განვმარტოთ ვრცელი ცხოვრების წიგნის ის ადგილი, სადაც აგიოგრაფი აცხადებს, რომ ეს ჩემი წიგნი ცხოვრების მეორედ აღწერას წარმოადგენს, ხოლო ადრინდელი ასურეთს ცხოვრებას შეიცავსო? თუ მოკლე, არქეტიპად წოდებული რედაქცია, იქნებოდა ადრინდელი, მასში ხომ უმთავრესად იოანეს მოღვაწეობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი ასურეთში, მაშინ როცა მოკლეში გა-

---

[1] ს. კაკაბაძე. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები: «საისტორიო კრებულის» წიგნი I-ის დამატება, თბილისი, 1928 წ. გვ. 7—15.

[2] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ: «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე» VI (თბილისი, 1928 წ.), გვ. 83.

მოკლე რედაქციიდან მომდინარედ წარმოუდგენია ანასეული ნუსხის ცხოვრების წიგნი ლ. მენაბდესაც, რომელიც იცნობს ორივე რედაქციას ერთმანეთთან შეჯერებით.

მოკრებით იგივეა ნათქვამი, რაც ვრცელში! ამასთან, ამ შემთხვევისათვის მოკლე წიგნში ნათქვამი სიტყვები: „ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან“ (გვ. 18,15-17) ხომ მხოლოდ ვრცელის სადანადო ადგილის გათვალისწინებით ხდება გასაგები და ვერ აიხსნება, თუ არ შევიწყნარეთ, რომ იგი ვრცელი ცხოვრების წიგნიდან არის გამოკრებილი და საზოგადოდ მოკლე რედაქციაა.

ეს ძირითადი მომენტები ეჭვს არ უნდა ტოვებდეს, აღვიაროთ, რომ ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხის ბოლოს მოთავსებული ცხოვრება აგიოგრაფის, მცხეთის კათალიკოსის ხელიდან გამოსული ცხოვრების წიგნია, რომელიც მისი სათაურის მიხედვით არსენ კათალიკოსს ეკუთვნის და რომლიდანაც შემდეგში, გამოკრების გზით, შეუდგენიათ მოკლე, ე. ი. სვინაქსარული რედაქცია.

ამ მოკლე რედაქციისა და მისი წყაროს, ვრცელი რედაქციის ტექსტები თანხმობაშია ერთმანეთთან ყველგან ცალკეული სიტყვებით თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმებით, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას, როცა ისინი ერთმანეთს სცილდებიან: დაცილება გვაქვს იმ ადგილს, სადაც საუბარია იოანეს მიერ მოწაფეების დაგზავნაზე. ვრცელი წიგნით იოანე ზედაზნელმა მისი მოწაფეები წარგზავნა: „რომელნიმე მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით, და ერთი ვინმე გარეშეთად“ (გვ. 38,4-7). ეს ადგილი (იქვე) მოკლეში ასეა გადმოცემული: „წარავლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით, და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა“. პირველი წიგნით არც ერთი იოანეს წარგზავნილი მოწაფე არაა დასახელებული, მოხსენებულია მხოლოდ ის მხარეები, სადაც მოძღვარი აგზავნის მათ: კახეთი, კუხეთი, ზენა სოფელი (ქართლისა) და გარეშეთა. მოკლე წიგნით უკანასკნელს გარდა ყველა ადგილია გამეორებული, „გარეშეთა“ კი, ჯერ ერთი, «გარესჯის უდაბნოდ» არის შეცვლილი და, მერმე, ისიც არის დართული, რომ აქ დავითი გაიგზავნაო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ სიტყვები «გარეშეთა» თუ «გარეშითი» და «გარესჯა» ერთიმეორეს ენაცვლება, ხოლო იქ წარგზავნილი დავითი მოკლე წიგნის მიერ არის დამატებულიო. ეს ასეც გვგონია, რადგან «გარესჯა» ერთ წყაროში, სახელდობრ XIII ს.-ის მიწურულის სომეხ ისტორიკოსთან—სტეფანოს ორბელიანთან—«გარშტეა-დ»—(*Գարշտէ*) მოიხსენიება. აქ ნათქვამია, რომ ნორავანსა და ტათევს შორის ჯვრის კუთვნილებისათვის ამტყდარი დავის გამო ივანე ათაბაგმა დვინს მოიწვია სასამართლო და მის მონაწილედ მიიხმო „დიდი მამათმთავარი გ ა რ შ ტ ე თ ა—*զմեծ մամթաւարն Գարշտէցւոցն*“[1], რომელიც გარესჯელად ეგულება აკად ივ. ჯავახიშვილს[2]. «გარეშეთ-ი» თუ «გარეშეთა» შეიძლება, ამ ადგილს (გარესჯას) იმიტომაც ჰრქმეოდა, რომ ქართლ-კახე-

---

[1] *Պատմութիւն նահանգին Սիսական, արարեալ Ստեփաննոսի Օրբէլեան արքեպիսկոպոսի Սիւնեաց. Թիֆլիս, 1910,* გვ. 355.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948 წ. გვ. 307.

თისათვის ის ზ ე ნ ა სოფლის მსგავსად გ ა რ ე შ ე-ს ‖ გ ა ჳ ე შ ე ნ-ს წარმოადგენდა (შრდ. შიგნი კახეთი და გ ა რ ე კახეთი).

ამ მხარეში წარგზავნილი პირის სახელად რომ მოკლე წიგნის რედაქტორი დ ა ვ ი თ ს უმატებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იქვე ვრცელი ცხოვრების სიტყვებს: „ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ქალაქთა და რომელნიმე მთათა, ქუაბთა და ჳურელთა ქუეყანისათა“ (გვ. 38,8-11) მოკლე წიგნი ურთავს: („ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ქალაქთა და რომელნიმე ქუაბთა და ჳურელთა ქუეყანისათა), ხოლო ეზდერიოს ქალაქსა სამთავისისასა“.

ამრიგად, ვრცელი ცხოვრების წიგნის ბუნებრივი თხრობა მოკლე რედაქციაში რამდენადმე შეცვლილია.

ამ ორი რედაქციის ერთმანეთთან დაპირისპირებითი შესწავლით ნათელი ხდება, რომ ვრცელის სათაურის სიტყვები: ეს ცხოვრება „განაახლა და განავრცო წმიდამან [მამამან] ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან“, სწორია. ამ სათაურის წარმწერელი ამოდის აგიოგრაფის განცხადებიდანვე, რომელსაც მხოლოდ ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში წარმოდგენილი ვრცელი ცხოვრების წიგნში ვხვდებით. გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა დ აქ შეფასებულია აგიოგრაფის ნათქვამი: „ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“-ო (გვ. 18,19-20), ხოლო გ ა ვ რ ც ო ბ ა დ—სიტყვები: „ზოგი რაჲმე გამოვიკითხეთ მისთჳს და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, მათ შინა ადგილთათჳს“ (გვ. 4,22-24), ანდა: „განვიზრახე, რაჲთა ვემსგავსო ფუტკარსა შრომის მოყუარესა და სამოთხეთა შუენიერთა წიგნთა მიერ მოვიწილნე ყუავილნი“ (გვ. 6,15-17), ე. ი. სათანადო ლიტერატურითაც შევავსეო. სათაურის გამკეთებლისაგან ახლად აღნიშნული ისაა, რომ მის მიერ დასათაურებელი ცხოვრების წიგნის გამომთქმელი, რომელიც ტექსტით მცხეთის კათალიკოზი ჩანს, აქ სახელით არის მოხსენებული: „წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ქრისტეს მიერ არსენი“, რომელსაც თურმე, როგორც ცხოვრების წიგნისათვის წამძღვარებული ცნობიდან ჩანს («სახელები წმიდათა მოწაფეთა იოვანე ზედაძნელისათა»), «შემდგომად ოთხას ოცისა (var. ოთხისა) წლისა» (ე. ი. X ს.-ის მეორე ნახევარში) გამოუკითხავს და გამოუძევია... და აღუწერია «ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდათა მათ მამათაჲ». ამრიგად, ეს მეორედ აღწერილი იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება შეუდგენია X ს.-ის მეორე ნახევრის მოღვაწეს არსენ კათალიკოსს (955—980), რომლის ნაშრომს, სამწუხაროდ ბოლო-ნაკლულს, ჩვენამდის მოუღწევია ანასეული «ქართლის ცხოვრების» დანართად.

რაც შეეხება სათაურს მოკლე ცხოვრების წიგნისას, რომელიც ჩვენ ახლახან ხსენებული არსენი კათალიკოსის ნაწარმოებიდან მომდინარე სვინაქსარულ რედაქციად მიგვაჩნია. იგი, რამდენადაც მასში არ შეინიშნება აგიოგრაფის ის განცხადებანი, როგორიც არიან მითითება მეორედ აღწერასა და დამატებითი ცნობების გამოძიებაზე, ბუნებრივად არც ატარებს ცნობას ცხოვრების წიგნის განახლება-გავრცობაზე, არამედ აქ მარტივად არის ნათქვამი: „ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებელად, რომელნი ისმენდენ“-ო.

ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მოკლე წიგნი არაა უშუალოდ აგიოგრაფის ხელიდან გამოსული ნაწარმოები, ის მხოლოდ სხვისი ნაწარმოებიდან გამონაკრებს წარმოადგენს, ერთგვარ კომპილაციას, რომელსაც შეიძლება ავტორის სახელიც ჰქონოდა სათანადოდ წარწერილი.

იოანე ზედაზნელის ცხოვრების მოკლე წიგნს გარკვეული დამოკიდებულება აქვს აგრეთვე ცხოვრების იმ წიგნთან, რომელიც მ. საბინინის მიერ არის გამოცემული. ცხოვრების ამ წიგნთა ერთმანეთთან მიმართება ზედმიწევნით აქვს გარკვეული პროფ. კ. კეკელიძეს. მისი მართებული დაკვირვებით ეს ნაწარმოები (იგულისხმება ცხოვრების მოკლე რედაქცია) უნდა იყოს ის პირვანდელი თხზულება, რომლის ნიადაგზე მერე შეუქმნიათ მეტაფრასული ცხოვრება, საბინინის მიერ გამოცემული. „მართლაც—განაგრძობს მკვლევარი—ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია ფაქტიური მასალა და ჩონჩხი საბინინის რედაქციისა, არავითარი რიტორული ელემენტი, მიხვევ-მოხვევა, გრძელი ლოცვები, მოსაზრებანი და ასკეტიკურ-მორალური მსჯელობა აქ არ არის“ [1]. ამ საზოგადო თვისების გვერდით პროფ. კ. კეკელიძეს შენიშნული აქვს მაინც იოანე ზედაზნელის ცხოვრების მოკლე წიგნში ის, რომ „შედარებით უფრო ვრცლადაა გადმოცემული სასწაული სვეტიცხოვლის აღმართვის შესახებ და იქ, სადაც დათვისა და სხვა მხეცთა დამორჩილებაზეა ლაპარაკი, ქადაგებისებური ტენდენციური მოძღვრებაა“ [2].

თუ საიდან არის ეს უკანასკნელი მომენტები მოკლე რედაქციაში, ჩვენთვის უკვე ცნობილია. ესენი არსენი კათალიკოსის ვრცელი ცხოვრების წიგნიდან არიან გადმოღებული: პირველი თითქმის უცვლელად, ხოლო მეორე ერთ ნაწილში—შემოკლებით, და მეორეში—თითქმის სიტყვა-სიტყვით. ქადაგებისებური ტონი თავიდან ბოლომდის არსენის ნამდვილი თხზულებისათვის არის დამახასიათებელი, როგორც ეს ზემოთ მისი შინაარსის განხილვიდან ჩანდა. ქადაგების მიზანი და მისი ავტორის მსოფლმხედველობაც,—დაიცვას დიოფიზიტობა,—ნათლად გამოსჭვივის ყველა იმ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური საკმაოდ გრძელი ჩანართებიდან, რომლებსაც ცხოვრების წიგნის განვითარებაში არსენ II აქსოვს. ამ მხრივ არსენის ნაწარმოები ძირითადად განსხვავდება მეტაფრასისაგან, რომელსაც ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რომლებიც ჩამოთვლილი იყო პროფ. კ. კეკელიძის ნაშრომიდან ზემორე მოყვანილ ამონაწერში, სახელდობრ: რიტორული ელემენტები, მიხვევ-მოხვევა, გრძელი ლოცვები, მოსაზრებანი და ასკეტიკურ-მორალური მსჯელობანი.

როცა მ. საბინინის მიერ გამოცემული ცხოვრების წიგნს, ანუ მეტაფრასს მოკლე წიგნთან მიმართებით ვიხილავთ, ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ მართლაც პირველი წარმოადგენს ნამდვილ მეტაფრასს, აღმოცენებულს მოკლე წიგნზე. ის უცილობლად ამოდის მოკლე წიგნიდან და მას მეტაფრა-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა. ტ. I, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, 1941 წ., გვ. 141.

[2] იქვე, გვ. 141—142.

სისათვის დამახასიათებელი ყველა წესის თანახმად წარმოგვიდგენს ზედმიწევნით. მეტაფრასი მოკლე წიგნს ეყრდნობა, მაგრამ მეტაფრასტისათვის, მისივე განცხადებით („გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ მოაქუნდა ჴორციელი ნათესაობაჲ...“, გვ. 13,13-15), ცნობილი ყოფილა უკვე იოანე ზედაზნელის ცხოვრების ერთი აღმწერელი კი არა (ვთქვათ მოკლე წიგნისა), არამედ მეტიც (აქ შემოვა არსენ II-ის ნაწარმოებიც). ენის თვისების მიხედვით ეს მეტაფრასი, პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვების თანახმად [1], XII ს.-ის პირველ ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

რომ ასურელ მამათა ზოგიერთ მეტაფრასულ ცხოვრებას წინ უსწრებდა მათი სხვა რიგის ცხოვრებები, ისიც ზოგჯერ ვრცელი და მოკლე, ამას მაგ., იოანე ზედაზნელის ცხოვრების მიმართ ადასტურებს შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრების გამომთქმელიც, რომელიც ერთგან ამბობს: „და მოვიდოდეს ყოვლით კერძო ... სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ღრეკილნი, ყრუნი და ყოველნი განიკურნებოდეს ლოცვითა მათ წმიდათა მამათაჲთა, ვითარცა წერილ არს ვ რ ც ე ლ ს ა შინა ცხორებასა ნეტარისა იოანესსა“-ო (გვ. 86,22-28). არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს არსენის თხზულება (ვრცელი ცხოვრების წიგნი), რომლისგანაც გამოკრებილია სვინაქსარული რედაქცია (ანუ მოკლე ცხოვრების წიგნი).

ამრიგად, დამოკიდებულება იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნებს შორის შემდეგნაირია: მოკლისაგან ვრცელისაკენ, ისიც მხოლოდ მეტაფრასისაკენ და არა იმ ვრცელისაკენ, რაც ნაკლულევანად არის დაცული ანა დედოფლისეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში, რომელიც, ჩვენი მტკიცებით, წარმოადგენს არსენი ქართლის კათალიკოსის, მეორედ წოდებულის (955—980 წწ.) ნამდვილ თხზულებას, რომლიდანაც თვით მოკლეა წარმომდგარი.

2. შიო მღვიმელის ცხოვრების წიგნები

შიო მღვიმელის ცხოვრებისა ორი წიგნია დღემდის ცნობილი—მოკლე და ვრცელი. უკანასკნელი უფრო ადრე იქმნა შენიშნული და გამოქვეყნებული. ის პირველად მ. საბინინმა გამოსცა თავის «საქართველოს სამოთხეში»[1]. ცხოვრების მოკლე წიგნს კი პირველად თ. ჟორდანიამ მიაკვლია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში, აწინდელ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდში (№ 199). მან ამ თხზულების მიმართაც ისეთივე შენიშვნა გააკეთა მის მიერ შედგენილ აღწერილობაში, როგორიც იოანე ზედაზნელის ცხოვრების მიმართ: „**Это древнейший вариант жития св. Шио**“[2]. გამოქვეყნებით ეს წიგნი პროფ. ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა სხვა ზოგიერთი ასურელი მამების ცხოვრებათა ასეთსავე მოკლე ცხოვრების წიგნებთან ერთად,

[1] «საქართველოს სამოთხე» სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი... მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ, პეტერბურგი, 1882 წ., გვ. 219—252. გამოცემაში გამოყენებულია ამ რედაქციის სამი ნუსხა, რომლებიც C, D და E-თია აღნიშნული.

[2] Ф. Д. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисского церковного музея... книга I. Тифлис, 1901 г., стр. 224. გამოცემაში მას ვიყენებთ და B-თი აღვნიშნავთ.

რომელთაგან ის მან იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნთან ერთად 680—690 წწ. შედგენილად მიიჩნია [1].

შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი სხვა ნუსხაში მკვლევართათვის წინათ უცნობი იყო. ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუზეუმის ხელნაწერთა (აწინდელის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდის) აღწერილობის შედგენისას, რომლითაც ამ ათიოდე წლის წინათ დაიწყო საერთოდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების აღწერილობათა გამოქვეყნება, გამოივლინა შიოს ცხოვრების მოკლე წიგნის ერთი ახალი ნუსხაც, რომელიც 1669 წელს არის გადაწერილი ზებედე დიღმელის მიერ დედოფალთ დედოფლის ელენეს დაკვეთით [2] (H 1336).

შიოს ცხოვრების დასახელებული ვრცელი და მოკლე წიგნები ერთმანეთთან მიმართებით დაწვრილებით აქვს შესწავლილი პროფ. კ. კეკელიძეს. მან თავისი დაკვირვებანი ამ მხრით ჯერ თავისი «ქართული ლიტერატურის ისტორიის» I ტომში ასახა (პირველად 1923 წ.) და მერმე სპეციალურ გამოკვლევაში [3].

პროფ. კ. კეკელიძის აზრით, თუმცაღა მოიპოვება შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი თავისივე საგანგებო სათაურით, მაგრამ ის დამოუკიდებელ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, არამედ „ორგანიულ და განუყოფელ ნაწილს შეადგენს «იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა» ცხოვრებისა", რომელიც არსენ II-ს ეკუთვნისო [4]. მკვლევრის ეს მოსაზრება და ის არგუმენტები, რომელთაც იგი ემყარება, დამაჯერებელია და უდაოდ სწორი იმ ნაწილში, რომლითაც შიოს ცხოვრება განუყოფელ ნაწილად არის აღიარებული იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნისა. ოღონდ მას შემდეგ, რაც გარკვეულია (ზემორე მოყვანილ იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნთა განხილვისას), რომ «ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲ» წარმოადგენს არსენი II-ის უშუალო ნაწარმოებს კი არა, არამედ მისი ვრცელი თხზულების თანმიმდევრულ გამონაკრებს თუ შემოკლებას (მოკლე რედაქციას), არ არის შესაწყნარებელი მკვლევრის აზრი, თითქო შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი არსენის ხელიდან იყოს გამოსული. იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრებათა მოკლე წიგნების სახით ჩვენ გვაქვს ერთი მთლიანი ნაწარმოები («ცხოვრებაჲ იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთაჲ»), რომელიც წარმოადგენს შემოკლებას ასეთივე მთლიანის, მაგრამ უკვე ვრცელი ცხოვრების წიგნისას, რომელიც ნაკლულევანად, უნიკალური ნუსხის სახით ჯერ-ჯერობით ჩვენამდის მოღწეულია ანასეული «ქართლის ცხოვრების» დამატებად.

---

[1] ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები: საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, გამოსცა ს. კაკაბაძემ, თბილისი, 1928 წ.

[2] ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს სახელმწ. მუზეუმის H კოლექციისა, ტ. III, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948 წ., გვ. 275. ეს ნუსხა გამოცემაში B'-ით აღინიშნება.

[3] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსავლის შესახებ. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI. თბილისი, 1926 წ., გვ. 82—107.

[4] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორე გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 140.

შესაწყნარებელია პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვება იმ საკითხშიც, რომელიც ხსენებული ცხოვრების მოკლე წიგნისა და შიოს ვრცელი ცხოვრების (საბინინის მიერ გამოცემულის) მიმართებას შეეხება. ცხოვრების ეს მოკლე წიგნი ამ ვრცელისათვის მართლაც არქეტიპია, ე. ი. ისეთი პირველწყარო, რომელზედაც აღმოცენებულია ეს ვრცელი ცხოვრება, რომელიც მისთვის დამახასიათებელი თვისებების გამო მეტაფრასად იწოდება. მაგრამ ამდენად დამაჯერებლად ვერ მივაჩნევთ ჩვენი მკვლევრის იმ მტკიცებას, თითქოს იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის მეტაფრასულ ცხოვრებათა წიგნები ერთი და იმავე პირის მიერ იყოს გამოთქმული[1]. ამას ეწინააღმდეგება იოანე ზედაზნელის მოღვაწეობის მსვლელობის ის განსხვავებული აღწერა, რომელიც მეტაფრასს ახასიათებს. ისეთი დაწვრილებითი აღწერა ამ მოღვაწეობისა, როგორიც შიოს მეტაფრასულ ცხოვრებაშია, უფრო შესაფერისი იქნებოდა იოანეს მეტაფრასულ ცხოვრებაში და ისიც შეფერებული იმასთან, რაც დღეს მასშია. ეს ასეც იქნებოდა, რომ ცხოვრების ეს ვრცელი წიგნები ერთი პირის ნახელავი ყოფილიყო. ზოგიერთი ტერმინის ან გამოთქმის ერთნაირობა, რაც ორსავე ნაწარმოებში შეინიშნება, მათ ერთი ავტორის ნაწარმოებებად ვერ გამოაცხადებს, რადგან ზოგ ამ ტერმინთაგანსა და ფრაზეოლოგიურ გამონათქვამს სხვა ცხოვრების წიგნებშიც ვხვდებით. მართალია, შიოს მეტაფრასული ცხოვრების სათაური, სადაც წიგნის ავტორად მარტვირია გამოცხადებული, ფსევდო-ეპიგრაფულია, მაგრამ ის, რომ იქ არსენი მაინც არაა ხსენებული, იმის გამომახილი უნდა იყოს, რომ ტრადიციულად მის ავტორად მაინც სხვა პირი იგულისხმება.

შიოს მეტაფრასული ცხოვრება ენობრივი ნიშნების მიხედვით, როგორც ამას მართებულად ადგენს პროფ. კ. კეკელიძე, შედგენილი უნდა იყოს XII ს.-ის პირველ ნახევარში[2].

3. დავით გარესჯელის ცხოვრების წიგნები

დავით გარესჯელის ცხოვრებათა წიგნები ორი რედაქციით არის მოღწეული: ვრცელითა და მოკლით. ვრცელი, მსგავსად იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ასეთივე ცხოვრებებისა, უფრო ადრე გახდა ცნობილი. მისი პირველი გამოცემა მ. საბინინს ეკუთვნის[3], ხოლო მოკლე ცხოვრების წიგნი ყველაზე უწინარეს თ. ჟორდანიამ შენიშნა ზედაზნელისა და მღვიმელის ცხოვრების მოკლე წიგნთან ერთად (A 199) და მისცა მასაც სათანადო შეფასება: «Вариант этот самый древний из дошедших до нас и притом весьма различный от известных вариантов»[4]. ამ მოკლე ცხოვრების წიგნის შემცველ ხელნაწერს

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორე გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 494.

[2] იქვე, გვ. 496.

[3] «საქართველოს სამოთხე»... პეტერბურგი, 1882 წ. გვ. 265—286. გამოცემისათვის ამ რედაქციის სამი ნუსხა გამოვიყენეთ A—160, A—130 და S—449 (C, D და E).

[4] Описание рукописей Тифлисского церковного музея... составленное Ф. Д. Жордания, книга I, Тифлис, 1901 г., стр, 226. ეს ნუსხა გამოცემაში B-თი არის აღნიშნული.

ბოლო, თითქმის მთელი წიგნის ნახევარი, აკლია. ასეთი სახით აქვს ის გამოქვეყნებული ს. კაკაბაძეს[1] ჩვენ კი მას სრულად ვაქვეყნებთ, რადგან აღმოჩნდა ამ მოკლე რედაქციის უნაკლულო ხელნაწერი[2].

დავით გარესჯელის ცხოვრების მოკლისა და ვრცელი წიგნების ერთმანეთთან შეჯერება ადასტურებს იმ დაკვირვებას, რომლითაც ვრცელი წარმოადგენს მეტაფრასს, რომლის ავტორს ზედმიწევნით გამოყენებული აქვს ჩვენამდის მოღწეული მოკლე წიგნი. ვინ არის მეტაფრასტი, არსაიდან ჩანს, მაგრამ მისი დამკვეთი კი—ვინმე ონოფრე—მარჯვედ აქვს მიკვლეული პროფ. კ. კეკელიძეს, რომლის დასკვნით ის, „მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლად უნდა მივიჩნიოთ“, რასაც კარგად უდგება მისი ენაცო[3]. ამრიგად, დავით გარესჯელის ცხოვრების ვრცელი რედაქცია XII ს-ში ჩანს აღმოცენებული.

4. აბიბოს ნეკრესელის მოქალაქობისა და წამების წიგნები

აბიბოს ნეკრესელის წამების წიგნის ორი სახეა დღემდის ცნობილი: ერთი, რამდენადმე ვრცელი მეორესთან შიმართებით, მ. საბინინმა გამოსცა 1882 წ.[4], ხოლო მეორე, რამდენადმე მომცრო პირველთან შედარებით, 1908 წ. გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა[5]. პირველი წიგნი უმთავრესად XVII—XVIII სს.-ის ხელნაწერებს დაუცავს, ხოლო მეორე, ჯერხნობით მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერით, და ისიც ნაკლულევანით, არის შემონახული: აკლია მას შუა ნაწილი, თითქმის მთელი წიგნის მესამედი. გადაწერის თარიღი მას არ გააჩნია, მაგრამ ხელის მიხედვით ის XIII ს.-ის ხელნაწერად ითვლება.

ამ ორი წიგნის ერთმანეთთან მიმართების შესახებ მკვლევართა საგულისხმო დაკვირვებანი მოიპოვებიან სამეცნიერო ლიტერატურაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით წამების ვრცელი წიგნი მომცროსთან შედარებით ისეთ ენობრივ ნიშნებს შეიცავს, კერძოდ ზოგიერთი ტერმინის ხმარების მხრით, რომ ის უკანასკნელზე ადრინდელი ჩანს. სიძველის მანიშნებელი ეს ტერმინები რომ ამ წიგნში ბოლომდის არაა ერთნაირი სახით დაცული, ავტორის დაკვირვებით იმით აიხსნება, რომ იქ, სადაც წიგნის მეორედ გამომთქმელი, არსენ კათალიკოსი, გამოკრების გზით სარგებლობს მის მიერ დასახელებული ძველი წყაროთი, რომელიც VI ს. დამლევის ან VII ს.-ის დამდეგისა უნდა იყოს, ტერმინები ჯეროვნად არის მოყვანილი, ხოლო იქ, სადაც ის ხსენებულ წყაროს შინაარსის გადმოცემის საშუალებით იყენებს, ტერმინე-

---

[1] ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები: «საისტორიო კრებულის» I წიგნის დამატება. გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, თბილისი, 1928 წ., გვ. 36—42.

[2] ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის H კოლექციისა, ტ. III, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948 წ, გვ. 274—276. გამოცემაში B'-ით არის აღნიშნული.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა. ტ. I, მეორე გამოცემა, 1941 წ., გვ 494.

[4] «საქართველოს სამოთხე»... პეტერბურგი, 1882 წ., გვ 213—216.

[5] **М. Г. Джанашвили**. Описание рукописей церковного музея... книга III. Тифлис, 1908 г., стр. 24—28.

ბი შეცვლილია „IX ს-ის (თუ უფრო მერმინდელის?)“ მწერლის ხანის შესაბამისადო[1].

თავისი ასეთი დასკვნებით აკად. ივ. ჯავახიშვილი უპირისპირდება სხვების მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. უდაოდ სწორია ის, როცა წინააღმდეგ მ. ჯანაშვილის განცხადებისა, რომლითაც თითქოს წამების მომცრო წიგნი განსხვავებული და ყველაზე უძველესი ვარიანტი იყოს[2], უპირატესობას სიძველის მხრით ვრცელ წიგნს ანიჭებს. ასევე მართებულია მისი მსჯელობა მაშინაც, როცა ის, წინააღმდეგ ს. კაკაბაძის შეხედულებისა,—თითქოს წამების წიგნის შერეული ტერმინოლოგია, ჯერ ერთი, VII—VIII სს.--ის ნაწარმოებად აცხადებდეს მას და, მეორეც, ვითომც მისი ავტორი ამ დროს მოღვაწე არსენი კათალიკოსი ყოფილიყოს[3],— ამტკიცებს გარკვეული ტერმინების ხმარების საფუძველზე, რომ წამების წიგნის მეორედ გამომთქმელი „IX ს-ის (თუ უფრო გვიანდელის?)“ არსენი კათალიკოსია, ხოლო ავტორი მისი წყაროსი—VI-VII სს.-ის უცნობი აგიოგრაფია.

პროფ. კ. კეკელიძე ჯერ თავის სპეციალურ გამოკვლევაში: «საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ»[4] და მერმე სახელმძღვანელოში: «ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია»[5] წამების ვრცელ წიგნს მეტაფრასულ რედაქციად მიიჩნევს, შედგენილს XII ს.-ში, რასაც „ნაკლებად განუცდია მეტაფრასტის ხელი, რომლის რედაქციული მუშაობა უმთავრესად ამოიწურება პროლოგით[6], ცეცხლთაყვანისმცემლობასთან პოლემიკური დიალოგის ჩართვით შუაში[7] და ეპილოგის დამატებით[8]. ამასთან ის ამ წიგნის სათაურში ავტორად მოხსენებულ არსენ კათალიკოზს მიიჩნევს გამომთქმელად მისი იმ ძველი რედაქციისა, რომელიც თვით ძეგლშია გამოყენებულად დასახელებული და რომელსაც მეტაფრასტის ხელში გაუვლიაო[9]. ეს არსენი, მისი აზრით, არის ის არსენ დიდი, რომელიც 855-882 წლებში კათალიკოსობდა.

როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნებისაგან დიდად განსხვავდება, ჯერ ერთი, იმით, რომ ვრცელი წიგნი მიჩნეულია ერთგვარ მეტაფრასულ ნაწარმოებად, წინააღმდეგ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრე-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951 წ., გვ. 362—364.

[2] М. Г. Джанашвили, Описание рукописей ц. музея, кн. III, стр. 25.

[3] ს. კაკაბაძე. «საისტორიო ძიებანი», თბილისი, 1924 წ., გვ. 49—55.

[4] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ: «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», VI, 1926 წ., გვ. 8ა.

[5] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა. ტ. I, მეორე გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 127.

[6] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 83; პროლოგისათვის იხ. წინამდებ. გამოცემის გვ. 188,1—189,14 (C).

[7] ამ ჩანართად პროფ. კ. კეკელიძე თვლის ტექსტს, რომელიც მოთავსებულია ჩვენი გამოცემის გვ. 192, 30—193, 32 (C).

[8] ეპილოგი პროფ. კ. კეკელიძის შეხედულებით მოიცავს ტექსტს, წინამდ. გამოც. გვ. 194,10-იდან (C) ბოლომდის. შდრ. «ქართული ლიტ-რის ისტორია», ტ. I; კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე: ძველი ქართული ლიტ.—რა (V—XVIII სს.), თბილისი ,1954 წ., გვ, 82.

[9] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 84.

ბისა, რომლითაც ის არა VII ს-ის არსენს, როგორც ეს ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, არამედ, „IX ს-ის (თუ უფრო მერმინდელის?)“ არსენ კათალიკოსს მიეწერება, რომელსაც მის მიერ გამოყენებულად დასახელებული წყარო, ადრინდელი აგიოგრაფიული ძეგლი, გარკვეული მიზნით ადგილ-ადგილ გამოუკრებია და ადგილ-ადგილ თავისი სიტყვით გადმოუცია შინაარსი. მეორე მხრით განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წამების ვრცელი წიგნის ავტორის მიერ ნასარგებლევად დასახელებული ადრინდელი წამების წიგნი პროფ. კ. კეკელიძის აზრით IX ს-ში მოღვაწე არსენ დიდისაა, ხოლო ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, უცნობი ავტორის ეს წამების წიგნი VI ს-ის დამლევისა ან VII ს-ის დამდეგისა უნდა იყოს.

წამების წიგნთა ნუსხების ერთმანეთთან შეჯერება, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ძირითადად ორი სახის რედაქციას აჩენს: ვრცელსა და მოკლეს. მოცულობის მხრით ეს განსხვავება ბოლო ნაწილზე მოდის. ვრცელს, მოკლესთან მიმართებით, ამ ნაწილში ის გააჩნია მეტი, რომ სახელდებით ჩამოთვლილი აქვს ასურელ მოღვაწეთა ერთი წყება (აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, იოანე ზედაზნელი და შიო მღვიმელი). „რომელთა თჳსითა მით სიმჴნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი“, და ის საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ ქართლსა და კახეთში როგორც დასახელებული, ისე დაუსახელებელი მოღვაწეები, რაც შიოსა და მისი მემკვიდრის ევაგრეს მეძღვიმეობითი ცხოვრების აღწერით მთავრდება.

მოკლე წიგნი იმითაც მოკლეობს რამდენადმე ვრცელზე, რომ უკანასკნელის გავრცობილი წინადადებანი, ცალკე თუ რთულის წევრად წარმოდგენილნი, რომლებიც ხშირად გამომეტყველებისა და მხატვრულობისათვის ჩანს გამოყენებული, მოკლესთან გაუვრცობლად და მარტივად არის წარმოდგენილი. ეს მხარე განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს შესავალში.

ყოველივე ამით აშკარაა, რომ საქმე ორ რედაქციასთან გვაქვს, წამების ორგვარ წიგნთან და არა ერთთან, როგორც ეს პროფ. კ. კეკელიძეს მიაჩნია. როგორც წამების წიგნთა ზემორე მოყვანილი შედარებიდან ჩანს, სწორი არაა მისი შეხედულება, თითქოს უძველეს ხელნაწერში დაცული წამების წიგნი (A—832), ჩვენ რომ მოკლეს ვეძახით, „ოდნავი ცვლილებით“ ხასიათდებოდეს სხვა ხელნაწერ ნუსხებთან მიმართებით [1], რომელნიც ცალკე რედაქციას წარმოადგენენ (ჩვენი სახელწოდებით „ვრცელს“). სინამდვილეს უფრო სწორად ასახავს აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება, რომელიც წამების წიგნთა („ვრცელისა“ და „მოკლეს“) ტექსტების ენობრივ ანალიზს ეყრდნობა, კერძოდ კი გარკვეულ ტერმინთა ხმარებას [2]. მისი დასკვნა, რომლის მიხედვით ის რედაქცია, რომელსაც ჩვენ „ვრცელს“ ვეძახით, ენობრივი ნიშნების

[1] კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ-რის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 127.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951 წ., გვ. 360—363.

გამო უფრო ადრინდელიაიმაზე, რომელსაც ჩვენ „მომცროს“ ვარქმევთ, უეჭველია, წამების წიგნთა ორგვარი რედაქციის დამადასტურებელია.

წამების ვრცელი წიგნი, აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, წინ უსწრებს მოკლეს, ამიტომ ეს წიგნი უპირატესობით სარგებლობს მის თვალში და მასზე დაყრდნობით არკვევს ამ ნაწარმოებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხს. ამავე წიგნს ეყრდნობა პროფ. კ. კეკელიძეც თავისი ძიების დროს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის მის თვალში რაიმე უპირატესობით იყოს აღჭურვილი, არამედ იმიტომ, რომ მომცრო წიგნი ამასთან მიმართებით „დეფექტურად და ოდნავი ცვლილებებით“ არის შენახული[1].

ხსენებული მარტვილობის წიგნია, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი, როგორც წიგნის სათაურშია გაცხადებული, არსენ კათალიკოსის ნაწარმოებად მიიჩნევს (არსენს, მასშივე დაცული მითითების თანახმად, გამოყენებული ჰქონია წინათ არსებული მარტვილობის წიგნი, ავტორისავე დაკვირვებით, ზოგჯერ გამოკრებითა და ზოგჯერ შინაარსის თხრობით გადმოცემული), ხოლო პროფ. კ. კეკელიძე მეტაფრასულ ნაწარმოებად აცხადებს, რომელიც XII ს.-შია შემუშავებული IX ს-ის ავტორის, არსენი დიდისაგან შედგენილი მარტვილობის წიგნის გამოყენებით, რომლისთვისაც მეტაფრასტს წაუმძღვარებია პროლოგი, ჩაურთავს ახალი ეპიზოდი და დაურთავს ეპილოგი. მისივე აზრით, არსენ დიდისაა მარტვილობის ის წიგნი, რომლითაც სარგებლობა წამების წიგნში დამოწმებული, და არა სხვა ვინმე აგიოგრაფისა, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით VI ს.-ის გასულს ან VII ს.-ის დამდეგს უნდა დაეწერა იგი.

ამ ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებს რომ ახლად ვამოწმებთ ჩვენი ტექსტების ჩვენებათა მიხედვით, ირკვევა, რომ დამაჯერებელი არაა პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრება, თითქოს აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის წიგნი მეტაფრასული ნაწარმოები იყოს, და არც არგუმენტები, რომლებითაც ის მას არსენის ნაწარმოებად არ ცნობს, წინააღმდეგ აკად. ივ. ჯავახიშვილისა, რომელსაც, პირიქით, ეს შესაძლოდ მიაჩნდა.

აბიბოს ნეკრესელის წამების რედაქცია, გამოცემული მ. საბინინის მიერ (ე. ი. ვრცელი მარტვილობა), „არ შეიძლება არსენის შრომა იყოს“-ო, იმიტომ რომ „ის წმინდა მეტაფრასტული ჟანრის ნაწარმოებია, ამ ჟანრის ყველა დამახასიათებელი თვისებებითაო“[2], მხოლოდ ლიტონი განცხადებაა პროფ. კ. კეკელიძისა. არსაიდან არ ჩანს, რომ ეს მისი ხასიათი ყველასათვის თვალნათლივი იყოს და დამატებით ჩვენებას აღარ საჭიროებდეს. პროფ. კ. კეკელიძე მეტაფრასტს უმეტესად პროლოგს, ეპილოგსა და შუაში ჩართულ ცეცხლთაყვანისმცემლობის საწინააღმდეგო პოლემიკას მიაწერს. მაგრამ საიდან ჩანს, რომ სადმე ამ მხრივ მეტაფრასტის ხელი ერიოს? არა ერთი ცხოვრება-წამების წიგნი მოგვეპოვება, რომელთაც საგანგებო პროლოგი მიუძღვის და არც თუ

[1] კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ-რის ისტორია. ძველი მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 127.

[2] იქვე.

ნაკლები მოცულობისა, ზოგჯერ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ საკითხზედაც კი (ავიღოთ თუნდ გ. მერჩულის ნაწარმოები, იოანე საბანისძის თხზულება ან ზემოთ განხილული არსენ კათალიკოზის ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, რომელიც ანასეული «ქართლის ცხოვრების» ბოლოსაა მოთავსებული და სხვ.), მაგრამ ამათ გამო ისინი მეტაფრასულ ნაწარმოებად არ მიიჩნევიან. ისეთ ნიშანზე მითითებაც, როგორიცაა ენაწყლიანობა, პირობითია, რადგან ისეთი მრავალსიტყვაობა, როგორიც აბიბოს ნეკრესელის ვრცელ რედაქციას ახასიათებს, სხვაგანაც გვაქვს კიმენურ ნაწარმოებში. არა ნაკლებ პირობითია სტილის საკითხიც. ამას ისიც ნათლად მოწმობს, რომ ერთხანს თუ, მაგ., თვით პროფ. კ. კეკელიძეს აბიბოს ნეკრესელის წამების დასახელებული წიგნი იმავე მეტაფრასტის ხელში გავლილი ეგონა, რომელშიც იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელისა [1], სულ უკანასკნელ ხანს ის უკვე ამ წიგნის შესახებ სხვა აზრისაა: „ეს მეტაფრასტი არაა ის მწერალი, რომელმაც, როგორც ამ ცენხანს ვფიქრობდით, გადააკეთა დანარჩენ «ასურელ მამათა» ცხოვრება. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ეპისკოპოსი ნეკრესის კათედრისა. ეს ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: «ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსაჲ, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი“ [2].

მაშ, როგორიღაა საქმის ვითარება?

სინამდვილის აღსადგენად უნდა გამოვიდეთ იქედან, რომ ვრცელი წამების წიგნი, რომელსაც მოკლესთან მიმართებით, თანახმად აკად. ივ. ჯავახიშვილის მართებული დაკვირვებისა, მეტი სიძველე ატყვია, არის, როგორც მის სათაურშია აღნიშნული, არსენი კათალიკოზის ნაწარმოები (მე-IX-ისა თუ X ს.-ის მოღვაწისა). ენობრივი ნიშნების ჩამოთვლას აქ აღარ გამოვუდგებით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ რედაქციის არსენისეულად და არა მეტაფრასულად მიჩნევას სხვა მხარეებიც უწყობენ ხელს.

1. ვრცელი წამების წიგნის ავტორი ერთგან თავ-მოწონებით აცხადებს: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი“ და სხ. (გვ. 189,1-2). როგორც ვნახეთ, პროფ. კ. კეკელიძე ამ სიტყვებს არსენ კათალიკოზს კი არა, არამედ მისი ნაწარმოების გადამკაზმელს, უცნობ ნეკრესელ ეპისკოპოსს მიაწერს. მაგრამ ეს სიტყვები ნეკრესელს კი არა, ეტყობა, მცხეთის კათალიკოზს ეკუთვნის. უთუოდ აგიოგრაფ კათალიკოზს ეკუთვნის სიტყვები, რომელთაც შემდეგი სახით ვხვდებით ვრცელ წიგნში:

> „და ვითარ მოიწივნეს მახლობელად ჩ უ ე ნ ს ა ა მ ა ს ს ა მ ე უ ფ ო ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა მ ც ხ ე თ ი ს ა ს ა, ჰხადოდა იგი დედასა თჳსსა რაქელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკლესიაჲ სამოციქულოჲ“ [3].

ხოლო ამავე სიტყვების ისეთი სახით წარმოდგენა, როგორც ეს მოკლე წამების წიგნშია—

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართ. ლიტ-რის ისტორია. ძველი მწერლობა, თბილისი, 1941 წ., გვ 495.

[2] ქართ. ლიტ-რის ისტორია, ტ. I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე—ძველი ქართ. ლიტ-რა (V—XVIII სს.), თბილისი, 1954 წ., გვ. 83.

[3] იხ. წინამდებ. გამოც., გვ. 191, 5—9.

„და ვითარ მოიწივნეს ს ა მ ე უ ფ ო ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა მ ც ხ ე თ ა ს ა, ვედრებით ხადოდა იგი წმიდასა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა,“[1] უეჭველად მოწმობს იმას, რომ აქ ავტორის სახე გაუპიროვნებულია, რაც იმ შემთხვევაში ხდება ხოლმე, როცა სვინაქსარულ, შემოკლებულ საკითხავად მუშავდება რომელიმე აგიოგრაფიული ნაწარმოები.

ანალოგიური შემთხვევა არა ერთგზის გვქონდა, როგორც წინათ ვნახეთ, მაგ., იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნის განხილვისას. იქაც ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ყველგან, სადაც ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხის დანართად მოთავსებული ცხოვრების წიგნში (რომელიც X ს.-ს მოღვაწის არსენ კათალიკოზისა ჩანს) ასეთი მკვეთრი გამოთქმები იყო, მსგავსადვე გადაკეთებული აღმოჩნდა ე. წ. არქეტიპში, რაც უეჭველს ხდის იმას, რომ «არქეტიპების» სახით ჩვენ სვინაქსარულ ცხოვრება-წამების წიგნებთან გვაქვს საქმე.

ასეთი შეხვედრა X ს.-ის არსენ კათალიკოზის ნაწარმოებთან აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ამ წიგნისა, რომლის სათაურში ავტორად დასახელებულია არსენ დიდი (რომელიც პროფ. კ. კეკელიძეს ამ, თითქოს მეტაფრასული წიგნის წყაროს ავტორად, IX ს-ის არსენ დიდ კათალიკოზად მიაჩნია), სრულიად შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ წიგნის ავტორი თუ IX ს-ის არსენი დიდი არა, X ს.-ის არსენი მაინც გამოდის, რომელსაც ერთ შემთხვევაში მოუცია ცხოვრების წიგნი იოანე ზედაზნელისა და მისი უმთავრესი მოწაფეებისა, ხოლო მეორე შემთხვევაში—აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის წიგნი.

2. შეხვედრა ამ ძეგლებს შორის (ზედაზნელის არსენისეული ცხოვრების წიგნიდან მომდინარე ცხოვრების მოკლე წიგნსა და აბიბოს ნეკრესელის ვრცელი მარტვილობის წიგნს შორის) აშკარად გვაქვს იქაც, სადაც ცნობაა იმის შესახებ, თუ სად, რა ადგილას ააშენეს ასურელმა მამებმა ჩვენში მონასტრები.

ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს მ ა რ ტ ჳ ლ ო ბ ა

„ერთმან ვინმე მათგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდელად დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და მრავალნი კურნებანი, განთქმულნი გარემოს ყოველსა მას სოფელსა: და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგეს კუხეთს მონასტერნი, და ერთმან უდაბნოჲ გარესჯისაჲ და მრავალნი საკჳრველებანი ქმნნა. ხოლო ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და

ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი ს «ა რ ქ ე ტ ი პ ი»

„ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკჳრველებანი ვიდრე დღენდელად დღედმდე; და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა აღაშენნეს კახეთს მონასტერნი. ხოლო დავით აღაშენა უდაბნოჲ იგი გარესჯისაჲ და დაყუნა მრავალნი ჟამნი ვეშაპსა თანა... ხოლო ერთმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ვერარაჲ შევალს

ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი ს მ ე ტ ა ფ რ ა ს ი

„...რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესიაჲ ალავერდისაჲ აღაშენა წოდებასა ზედა სახელ-განთქმულისა მოწამისა გიორგისსა, რომელმან მრავალნი სასწაულნი აღასრულნა, ვითარ და მძლეუარმანცა მისმან. ხოლო სხუამან ქუაბი იულთისაჲ სამკჳდრებელად ღმრთისა მოღუაწეთა და მოწესეთათჳს შეჰმზადა. და ერთმან მათგანმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი

[1] იხ. წინამდ. გამოც., 191, 6—8.

აბიბოს ნეკრესელის მარტჳლობა	ზედაზნელის «არქეტიპი»	ზედაზნელის მეტაფრასი
დადვა სასწაული ესე, რათა არარაჲ დედალთაგანი შევიდეს მას შინა... ვერ იკადრებდეს დაბუდებად მას შინა... ხოლო სხუათა მათ ყოველთა ვერ ძალ-მიც მოჴსენებად, არამედ მცირედითა ამით სიტყჳთა დიდი იგი ვცნათ და გემოჲ ვიხილოთ წმიდათაგან წყაროთა..." [გვ. 196, 1-24]	და ვერცა რაჲ მფრინველი იბუდებს. ხოლო ყოველთაჲ ვერ ძალ-გჳც მოჴსენებაჲ." [გვ. 66-67, 37-16]	არარაჲ შევალს და არცა მფრინველი იკადრებს დაბუდებასა. და სხუათა კუალად მონასტერნი აღაშენნეს კახეთს შინა..." [გვ. 67, 4-16]

3. ასეთსავე დამოკიდებულებას ვხვდებით სხვაგანაც, ჯერ შიო მღვიმელის შესახებ:

„ხოლო ნეტარმან შიო მღჳმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მოიღო თავსა შინა თჳსსა და დაამკჳდრა, და ისწრაფდა მისლვასა მის წინაშე..." [გვ. 196, 26-29]	„ხოლო ნეტარმან ამან მამამან ჩუენმან შიო მღჳმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მრავალნი სულნი შეწირნა ქრისტესა, რამეთუ ფრიად შეკრიბნა მონაზონნი..." [გვ. 141, 7-13]	„ხოლო მადლითა ამის წმიდისა მამისაჲთა აღორძნდა უდაბნოჲ იგი და აღსავსე იქმნა მონაზონთა მიერ..." [გვ. 141, 8-10]

4. შემდგომ კი ყველაფრის მოუჴსენებლობის შესახებ:

„ხოლო სხუათა მათ ყოველთა ვერ ძალ-მიც მოჴსენებად, არამედ მცირედითა ამით სიტყჳთა დიდი იგი ვცნათ და გემოჲ ვიხილოთ წმიდათაგან წყაროთა და ადიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა." [გვ. 196, 21-25]	„ესე მხოლოდ მრავალთა დიდთა საქმეთა დავწერეთ მიმყოვრებისათჳს ჟამისა. ხოლო გემოჲს ხილვად ღმერთ-შემოსილის ამის კაცისათჳს კმა არს, ვითარცა მდინარისა დიდისაჲ ტაკუკითა ერთითა იხილვების, თუ რაჲ გემოჲ აქუს..." [გვ. 61, 19-26]	„...რომელთა თითოეულად მოჴსენებაჲ შეუძლებელ არს მიმყოვრებისათჳს ჟამისა. ხოლო ესე მცირედნი საკჳრველებათა მისთაგან წარმოვთქუენით მაუწყებელად ვითარებისა ღმერთ-შემოსილისა ამის მამისაჲსა". [გვ. 61, 25-30]

ბუნებრივია, ასეთ შეხვედრათა გამო დავასკვნათ, რომ აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ვრცელი წიგნის სათაურში გამომთქმელად მოხსენებული არსენი იგივე იყო, რაც იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა ცხოვრების წიგნში ავტორად აღნიშნული არსენი. მგონია, არაფერი არ უნდა გვაბრკოლებდეს, რომ მეათე საუკუნის არსენ კათალიკოზი იქნეს მიჩნეული აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ვრცელი წიგნის გამომთქმელად, რომელსაც გამოუყენებია ადრე არსებული მარტვილობის წიგნი VI—VII სს-ისა, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილივარაუდობდა.

წამების ვრცელ წიგნს ორი ნუსხის მიხედვით ვაქვეყნებთ: **A—130 (D)** და **H—2121 (F)**, ხოლო მომცროს—ერთით: **A—832 (B)**.

ტექსტები

Ⴀ

ცხორებაჲ[1] წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ[2], რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა[3] და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა[4] მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა

განაახლა[5] და განავრცო წმიდამან (მამამან) ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან *

Ⴁ

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა[1] და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ

ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებელად რომელნი ისმენდენ

გუაკურთხენ, მამაო!

მიზეზნი არიან აღმძრველ[6] სიტყჳსა და სიტყუა არს მიმთხრობელ მიზეზთა, რომლისათჳს პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიართჳან[7] მიმღებელსა, და მიმღებელმან მისცის განმკითხველსა და განმკითხველმან — დამმარხველსა. და ესრეთ გამოსახული იგი მოიქცის და დაებეჭდის ნესტუსა ენისა თჳსისასა და განგებულ(ად) ოხრინ, რაჲთა[8] კუალად სასმენელთა სხუათა მისცემდეს თჳთ თანა-ზიარებითა სმენისაჲთა[9], რომელ არს აწინდელი ესე ჩუენი მოქცევაჲ[10].

რამეთუ ჯერ-არს გამოცხადება სანატრელთაგან უწყებასა, —ჴელით-მოჴსენებულთაგან წერილთასა, —სიტყუად დიდთა მათთჳს, რომელნი განფენილ ქადაგებად ჯერ-არიან ყოველსა სოფელსა მსახურთაგან სიტყჳსათა გამოცხადებითა მაღლისაჲთა[11], რომელნი განშუენდეს გამოცხადებითა[12] ჭეშმარიტები-

---

* ვრცელ რედაქციებს წინ უძღვის: «სახელები წმიდათა მოწაფეთა იოვანე ზედაძნელისათა (ზედაძნელი A): დავით გარეჯელი (გარესჯელი C), სტეფანე ქისიკელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი (ენონ იყალთელი A), ანტონი (ანტონე A) მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათა სტეფანწმიდელი, ელია დიაკონი, შიო მღჳმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი (ბართელი A), აბიბო ნეკრესელი (abs. A). მრავალნი სხუანიცა დაემოწაფნეს წმიდასა მას (abs. C) მამასა იოვანეს (abs. A), კაცნი წმიდანი და სულიერნი მამანი დაყოვ-

Ⴀ 1 ცხორება A. 2 ზედაძნელისა A. 3 ღმრთისათა A. 4 წმიდისათა A. 5 განახლდა A. 6 აღმრეველ A. 7 მიართონ A. 8 რათა A. 9 სმენისათა A. 10 მოქცევაA. 11 მაღლისათა A. 12 გამოცხადებულად A.

Ⴁ 1 ზედძადნ͡ლისაჲ B.

Ⴂ

თუესა მაისსა :ზ:

ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა

განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი*

გუაკურთხენ, მამაო!

სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღმრთისათა წერილისაებრ, და არა შეეხოს მათ რაჲთურთით რომელივე შემაწუხებელთაგანი, ვითარ განწმედილთა ბიწთაგანი, რამეთუ ესენი ყოველთა ამათ ნივთიერთა და ზრქელთა ზესთ⟨ა⟩ აღსრულნი ფრთითა სათნოებათაჲთა და ბრწყინვალებასა საღმრთოსა მიმთხუეულნი განაბრწყინვებენ მზის ქუეშესა ყოველსა. ხოლო ჴსენებისა მათისა მიერ[1] ცისკროვან[2] იქმნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანაჲ, ვინაჲთგან მსგავსად მნათობთა დიდთა განმტევებელნი ბრწყინვალეთა შარავანდედთანი ელვარე ჰყოფენ ყოველთა ჴსენებისა მათისა მედღესასწაულეთა და საღმრთოსა მადლსა მიჰფენენ სულსა ზედა მორწმუნეთასა, რომელნი სარწმუნოებით და სურვილით სამარადისოდ აღწერილთა წიგნსა შინა ცხოველთასა ქუენათა ამათგან და უპატიოსნესთა ჩუენ მიერ ძლუენთა, ესე იგი არს სიტყუათა[3] ქებისათა, პატივ-სცემდენ საღმრთოჲსა დიდებისა ზიარ-ქმნულთა.

ვინაჲ გჳღირს ჩუენ, ჵ მორწმუნენო და ჴსენებისა წმიდათაჲსა მოყუარენო, ვითარ თანამდებსა რომელსამე, თანა-წარუვალსა[4], მიცემაჲ წმიდათათჳს ქებისა და შესხმისა მიერ დღესასწაულისა მათისა სრულ-მყოფელთა, რათა მათ მიერ ნაცვალის გებაჲ[5] კეთილთა ნიჭთაჲ მოვიღოთ, რამეთუ ამათგანნი რომელნიმე სისხლითა თჳსითა[6] მომგებელ იქმნნეს გჳრგჳნთა ზეციერთა, ხოლო სხუანი მღდელთ-მოძღურებისა საცხებელითა ცხებულნი და წმიდად დამმარხველნი

ნებითა (დაჰყუნეთ **A**) ჟამისა(ჲ)თა. და შემდგომად ოთხას ოცისა (ოთხისა C) წლისა გამოიკითხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოზმან. რომელიმე წიგნთაგან აღმოვიკითხეთ და რომელიმე მამათაგან (მათგან **A**) სმენილ იყო საქმეთაგან მათთა, და აღვწერეთ ცხორება⟨ჲ⟩ და მოქალაქობა⟨ჲ⟩ წმიდათა მათ მამათა(ჲ) საცნობელად (საცნაურ მყოფელად C) ჩუენ მორწმუნეთა და სადიდებელად სამებისა წმიდისა აწ და მარადის და (abs. C.) უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

Ⴂ [1] მიერ]—C. [2] ცისკროვნად C. [3] სიტყვათა D. [4] თანა-წარუალსა DC. [5] ნაცვლისგებაჲ C. [6] თჳსით D.

Ⴀ Ⴁ

სა⟨ჲ⟩თა. არა თუ ადვილად საურავსა რასმე ვეძიებთ, არამედ სიღრმეთაგან ზღჳსათა პატიოსანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელთა, გუნებავს ცხადად გამოჩინებაჲ[1], რომელნი გამზადებულ არიან განყოფად[2] სიმდიდრესა, უხრწნელსა საფასესა საღმრთოთა ნიჭთასა, ნათესავისა მიმართ ჩუენისა სიტყჳთა მადლისაჲთა[3].

წიგნი ვედრებისა შენისაჲ[4] აღმოვიკითხე-ძმაო მიქაელ, და თხოვისა შენისა წადიერებაჲ[5] გულისჴმა-ვყავ[6] და ფრიად მთნდა სწავლის მოყუარებაჲ[6a] შენი, რამეთუ გენება, რაჲთამცა[7] დიდისა იოვანე ზედაძნელისა ცხორებაჲ[8] აღვწერე და მიუძღუანე თქუენსა მას უდაბნოსა, პირველად, რაჲთა[9] არა სიღრმესა შინა დაფარულ იყვნენ[10] სათნოებანი[11] წმიდისა მის მამისა და მოძღურისანი, და მერმე, მათ გამო, რაჲთა[9] სარგებელი ვპოოთ. და ქარტაჲ[12] იგი წულილი, რომელი[13] წარმოგეძღუანა ჩუენდა, რომელთაგანი საქმეთა მამისა ჩუენისა ზედაძნელისანი ⟨წარვიკითხე⟩ და ზოგი რაჲმე[13a] გამოვიკითხეთ მისთჳს და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, მათ შინა ადგილთათჳს, ვითარცა ვინ მარცულეული[14] ოქროჲ[15] წარსცის ვისმე[16] ჴელოვანსა, რაჲთა[9] შექმნეს[16a] იგინი ჭურჭლად შუენიერად ერთად შეკრებულთა.

და ამით ესევითარითა წადიერებითა არა თუ რას მიიღებ ჩუენგან, არამედ მომცემ, ვითარცა უფალი იგი დიდებისაჲ[17] მისრული

Ⴀ [1] გამოჩინება A. [2] განმყოფად A. [3] მადლისათა A. [4] შენისა A. [5] წადიერება A. [6] ყავ A. [6a] მოყუარობა A. [7] რათამცა A. [8] ცხორება A. [9] რათა A. [10] იყუნეს A. [11] სათნოებანი]+და A. [12] ქარტა A. [13] რომელ A. [13a] რამე A. [14] მარცულეულნი A. [15] ოქრო A. [16] ვინმე A. [16a] შექმნენ A. [17] დიდებისა A.

Ⴂ

მისნი ყოველთავე მსოფლიოთა ბიწთაგან უბიწოდ და სიწმიდით წარდგომილ არიან წინაშე ყოველთა ღმრთისა მსხუერპლსა ქებისასა შემწირველნი უნივთოჲთა[1] პირებითა[2], ხოლო სხუანი ყოველთავე ამათ ჴორციელთა შუებათა და[3] გემოთა შეურაცხის-მყოფელნი მარხვისა მიერ[4] სამარადისოჲსა ლოცვისა განმკაფელნი სხეულისანი და ყოველთა იწროებათა მიერ დამაჭნობელნი და მომაუძლურებელნი მძლავრებისა მისისანი ნაცვალად[5] სასყიდელთა შრომათა მათთასა მომღებელ არიან მარჯუენისაგან საუფლოჲსა.

რამეთუ ნაცვალად[7] ტკივილთა და ღუაწლთა, რომელნი მოითმინნეს საწუთოსა ამას შინა ცხოვრებასა[8], ბრწყინვალენი ნიჭნი და სიმდიდრენი უხრწნელთა შუებათანი მოენიჭნეს მათ, ზეცისა სავანეთა და ფუფუნებათა შინა მკჳდრ ქმნულთა[9], რომელთა ერთი არს სანატრელიცა ესე მამაჲ ჩუენი და ბრწყინვალე მნათობი იოანე, რომელიცა ვითარ ბრწყინვალე რაჲმე ვარსკულავი აღმოუბრწყინდა[10] ბნელსა შინა უმეცრებისასა შეცთომილთა სულთა და დაუღამებელისა ნათლისა მიმართ წინამძღუარ ექმნა მათ, რამეთუ კუერთხითა სარწმუნოებისაჲთა განიოტა ბოროტი მგელი და ტაცებათაგან მისთა უვნებელად დაიცვა სამწყსოჲ თჳსი ძალითა სამებისაჲთა განძლიერებულმან.

Ⴂ [1] უნივთო C. [2] პირებითა]—C. [3] სხუანი ყოველთავე... შუებათა და] რომელნიმე სოფლისა C. [4] მიერ]+და C. [5] ნაცვლად C] ნაცვალთა D. [7] ნაცულად D] ნაცლვად C. [8] ცხოვრებასა შინა C. [9] ქმნილთა D. [10] აღმობრწყინდა C.

Ⴀ Ⴁ Ⴂ

ჯურღმულსა[1] მას ზედა და წყალსა ითხოვ-და დედაკაცისა მისგან სამარიტელისა*, არა თუ მოიღებდა, არამედ წყაროსა ცხორებისასა მიანიჭებდა[2]. ესრეთ მოვიღებ[3] და[4] არა თუ მიგცემ. ხოლო მე, ვითარ გიხილე კეთილი იგი სტუმარი, რომელი მოვიდა ჩემდა, სიხარულით მივრბიოდე და აღვიყვანე იგი ქორსა ჩემსა და მინდა განძღებად შიმშილი მისი, რომელსა-იგი ეძიებდა.

და ვითარ აღვიხილე საუნჯე ჩემი, ვპოვე იგი ნაკლულევანად მცირედ მეცნიერებისა ჩემისაგან და, რამეთუ ენა ბრკჳნვალ ვარ და ვერ-მეტყუელ, ვინაჲთ[5] ვიწყე წმიდისა მისთჳს თხრობად სათნოებათა მისთა! არამედ განვიზრახე, რაჲთა[6] ვემსგავსო ფუტკარსა შრომის მოყუარესა და სამოთხეთა შუენიერთა წიგნთა მიერ მოვიწილნე ყუავილნი, რაჲთა[6] განუმზადო ჭამადი ტკბილი წადიერთა სადიდებელად ჩუენ⟨და⟩. არამედ ჯერ-არს, რაჲთა[6] ლოცვაჲ[7] წინათ წარუძღუანოთ, ჴელი შემოყავთ ჩემ თანა ვედრებითა!

რამეთუ ყოველთა კეთილთა განმასურნელებელ ლოცვა არს. ამან მუცელსა შინა დედისასა განაპოხა სამოელ და წინასწარმეტყუელად გამოაჩინა. იხილეთ-ღა[8] ნაყოფი იგი ლოცვისაჲ[9]—[წინაჲსწ]არმეტყუელ იქმნა ჭეშმარიტებისა სიყრმითგან, რამეთუ ითხოვა იგი ანა ცრემლითა და ლოცვითა**.

კუალად სჯულის მდებელსა მოსეს მორაჲ-აქუნდეს[10] ფიცარნი იგი სჯულისანი, ორმეოც დღე ლოცვა და მარხვა საფუძველ ყო. და მოსეს ფიცარნი, დაწერილნი თითითა ღმრთისაჲთა[11], გარდამოაქუნდეს მთისა მისგან ერთ გზის და მეორე⟨დ⟩—სრულებად, რამეთუ პირველნი[12] იგი შეიმუსრნეს, ვითარცა ურიანი[13], ხოლო მეორენი პატივ-იცნეს მოცვალებითა***. მისთჳს ჯერ-არს, რაჲთა[6] ყოველმან, რომელმან ჴელ-ყოს საღმრთოსა შსა-

Ⴀ [1] ჯუარცმულსა A. [2] მინიჭება A. [3] მოიღებ A. [4] და]—A. [5] ვინათ A. [6] რათა A. [7] ლოცვა A. [8] იხილეთ-ღაა A. [9] ლოცვისა A. [10] მო-რა-აქუნდეს A. [11] ღმრთისათა A. [12] პირველი A. [13] საურიანნი A.

* შდრ. იოანე 4,4-15. ** I მეფ. 1,1-20; 3,20. *** გამოსლვ. 32,15-19; 34,1; 34,28-29.

Ⴀ Ⴁ Ⴂ

ხურებასა, ითხოვოს[1] მისგან, რომელი-იგი უხუად მიმნიჭებელ არს ღმერთი, და მის-ცემს საზრდელსა, ვითარცა იტყჳს იაკობ მოციქული: უკუეთუ[2] ვინმე ნაკლულევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ, და მოსცეს მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან*.

ხოლო დაწყებასა მწერალთასა ჯერ-არს მოჴსენებაჲ[3] დიდისა მოსესი, დამწყებელისა სახლის წერითა, ჭეშმარიტისა მომასწავებელითა, იგი, რომელ ნოეს მსგავსად კიდობნისა მის წყალსა ზედა იქცეოდა შეჭურვილი დიდებისაგან შიშითა განგდებულ, განრინებულ იქმნა მოღუაწებითა ღმერთთაჲთა[4], ფარაოჲს ასულისაგან განიპოხა სახლსავე მას შინა მისვე მეფისასა, მოკლა მეგჳპტელი იგი, სიძე ფარაოჲსი[5], არა მშორებელი[6] და უჩინოჲ[7], არამედ მახლობელი ფარაოჲსი[5] (ვითარცა იყო სახე ყოველთავე ჭეშმარიტისა, პირველი იგი—ახლისა მის სჯულისა სიძე იგი ფარაოჲსი[8], ფარაო უჴორცოჲსა[9] მის ფარაოჲსი[8], ვითარცა ეგჳპტე ჯოჯოხეთისა, ერთიერთისა მახლობელნი სახითა). მეოტ იქმნა რისხვისაგან მეფისა, განვიდა უდაბნოდ მთასა სინასა. გამოეცხადა ანგელოზი ღმრთისაჲ[10] ცეცხლითა მაყუალოვანსა მას შინა, საიდუმლოჲ[11] ქალწულისაჲ![12] და ზარგანჴდილი მოვიდა ხილვად. მის მიერ უწოდა და ტყავი იგი მკუდრისაჲ[13] განსძარც⟨უ⟩ა[14] ფერჴთაგან ცხოველი და წარმოიდგინა გამოცხადებად, რომელი მისვე მაღლისაგან იწამა ყოფად იგი ღმერთი ფარაოჲსი[8], მთავრისა ბნელისა და განდგომილისა უზეშთაესისაგან კეთილისა, იგი, რომელ მაღალთა უმწუერვალესთა [მ]თათა უმაღლეს იქმნა (სახე იგი ჭეშმარიტისა მის სჯულისა მდებელისაჲ![15]), მას ჴსნად ისრაელისა[16] წარავლინებდა სასწაულითა და ნიშებითა.

Ⴀ [1] ითხოვს A. [2] უკეთუ A. [3] მოჴსენება A. [4] ღმერთთათა A. [5] ფარაოსი A. [6] მშორომელი A. [7] უჩინო A. [8] ფარაოსი A. [9] უჴორცოსი A. [10] ღმრთისა A [11] საიდუმლო A. [12] ქალწულისა A. [13] მკუდრისა A. [14] გარსძურცა A. [15] მდებელსა A. [16] ისრაელსა A.

* შდრ. იაკ. 1,5.

Ⴀ ⴁ ⴂ

ხოლო მომავლინებელი იგი თავსა თჳსსა გამოუცხადებდა, ვინ იგი იყო, და თქუა: «მე ვარ ღმერთი[1] აბრაამისი, ღმერთი ისაკისი, ღმერთი იაკობისი»* და მაუწყებელისა მამათა შენთჲსა[2]. სახელსა მისსა მთით აუწყებდა სამთა მათ ნახაპეტთა, დიდთა მათ და მართალთა, სახელ-იდვა ღმრთად. მერმე კუალად იკითხავს-ვე ღმერთსა მიმღებელი იგი მოსე: უკუეთუ მრქუან, ვინ მოგავლინა, რაჲ ვთქუა? ერთი იგი უფსკრულით სიღრმე ასწავა თქუმად და ჰრქუა: ესრეთ არქუ, „რომელი-იგი არს, მან მომავლინა**". არს იგი არს, რომ ლისა დასაბამ არა არს. და მარწმუნებელად მისცნა ათნი იგი დიდ-დიდნი სასწაულნი, რომლითა[3] არს[4] იგი (ღ)მერთი მამათაჲ[5], (რაჲთა ჰ)რწმენეს ჭეშმარიტისა ღმრთის მეცნიერებისა საზღვარი, ნათელი იგი დიდი, შეიპყრნეს იგინი ბნელმან და სიღრმესა დაინთქნენ. და რომელი ნათელი იგი არს[6], ერთი უხილავი და უცვალებელი ღმერთი არს[6], არა დასაბამიერი, არცა გასრულებადი, განუზომელი, მარადის კურთხეული, ნათელი სამების[აჲ], რამეთუ ესე უსაღმრთეებისა შეჰკრებს სამგუამოვნებასა: მამისა, ძისა და სულისა წმიდისა თანა. აღირაცხების ესრეთ შეკრებულად შეურწყმელი და განუყოფელი. და არა ჯერ-არს დაკლებად ძე მამისაგან და არცა სული ძისაგან. და უკუეთუმცა[7] არა ესრეთ იყო ღმრთეებაჲ[8], ვიდრემე-მცა არა დიდებულ იყო ფრიად, რამეთუ არს იგი უხილავი, უჟამო, დაუტევნელ, უცვალებელ,— უცვალებელ თჳნიერ ვითარებისა[9], თჳნიერ რაოდენობისა, ხატებისა,—შეუპყრობელ და შეუნაწევრებელ, თჳთ იძრვის[10] მარადის ძრვითა, თავით თჳსით ძლიერ. დალათუ მიიწევის პირველისა მიზეზისა ყოველი, რომელი მისი არს, ვითარცა ძე, მხოლო(ჲ) ცხოველი და განმაცხოველებელი, მომცემელი ცხორებისაჲ[11],

---

Ⴀ [1] ღმერთა A. [2] შენთასა A. [3] რათა A [4] არსი A. [5] მამათა A, [6] არს]—A. [7] უკეთუმცა A. [8] ღმრთაება A. [9] ვითარობისა A. [10] იძრვისა A. [11] ცხორებისა A.

* გამოსლვ. 3,6. ** შდრ. გამოსლვ 3,14.

Ⴀ Ⴁ Ⴂ

ვითარცა იტყჳს: მე ცხოველ ვარ და თქუენცა ცხოველ იყვენით, და რომელსა (ჰ)რწმენეს ჩემი, იგიცა ცხოვნდეს ჩემ მიერ. ნათელი იგი მარადის კურთხეული და ბრწყინვალე, განუ[რჩ]ეველი უზეშთაესისაგან ბუნებისა არსებისა, საუკუნებრ ნათელი სმენით-რე[1]. და სული წმიდაჲ მთავრობისა უფალი, წარმავლინებელი, განმკუთნველი, ტაძრად თჳსა მოქმედი, ვითარ (ჰ)ნებავნ და ვის თანაცა უნებნ.

რაჲეთუ სული მომცემელი და შემოქმედი და არა შექმნული, რომლისაგან დადგა შექმნილიცა იგი ნათელი მეორეთა მათ ბრწყინვალებათაჲ[2], ანგელოზთასა ვიტყჳ, და ნათელი მესამე (ჴა)ცი ესე, დაწყებულნი პირველისა მისგან ნათლისაჲ[3], დასაბამისაჲ[4] იგი, რომლისაგან სამნი და სამისაგან ერთი, გარნა ესე ხოლო. რამეთუ მამა არა ძე და ძე არა მამა და სული წმიდა არცა მამა, არცა ძე. და ესე არა განყოფს ბუნებასა, არამედ განიყოფვინ ბუნებასა შინა და მოასწავებს ერთობასა. ხოლო რომელთა სამებისა[5] ერთსწორება[6] ვერ[6a] გულისჴმა-ყვეს, ბნელსა შინა არიან და ეჩქუებიან. ჰ(რ)ცხუენოდენ არიოზს, რომელმან დაბადებულად იკადრა თქუმად სიტყუაჲ[7] იგი ღმრთისაჲ[8], რომელი-იგი მისი იყო და არა სხუაჲ. და ესე შეემთხჳა, რამეთუ ვერ ცნა საზღვარი გუამისა და ბუნებისა მისისაჲ[9], ხედვიდა მას კაცად და ბუნებაჲ[10] ღმრთეებისაჲ[11], დაუსაბამოჲ[12] ვერა ცნა.

და კუალად არიანნიცა[13], რომელნი იტყჳან ქრისტესა, ვითარმედ სიტყუაჲ იყო ღმრთისაჲ[14], და სული კუალად დაბადებულთა შეაერთეს[15] და იტყჳან, ვითარცა ადამიო სიტყუაჲ[7] იგი დაბადა ღმერთმან, რამეთუ ( )*. ყოველთა კაცთა უუგუნურესნო, უკუეთუ[16] სიტყუაჲ[7] მისი იყო, ვითარმემცა

Ⴀ [1] სმენელ-რე A. [2] ბრწყინვალებათა A. [3] ნათლისა A. [4] დასაბამისა A. [5] სამებასა A. ერთსწორობა A. [6a] ვერ]ერთ A. [7] სიტყუა A. [8] ღმრთისა A. [9] მისისა A. [10] ბუნება A. [11] ღმრთაებისა A. [12] დაუსაბამო A. [13] აგარიანნიცა A. [14] ღმრთისა A. [15] შეაერთენ A. [16] უკეთუ A.

* აქ რაღაც უნდა აკლდეს, თუმცა ხელნაწერში ეს დაკლებულობა არაა რითმე აღნიშნული.

Ⴚ | Ⴄ | Ⴂ

იყო ზოგი ღმრთეებისა[1] მისისაჲ[2] დაუსაბამოდ და ზოგი დაბადებული? რომელი-იგი ხურომან ქმნის, სუეტი გინა ტაძარი, არა ითქ⟨უ⟩მის სიტყუაჲ[3] ხუროჲსაჲ[4] მის, არამედ სიტყჳთა შექმნილი[4]. და აწ ვითარმცა იყო სიტყუაჲ[3] ღმრთისაჲ[5] ქრისტე და კუალად დაბადებული[6] სიტყუაჲ იგი?! ვიდრე მათი დასჯის მათ! უკუეთუ[7] სიტყუაჲ[3] იგი არა იყო მის თანა, დაუსაბამოჲ[8] უკანათ დაებადა!? პირველ უტყუ ვიდრემე იყოა ღმერთი შენისა სიტყჳსაებრ! და კუალად ⟨ჰ⟩ნებავს, რაჲთა[9] მიუგონ მკითხველსა ყოველთა, რომელნი ერთსწორებასა სამებისა წმიდისასა არა შეიწყნარებენ, ღმერთი შემწყნარებელი შესრულისაჲ[10] არს ანუ არა? უკუეთუ[7] აღიაროს, ვითარმედ ღმერთი არა შემწყნარებელი არს შესრულისაჲ, ვიკითხოთ: სიტყუაჲ[3] ღმრთისაჲ[5] შესრული არს ანუ არა? უკუეთუ[7] თქუას, შესრული არს, უვარ-ვყო, რომელი-იგი[11] აღვიარე. არამედ ნუ იყოფვინ, ვითარმცა შე-რაჲმე-ვიდა ღმრთისა თანა, რომელცა არა იყო. უკუეთუმცა[12] შემწყნარებელი იგი ჩანს, რამეთუ ყოველსა შემწყნარებელსა აღემატების და დააკლდების, და ვითარ შესაძლებელ არს ესე ღმრთისათჳს თქ⟨უ⟩მად, ვითარმედ: აღემატების და დააკლდების. დაშთა, რაჲთა[9] იყოს შანთ, რამეთუ ყოველი ორითავე განიყოფვის: შანთითა და შესრულითა. და რომელი არა იყო შესრული, ჩანს, რამეთუ შანთი არს იგი. და რომელი შანთი არს, მდგომარე არიან იგინი[13] თავით თჳსით. ხოლო რომელი ღმრთისა არს, ესე არს დამბადებელი და არა დაბადებული. ვიტყჳ სიტყუასა დაუსაბამოსა, რომლისა მიერ დაბადა ღმერთმან ყოველი დაბადებული. და ვერ შემძლებელ არს ყოფად, რამეთუ ყოველივე განიყოფვის ორ პირად: დაბადებული და დამბადებელი. და რომელი დამბადებელი არს,

Ⴚ [1] ღმრთაებისა A. [2] მისისა A. [3] სიტყუა A. [4] ხუროსა A. [4] შექმნილ A. [5] ღმრთისა A. [6] დაბადებულ A. [7] უკეთუ A. [8] დაუსაბამო A. [9] რათა A. [10] შესრულისა A. [11] რომელ-იგი A. [12] უკეთუმცა A. [13] იგი A.

Ⴀ　　　　Ⴁ　　　　Ⴂ

და არს დაბადებულ, და ჩანს, რამეთუ სიტყუაჲ[1] იგი არა დაბადებული არს და, რაჲთა[2] მოკლედ ვთქუათ, ვითარცა არარაჲ[3] არს დაბადებულთა შორის, რომელმცა დამბადებელ იყო.

ესრეთვე ვიტყჳ სულისა წმიდისათჳსცა. ხოლო მ ა კ ე დ ო ნ იკადრა სულისა წმიდისა დაბადებულთა შორის შერთვა, და მადლით მოვლენა თჳთმფლობელისა მის სულისა წმიდისა. კადნიერი იგი, თავჴედი, რომელსა თავი თჳსი რაჲმე ეგონა ყოფად, რომელ-იგი არა იყო. ამან ენაჲ[4] თჳსი ღმრთის მბრძოლად განაძლიერა შემდგომად საშინელისა მის სმენისა, ვითარმედ: ყოველნი ცოდვანი და გმობანი მიეტევნენ კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ[5] არა მიეტეოს*. და არცა გულისჴმა-ყო წინაჲსწარმეტყუელისა დავითის თქ(უ)მული იგი, ვითარმედ: «სიტყჳთა უფლისაჲთა[6] ცანი დაემტკიცნეს, და სულითა პირისა მისისაჲთა[7] ყოველი ძალი მათი»**. უკუეთუ[8] სული პირისა მისისაჲ[9] არს, წმიდაჲ[10] იგი სული ვითარმცა იყო დაბადებულ! რამეთუ ყოველი, რომელი არს, მისი არს. უკუეთუ[8] დაბადებულ, უსულო ვითარმე იყო მამაჲ[11] ვიდრე დაბადებადმდე მის სულისა! არამედ დამბადებელ(ი) მის(ი) სული იგი ჭეშმარიტებისაჲ[12], რომელი მამისაგან გამოვალს და ძისა თანა თაყუანის-იცემების, იგი სული, რომელი წყალთა ზედა იქცეოდა და ქცევითა მით მათ ზედა გამოსახვიდა და დაბადებდა ყოველთა დაბადებულთა და მადლით წარმოაჩინებდა[13] თითოეულსა, ვითარცა მას უნდა; იგი სული, რომელი[14] ცეცხლისა მსგავსად გარდამოჴდა მოციქულთა ზედა, უზეშთაესითა საკჳრველებითა ენანი განუყვნა[15]. აჰა მადლი გამოუთქ(უ)მელი, ებრაულად იტყჳს მოციქული ერთითა ხოლო ენითა და ყოველთა ენითა ბარბაროზთა ესმინა!***

Ⴀ [1] სიტყუა A. [2] რათა A. [3] არარა A. [4] ენა A. [5] გმობა A. [6] უფლისათა A. [7] მისისათა A. [8] უკეთუ A. [9] მისისაა A. [10] წმიდა A. [11] მამა A. [12] ჭეშმარიტებისა A. [13] წარმოჩინებად A. [14] რომელ A. [15] განუყუნა A.

* მათე 12,31. ** ფსალმ. 32,6. *** საქმე 2,1 = 11.

C

ამის სულისაგან სული სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულისჴმის-ყოფისა(ჲ) მოვედინ ჩუენ ზედა და მოეცინ პოვნად მადლი სიტყჳსაჲ[1] ენასა ჩუენსა, რაჲთა[2] წმიდისა მის იოვანე ზედაძნელისათჳს ვიტყოდი უცთომელად შემკობად, სარგებელისათჳს სპოდიონთა უდაბნოთაჲსა[3], რომელ არიან მოსწრაფებანი. ხოლო თქუენ განმზადენით სასმენელნი[4] თქუენნი და სარწმუნოებით შეიწყნარეთ, ნუ ვითარმცა გესმა სათნოებაჲ[5] ყოვლისა მის კაცისაჲ[6], არამედ მცირე მრავლისაგან დაყოვნებითა ჟამისაჲთა[7].

1. დასაბამი ცხორებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ[8]

1. ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით და წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა[9] მოიწია ქუეყანასა ქართლისასა, მახლობელად დედა-ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას, რომელმან განუკუთნვა[10] თავი თჳსი სიყრმითა თჳსითგან ქრისტესა.

Q

1. ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქისათა. ხოლო წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოიწია ქუეყანასა ამას ქართლისასა, მახლობელად წმიდასა დედა-ქალაქსა მცხეთასა.

C [1] სიტყჳსა A. [2] რათა A. [3] უდაბნოთასა A. [5] სასმენელნი]+და A. [5] სათნოება A. [6] კაცისა A. [7] ჟამისათა A. [8] ზედაძნელისაA. [9] წმიდისათა A. [10] განუკუთნვა] განკუეთა განკუეთა A.

Ⴂ

1. ესე ღირსი ჴსენებისაჲ საკჳრველი და ყოვლად ქებული მამაჲ ჩუენი აღმოეცენა ქუეყანისაგან შუამდინარისა, რომელიცა ესე ქუეყანაჲ მრავალთა მომთხრობელთა მიერ ძუელ სადვე მყოფთა და კუალად შემდგომთა მათთა[1] მრავლისა ქებისა მიმთხუეულ არს იეფობისათჳს ნაყოფთა მისთასა და ჰაერისათჳს[2] კეთილისა და წყალთა ტკბილთა, კეთილად მდიდრად მცენარეთა აღმოდენისათჳს და უფროჲსღა კეთილთა და საჩინოთა მამაკაცთა გამოღებისათჳს, რომელთა მიერ უმეტესად შემკობილი მოქადულ არს ესევითართა სიმდიდრეთა და დიდებათა მოგებისათჳს. ამისთჳს პირველ ჴსენებულისა ქუეყანისაგან მომღებელ არს ნათესაობასა მიწიერისა მამულისასა სანატრელი ესე კაცი. ხოლო უმახლობელესი[3] ადგილი და გამომღებელი დაბაჲ და სახელისა მისისა[4] წოდებაჲ უცნაურ არს ჩუენგან; და არცაღა მშობელთა მისთა ვინაობაჲ და რომელობაჲ სახელისაჲ გჳსწავიეს, თუ ვიეთნი იყვნეს და რომელთაგან შთამომავალნი. გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა *უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა*, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ[5] მოაქუნდა ჴორციელი ნათესაობაჲ მახლობელად ანტიოქიასა[6] მყოფისა რომლისამე დაბისაგან, აქა შინა წილ-ხდომილისა[7] შობისა და აღზრდისასა და სწავლათა მიერ და საღმრთოთა მოძღურებათა სისრულედ ჰასაკისა აღწევნულსა. ხოლო ჩუენ უსაკუთრესი მამული ამისი ზენაჲ იერუსალჱმი[8] უწყით და მეცნიერ ვართ, და მამაჲ ყოველთა დამბადებელი ჯეროვნად გჳსწავიეს, მამაჲ ამის სანატრელისა მამისაჲ, რამეთუ ყოველნივე მის მიერ არარაჲსაგან არსად მოვიყვანენით და ჴელთა მიერ უხრწნელთა აღვივზილენით, რათა უხრწნე-

---

Ⴂ [1] მათთა]+მიერ C. [2] აჰერისათჳს C. [3] უმახლობელესი]+ესე C. [4] მისასა C. [5] შუამდინარისაჲთ C. შუამდინარისად D. [6] ანტიოქიაჲსა C. [7] წილხდომილსა C] წილხლდომლისა D. [8] იჱლმი CD.

Ⴀ	Ⴁ
და ალილო ულელი მძიმე სიჭაბუკითგან თჳსით და დაჯდა თჳსაგან და დაყუდნა, რამეთუ არს სასოებაჲ[1] თმენისაჲ[2]. პირველად თჳსსავე ქუეყანასა ასურეთს იწყო მონაზონებად. და იქცეოდა ყოვლითა[3] სიმდაბლითა[4], მარხვითა და მღჳძარებითა, ცრემლითა და ვედრებითა. შრომითა და მოთმენითა დღითი-დღე წარემატებოდა[5], რაჲთა[6] სრულებასა მას მიემთხჳოს, რომელცა-იგი მიიღოს, რომელსა იტყჳს: «ირეკდით და განგეღოს, ეძიებდით და ჰპოვოთ»*.	ამან წმიდამან და ღმერთშემოსილმან ⟨მამამან⟩ თჳსსავე მას ქუეყანასა იწყო მონაზონებად. და იქცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა და მოღუაწებითა, მარხვითა და მღჳძარებითა, და ცრემლითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, ვითარცა იტყჳს: «ირეკდით და განგეღოს, ითხოვდით და მოგეცეს, ეძიებდით და ჰპოოთ»*.

Ⴀ [1] სასოება A. [2] თმენისა A. [3] ყოველთა A. [4] სიმდაბლეთა A. [5] წარემადებოდა A. რათა A.

* მათე 7,7; ლუკა 11,9.

Ⴂ

ლებისა[1] მეძიებელთა უკუდავი ცხორებაჲ და წარუვალი სუფევაჲ დავიმკვდროთ სავანეთა შინა ზეცისა[2] მამისათა.

ესე უკუე სანატრელი სწავლულ იქმნა წურთილობითა[3] საღმრთოთა წერილთაჲთა და ყოველი სიმდიდრე სულიერთა მოძღურებათა მდიდრად დაიუნჯა გულსა შინა თჳსსა. და ერთბამად ჰასაკისა აღორძინებასა თანა ფრიადი რაჲმე სათნოებათა სიმაღლე იხილვებოდა კაცისა მის თანა აღორძინებულად, რამეთუ ფრთოვან[4] იქმნებოდა სულითა და ყოვლითურთ ქუეყნიერნი ესე და მიწად დამზიდველნი ნივთნი, ვითარცა არარანი შეერაცხნეს[5], ვინაჲ ერთ გზის დამდებელი ჴელისა ერქუანსა ზედა ანეულ მყოფელსა სულთასა მიუქცეველ იყო მართლ უკუნ, რამეთუ მოშიშებდა, ნუ სადა შებრკოლებისა ლოდსა წარკუეთნეს[6] სასუფეველისა და ღმრთისა მიმართნი სლვანი.

ესრეთ სრულ იქმნა რაჲ ყოვლითა წურთილებითა, და ფრიადი სიმდიდრე სწავლულებისა შეუკრიბა თავსა თჳსსა, შეიშურვა შური უფლისაჲ წინაღრჩევითა მონაზონებრივისა სახისაჲთა. და ესე მერმეცა ყრმებრივსა ჰასაკსა შინა მყოფმან, გარნა მჴცროვანმან და ფრიადმან გონებისა სიმახჳლითა, რამეთუ[7] ესწავა მეტყუელისა, ვითარმედ: მხოლო ვარი მე, ვიდრემდის თანა წარვჴდე. ამისთჳსცა მარტოებით[8] ენება მონებაჲ მხოლოჲსა, რათა არა თანა-შეკრული მსოფლიოთა ზრუნვათა თანა-შეუღლვითა ცოლ-ყოფილთა დაიყენებოდის მოსწრაფებით მსახურებაჲ უფლისაჲ, ვინაჲცა „გიხაროდენსა“ მეტყუელი სოფლისა და მსოფლიოთა ყოველთა მიმართ, მორბედ იყო შემდგომად კუალსა უფლისასა არა[9] ქუეყნიერთა ნივთთაგან დამძიმებული, რამეთუ[10] დღითი-დღე გამოიძარცუებოდა შრომათა მიმართ მოღუაწებისათა მარხვისა და მღჳძარებისა[11] შემტკბობელი.

ხოლო სიმდაბლე ესეოდენი[12] იხილვებოდა საღმრთოჲსა ამის მამაკაცისა თანა, ვიდრელა ყოვლითურთ არარად შეერაცხა თავი თჳსი მეტყუელსა: მე მატლ ვარ და არა კაც, და თანად საყუედრელ კაცთა. ხოლო სიმშჳდე რაბამი, რამეთუ ყოვლად ურისხუელ იყო, რომლისა[13] მიმართ მოშურნე მშჳდთათჳს განმზადებულსა ქუეყანასა დამკჳდრებად. ხოლო რისხვაჲ მხოლოდ ბოროტთ დასაბამისა ეშმაკისა მიმართ მოეგო, ვითარ მისა მიმართ მხოლოდ ბრძოლად და წინა-განწყობად ბრძანებულსა[14] და არა მსგავსთა თჳსთა კაცთა მიმართ. ამის თანა წყაროჲ ცრემლთაჲ დაუწყუედელი მარადის გარდამოსდინ თუალთა[15] მისთა და დღე და ღამე დაალტობნ სარეცელსა თჳსსა ცრემლითა და განჰბანნ მას ნაკადულითა თუალთაგან ჩამომდინარითა[16] წინაჲსწარმეტყუელისაებრ მეტყუელისა: და ევედრებინ[17] უფალსა, რათა მძლედ ჴორცთა მძლავრებისა გამოაჩინოს, რომელნი მრავლად მიზიდვენ სულსა მიწიერთა და ზრქელთა ვნებათა მიმართ და ესე ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა, ვითარ მაშინ მარჯუედ ორღანოდ ქონებითა სხეულისაჲთა ვნებათა მიმართ.

Ⴂ [1] უხრწნელების C. [2] ზეციერთა C. [3] წურთილებითა C. [4] ფარულად C. [5] შეეირაცხნეს C. [6] წარაკუეთნეს C. [7] რამეთუ]—D. [8] მარტიობით C. [9] არა]+რ˜თა C. [10] რამეთუ]—C. [11] მღჳძარებისათა D. [12] ესოდენი D, [13] რომლისავე C. [14] ბრძოლასა D. [15] თვალთა D. [16] შთაომდინარითა C. [17] ევედრებიან C.

Ⴀ

ვითარ იგი განათლდა, დიდებასა[1] მას მიიწია პირველ, და მშორებელსა მას ვითარცა მას მახლობელსა ხედვიდა. და გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი. და განმრავლდეს ძალ-ნი იგი, რომელნი იქმნნეს მისგან ღმრთისა მიერ კურნებათა მრავალ-ფერთა სახეთა სენ-თასა განსხმად ეშმაკთასა.

Ⴁ

ამანცა ნეტარმან პოვა მად-ლი წინაშე ღმრთისა და შორიელ-სა ვითარცა მახლობელსა ხედვი-და. და გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი. და განმრავლდეს ძალნი და საკჳრველებანი, რომელ-თა იქმოდა ღმრთისა მიერ მრა-ვალ-ფერთა და თითო სახეთა სენ-თასა.

Ⴀ

მაშინ დაუტევა ადგილი იგი, სადა იქ-ცევინ, და წარვიდა განშორებულსა უდაბ-ნოსა. და პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა მოწაფეთა თჳსთა თანა. და არავინ იცოდა ადგილი იგი მრავალ ჟამ. და იშჳთ[3] სადმე გა-ნავლინის მოწაფეთა მისთაგანი მოღებად სა-ზრდელისა. და ესრეთ ფარულად იყოფვოდა ხოლო, ჰგონებდა ფარვასა თავისა თჳსისასა.

Ⴁ

ხოლო დაუტევა ადგილი იგი, სადა იყოფვოდა, და წარვიდა შორსა უდაბნოსა, რამეთუ ევლ-ტოდა ცუდსა ამას დიდებასა[1], და პოვა[2] ქუაბი უდაბნოსა მას და დაჯდა მას შინა მოწაფეთა მისთა თანა. და არავინ იცოდა ადგილი იგი მრავალ ჟამ. და წარავლინის ოდესმე მოწაფეთაგან(ი) მოღებად საზრდელისა. და ესრეთ ფარულად რაჲ იყოფებოდა,

Ⴀ [1] დაბადებულსა A. [2] იჭჳთ A.
Ⴁ [1] დ῀ბსა B. [2] პოა B.

Ⴂ

ესრეთ სამარადისოჲსა ლოცვისა და ვედრებისა მიერ სირცხჳლეულნი მართლუკუნ აქცივნა მტერნი, რამეთუ შეიწყნარა უფალმან ლოცვაჲ მისი და საძლეველნი მოიხუნა მბრძოლთა ზედა ძლევისა აღმადგინებელმან. და დამცხრობელი ჴორციელთა გულის-თქუმათა და ვნებათა განკაფვითა და შეიწრებითა სხეულისაჲთა აღმაღლდებოდა დღითი-დღე სათნოებათა სიმწუერვალისა მიმართ.

და მადლი სასწაულთა სრულ ქმნისაჲ მოენიჭა მას ღმრთისა მიერ და შორიელთა[1] საქმეთა ვითარცა მახლობელთა ხედვიდა, რამეთუ ესევითართა მადლთა მიერ შეამკო ღმერთმან მონაჲ თჳსი, რომელი ჰყოფს ნებასა მოშიშთა მისთასა. და მსგავსად ვარსკულავისა ბრწყინვალისა აღსრულებითა ძალთა და სასწაულთაჲთა ელვარე ყო მბრწყინავთ სულითა და ცისკროვანი გონებითა, რამეთუ თითო სახეთაგან სენთა შეპყრობილნი კურნებასა მრჩობლ კერძოსა მიემთხუეოდეს ამის მიერ, ვინაჲთგან ბრმათა ნათელი მიემადლებოდა და სნეულთა სიმრთელე, და ეშმაკისა მიერ ტანჯულთა თავისუფალ ქმნაჲ მძლავრებისაგან მისისა.

ესევითარნი რაჲ საკჳრველებანი აღესრულებოდეს მის მიერ, მოვიდეს მისა ყოვლით კერძო ხილვად და კურთხევისა მიღებად მისგან, რამეთუ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ასურეთისასა სასწაულთათჳს და ნიშთა, რომელნი მონიჭებულ იყვნეს მისა ღმრთისა მიერ.

ამას შინა რაჲ წარჴდეს ჟამნი რაოდენნიმე, სთნდა წმიდასა და ღირსსა მამასა იოანეს წარსლვაჲ მიერ ადგილით, რამეთუ ევლტოდა იგი კაცთამიერსა დიდებასა, რომელი ფრიად მავნებელ ექმნების მრავალთა და შეაცთუნებს მათ გზისაგან საღმრთოჲსა და მთხრებლად[2] წარწყმედისა შთაიყვანებს, ვითარ-იგი ძუელ ოდესმე ზუავიცა იგი და ამპარტავანი სილაღით მოქადული დადგმასა საყდართასა ღრუბელთა ზედა ამპარტავანებისა ძლით ბნელთა შინა ულრმესთა ჯოჯოხეთისათა შთავრდომილ იქმნა. ამას ბოროტსა ვნებასა, ვითარცა მაკუდინებელსა რომელსამე გესლსა განმჴდელი, განიოტებდა.

და აღმხუმელი[3] ფრთეთა სულიერთა წარივლტოდა უდაბნოდ განსუენებისად რომელთამე თანა მოწაფეთა მისთა, რათა მხოლოდ საღმრთოჲთათჳს მოცალე ქმნულსა შემოკრებულად აქუნდეს გონება წურთად და ქმნად მათდა, რომელნი აღასუბუქებენ სულსა ჴორციელთა ამათ ვნებათაგან. ვინაჲცა უდაბნოდ მიწევნული[4] და ქუაბსა მიმთხუეული მუნ მყუდროებით დაადგრა მას შინა მოწაფეთა თჳსთა თანა ლოცვისა და მარხვისა მიმართ განკრძალული და ყოველთავე საღმრთოთა მცნებათა აღსრულებად მოსწრაფე. ხოლო ადგილი იგი მრავალთა ჟამთა შინა მიფარულ იქმნა და ჯერავინ უწყოდა სანახებთა მათ მიმართ წარსლვაჲ წმიდისა, დაღაცათუ მრავლად სურვიელ იყვნეს პოვნასა სასურველისა, სულთა და ჴორცთა მკურნალისა მამისა[5], გარნა ვერ შემძლებელ იყვნეს[6] იგინი მიმთხუევასა საძიებელისასა, რამეთუ მოწაფენი მისნი ფარულად

Ⴂ. [1] შორაელთა C. [2] მთხრებლადმი C. [3] ამხუმელი C, აღუმხუმელი D. [4] მიწევნულნი D. [5] მამისასა C. [6] იყვნენ C.

Ⴀ

ხოლო ღმერთმან მერმეცა გამოაცხადა[1] თჳსი იგი მონაჲ[2], რამეთუ ჩუეულებაჲ[3] ესე არს ღმრთისაჲ[4]: ყოველი რომელი დაიმდაბლებდეს თავსა თჳსსა, იგი ამაღლდების*. იწყეს კუალად მოსლვად მუნცა მისა, რომელ დამალულ იყო ქუაბსა შინა. მიაქუნდა სნეულები ცხედრებითა ფერად-ფერადად გუემულნი და მუნთქუეს ლხინება პოვიან.

ამას რაჲ[5] ვიტყჳ, არა თუ მუნ რომელთამე[6] საქმეთა და ცხორებასა მისსა გაუწყებ თქუენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა მიგითხრობ, ხოლო პირველი იგი ცხორებაჲ[7] და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას[8] წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად.

2. მაშინ იწყო ნეტარმან იოვანე განზრახვად გონებასა თჳსსა, რაჲთამცა[9] წარვიდა იგი შორსა სოფელსა, სადაცა არა იყო ყოვლადვე ჴმაჲ[10] სმენისა სათნოებათა მისთაჲ[11], და იტყოდა[11a]: ვინა⟨ჲ⟩ ვეკრძალო, ჯერიყოს წარმართებაჲ[12] სლვისა მისისაჲ[13].

Ⴁ

ხოლო ღმერთმან კუალადცა გამოუცხადა თჳსი იგი მონაჲ, ვითარცა იტყჳს: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს»*. და ვითარცა განცხადნა, სადა-იგი იყოფებოდა, მიჰგურიდეს მას ცხედრითა სნეულებსა და ეშმაკეულებსა და ყოველნი განიკურნებოდეს ძალითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მამისა ჩუენისა წმიდისა იოვანესითა.

ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან.

2. ხოლო ვინაჲთგან ევლტოდა პატივთა სოფლისათა, განიზრახა წარსლვაჲ უცხოებად, სადა-იგი არა ისმოდა ჰანბავი მისი.

Ⴀ [1] გამოაწხადა A. [2] მონა A. [3] ჩუეულება A. [4] ღმრთისა A. [5] რა A. [6] რათა A. [7] ცხორება A. [8] ამას A. [9] რათამცა A. [10] ჴმა A. [11] მისთა A. [11a] ეტყოდა A. [12] წარმართება A. [13] მისისა.

* მათე 23,12; ლუკა 18,14.

ჳ

წარსრულნი ქალაქად მოიყიდდიან საზრდელსა ჴელთ-საქმრისა მათისა მიერ, და კუალად ფარულად უკმოქცეულთა მოძღურისა მიმართ საქმედ აქუნდეს დაუცადებელი ლოცვაჲ და ვედრებაჲ უფლისა მსგავსად მასწავლელისა მათისა. და ამას კუალად ჴელთ-საქმარი ენაცვლებოდის და მდუმრიადი ენისა მიერ ზრახვაჲ მადლოვნებით[1] ღმრთისა მიმართ, რათა[2] ყოვლითურთ არა[3] მიეცეს სხეულსა განსუენებაჲ უქმობისა მიერ ჴელთაჲსა, რამეთუ მეცნიერ იყვნეს მოციქულისასა, ვითარმედ: ჴელთა ამათ მმსახურეს მე და ჩემთანათა*.

არამედ არა ენება ღმერთსა დაფარვაჲ ესევითარისა მამაკაცისაჲ უმეცრებასა შინა, ვინაჲთგან «არცა აღანთიან სანთელი[4] და დადგიან[5] ქუეშე ჴჳმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, რათა ნათობდეს იგი ყოველთაჲ»**. რამეთუ გამოუცხადა წმიდაჲ ესე თჳსი მეძიებელთა და მოსურნეთა პოვნისა მისისათა და საუნჯე დაფარული მიეცა მოქენეთა განმდიდრებისათა, ვინაჲთგან საღმრთოჲთა სურვილითა აღძრულნი ვიეთნიმე[5a] და ყოვლით კერძო ძიებისა მოქმედნი არა ჴუებულ იქმნნეს სასოებისაგან, არამედ მიემთხჳვნეს საწადელსა მჴთსა ღმრთისა მიერ საჩინო ქმნითა მონისა თჳსისაჲთა სარგებელად მრავალთა. ვინაჲ კუალად სიმრავლე ურიცხჳ შეკრბებოდა მისა[6] მიმართ სურვიელი[7] სმენად სიტყუათა მისთა და მოძღურებათა. და სნეულნი, მპოვნელნი მკურნალისანი, ცხედრითა[8] ზე ტჳრთულნი მიიყვანებოდეს მისა მიმართ, და თანად ეშმაკთა მიერ და რომელთავე ვნებათა მძლავრებულნი ამის ყოვლად ღირსისა მამისა მიმართ მოსწრაფებით და სარწმუნოებით მქონებელ იყვნეს სრბასა[9], ვინაჲ მიემთხუეოდესცა სრულიადსა კურნებასა ლოცვითა ამის წმიდისაჲთა, რამეთუ ყოველთავე ვნებულებისაგან უვნებელობაჲ მიენიჭებოდა და უძლურებისაგან ძლიერებაჲ მსწრაფლი[9a] მიენიჭებოდა.

და სასწაულთა და ნიშთა სიმრავლე რომელთავე ვნებულებისა მქონებელთა ზედა აღესრულებოდა ამის ღირსისა მამისა მიერ, რომელთა აღწერაჲ თითოეულად[10] შეუძლებელ არს.

2. ხოლო ვინაჲთგან ევლტოდა იგი პატივთა და უფროჲსღა პატივისა მიერთა[11]*** შფოთთა სოფლისათა, განიზრახა უცხოთა ქუეყანათა მიმართ წარსლვაჲ, სადა-იგი უმეცრებასა მისსა მქონებელ იყვნენ ყოველნი, რათა ესრეთ სადამე[12] შეუძლოს მარტოებით დაყუდებაჲ.

ჳ [1] მადლოვანებითი C. [2] რათა]—D. [3] არა]—C. [4] სანთელნი D. [5] დადგია D, დადგიჲ C. [5a] ვიეთნიმე]ჱე D. [6] მისსა D. [7] სურვილი C. [8] ცხედართა C. [9] სრბ˜ჲსა CD. [9a] მსწრაფი D. [10] თჳთოეულად C. [11] მ˜რ C. [12] სადმე C.

* შდრ. საქმე 20,34. ** მათე 5,15. *** აქედან იწყება E ხელნაწერი.

Ⴀ	Ⴁ
დაღათუ ჰგონებდა იგი ხოლო. განმგებელმან მისმან, სულმან წმიდამან, წამს-უყვნა[1] მას ქუეყანად ჩრდილოდ, რა⟨ჲ⟩თა მიუძღუეს ქუეყანად ქართლად. ხოლო[2] არს, რომელსა უნებს წარმოსლვაჲ[3] აქათ, არამედ სხუა იყო მიმყვანებელი მისი, რომელმან-იგი ოდესმე აბრაამს უწოდა და ⟨ჰ⟩რქუა: «გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და შორის ნათესავთა შენთა, მივედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუენო შენ.»* ერთისაგან ქუეყანისა, ერთისაგან ნათესავისა გამოიყვანა აბრაამი და იოვანე; და რამეთუ ჭეშმარიტად ნაშობთაგან აბრაამისთა იყო წმიდა⟨ჲ⟩ იოვანე. ისმინე პავლე მოციქულისა⟨ჲ⟩, რასა იტყჳს: «უკუეთუ[4] თქუენ ქრისტესნი ხართ, აბრაამისნი ვიდრემე შვილნი ხართ, აღთქ⟨უ⟩მისა მისგან მკჳდრნი»**. ჭეშმარიტად წმიდამან ძირმან კეთილი აღმოაცენა.	
მაშინ იწყო ნეტარმან იოვანე განზრახვად და ⟨ჰ⟩რქუა მოწაფეთა თჳსთა: იყვენით თქუენ აქა, რამეთუ მინებს, რაჲთა[5] წარვიდე განშორებულსა ქუეყანასა, დაღათუ ვპოვო, რომელსა ვეძიებ[6].	და ვითარცა ამას განიზრახვიდა, ჰრქუა თჳსთა მოწაფეთა: მე წარვალ ქუეყანასა უცხოსა, ხოლო თქუენ იყვენით აქა და ჩემთჳსცა ილოცევდით.
ხოლო ნეტართა მოწაფეთა მოიჴსენეს სიტყუაჲ[7] წინასწარმეტყუელისა ელისესი: «ცხოველ არს უფალი, ცხოველ არს სული შენი, არა განგიტეოთ შენ მარტოჲ[8]»,*** ვიდრეცა ხჳდოდე. და წყაროჲ[9] იგი, რომელსა ვსუამთ მარადღე, განვძღებით მისგან, არა ნაკლულევან ვქმნნეთ თავნი ჩუენნი მცირედთა ამათ დღეთა ჩუენთა. და რომელი თავისა შენისათჳს იხილე კეთილად, ჩუენთჳსცა ეგრე სათნო იჩინე.	ხოლო მათ ჰრქუეს: ცხოველ არს უფალი, არა განგიტეოთ შენ მარტოჲ, არამედ ჩუენცა წარმოვიდეთ, რაჲთა არა მოგუაკლდეს წყაროჲსა მისგან, რომელსა ვსუამთ შენ მიერ, რამეთუ შენ ხარ წინამძღუარი სულთა ჩუენთაჲ და მადლთა შენთა მიერ მოველით ღმრთისაგან წყალობასა.

Ⴀ [1] უყუნა A. [2] დაღათუ... ხოლო]+ხოლო განგებელმან მისმან სულმან წმიდამან წამს-უყუნა მას ქუეყანად ჩრდილოდ, რათა მიუძღუეს ქუეყანად ქართლად, დაღათუ ჰგონებდა იგი, ხოლო განმგებელმან მისმან სულმან წმინდამან წამ-უყუნა მას ქუეყანად ჩრდილოდ, რათა მიუძღუეს ქართლად. დაღათუ გონებდა იგი ხოლო A (გამეორებული ჩანს შეცდომით ფრაზები). [3] წარმოსლვა A. [4] უკეთუ A. [5] რათა A. [6] ვეწიებ A. [7] სიტყუა A. [8] მარტო A. [9] წყარო A.
* შდრ. შესქ. 12,1; ** გალატ. 3,29; *** შდრ. IV მეფ. 2,2.

Ⴂ

ამისთჳსცა ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა, რომელნი შედგომილ იყვნეს მის თანა[1]: ძმანო, უკუეთუ[2] ინებოს ღმერთმან, მეგულების წარსლვაჲ უცხოთა ადგილთა მიმართ, რათა მცირედთა ამათ[3] ნეშტთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა[4] უცხოებისა ამის და ნწირობისა სოფელსა შინა რუდუნებით და მარტოებით ვიყოფოდი[5], რამეთუ ვითარ აღმოვიკითხავთ, მსხემ და წარმავალ ვართ ყოველნი, ვითარცა და მამანი[6] ჩუენნი. ხოლო თქუენ, საყუარელნო შვილნო ჩემნო, დაადგერით ამას უდაბნოსა შინა განკრძალულნი ყოველთავე სივერაგეთა მიმართ ბოროტისათა და ლოცვასა ჰყოფდით ჩემთჳსცა ღმრთისა მიმართ[7], რათა წარმიძღუეს გზათა მიმართ სათნოთა მისთა და მოუძლურებულად ეგნენ ალაგნი ჩემნი.

ხოლო ჭეშმარიტად მოწაფეთა ჭეშმარიტისა მოძღურისა და მასწავლელისათა[8] ესმა რაჲ სიტყუაჲ ესე ბერისაგან, ერთჴმობით მიუგეს ყოველთა: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არასადა განგიტეოთ შენ მარტოჲ, არამედ ჩუენცა წარმოვიდეთ შენ თანა, ვიდრეცა ხჳდოდი ცხორებად გინა სიკუდილად, რამეთუ შენ გიცით წინამძღურად და მომრწყუელად და განმაპოხებელად სულთა ჩუენთა სწავლათა მიერ საღმრთოთა, რომელნი აღმოდიან პირით შენით და ლოცვათა შენთა მიერ[9] ვსასოებთ მიმთხუევასა ღმრთისა სახიერისასა.

Ⴂ [1] მისთჳს CDE. [2] უკეთუ D. [3] მათ C. [4] ჩნ̃ისათა D. [5] ვიყოფოდე DE. [6] მამანიცა CD. [7] მიერ D. [8] მსწავლელისათა CD. [9] ჲმიერ შენთა C.

Ⴀ

ჭ[1] შუენიერთა მოძღ[ურისა] მოწაფეთა კეთილი იგი შეთქ(უ)მულებაჲ! საკრველსა[2] მას სიყუარულისასა შეეკრნეს, ორნატსა მას ქრისტესსა მიზიდვიდეს ერთობით.

Ⴁ

ესრეთ შეკრულ იყვნეს[1] სიყუარულითა სულიერითა.

Ⴀ

3. მაშინ წარმოემართა იგი თჳსით ქუეყ ნით ქუეყანად ქართლისა წინამძღურობითა ძლისა მის უხილავისაჲთა[3], რომელი-იგი ოდესმე სახითა ვარსკულავისაჲთა[4] მოგუთა (უძღოდა). მოიწია ჩუენსა ამას დედა-ქალაქსა მცხეთას. და ვითარ თაყუანის-სცა წმიდათა ეკლესიათა, შევიდა იგი წინაშე წმიდასა[5] კათოლიკე სუეტსა, ღმრთივ აღმართებულსა დიდითა საკჳრველებითა ზეგარდამო გამოჩინებულსა, რომელი-იგი კართა ზე დაეპყრა[6] მრავალ ჟამ რომელსა-იგი ხედვიდა ყოველი ერი ქართლისაჲ[7], რომელი-იგი დაამტკიცა ღმერთმან და არა კაცმან, რა(ჲ)თა იყვნენ[8] საფუძველნი მისნი შეუძრველ უკუნისამდე[9], რომლისა-იგი[10] ამბავი განჴდა ყოველსა ქუეყანასა და რომელი-იგი ყოველმან ღონისძიებამან ხუროთამან და მეფეთამან სიმრავლითა ურიცხჳთა ვერ უძლეს[11] აღმართებად სამ დღე. წარმოაცალიერეს ყოველი ძალი მათი, დაუტევეს და წარვიდეს მიმწუხრი, და ყოველნი მანქანებანი მათნი თანა-წარიხუნეს და სასოებაჲ[12] წარეკუეთა.

Ⴁ

3. და წარმოემართნეს ქუეყანით თჳსით და წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოიწივნეს ქალაქსა მცხეთისასა. და შევიდეს და თაყუანის-სცეს წმიდასა სუეტსა[2] მას, რომელი აღჰმართა ღმერთმან და არა კაცმან, რამეთუ ღონისძიებამან ხუროთამან და თჳთ მეფემან სიმრავლითა ერთა ურიცხუთაჲთა ვერ შეუძლეს აღმართებად სამ დღე. და დაუტევეს და წარვიდეს და ყოველნი იგი მანქანანი თანა წარიტანნეს, რამეთუ წარეკუეთა[3] სასოებაჲ.

Ⴀ

მასვე ღამესა ყოველთა მათ ქართლისა კეთილთა მიზეზი იგი წმიდაჲ[13] და აღყუავებული დედაჲ[14] ჩუენი ნინო დაადგრა ლოცვასა ცრემლითა და ყოვლითა ვედრებითა ითხოვდა ძლიერისაგან ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა (შეწევნასა) და მსწრაფლ ტყუე-ქმნიდა[15] ტყუე იგი ყოველსა მას ძალსა მეფისასა და სიჴელოვნესა ხუროთასა. ლოცვითა მიიღო სუეტი იგი ცხოველი და დაჰკიდა[16]

Ⴁ

ხოლო ყოველთა კეთილთა მიზეზი და განმანათლებელი და მომაქცეველი ქართველთაჲ, დედაჲ, მოციქული ჩუენი ნინო დადგა ლოცვად ღმრთისა მიმართ ცრემლითა მჴურვალითა და ითხოვდა შეწევნასა ღმრთისასა აღმართებისათჳს სუეტისა[4]. ხოლო იგი ესრეთ ილოცვიდა რაჲ, მოვიდა ძალი

Ⴀ [1] ჭოი A. [2] საკუირველსა A. [3] უხილავისათა A. [4] ვარსკულავისათა A. [5] წმიდათა A. [6] ზე დაეპყრა] ზედა ეპყრა A. [7] ქართლისა A. [8] იყუნენ A. [9] უკუე A. [10] რომელსა-იგი A. [11] უძლის A. [12] სასოება A. [13] წმიდა A. [14] დედა A. [15] ტყუე-იქმნებოდა A. [19] დაკიდა A.

Ⴁ [1] იყუნეს B. [2] სუტსა B. [3] წარეკუტთა B. [4] სუტისა B.

Ⴂ

ესევითარითა რაჲ სიყუარულითა მისითა[1] შეკრულად ხედვიდა სანატრელი იოანე მოწაფეთა თჳსთა, უწამა მათ მის თანა წარსლვაჲ, სადაცა უფალი მიუძღუეს მათ ნავთსაყუდელად ნებისა თჳსისა.

3. და ესრეთ დამტევებელი ქუეყანისა და მამულისა თჳსისა, ვითარ სხუაჲ ვინმე აბრაჰამ, საუფლოჲსა ჴმისა მიერ წოდებული, ქუეყანად ქართლისა მოიწია, უპირატესისა მიმართ მაშინ სხუათა ქალაქთასა მცხეთისა დედაქალაქად. და შესრულმან წინაშე განმაცხოველებელისა სუეტისა ერთბამად მოწაფეთა თჳსთა თანა თაყუანი(ს)-სცა უფალსა, დავრდომილმან[2] იატაკსა ზედა და ცრემლთა მიერ დამალტობელმან მიწისამან და ჭიმყოვრებულად ვედრებათა შემწირველმან სახიერისა და ტკბილისა მეუფისა. ხოლო პირველ ჴსენებული ესე პატიოსანი სუეტი ზე ჰაერთა შინა შთამოკიდებულ არს უხილავად საღმრთოჲთა წამის-ყოფითა, რამეთუ[3] მოსწრაფე იყვნეს მეფისა მირიანის[4] ზე აღმართებასა დიდებულისა ამის სუეტისასა. ვერ შემძლებელთა აღმართებად დაუტევეს იგი და წარვიდეს ვითარ ყოვლითურთ უსასო[5] ქმნილთა აღმართებისა მისისათა.

ხოლო ლოცვითა და ვედრებითა ღირსისა დედისა ჩუენისა ნინო ქართველთა განმანათლებელისაჲთა[6] საღმრთოჲსა ძალისა მიერ მართლიად ჰაერსა შინა შთამოეკიდა ვითარ წყრთა ერთ ოდენ, რომელიცა[7] ვიდრე აქამომდე ესრეთ მდგომარე არს მრავალთა სასწაულთა და ნიშთა სრულმყოფელი.

Ⴂ [1] მათითა E. [2] დავრდომილად E. [3] რამეთუ]+ მრავლად რაჲ C. [4] მირიანისა C. [5] უსასოო D. [6] ~ დედისა ჩუენისა და ქართველთა განმანათლებელისა ნინოსითა საღმრთოჲსა ძალისა...' C. [7] რომელი C.

Ⴂ

ზედა აერთა აღშორებულად ხარისხისაგან წყრთა ერთ, მართლ[1] ზე დგა. და ვითარ[2] განთენა, აჰა მირიან მეფე და ყოველი სიმრავლე ქართლისაჲ[3] მოიწივნეს და იხილეს დიდი იგი საკვრველებაჲ[4], ღმრთისამიერი საიდუმლოჲ[5], რომელი-იგი იქმნა ცხორებისა მათისათჳს. და ნელად ჩამოვიდა მცირედ, ვიდრე დაემტკიცა განმზადებულსა თჳსსა ხარისხსა ზედა. განკრთეს ყოველნი, დაუკჳრდა სარწმუნოვებაჲ[6] იგი დიდი, ადიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. და შეეძინებოდა მორწმუნეთა მათ განახლებაჲ[7] იგი სარწმუნოებისაჲ[8] ფრიად. მიერითგან აღემართნეს სხუანი იგი სუეტნი და აღაშენეს ეკლესიაჲ[9], რომლისათჳს პავლე მოციქული აჳსენებს: «ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა ყოფად, რომელ არს ეკლესია, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ[10], რომელი-იგი ეჩუენა [ანგელოზთა, იქადაგა] წარმართთა შორის და (ჰ)რწმენა სოფელსა»*.

ამის ნათლისა შემოსილისა სუეტისა წინაშე მოისწრაფა წმიდამან იოვანე, ვითარცა ღმრთივ გამოჩინებულისა საკჳრველისა და პატივ-ცემულისა ადგილისა[11]. ევედრებოდა იგი ღმერთსა და აღიხილნა თუალნი და აღიპყრნა ჴელნი და დასთხივნა პატიოსანნი იგი ცრემლნი წინაშე ცხოველისა მის სუეტისა, რაჲთამცა[12] აუწყა ადგილი იგი, სადა სრბაჲ[13] თჳსი აღასრულა.

მაშინ იგი რომელმან ყვის ნებაჲ[14] მოშიშთა მისთაჲ[15], ადრე უჩუენა მათ მთაჲ[16] ესე ერთი მახლობელად მცხეთას აღმოსავალით-რე[17] და ცხოველსა ჯუარსა ჩრდილოჲთ[18] კერძო, რაჲთა[19] აღვიდეს წუერსა ზედა მის მთისასა და იყოფვოდის მუნ. და ვითარცა წარემართა იგი, წიალ-ვლო მდინა-

Ⴃ

ზეგარდამოჲ: დაეკიდა სუეტი[1] იგი სიმაღლესა ზე, ვითარცა წყრთა ერთ, და დადგა ღმრთისამიერით ძალითა. და განთიადსა მოვიდა მირიან მეფე და ერი ქართველთაჲ და იხილეს საკჳრველი ესე და დიდებული და განკრდეს. ხოლო ჩამოვიდა ნელიად, ვიდრელა დაემტკიცა საფუძველსა ზედა და ყოველნი, რომელთა იხილეს და ესმა, ადიდებდეს ღმერთსა. და ფრიადი ერი მოიქცა და ნათელ იღეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

ამას ცხოველსა სუეტსა[2] წინაშე მოიწია წმიდაჲ მამაჲ იოვანე. და აღამაღლნა ჴელნი, და თუალნი ზეცად აღიხილნა და ცრემლნი გარდამოადინნა და მადლობაჲ შეწირა ღმრთისა.

ხოლო ღმერმან უჩუენა მას მთაჲ ერთი მახლობელად მცხეთასა და ცხოველსა ჯუარსა ჩრდილოჲთ კერძო, და აუწყა, რაჲთა აღვიდეს წუერსა[3] ზედა მის მთისასა. და წიაღ-ვლო არაგჳ და აღვიდა თაყუანის-ცემად ჯუარისა

Ⴂ [1] მართალ A. [2] ვითარ]+და ვითარ A. [3] ქართლისა A. [4] საკჳრველება A. [5] საიდუმლო A. [6] სარწმუნოვება A. [7] განახლება A. [8] სარწმუნოებისა A. [9] ეკლესია A [10] ჭეშმარიტებისა A. [11] ადგილსა A. [12] რათამცა A. [13] სრბა A. [14] ნება A. [15] მისთა A. [16] მათი A. [17] აღმოსავლით-რე A. [18] ჩრდილოთ A. [19] რათა A.

Ⴃ [1] სუეტი B. [2] სუეტსა B. [3] წუერსა B.

* შდრ. I ტიმ. 3,15-16.

Ⴂ

ამას სუეტსა წინაშე მიწევნული სანატრელი იოანე ევედრებოდა უფალსა ცრემლით ესრეთ მეტყუელი: მაუწყე მე, უფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდე და მიძღოდე მე ჭეშმარიტებითა შენითა ადგილისა მიმართ, რომელსა შინა სათნოდ შენდა მყუდროებით [1] აღვასრულო ნეშტი [2] ჟამი ცხორებისა ჩემისაჲ, რამეთუ სურვილითა შენითა დამიტევებიეს, ჵ მეუფეო, გამომღებელი და აღმზრდელი ჩემი ქუეყანაჲ, ვინაჲ შენ, მოურნეო ყოველთაო, იზრუნე ჩემისა უნდოებისა და მიჩუენე მე, ვინაჲ და სადა ვიდოდი სრულ ყოფად სარბიელსა ამას [3] საწუთოჲსასა.

ხოლო ღმერთმან, რომელი არა უგულებელს-ჰყოფს ვედრებასა მონათა თჳსთასა, უჩუენა მას მთაჲ ჩრდილოეთით კერძო მცხეთისა ქალაქისა და ჯუარისა პატიოსნისა. და მეყსეულად კუალად თაყუანის-მცემელი და მადლობათა შემწირველი მეუფისა ქრისტესთჳს [4] მოსწრაფებით აღვიდა თავსა მის მთისასა და იხილა რაჲ იგი, რამეთუ მარჯუე იყო მარტოებით დაყუდებისათჳს და თავისუფალ ყოველთა შფოთთაგან, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ძმანო ჩემნო, აქა დავემკჳდრები მე, რამეთუ მთნავს ესე, ვინაჲთგან კეთილ არს ჩუენი აქა ყო-

Ⴂ [1] მყუდროვებით D. [2] ნეტარი D. [3] ამის D [4] ქრისტესა E.

Ⴀ

რე არაგჳ. მიიწია იგი წინაშე მომცემელსა[1] ცხორებისასა ჯუარსა, რომლისა ფრთეთა ქუეშე მისთა დაუფარავს[2] ყოველი ყოვლისაგან შემთხუევისა ბოროტისა მაღლით საკჳრველებითა დიდითა გამოჩინებულსა ნათელსა და ღმრთივ დამტკიცებულსა ნათელსა. და ყო ლოცვაჲ[2a] მყოვარ ჟამ, და გამოვიდა მიერ და აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ⟨ჴ⟩რქჳან ზედაზადენ, სადა-იგი აწ მონასტერი მისი აღშენებულ არს. რამეთუ იყო ადგილი იგი ყოვლადვე მაღნარ. და ვითარ იხილა იგი, სათნო-იყო და თქუა: ესე არს განსასუენებელი ჩემი, უკუე ამას დავემკჳდრო, რამეთუ მთნავს ესე, ნადირნი მისნი კურთხევით ვაკურთხნე.

Ⴁ

პატიოსნისა. და ვითარცა მოილოცეს, აღვიდა მოწაფითურთ მთასა მის ზედა. და ვითარცა მოიხილა, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: აქა დავემკჳდრო, რამეთუ მთნავს ესე.

Ⴀ

ხოლო მე ვითარ ვ⟨ჴ⟩გონებ, ნეტარო, შენი არს სიტყუაჲ[3] ესე: «ვინმცა მცნა მე ფრთენი ვითარცა ტრედისან⟨ი⟩, აღ-მცა-ვფრინდი[4], აღვიმაღლე[5], მი-მცა-ვედ, განვისუენე უდაბნოს»*.

რამეთუ უფალმან ყო დამკჳდრებაჲ[6] იგი მისი აქა ორისა საქმისათჳს: პ ი რ ვ ე ლ ა დ, რაჲთა[7] სამკაულ იქმნას[8] და გჳრგჳნ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი, ათორმეტნი იგი თუალნი პატივის-ცემულნი მიხედვითა, განდგმულ კუართსა მას[9] არონის-

Ⴁ

ხოლო ესე ამისთჳს ყო ღმერთმან, რამეთუ პ ი რ ვ ე ლ ა დ სამკაულ ექმნა ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა, და მ ე ო რ ე დ ამისთჳს დაეყუდა[1] ადგილსა მას, რამეთუ გოდოლი აღეშენა წარ-

Ⴀ [1] მოცემულსა A. [2] დაუფარავ A. [2a] დაყო ლოცვად ლოცვად A. [3] სიტყუა A. [4] ავ-მცა-ვფრინდე A. [5] ავიმაღლე A. [6] დამკჳდრება A. [7] რათა A. [8] ექმნას A. [9] მას]+და A. * ფსალმ. 54,6.
Ⴁ [1] დააყუდა B.

ⴂ

ფაჲ. ხოლო მათ მიუგეს: პატიოსანო მამაო, სიტყჳსაებრ შენისა ვითარცა გთნავს, ეგრეთ[1] ყავ.

ესრეთ უდაბნოს მოყუარე ესე გურიტი, ვითარ სხუაჲ ვინმე ᶜ ოანე წინამსრბოლი სხუათა სათნოებათა, დამკჳდრებულ იქმნა თავსა ზედა მისდა ჩუენებულისა მის[2] მთისასა. და შეეხებოდა უფიცხესთა შრომათა მოღუაწებისათა მარხვისა და ლოცვისა მიერ სამარადისოჲსა, ზე დგომისა, სრულიად დამაჭნობელი და მომაუძლურებელი ჴორცთა და ყოველთა ვეზედა-მოსლვათა და მანქანებათა მაცთურისა ეშმაკისათა[3], უძლურითა სხეულითა ძლიერად წინა-განეწყობოდა, რამეთუ მოუძლურებული სხეული ძლიერ იქმნების სულითა, ხოლო გემოთა და შუებათა მიდევნებული უძლურ-ჰყოფს სულსა და ყოვლითურთ მონად გულის-თქუმათა გამოაჩინებს. ამისთჳსცა მოსწრაფე იყო საღმრთოჲ ესე[4] მამაკაცი განკაფისა მიერ ჴორცთაჲსა სულისა მონად და მსახურად[5] დადგინებასა მათსა.

ესევითარი სამკაული კათოლიკე ეკლესიისა და ქართლისა ერისა დიდი მნათობი დაამკჳდრა ღმერთმან მთასა ამას ზედა, რათა მაღლით მოჰფენდეს[6] ყოველთა გარემოსთა მისთა ზედა ბრწყინვალესა ელვასა ლოცვათა[7] თჳსთასა. ხოლო წმიდა-ყო[8] ღმერთმან მთაჲ იგი ლოცვითა წმიდისა მის ბერისაჲთა. და ეშმაკთა სიმრავლე განიოტა მიერ ადგილით, რომელი დამკჳდრებულ იყო მუნ, რამეთუ ძუელ ოდესმე წარმართთა მიერ გოდოლი აღმართებულ იყო

ⴂ [1] ეგრეთცა C. [2] მას]—CD. [3] მაცთურისათა ეშმაკისა D. [4] ესე]—CD. [5] მსახურებად C. [6] მოფენდეს D. [7] ცოდვათა C. [8] ყო]—C.

Ⴀ

სა, სარგებელ და მკურნალ ყოველთათჳს მყოფთა ქალაქისა ამის ჩუენისა, რომელნი ხადიან მათ, რომელი მცირედ შემდგომად მიგეთხრას. და მეორედ, რამეთუ ადგილი იგი, რომელსა[1] მიივლინა, გოდოლი იყო პირველთა მათ წარჩინებულთაჲ[2], სადა-იგი კერპთმსახურებაჲ[3] აღმაღლებულ იყო. და ეშმაკნი მათ მიერ იმსახურებოდეს ნაზორევთა მათ კუამლითა, რაჲთამცა[4] მათვე ადგილთა ამაღლდა ღმრთის მსახურებაჲ[5], განწმიდნა ძიერ გესლოვანებაჲ[6] იგი უკეთურთა მათ ეშმაკთაჲ[7], ვითარცა ყო ოდესმე საბა ადგილსა მას კასტელისასა[8], განიოტნა ეშმაკთა გუნდნი. ილოცვიდა ნეტარი იგი ბერი და ევედრებინ ყოველსა ჟამსა ღმერთსა და დგან იგი შეუშფოთებელად, ყოველთა მათ ზედა მოსლვათა[9] ეშმაკისათა მოითმენდა, ლოცვასა და მარხვასა, ვითარცა დედასა გონიერებისასა შეევედრა.

4. ენება წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს, რაჲთამცა[10] მარტოდ იყოფვოდა, წადიერ იყო თჳსსა საყოფლად ქალაქსა მას, რომლისა ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს, ზეცისა იერუსალემს[11], განმცხრომელსა მათ თანა დღესასწაულსა შერთვად კეთილთა ვაჭართა ზეცისა მარგალიტისა მეძიებელი. აქა მოიკუდინა თავი თჳსი, რა(ჲ)თა პოვოს ცხორებაჲ[12] საუკუნოჲ[13]. მერმე კეთილმან მან მოძღუარმან მოუწოდა დღესა ერთსა თჳსთა მათ მოწაფეთა და ⟨ჰ⟩რქუა მათ: რაჲსა[14] სდგათ უქმად? ანუ არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათჳს ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ[15] ქრისტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი. ჯერ-არს თქუენდა, რაჲთა[16] წარხჳდეთ კაცად-კაცადი და

Ⴁ

მართთა და ეშმაკნი ფრიად დამკჳდრებულ იყვნეს[1] და ჰმსახურებდეს კუამლითა ნაზორევთაჲთა. და რაჲთა აწცა ლოცვითა წმიდისა მის ბერისაჲთა განწმიდოს ადგილი იგი. ესე ღმერთშემოსილი მამაჲ ჩუენი, წმიდაჲ იოვანე, აღვიდა რაჲ მთასა, იწყო ლოცვად და ვედრებად ღმრთისა და ყოველთა ზედა მოსლვათა ეშმაკთასა ძლიერად დაითმენდა.

4. ხოლო ინება მარტოებით ცხორებაჲ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შვილნო, რაჲსა სდგათ უქმად? არა უწყითა, რამეთუ სარგებლისათჳს ამას ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან და აქა მოგჳძღუა, რამეთუ ახალ ნერგ არს ქუეყანაჲ ესე. ამისთჳსცა ჯერ-არს, რაჲთა წარხჳდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე.

Ⴀ [1] რომელი A. [2] წარჩინებულთა A. [3] კერპთმსახურება A. [4] რათამცა A. [5] მსახურება A. [6] გესლოვანება A. [7] ეშმაკთა A. [8] კასხევისასა A. [9] მოსავთა A. [10] რათამცა A. [11] იელუშალიმს A, [12] ცხორება A. [13] საუკუნო A. [14] რასა A. [15] იესო A. [16] რათა A.

Ⴁ [1] იყუნეს B.

Ⴂ

მთასა მას[1] ზედა და ბომონი მდგომარე იყო, რომელსა ზედა საძაგელნი მსხუერპლნი[2] უსაძაგელესთა ეშმაკთანი აღესრულებოდეს უსახურთა და მათ მიერ ბოროტად შეცთომილთა კაცთაგან. არამედ წყალობისა და სახიერებისა უფსკრულმან ოხათა მიერ და ვედრებათა ღმერთშემოსილისა მამისა იოანესთა[3] წარიოტნა და განჴადნა ადგილისა მისგან სულთა მკლველნი იგი და მაცთურნი კაცთანი ეშმაკნი[4].

4. ხოლო ვინაჲთგან მარადის და პირველითგანვე მყუდროებით მნებებელ იყო ცსორებასა, რომლისა ძლით და ქუეყანაჲცა თჳსი დაეტევა [და] გარეგან საზღვართა მამულისა და ადგილისა თჳსისათა ქმნულ იყო, სთნდა წარვლინებაჲ მოწაფეთა თჳსთაჲ, ვითარ ოდესმე[5] მოციქულნი ქრისტესნი[6] ქადაგებად წარმართთა მიმართ სახარებასა სინანულისასა მოსატევებელად ცოდვათა, ვინაჲცა ეტყოდა მათ სიტყჳთა ტკბილითა და მამობრივითა: შვილნო, რაჲსა სდგათ აქა და არა ზრუნავთ სხუათაცა სარგებელისათჳს? ანუ არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათჳს[7] ამის ქუეყანისა წარმოუვლინებიეთ ჩუენ[8] უფალსა ჩუენსა იესუ[9] ქრისტესა? ვინაჲთგან, ვითარ ხედავთ მერმეცა, ახალ ნერგ არს ქუეყანაჲ ესე და მოქენე არს მორწყვასა სწავლათა მიერ და განპოხებასა სარწმუნოებისა ძირთასა ქადაგებისა[10] მიერ და მოძღურებისა მსგავსად[11] წმიდათა მოციქულთასა. ამისთჳსცა ჯერ-არს, რაჲთა წარვიდეს თითოეული თქუენი და განამტკიცებდეს სარწმუნოებითა მართლითა, რომელთა მიუღებიეს ნათლისღებაჲ სახელისა მიმართ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ხოლო რომელნი მერმეცა უმეცრებასა და ურწმუნოებასა შინა არიან, რათა ასწავებდეთ მათ[12] და მოიმოწაფებდეთ თაყუანის-ცემად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

Ⴂ [1] ამას CD. [2] მსხუერპლვანი C. [3] იოანესთა]+სრულიად C. [4] ეშმაკთანი D. [5] ოდესმე]+იყოს D, იესუს C. [6] მოციქულნი ქრისტესნი]—CD. [7] შესაძინელისათჳს E. [8] ჩუენ]—E. [9] იესუს D. [10] ქადაგებისსა C. [11] მსგავსად]—CD. [12] მათ]—E.

Ⴀ

განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარბიეს ქრისტე, უფალი ჩუენი, არა სიტყჳთა მოძღურებითა თქუენითა, არამედ რაჲთა[1] თავნიცა თქუენნი სახედ მისცნეთ[1]. ამისთჳს აღრეულად დამიტევნა ჩუენ უფალმან წარმართთა შორის, რაჲთა[2] იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა*.

ნუ რა გიყუარნ, ძმანო, უფროჲს ღმრთისა. ვეცხლის მოყუარებაჲ[3] და სიმდიდრე განბასრეთ, შუებასა და უძღებებასა, ჭამადსა ნუ თავს-იდებთ თქუენ, რამეთუ შუებისა და საჭმლისაგან იშვა ურჩებაჲ[4] იგი ადამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრომილ არს. ამან გამოჴადა იგი სამოთხისა მისგან საშუებელთაჲსა[5]. უკუეთუმცა[6] სჯული იგი მარხვისაჲ[7] დაემარხა, არამცა მოცემულ იყო ჩუენდა ეკლოვანი ესე ქუეყანაჲ[8], არამცა სიკუდილი უფლებდა ჩუენ ზედა, დაღათუ ძლიერებაჲ[9] იგი მაღლით დაამდაბლებდა. მიიხ[უნა] ჴორცნი[10], მის მიერ მივემთხჳვენით ჩუენ საწადელსა მას ჩუენსა პირველსა, სამოთხისა უზეშთაესსა, და მოვიღეთ ხისა მისგან ცხორებისა და ვცხოვნდით უკუე. დაუტევეთ გზაჲ[11] იგი საცავი ქერობინისაჲ[12] მის და ზეცად ავმაღლდით უკუდავ. მახლობელ ღმრთისა ვიქმნენით ჩუენ.

ხოლო ღჳნისათჳს მეტსა ვ⟨ჰ⟩გონებ ჩემსა სიტყუასა, რამეთუ ⟨არარაჲ⟩ არსვე მონაზონთა, ვინაჲთგან[13] მოციქულმან პავლე ძირად და მოქმედად სიბილწისა გამოაჩინა და თქუა: «ნუ დაითრობით ღჳნითა, რომლითა არს სიბილწე»**. წამალი არს მაკუდინებელი და დედაჲ[14] გულის-თქ⟨უ⟩მათა მათ ბოროტთა⟨ჲ⟩ და აღმძრველი მათი. და უკუანაჲსკნელ[15] თესლისა მისგან ბოროტისა ბოროტი მკაჲ[16] იქმნის. მოიძულე იგი, ნუ შეიწყნარებ წამ ერთ-

Ⴁ

და ნუ რა რაჲ გიყუარს, ძმანო, უფროჲს ღმრთისა, შუებასა[1] და უძღებებასა განეშორენით, რამეთუ შუებისა[2] მიერ და საჭმლისა იშვა ურჩებაჲ იგი ადამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრომილ არს. ამან გამოჴადა იგი სამოთხით. უკუეთუმცა მცნებაჲ იგი მარხვისაჲ დაემარხა, არამცა უფლებულ იყო ჩუენდა ხრწნილებაჲ და სიკუდილი, დაღაცათუ აწ ქრისტეს განკაცებითა უხრწნელ ვიქმნენით იგინი, რომელთა აწ მცნებაჲ მისი დავიმარხეთ·

ხოლო ღჳნისათჳს ნამეტნავ არს სიტყუადცა, რამეთუ არა არს მონაზონთაჲ, ვინაჲთგან პავლე მოციქულმან ძირად და მოქმედად სიბოროტისად თქუა: «და ნუ დაითრვობით ღჳნითაო, რომლისაგან არს სიბილწე»*. და წამალი არს მაკუდინებელი და დედაჲ[3] გულისთქუმათა ბოროტთაჲ. და ყოვლად ნუ შეეხებით, რომელი საუკუნოდ

Ⴀ [1] მივსცნეთ A. [2] რათა A· [3] მოყუარება A. [4] ურვება A. [5] საშუებელთასა A. [6] უკეთუმცა A. [7] მარხვისა A. [8] ქუეყანა A. [9] ძლიერება A. [10] ჴორცნი[+ჴორცნთ A. [11] გზა A. [12] ქერობინისა A. [13] ვინათგან A. [14] დედა A. [15] უკანასკნელ A. [16] მკა A. * შდრ. მათე 5,16. ** ეფეს. 5,18

Ⴁ [1] შუების ... შუებასა B. [2] შუებისა B. [3] და დედაჲ] და დაჲ B.

Ⴂ

და ნუ რასა აღირჩევთ უფროჲს ღმრთისა სიყუარულისა, შუებასა და უძლებებასა განეშორენით, რამეთუ გემოჲსა მიერ და საჭმლისა განიჴადა ადამ სამოთხით საშუებელისაჲთ და სიკუდილი მოატყუა ნაშობთა თჳსთა ღმრთისა მცნებათა ურჩ ქმნითა და მრავალნი ოფლნი, ღუაწლნი და[1] შრომანი მოაწინა შემდგომთა მისთა ზედა ერთ გზის ხისაგან გემოჲს ხილვითა. და განღმრთობისა წილ სიკუდილი დაესაჯა და სამოთხით ექსორია იქმნა. დაღაცათუ ქრისტემან არა უგულებელს[2]-ყო ჴელთა თჳსთა მიერ დაბადებულისა ესრეთ მიმძლავრებაჲ ეშმაკისაგან, არამედ განკაცებითა და ვნებათა სატკივართა კაცებრ დათმენითა[4] გამოგჳჴსნნა ჩუენ ბჭეთაგან სიკუდილისათა. დაღაცათუ ზაკჳთ[5] წინა-უყო განღმრთობაჲ ბოროტმან სატანა პირველსა მამასა, არამედ ჭეშმარიტად იზიარა იგი ღმრთეებასა ქრისტემან, კაცობრივისა თჳსისა ზიარებითა ღმერთმან. და უწყოდეთ უკუე[6] თქუენცა[7], საყუარელნო, ვითარმედ მარხვითა და მღჳძარებითა და ჴორცთა წმიდად[8] და უბიწოდ დაცვითა ღმერთ იქმნების და ღმერთსა შეერთ(დ)ების სული განწმედილი ჴორციელთა ბიწთაგან.

ღჳნოსა ევლტოდეთ ყოვლითურთ, ვინაჲთგან არა ზიარებაჲ არს ღჳნისა მოღუაწეთა თანა და უფროჲსღა მონაზონთა, რამეთუ ესევითარი საკრველთა განუჴსნელთა მიერ შემკრველი უძლებებით მომღებელთა მსგავსად მონათა მისყიდულთასა უპატიოდ წარადგინებს[9] მათ გულის-თქუმათა მიმართ ცოდვისათა. და[10] პავლეცა ძირად სიბოროტისა თქუა ღჳნოჲ მეტყუელმან: «ნუ დაითრვებით[11] ღჳნითა[12], რომლისაგან იქმნების ბილწებაჲ»*. და წამალი არს მაკუდინებელი და დედაჲ გულის-თქუმათა ბოროტთა. ძმანო ჩემნო, მარადის სიკუდილსა იჴსენებდით[13] და საზარელი იგი დღე წინაშე[14] თუალთა[15] გონებისათა გაქუნდინ[16], სადა-იგი გუეგულების ყოველთა წარდგომაჲ, შიშუელთა და ქუე-დამხედველთა თუალითა. უწყოდეთ უკუე, საყუარელნო, ვითარმედ

Ⴂ [1] ღმრთისა მცნებათა... ღუაწლნი და]—E. [2] უგულებელ E. [4] თმენითა CD. [5] ზაკვით C. [6] უკუე]—E. [7] ∾ თქუენცა უკუე C. [8] წმინდად D. [9] წარადგენს C, წარადგინეს D. [10] და]+რამეთუ C. [11] დაითრობვი C, დაითურები D. [12] ღჳნითა]—D. [13] იგონებდით E. [14] წინაშე]—DE. [15] თვალთა D. [16] გაქუნდნენ D.

Ⴃ

ცა ამათ. მამათ მთავარნი განძარცუნა არა თუ უძლებებით, არამედ გამოუცდელობით, რომელმან-იგი თუალნი განუსისხლნის და ფერი განუწითის და შუენიერი იგი სახე უშუერად გარდააქცივის. რაჲ[1] ძეს შენი და ბოროტად მოყუარისა მის! და უკუეთუ[2] არა განიშორო იგი, მისი[2a] იგი სიცრუვე ადრე გამოაჩინოს შენ შორის. ძმანო ჩემნო, ნუ მცირე გიჩნნ თავნი თქუენნი, ვითარცა წარმავალთა და განქარვებადთა, რომელმან ძალმან თავი თჳსი იცნის, მან უწყინ ყოველი, რაჲთა[3] უწყოდით, რამეთუ არსებანი ვართ უკუდავად და განუქარვებელად დაბადებულნი უფროჲს[4] ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა პატივ-ცემულნი არსებითა დაუსრულებელითა. და ამისთჳს ჯერ-არს, რაჲთა[3] თავნი თჳსნი დავიცვნეთ და ვეკრძალნეთ მერმისა მისთჳს ცხორებისა.

რამეთუ მცირესა კაცებასა ჩუენსა კუალად ვრცელი ესე სოფელი დაბადა და უმეტეს მისსა სულითა მეტყუელითა და გონიერითა ადიდა იგი, რამეთუ მისცა მას აღსრულებაჲ[5] დასაბამიერი და დაუსრულებელი, სული უკუდავი. და ამით ჯერითა მოგუეახლნა ჩუენ, ანგელოზთასა მას ბუნებასა, და ერთ კერძო იგი ჩუენი მსგავსი ცხოველთა მათ განქარვებადთაჲ[6]. და არა არს კაცი იგი ანგელოზ, არცა პირუტყუ, არამედ შორის მათსა. და სხუა დაბადებული ორთაგან: ერთი იგი სულისაგან და ჴორცთა შეაერთა, და დაადგინა იგი ადგილსა ბრძოლისა და ძლევისასა, და ჴელმწიფებაჲ[7] მისცა მას უფლებისაჲ[8], და შეაყენა იგი წამსა სასწორისა და გონებისა მისისასა, რამეთუ ესე გონებაჲ[9] გამომავალ არს ორთა მათ შორის ბუნებათა შეერთებულთა და იგი არს განმგებელ. უკუეთუ[10] ვითარ მიდრკეს, ბუნებასა

Ⴄ

სასჯელსა მოგუატყუებს[1]. ძმანო ჩემნო, მარადის სიკუდილსა იჳსენებდით და თუ სადა მიმავალ ვართ. რამეთუ ჴორცნი ესე მოკუდავ და წარმავალ არიან და სული უკუდავ არს მარადის. ვილუაწოთ აქავე სულთა ჩუენთათჳს, რამეთუ ყ̃ი ესე ჭირისაჲ არს, ხოლო საუკუნოჲ განსუენებისაჲ[2]. განვეკრძალნეთ ჟამისა მისთჳს საზარელისა, ოდეს განეშორებოდის სული ჴორცთაგან, რამეთუ დიდ არს შიში, ოდეს წარიყვანონ სული და მიაგებდენ მისაგებელსა საქმეთა მისთასა.

Ⴃ [1] რა A. [2] უკეთუ A. [2a] და მისი A. [3] რათა A. [4] უფროს A. [5] აღსრულება A. [6] განქარვებადთა A. [7] ჴელმწიფება A. [8] უფლებისა A. [9] გონება A. [10] უკეთუ A.

Ⴄ [1] მოგუატყუებს B. [2] განსუენებისაჲ B.

Ⴂ

ჴორცნი ესე ხრწნადნი და წარმავალნი[1] არიან, ხოლო სული უკუდავად დაადგრების მხოლო. ვიღუაწოთ[2], შვილნო, აქა[3] შინა. ნუ ვჰრიდებთ[4] თავთა ჩუენთა, ნუ განვსცემთ აზნაურებასა ჩუენსა ვნებათა მიმართ, მოვითმინნეთ[5] ტკივილნი წუთიერნი, რამეთუ ჟამი ესე ჰირისაჲ არს, ხოლო საუკუნოჲ[6] იგი—განსუენებისაჲ. ვსძლოთ აქა შინა მჴნედ ბრძოლითა მბრძოლსა ჩუენსა, რათა მერმესა მას შინა საძლეველნი გჳრგჳნნი მოვიხუნეთ. განვეკრძალნეთ ჟამისა მისთჳს საზარელისა, რაჟამს ჴორცთა ამათ ნივთიერთაგან განეშორებოდის სული, რამეთუ საშინელ არს ჟამი იგი, ოდეს საზარელნი[7] მჴედრობანი[8] ზეციერნი[9] მიუწოდდენ სულსა მიყვანებად იგი ადგილსა მისთჳს[10] განმზადებულსა და მიგებად მისა საქმეთა მისთაებრ კეთილთა გინა თუ ბოროტთა.

Ⴂ [1] წარმავალ C. [2] ვიღუაწო D. [3] აქასა E. [4] ვრიდებთ C. [5] მოვითმინოთ DE. [6] საუკუნე C. [7] საზარელნი]+იგი E. [8] მჴედარნი D. [9] ზეცისანი E. [10] ამისთჳს D.

Ⴀ	Ⴂ	Ⴃ

სულიერებრივსა მიიყვანოს, ჴორცთა მათ ნება დაამორჩილა[1], რომელი უკუდავებასა და ცხორებასა მოატყუებს. და უკუეთუ[2] მოდრკეს და სული იგი მიიყვანოს ნებასა ჴორციელებრივსა, დაამონოს სიკუდილსა და ხრწნილებასა. ესე[3] ორნი ნებანი ერთიერთისა წინააღმდგომნი გუქონან[3a], ვითარცა მოციქული იტყჳს: «ჴორცთა გული უთქუამს[3b] სულისათჳს, და სულსა—ჴორცთათჳს, და მჴდომ ხრიან ურთიერთას»*. და კუალად იტყჳს: «არა რომელი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვყოფ; უკუეთუ[2] იგი არა – მოწამე ვარ რჩულისა[4], რამეთუ კეთილ არს. აწ უკუე[2] არღარა მე ვიქმ ამას, არამედ რომელი-იგი იყო ჩემ თანა დამკჳდრებულ, არს ჩემ თანა ცოდვა. რამეთუ მე თანა-მდებ ვარ შჯულსა ღმრთისასა და ვხედავ სხუასა სჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი წინა-განეწყვების».**

ხედავ, ვითარ განცხადებულად გჳთხრობს ჩუენ მოციქული ორთა მათ ნებათა ერთიერთისა წინააღმდგომთა[4a], მბრძოლთა მათ: ერთსა ნებასა ბუნებითსა დაბადებულსა, რომელი იყო ადამისთჳს პირველ გარდასლვისა მცნებისა სამოთხესა შინა, ვიდრე სულიერ-ღა იყო და ნათანაელ(?); ხოლო ერთსა მას, რომელი შემდგომად ცთომისა დაემკჳდრა ჩუენ შორის არა ბუნებითა, არამედ შემუსრვილი გარეშე გულისა მის მზაკ⟨უ⟩ვარებითა. ამისთჳს არა თქუა მოციქულმან, ვითარმედ, რომელი-იგი დაბადებული არს ცოდვა, რომელნი წინა-განეწყვებიან რჩულსა[5] მას გონებისა ჩემისასა***. გულისჴმა-ყავთ, ძმანო, სიტყუათა ამათგან, უკუეთუ[2] ვინმე მიერჩდეთ[6] წინა-განწყობილთა მათ, წარტყუენულ არს იგი საძულელისა[7] მისგან ნებისა. ხოლო უკუეთუ[2] არა ჴორცთა საქმესა მოაკუდინებს, ჰგიეს იგი სულიერი უნებელად.

Ⴀ [1] დაამორჩილნა A. [2] უკეთუ A. [3] ეს A. [3a] გუქუონან A. [3b] სთქუამს A. [4] რჩეულისა A. [4a] წინააღდგომითა A. [5] რჩეულსა A. [6] მიერჩედეთ A. [7] სიძულელისა A.

* გალატ. 5,17. ** რომაელ. 7,15-17; 7,22-23. *** შდრ. რომაელ. 7,23.

Ⴀ Ⴁ Ⴂ

აწ გამოჩინებულ არს, ვითარმედ ჴელმწიფებასა ჩუენსა აქუს ორივე ესე ნებაჲ [1], დაღათუ ეშმაკისა იგი ნებაჲ [1] დაუცხრომელად მი⟨ი⟩ზიდავს ნებასა მას თჳსსა ბოროტსა ჴორციელთა მათ გულის-თქ⟨უ⟩მასა. არამედ იტყჳს იგივე მოციქული «შეუძლებელი იგი შჯულისა, რომელ უძლურ იყო ჴორცთა მათგან; ღმერთმან ძე თჳსი მოავლინა მსგავსად ჴორცთა მათ»* და მიიხუნა ჩუენნი ესე ჴორცნი თჳნიერ ცოდვისა, განწმედილნი ყოვლისაგა[6] პირველისა ადამის ცთომისა, რაჲთა [2] სიმართლე იგი შჯულისა⟨ჲ⟩ აღესრულოს ჩუენ შორის, «რამეთუ ზრახვაჲ [3] იგი ჴორცთა სიკუდილი არს, ხოლო ზრახვა სულისა ცხორება არს»**.

და ნანდჳლვე ზრახვა ჴორცთა სიკუდილი არს, რამეთუ მ⟨ა⟩ზრახებენ ჩუენ ყოველსა არაწმიდებასა. არა გარეშე ხოლო მტერი არს, არამედ თანამყოფი მარადის დაწოლასა და ა⟨ღდგო⟩მასა ყოველთა შინა საქმეთა შენთა. ეკრძალე მას, რაჲთა [2] არა ჩამოგინქრიოს ქვით [4], ვითარ შეგიძლოს. უწყალოდ გიჴმობს, ვითარცა მტერმან ამას. არამედ მინებს, რაჲთა [2] აღჳრ-ასხნეთ მას ნებასა ქუეშე სულიერებისასა, რაჲთა [2] ეგრეთ პირველსავე მას დაბადებულსა, რომელსა მიგუაქცივნა უფალმან ჩუენმან, რამეთუ დიდად დაბადებულ ხართ. უკუეთუ [5] ვითარ დაიცვეთ და არა მიხუდე ქუესა მას ადგილსა, რამეთუ სიბრძნესა ღმრთისასა ზიარებულ ხართ, რაზომ შესაძლებელ არს დაბადებულისა დამბადებელისა თანა! და ცხოველ ხარ და ვითარცა ანგელოზნი, და მოკუდავ—ვითარცა ცხოველნი უფსკრულთა უქუენასკნელეს და უმაღლეს, რაჲთა [2] შეუპყრობელ უდიდეს ყოველთა დიდთა და უმცირეს ყოველთა მცირეთა, და მოკუდავებასა შინა უკუდავ.

ესე არს დაბადებულებაჲ [6] შენი ორ კერძო. ამისთჳს არს იგი საკჳრველ, რამეთუ

Ⴀ [1] ნება A. [2] რათა A. [3] ზრახვა A. [4] ქუით A. [5] უკეთუ A. [6] დაბადებულება A.
* რომაელ. 8,3. ** რომაელ. 8,6.

ეპისკოპოს გაიოზის № ბიბლიოთეკა

Ⴀ Ⴁ Ⴂ

საკვრველთ - მოქმედისა არს ჭელოვნებისა. ესე განკვრდა ერთი იგი ვინმე წმიდათაგანი ღრმად გამომეტყუელი საკვრველსა მას შეზავებასა, უნდა, რაჲთამცა[1] განეშორა რასმე. განაგდო, რომელსა-იგი დჲკლებულად ხედვიდა, რომელ-იგი ვერ შემძლებელ იყო. მერმე უდრტჳნვიდა, თქუა ესრეთ: ჵ[2] ვითარ შევერთე[2a], არა ვიცი, და ვითარ ვარ ხატ ღმრთისა და შევეზილე თიჴასა თანა. ოდეს განმრთელდის—იბრძვინ, და ოდეს მოიკლის —მწუხარება არნ[2b]. მიყუარს ჩემ თანავე, მონა არს და განვეშორო ვითარცა მტერსა. ვივლტოდი კრულებისაგან და მრცხუენის[2b] მისგან, ვითარცა თანა-მკჳდრსა. მინებს, რაჲთა[3] დავადნო იგი, და არავინ არს შემწე ჩემდა კეთილისათჳს. მისგან მიჴმან[4] ცრემლნი, მისგან მარხვა, მღჳძარება, მისგან ვედრებისა შეწირვა და მრავალნი შრომანი კეთილნი, რომელნი თჳნიერ ჴორცთასა ვერ შესაძლებელ არიან. რამეთუ ვიცი, რა(ჲ)სათჳს ვარ. და ჴერ-არს ჩემდა, რაჲთა[3] აღვიდე ღმრთისა ჩემისა საქმეთა. გავრიდო, რამეთუ ჩემ თანა მოქმედი არს, და არა უწყი, ვითარ განვერე ზედა-მოსლვასა მისსა, რაჲთა[3] არა დავმძიმდე ბორკილითა, რომელი ჩამოიზიდავს ქუეყანად, და გამოვვარდე ღმრთისაგან. იგი არს მტერი მხიარული და მოყუარე ცრუ.

ჵ[2] შეკრებაჲ და განყოფაჲ[5], რომლისაგან მეშინის. დავიფარო, რომელი მიყუარს; მეშინის მისგან, პირველ ბრძოლისა დავეგო და პირველ დაგებისა ვჰბრძოდი[5a]. ამისთჳს გუყუნა, რაჲთა რკინობითა და ბრძოლითა ამათ ჴორცთაჲთა[6] მივხედვიდეთ მას დამდაბლებასა, რაჲთა იყოს შეკრებული ესე უსუსური სწავლაჲ მთავრობისაჲ[7], რაჲთა[3] უწყო-

Ⴀ [1] რათამცა A. [2] ჵოი A. [2a] არიან A. [2a] შევეერთე A. [2b] მრცხუენისა A. [3] რათა A. [4] მიჴმნ A. [5] შეკრება და განყოფა A. [5a] ვიბრძოდი A. [6] ჴორთა-თა A. [7] სწავლა მთავრობისა A.

ⴀ	ⴁ	ⴂ

დით, რამეთუ მაღალ და მდაბალ ვართ მკჳდრნი ნათლისანი ანუ ბნელისანი, სადაცა მიდრკეს. ესე არს შეზავებაჲ[1] ჩუენი, რამეთუ ოდეს ავმაღლდეთ ხატებითა მით, მიწისათჳს ვმცირდით. გულისჴმა-გიყოფიეს შეკრებაჲ[2] შენი და შინაგანი ბრძოლაჲ[3]. მიუდრეკელად იპყარ თავი შენი ყოვლადვე, ნუ მიერჩდები[3a] მერმესა მას და ბოროტსა განზრახვასა. და იხილე, რამეთუ სხუაჲცა[4] მტერი გივის, რომელმან შენ მაღლით ჩამოგაგდო და არა ოდეს განიზრახავს შენთჳს კეთილსა. და შეეწევის იგი ნებასა ჴორცთასა, უჴორცოჲ[5] იგი ფარაო ნათლისაგან ბნელად მიცვალებული განათლებულსა მას კაცსა, რომელსა იორდანე წარუვლიეს. მას მოჭკიდავს[6] თჳსსა მას თანა კრებულსა სიჭშოსა მას თჳსსა ბნელისასა და ჴელმწიფედ დაბადებულთა მონად თჳსა აიძულებს, რაჲთამცა[7] წარიქცივნეს იგინი ბაბილოვნად მრავალთა შემჭამელსა მას ჯოჯოხეთსა, რომელძ-იგი დანთქმულ არს ზღუასა მას ცეცხლისასა მისლვითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა[8], რომელი-იგი იშვა ქალწულისაგან, მეორე ადამ, ბუნებითა მით პირველისა მის ადამისითა თჳნიერ ხოლო ცოდვისა. ხოლო რომელთა განანათლნეს თავნი თჳსნი მისვე ნათლისაგან დაუსაბამოჲსა[9], დაშთეს იგინი შუებულნი, მხიარულებასა შინა ეგნეს უცთომელად, უკუდავსა და მახლობელსა ცხორებასა მას მოსწრაფებითა შემსჭუალულ სიყუარულსა მისვე ნათლისა განმანათლებელისასა უკუნისამდე.

ⴀ [1] შეზავება A. [2] შეკრება A. [3] ბრძოლა A. [3a] ასეა! A. [4] სხუაცა A. [5] უჴორცო A. [6] მიჭკისდავ A. [7] რათამცა A. [8] ჩუენისათა A. [9] დაუსაბამოსა A.

Ⴀ

და ვითარცა ესე და სხუანი მრავალნი მიიხუნეს, (ჰ)რქუა მათ: წარვედით და განამტკიცდებდით ქრისტეს სამწყსოთა მათ. და წარავლინნა რომელნიმე მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით, და ერთი ვინმე გარეშეთად, და სხუანი გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეუფოსა. ხოლო იგი(ნი) წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ჰალაკთა და რომელნიმე მთათა, ქუაბთა და ჴურელთა[1] ქუეყანისათა.

Ⴁ

ესე და ესევითარი ფრიად ასწავა იოვანე თჳსთა მოწაფეთა და ჰრქუა: წარვედით და განიმტკიცებდით ქრისტეს სამწყსოთა. და წარავლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა, და სხუანი გარემო ქალაქსა ჩუენსა. ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ჰალაკთა და რომელნიმე ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა.

ხოლო ეზდერიოს ქალაქსა სამთავისისასა. და ესრეთ განეშორნეს ურთიერთას[1] და დაეყუდნეს, ვითარცა სულმან წმიდამან სათნოიყო.

Ⴀ [1] ყურელთა A.

Ⴁ [1] ურთიერთარს B.

Ⴂ

ამათ და უმრავლესთა ამათთა სიტყუათა მიერ[1] განმსწავლელმან თჳსთა მოწაფეთამან სანატრელმან მამამან იოანე წარავლინნა იგინი ქადაგებად მოახლებასა ცათა სასუფეველისასა. ხოლო იგინი ვიდოდეს გზასა მათთჳს ბრძანებულსა ვითარ მიმღებელნი ჴელმწიფებისა დათრგუნვად გუელთა და ღრიანკელთა[2] და ყოველსა ძალსა მტერისასა. და თითოეული მათგანი წარვიდა ადგილად, სადაცა-იგი წარუძღუა მათ[3] სული წმიდაჲ, რამეთუ რომელნიმე კახეთით წარვიდეს, ხოლო ღირსი დავით გარესჯისა უდაბნოდ მიიწია.

და სანატრელი ეზდერიოს სამთავისისა[4] ჭალაკსა დაემკჳდრა. ხოლო ღმერთ-შემოსილი და საკჳრველთ-მოქმედი შიო[5] მღჳმესა მცხეთისასა, ქუაბსა რასმე[6] მცირესა მპოვნელი, მუნ შინა დაეყუდა. და ნეშტნი მათგანნი წარვიდეს უდაბნოთა ადგილთა მიმართ, მთათა შინა და ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა მოქმედნი მკჳდრობისანი.

და ესე ყოველნი იწამებოდეს დღითი-დღე სარწმუნოებისათჳს სიტყჳსაებრ მოციქულისა: ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძჳრ-ხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, ვინაჲთგან ეჯმნა მათ ყოველთავე მსოფლიოთა ზრუნვათაგან და უმრავლესნი ამათნი არცალა ხალენისა და თხის ტყავებისა[7] მომგებელ იყვნეს[8] და[9] ამათგანცა უღირსად მსჯელნი თავთა თჳსთანი. არამედ ტყავისა[10] ბუნებისა მიერ გარე მობლარდნილნი წინა-განეწყუებოდეს[11] ყინელთა ღამისათა და სიცხეთა დღისათა, მომჴსენებელნი და ვითარმედ და პირველნიცა მამანი, ვიდრემდის შიშუელნი[12] იყვნეს სიმარტივისათჳს და ცხორებისა უჴელოვნოჲსა და გარე-მომცველისა საფარველისა სამოთხესა შინა მგონებელ იყვნეს მკჳდრობასა. ხოლო ვინაჲთგან ურჩ ქმნითა ზრქელნი ესე ტყავისანი შეემოსნეს სამოსელნი ერთბამად ხისაგან ცხორებისა და[13] სამოთხისა. და ღმრთისა ექსორიაობა[14] შეემთხჳა. ამისნი გონებად მიმღებელნი მოსწრაფე იყვნეს შიშლოებისა[15] მიერ კუალად სამოთხეს შესლვასა.

ესევითარნი კეთილნი მუშაკნი და არა სასყიდლით დადგინებულნი წარივლინნეს[16] სანატრელისა მამისა იოანეს მიერ კეთილსა მას სამუშაკოსა, რომელთა კეთილად ესწავა მოძღურისა თჳსისაგან ანეულ ქმნაჲ ერქუნითა სწავლათაჲთა სულებსა მორწმუნეთასა და განრჩევაჲ იფქლისა ღუარძლისაგან, რომელსა მოშურნე იგი და მტერი კაცთაჲ დასთესავს მარადის გონებასა შინა მათსა გულის-სიტყუათა ბოროტთა შთათესვითა სულთა[17] შორის კაცთასა.

Ⴂ [1] მიერ]—DE [2] ღრიანკალთა CE. [3] მას CD. [4] სამთავისისა]—E. [5] შიოო D. [6] რასამე CE. [7] ტყავებსა C. [8] ეყვნეს D. [9] და]—CD. [10] ტყავითა CD. [11] განეწყვებოდეს DE, განეწყობვოდეს C. [12] შიშველნი C. [13] და]—D. [14] ექსორიობა CE. [15] შიშულობისა D. [16] წარავლინნეს CD. [17] სულსა C.

Ⴀ

5. და მოვიდოდეს მათა ყოვლით კერძო და აღეშენებოდეს სიტყუათა და საქმეთა მათთგან, რომელნი ექმნებოდეს მათ მიერ, განმტკიცნებოდა მათ მიერ სიმრავლე მორწმუნეთაჲ [1].

Ⴂ

5. და მივიდოდეს ქრისტეს მორწმუნენი წმიდათა მათ ბერთასა და მათ მიერ განსწავლულნი და სულითა აღშენებულნი წარვიდიან სახედ თჳსად. და დიდთა კურნებათა იქმოდეს შეწევნითა ღმრთისაჲთა და განამტკიცებდეს მორწმუნეთა.

ხოლო რომელნი-იგი წარმოეყვანნეს თანა მოსლვასა მისსა წმიდასა იოვანეს წმიდათა მოწამეთა ნაწილნი ურიცხუნი ფრიად, აქუნდეს იგინი წინაშე თუალთა მისთა, უფროჲს [2] ყოველთა საფასეთა ხედავნ მათ, ვითარცა გუნდთა მრავალთა გარე მოდგომილთა მისა. და ესვენ და ნუგეშინის ცემულ არიან მათ მიერ. და ნანდჳლვე დიდნი იგი საფასენი ყოველთა თუალთა უპატიოსნესნი, ძუალნი მოწამეთანი, მჴნეთა მჴედართანი, ღუაწლსა შინა უძლეველნი, რომელთა დასთხივნეს სისხლნი მათნი მისთჳს, რომელმანიგი თჳსითა სისხლითა მოგჳყიდნა ჩუენ ზღუდენი კაცთა ნათესავისანი. ჰირვეულ თუ ვინმე არნ [3], მათდა მიივლტინ, მოხარული მათვე მიირბიეს(!) ევედრებიედ მათ ჴმელისანი და ზღჳსანიცა. ხოლო მამასა იოვანეს წინაშე ეპყრნეს ნაწილნი იგი წმიდათანი, ვითარმცა ხედვიდა დღესა მას ღუაწლისა მათისასა, ეგრეთ ზრახავნ მათ და განიცდინ თითოეულისა სატანჯველთა გონებითა თჳსითა. ყოველთა დღეთა ეწამებინ [4] და შრომათა თჳსთა შემატებნ, ევედრებინ მათ და ამბორს-უყოფნ სურვილითა დიდითა. ოდესმე წარავლინებდა მოწაფეთა თჳსთა, მისცა მათ ნაწილთაგანი წმიდათა მოწამეთაჲ [5], რაჲთა [6] აქუნდეს სა-

ხოლო წმიდასა მამასა იოვანეს წარმოეტანნეს ქუეყანით თჳსით ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი. და წარგზავნასა მას მოწაფეთა მისთასა მისცა ნაწილთა მათგან, რაჲჲა მათითა მადლითა იცვებოდიან ყოველთაგანვე საფრჴეთა ეშმაკისათა. და დაიმჭირნა თავისაცა თჳსისა თანა, რაჲთა ყოვლადვე მათ მიხედვიდეს და გონებითა მათ თანავე იწამებოდის ყოველსა ჟამსა და იგინი აქუნდენ ნუგეშინის საცემელად სულისა და ჴორცთა.

Ⴀ [1] მორწმუნეთა A. [2] უფროს A. [3] არიან A. [4] ეწამებიან A. [5] მოწამეთა A. [6] რათა A.

Ⴂ

5. ამათ სანატრელთა მამათა მიმართ მივიდოდეს ვიეთნიმე ღმრთის მოყუარენი და ქრისტეს მორწმუნენი და მათ მიერ ისწავებდიან მოძღურებასა სულისა წმიდისა მყოფელთა. ხოლო სხუანი მრჩობლ კერძონი[1] სულთა და ჴორცთა სნეულად მქონებელნი უმეცრებისა მიერ კურნებასა მიემთხუეოდეს მეცნიერებად მოსრულნი წმიდათა ამათ მოძღურებისა მიერ, ვინაჲთგან ღმერთი დიდთა კურნებათა და სასწაულთა აღასრულებდა წმიდათა ამათ მამათა ვედრებისა მიერ, რომელთა ძლით განმტკიცნებოდეს გულნი მორწმუნეთანი მართლისა სარწმუნოებისა მიმართ, ხოლო ეშმაკნი შეშინებულნი დაუტევებდეს[2] ადგილთა თჳსთა და უშინაგანესთა უდაბნოთა მიმართ წარივლტოდეს და თანად საკერპონი დაირღუეოდიან[3] ღმრთის მეცნიერებად მოსრულთაგან სწავლითა ღირსთა[4] მამათაჲთა და ეკლესიანი აღემართებოდეს სადიდებელად ღმრთისა[5].

ხოლო ღირსსა იოანეს აქუნდეს[6] თავისა თჳსისა თანა ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი, რომელნი წარმოეტაննეს ქუეყანით თჳსით, და რაჟამს წარავლენდა მოწაფეთა თჳსთა, მისცემდა[7] თითოეულსა მათსა ნაწილთა მათგან წმიდათასა, რათა აქუნდეს მათ მცველად ყოველსა ცხოვრებასა შინა საეშმაკოთა სივერაგეთა მიმართ და თავისა[8] თჳსისა თანა იპყრა[9] ნაწილთაგანი[10] წმიდათაჲსა, რომელთა მიხედვითა სამარადისოდ მათ თანა იწამებოდის გონებითა. და იგინი მოეგნეს საუნჯედ და სიმდიდრედ თჳსად და ნუგეშინის-მცემელად ცხორებასა შინა თჳსსა. და ესენი ვიდრემე მოწაფეთა მისთათჳს წარმოვთქუენით.

Ⴂ [1] კერძო C. [2] დაუტეობდეს CE. [3] დაურღუეოდენ DE. [4] ღ˝ისათა D. [5] უფლისა C. [6] აქუნდა C. [7] მისცა CD. [8] თავისაცა C. [9] იპყრან ĆD. [10] ნაწილთაგან C.

Ⴀ

ფარველად თავისა მათისა და ეკლესიათაცა აღაშენებდენ სახელითა მათითა თჳთოეულისა საყოფელთა, რომელთა განემზადებოდის მადლისაგან ღმრთისა.

6. ნეტარი იგი ბერი მარტოდ იქცეოდა ერთისა მსახურისა თანა მათისა მთასა მას ზედა მოღაწუებითა დიდითა. და ლოცვაჲ[1] მისი აღვიდოდა ცად, აერთა განსწმედდა და განვლიდა ათიერსა. ხოლო კეთილის მოძულენი იგი ეშმაკნი, რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს[2] პირველითგან მთასა მას, ვერ დაითმენდეს მამისა ჩუენისა იოვანეს ლოცვათა და ვედრებათა, რამეთუ საწერტელ ექმნებოდეს, ვითარცა ისარნი განჴურვებულნი. დღესა ერთსა აღიძრნეს ყოველნი იგი ძალნი ბნელისანი და ვითარცა მიუჴდეს წმიდასა იოვანეს და იწყეს ბრძოლად მისა ბევრითა მანქანებითა, შეშფოთნეს[3] გარემოს მისსა, აშინებდეს, დღე და ღამე ზედა დაესხმოდეს, რეცა თუ ძალ რამე ედების. და აზმნობდეს კლდესა მას ჩამოგდებად.

ხოლო ნეტარი იგი ბერი აღიჭურვოდა ჯუარითა ქრისტესითა და არად შე(ჰ)რაცხდა მათსა მას ოცნებასა და[4] ეტყჳნ: ესერა ვარ, უკუეთუ შენდობაჲ[5] მიგიღებიეს.

Ⴁ

6. ხოლო ჰყვა ერთი მოწაფეცა, რომლისა მიერ ნუგეშინის-იცემებოდის. ხოლო ლოცვაჲ მისი აღიწეოდა და ჰაერსა განსწმედდა და განჰვლიდა ათერსა. ხოლო კეთილის მოძულენი იგი ეშმაკნი, რომელნი მუნ მკჳდრ იყვნეს პირველითგან, ვერ დაითმენდეს იოვანეს მამისა ჩუენისა ლოცვასა, და რამეთუ საწერტელ ექმნებოდეს ვითარცა ისარნი. ხოლო დღესა ერთსა აღიძრნეს და ზედა-მოუჴდეს წმიდასა იოვანეს და იწყეს ბრძოლად მრავლითა და თითო სახითა მანქანებითა. და გარე მოადგეს, აშფოთებდეს და ეტყოდეს: ვინ ხარ, ანუ ვინაჲ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე. და უკუეთუ არა წარხჳდე ამიერ, დიდნი და განსაკჳრვებელნი განსაცდელნი მოვაწივნეთ შენ ზედა.

ხოლო მან ჯუარითა ქრისტესითა აღიბეჭდა თავი თჳსი და ჰრქუა: აჰა ესერა, აქა ვარ, და უკუეთუ შენდობაჲ მოგიღებიეს ქრისტესგან, იქმოდეთ, რაჲცა გნებავს, რამეთუ მე მონაჲ ვარ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და არა მეშინის საფრჴეთაგან თქუენთა.

Ⴀ [1] ლოცვა A. [2] იყუნეს A. [3] შეშფოთდენ A. [4] და]+აჰა A. [5] უკეთუ შენდობა A.

Ⴂ

6. ხოლო სანატრელი მამაჲ ჩუენი იოანე დაადგრა მთასა მას ზედა და ერთი მხოლოდ მოწაფე დაიყენა მის თანა, რაჲთა აქუნდეს იგი ნუგეშინისსაცემელად[1] უძლურებისა თჳსისა. ხოლო თჳთ მისცა თავი თჳსი ფიცხელთა შრომათა მოღუაწებისათა და ყოვლადვე არა დასცხრებოდა ლოცვისაგან და მარხვისა სამარადისოჲსა, რომლისა მიერ სრულიად[2] განილინა ჴორცნი თჳსნი და მოუძლურებულ ყვნა იგინი. ხოლო სული განძლიერებული და გონებაჲ განწმედილი ნივთთაგან და ნაბრძჳლთაგან სოფლისათა ზე აქუნდეს წინაშე ღმრთისა ყოველსავე სახესა მოღუაწებისასა სრულმყოფელსა[3]. სრულიად დაევიწყა სხეული[4] და არარად შეერაცხნეს საშუებელნი სოფლისანი, ვითარ წარმავალნი და განხრწნადნი. ამას ესევითარსა მოღუაწებასა შინა მყოფსა ხედვიდეს რაჲ კეთილის მოძულენი იგი ეშმაკნი, განიხერხებოდეს შურითა და ვითარ მახჳლითა განიჴრებოდეს რისხვითა აღბორგებულნი, რამეთუ ვერ მოითმენდეს ესევითარად ხილვასა წმიდისასა, ვიდრელა დღესა ერთსა სრულიადისა ურცხჳნოებისა შემოსილნი[5] კადნიერებით ზედა მიუჴდეს წმიდასა იოანეს და მრავლად აშინებდეს მას მრისხანებასა და გულის წყრომასა სასტიკებით მაჩუენებელნი მისა მიმართ. და გარე მოდგომილნი შფოთებით ამბოხებდეს ჴმათა უშუერთა[6] განმტევებელნი, რათამცა შეაშინეს ბერი და განიოტეს მიერ. და რაჲსათჳს, ეტყოდეს, მოხუედ ადგილთა ამათ ჩუენთა, რომელი პირველითგანვე ჩუენ დავიმკჳდრეთ[7]? რაჲ არს შენი და ჩუენი, რამეთუ მძლავრებით[8] გნებავს მიღებაჲ ადგილთა ჩუენთაჲ? აწ უკუე, ჵ ბერო, არა თუ ნებსით[9] წარხჳდე ამიერ ადგილით, მრავალნი განსაცდელნი მოვაწივნეთ[10] შენ ზედა და მაშინ სადამე[11] უნებლიეთ იძულებულმან ისწაო უცხოთა საზღვართა არა მიხუეჭაჲ[12]. . .

ხოლო იგი ჯუარითა ქრისტესითა აღმბეჭდველი[13] თავისა თჳსისა «გარე მომადგეს და მომიცვეს მე,—იტყოდა,—და სახელითა უფლისაჲთა ვერეოდე მათ...ძალ ჩემდა[14] გალობაჲ უფლისაჲ და მეყო მე იგი მაცხოვარ... ღმერთსა ვესავ, არა შემეშინოს, რაჲ მიყოს მე მტერმან»*. ამისა შემდგომად მიქცეული ეშმაკთა მიმართ იტყოდა: ეჰა ესერა, აქა ვარ. და უკუეთუ[15] ჩემსაცა სხეულსა ზედა მოცემულ არს თქუენდა ჴელმწიფებაჲ ღმრთისაგან, ვითარ ოდესმე იობის ზედა, იქმოდეთ, რაჲცა გნებავს, რამეთუ მე მონაჲ ვარ უფლისა ჩემოსა[16] იესუ[17] ქრისტესი და არა მეშინის ქადებათა თქუენთაგან.

Ⴂ [1] მცემელად C. [2] სრულიად]—C. [3] სრულმყოფელსა]+რამეთუ C. [4] სოფელი E. [5] შემოსელი C. [6] უშვერთა D. [7] დავიმკჳდრენით CD. [8] მძლავრობით E. [9] ნეფსით C. [10] მოვაწინეთ D. [11] სადმე C. [12] მოხვეჭა E. [13] აღმბეჭდული D. [14] ჩემდა]+და DE. [15] უკეთუ E. [16] ჩუენისა CD. [17] იესუს CE.

* ფსალ. 117, 11, 14, 6.

Ⴀ

დღესა ერთსა ყოველი იგი სიმრავლე აღიძრა და გამოჩნდა ცხადად. გარე მოადგეს ნეტარსა იოვანეს და ეტყოდეს: რაჲსათჳს[1] მოხუედ აქა? და ერთმან მათგანმან, უმთავრესმან ეშმაკთანმან, უჴმო სახელით: იოვანე, რაჲსათჳს[1] გუაცილობ, ანუ ვინ⟨აჲ⟩ მოიწიე, ჩუენი არს ადგილი ესე და შენ ვერ ძალ-გიც ყოფად აქა. ანუ არა უწყია, რამეთუ კადნიერებამან მაგან შენმან ჩუენდა მომართ წარგწყმიდოს შენ სრულიად, რამეთუ ვერ ძალ-გიც ყოველსა მას სიმრავლესა წინააღდგომად და თავსა თჳსსა ნუ იცთუნებნ.

მიუგო ნეტარმან იოვანე და ⟨ჰ⟩რქუა მათ: კეთილისა განზრახვაჲ[2] არა ოდეს მიგიღებიეს ნათესავისა ჩუენისათჳს და მე ვითარ ვისმინო თქუენი? არამედ ადგილი თქუენი ბნელეთი არს, ივლტოდეთ მუნ. და მსწრაფლ ივლტოდეს ეგეოდენი იგი სიმრავლე ძალითა ქრისტესითა.

ჭ[3] მასმენელო, არა შენ ხარა, რომელმან ადგილი იგი მიმიღე, სამოთხე ფუფუნებისაჲ[4], რამეთუ ჩემი იყო და შენ ღონისძიება⟨ჲ⟩ ესევითარი მოიღე-ვე ადამისთჳს და გა-

Ⴁ

ხოლო უმთავრესმან მან ეშმაკთამან უჴმო სახელით: იოვანე, იოვანე, რაჲსათჳს გუაწყენ და ვინაჲ მოხუედ[1] აქა? აწ წარვედ ამიერ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე და ვერ ძალ გიც ყოფაჲ ჩუენ თანა. და უკუეთუ არა მისმინო, წარსწყმიდო თავი შენი, რამეთუ ვერ წინა-დაუდგამ სიმრავლესა ამას, რომელ გუხედავ. წარვედ და ნუ აცთუნებ თავსა შენსა.

ხოლო მიუგო წმიდამან იოვანე: კეთილისა განზრახვაჲ არა ოდეს გუადის ნათესავისათჳს ჩუენისა, რამეთუ უკეთურ ხართ და მზაკუვარნი და მტყუანნი და ამაონი. და აწ ვითარ ვისმინო თქუენი?

ესე ყოველი ზედა-მიწევნით ვიცი, რომელ არა გნებავს კეთილი კაცთათჳს. და რაჲ გეყვის ადგილი ესე, რამეთუ ცანი და ქუეყანაჲ ღმრთისა ჩუენისა შექმნულნი არიან და მას დაუბადებიან განსასუენებელად[2] ჩუენ მონათა მისთათჳს?! ხოლო თქუენთჳს განუმზადებია ბნელი გარესკნელი და ცეცხლი უშრეტი, რომელსა შინა დასჯად ხართ საუკუნოდ შენ და ყოველნი შემწენი შენნი და ყოველნი, რომელნი ნებასა შენსა ჰყვებიან.

და არა შენ ხარა, რომელმან სამოთხე იგი ფუფუნებისაჲ მომიღე ჩუენ, რამეთუ მოიღე ღონისძიებაჲ და მამაჲ ჩუენი ადამი სა-

Ⴀ [1] რასათჳს A. [2] განზრახვა A. [3] ჭოი A. [4] ფუფუნებისა A.

Ⴁ [1] მოხუჳდ B. [2] განსასუჳნებელად B.

Ⴂ

ხოლო უმთავრესმან მათ ეშმაკთამან ჴმა-ყო ღირსისა იოანეს მიმართ მრისხანებით და ეტყოდა: იოანე, იოანე, რაჲსათჳს გუაწყენ[1] ჩუენ და ვინაჲ მოხუედ აქა დამტევებელი ადგილისა თჳსისა? აწ უკუე მსწრაფლ წარვედ ამიერ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე და ვერ შემძლებელ ხარ ჩუენ თანა ყოფასა. და უკუეთუ არა ისმინო ჩუენი, ეტყოდა, წარწყმედისა[2] მომატყუებელ ექმნე[3] თავსა შენსა, რამეთუ ვერ უძლო წინა-აღდგომაჲ ძალისა და სიმრავლისა ჩუენისა⟨ჲ⟩. აწ ნუ აცთუნებ[4] თავსა შენსა[5], არამედ წარვედ ამიერ სხუათა ადგილთა მიმართ.

მაშინ მიუგო ბოროტთა მათ ეშმაკთა წმიდამან იოანე და ეტყოდა: ჵ ბოროტის მოყუარენო, კეთილისა[6] განზრახვაჲ არა ოდეს გნებავს თქუენ ნათესავისათჳს ჩუენისა, რამეთუ მზაკუარნი[7] ხართ და მტყუვარნი[8]. და ვითარ ვისმინო თქუენი ცრუთა და ამაოთა, რომელნი არასადა[9] განიზრახავთ უმჯობესსა კაცთასა, რამეთუ[10] მოსწრაფე ხართ ჯოჯოხეთად შთაგდებასა მათსა?

და ვითარ მეტყჳთ მე, ვითარმედ თქუენი არს ადგილი ესე? ანუ არა უფლისა არსა ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი სოფელი თანად და ყოველნი დამკჳდრებულნი მას შინა, რომელიცა სამკჳდრებელად ჩუენ კაცთათჳს მოუნიჭებია? ხოლო თქუენთჳს ბნელი გარესკნელი განუმზადებიეს და ცეცხლი უშრეტი, რომელსა შინა გეგულების თქუენ დასჯაჲ საუკუნოდ, და ყოველთა, რომელნი ჰყოფენ ნებათა თქუენთა.

და ვითარ მე უმჯობესად[11] განმაზრახებ ამიერ წარსლვასა, ჵ მზაკუვარო, რომელმან ზაკუვით ცთუნებითა განჭჳადე[12] მამაჲ ჩუენი ადამ სამოთხით განღმრთობისა წინამყოფელმან, რომელიცა აწ მოგჳლებიეს ქრისტე[13] იესუჲს მიერ. და აწ ესერა ადამის ნაშობთა მიერ იდევნებით ყოვლით კერძო, ვინაჲ

Ⴂ [1] გუაუწყენ D. [2] წარწყმენდისა D. [3] ექმენ C. [4] აწყინებ DE. [5] თჳსსა C. [6] კეთილის D. [7] მზაკვარნი C. [8] მტყუარნი D, მტყუვანი C. [9] სადაარა E. [10] რამეთუ] არამედ C. [11] საუმჯობესად D, საუმჯობესოდ C. [12] განჭჳადეთ E. [13] ქრისეტეს CD.

Ⴀ

მოჯადე იგი მიერ. და იყო გზა და ვიქმნენით საზრდელ სიკუდილისა შენითა მანქანებითა. ხოლო ღმერთმან ვერ დაითმინა თჳსისათჳს ხატისა სრულიად შეურაცხებაჲ[1], არამედ მოვიდა და პოვა იგი დაფლული სიღრმესა შინა და აღმართა იგი, განაახლა და განკურნა ყოველი იგი ნაგურემი შენი. და აჰა ესერა დღეს იდევნები ყოვლით კერძო ნაშობთა მისთაგან, რამეთუ განეფინნეს ნიჭნი იგი ყოველსა სოფელსა და არა არს შენდა ადგილ გარეშე ბნელეთი(სა), ვითარცა-იგი თჳთ თავით თჳსით მოიძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი, რამეთუ ანგელოზ იყავ და მჴდომ იქმენ, მაქებელ იყავ და მასმენელ დაგედვა. ხოლო ჩუენ შენ მიერ იგი ზაკ(უ)ვით აღთქმული ადგილით მოვიღოთ სრულებით. და აჰა ესერა საყოფელისა ამისგან ცად მივიცვალებით.

საწყალობელითა ჴმითა იტყოდეს: ვაჲ[2] ჩუენდა, რამეთუ სახელის-დებაჲ[3] იესუჲსა[4] ყოვლით ადგილით განგუას ხამს ჩუენ, ხოლო მისცემს ძალსა, რომელნი შეუდგეს მას, არამედ წარვიდეთ[4a] და უშინარესთა წარმართთასა დავემკჳდრნეთ მუნ. და მყის ვითარცა ნისლი ჴშირი და ბნელი გამოჴდა მთისა მისგან და უჩინო იქმნა და მიმართა ჩრდილოჲთ[5] კერძო. ხოლო ნეტარი იოვანე მად[ლობდა] ღმერთსა, ვითარ იხილა დაცემაჲ[6] და წარწყმედაჲ[7] მათი.*

Ⴁ

მოთხისაგან გამოჰჴადე და შენითა მანქანებითა სიკუდილსა მივეცით. ხოლო ტკბილი იგი და კეთილის მოყუარე ღმერთი კუალად მოწყალე იქმნა ხატად მისსა დაბადებულსა ზედა და შენ მიერ შეურაცხ-ქმნილი იგი და სიღრმეთა ჯოჯოხეთისათა დაფლული მოწყალებით კუალად აღადგინა და ზე აღმოიყვანა და სასუფეველი მიანიჭა. და რომელი-იგი შენ ზაკუვით უქადე და არქუ, ვითარმედ განღმრთობაჲ მოგეცესო, აწ ესერა მიგჳღებიეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ. და აწ ესერა ადამის ნაშობთა მიერ იდევნები ყოვლით კერძოვე და არა არს ადგილი შენი თჳნიერ ბნელისა მის გარესკნელისა, რამეთუ თჳთ მოიძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი. რამეთუ ანგელოზი იყავ და მჴდომ იქმენ და დაეცი უკეთურებისა შენისათჳს. აწ ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლტოდე მთისა ამისგან, რამეთუ ქრისტესა მოუნიჭებიეს ესე ჩემდა.

ხოლო ესე ყოველი რაჲ ჰრქუა წმიდამან იოვანე, აღუტევეს ყოველთა მათ ეშმაკთა ჴმაჲ გოდებისა და ვაებისაჲ და იტყოდეს: ჵ, რამეთუ სახელის-დებითა იესუჲსითა ყოველთა ადგილთაგან ვიდევნებით და ყოველთა მისცემს ძალსა, რომელნიცა შეუდგენ მას. გუალე, გუალე, წარვიდეთ უშინაგანესთა წარმართთასა და დავემკჳდრნეთ მუნ. და მეყსეულად

Ⴀ 1 შეურაცხება A. 2 ვაა A. 3 სახელის-დება A. 4 იესოსი A. 4a წარვედით A. 5 ჩრდილოთA. 6 დაცემა. A. 7 წარწყმედა A.

* ეს აბზაცი 44,19-ის გაგრძელებაა ნუსხაში. Ⴁ-თან მიმართებისათვის ჩვენ აქ გადმოვიტანეთ.

Ⴂ

თქუენ ივლტოდეთ ამიერ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და წარვედით შორს ადგილისა ამისგან, რამეთუ ქრისტესა ჩემდა მოუნიჭებიეს ესე.

ესე რაჲ თქუა წმიდამან იოანე, მყის ყოველთა მათ ეშმაკთა აღუტევეს ყოველთა ჴმაჲ ვაებისაჲ და გოდებით იტყოდეს: ვ̶ ჩუენდა [1], რამეთუ მოხუედ [2], სახელის-დებითა] იესუჲსითა ვიოტებით [3] ყოველთა ადგილთაგან და ძლეულად ვიხილვებით მათგანცა, რომელნი შეუდგენ მას, რამეთუ იგი ძლევასა მოანიჭებს ჩუენ ზედა. მოვედით, ვივლტოდით [4] ამიერ და წარვიდეთ უშინაგანესთა წარმართთა მიმართ და დავემკჳდრნეთ მათ თანა. და მეყსეულად სიტყუასავე თანა, ვითარცა ნისლი ბნელი გამოვიდა მთისა მისგან და მიმართა ჩრდილოთ კერძო და უჩინო იქმნნეს მიერითგან მის ადგილისაგან ყოველნი ეშმაკნი და წარვიდეს.

Ⴂ [1] ჩემდა C. [2] მხოლოდ C. [3] ვიოტებთ C. [4] ვივლტოდეთ E.

Ⴀ

ესმა საქმე ესე ყოველთა გარემოჲს[1] მყოფთა მთასა მას და იხილეს საკჳრველებაჲ[2] იგი დიდებული საკჳრველთ-მოქმედისა ღმრთისა⟨ჲ⟩ (რომელი იყო, ლოცვითა მამისა ჩუენისა იოვანესითა), რომელმან აღასრულის ნებაჲ[3] მოშიშთა მისთაჲ[4]. რამეთუ იცოდეს წინაჲთვე[5] სიბოროტე იგი მათი ეშმაკთაჲ[6], რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს[7] ადგილსა მას, და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ნეტარი იგი ბერი იქცეოდა მთასა მას მარტო და მოწაფისა მისგან თჳსისა იმსახურებოდა. დღითი-დღე განაახებდა თავსა თჳსსა, ისწრაფდა, რაჲთა[8] არა ცალიერი ეჩუენოს თჳსსა უფალსა, არამედ კეთილნი საქმენი მიიხუნეს ძღუნად ყოველსა დღესა წინაშე მისსა[9].

რამეთუ მთაჲ[10] ეს[ე] პირველ ურწყული იყო და ყოვლადვე ვერ საპოვნებელ წყალი გარემოს მისა, დაღათუ მრავალი ღონისძიებაჲ[11] იყო პირველთა მათ გოდოლსა შინა მყოფთა წარმართთაჲ[12], რამეთუ ვერ შემძ[ლებელ იყვნეს წყლისა აღმოყვანებად ფიცხე]ლითა თხრითა ჴმელსა მას ქუეყანასა. ხოლო ნეტარი იოვანე ხედვიდა თჳსისა მის მოწაფისა შრომათა დიდთა, ვითარ-იგი აღიკდის[12a] წყალი ძირით მის მთისაჲთ[13] და აღიღის საჴმარად მის ბერისათჳს. რამეთუ არს ადგილი იგი ყოვლით კერძო აღსავალი ფიცხელ და აღმართი გრძელ. და შეეწყალა ბერსა მოწაფე იგი თჳსი ელია, ილოცვიდა და ევედრებოდა უფალსა თჳსსა, რაჲთა[8] მოსცეს მას წყალი მახლობელად.

მაშინ, რომელმან მოსცა წყალი უდაბნოსა ერსა თჳსსა ისრაელსა ჴელითა მოსე-

Ⴁ

ვითარცა ნისლი ჴშირი გამოჴდა მთისა მისგან და მიჰმართა ჩრდილოჲთ კერძო და უჩინო იქმნნეს.

ხოლო ესმა რაჲ ესე ყოველთა გარემოჲს მყოფთა მთასა მას, რომელ იგი ყო ღმერთმან ლოცვითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა, ყოველთა მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, რამეთუ იცოდეს სიბოროტე ეშმაკთაჲ მათ, რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს[1] მთასა მას და იტყოდეს: ჭეშმარიტად ჰყოფს ღმერთი ნებასა მოშიშთა მისთასა.

ხოლო ნეტარი იგი ბერი იყოფებოდა მთასა მას და ისწრაფდა კეთილთა საქმეთა დაუნჯებასა, რაჲთა არა ცალიერი წარმოუდგეს უფალსა თჳსსა. და იწყო ძლიერსა მარხვასა და ლოცვასა, რაჲთა კეთილნი საქმენი მიართუნეს უფალსა.

ხოლო მთაჲ იგი იყო პირველ ურწყული და წმიდაჲ იოანე ხედვიდა მოწაფისა მის ფიცხელთა შრომათა და ოფლთა, რამეთუ აღიკიდის წყალი ძირისა მისგან მთისა და მოართჳს საჴმარად ბერსა. შეეწყალა და ცრემლით ევედრა ღმერთსა, რაჲთა აღმოუცინის წყალი მაღალსა მას ქედსა ზედა.

ხოლო ძუელ[2] ოდესმე, რომელმან მოსცა წყალი ისრაჱლთა

Ⴀ [1] გარემოს A [2] საკჳრველება A. [3] ნება A. [4] მისთა A. [5] წინათვე A. [6] ეშმაკთა A. [7] იყუნეს A. [8] რათა A, [9] მისა A. [10] მთა A. [11] ღონისძიება A. [12] წარმართთა A. [12a] აკლდიხ A. [13] მთისათ A.

Ⴁ [1] იყუნესB. [2] ძუჱლ B.

Ⴂ

და ვითარცა ესმა ესე ყოველთა, რომელნი მკჳდრ იყვნეს გარემოჲს მთასა მას, რაჲ-იგი ყო ღმერთმან, და ვითარ განიდევნნეს ეშმაკნი ლოცვითა წმიდისა იოანესითა, ყოველთავე დიდებაჲ შეწირეს ღმრთისა, რამეთუ იცოდეს სიბოროტე ეშმაკთა მათ მთასა მას ზედა დამკჳდრებულთა, ვინაჲთგან მრავალთა ვნებათა მიაწევდეს მახლობელთა მათთა ზედა ბოროტნი იგი სულნი, რომლისათჳსცა განკჳრვებულნი სასწაულთა ამათ ზედა ყოველნივე გარემოჲს მკჳდრნი ზარ-განჴდილნი იტყოდეს: ჭეშმარიტად საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, რომელი ჰყოფს ნებასა[1] მოშიშთა ნისთასა და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ მისი უკუნისამდე.

ესევითარი მადლთა და ნიშთა მიერ ბრწყინვიდა ღირსი ესე მამაჲ ჩუენი და ყოველთავე სათნოებათა მიერ განმდიდრებულ იყო, რამეთუ მარადის მღჳძარე გონებითა და განკრძალული სულითა მოვლიდის[2] მოწაფეთა[3] თჳსთა[4] ყოველსავე ჟამსა შინა, რათა არა პოოს დაჴსნილი უდებებითა და განუმზადებელი დღისა მისთჳს უცნაურისა, რომელსა შინა მოსრული სიძე იგი განწმედილთა სულთა მოუწოდს[5] განმზადებულთა და შემკობილთა შესლვად სასძლოსა ცათასა, ვინაჲცა მარხვასა ზედა დასძენდა მარხვათა და ლოცვასა —კუალად ვედრებათა და ფსალმუნებასა.

ხოლო მთაჲ, რომელსა ზედა დამკჳდრებულ[6] იყო ნიშებ-შემოსილი ესე მამაკაცი, ურწყულ[7] იყო პირველად, და, ხედვიდა რაჲ ფიცხელსა შრომასა და ოფლთა მოწაფისა თჳსისათა, რომელთა მოითმენდა მოღებასა შინა წყლისასა (რამეთუ ალიკიდის სარწყული და შთასრული ძირსა მის მთისასა, მიერ აღმოიღებდის წყალსა საჴმარად[8] ბერისა შეეწყალა იგი ბერსა), და ცრემლით ევედრა ღმერთსა, რათა რომელმან-იგი უდაბნოს ისრაჱლსა წყალი უდინა კლდისაგან მყარისა, მანვე და აქაცა მთასა მას ზედა აღმოუცენოს მათ[9] წყაროჲ ნუგეშინის-საცემელად მათთჳს.

ხოლო[10] ღმერთმან შეისმინა ვედრებაჲ მსახურისა თჳსისაჲ და ჴმელსა მას და უნოტიოსა მიწასა, ანუ თუ უფროჲსღა კლდესა ზედა აღმოეცენა მას[11]

Ⴂ [1] ნიშებსა DE. [2] მოელოდის C. [3] მოწაფესა D| მეუფესა C. [4] თჳსსა AB. [5] მოუწოდდეს C. [6] მკჳდრ C. [7] ურწყული C. [8] საჴმარად D. [9] მათ]—DE. [10] ხოლო]—CD. [11] მას]—C.

Ⴀ

სითა, მონისა თჳსისაჲთა [1], და გამოუტევნა მდინარენი კლდისაგან ჴმელისა ცემითა კუერთხისაჲთა [2], განარინნა ათორმეტნი ნათესავნი, ძენი ისრაელისანი, ბანაკი იგი დიდი არა ერთ გზის, ანუ ორ გზის, არამედ მრავალ გზის, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული: «რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელსაცა შეუდგეს, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე»*. კლდე იგი სახე ქრისტესი იყო და კუერთხი იგი—აჴრდილი ჯუარისაჲ [3]. და რამეთუ ნეტარიცა იგი ყოვლადვე შეუდგა ქრისტესა, რომელმან ისმინა ლოცვაჲ [4] მისი, და იყო მეყსეულად ვედრებასა მისსა ადგილსა მას, სადა ჯუარი ქრისტესი აღემართა, და ვითარცა [5] კუერთხისა მის წილ მოსესისა ჯუარითა მით სცა ჴმელსა მას ქუეყანასა, რომელ [5a] არავის ეხილვა ყოვლად წყალი მუნ, და გამოჴდა წყალი ტკბილი, გრილი და ფრიად შუენიერი მდიდრად, რომელი დღეს დის მყოფთათჳს მის მონასტრისათა და არა ხოლო თუ მათ კმა-ეყოფვის, არამედ სიმრავლისათჳს დიდძალისა.

და ვითარცა იქმნა სასწაული ესე დიდი, მოვიდეს ყოვლით კერძო ხილვად, რამეთუ იცოდეს გარემო(ჲ)ს მკჳდრთა [5b] მათ, ვითარმედ წყალი არა იყო ადგილსა მას. ხოლო მადლითა მის წმიდისა(ჲ)თა წყაროჲ [6] იგი იქმნა არა თუ სამსახურებელად, არამედ კურნებანიცა მრავალნი იქმნებოდეს. მოაქუნდა უძლურები ფერად-ფერადი და ეშმაკეულები, და რაოდენნი იცხებდეს მის წყარო(ჲ)საგან, განიკურნებოდეს. და წარაქუნდა იგი შორად სოფლად. ხოლო რომელნი სარწმუნოებით მოვლენ, დღენდელად დღედ[illegible] ე სარგებელ ეყოფვის.

ხოლო შენებაჲ [7] არა ინება მას ადგილსა, არამედ ვითარცა არს წესი მარტოდ

Ⴁ

უდაბნოს მოსეს მიერ, მონისა თჳსისა, და კლდესა ჴმელსა გამოეცნეს წყალნი და განაძღონა ათორმეტნი ნათესავნი, მანვე სახიერმან ღმერთმან შეისმინა ვედრებაჲ წმიდისა მის ბერისაჲ და ჴმელსა ქუეყანასა მთასა მას ზედა აღმოუცინა წყალი ტკბილი და გრილი, რომელი მოაქამომდე დის სადიდებელად ღმრთისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა.

და ვითარცა იქმნა სასწაული ესე და განითქუა მათ მიერ, რომელნი გარემოჲს მთასა მას მკჳდრ იყვნეს, რამეთუ ყოველთა იცოდეს, ვითარმედ არა იყო წყალი ყოვლად მთასა მას, ამისთჳსცა მოვიდოდეს ყოვლით კერძო. და მოაქუნდა უძლურები და სჳან რაჲ და იცხიან, ყოველნი განიკურნებოდეს. და რომელნიცა სარწმუნოებით მოვლენ, ვიდრე აქამომდეცა სარგებელ ეყოფვის.

ხოლო შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება, არამედ მარტოდ

Ⴀ [1] თჳსისათა A. [2] კუერთხისათა A. [3] ჯუარისა A. [4] ლოცვა A. [5] ვითარმცა A. [5a] რომელი A. [5b] მწყდართა A. [6] წყარო A. [7] შენება A.

* I კორინთ. 10,4

Ⴂ

წყალი ტკბილი[1] და გემოვანი, რომელი ვიდრე აქამომდე მდიდრად აღმოეცენების სადიდებელად ღმრთისა და მონისა მისისა იოანესსა.

და ვითარცა განითქუა სასწაული ესე მახლობელთა მიმართ და გარემოჲს მკჳდრთა მის მთისათა, თუ ვითარ ლოცვითა წმიდისა მის კაცისაჲთა აღმოეცენა წყალი მთასა მას ზედა, რამეთუ ყოველთავე იცოდეს, ვითარმედ[2] განჴმელი და ურწყული იყო პირველად, ამისთჳსცა მოვიდეს მისა[3] ყოვლით კერძო მტჳრთველნი უძლურთა და რომელთავე ვნებათაგან შეპყრობილნი[4], და სჳან[5] რაჲ წყლისა მისგან და დაიწვეთიან[6] რომელსავე წყლულსა ზედა, მეყსეულად კურნებასა მიემთხუეოდიან და ვიდრე აქამომდე, რომელნი სარწმუნოებით მიიღებდეს წყლისა ამისგან, სარგებელ ექმნის მათ ლოცვითა წმიდისა მამისა იოანესითა.

ხოლო შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება[7] ღირსმან იოანე[8], არამედ ქუაბსა რასამე[9] მცირესა მპოვნელმან მთასა მას ზედა, მუნ შინა დაასრულა

Ⴂ [1] ტკბილნი C. [2] ვითარ C. [3] მოვიდოდეს მისსა C. [4] შეპყრობილთანი D. [5] სვიან D. [6] დაიწთვიან C. [7] ენება D. [8] ხოლო შენებაჲ ... იოანე]—E. [9] რასმე C.

Ⴀ

მყოფობისაჲ[1], იყოფვოდა; ნაპრალსა მას კლდისასა ეპოვნა ქუაბი მცირე, რომელსა შინა აღასრულა მწირობაჲ[2] სარწმუნოჲსა[3] ამის ცხორებისა(ჲ) „ნაკლულევანებითა დიდითა ჭირვეული, ძჳრ-ხილული, რომლისათჳს ღირსვე არა იყო სოფელი ესე“*, და შემდგომი ამისი.

და ვითარ განამრავლებდა უფალი მის მიერ სასწაულებსა მას, განჴდა ამბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა და გამოუბრწყინდა ვითარცა მთიები განთიადისაჲ[4], რომელმან ფარულად ადიდა ღმერთი და მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი და დაიტია ნათელი იგი დიდი მაღლით მოყვანებული, რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო, ვითარმცა ვინ აღანთო სანთელი და დაფარა ქუეშე ჭჳმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, რაჲთა[5] ნათობდეს კაცთა**. დალათუ უნებნ მათ, რაჲთამცა[6] დაფარნეს თავნი თჳსნი, ვითარცა მენელსაცხებლემან რაჲ[7] აღავსის შივშაგი[8] სულნელითა და შთააგდის იგი სხუასა ჭურჭელსა და შეხჳს[8a] იგი კეთილად, და (ჰ)კიდის იგი წარღებად, სადაცა (ჰ)ნებავნ. და (ჰ)გონებნ მესურნელე იგი, ვითარმედ დაფარულად აქუს მას, ხოლო ყოველთა მათ, რომელნი მიეახლნენ, ეცემინ სისურნელე მის ნელსაცხებელისაჲ[9]. ესრეთვე კეთილნი საქმენი ვერ დაიფარნიან, დალათუ არა (ჰ)ნებავნ მოქმედთა მათ.

დღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დიაკონი მივიდა წყაროსა მას ღმრთივ მოცემულსა მოღებად წყლისა. და მუნ დგა, წყაროსა მას თანა, დათჳ[10] მაღნარისაჲ[11] დიდი და საშინელი ფრიად. და შეეშინა ფრიად ნეტარსა ელიას და გარე-იქცა და უთხრა დიდსა იოვანეს. ხოლო იგი მოვიდა და ეტყოდა დათუსა მას: უკუეთუ[12] არა გისუამს

Ⴁ

მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ პოვა მუნ ქუაბი რაჲმე მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი. და იყოფებოდა „ჭირვეული და ძჳრხილული, რომლისა ღირსი არა იყო სოფელი ესე“*. ხოლო თჳსითა მოქმედებითა გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი განთიადისაჲ.

და განჴდა ჰანბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, რომელმან აღანთო სანთელი და ქუეშე ჭჳმირსა დადგა, არამედ სასანთლესა, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა**. დაღაცათუ ენება დაფარვაჲ თავისა თჳსისაჲ, ეგრეცა ვერ დაფარა, ვითარცა მენელსაცხებელემან რაჲ აღავსის შივშაგი ნელსაცხებელითა და შთადგის სხუასა ჭურჭელსა და შეხჳს[1] და ჰგონებდის დაფარვად მისსა. ხოლო რომელნი მიეახლნიან, ეცის სულნელებაჲ ნელსაცხებელისაჲ. ესრეთ ადიდა იგი ღმერთმან და ღმერთიცა იდიდებოდა მის მიერ.

ხოლო დღესა ერთსა მივიდა წყაროსა მას ზედა მოწაფე იგი მისი, რაჲთა მოიღოს წყალი. და ზედა დგა დათჳ დიდი. და შეეშინა და უკუნ-იქცა და უთხრა ბერსა. ხოლო ბერი მივიდა და ჰრქუა დათუსა მას: უკუეთუ არა გისუამს, სუ და წარვედ. და გეტყჳ: ამიე

Ⴀ [1] მყოფობისა A. [2] მწირობა A. [3] სარწმუნოსა A. [4] განდიადისა A. [5] რათა A. [6] რათამცა A. [7] რა A. [8] შივშა იგი A. [8a] შეხჳა A. [9] ნელსაცჴებელისა A. [10] დათჳთ A. [11] მაღნარისა A. [12] უკეთუ A.

Ⴁ [1] შეხჳის B.

* ებრ. 11, 37—38. ** შდრ. მათე 5,15.

ⴂ

ცხორებაჲ თჳსი. და სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა გამობრწყინდა ვითარცა მზე.

და განითქუა ჰამბავი[1] მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა. რამეთუ მადლთა სიმრავლე ურიცხჳ[2] და საკჳრველთ-მოქმედებანი განაცხადებდეს მათ ყოველთა მიმართ, ვინაჲთგან ესრეთ უწყის ღმერთმან დიდებაჲ მადიდებელთა თჳსთა ძალთა და ნიშებთა სიმრავლისა მიერ.

ხოლო დღესა ერთსა მივიდა[3] ოდესმე მოწაფე ამის ღირსისაჲ წყაროსა მას ზედა, რომელი ლოცვითა წმიდისაჲთა აღმოცენებულ იყო. და ვითარცა მიეახლა, იხილა, რამეთუ მდგომარე იყო მას ზედა დათჳ[4] ყოვლად დიდი. და შეშინებული, რაოდენ ეძლო, სრბით მიიწია ბერისა მიმართ და მიუთხრა მას დათჳსათჳს, რომელი[5] ეხილვა[6] წყაროსა[7] ზედა. ხოლო ბერი აღდგომილი შეუდგა მოწაფესა თჳსსა წყაროჲსა მიმართ და მხილველი დათჳსაჲ სიმშჳდით იტყოდა მისა მიმართ: სუ[8], უკუეთუ გწყურის და წარვედ, ხოლო გეტყჳ შენ, ამიერითგან ნუ ვის ავნებ მთასა ამას შინა დამკჳდრებულსა[9] კაცთაგანსა, ნუ-

ⴂ [1] ანბავი D, ამბავი C. [2] ურიცხჳი D. [3] მივიდოდა C. [4] დათვი DE. [5] რამეთუ C. [6] იხილა E. [7] წყალსა DE. [8] სვი DE, სუი C. [9] დამკჳდრებულთა C.

Ⴀ

წყალი ეგე, სუ[1] და ვიდოდე. და რჩული დაუდვა მას და (ჰ)რქუა: სახელითა უფლისა ჩუენ[ისა] იესუ[2] ქრისტესითა გეტყჳ, ნულარამცა გაქუს ფლობაჲ[3] ბოროტებად და ვნებად მათა, რომელთა შეემთხუეოდე კაცთა მთასა მას ზედა. და ვითარ მოიღო ბრძანებაჲ[4] მჴეცმან მან ბერისაგან, განსწავლა არა ვისა ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მეტყუელსა უკუმოხედვიდა, თავი შოედრიკა და მყუდროებით მორჩილებისა[5] სახესა აჩუენებდა. და ყოვლადვე მჴეცებრივი ბუნება(ჲ), არცა სივლტოლაჲ[6] [ეჩინა], რამეთუ ცვალა თჳსი იგი სიბოროტე და გარდაიქცა კეთილად. და ლოცვითა მის წმიდისაჲთა[7] მოაქამომდე რომელთა შეემთხუეოდა, ვითარცა ცხოვარი მშჳდი თანა-წარვალს. და არა საკჳრველ არს ესე, რამეთუ იციან მჴეცთაცა პატივისა-ცემაჲ[8], მმართებელთა მიხედ(ვ)ენ და ნათელსა.

რომელი-იგი ჯურღმულსა შორის მჴეცთასა შთავარდა და პირი დაუღო პირველითგან საზრდელ-მოკლებულთა და ფრიად მშიერთა ლომთა, მათ შორის ვითარცა ქვაჲ[9] ანდამატისაჲ[10] განუტეხელი იდვა და ყოვლადვე ვერ იკადრებდეს შეხებად მისა მჴეცნი იგი, არამედ მოუჴდეს და ლოშნიდეს ფერჴთა მისთა. და ვითარცა იტყოდეს, ესე იგი ჴორცნი არა არიან, რომელნიცა[11] ჩუენ საზრდელ გუექმნეს, ვინაჲთგან[12] არა თავს-იდვა მან ტაბლისაგან სამეუფოჲსა[13] სანოვაგეთა გემოჲს ხილვაჲ[14], გარნა თესლსა ხოლო. ამან სამთა შჳდეულთა პური არა ჭამა და წყალი არა სუა. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა[15], ვისწავლნეთ მმარხველთა იგი პატივისა პყრობაჲ[16].

ხოლო ნეტარმან მან ბერმან თჳსითა ფიცხელითა[17] შრომითა მარხვისა(ჲ)თა არა

Ⴁ

რითგან ნუ ვის ავნებ კაცთაგანსა, რაჲამს შეგემთხჳოს კაცი მთასა ამას ზედა. და ეგრეცა იქმნების აქამომდე, არა ოას ავნებს დათჳ ყოვლად. ხოლო ვითარცა ესე ჰრქუა ბერმან დათუსა მას, მორჩილ ექმნა ვითარცა მონაჲ, და თავ-დადრეკით და მყუდროებით წარვიდა.

ჵ ძმანო, რომელთა გესმის, გულისჴმა-ყავთ აწ საკჳრველებაჲ და დიდებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ ვითარცა ძუელ[1] ოდესმე დანიელ დაამდოვრნა მჴეცნი მღჳმესა მას შინა მარხვისა მისთჳს, რომელი საღმრთოჲსა სჯულისათჳს დაიმარხა, და არა შეეხო ყოვლად საზრდელსა ქალდეველთასა, ეგრეთვე ლოცვითა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲთა მშჳდ და უვნებელ იქმნეს მჴეცნი მთისა მის მისისანი.

Ⴀ [1] სუუ A. [2] იესო A. [3] ფლობა A. [4] ბრძანება A. [5] მორჩილობისა A. [6] სივლტოლა A. [7] წმიდასათა A. [8] ცემა A. [9] ქვა A. [10] ანდამატისა A. [11] რომელმანცა A. [12] ვინათგან A. [13] სამეფოსა A. [14] გემოს ხილვა A. [15] რათა A. [16] პყრობა A. [17] ფიცხელით A.

Ⴁ [1] ძუშლ B.

Ⴂ

ცა ერთსა ვის. ესე სიტყუაჲ რაჲ ესმა დათუსა ბერისაგან, ვითარცა მონაჲ მორჩილი და შეკდიმებული ღირსისაგან თავ-დადრეკით და მყუდროებით წარვიდოდა. ესრეთ უწყოდა სჯულის დებაჲ[1] უსიტყუთა ცხოველთაცა კეთილმან ამან სჯულის მდებელმან[2], რამეთუ მიერითგან ვიდრე აქამომდე ესრეთ დამმარხველ არიან მცნებასა წმიდისასა უსიტყუთ-ნათესაობანი[3] ამათ მჴეცთანი, ვიდრელა და უკუეთუ ვიეთმე შეემთხჳნენ მთასა ამას ზედა, მყის სრულ ჰყოფენ ბრძანებულსა წმიდისასა და მართლ უკუნ ქცეულნი სხჳსა ადგილისა მიმართ, ჰყოფენ სლვასა თჳსსა არა რომელსა ვნებასა შემამთხუეველნი კაცთათჳს.

ესე სასწაული მრავლად ზესთა ჰმატს[4] დანიელისსა[5], რამეთუ მან ლოცვისა მიერ მხოლოდ თავი თჳსი დაიცვა ლომთაგან უვნებელად და ესე მაშინ მღჳმესა შინა მის თანა შეყენებულთაგან მხოლოდ, ხოლო დიდმან ამან და საკჳრველმან მამამან[6] ნაშობნიცა მის მიერ ხილულისა დათჳსანი[7], განსწავლნა, ვითარცა პირველი იგი, არა მხოლოდ მისდა არა ვნებად, არამედ და არცაღა სხჳსა ვის კაცთაგანისა მთასა მას ზედა მავალისა, რომელსაცა[8] ვიდრე დღენდელად[9] დღედმდე დამცველ არიან დათუნი ამის მთისანი.

Ⴂ [1] შჯულის დებაჲ DE. [2] შჯულის მდებელმან DE. [3] უსიტყუთა ნათესაობან C. [4] მატს C. დანიელისასა DE. [6] მამამან]+და C. [7] +და]—DE [8] რომელსა C. [9] დღეინდელად DE.

Ⴀ

თავს-იდვა, [რაჲთამცა] თჳსისაგან ხოლო განეყენა მჴეცი იგი ჴორცის მჭამელი, არამედ ვითარცა მოციქული წარივლინა თჳსთა მიმართ მოციქულთა, ნათესავთა და მოყუარეთა, რამეთუ ნაშობნი ნაშობთაცა მათთა ნათესავთა[...*], რაჲთა[1] არავის ავნონ. და მცნებაჲ[2] იგი აღჴრ-ექმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოალბნა(!), და ჰგიან ვიდრე დღენდელად დღედმდე მთასა მას და არავის ავნებენ[3].

მრცხუენინ და შევწუხდი, ესეღა მესმინ, ვითარ მჴეცებრივსა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ე! მინა სიტყუაჲ[4] იგი წმიდათაჲ[5], და ჩუენ მჴეცთა უბოროტესად გამოვჩნდით, ყოფილთა მათ შორის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუასმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. დაყენებულ ვართ ჴორცის ჭამისაგან და ჴორცთა[6] მოყუსისა ჩუენისათა ვცოხნით[7]. მჴეცთა მათღა თუ ვემსგავსნეთ და არა ⟨ჴორცის?⟩ მჭამელ კაცთა. მიგჳღებიეს მცნებაჲ[8] ღმრთისაგან, [რაჲთა] შევიყუაროთ მოყუასი ვითარცა თავი თჳსი**, ხოლო ჩუენ ვაიძულეთ იგი თავისა თჳსისა თანა, რაჲეთუ[9] სიძულილი მოყუსისაჲ[10] სიძულილი არს თავისა თჳსისაჲ[11], მომატყუებელ ამისსა არს შური.

Ⴁ

ხოლო მრცხუენის[1] ამისთჳს, რამეთუ მჴეცებრივსა ბუნებასა და უტყუსა ესმნეს სიტყუანი მისნი და აწ ნაშობნი და ნაშობის ნაშობნი აღასრულებენ ბრძანებასა წმიდისა მამისა იოვანესსა, ხოლო ჩუენ მჴეცთა და პირუტყუთა უბოროტეს გამოჩენილ ვართ, რამეთუ დღითი-დღე აღმოვიკითხავთ ყოფილთა მათ და მოცემულნი მცნებანი გუესმიან[2] და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. განყენებულ ვართ ჴორცისა ჭამისაგან და ჴორცსა მოყუასთა ჩუენთასა ვცოხნით. მცნებაჲ მოგჳღებიეს, რაჲთა ვიყუარებდით ურთიერთას[3], ხოლო ჩუენ უდებ გჳქმნიეს ბრძანებაჲ იგი უფლისაჲ და უწყოდეთ, რამეთუ თანა-მდებ ვართ სასჯელისა.

Ⴀ

ჭ[12] მოშურნეო, განეყენე შურსა. შური სიკუდილი არს, ივლტოდე მისგან, რა(ჲ)თა არა მოკუდე. ნუ შურობ წარმატებულთა სათნოებითა და აღიარე, ვითარმედ მოშურნე ხარ. ქებულ არს შური—სიყუარული იგი სიკუდილისათჳს. ესე ცხორებისათჳს მჴსნელ და

Ⴁ

განვიფრთხოთ ამიერითგან, ძმანო ჩემნო, განვიფრთხოთ და განვაგდოთ ჩუენგან შური და მედგრობაჲ და ძჳრის ზრახვაჲ მოყუსისაჲ და ყოველივე უკეთურებაჲ მოვსპოთ და ღმრთისა სათ-

Ⴀ [1] რათა A. [2] მცნება A. [3] ავნებნ A. [4] სიტყუა A. [5] წმიდათა A. [6] ჴორცთ A. [7] ცხოვნდეთ A. [8] მცნევა A. [9] რამეთუ] + რამეთუ A [10] მოყუსისა A. [11] თჳსისა A. [12] ჭოი A. [12a] სათნოებათა A,

Ⴁ [1] მრცხუწნის A. [2] გუწსმიან B. [3] ურთიერთარს B.

* აქ რაღაც უნდა აკლდეს. ** მარკ. 12,31.

Ⴂ

Ⴀ

ალჭექილებ(!), რომელმან განკაფის გონებანი მომგონებელთა მისთანი, არამედ ერჩდი წერილთა და პოვე გამოჴსნაჲ[1], და ბაძევდი განსრულებულთა სათნოებასა შინა. ნუ შურობ, რაჲთა[2] განერო მცირედ საბრჭესა მტერისასა.

და კუალად მუნვე მოვიდე, რომელსაიგი მიწყიეს.

შემდგომად ამისსა მოართუეს მათდა ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა, და ძნიად განრღუეული, რამეთუ წყლულ იყვნეს[3] ყოველნი ჴორცნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო იგი ჟამთა მრავალთა ფიცხელ.........

Ⴁ

ნოდ ვმოქალაქობდეთ, რაჲთა არა დავისაჯნეთ საუკუნოდ.

ხოლო მე პირველსავე [სიტყუასა] ვიტყოდი.

ამას წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს მოართუეს[1] ოდესმე ცხედრითა ღრეკილი და განრღუეული[2]. და დაჴსნილ იყვნეს[3] ყოველნი ასონი მისნი. შეიყვანეს წინაშე მისსა, ევედრებოდეს წმიდასა იოვანეს: შეიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განრღუეული[2] ესე, რამეთუ გურწამს, ვითარმედ შემძლებელ ხარ განკურნებად ქრისტეს ძალითა. და კუალად განრღუეული[2] იგი ჰმობდა: შემიწყალე, მონაო ღმრთისაო, მკუდარი ესე დაუფლველი და მომმადლე მცირედი მადლი, რაჲთა განვიკურნო.

Ⴀ [1] გამოჴსნა A. [2] რათა A. [2] იყუნეს A.

Ⴁ [1] მოართუჳს B. [2] განრღუჳული B. [3] იყუნეს B.

Ⴂ

მოიყვანეს ოდესმე ამის საკჳრველთ მოქმედისა მამისა იოანესა განრღუეული ვინმე და ყოვლითურთ დაჴსნილი ასოჲთა, საწყალობელი სახილველი[1] თუალებისა მიერ მხედველთა მისთასა, რომელიცა დადვეს წინაშე წმიდისა განრთხმული ცხედარსა ზედა და გოდებით იტყოდეს ნეტარისა მიმართ ნათესავნი განრღუეულისანი: შეიწყალე განრღუეული ესე, წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ გურწამს, ვითარმედ ვედრებითა შენითა ღმრთისა[2] მიმართ შემძლებელ ხარ ყოველსავე ვითარ ნების მყოფელი და სარწმუნოჲ მონაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. ხოლო არა უდარეს ჴმობდა განრღუეულიცა იგი საწყალობელითა ჴმითა, რაოდენ სადამე[3] შემძლებელ იყო, უკუეთუ სადაღა დაშთომილ იყო მისა ჴმაჲ მეტყუელებად: შემიწყალე, მონაო მოწყალისა ღმრთისაო, მკუდარი ესე საფლავად მიუცემელი[4] და ევედრე ჩემთჳს ღმერთსა, რათა განვიკურნო ლოცვითა შენითა.

Ⴂ [1] სახილავი C. [2] უფლისა CD. [3] სადმე C. [4] მიუცემელი C] მოცემული DE.

Ⴂ

ხოლო ნეტარსა იოვანეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა საქმე ესე მის მიერ, არამედ მოეჴსენა სიტყუაჲ იგი პავლესი, რომელ იტყჳს, ვითარმედ: ძლიერთა უძლურნი იტჳრთენით*. ამისთჳსცა ჰრქუა «განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტეჲ»**. და მასვე ჟამსა აღემართა იგი ფერჴთა ზედა თჳსთა და ასონი იგი დაჴსნილნი მსწრაფლ განიკურნნეს. და რომელთა იხილეს, ჰმადლობდეს ღმერთსა და წმიდასა იოვანეს.

Ⴃ

ხოლო ნეტარსა იოანეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა საქმე იგი, არამედ ლმობილ იქმნა სულითა საწყალობელსა მას ზედა განრღუეულსა და აღდგომილი ლოცვად ევედრებოდა ღმერთსა[1], რათა განკურნოს[2] ბოროტითა ვნებითა შეპყრობილი იგი კაცი. ამისა შემდგომად მოქცეული მისა მიმართ, ვითარ ოდესმე თავადიცა უფალი განრღუეულისა მიმართ საბანელსა ზედა პროვატიკისასა, იტყოდა[3]: «აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი»***, რამეთუ განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ჵ[4] საკჳრველებათა შენთა, ქრისტე, ნახევარ მკუდარი და ყოვლითურთ წარწირული იგი მამაკაცი მეყსა[5] შინა აღემართა ფერჴთა თჳსთა ზედა და დადგა წინაშე ბერისა განკურნებული ყოვლითავე ასოჲთა. ესე საქმე დიდებული იხილეს ყოველთა მუნ დამთხუეულთა და განკჳრვებულნი ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა ესევითართა სასწაულთასა მონისა თჳსისა მიერ. და განმტკიცნებოდეს მსმენელნი და მხილველნი საკჳრველებათა ამათ დიდთანი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა.

Ⴂ

კუალად მოიყვანეს ეშმაკეული ფრიად გუემული[1], რომელ სიტყუადცა ვერ შემძლებელ იყო. და იხილა იგი და შეეწყალა. მიუგო წმიდამან იოვანე და ჰრქუა: სულო უკეთურო, რაჲსა სტანჯავ მაგას, რამეთუ მიცემულ არს შენდა ადგილი უდაბნოჲ და ურწყული. გეტყჳ შენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, განვედ კაცისა მაგისგან. ხოლო იგი ბრძანებასავე თანა მისსა განვიდა. და განიკურნა კაცი იგი, და ყოველთავე დაუკჳრდა. და ბე-

Ⴃ

კუალად სხუასა ჟამსა მოიყვანეს ამის წმიდისა კაცი ვინმე, რომლისა შორის დამკჳდრებულ იყო ეშმაკი უტყუებისაჲ და ფრიად[6] იგუემებოდა ბოროტისა მის სულისაგან ვერშემძლებელი ყოვლითურთ მეტყუელებად, რომელიცა იხილა რაჲ წმიდამან იოანე, შეიწყალა[7] იგი და ეტყოდა ეშმაკსა, რომელი დამკჳდრებულ იყო კაცისა ამის[8] თანა: სულო ბოროტო და უკეთურო, რაჲსა სტანჯავ დაბადებულსა ღმრთისასა, გეტყჳ შენ[9] სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, განვედ კაცისა მაგისგან და წარვედ უდაბნოთა ადგილთა და უვალთა[10]. ხოლო ეშმაკი იგი მყის ბრძანებასავე თანა[11] ბერისასა გან-

Ⴂ [1] გუშმულნი B.

Ⴃ [1] უფალსა CD. [2] განჰკურნოს C. [3] იტყოდა]—DE. [4] ჵ] და ჵ CD. [5] მეყუსა D. [6] ფრიად] მრავლად CD. [7] შეეწყალა CD. [8] მის CE. [9] ~შენ გეტყჳ E. [10] ჳალთა E. [11] თანა]—C.

* შდრ. რომ. 15,1. ** საქმე 9,34. *** იოანე 5,8.

Ⴂ

რი ესრეთ ეტყოდა: და რასა განკჴრვებულ ხართ, რამეთუ არა ვარ მკურნალი, არამედ სახელის-დებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლტის ყოველი სენი და ყოველი ძალი ბნელისაჲ. რამეთუ მან თავადმან ბრძანა, «რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსი ჩემსა ქმნეს»*.

ესე მხოლოდ მრავალთა დიდთა საქმეთა დავწერეთ მიმყოვრებისათჳს ჟამისა. ხოლო გემოჲს ხილვად ღმერთ-შემოსილისა მის კაცისათჳს კმა არს. ვითარცა მდინარისა დიდისაჲ ტაკუკითა ერთითა იხილვების, თუ რაჲ გემოჲ აქუს, ეგრეთვე ნეტარისა იოვანესი, რომელთაცა ენებოს. ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი ქმნნა მამამან ჩუენმან წმიდამან იოვანე.

ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყოდით, რომელნი განათლდეს მადლითა საღმრთოჲთა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენნეს, რომელნი ვიდრე აქამომდე ჰგიან და კურნებანი იქმნებიან,

Ⴈ

ვიდა კაცისა მისგან და დაუტევა იგი განკურნებული, რომელიცა[1] დაუკჳრდებოდა ყოველთა მხილველთა და ზარ-განჴდილნი იტყოდეს: ვინ არს რომელი[2] სიტყჳთ[3] ეშმაკთა იოტებს და სნეულთა[4] კურნებასა მსწრაფლ მიანიჭებს. ხოლო ნეტარი იოანე იტყოდა მათდა მიმართ: ნუ განკჳრვებულ ხართ, ჵ კაცნო, დიდებულებათა ზედა ღმრთისათა, რამეთუ არა მე ვარ მკურნალი, არამედ სახელის-დებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი იოტებს ეშმაკთა და განსდევნის სენთა და უძლურებათა კაცთასა. და ყოველი ძალი მაცთურისა ეშმაკისა განქარდების, რამეთუ მან თავადმან ბრძანა, ვითარმედ: «რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსნიცა ჩემსა ქმნნეს»*[5], და იგი არს მკურნალი ყოველთა[6] და მოქმედი საკჳრველებათა[7].

ესევითართა მადლთა მიერ ბრწყინვიდა სანატრელი იოანე და ესევითართა სასწაულთა მიერ შემკობილ იყო ღმრთისა მიერ. რამეთუ ურიცხუნი ძალნი და ნიშნი აღასრულნა ქუეყანასა ზედა. ვინაჲთგან მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი ქმნნა ქუეყანასა ასურეთისასა(!), რომელთა თითოეულად მოჴსენებაჲ შეუძლებელ არს მიმყოვრებისათჳს ჟამისა. ხოლო ესე მცირედნი საკჳრველებათა მისთაგან წარმოვთქუენით მაუწყებელად ვითარებისა[8] ღმერთ-შემოსილისა ამის მამისა(ჲ)სა.

Ⴈ [1] რომელიცა]+ესე C. [2] რამეთუ CD. [3] სიტყჳთა C. [4] სნეულებათა CD. [5] ქმნეს E. ყოველთა მკურნალი C. [7] საკჳრველთაჲ C. [8] ვითარებასა E.

* იოანე 14,12.

Ⴂ

რომელთაჲ თითოეულად მოთხრობაჲ ვერ ძალ-გჳც. ერთმან მოწაფეთაგანმან, სახელითა თათა, ქუეშე[1] ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი და ყოვლითავე წესიერებითა იქცეოდეს. ხოლო სხუანი შემდგომად ამისსა მოვიჴსენნეთ და ღმერთსა ვადიდებდეთ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

16* **(7)** ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე დაბერდა ქუაბსა მას შინა და აღასრულა სრბაჲ თჳსი მრავლითა ღუაწლითა. და იწყო მოკლებად.

და მოუწოდა მოწაფეთა რომელთამე და თათ[ა]ს, რომელი იყოფებოდა ქუეშე მთასა მას, და ელია დიაკონსა და ჰრქუა: შვილნო, ჟამი აღსასრულისა ჩემისაჲ მოწევნულ არს და მივალ უფლისა ჩემისა და ფრიად მეშინის ჰაერის მცველთაგან, რამეთუ საზარელ არიან, დააყენებენ სულთა[2], რაჲთა არა აღვიდენ სასუფეველად. და

Ⴃ

7. ვინაჲთგან განილინეს ჴორცნი მარხვისა მიერ და სამარადისოჲსა ლოცვისა, და მოუძლურებულ იყო ყოვლითურთ მჴცოვანებასა[1] კეთილსა შინა მიწევნული და ღუაწლთა ფრიადთა თავს-მდებელი ქუაბსა მას შინა ზემოჴსენებულსა, სათანადო იყო მისიცა დაცხრომაჲ ესეოდენთა[2] შრომათაგან და მიღებაჲ ნაცვალსა სასყიდელსა ოფლთა და ღუაწლთასა, რამეთუ ყოველივე თჳსი და უფროჲსღა თჳთ იგი ჴორცნიცა განასხნა მონებად ღმრთისა და უფლისა თჳსისა, რომლისათჳსცა ფრიადი სიმდიდრე შეეკრიბა საუნჯეთა შინა ზეცისათა.

ვინაჲ სულისა მიერ წმიდისა მცნობელმან ჟამსა აღსრულებისასა მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა[3] რომელთამე, და ელიას დიაკონსა და თათას, რომელსა აღეშენა მონასტერი ქუეშე კერძო მთისა მის და იყოფოდა მას შინა ძმათა თანა მრავალთა მის მიერ შეკრებულთა მონასტერსა მას[4] შინა. და ეტყოდა მათ: შვილნო ჩემნო, ჟამი აღსასრულისა ჩემისაჲ მოწევნულ არს და მეგულების განსლვაჲ ჴორცთა ამათგან, ვინაჲ ფრიად

Ⴂ [1] ქუშშე B. [2] სულსა B.

Ⴃ [1] მჴცოვნებასა C. [2] ესოდენთა C. [3] მისთა CD. [4] მას]—C.

* Ⴂ რედაქციაში აქ ცალკე სათაურით იწყება შიოსა და ევაგრეს ცხოვრება. რადგან ამიერიდან ამ რედაქციის ტექსტი მეტაფრასტულის (Ⴃ-ს) მიმდევრობით ეწყობა, ამიტომ აქ არის გადმოადგილებული Ⴂ-ში შიოს მოღვაწეობის გაგრძელებად მოთხრობილი ამბები, რომლებიც იოანე ზედაზნელის აღსასრულსა და მის მოწაფეთა აღმშენებლობას ეხება.

Ⴁ

ამას თქუენცა მოელოდეთ, შვილნო ჩემნო საყუარელნო, და აწვე განაკრძალენით თავნი თქუენნი და ჩემთჳს ილოცევდით. და ვინმცა გჳჴსნნა სხუამან ჴელთაგან მათთა, გარნა ღმერთმან, რომელმან მოავლინა ძე თჳსი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და მან. განმათავისუფლნა სიკუდილისაგან და ყოვლისა საეშმაკოჲსა ვნებისა, გარნა იგინი ოდენ, რომელნი მჴურვალითა გულითა შეუდგენ და სიწმიდით ჰმსახურებდენ მას და ამისთჳს გევედრები, რაჲთა სიწმიდით და სამართლით ვიქცეოდით.

ხოლო ამცნო, რაჲთა ჴორცნი მისნი დასხნენ მასვე ადგილსა მწირობისა მისისასა. და მიიხუნა

Ⴂ

მოშიშ ვარ, ნუ სადა წინააღმდგომთა ბოროტთა გუნდი ჰაერის მცველთაჲ მათ მწარ და[1] დამაყენებელ მექმნეს მე სიღრმედმი[2] ჯოჯოხეთისა დაჴდად მოსწრაფენი კაცთა ნათესავისანი. აწ უკუე, ძმანო ჩემნო, თქუენცა მოელოდეთ სამარადისოდ სიკუდილსა და კეთილად განეკრძალენით საბრჴეთა[3] ეშმაკისათა, ნუ სადა ლოდ შებრკოლებისა გექმნეს თქუენ ბოროტი იგი მტერი ჩუენი, რომელი[4] უმზირის ბრჭალთა სულისა ჩუენისათა დღითი-დღე. და ვინმე შემძლებელ არს განრინებად[5] ჴელთა მათთაგან, არა თუ მარხვითა და სიწმიდითა ჴორცთაჲთა მოიღოს ძალი ღმრთისაგან. ამისთჳსცა გევედრები თქუენ, შვილნო ჩემნო, რათა მღჳძარე იყვნეთ ყოველსა ჟამსა და სიწმიდით მსახურებდეთ უფალსა. ხოლო მომიჴსენებდით მეცა ლოცვათა შინა თქუენთა. ეჰა, სიმშჳდე და სიმდაბლე სულისა უმანკოჲსა, რამეთუ ჴორცთა შინა ყოვლადვე საზარელ ეშმაკთა იხილვებოდა და სიტყჳთ განიოტებდა მათ, ხოლო აწ ყოვლითურთ დამტევებელი სხეულისა და საყდართა წინაშე სამეუფოთა მდგომარე განწმედითა სულისა და გონებისაჲთა და მადლსა წინაჲსწარ მეცნიერებისასა[6] მიმღებელი საღმრთოჲსა და წმიდისა სულისაგან, მერმეცა გარდამატებულითა სიმდაბლითა[7] უღირსად მსჯელი თავისა თჳსისა ჰაერის მცველთა სულთაგან მოშიშებდა, რამეთუ ესწავა ამას[8] არა დიდ მეტყუელებაჲ პავლეს მიერ, ქრისტეს პირისა, არამედ სიმდაბლით ესრეთ თქუმაჲ, ვითარმედ: რომელი თანა-მდებ იყო ქმნად, მიქმნიეს, და ნუშტი — მონა ვარ უჴმარი უფლისა ჩემისაჲ[9]*.

ესრეთ რაჲ ასწავა მოწაფეთა თჳსთა, კუალად ამცნო მათ[10], რათა სხეული[11] მისი დადვან მასვე ადგილსა შინა მწირობისა მი-

Ⴂ [1] მწარ და] მწარეთა CE. [2] სიღრმედმი DE. [3] საფრჴეთა CE. [4] რომელი]—DE. [5] განრომად C. [6] მცენარებისასა C. [7] სიდაბლითა C. [8] ამას]—E. [9] ჩუენისა DE. [10] მათ]—E. [11] სახჳლი C.

* შდრ. მათე 25. 26-29.

Ⴁ

სიწმიდენი და აღიხილნა თუალნი და მხიარულითა პირითა ხედვიდა ვიეთმე ნუგეშინის-ცემად მისსა მოსრულთა. და მიაყვანნა თუალნი ვითარცა მეგობართა და განუტევა სული და შეჰვედრა უფალსა.

ხოლო კიბე იგი იაკობისი აქაცა იხილვებოდა და ანგელოზნი ღმრთისანი გარდამოვიდოდეს. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო თავსა ზედა მის კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას: «მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი მამისა შენისაჲ»*; აწ მოვედ ჩემდა, რაჲთა განგისუენო [1] შრომათა შენთათჳს. ესრეთ ადიდებს, ძმანო, ღმერთი მადიდებელთა მისთა.

ხოლო მოწაფენი მისნი ტიროდეს განშორებისათჳს მათგან წმიდისა მამისასა.

Ⴂ

სისასა. ამისა შემდგომად ეზიარა უხრწნელთა და უკუდავთა ქრისტეს საიდუმლოთა და აღმხუმელი თუალთაჲ საგონებელ იყო მხიარულებით მიხედვასა ვიეთსამე, რომელთაცა მიიმართა [1]. თუალითა მიხედვიდა, რამეთუ მჴედრობაჲ ზეცისა უჴორცოთაჲ მოვლინებულ იყო, რათა ადიდოს უფალმან [2] მონაჲ თჳსი, რომელმან ქუეყანასა ზედა ჴორცითა უძლურითა ადიდა იგი. და შემდგომად მცირედისა ანგელოზთა მიმართ განუტევა სული მიყვანებად იგი უფლისა თჳსისა მიმართ, რომელმან მოუწოდა მას ზეცისა განსასუენებელთა [3] მიმართ ნაცვალად შრომათა და ტკივილთა თავს-დებითა ქუეყანასა ზედა.

ხოლო მოწაფენი მისნი შევრდომილნი ფერჴთა მისთანი ცრემლითა [4] დაალტობდეს მათ და მწარედ გოდებდეს, ვითარ ობლად დაშთომილნი ესევითარისა მამისაგან, და თანა ესევითართა სიტყუათა იტყოდეს: პატიოსანო მამაო და მოღუაწეო სულთაო, ამიერითგან სადაღა ვიხილოთ სახე ანგელოზებრივი, გინა ვინღა [5] იყოს მკურნალი ორკერძოსავე უძლურებასა კაცთასა, ანუ ვინ აღადგენდეს დაცემულთა გონებითა, და სადა იყოს წამალი ეშმაკთა მიმართ კაცთა, ვინ [6] ესრეთ, ვითარ შენ! დაალტობდეს იატაკსა

Ⴁ [1] განგისუჱნო B.

Ⴂ [1] მიჰმართა D. [2] ღმერთმან E. [3] განსასუენებელთა] და სუფევათა C. [4] ცრემლით C. [5] ვინაღა E. [6] ვინა E.

* დაბად. 28, 12-13.

ⴂ.

ⴃ.

ცრემლთა მიერ წმიდათა. ამათ და ესევითართა უმრავლესთა იტყოდეს, ვითარ შეეტყუების ესევითარისა სულთა საუნჯისაგან დაკლებულთა.

ⴂ.

ხოლო სიტყუაჲ ბერისაჲ უდებ-ყვეს, რამეთუ საწუნელ უჩნდა ადგილი იგი, სადა ეუწყა დასხმაჲ ჴორცთა მისთაჲ, რამეთუ მოვიდეს მღდელნი და დიაკონნი და სიმრავლე ერისაჲ და წარმოიხუნეს ნაწილნი ბერისანი, დასხნეს მონასტერსა თათაჲსსა, მოწაფისა მისისასა, და შექმნეს ლუსკუმაჲ პატიოსანი და მუნ შინა დაჰკრძალნეს წმიდანი იგი ჴორცნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესნი.

ⴃ.

ხოლო უდებ-ყვეს სიტყუაჲ ბერისაჲ, რომელი ემცნო[1] მათთჳს სხეულისა მისისა ძლით, რამეთუ სადა ემცნო დადებაჲ ჴორცთა მისთაჲ მოწაფეთათჳს, ულირსად შეერაცხა მათ ადგილი იგი ყოვლად ღირსისა მისთჳს. ხოლო მოვიდეს მღდელნიცა და დიაკონნი და სხუაჲ სიმრავლე ერისაჲ ფრიადი და მოწიწებით წარჩგრაგნელთა სხეულისა მისისათა წარიხუნეს იგინი მონასტერსა თათას მიერ (მოწაფისა მისისა) აღშენებულსა, და ლარნაკისა[2] მოქმედთა მას შინა დასხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი კრძალულებით და ამბორის მყოფელნი სამარხოჲსა მისისანი წარვიდეს მსწრაფლ.

ⴂ.

ხოლო მოწაფენი იგი მისნი ტიროდეს და იტყოდეს: კეთილო მამაო, რაჲსათჳს დაგჳტევენ ჩუენ? ვის თანა-ღა ვიხილოთ სახე ანგელოზებრი, ანუ ვინ იყოს მკურნალი უძლურებასა კაცთასა, ანუ ვინ აღმადგინებელი გონებათა დაცემულთაჲ და წამალი ეშმაკთა მიერ მოწყლულთაჲ, ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა ჩუენსა? და ესრეთ მტირალნი წარვიდეს.

ხოლო წმიდამან იოვანე არა თავს-იდვა უდებ-ყოფაჲ სიტყჳსა მისისაჲ, არამედ სადა-იგი მოეპოვა[1] დაყუდებით მადლი და რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს, ვითარმედ შემდგომად მიცვალებისაცა ცხოველ არს და აქუს კადნიერე-

ⴃ.

ხოლო დიდმან მამათა შორის იოანე არა თავს-იდვა უდებ-ყოფაჲ სიტყჳსა თჳსისაჲ[3], არამედ ჭეშმარიტად ცხოველსა შემდგომად სიკუდილისაცა ენება, რათა მასვე ადგილსა შინა დაისხნენ ნაწილნი მისნი, სადა-იგი მერმეცა ჴორცთა შინა მყოფმან იღუაწა და სარბიელი ესე მოღუაწებისაჲ სრულ ყო, ვინაჲ-

ⴂ. [1] მოეპოა B.

ⴃ. [1] ამცნო C. [2] ლარკნისა D. [3] მისასა CD.

ჲ

ბაჲ წინაშე ღმრთისა. ამისთჳსცა ინება ნაწილთა მისთა მუნვე დასხმაჲ. და იქმნეს ადგილსა მას, სადა ისხნეს ჴორცნი მისნი, სასტიკნი ძრვანი, და კაცნი მის ადგილისანი იგუემნეს[1]. და მოეჴსენა მცნებაჲ იგი ბერისაჲ და გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ მისთჳს არიან ძრვანი იგი. ამისთჳსცა აუწყეს მამათ მთავარსა. ხოლო იგი განკჳრდა და წარვიდა მღდელთა თანა და დიაკონთა და დიდითა პატივითა აღიყვანეს ადგილსავე თჳსსა და მითვე ლუსკუმითა დაასუენნეს[2] ნაწილნი მისნი. და შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესიაჲ. ხოლო შემდგომად აღმოყვანებისა დასცხრა ძრვაჲ იგი. და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნნეს ნებითა ქრისტესითა და მადლითა წმიდისა იოვანესითა. რამეთუ მრავალნი სნეულნი, ღრეკილნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს აღმოყვანებასა და ყოველნი რომელნი ხედვიდეს, ღმერთსა ადიდებდეს. და უკუეთუ (ვინ სარწ)მუნოებით მივიდეს, აწცა იქმნებიან მის მიერ კურნებანი.

17(8). ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა წმიდამან კლემენტოზ კათალიკოზმან აღმოსავალით კერძო ეკლესიისა სხუაჲ ეკლესიაჲ აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა ნათლის-მცემელისასა სადიდებელად სამებისა წმიდისა ერთ-არსებისა.

ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერ-

ჳ

ცა ძრვანი დიდნი იქმნნეს ადგილსა მას ცხად მყოფელნი, ვითარმედ პირველადვე სამკჳდრებელად ეგულვების წარსლვაჲ წმიდასა ღმრთისასა. მაშინ მოეჴსენა სიტყუაჲ იგი ბერისაჲ მოწაფეთა თჳსთა და აუწყეს მათთჳს მცნებულთა ღირსისა მიერ კათალიკოზსა[1] და ყოველსა სავსებასა ეკლესიისასა. ხოლო კათალიკოზი[2] მსმენელი ამათ[3] წარვიდა მღდელთა თანა და დიაკონთა. და დიდითა პატივითა და წინაძღომითა ერისაჲთა თანად სიმრავლითა სანთელთა და დიდების მეტყუელებათათა აღიყვანეს მრავალ მოღუაწე იგი გუამი მისი პირველ ჴსენებულსა მას ქუაბსა შინა და მუნ დადვეს იგი პატივის მოყუარებით. ხოლო შემდგომად აღყვანებისა ნაწილთა მისთასა დასცხრა ძრვაჲ, რომელი იყო მონასტერსა მას შინა თათაჲსსა. და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნნეს აღყვანებასა[4] ნაწილთა მისთასა, რამეთუ მრავალნი სნეულნი და თითო სახითა[5] სენითა[6] შეპყრობილნი მხოლოდ[7] შეხებითა სხეულისა ამის წმიდისაჲსა განიკურნნეს. და უკუეთუ ვინმე სარწმუნოებით მოუჴდეს სამარხოსა მისსა რომლისავე უძლურებისაგან მოცული[8], მალიადსა ჰპოებს განკურნებასა მაჭირვებელისა მის სენისასა[9].

8. ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა წმიდამან კლემენტოს კათალიკოზმან მცხეთისამან აღმოსავალით კერძო ამის ქუაბისა სხუაჲ ეკლესიაჲ აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისასა სადიდებელად ღმრთისა და მონისა მისისა სანატრელისა მამისა ჩუენისა იოანესსა.

ესევითართა მადლთა მიერ განბრწყინვებულმან ყოვლად ქებულმან იოანე განაშუე-

---

ჲ [1] იგუჱმნეს B. [2] დაასუჱნნეს B.

ჳ [1] კათალიკოსსა C. [2] კათალიკოსი C. [3] ამათი C. [4] აღყვანებასა]+მას CD. [5] სახეთა C. [6] სენთა C. [7] მხოლო E. [8] მოცვული C. [9] მისისა CD,

Ⴂ.

დი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკჳრველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე. და სხუამან ქუაბი იულთისაჲ და სხუათა აღაშენნეს კახეთს მონასტერნი. ხოლო დავით აღაშენა უდაბნოჲ იგი გარესჯისაჲ და დაყუნა მრავალნი ჟამნი ვეშაპსა* თანა. უკუანაჲსკნელ უბრძანა და მუნით განავლინა ბუდე იგი ეშმაკთაჲ. და სხუანი მრავალნი სასწაულნი აღასრულნა. ხოლო ერთმან ზენა სოფელ[ს] აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ვერარაჲ შევალს და ვერცა რაჲ მფრინველი იბუდებს. ხოლო ყოველთაჲ ვერ ძალ-გჳც მოჴსენებაჲ. და წმიდაჲ ისე წილკანს ებისკოპოს იქმნა და აქამომდე ხანს სამარხოჲ მის ნეტარისაჲ.

Ⴃ

ნა ქუეყანაჲ ქართველთაჲ და ღმრთის მსახურებაჲ სრულიადი ასწავა. და არა მხოლოდ თავისა თჳსისა მიერ, არამედ და მოწაფეთაცა მიერ თჳსთა, რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესიაჲ ალავერდისაჲ აღაშენა წოდებასა ზედა სახელ-განთქმულისა მოწამისა გიორგისსა[1], რომელმან მრავალნი სასწაულნი აღასრულნა, ვითარ და მოძღუარმანცა[2] მისმან. ხოლო სხუამან ქუაბი იულთისაჲ[3] სამკჳდრებელად ღმრთისა მოღუაწეთა და მოწესეთათჳს შეჰმზადა[4]. და ერთმან მათგანმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი არარაჲ შევალს და არცა მფრინველი იკადრებს დაბუდებასა. და სხუათა კუალად მონასტერნი აღაშენნეს კახეთს შინა და მრავლად აღაორძინეს სარწმუნოებაჲ ქადაგად განჩენილთა უფლისა მიერ და სწავლად უმეცართა მეცნიერებასა ღმრთისასა.

ესევითარნი არიან კაცისა ამის ღმრთისა მოღუაწებანი და შრომანი, რომელნი ღმრთისათჳს ისხნა[5] და კუალად მსგასნივე ნაცვალის[6] გებანიცა სასწაულთა და ნაშთა[7] მიერ შემკობითა[8], ვიდრეღა ჴორცთა შინა იყო. ხოლო შემდგომად ჴორცთაგან განსლვისა და სოფლით გარდაცვალებისა უოხჭნოთა შინა იშუებს საშუებელთა ზეცისა ტალავართა და სასძლოთა დამკჳდრებული და ხედავს ნათელსა მას დაუღამებელსა საღმრთოსა დაგებისასა მოხარული კეთილთა ზედა გამოუთქმელთა, რომელნი თუალმან არა იხილნა და ყურსა არა ესმა[9] და გულსა კაცისასა არა აღვიდა[10]. და იხარებს იგი მწყობრსა თანა მამათასა განწესებული და განსცხრების გუნდსა თანა ანგელოზთასა ჴმითა მედღესასწაულეთაჲთა მგალობელი. რამეთუ განვლო ცეცხლი და წყალი მრავალთა ღუაწლთა დათმენითა ხილულსა ამას და გრძნო-

Ⴃ [1] გიორგისასა E. [2] მოძღუარმან C. [3] ულთისაჲ C. [4] შეჰმზადეს E. [5] იდვა DE. [6] ნაცვლის CE. [7] ნიშებთა CD. [8] შემკობილთა DE. [9] ესმნეს C. [10] აღვიდეს CD.

Ⴀ	Ⴁ
	ბადსა სოფელსა შინა და რაჲლა სხუაჲ ჯერ-იყო ამისა, გარნა თუ შუენოდა აღსლვაჲ განსასუენებელად უხილავთა მათ და გონიერთა სავანეთა შინა.
	არამედ, ჵ მამაო მამათაო და დიდებაო მონაზონთაო, რომელი გამოსჩნდი სიქადულად ქართველთა ნათესავისა, ნანდჳლვე[1] ღირსო ზეცისა ნეტარებათა დამკჳდრებად, სამგზის სანატრელო, მოწესეთა სამკაულო. მოიხილევდ ზეცისა კამარათაჲთ ჩუენ ზედა ულირსთა ამათ შვილთა შენთა, რომელნი ვიმძლავრებით ფრიად ბოროტთა და კაცთმოძულეთა მტერთა ჩუენთა ეშმაკთაგან, და წარდგომილი წინაშე საყდართა სამ მნათობიერისა[2] წმიდისა სამებისათა იოხე ჩვენთჳს ჴსნაჲ ჴორცთა და ვნებათა მძლავრებისაგან[3], რათა მრავლად შემაშფოთებელთა ბოროტთა გულის ზრახვათაგან ჴსნითა ჯეროვანი სადამე მოცალებაჲ ვპოვოთ. და ესრეთ გონებითა განწმედილითა მადლობასა და ქებასა შეწირვად ღირს ვიქმნნეთ დაუსაბამოჲსა მამისა და მხოლოდ შობილისა ძისა მისისა თანადაუსაბამოდ[4] და ყოვლად წმიდით და ცხოველს მყოფელით სულითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასა, ამინ.

Ⴁ [7] ნანდჳლ CD. [2] ნათობიერისა DE. [3] მძლავრობისაგან E. [4] დაუსაბამოთ CD.

Ⴗ

ႺႾႭႰႤႡႠႢ ႣႠ ႫႭႵႠႪႠႵႭႡႠႢ ႶႨႰႱႨႱႠ ႫႠႫႨႱႠ ႹႳႤႬႨႱႠ ႸႨႭႢႱႨ[1] ႣႠ ႤႥႠႢႰႤႱႨ

გუაკურთხენ, მამაო![2]

Ⴂ

თთუესა მაისსა თ დღესა

ႺႾႭႰႤႡႠႢ ႣႠ ႱႠႩႣႰႥႤႪႤႡႠႬႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႣႠ ႬႤႲႠႰႨႱႠ ႸႨႭႢႱႬႨ, ႰႭႫႤႪႨ ႨႷႭ ႠႬႲႨႭႵႨႠႢႧ ႸႳႠႫႣႨႬႠႰႨႱႠႢႧ. ႾႭႪႭ ႫႭႨႼႨႠ ႵႳႤႷႠႬႠႣ ႵႠႰႧႪႨႱႠ ႣႠ ႣႠႤႫႩႣႣႰႠ ႱႠႰႩႨႬႨႱႠ ႫႶႣႫႤႱႠ[1], ႰႭႫႤႪႨႤႱႤ ႠႶႼႤႰႠ ႶႨႰႱႫႠႬ ႫႠႰႲႣႰႨ, ႮႨႰႥႤႪ ႰႭႫႤႪႱႠ ႤႼႭႣႠ ႨႭႠႬႤ, ႰႭႫႤႪႨ ႨႷႭ ႫႭႼႠႴႤႧႠႢႠႬႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႨႭႠႬႤႱႧႠ ႩႭႱႲႠႬႲႨႬႤႮႭႪႨႧ[2]

გუაკურთხენ, მამაო!

ჴსენებითა წმიდაჲთა ოდესცა[3] სადა იქმნა განძლომაჲ ცნობისა მქონებელთაგან არა თუ ვინმე სრულიად წარტყუენულ იყოს გონებითა ეშმაკისა მიერ და თუალნი სულისანი აქუნდეს ყოვლად უმხედველო[4], რამეთუ წერილ არს: ჴსენებაჲ მართლისაჲ ქებით აღესრულების. ხოლო რომელთა-იგი ჴსენებაჲ ოდეს[5] საქებელ არს, მათი სამარადისოდ მოჴსენებაჲ რაოდენმე აღესრულებოდის[6] ტრფიალთა საღმრთოჲსა სიბრძნისათა და მოსურნეთა ჭეშმარიტისა ცხორებისათა[7] მიბაძვებად თჳთ მათ მათთა სათნოებათა და მოქალაქობისა. იტყჳს ბრძენთაგანი ვინმე პირველთა, ვითარმედ: ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენნი უჴმან, ხოლო წმიდათა მათებრვე განწმედილნი სულითა და თუალითა გონებისაჲთა საცნაურად მხედველნი მათისა ცხორებისანი.

ამისთჳსცა ჩუენცა საწინასწარმეტყუელოჲსა სიტყჳსა მიერ ვყოთ დაწყებაჲ მიზეზსა ამას სიტყჳსა ჩუენისასა, რათა წმიდანი წმიდათა მიერ შეისხმოდენ, მოქადულნი დიდებასა ზედა, რომელი განიკუთნეს[8] წინაჲსწარვე ღმრთისა მიერ მართალი, ვითარცა

Ⴗ [1] შიოსი A. [2] მამაო]—A.

Ⴂ [1] მღჳმეს C. [2] კოსტანტინოპოლით CD. [3] ოდესმცა C. [4] უმხედველ D. [5] ოდენ C. [6] აღისრულებოდის CD. [7] აღსძრავს E. [8] განიკუჩთნეს C.

Ⴄ	Ⴂ
	ფინიკი აღყუავნეს და ვითარცა ნაძჳ ლიბანისა განმრავლდეს, ჭეშმარიტად ამაღლდეს წმიდანი უფროჲს სიმაღლეთა და ჳანმრავლდეს ნაყოფნი მათნი უფროჲს ყოველთა ხეთა ნაყოფიერთა და ყუავიან სახლსა შინა ღმრთისასა ვითარცა ვარდნი შუენიერნი და ვითარცა შროშანნი სულნელნი, რომელთაგანი ერთი არს ჩემი ყოვლად სასურველი ღმრთივცნობილი წინაჲსწარ და მიერვე გამორჩეული სამ გზის სანატრელი შიო, მამაჲ მამათაჲ და მოღუაწებისა ძეგლი, რომელმან არარად შერაცხა სოფელი და სოფლისა შინა ყოველი სიყუარულისათჳს ღმრთისა, მშობელნი და ნათესავნი, სიმდიდრე და პატივნი და განსუენებაჲ ჴორცთაჲ, ვითარცა წარმავალი და მომაკუდინებელი სულისა[1] მოიძულა[2], დაუტევა ნებასა თანა ჴორცთასა ყოველი ნებაჲ მსოფლიოჲ, მეუღლებაჲ უმრავლესთა მიერ საწადელი, თჳთ იგი ქუეყანაცა მშობელი და აღმზრდელი თჳსი დაუტევა და მხოლო[ჲ]სა ოდენ ღმრთისა საკუთარ ქმნილი ეკუეთა ღუაწლთა ძლიერად და იწროჲთ გზით და საჭირველით მავალი ფართოსა მას და საცხოვრებელსა ზეცისა ჩინებისასა მოსწრაფე იყო მიწევნად, მორჩილი სამოციქულოჲსა ჴმისა. დაუთმო[3] ჰაერთა[4] სიფიცხლესა, უცხოვებასა, სიგლახაკესა, შიშლოებასა და ყოვლითურთსა უპოვარებასა, რომლისათჳსცა არა სცა ჰრული წამთა და არცა განსუენებაჲ ჴორცთა, ვიდრემდის პოვა ადგილი უფლისაჲ და საყოფელსა[5] შინა წმიდათასა განისუენა, რომელსა შინა აწ მკჳდრი მეოხად დგას წინაშე მეუფისა თჳსისა კადნიერად სურვილით მაჴსენებელთათჳს მისთა და წმიდისა დღესასწაულისა მისისა აღმსაარებელთა[6].
	1. ესე წმიდაჲ და ღმერთ-შემოსილი მამაჲ შიო[7] იყო ქუეყანით ასურეთისაჲთ, დი-

Ⴂ [1] სული C. [2] მოიძულა]+და E. [3] დაურთო C. [4] ჰერთა C. [5] საყოფელსა C. [6] აღმსა-ბელთა CD. [7] შიოჲ C.

Ⴕ.

Ⴂ.

დით მით ღმრთის ქალაქით ანტიოქიაჲთ, რომელმან მრავალნი ესევითარნი წმიდანი აღმოაცენნა, მშობელთა ღმრთის მსახურთა და აზნაურთა შვილი, რომელნი-იგი მრჩობლ მდიდარ იყვნეს ღმრთის მსახურებითა და მშობლობითა ამის წმიდისაჲთა. და არა ესუა[1] მათ შვილი სხუაჲ, გარნა ნეტარი შიო მოეცა მათ ნაყოფად მუცლისა მათისა, კეთილი და ღმრთივ მონიჭებული კუერთხი სიბერისა. და ესე ოდენ[2] აქუნდა[3] მკჳდრ[4] მამულისა მათისა., ხოლო ნეტართა მეუღლეთა შუენიერი იგი ნაყოფი მათი აღზარდეს მრავლითა მოღუაწებითა[5] და ზედადგომითა სწავლათა შინა საღმრთოთა წერილთასა. და ასწავეს მას ყოველი წერილი ძუელი და ახალი და თარგმანებაჲ მათი. ხოლო იგი მიიღებდა ყოველსა სწავლებასა, ვითარცა ქუეყანაჲ კეთილი, რამეთუ აღორძნდებოდა[6] თჳს[7] შორის კეთილად ცვითა და წურთითა მათითა, და დაისწავა[8] უმრავლესი მათი ზეპირით, ხოლო წმიდაჲ სახარებაჲ და ეპისტოლენი[9] პავლე მოციქულისანი და წიგნი ფსალმუნთაჲ მარადის განუშორებელად ეპყრნეს, და ენითა და პირითა მარადის იგინი მოაქუნდიან და უფროჲს თაფლისა[10] დაატკბობდეს[11] სასასა მისსა.

იქმნა რაჲ წლისა ათექუსმეტისა, იწყო გამოძიებად სიტყუათა წმიდათა წიგნისა,, და ზინ და იკითხავნ განუსუენებელად. დღე და ღამე, და მადლითა სულისა წმიდისაჲთა ყოველსა უცთომელად გულისჴმა-ჰყოფნ[12] და გამოსთარგმანებნ, ვიდრემდის ყოველთა უკჳრდა მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი მდიდრად მეტყუელებდა პირით მისით[13]. შეეშინა უკუე მშობელთა მისთა და იურვოდეს[14] მისსა მას ეგრეთ შეუსუენებელსა შრომასა და ეტყოდეს, რათა მისცეს მოცალებადცა ოდესმე

Ⴂ [1] -ესვა E. [2] ესე ოდენ] ესოდენ E. [3] აქუნდ D. [4] მკჳდრი C. [5] მოღვაწებითა D. [6] აღორძინდებოდა CDE. [7] მის E. [8] ასწავა C. [9] ებისტოლენი C. [10] თაფლისა]+და D. [11] დატკბებოდეს E [12] ჰყოფენ D. [13] მისითა C. [14] ირვოდეს E.

Ⴁ

Ⴂ

თავსა თჳსსა და არა ეგრეთ[1] ბიმღებად[2] აჭირვებდეს სხეულსა. და წიგნთაცა ჰელ-ყვეს, რათა მიუხუნენ[3]. შეწუხნა ამას ზედა ნეტარი იგი ყრმაჲ და ეტყოდა ბშობელთა თჳსთა, ვითარმედ: რად ესრეთ ჰყოფთ, უფალ-ნო ჩემნო, და განმაშორებთ მე ზრახვისაგან ღმრთისა, რამეთუ რომელი არა ზრახავს მა-რადის სჯულსა[4] ღმრთისასა, იგი შორს არს სასუფეველისაგან ღმრთისა და ტყუე იქმნის[5] ეშმაკისა. აწ ნუ, კეთილნო მშობელნო ჩემნო, იხილეთ რასა-ეგე ჰყოფთ და ნუუკუე პირი ჩემი თქუენცა განჳეშოროს მაგისთჳს, რომელსა ჰყოფთ ჩემ თანა. მიიღო მშობელთაგანცა ფლობაჲ და მიერჩდეს ნებასა მისსა. და წა-რემატებოდა ნეტარი ესე ყოველთა ჰასაკი-სა[6] სწორთა შიშითა ღმრთისაჲთა და წურ-თითა საღმრთოთა წერილთაჲთა, რამეთუ ირწყვებოდა[7] იგი სჯულსა[8] შინა ღმრთისასა წერილისაებრ და ნაყოფიერ იქმნებოდა ვი-თარცა ზეთის ხილი ბსხმოჲ სახლსა ღმრთი-სასა.

ჟამთა მათ შინა ოდეს ღირსი შიო იქმ-ნა ოცისა[9] წლისა, დიდი იგი მნათობი და თუალი მოღუაწეთაჲ ყოვლად განთქუმული იოანე ნიშებ-შემოსილი გამოჩნდა, ვითარცა ვარსკულავი მრავალ მნათობი, რომელნი-იგი[10] განანათლებენ[11] ყოველთა მკჳდრთა ანტიო-ქიაჲსათა[12] და იყოფებოდა იგი უდაბნოსა ადგილსა მრავალთა თანა მოწაფეთა. მიიწია უკუე შიო ფარულად მშობელთაგან თჳსთა დიდისა მის მწყემსისა იოანესსა, შეუვრდა ნეტართა მათ ფერჴთა, მოეხუეოდა, ამბორს უყოფდა[13] და ვითარცა ღმრთივ აღძრული სიყუარულითა, რომელი ცეცხლისაცა[14] უშე-მწეულეს არს და ყოველსა ბუნებასა შინა უზეშთაეს ყოვლისა, ხოლო ნეტარმან იოანე იხილა რაჲ გოხიერებაჲ ჭაბუკისა მის და ში-

Ⴂ [1] ევრე C. [2] მიმღემდის CD. [3] მიხუნენ D, მიიხუნენ E. [4] შჯულსა DE. [5] იქმნების C. [6] ჰასაკითა C. [7] ირწყუებოდა CDE. [8] შჯულსა D. [9] ოცის D. [10] რომელი-იგი C. [11] განანათ-ლებნ E. [12] ანტიოქიისათა E. [13] უყოფდა]+და რასა არა ჰყოფდა C. [14] ცეცხლსაცა C.

Ⴀ Ⴁ

ნაგანი მხედველობაჲ და სიმდაბლე გონებისაჲ, შემუსრვილებაჲ გულისაჲ და მყუდროებაჲ სიტყჳსაჲ და სიმტკიცე შინაგანისა მის კაცისაჲ, გულისჴმა-ყო სულითა სიმაღლე სულისა მისისა და, თუ ვითარ[1] ქუეყანასა კეთილსა უწყიეს შეწყნარებად თესლსა მას ღმრთისა ბრძანებათასა და, რამეთუ იყო-ცა ნეტარი იოანე მეცნიერ წინასწართა და ჰრქუა მას ესრეთ: შვილო შიო! განჰკრთა უკუე სახელის-დებასა ზედა თჳსსა ნეტარი შიო[2] და ცნა, ვითარმედ მიემთხჳა, რომელსა-იგი სურვიელ იყო, ეგევითარსა მოძღუარსა და განმანათლებელსა თჳსსა. კუალად ჰრქუა მას: შვილო შიო, რად შეშფოთნები ამისთჳს, რამეთუ სახელი შენი მაუწყა მე ღმერთმან[3]. უკუეთუ გრწამს წმიდისა სახარებისა, რომელი შეიყუარე, გრწმენეს, რამეთუ სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ[4] ყოველსავე შეუძლებს. აღადგინა იგი ნეტარმან იოანე და ამბორს უყო მას და მისცა კურთხევაჲ და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა ნელიად: აჰა ჭაბუკი ესე გამოირჩია ღმერთმან და აღავსო სულითა წმიდითა და იქმნეს ესე მამაჲ მრავალთა სულთაჲ, რომელთა წარუძღუეს ღმრთისა სათნოებათა მიერ თჳსთა, რამეთუ იქმნეს ესე სანთელ მნთებარე სასანთლესა ზედა, რათა ყოველთა უნათობდეს. და კუალად მოექცა შიოს და ჰრქუა: შვილო, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ დიდ იქმნე წინაშე ღმრთისა და ნეტარ ვარ, რამეთუ მამაჲ ვიწოდო ეგევითარისა მამათა მამისაჲ.

ეზრახა მას დღე ყოველ და თაფლისა უტკბილესთა მათ სიტყუათა მისთა მიერ განანათლა გონებაჲ მისი და მხიარულ ყო. მეორესა უკუე დღესა ჰრქუა მას: წარვედ აწ შვილო და მშობელთაგან შენთა მოიღე კურთხევაჲ და მერმე მოვედ ჩემდავე და მადლმან ღმრთისამან დაგიფარენ და განგაძლიერენ.

Ⴁ [1] ვითარსა CD. [2] განჰკრთა უკუე . . . შიო]—C. [3] უფალმან E. [4] საღმრთოჲ C.

Ⴀ

Ⴁ

შეწუხნა ნეტარი შიო ფრიად წარგზავნისათჳს, რამეთუ ეშინოდა მორჩილსა მას სულსა, ნუუკუე მშობელთაგან ნაცვალად[1] კურთხევისა სასჯელი მიიღოს, რაჟამს ცნან სურვილი მისი მონაზონებისა მიმართ. არამედ დაუმტკიცა მას ნეტარმან იოანე, ვითარმედ: გრწმენინ ჩემი, რამეთუ უწინარეს შენსა მათ მიიღონ წმიდისა მონაზონებისა სახე; წარვედ, უფალი იყავნ შენ თანა მოგზაურ და განმამტკიცებელ შენდა! ხოლო შიო მიიღო კურთხევაჲ იოვანესი და ყოველთა ძმათაჲ, და წარვიდა სახიდ[2] მშობელთა მისთა. და მიიწია რაჲ, ჰკითხვიდეს, თუ სადა არს იგი და რად დაუფარა მათ, უკუეთუ აქუნდა რაჲმე მიზეზი წარსლვისაჲ სადამე[3]. გარნა ფრთხილმან ამან სულმან ყოვლად არა აუწყა, რათა არა განაკრთვნეს ანაზდაჲთისა მის საქმისათჳს, არამედ დაიდუმა და კეთილითა მით სივერაგითა სხუაჲ რაჲმე ღონე მოიპოვა[4] დარწმუნებისა მათისა. ხოლო შესწუვიდა ალი იგი მოტყინარისა მის სიყუარულისა ღმრთისაჲ, რომელი ცეცხლებრ ეგზებოდა შინაგან მისსა და ასწავებდა მას, რათამცა[5] ვითარ სასურველსა მას თჳსსა უადრეს[6] მიემთხჳა.

იყო დიდებული დღეთა შორის წმიდა კჳრიაკე და წარვიდეს მშობელნი მისნი წმიდად ეკლესიად და ჟამსა წმიდასა ჟამის წირვისასა დადგა იგი თჳნიერ ჩუეულებისა მახლობელად მამისა თჳსისა. ხოლო მოიწია რაჲ დიაკონი საფსალმუნეთა ზედა წარკითხვად წმიდისა სახარებისა, ჰრქუა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა: უფალო ჩემო, მივეახლნეთ[7] წმიდისა მის სახარებისა ქუეშე კერძო, რამეთუ მასმიეს ხუცესთაგან, ვითარმედ ყოველნი სენნი და უძლურებანი განეშორებიან, რომელთა თავსა ზედა წარიკითხონ[8] დღესა[9] კჳრიაკესა წმიდაჲ სახარებაჲ. ერჩდა ბამაჲ მისი[10] სიტყუათა მისთა და[11] და-

Ⴁ [1] ნაცვლად C. [2] სახედ CE. [3] სადმე C. [4] მოიპოა C. [5] რათა C. [6] უადრეს E] უდარეს CD. [7] მივახლნეთ E. [8] წარიკითხვიან C. [9] დღეს C. [10] თჳსი E. [11] და]—C.

Ⴂ

Ⴃ

დგეს ქუეშე კერძო წმიდისა სახარებისა. ხოლო ესე სახარებაჲ წარიკითხა დიაკონმან: ყოველმან რომელმან არა მოიძულოს მამაჲ და დედაჲ და ცოლნი და შვილნი, აგარაკი და მონაგებნი[1], ვერ ძალ-უც მოწაფე ყოფად ჩემდა*. აღესრულა რაჲ წმიდაჲ ჟამის წირვაჲ, წარვიდეს სახლსა თჳსსა და დასხდეს სამხრობად. და ჰკითხა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა: უფალო ჩემო, რაჲ იყო სიტყუაჲ იგი, რომელი დღეს აღმოიკითხეს წმიდასა შინა სახარებასა? და მან ჰრქუა[2] მისთჳს, რომელი ესმინა წმიდისა სახარებისაგან. მერმე მიუგო კეთილმან მან[3] შვილმან: უფალო, რაჲ ყოვნებად არს ჩუენდა, რათა გუერქუას ჩუენ მოწაფე ქრისტესი, და ვითარცა გესმა[4], ასი წილი მოვიღოთ მისგან მომავალსა მას საუკუნესა[5] მცირედისა ამისთჳს, რამეთუ რაჲ შევიძინოთ სოფლისა ამისგან, უკუეთუ მეფეცა ვიყვნეთ, ეგრეცა ვერას შემძლებელ ვართ განრინებად[6]. ხოლო მამისა მისისა[7] გული ვითარცა ცჳლი ლბილი საბეჭდავისაგან ეგრეთ აღმოიტჳფრვოდა და ჰრქუა ძესა თჳსსა: შვილო, ვითარ შენ ჰხედავ, მე და დედაჲ შენი მოხუცებულ ვართ და შენ მარტოჲ მკჳდრი მამულისა ჩუენისა მოგუეცი. აწ უკუეთუ ინებო, ჩუენ გუყვენ[8] მონაზონ და შენ მოიყვანე შენდა ცოლი და[9] ნუ უმკჳდროდ ჰყოფ მამულსა შენსა. აჰა ესერა ყოველი წინაშე შენსა არს, მიიღე ყოვლისა უფლებაჲ. განიხარა ესე ნეტარმან შიო და თქუა გულსა თჳსსა: ოდეს მშობელნი ჩემნი იქმნენ მონაზონ, მე თავისუფალ ვარ, რაჲ მინდეს, ვყო. და მოეჴსენა სიტყუაჲ ესე, რომელი ჰრქუა ნეტარმან იოანე, ვითარმედ: შენსა უწინარეს მიიღონ მშობელთა შენთა სახე მონაზონებისაჲ. ხოლო ნეტარმან შიო მიუგო კეთილთა მათ მშობელთა თჳსთა: უფალნო ჩემნო, ოდეს კეთილი გონებაჲ მოგცა თქუენ ღმერთმან[10],

Ⴃ [1] მონაგებნი C. [2] + მას C. [3] ‒ მან კეთილმან C. [4] გუესმა C. [5] საუკუნოსა D. [6] განრებად C. [7] მამასა მისსა DE. [8] გუყუენ D. [9] და] — AB. [10] ‒ ღმერთმან თქუენ C. * შდრ. ლუკა 14,26.

Ⴁ Ⴂ

ნუ სდროებთ ქმნად მაგისსა, არამედ რაჲ-იგი გიჯმს თქუენ, მიეცით შესაწირავად, რომელსაცა მონასტერსა გთნავს და მე მომავალსა წელსა, უკუეთუ სათნო- უჩნდეს ღმერთსა, მოვიყვანო, ვითარიცა მინდეს მეუღლე. ესრეთ რაჲ ამისა ქმნად მოიმტკიცნა მშობელნი, არღარა ყოვნა, არამედ პირველად წარიყვანა დედაჲ თჳსი ქალწულთა მონასტერსა და შეჰვედრა დედათა დიაკონსა და აღკუეცა იგი. და ჰრქუა მას ნეტარმან შიო: დედაო, უწყოდე, რამეთუ ამიერითგან ეგო[1] მცნებასა შინა და აღთქუმაჲ დაგიც ქრისტესდა[2] წინაშე საკურთხეველისა, არცა ჩემდა ხილვად შემძლებელ ხარ და არცა მამისა ჩემისა. იყავ შენ აქა მორჩილ წმიდისა ამის დედათა დიაკონისა და დათა ყოველთა, და ნულარა გეურვებინ ჩემთჳს, ოდენ ჩუ დაივიწყებ ლოცვათა შინა შენთა ჩემთჳსცა[3]. და მოიკითხნეს ფრიადითა ცრემლითა და მისცეს ურთიერთას უკუანაჲსკნელი ამბორის-ყოფაჲ და განეშორნეს.

ეგრეთვე წარიყვანა მამაჲ თჳსი მონასტერსა ზოგად ცხოვრებულთასა და შეიმოსა მანცა წმიდაჲ სქემაჲ და მრავალი სიტყუაჲ სწავლისაჲ ჰრქუა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა მოთმინებისათჳს. და ორთავე მონასტერთა არა მცირედი საფასე შეწირა, სადა-იგი იყვნეს მშობელნი ამის წმიდისანი და მსგავსადვე დედისა მამასაცა მისცა უკუანაჲსკნელი მშჳდობაჲ და მიიღო მისმიერი კურთხევაჲ და განეშორა. ესრეთ მიიღო რაჲ თავისუფლებითი[4] ცხორებაჲ ღმრთივ გონიერმან შიო, მიიწია სახიდ[5] და განუყო ყოველი მონაგები თჳსი გლახაკთა და განათავისუფლნა მონანი და მჴევალნი[6] და განყიდა ყოველი, რაჲცა იყო მშობელთა მისთაჲ დატევებული, და მისცა მონასტერთა და მოქენეთა, თჳნიერ ოდენ იპყრა წმიდაჲ სახარებაჲ და წიგნი სა-

Ⴂ [1] ეგრე D, ეგე C. [2] ქრისტესა და E. [3] ჩემთჳსცა]—E. [4] თავისუფლებით E. [5] სახედ D. [6] მჴეველნი CD.

Ⴂ | Ⴂ

ფსალმუნე, დაუტევა «გიხაროდენი» ყოველთა საქმეთა მისთა თანა სახარებისაებრ მეტყუელისა, თჳთ სულიცა უარ-ყო ქრისტესთჳს და განვიდა სოფლით და სახლით თჳსით და წარემართა სასურველისა მიმართ თჳსისა გზისა, რომლისათჳს ყოლადვე სუროდა და ტრფიალ იყო მოგებად მისდა, რომლისაგანცა არა ჴუებულ იქმნა, ვითარცა ქუემორე ცხად ყოს სიტყუამან.

მიიწია კუალად იოანესა[1] და[2] მოუდრიკნა მუჴლნი და მიიღო კურთხევაჲ და მის მიერ[3] განიხარა იოანე სიხარულითა დიდითა და შეიწყნარა და შეიტკბობდა მას დიდითა სიყუარულითა და ეტყოდა: შვილო სარწმუნოო შიო, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ დასდევ[4] ჴელი ერქუანსა და უკუანა არა[5] მხედველობდი, არამედ კეთილად წარმართე[6] ურნატი[7] შენი. ჰე, გეტყჳ შენ[8], ძმაო, და გრწმენინ, ვითარმედ უშრომელად განეშორო ყოველთაგან ბრძოლათა მტერისათა ამისთჳს, რამეთუ ყოვლითა სასოებითა შეიყუარე შენ ქრისტე და მტკიცითა სარწმუნოებითა აღასრულენ წმიდანი ბრძანებანი მისნი. ხოლო შიო ევედრებოდა ნეტარსა იოანეს, რათა აღკუეცოს[9] იგი და შერთოს იგი მწყობრსა თანა მონაზონთასა. იხილა რაჲ დიდი იგი სიყუარული მისი იოანე, არღარა ყოვნა, არამედ დასხნა მის ზედა წმიდანი ჴელნი მისნი, აღკუეცა და შეჰმოსა წმიდაჲ სქემაჲ. და იხილა, რამეთუ პირი მისი იქმნა ვითარცა პირი ანგელოზისაჲ.

ხოლო ამიერითგან რაჲღა ვინ თქუას ღუაწლთა მისთათჳს ძლიერთა, რომელ თავსისხმიდა, დღითი-დღე წარემატებოდა ძალითი-ძალად, ვითარცა ხე თანა-წარსადინელსა წმიდათა წყალთა ღმრთის მეცნიერებისათა დანერგული. და ნაყოფიერ იქმნებოდა, ვითარცა ფინიკი მსხმოჲ ტკბილთა და სულიერ-

Ⴂ [1] იოანესსა CD. [2] და]—E. [3] მიერი CD. [4] არა დასდევ C. [5] არა]—C. [6] წარმარტე E. [7] ორნატი E. [8] შენ]—C. [9] აღიკუეცოს C.

Ⴁ.

Ⴂ

თა ნაყოფთაგან და სწავლათა ღირსისა იოანესთა, ვიდრემდის ყოველი გზაჲ მონაზონებისაჲ ვითარცა ჴელოვნებაჲ რაჲმე ესრეთ დაისწავა და მიიწია საზომსა სრულთა[1] და დიდთა მამათასა, ვიდრემდის თჳთ მოძღუარი იგი მისი იოანე განკჳრდა[2] მადლსა მას ღმრთისასა, რომლითა ხედვიდა ნეტარსა შიოს აღსავსედ, რამეთუ ეშმაკთა და მათ მიმართ[3] ზედა მოსლვათა, ვითარცა ქსელთა დედა-ზარდლისათა დაჴსნიდა. და მოეცა მას ღმრთისა მიერ მადლი სენთა ოტებად კაცთაგან და პირუტყუთა და ეშმაკეულთა სიტყჳთ განკურნებდა[4] და ყოვლით კერძო მომავალნი იოანესსა სნეულნი და ეშმაკეულნი ლოცვათა ამისითა განიკურნებოდეს, რამეთუ იყო ნეტარი ესე ყოვლად უმანკოჲ და რაჲთურთით არა შევიდოდა[5] გულსა მისსა კუალიცა სიმაღლისა და ამპარტავანებისაჲ, ხოლო სიმდაბლე ესეოდენი მოეგო, ვიდრემდის არცაღა[6] თუ არა რადმე შეერაცხა თავი თჳსი.

2. ოდეს-იგი აღასრულნა ნეტარმან შიო ოცნი წელნი სხუანი მონაზონებასა შინა, მოიწია იოანესსა ბრძანებაჲ ზეგარდამო, რათა გამოირჩინეს ათორმეტნი მოწაფეთაგან თჳსთა ძლიერნი სიტყჳთა[7] და საქმითა[8] და წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განამტკიცნეს[9] ერნი სარწმუნოებასა ზედა, რამეთუ ახალ-ნერგ იყვნეს მაშინ ქართველნი და ორასნი ოდენ წელიწადნი წარსრულ იყვნეს მოქცევით მათითგან; ოდეს-იგი მოციქულთა მადლითა განმტკიცებულმან წმიდამან[10] დედამან ნინო აღმოშვნა წმიდითა ემბაზითა და განანათლნა ღმრთის მეცნიერებითა. ესე რაჲ ბრძანებაჲ გამოეცხადა მისგან დიდსა იოანეს, ამცნო ყოველთა მოწაფეთა თჳსთა, რათა განეკრძალნენ ლოცვასა, და მარხვითა გარ-

Ⴂ [1] სრულსა D. [2] განჭკჳრდა E. [3] მიმართ] მ̃რთა C. [4] განჭკურნებდა D. [5] შევიდოდეს C. [6] არცა CE. [7] სიტყჳთა DE. [8] საქმითა CE. [9] განამტკიცა C, განამტკიცნენ DE. [10] წმიდამან]—CD.

Ⴂ

Ⴃ

დავლნენ ათნი იგი დღენი ვედრებასა შინა ღმრთისასა და იხილონ, თუ რაჲ არს აღსასრული გამოცხადებისაჲ მის.

გარდაჴდეს დღენი იგი, მოუწოდა ყოველთა და ჰრქუა ნეტარმან იოანე: შვილო ჩემნო და ძმანო საყუარელნო, აჰა ესერა ყოველთა მადლითა ღმრთისაჲთა გხედავ სრულთა ყოველთა შინა საქმეთა ღმრთისათა. ისმინეთ, რომელი-ესე მეუწყა ღმრთისა მიერ, რამეთუ ვიხილე მე ყოვლად წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი და მიბრძანა, რათა აღვიხუნე [1] ჩემ თანა ათორმეტნი თქუენგანნი და წარვიდეთ ქუეყანად ქართლისა და მუნ ვიღუაწოთ სარწმუნოებისათჳს ქუეყანისა. აწ უკუე დავწერო [2] მე [3] თქუენ ყოველთა სახელები და დავდვათ წმიდასა ზედა ტრაპეზსა. ხოლო განვათიოთ ყოველთა ღამე ესე ზოგად ვედრებასა შინა ღმრთისასა და რომელთაცა მოგუცეს [4] ღმერთმან, ვერჩდეთ საღმრთოსა ამას ნებასა.

და ჰრქუეს ყოველთა: მამაო წმიდაო, ვითარცა გამოგიცხადა [5] შენ ღმერთმან, ყავ. ხოლო ჩუენ არასადა დაგიტეოთ და არცა განვეშორნეთ წმიდასა პირსა შენსა. და იყვნეს ყოველნი დიდსა შინა მწუხარებასა, რამეთუ არა იცოდეს [6], თუ რომელთა ჰნებვიდა [7] დატევებაჲ [8], რამეთუ ესრეთ უძნდა დატევებაჲ [9], ვითარ ცოცხლივ ჯოჯოხეთს შთასლვაჲ. ხოლო განათიეს [10] ღამე ყოველ ლოცვასა შინა ზე-დგომით. და იქმნა ჟამი დღისაჲ მესამე, ყოველთა მღუდელთა უბრძანა ნეტარმან იოანე, რათა შეწირონ უსისხლოჲ იგი მსხუერპლი. და აღესრულა რაჲ წმიდაჲ იგი ჟამის წირვაჲ და ეზიარნეს წმიდათა საიდუმლოთა, უბრძანა ყოველთა, რათა აღიპყრნენ ჴელნი და იტყოდნენ კირიელეისონსა. და ვითარცა განიპყრნეს ჴელნი ყოველთა და იტყოდეს კირიელეისონსა ჟამ ერთ, აღიღო

Ⴃ [1] აღიხუნე D, აღგიხუნე E. [2] დავსწერო D. [3] მე] —E [4] მოგუცნეს E. [5] გამაგიცხადა E [6] იტყოდეს CD. [7] ჰნებვიდა] + და D. [8] დატეობაჲ C. [9] დატეობაჲ CDE. [10] განათლდეს CD.

Ⴁ.

Ⴂ

ანგელოზმან ღმრთისამან საკურთხევლისაგან და შთადვა ჴელთა შინა იოანესთა სახილველად ყოველთა ათორმეტი[1] ქარტა, რომელსა[2] ეწერა ათორმეტთა ძმათა სახელი, რომელნი-იგი უფალმან გამოირჩივნა[3]: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა[4], პიროს, ელია. პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე. ხოლო ესე ამისთჳს ყო ნეტარმან იოანე, რათა არა თუალ-ღებით ჰგონონ სიყუარული მათდა მიმართ ძმათა და რომელნი-იგი დაშთენ, არა შეწუხნენ მოძღურისათჳს.

ესე რაჲ ესრეთ იქმნა, მოიყვანნა დაშთომადნი იგი ძმანი შეწუხებულნი, მწარედ მტირალნი დატევებისათჳს[5] მათისა და მვედრებელნი[6], რათა არა დააკლდენ ეგევითარსა სახიერსა მოძღუარსა, არამედ მიუგო ნეტარმან იოანე და ჰრქუა მათ: შვილნო, შეუძლებელ არს ნებასა ღმრთისასა წინააღდგომაჲ და თქუენ მეწამებით, რამეთუ მიერ დღითგან, ოდეს ინებეთ გლახაკისა იოანეს მოწაფეობაჲ, არავის თუალ ვახუენ თქუენგანსა, არამედ ყოვლითა გულითა მარტივად შეგიყუარენ ყოველნი, ვითარცა ქრისტე მეწამების ამას თჳთ. და აწ ოდეს ნებაჲ მისი თქუენ ზედა ესრეთ არს, რათა თქუენ აქა სათნოეყვნეთ მას, ხოლო ესენი, სადა-იგი მიუძღუეს, ნუ სწუხთ, არამედ სიხარულით ერჩდით ბრძანებასა და ჩინებასა მისსა, რათა არა წინააღმდგომცა ვიპოვნეთ[7] ღმრთისა. და ფრიად ჰლოცვიდა[8] და ევედრებოდა, რათა დააცხრონ გოდებაჲ იგი უზომოჲ. და განუჩინა მათ ეფთჳმი წინამძღურად და მსწავლელად[9] ნაცვალად თჳსსა. და აღაპყრნა ჴელნი და ილოცა მყოვარ ჟამ და შევედრნა იგინი უფალსა. და მოექცა თითოეულსა მათგანსა, დასდვა ჴელი[10] და აკურთხნა და მერმე ზოგად ყოველნი, და ესრეთ მრავლითა ცრემლითა იჯმნა მათგან.

Ⴂ [1] თორმეტი D. [2] რომელთა C. [3] ოგამოირჩივნა უფალმან C. [4] თათთა C, თათაჲ E. [5] დატეობისათჳს CDE. [6] მევედრებელნი E. [7] ვიპონვნეთ D. [8] ილოცვიდა C. [9] მასწავლელად E. [10] დასდვნა ჴელნი C.

Ⴂ

Ⴃ

ამათ ჟამთა შინა აღსრულ იყო დიდი მნათობი სჳმეონ საკჳრველთ-მოქმედი მთასა საკჳრველსა, გარნა არა და სუეტსაცა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო. და ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყვანებელსა, რომელი-იგი მრავლითა შრომითა წარვლეს.

3. ხოლო მიიწივნეს რაჲ ქუეყანად[1] ქართლისა, დაადგა[2] ევლავიოს კათალიკოზსა ჩუენებასა შინა ღამისასა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას:ႨႡ აჰა ესერა მოვალს იოანე ყოვლად განთქმული მონაჲ უფლისაჲ მოწაფეთა თჳსთა თანა, რომელმან განანათლოს ყოველი ესე[3] ქუეყანაჲ, ვითარცა პირველ ნინო./ აწ უკუე აღდეგ და მიეგებვოდე[4] მათ და მრავლითა მოღუაწებითა შეიწყნარენ იგინი, რამეთუ ღმრთისა მიერითა ბრძანებითა მოიწივნეს იგინი და ნუ ხედავ შეურაცხებით მოსილებასა[5] მათსა, რამეთუ შინაგანი მათი კაცი ყოვლად ბრწყინვალე და შემკობილ არს.

აღდგა უკუე ღირსი ევლავიოს ყოველთა თანა ეკლესიისა შვილთა და განვიდა ზენა სოფლამდე და იმსტურობდა[6] ყოველთა თანა-წარმავალთა, თუ ვინმე არიან[7] მონანი იგი ღმრთისანი. და აჰა მოვიდოდეს[8] წმიდანი იგი მამანი უჴამლონი და[9] დაბებკულითა მოსილნი, შეურაცხად სახილველნი[10], კუნკულითა შემოსილნი წესისაებრ ასურთა ქუეყანისა. იხილნა რაჲ ღირსმან კათალიკოზმან გულისჴმა-ყო, ვითარმედ ისინი არიან, რომელთათჳს-იგი ეუწყა. აღდგა და შეუპყრა ქედსა იოანესსა და ჰრქუა მას: კეთილად მოხვედ[11], მამაო წმიდაო. შეუვრდა უკუე იოანე ფერჴთა მისთა და ეტყოდა: წმიდაო მეუფეო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირს მყო თაყუანის-ცემად სიწმიდისა

Ⴃ [1] ქალაქად E. [2] და დადგა C. [3]ႢႠ ესე ყოველი C. [4] მიეგებოდე CDE. [5] მოსილებსა C. [6] იმსტრობდა DE. [7] არნ CD. [8] მოვიდეს C. [9] და]—C. [10] სახილავნი DE. [11] მოხუედ CDE,

Ⴄ.

Ⴂ

შენისა. ეგრეთვე თითოეულად ყოველთა მიიღეს კურთხევაჲ კათალიკოზისა მიერ.

აქა დამაყენა მე სიტყუამან მითხრობად თქუენდა საკჳრველებისა დიდისა, თუ ვითარ ღირსმან კათალიკოზმან და ნეტარმან იოანე ისწავნეს ერთმანერთისათჳს და სახელი თითოეულისა[1] და კუალად, ვითარ მოეცა იოანეს ენაჲ ქართულად მეტყუელი ყოვლად დაუბრკოლებელი. ეჰა საკჳრველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა. ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს[2] გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა მას ენათასა[3] ცეცხლისათა*. ჭეშმარიტად საკჳრველ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა ალატყუა სიტყჳთა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, არა თუ ესწავა[4]. ესე ვისმცა[5] არა დაუკჳრდა, ვისიმცა ცნობაჲ არა განცჳბრდა, რომელნი მაშინ მუნ იყვნეს და რომელთა ესმა უცხო ესე სასწაული, ყოველნი განკჳრვებულნი და ზარ-განჴდილნი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა.

ხოლო სასმენელად ყოველთა ჰრქუა კათალიკოზმან ნეტარსა იოანეს: მამაო იოანე, მე უფალმან მაუწყა მოსლვისათჳს შენისა და აწ ვჰმადლობ[6] ღმერთსა, რომელმან მოავლინა სიწმიდე შენი, რათა წარუძღუე მრავალთა სულთა მეცნიერებასა ღმრთისასა და განსწავლნე ჭეშმარიტებასა[7] შინა[8] ცხოვრებასა, რომელი მოიყვანებს სასუფეველად ცათა. თაყუანის-სცა მას წმიდამან იოანე და მიუგო ესრეთ: წმიდაო მეუფეო, შენ მიმსგავსებულ ხარ ქრისტესა სიმდაბლითა, ვითარ მისგან გისწავიეს, ხოლო ჩუენ, მონანი შენნი, უფროსად ვჰმადლობთ[9] ღმერთსა, რამეთუ ღირს ვიქმნენით[10] ეგევითარისა კეთილი-

Ⴂ [1] თითოულისა DE. [2] სიონს]—E. [3] ენათასა]+ენითა C. [4] ასწავა C. [5] ვითარმცა D. [6] ვმადლობ CD. [7] ჭეშმარიტსა E. [8] შენსა C. [9] ვმადლობთ C. [10] ვიქმენით C.

* საქმე 2, 1—4.

Ⴂ

Ⴂ

სა მწყემსისა პოვნად, რომელსა ყოველნი დაფარულნი გამოეცხადებიან ღმრთისა მიერ. მადლი დიდებულსა მას, რომელმან ღირს გუყვნა ხილვასა წმიდისა პირისა შენისასა, რათა უფროჲსღა შენ წარგჳძღუე მრწემთა ამათ შენთა გზასა ცხოვრებისასა, რამეთუ ვხედავ მადლსა ღმრთისასა სრულ ქმნილად შენ შორის უღირსი ესე, რამეთუ რაჟამს ღირს ვიქმენ კურთხევისა შენ მიერისა მოღებად, აღეღო პირი და ენაჲ ჩემი ზრახვად ენასა შენსა და განეხუნეს სასმენელნი ჩემნი,. რათა მესმოდენ წმიდანი ბრძანებანი შენნი, მეუფეო ჩემო. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, ჰმადლობდეს ღმერთსა.

წარემართნეს უკუე და მიიწივნეს წმიდად ეკლესიად და დავარდეს წინაშე[1] განმაცხოველებელისა მის ადგილისა, სადა-იგი ღმრთისა ჯერ-ჩინებითა აღემართა საკჳრველებით სუეტი იგი დიდებული, რომელი მდგომარე არს ჰაერთა შინა თჳნიერ ჴელთა კაცობრივთა ზედა კერძო კუართისა მის ზეგარდამო ქსოვილისა ქრისტეს მჴსნელისა ჩუენისა (რომლისათჳს სხუათა თ ხ რ ო ბ ა თ ა[2] შ ი ნ ა მ ო ჴ ს ე ნ ე ბ უ ლ არს). ამას წინაშე მრავალთა ცრემლთა დაალტობდა იოანე იატაკსა მოწაფეთა თანა მყოვარ[3] ჟამ. ხოლო სრულ ყვეს რაჲ ლოცვაჲ, კათალიკოზმან მრავლითა მოღუაწებითა ისტუმრნა. და დაადგრეს მუნ დღეთა მრავალთა. და ხედვიდეს ყოველნი პირსა ნეტართა მამათასა, ვითარცა ანგელოზთასა. და მოიწეოდეს ყოვლით კერძო ყოველთა სენთაგან შეპყრობილნი და ყოველნი მიემთხუეოდეს მსწრაფლ კურნებასა. და ესმოდეს ყოველთა მათ მიერ სიტყუანი საუკუნოჲსა ცხოვრებისანი და განმტკიცნებოდეს ყოველნი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა და ყუაოდა მოძღურებათა მათთა მიერ ყოველი ქუეყანაჲ ქართ-

Ⴂ [1] და მიიწივნეს. . . წინაშე]—C. [2] თხრობასა C. [3] მყოარ D.

Ⴁ	Ⴂ
	ლისაჲ ვიდრემდის თჳთ თავადიცა მეფე და ყოველნი მთავარნი ქართლისანი მიიწი(ვ)ნეს მუნ და მათგან კურთხევისა მიმღებელნი განათლდებოდეს სწავლითა მათითა და ვითარცა მდინარისაგან დიდისა ირწყუებოდეს სწავლათაგან ნეტარისა იოანესთა. ხოლო ნეტარნი ესე მამანი მრავლითა ლოცვითა და ვედრებითა ითხოვდეს ღმრთისაგან, რათა უჩუენოს მათ ადგილი მკჳდრობისა მათისაჲ. და მოვლიდეს ყოველთა მათ ადგილთა, სადა ნეტარი ნინო იყოფოდა [1] და ამბორს-უყოფდეს იალტაკსა და ვითარმცა [2] მას ცხოველსა ხედვიდეს. ეგრეთ შეიტკბობდეს და ეზიარებოდეს და იკითხვიდეს და სცნობდეს ყოველსა მას ცხოვრებასა მისსა და ქადაგებასა და შრომათა მის ნეტარისათა [3]. და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან უძლურსა ბუნებასა მიანიჭა მადლი მოციქულებისაჲ და ესევითართა ღუაწლთა ძლიერთა შინა განაძლიერა და უმჯნეს იპოვა მამათა.
	4. დღესა ერთსა იხილა ნეტარმან იოანე აღმოსავალით კერძო მთასა ზედა ზადენისასა, რამეთუ ვითარცა ნისლი ეშმაკთა სიმრავლენი ჰყოფდეს მრავალთა რათმე საოცრებათა; და განჰკკრდა და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა [4]: იხილეთ-ღა [5], უკეთურნი ისი რასა ჰყოფენ, ამისთჳს რამეთუ [6] მთნდა ადგილი ისი [7] საყოფელად ჩემდა; შინებისათჳს ჩუენისა [8] სახილველად ჩუენდა [9] შეკრებულ არიან და ჰყოფენ საოცრებათა, გარნა ძალი ქრისტესი თანა-მწე ვიყოთ. მერმე მიექცა სულთა მათ ბოროტთა და ეტყოდა: იყავნ უფალი კურთხეულ, რამეთუ მანდაჲთ ლტოლვილთა ვერცა სხუაგან სადა [10] ჰპოვოთ [11] სამკჳდრებელი, სადაცა გლახაკისა იოანეს [12] და ძმათა ამათ ჩემთა სახელები ითქმოდის. ხოლო მივიდეს წინაშე წმიდისა კათალიკოზისა და

Ⴂ [1] იყოფებოდა E. [2] ვითარცა C. [3] და შრომათა მის ნეტარისათა]—E. [4] თჳსთა]—CD.. [5] იხილეთა E. [6] რამეთუ]+მე E. [7] იგი E. [8] ჩემისა C. [9] ჩემდა DE. [10] სადა]—E. [11] ჰპოოთ D [12] იოანესი E.

Ⴁ.	Ⴂ.

ითხოვეს ადგილი იგი, მთაჲ ყოვლად რაჲმე მაღნარი და შეუვალი კაცთა მიერ, რათა დაემკჳდრნენ მუნ, ვიდრემდის განუჩინოს მათ მადლმან ღმრთისამან შემდგომი[1].

და უბრძანა კათალიკოზმან, ვითარმედ: წმიდანო მამანო, ყოვლად უნუგეშინისცემო და მაღნარ არს და შეუვალ კაცთაგან მთაჲ ისი[2], და უწინარეს კერპიცა იგი[3] ბილწისა ზადენისი მდგომარე ყოფილ არს იქი, რომელი-იგი შემუსრა ნეტარმან ნინო, და აწ ვითარ მესმის სულთა მიერ ბოროტთა ღლსავსე არს მთაჲ იგი. ხოლო მათ ჰრქუეს: იყავნ ნებაჲ ღმრთისაჲ, წმიდაო მეუფეო, და წმიდანი ლოცვანი შენნი შემწე მდაბალთა ამათ მონათა თანა შენთა, მოგუეც კურთხევა შენი და წარგუავლინენ. და ვითარ ვერ დააყენნა იგინი კათალიკოზმან, მისცა მათ კურთხევაჲ და წარავლინნა იგინი.

ხოლო იყო ჟამი მაისისა ⟨თ⟩თჳსა და მდიდროოდა[4] მდინარე არაგჳ. მიიწინეს უკუე კიდესა მდინარისასა. ხოლო თჳთ ევლავიოს კათალიკოზი მუნ იყო მრავალთა თანა ეპისკოპოსთა და სხჳსა სიმრავლისა ფრიადისა, რათა უვნებელად წიაღიყვანნენ[5] ფიცხელისა[6] მისგან მდინარისა. იხილეს რიჲ დიდროჲ[7] იგი წყლისაჲ, აყენებდეს მათ წიაღსლვად, რამეთუ უღონო იყო განსლვაჲ მისი ჟამსა მას.

ჰრქუა დიდმან იოანე ნეტარსა შიოს: ილოცე მამაო, რათა ღმერთმან უვნებელად წიაღგჳყვანნეს იმიერ. ხოლო მორჩილმან ამან[8] სულმან ყოვლად არარაჲ ჰრქუა სხუაჲ, არამედ მინდობილმან ბრძანებასა მოძღურისასა მოიდრიკნა სამ გზის[9] მუჴლნი აღმოსავალით, ჯუარი გამოსახა წყალსა მას ზედა და ჰრქუა:[10] მამაჲ ჩუენი იოანე გიბრძანებს, წყალო[11], რათა დაეყენნეთ სლვისაგან, ვიდრემდის წიაღვიდეთ იმიერ ჴმელად. ეჰა უსაზღვროსა[12] კაცთ მოყუარებასა შენსა, ·ქრის-

---

Ⴂ. [1] შემდომნი E. [2] იგი E. [3] ისი CD. [4] მდიდროობდა E] მდიდრო და C, მდიდრობდა D. [5] იყვნნენ C. [6] ფიცხლისა DE. [7] დიდროჲ C. [8] მან E. [9] სამ გზის]—C. [10] ჰრქუა]+მათ CD. [11] წყალნო C. [12] უსაზღროსა CD.

ჲ

ჳ

ტე ღმერთო! რამეთუ სიტყუასა თანა მისსა დადგა მდინარე იგი სლვისაგან, ვიდრემდის წიაღვიდეს იგინი ჴმელად. იხილეს რაჲ ესე სიმრავლემან ერისამან, ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესევითარი მადლი მოსცის მონათა თჳსთა. და იხარებდა კათალიკოზი და ერი ყოველი[1] და მადლობდეს ღმერთსა, რომელმან ეგევითარნი განმამტკიცებელნი სარწმუნოებისანი მოანიჭა მათ.

ხოლო ნეტარნი იგი მამანი აღვიდეს მთასა მას ზედა ფრიადითა ღუაწლითა სიჭჳროჲსაგან სერტყთაჲსა. და მიმოვლო ნეტარმან იოანე ყოველი იგი მთაჲ და პოვა მცირე ქუაბი და შექმნა იგი წმიდად ეკლესიად, და დაემკჳდრნეს მუნ. და იქმნეს მცირედი რაჲმე ტალავრები და იღუწიდეს ძლიერად, რამეთუ განიკაფებოდეს ყინელისაგან სასტიკისა ჟამსა ზამთრისასა. და იყო მათდა საზრდელად მდელოთაგან ქუეყანისათა. ხოლო განისმა ჰამბავი[2] მათისა მუნ მკჳდრობისაჲ და შექმნეს მთასა მას შინა გზაჲ ფრიადმან სიმრავლემან და მოვიდოდეს ყოვლით კერძო სიმრავლე ერისა აურაცხელი: სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ღრეკილნი, ყრუნი და ყოველნი განიკურნებოდეს ლოცვითა მათ წმიდათა მამათაჲთა, ვითარცა წერილ არს ვრცელსა შინა ცხორებასა ნეტარისა იოანესსა.

5. დღესა შინა ერთსა გულს-იდგინა კათალიკოზმან კრებისა თანა თჳსისა, რამეთუ მუნ იყვნეს ყოველნი ეპისკოპოსნიცა[3] მისნი, რათა აღვიდენ და მოიხილნენ წმიდანი იგი მამანი. წარვიდეს უკუე და აღვიდოდეს მთასა მას ზედა და იხილნეს ნეტარნი იგი ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი თჳნიერ ყოვლისა სოფლისა განგებისა და საჴმრისა. იხილნეს რაჲ წმიდათა მათ[4] მამათა კათალიკოზი და ყოველნი იგი ეპისკოპოსნი[5]

ჳ [1] ∽ყოველი ერი E. [2] ამბავი CD. [3] ეფისკოპოსნიცა C. [4] მათ]—E. [5] ებისკოპოსნი E, ფისკოპოსნი C.

ⴂ

ⴃ

მიმავალნი, განიხარეს სიხარულითა დიდითა, მოეგებ(ვ)ოდეს მათ და შეუვრდებოდეს ფერჴთა მათთა და მიიღებდეს კურთხევასა მათ მიერსა [1]. ეგრეთვე ეპისკოპოსნიცა [2] იგი ლოცვასა მათ მიერსა. ხოლო კათალიკოზმან ყო რაჲ ლოცვაჲ დასასრულისაჲ, დასხდეს უკუე ქუაბსა მას მახლობელად, რომელი შეემზადა ეკლესიად. ეტყოდა ნეტარი იოანე კათალიკოზსა და ყოველთა ეპისკოპოსთა [3]: რად მოშუერით, უფალნო ჩემნო, სიმდაბლისა ჩემისა? და ვითარ ღირს ვართ ჩუენ, მონანი სიწმიდისა თქუენისანი, რათამცა მოაშურეთ [4] სიწმიდე თქუენი აქა? [5] არამედ ღმერთმან მოგეცინ სასყიდელი, რომელი მდიდარ არს წყალობითა. უბრძანა კათალიკოზმან იოანეს, რათა ჰრქუას მათ სიტყუაჲ სარგებელისათჳს სულისა. ხოლო იოანე ეტყოდა: შენ გშუენის ესე, წმიდაო მეუფეო, და შენი არს საქმე ესე, რათა ჩუენ ვირწყუებოდით [6] სწავლათა შენთა მიერ. მრავალ ჟამ აიძულა რაჲ [7] კათალიკოზმან იოანეს, აღაღო პირი თჳსი [8] და იწყო სიტყუად სიტყუათა ცხოვრებისათა შუენიერთა, რამეთუ ნეტარისა იოანეს პირი, ვითარცა წყაროჲ ტკბილი მდინარე, ეგრეთ აღმოაცენებდა სწავლათა დაულევნელთა, ოდეს აიძულის ვინ თქუმად რასამე. და ისმენდეს მისსა ყოველნი იგი ეპისკოპოსნი [9] და სარგებელ ეყოფოდეს ფრიად და იხარებდეს.

11 (6). ხოლო ჯერ-არს, რაჲთა მოვიჴსენოთ ერთი მოწაფეთაგანი წმიდისა იოვანესთაჲ [1], სახელით ისე, განთქმული ყოვლითავე [2] სათნოებითა, ნერგი იგი სამოთხისაჲ, ყუავილი შუენიერი [3] და ყოვლისა კეთილისა ძირი.

(6). ამას ჟამსა შინა აღსრულებულ იყვნეს ეპისკოპოსნი ორნი, ერთი წილკნისა და

ⴂ [1] წმიდისა იოვანესთაჲ] წინაშე ღ̃ისა B′. [2] ყოვლითვე B. [3] შუნიერი BB′.

ⴃ [1] მათ მიერ C. [2] ეფისკოპოსნიცა C. [3] ებისკოპოსთა E, ეფისკოპოსთა C. [4] მოაშვრეთ E. მოაშრვეთ C. [5] ოაქა თქუენი E. [6] ვიწყაროებდეთ C. [7] ორაჲ აიძულა E. [8] თჳს E. [9] ებისკოპოსნი E, ეფისკოპოსნი C.

Ⴂ

ესე ნეტარი ისე შეიპყრა წმიდამან მამათ მთავარმან[1] კათალიკოზმან და აკურთხა იგი ებისკოპოზად საყდარსა ზედა წილკნისასა[2]. და[3] დაღაცათუ იგი არა თავსიდებდა საქმესა მას და შევრდომით ითხოვდა განტევებასა.

ხოლო მან უნებლიით დაასხნა ჴელნი და წარგზავნა საყდარსა ღმრთისა დედისასა და[4] დედისა მის, რომელმან დედაჲ თჳსი ცთომისაგან[5] აღადგინა, დედისა მის, რო-

Ⴃ

ერთი ნეკრესისა. და ზრახვა ყვეს კათალიკოზმან და ეპისკოპოსთა, რათა მათგანნი ყვნენ ეპისკოპოს ორთავე შინა საყდართა და განიზრახეს ესრეთ, რათა რომელთაცა დღეს შეწირონ უსისხლო მსხუერპლი, მათ დაასხნენ ჴელნი თჳნიერ ყოვლისა ცილობისა. ხოლო მოიწია რაჲ ჟამი წმიდისა ჟამის წირვისაჲ, აბიბოს იქმნა მსახურ წმიდისა ჟამის წირვისა და ისე—დიაკონი.

და აღესრულა რაჲ ჟამის წირვაჲ, შეიპყრა კათალიკოზმან ერთითა ჴელითა ისე, ხოლო ერთითა აბიბოს და ამბორს-უყო აბიბოს(ს) და ჰრქუა: გიხაროდენ აბიბოს ეპისკოპოსო[1] ნეკრეს ქალაქისაო! და ამბორს-უყო ისეს და ჰრქუა: გიხაროდენ ისე, ეპისკოპოსო[1] წილკნისაო! ხოლო იგინი განცჳბრდეს მოულოდებელსა მას ზედა სმენასა, შეწუხებულნი იჯმნიდეს, ულირსებასა იტყოდეს, ევედრებოდეს, შეუვრდებოდეს ფერჴთა ცრემლითა განტევებად[2] მძიმისა მისგან საქმისა, გარნა კათალიკოზმან ესრეთ ჰრქუა მათ: ცხოველ არს უფალი ჩუენი[3] იესუ ქრისტე, არა გარე-მივაქციო სიტყუაჲ ესე, რომელი იქმნა ჩემ გლახაკისა[4] მიერ გამორჩევითა ღმრთისაჲთა.

ესე რაჲ ესმა იოანეს, ჰრქუა მათ: შვილნო, ნუ ხართ ურჩ განგებისა საღმრთოჲსა და წმიდისა ამის მეუფისა ჩუენისა და რამეთუ მოვიწიენით[5] აქა ამისთჳს, რათა ვიღუაწოთ ადგილად-ადგილად ღმრთისათჳს, რომელმან-იგი მიბრძანა ჩუენ მოსლვაჲ. ესმა რაჲ სიტყუაჲ მოძღურისაჲ, ერჩდეს ბრძანებასა მისსა. და წარიყვანნა[6] კათალიკოზმან და ყვნა ორნივე ეპისკოპოს. და წარავლინა აბიბოს საყდარსა ზედა ნეკრესისასა, ხოლო საკჳრველი ისე წარავლინა საყდარსა წილკნისასა, რომელსა შინა მდგომარე არს ხატი

Ⴂ [1] მამად მთავარმან B'. [2] წილკნისსა B'. [3] და]—B'. [4] დედისასა და]—B'. [5] ცთომისაგან] დაცემისაგან B'.

Ⴃ [1] ებისკოპოსო CE. [2] განტავებად C. [3] ჩემი C. [4] გლახაკის D. [5] მოვიწივენით D. [6] წარიყვანა E.

Ⴂ

მელმან დედანი წყევისაგან იჴსნნა: დედისა მის, რომელი შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა იქმნა და აცხოვნა ყოველი[1] ნათესავი კაცთაჲ, რომელნიცა სარწმუნოებით თაყუანის-სცემენ ქრისტესა, მისგან შობილსა ღმერთსა.

ჵ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო მარიამ, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა მისისაჲ[2], რამეთუ ქუეყანისაგანნი ვიყვენით და აწ შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიმსახურებით და შენ მიერ უხრწნელებაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ მოვიგეთ[3]. ამისთჳს შუენის[4], რაჲთა საყდარსა დიდებისა შენისასა წმიდანი და სულითა განათლებულნი კაცნი იყვნენ[5] ზედამდგომელად[6] ტაძრისა შენისა და ამისთჳსცა გამორჩეულ იქმნა ღირსი ესე წმიდაჲ ისე ზედამდგომელად საყდრისა შენისა, წმიდაო დედოფალო!

ხოლო წმიდამან ამან მამამან და ებისკოპოზმან[7] იწყო სწავლად და წურთად სამწყსოთა თჳსთა და მიჰმართა ჩრდილოჲთ კერძო[8] რამეთუ ჯერეთ[9] მოუქცეველ იყვნეს[10] და მტკიცედ ეპყრა კერპთ მსახურებაჲ.

Ⴂ [1] ყოველივე B'. [2] მისისაჲ] შენისაჲ B'. [3] საუკუნო მოვიღეთ BB'. [4] შუჵნის BB'. [5] იყუნენ BB'. [6] ზედამდგომლად B. [7] ეპისკოპოსმან B. [8] ჩრდილოთ კერძოჲ B'. [9] ჯერთ B'. [10] იყუნეს BB'.

Ⴃ

ყოვლად უბიწოჲსა ღმრთისა დედისაჲ, რამეთუ მებრვე ესევითარი ღირსი მღუდელთ მთავარი შუენოდა წილ-ხდომად საყდარსა ღმრთისა მტჳრთველისა ქალწულისასა მწყემსად[1] ჯეროვნად ძისა და ღმრთისა მისისა სისხლთაგან მოგებულთა სამწყსოთა.

ხოლო ვითარცა დადგინებულ იქმნა წმიდაჲ ესე ეპისკოპოსად[2], კუალად დასძინა პირველსა მოსწრაფებასა უმეტესი შრომაჲ, რამეთუ იწყო სწავლად და მწყსად სამწყსოთა თჳსთა გულს-მოდგინებით და არა კმა-იყო მახლობელთა მხოლოდ განმტკიცებაჲ სარწმუნოებასა ზედა მართალსა, არამედ აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და ფრთეთა სულიერთა მიმხუმელი წარვიდა დამკჳდრებულთა მიმართ ჩრდილოსა კერძოთათა, რომელნი მერმეცა მოუქცეველ[3] იყვნეს ქრისტეანეთა მართლისა სარწმუნოებისა მიმართ და კერპთ მსახურებისა საცთურითა შეპყრობილნი ბრმად მქონებელ იყვნეს თუალთა სულისათა.

Ⴃ [1] მწყსად C. [2] ებისკთპოსად CE. [3] მოქცეულ C.

Ⴂ

და იწყო სწავლად მათდა სწავლითა სიმშჳდისაჲთა და ყოვლითავე[1] ღონისძიებითა და სასწაულთა მოქმედებითა მოაქცევდა[2] სარწმუნოებად, რამეთუ სნეულთა ჰკურნებდა და[3] ეშმაკთა ბრძანებით განასხმიდა და მრავალნი საკჳრველებანი ქმნნა[4] და ესრეთ კეთილად სწავლითა მრავალნი სულნი მოაქცივნა[5] და ტაძარნი კერპთანი დალეწნა და ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელ-სცა და განამტკიცნა[6] ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა. და ესევითარითა საქმითა კეთილითა შემკული მოვიდა საებისკოპოსოდ თჳსად წმიდაჲ ესე ებისკოპოსი ისე.

Ⴈ

აქა შინა მიწევნულმან ღირსმან ამან მამამან იწყო სწავლად მათდა სიმშჳდით და სიტკბოებით მზრახველმან მათდა მიმართ, რამეთუ წარმოუთხრობდა მათ კაცთა მომართ გარდამოსლვასა ღმრთისასა ზეცით, რათა გამოიჴსნნეს ეშმაკთა და კერპთა მონებისაგან და ამოებასა[1] და საცთურსა მტყუართა[2] მათ ღმერთთა მათთასა განუცხადებდა და ევედრებოდა მათ, რათა დაუტეონ საცთური იგი ბოროტი და შეუდგენ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა. და ესრეთ ყოვლითა ღონისძიებითა და კეთილითა სწავლითა მოაქცივნა იგინი სარწმუნოებად სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა, რამეთუ სნეულთა განჰკურნებდა და ეშმაკთა განასხმიდა სახელის-დებითა ქრისტესითა, ვინაჲცა მრავალნი შეეძინნეს[3] სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოძღურებითა ამის ღირსისა მამაკაცისაჲთა. და მრავალნი ტაძარნი კერპთანი დაარღჳნა და ბომონნი დაამჴუნა, ხოლო ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელს[4]-სცა და ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა განამტკიცნა ამიერ დამადგინებელი მუნ მღუდელთა და დიაკონთა. კუალად საყდრადვე თჳსად უკუმოიქცა ძლევასა აღმადგინებელი ბოროტთა ეშმაკთა ზედა მოძღურებითა და სწავლითა საღმრთოჲთა.

7. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. შემდგომად წარსლვისა ნეტართა ამათ აბიბოს და ისესა განმრავლდა მოსლვაჲ ყოვლით კერძო ნეტარისა იოანესსა, დაუტეობდეს სოფელსა და იქმნებოდეს მონაზონ, ვითარცა წერილ არს მისთჳს[5] მას შინა ცხორებასა[6], რამეთუ მთაჲ იგი, პირველ მაღნარი, ყოვლად განშიშულდა სიმრავლისაგან მიმავალთაჲსა[7] და მუნ დამკჳდრებულთაჲსა[8], რამეთუ აღივსო ყოველი იგი მთაჲ მადიდებელთა მიერ ღმრთისათა[9].

Ⴂ [1] ყოვლითვე B. [2] მოაქცევდ B [3] და]—B′ [4] ქმნა B′. [5] მოაქცივნნა B′. [6] განამტკიცა B′.

Ⴈ [1] ამაობასა E. [2] მტყუვართა C. [3] შეიძინნეს C. [4] ნათელ CE. [5] მისთჳს] მის თჳსსა C. [6] ცხორებასა]+მისსა E. [7] მომავალთაჲსა E. [8] დამკჳდრებულთასა CD. [9] ღმრთისა DE.

Ⴃ.

Ⴂ

ღამესა შინა ერთსა გამოუჩნდა ნეტარსა იოანეს ყოვლად წმიდაჲ ღმრთის მშობელი და წმიდაჲ დედაჲ ნინო[1] და ეტყოდა მას დიდებული იგი სახილავი, რათა განსთესნეს თჳსნი იგი მოწაფენი ყოველთა ადგილთა შინა ქართლისათა. განიღჳძა უკუე იოანე და მიუთხრა ჩუენებაჲ ესე ყოველთა ძმათა და უბრძანა მათ, რათა განემზადნენ ძლიერად აღსრულებად ნებასა ღმრთისასა. და წარვიდეს თჳთეული[2] მათგანი ადგილად-ადგილად, სადაცა მიუძღუეს მათ სული წმიდაჲ. ესმა რაჲ ესე მათ, შეწუხნეს ფრიად განშორებისათჳს მისისა, გარნა არარაჲ წინააღმდგომი იკადრეს, არამედ ერჩდეს ნებასა ღმრთისასა და ბრძანებასა მოძღურისასა. და წარვიდა თჳთეული[2] მათი ვითარცა განუჩინა მათ სულმან წმიდამან. მოვიდა უკუე ნეტარი იოანე და მოიყვანნა ყოველნი კათალიკოზისა ევლავიოს წინაშე და აუწყა მას ჩუენებაჲ იგი და ევედრა, რათა მისცეს მათ კურთხევაჲ და შეზღუდნეს იგინი ლოცვითა მისითა. ესრეთ უკუე მოიღეს რაჲ[3] კურთხევაჲ მისი, მრავალი ასწავა მათ[4] ნეტარმან იოანე, ვითარცა წერილ არს ც ხ ო რ ე რ ე ბ ა ს ა შ ი ნ ა მ ი ს ს ა. და წარვიდეს უკუე ყოველნი და თჳთეულმან[5] მათგანმან წარიტანნა ახალ ნერგთა მათგან ქართველთა მონაზონთა, ვითარცა უბრძანა მათ იოანე.

8. არამედ ნეტარი შიო იყო დაყუდებis მოყუარე და ევედრებოდა იოანეს, რათა უბრძანოს მას დაყუდებით ყოფაჲ. და ჰრქუა მას იოანე: შვილო შიო, წარვედ, სადაცა უფალი მიგიძღუეს, რამეთუ გამომიცხადა მე ღმერთმან, ვითარმედ დაყუდებითაცა ცხოვრება წარვლო და მამაჲ იქმნა დიდისა ლავრისა; არამედ წარვედ და მიიღე კურთხევაჲ ნეტარისა მეუფისა ჩუენისა კათალიკოზისა და იყავნ უფალი შენ თანა, ვი-

Ⴂ [1] ო ნინო დედაჲ E [2] თითოეული C. [3] ო რაჲ მიიღეს E. [4] მათ]—C. [5] თითოეულმან C.

Ⴀ

7 (8). ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივ განბრძნობილი მამაჲ ჩუენი წმიდაჲ შიო მოვიდა წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა[1] და დაემკჳდრა[2] დასავალით კერძო დედა ქალაქსა მცხეთისასა. და პოვა ჴევი ღრმაჲ ფრიად[3] ფიცხელი, უდაბნოჲ და[4] ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საჴმართაგან, და ჰაერი ზაფხულისაჲ ფიცხელ[5] და ეგრეთვე ზამთრისაჲ უფიცხლეს. და პოვა[6] მუნ მცირე ქუაბი და[7] დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა ღმრთისა მინდობისაჲთა, ჴელ-ყო საქმესა ამას და სიკუდილად მისცა თავი თჳსი მისთჳს, რომელმან არაოდეს უგულებელს ყვნის მოსავნი მისნი[8].

Ⴁ

თარცა არასადა დამიტევა მე მდაბალი ესე ბრძოლასა შინა სულთა უკეთურთასა, იგი იყავნ ჴელისა აღმპყრობელ[1] შენდა დღე და ღამე, მფარველ და ნუგეშინის-მცემელ და შენ წილ მბრძოლ და დამარღუეველ ყოველსა ძალსა და სივერაგესა ეშმაკთასა.

ესრეთ რაჲ შეზღუდა ლოცვითა ნეტარმან იოანე ღირსი კურთხევისაჲ შიო, წარვიდა კათალიკოზისა წინაშე და მოიღო კურთხევაჲ მის მიერ[2] და წარემართა დასავალით კერძოთა მცხეთისათა კაცთაგან ყოვლად უვალთა მაღნართა და კლდეთა საშინელთა. ვლო და იხილა ჴევი რაჲმე ღრმაჲ უნუგეშინისცემოჲ, ურწყული, სავსე მჴეცთა მიერ და ქუეწარმავალთა გესლიანთა, რომელი-იგი მიხედვით ოდენ შეაძრწუნებდა[3] კაცობრივსა ბუნებასა. და ვითარ მიმოვლო[4] ადგილი, თქუა[5]: ესე იყავნ განსასუენებელ მონისა შენისა, ქრისტე, ღმერთო ჩემო, და მადლი შენი მწე სიმდაბლისა ჩემისაჲ და ლოცვანი მამისა ჩემისა იოვანესნი მფარველ და შემწე ყვენ ჩემდა. პოვა ჩრდილოჲთ კერძო მდინარესა მას დიდსა, რომელ არს მტკუარი, ქუაბი ყოვლად მცირე, რომელი კმა-ეყოფ(ვ)ოდა დამფარველად სხეულსა მას მისსა. ამას შინა დაემკჳდრა ნეტარი შიო მარტოებით[6] მხოლოდ მინდობილი ღმრთისა მხოლოჲსა თჳნიერ საზრდელისა, თჳნიერ სასუმელისა, თჳნიერ ყოვლისა ნუგეშინის-ცემისა, რომლითა კაცნი ცხოვნდებიან. ხოლო გარდავლნა რაჲ ორმეოცნი დღენი, იხილა ღმერთმან გულსმოდგინებაჲ მისი და მიტევებაჲ ზრუნვისა მისისაჲ მისდა, რამეთუ არცაღა მხალთაგანი რაჲმე იღუაწა განმაძლიერებელად გუამისა მისისა, მისცა მას ძალი უმეტესი. და განასრულა ღირსმან შიო სამეოცი დღე ყოვლად მიუღებელმან საზრდელისა და სასუმელისა-

Ⴀ [1] წმიდისათა B'. [2] დაეთმინა B. [3] ფრიად ღრმაჲ B'. [4] და] დიდად B'. [5] ფიცხელი B'. [6] პოა B. [7] და]—B'. [8] მისნი]თჳსნი B'.

Ⴁ [1] ამპყრობელ CD, მპყრობელ E. [2] მისმიერი E. [3] შეაძრწუნვებდა E. [4] მიმოვლო]+ C. [5] თქუა ადგილი C. [6] მარტიობით C.

Ⴁ	Ⴂ
	მან[1]. და ესრეთ მინდობითა სასოებისა[2] ღმრთისაჲთა სურვილით და წადიერებით შეიტკბო მკჳდრობაჲ ქუაბსა მას შინა, რამეთუ უგულებელს-ყო თავისა თჳსისა ზრუნვაჲ ყოველთავე მსოფლიოთა და ჴორციელთა შუებათათჳს და მისცა იგი იწროებათა და ჭირთა, რომელთა მიერ მონად და მსახურად სულისა მორჩილებად დადგინებაჲ ჴორცთა შეუძლოს. ხოლო სასოებაჲ თჳსი ყოველი აქუნდა ღმრთისა მიმართ და მის მიერ მოელოდა შეწევნასა და განძლიერებასა თჳსსა ყოველთა მიმართ საბრჯეთა[3] და სივერაგეთა მტერისათა.
	ხოლო დღეთა ამათ შინა ვინ გამოთქუნეს ღუაწლნი მისნი, რომელ[3a] მოიწევოდეს მის ზედა განსაცდელნი ეშმაკისანი, რამეთუ არა დაშთა სისრ(ა)თა მისთაგანი, რომელი არა მოიწია წმიდისა ამის ზედა მრავალ სახედ და მრავალ ფერად განცდად იგი გულის სიტყუათა მიერ აურაცხელთა და ჩუენებათა შინა ოცნებითთა[4]. და ვითარ ვერარაჲ უძლო[5] ამათ მიერ, მერმე იწყო შინებად მისდა ოდესმე სახითა მჴეცთაჲთა, ოდესმე სახითა ქუეწარმავალთაჲთა, რამეთუ იქმნის[6] ლომ და ვეფხ და დათუ და გუელ რქოსან, და აშინებნ ოდესმე ღამით და ოდესმე დღისით. ხოლო იხილა რაჲ[7], რამეთუ გურდემლსა ჭედდა, ანუ კუერსა[8] სცემდა, კუალად მოიცვალა სხჳთ კერძო და ღამესა ერთსა ქმნა ესევითარი რაჲმე ოცნებაჲ, რამეთუ შეკრბეს მუნ დამკჳდრებულნი იგი ეშმაკნი და იქმნეს სიმრავლე ამბოხისაჲ ფრიად[9] და დაესხნეს, ვითარ ჰნებვიდა მოკლვაჲ მისი. არამედ ყოვლად არა შეირყია ნეტარი ესე ოცნებათა მათგან მათთა, სრულ ყო გულს-მოდგინებით და დაწყნარებულად ლოცვაჲ თჳსი. მერმე გამოვიდა ქუაბით და ჰრქუა მათ: უბადრუკნო, არა უწყითა, რამეთუ სადა ძალი ქრის-

Ⴂ [1] სასუმელისაგან E. [2] სასოებითა C. [3] საფრჴეთა CD. [3a] რომელნი CDE. [4] უცნებითთა D [5] უძლოს C. [6] იქმნი C. [7] რაჲ]—E. [8] ჭუერსა C. [9] ფრიადი C.

Ⴂ

Ⴂ

ტესი არს, მუნ თქუენ მიერ არარაჲ[1] შესაძლებელ არს. აჰა ესერა ესეოდენნი[2] დღენი არიან და ყოველსა რომელსა ჰყოფთ და ვერცა მოახლებად ჩემდა უძლებთ[3], რამეთუ ქრისტე ღმერთი ჩემი ძალ[4] ჩემდა და ცხოვრება და სიქადულ, და მე თქუენგან ყოვლად არა მეშინის, არამედ უფროჲსლა აწ მე გეტყჳ თქუენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა: წარვედით და განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი. ხოლო ეშმაკნი სიტყუასა ამას ზედა ივლტოდეს მისგან და ჰრქუეს მას: შიო, ამპარტავანო ბერო, აჰა ესერა ხვალე მთავარი ჩუენი მოიწევის აქა, რამეთუ აწ ბრძოლად და მოკლვად არს მოძღურისა შენისა იოანესსა და ხვალე მოაკუდინოს იგიცა და მოიწიოს აქა და მოგაკუდინოს შენცა ბოროტად. ესე ჰრქუეს და წარვიდეს.

ხოლო განიპყრნა ჴელნი თჳსნი ღმრთისა მიმართ ნეტარმან შიო და ხადოდა შემწედ ძალსა მისსა. და ღამე იგი განათია ჴელგანპყრობით გარეგან ქუაბისა მის თჳსისა. და ვითარცა მოეახლა ცისკარი, იხილა ქუაბსა მას შინა თჳსსა ნათელი მიუთხრობელი, რომლისა განცდად ვერ შეუძლებდა. და მოეფინა სულნელებაჲ რაჲმე მიუთხრობელი, ვიდრემდის ყოვლითურთ[5] აღავსო სული მისი სიხარულითა და ჰრქუა ქუაბით გამო: შიო, მონაო ერთგულო ძისა ჩემისაო, მოვედ! და იხილა ქუაბისა მის კარსა მდგომარე დედაკაცი ყოვლად დიდებული, რომლისა განცდად უღონო იყო, ხოლო ერთი სხუაჲ სახითა მოღუაწეთაჲთა მამაკაცი ყოვლად დიდებული და სიმრავლე ფრიად[6] ერთა ზეცისათა, რამეთუ განლებულ იყო ზედა კერძო კლდისა მის, სადა იყო მცირე იგი ქუაბი და ცადმდე იხილვებოდა მწყობრი ან-

Ⴂ [1] არარაჲ]არა C. [2] ესეოდენი E. [3] უძლეო E. [4] ძალ]+არს C. [5] ყოვლითურთ]—E. [6] ფრიადი E.

Ⴂ

ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი იყო̄ ფებოდა რაჲ ქუაბსა მას შინა, ილოცვიდა და იტყოდა: ჭ იესუ სახიერო, რომელი მოხუედ[1] ქუეყანად ცხორებისათჳს კაცთაჲსა

Ⴃ

გეღოზთაჲ, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმიდისა[სა] ტკბილითა რაჲთმე და მიუთხრობელითა ჴმითა და ყოველნი იყვნეს ნიშითა ჯუარისაჲთა შეჭურვილ. ხოლო საშინელებისა მისგან დავარდა ნეტარი შიო ქუეყანასა ზედა, რამეთუ ვერ იტჳრთვიდა ბრწყინვალებასა მას განუცდელსა, რომელი დედაკაცისა მისგან გამოკრთებოდა[1]. ხოლო მიჰყო[2] ვითარცა წუერი რაჲმე კუერთხისაჲ დიდებულმან დედაკაცმან, განაძლიერა[3] იგი და ჰრქუა მას: აღდეგ! და აღადგინა იგი და მისცა ჴელთა შინა მისთა მსგავსი თოვლისაჲ მცირედი და ჰრქუა: მე ვარ მშობელი ქრისტეს ღმრთისაჲ, რომელი-იგი შენ შეიყუარე; ხოლო ჩემ თანა მდგომარე ნათლის-მცემელი არს იოანე. და ვიხილეთ რაჲ სრული სიყუარული შენი ძისა მიმართ ჩემისა, მოვედ ნუგეშის-ცემად შენდა. აწ შეჭამე ეგე, რომელი არს ჴელსა შენსა და ამიერითგან რაჲ-იგი ზეცით მოგეცემოდის, მას სჭამდი[4], და ნუღარა გეშინის ბრძოლათაგან ეშმაკთასა[5], რამეთუ გაქუს მდიდრად მადლი ღმრთისაჲ და იქმნეს უდაბნოჲ ესე აღსავსე კაცთა მიერ ღმერთ-შემოსილთა, რომელნი მობაძავ იყვნენ ცხოვრებასა შენსა და მაქებელ შენდა ეგოს იგი[6] უკუნისამდე.

ხოლო მოეგო რაჲ ნეტარი შიო თავსა თჳსსა[7] და ცნა მეურნეობაჲ ღმრთისა და უბიწოჲსა დედისა მისისაჲ და ჭამა საზრდელი იგი, რომელი აქუნდა ჴელთა მისთა მსგავსი თოვლისაჲ, რომელი მოუძღუანა ბრწყინვალემან მან დედაკაცმან, დატკბა პირი მისი მიუწდომელითა რაჲთამე[8] სიტკბოებითა და სიხარულითა[9] განძლიერდა; ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: ჭ იესუ სახიერო და კაცთ მოყუარეო, რომელი იშევ წმიდისაგან ქალწულისა და ღმრთის მშობელისა, რათა აცხოვნნე შეცთომილნი ეშმაკისა-

Ⴂ [1] მოხუჱდ BB'.

Ⴃ [1] გამოჰკრთებოდა CE. [2] მიყო CE. [3] განაძლიარა C. [4] შჭამდი C. [5] ეშმაკისათა E. [6] იგი]—C. [7] თავად თჳსად C. [8] რათამე CDE. [9] სიხარულითა]+და CD.

Ⴂ

და იშევ წმიდისაგან ქალწულისა, რაჲთა აცხოვნნე რომელნი მჴურვალითა გულითა შეგიდგენ და გმსახურებდენ შენ. აწ მომეც მეცა მოთმინებაჲ, რაჲთა სათნოდ შენდა აღვასრულნე მცირედნი ესე[1] დღენი ცხორებისა ჩემისანი და ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა და დედისა შენისა[2] მარადის ქალწულისა მარიამისითა და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა შენთაჲთა[3] და წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანესითა.

Ⴃ

გან და გამოიჴსნნე[1] მოსავნი და ღმრთად ჴორც-შესხმულად აღმსაარებელნი[2] შენნი მანქანებათაგან მისთა. შენ, მეუფეო უფალო, მომეც მე უღირსსა ამას მონასა შენსა მოთმინებით დადგრომაჲ ადგილსა მას[3] შინა, რათა სათნოდ შენდა აღვასრულნე ნეშტნი ესე დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ღირს მყავ მეცა სხუათავე თანა შენ მიერ შეწყალებულთა ხილვად კეთილთა მათ საუკუნეთა მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა უბიწოჲსა დედისა შენისაჲთა და დიდებულთა წმიდათა მოციქულთაჲთა[4] და წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა.

Ⴂ

ამას იტყოდა და ცრემლითა და განგრძელებითა ლოცვისაჲთა[4] იატაკსა დაალტობდა და განჰმზადა თავი თჳსი იატაკად შუენიერად[5]. და ვითარცა დაადგრა სამარადისოდ მოუწყინებელად ლოცვასა და იხილა ღმერთმან გულს მოდგინედ მოთმინებაჲ მისი და ვითარ[6] არარაჲ იპოვნებოდა[7] უდაბნოსა მას ნუგეშინის-საცემელი ჴორცთაჲ, მანვე სახიერმან და დაფარულთა მხედველმან ღმერთმან, რომელმან გამოზარდა ელია უდაბნოსა[8] შინა ყორნისა მიერ*, ეგრეთვე წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი გამოზარდა[9], რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე უბოძებდა საზრდელსა. ხოლო მარჯუენით კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი მცირე კლდისაგან ჴმელისა, რომე-

Ⴃ

ამათ მეტყუელი ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა განგრძობილად ლოცვისა აღმასრულებელი[5] და მუჴლთ-მოდრეკით მადლობისა შემწირველი უფლისა მიმართ მრავალთა დღეთა შინა. ხოლო ამას შინა ვითარცა წარჴდეს დღენი რაოდენნიმე და დადგრომილ იყო ნეტარი შიო ლოცვასა და მარხვასა შინა შეუორგულებელსა, იხილა ღმერთმან გულს-მოდგინებაჲ და მოთმინებაჲ მისი და ვითარ არა ჰრიდებდა ჴორცთა თჳსთა ესევითარსა იწროებასა და უღონოებასა შინა დასჯად ნაკლულევანებისა მიერ ყოველთავე საჭიროთასა, ვინაჲცა მანვე სახიერმან და კაცთ მოყუარემან არა უგულებელს ყო მონაჲ თჳსი, არამედ, რომელმან ელია ყორნისა მიერ უდაბნოს გამოზარდა*, მან[6] აქა მსახურიცა თჳსი შიო შურსა საღმრთოსა შემშურვებელი[7] ზარდა საზრდელისა მოვლინებითა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე მოუვლენდის მას საჭიროსა ნუგეშინის-საცემელსა ჴორცთასა

Ⴂ [1] მცირედნი ესე]—B'. [2] და დედისა შენისა]—B. [3] შენთათა B'. [4] განგრძელებითა ლოცვისაჲთა] განგრინვებული ლოცვითა B'. [5] შუწნიერად BB'. [6] ვითარ]—B'. [7] იპოვებოდა B'. [8] უდაბნოს B. [9] გამოზადა B'. * III მეფეთა 17, 2-7.

Ⴃ [1] გამოიჴსნა D. [2] აღმსარებელნი CDE. [3] ამას C. [4] მოციქულთაჲთა]+და ყოველთა წმიდათა საუკუნითგან სათნო ყოფილთა შენთათა C. [5] აღმსარელებელი E. [6] მანვე E. [7] შემაშურებელი C, შემშურებელი D. * III მეფეთა 17, 2-7.

Ⴂ

ლი კმა-საყოფელ მისდა იყო. ხოლო ესევითარი რაჲ ღმრთისა წყალობაჲ იხილა მის ზედა, მადლობასა შესწირვიდა ღმრთისა და იტყოდა: ჵ უფალო დიდებისაო, კურთხეულ არს სახელი შენი და[1] დიდ არს წყალობაჲ შენი კაცთა ზედა და ვინაჲ ვარ მე უღირსი ესე წყალობისაჲ, გარნა ყოველსავე ზედა ვჰმადლობ სახიერებასა შენსა.

და[1] იხარებდა სულითა და ადიდებდა ღმერთსა. და მიერითგან განძლიერდა უხილავთა მტერთა ზედა.

Ⴃ

და ამას თანა წყალიცა კმა-საყოფელი მოანიჭა მას განჴმელისა კლდისაგან მარჯუენით კერძო ქუაბისა მის, რომელსა შინა იყოფებოდა. ესევითარი რაჲ ღმრთისა მიერი მეურნეობაჲ[1], მის ზედა ქმნული, იხილა წმიდამან შიო, მადლობასა და ქებასა შესწირვიდა მისა მეტყუელი: ჵ უფალო დიდებისაო და ღმერთო ყოვლისა ნუგეშინის-ცემისაო[1a], იყავნ სახელი[2] შენი კურთხეულ უკუნისამდე, რამეთუ დიდებულ[3] არს წყალობაჲ შენი ჩუენ ყოველთა ზედა, ვინაჲთგან კაცთაცა[4] და საცხოვარსა აცხოვნებ შენ, უფალო, სიმრავლისაებრ წყალობათა შენთასა, რომელმან ჯერიჩინე ჩუენიცა[5] უღირსისა[6] და უნდოჲსა ზრუნვაჲ, ვინაჲცა ყოვლისათჳსვე ვჰმადლობ სახიერებათა შენთა, რომელი არა დამიტევებ მე ცოდვილსა ამას და უჴმარსა მონასა შენსა.

ესრეთ ზეგარდამოჲსა მოურნეობისა[6a] მიმთხუეული ღმრთისაგან იხარებდა სულითა და ადიდებდა[7] მეუფესა და მფლობელსა ყოველთასა, რომელმან წყალობით მოხედვა-ყო ძის ზედა. და მიერითგან დასძინა მღჳძარებაჲ და ლოცვაჲ სხუათა ყოველთა თანა მოღუაწებათა, რამეთუ აგრძნობდა იგი უხილავად წყობასა მისა მიმართ ბოროტთა მტერთა ეშმაკთასა, ვინაჲცა განძლიერებულ იქმნა საღმრთოჲსა ძალისა მიერ და მოეცა მას ძალი წმიდისა სულისა მიერ დათრგუნვად თავსა მზაკუვარისა გუელისასა და ზესთა ქმნად ისართა და[8] მანქანებათა მისთა; და წარიოტნა იგინი დღე ყოველ ფსალმუნებითა და ზე დგომითა, ლოცვითა ღმრთისა მიმართ, რამეთუ პირსა შინა თჳსსა მოაქუნდა სიტყუაჲ წინასწარმეტყუელისა დავითისი საშარადისოდ: «უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა[9] მეშინოდის. უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევძრწუნდე... ალ-თუ-დგეს ჩემ ზედა ბრძოლა,

Ⴂ [1] და] – B′.

Ⴃ [1] ასეა! [1a] ცემისა C. [2] სახლი D. [3] დიდ C. [4] კაცთა C. [5] ჩემიცა E. [6] უღირსისა]+ ამის CD. [6a] ასეა! [7] ადიდებდე C. [8] და]—C. [9] ვისსა C.

Ⴂ.

8. (9) და ვითარ მრავალნი ჟამნი წარვლნა აღგზებულსა[1] მას საჴმილსა შინა მარტოდ მყოფობისასა[2], ინება ზეგარდამომან[3] განგებამან, რაჲთა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკულავი. ამისთჳს გამოაცხადა იგი კაცთა შორის. ხოლო სახე გამოცხადებისა მისისაჲ ესრეთ იყო. რამეთუ მას ჟამსა იყო ვინმე მთავარი, სახელით ევაგრე, ქრისტეს მოყუარე და საღმრთოთა წიგნთაგან სწავლული და ქრისტეანეთა შვილი. ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა დღესა ერთსა ჰრქუა შვილთა[4] თჳსთა და მონათა: განვიდეთ ნადირობად. და განვლეს[5] მტკუარი და განვიდეს დამართებით ადგილსა მას, სადა მჯდომარე იყო[6] ბერი. ხოლო ყოველნივე მიმოდაიბნივნეს და ევაგრე დგა მარტოჲ და მიმოიხედვიდა, რაჲთა იხილოს ნადირთაგანი რაჲმე. ხოლო მიშუებითა[7] ღმრთისაჲთა იხილა ტრედი იგი, რომელი მიართუმიდა საზრდელსა შიოს. ხოლო ევაგრე

Ⴃ.

ამისთჳსცა მე შენ გესავ*». და კუალად: «მომადგეს მე[1] და მომიცვეს მე და სახელითა უფლისაჲთა ვერეოდე[2] მათ...»**. საფრჴე შეიმუსრა და ჩუენ განვერენით ამათ. და ესევითართა ლოცვათა ზედ-დამკმობელი[3] ბოროტთა ეშმაკთა ძალსა[4] განიოტებდა მათ[5] ნიშითა[6] საუფლოჲსა ჯუარისაჲთა მარტოებით მყოფი და მხოლო ღმრთისა მიმართ გალობათა და ქებათა აღმავლენელი[7] მყუდროებით თჳსაგან.

9. ხოლო ამას შინა წარჴდეს რაჲ მრავალნი ჟამნი, ინება ზეგარდამომამან განგებულებამან გამოჩინებაჲ ბრწყინვალისა ამის სანთლისაჲ, ვინაჲთგან არცა შესაძლებელ იყო ქალაქისა მთასა ზედა სათნოებათასა დაფუძნებულისა ესრეთ უმეცრებასა შინა დაფარვაჲ***. ამისთჳსცა სასანთლესა[8] ზედა მაღალსა დადგმულ იქმნა მნათობი ესე ნათელი, რათა ჰნათობდეს იგი ყოველთა**** და განათლდებოდიან მოძღურებათა მისთაგან სულნი მორწმუნეთანი. ამისთჳსცა მრავალ ჟამ დაფარული ესე საუნჯე გამოაცხადა ღმერთმან სახითა ესევითარითა. რამეთუ მას ჟამსა იყო ვინმე მამაკაცი საჩინოჲ მთავარი ციხედიდისაჲ სახელით ევაგრე, შვილი ღმრთის მსახურთა და მორწმუნეთა მშობელთა, და სიყრმით თჳსითგან ღმრთის მსახურებასა და საღმრთოთა წერილთა წურთასა შინა აღზრდილი. ესე[9] ოდესმე დღესა ერთსა გამოვიდა[10] შვილთა და მონათა თჳსთა თანა ნადირობად იმიერ მტკურისა, სადა-იგი იყოფებოდა[11] სანატრელი შიო. ხოლო ვითარცა მიიწივნეს[12] იგინი ამას ადგილსა, მიმოდაიბნინეს ყოველნი მარჯუულ და მარცხლ ძიებად ნადირისა. ხოლო ევაგრე მხოლო[13] მდგომარე იყო ერთსა ადგილსა და იქი და აქა ხედ-

Ⴂ [1] წარავლინა აგზებულსა B'. [2] მარტოდ მყოფობისსა B'. [3] ზეგარდამო B. [4] შევილთა B'. [5] განვლო B. [6] იყო]—B. [7] მიშუშბითა B'.

Ⴃ [1] მე]—C. [2] ვერეოდი E. [3] დამკმობელი]+მათი E. [4] ძალისა CD. [5] მათ]—CE. [6] ნიშთა D. [7] აღმავლენელნი D. [8] სანთელსა C. [9] ესე]+პირველ თქმული ევაგრე C. [10] განვიდა D. [11] იყოფოდა C. [12] მიიწინეს C. [13] მხოლო]—C. * ფსალმ. 26,1-3. ** ფსალმ. 117,11. *** მათ. 5,14. **** მათ. 5,15.

Ⴀ.

განიცდიდა მკჳრსედ და იხილა, სადა-იგი შევიდა. ხოლო ვითარცა ინადირეს, წარვიდეს სახედ თჳსად.

და ხვალისა დღე კუალად განვიდეს და ვითარცა ყოველნი მიმოვიდოდეს და მთავარი ევაგრე დგა მახლობელად ქუაბისა მის[1], სადა მჯდომარე იყო ბერი. და აჰა კუალად იხილა ტრედი იგი და მოაქუნდა საზრდელი ბერისათჳს. და ვითარცა განიცადა ნეტარმან ევაგრე ტრედი იგი[2], განკჳრდა და შეუდგა კუალსა მისსა და იხილა წმიდაჲ იგი[3] შიო მჯდომარე ქუაბსა შინა, დაუკჳრდა და ჰრქუა: რაჲ ხარ, ანუ ვინაჲ. ხოლო ბერმან ჰრქუა: კაცი ვარ უცხოჲ და ქრისტეს მოსავი და ვარ ქუაბსა ამას შინა მცირესა, რაჲთა დაყუდებით აღვასრულნე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად სათნო-ვეყო ღმერთსა. ხოლო ნეტარმან ევაგრე ჰრქუა ბერსა: ცხოველ არს უფალი, არა დაგიტეო შენ და არცა[4] წარვიდე სახედ ჩემდა. ხოლო ბერმან ჰრქუა: შვილო, ვერ ძალ-გიც ტჳრთვად სიფიცხლესა ამას უდაბნოჲსასა[5], რამეთუ გხედავ მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა.

Ⴁ.

ვიდა, რათა იხილოს რომელიმე მის მიერ ძიებულთა ნადირთაგანი და განგებითა საღმრთოჲთა იხილა ტრედი იგი პირველ ჴსენებული, რამეთუ მიაქუნდა საზრდელი წმიდისა შიოს მიმართ მსგავსად ჩუეულებისა. ხოლო ევაგრე[1] მიხედვიდა ტრედსა მას სიმახჳლით, სადა-იგი შევიდა, და იხილა ადგილი იგი და დაისწავა. ამისა შემდგომად ნადირისა კმა-საყოფელისა მომნადირებელი წარვიდა სახიდ თჳსად.

ხოლო ხვალისა დღე კუალად განვიდეს ნადირობად, ვითარ და უწინარესსაცა დღესა. და ვითარცა მიმოვიდოდეს სხუანი ყოველნი ძიებად ნადირისა, კუალად ევაგრე მდგომარე იყო მახლობელად ქუაბისა მის, სადა-იგი იყოფებოდა[2] ღირსი შიო. და აჰა ესერა ხედვიდა ტრედსა მას, რომელი ეხილვა უწინარესსა დღესა მიმღებელად საზრდელისა პირითა თჳსითა ბერისა მიმართ. ესე რაჲ იხილა ევაგრე განცჳბრებულ იყო განსაკჳრვებელსა ამას სახილავსა ზედა, ვინაჲცა შეუდგა კუალსა ტრედისასა, რათა ცნას ზედამიწევნით[3], თუ რომლისა მიზეზისათჳს აწლა ორ გზის იხილვა მის მიერ ტრედი მიმღებელად საზრდელსა მის ადგილისა მიმართ. ხოლო ვითარცა მიიწია[4], იხილა წმიდაჲ მამაჲ შიო, მჯდომარე ქუაბსა მას შინა და მადლობისა აღმავლენელი ღმრთისა მიმართ. და ევაგრე უკუე განკჳრვებული უცხოსა ამას სახილავსა ზედა ზარ-განჴდილი მოშიშებით იტყოდა მისა მიმართ, რამეთუ გულისჴმა-ყო ღმრთისა ძლით დაყუდებაჲ მისი[5] ქუაბსა მას შინა: ვინ ხარ და სადაჲთ, ჵ კაცო ღმრთისაო. ხოლო ბერი ეტყოდა მას: მე კაცი ვარ უცხოჲ და ქრისტეს მოსავი, ხოლო ვიყოფები ქუაბსა ამას შინა მცირესა განშორებული მსოფლიოთა ამბოხთაგან, რათა მყუდროებით აღვასრულნე[6] დღენი ცხოვრებისა ჩემისანი

Ⴀ. [1] მისი B'. [2] იგი] და B. [3] იგი]—B'. [4] არცაღა B'. [5] უდაბნოჲსსა B.

Ⴁ. [1] ევაგრი E. [2] იყოფოდა C. [3] ზედმიწევნით CD. [4] მიიწია]+ევაგრე E. [5] მისი]—C. [6] აღვასრულენ D.

Ⴃ	Ⴂ
	და ესრეთ უშფოთველად თანამდებსა მადლობისა[1] და დიდების მეტყუელებისა სრულ მყოფელი ყოველთა მეუფისა და უფლისა მიმართ სათნო-ვეყო ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა. ხოლო ევაგრე ძსმენელი ამათი ნეტარისა და ღირსისა შიოჲსგან მხიარულ იქმნა ფრიად სულითა და იტყოდა მისა მიმართ: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არასადა დაგიტეო შენ ამიერითგან და არცაღა წარვიდე სახიდ ჩემდა. ხოლო ბერი ეტყოდა მას: ვერ ძალ-გიც, შვილო, მოთმენაჲ სიფიცხისა[2] და ულონოებისა ამის უდაბნოჲსაჲსა, რამეთუ ვითარ გამოაჩინებს სახე შენი, მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა გხედავ შენ, ვინაჲცა წარვედ სახიდ შენდა სამარადისოდ შიშსა ღმრთისასა მქონებელი გონებასა შინა შენსა, რათა დაგიცვას შენ ყოველთაგან სავნებელთა სულისათა.
ხოლო ევაგრე ჰრქუა: დალაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არავე[1] დაგიტეო.	და ევაგრე კუალად სიტყუასა[3] უგებდა ბერსა: დალაცათუ დღესვე[4] იყოს სიკუდული ჩემი შენ თანა, არცა ესრეთ დაგიტეო შენ, ღმერთ-შემოსილო მამაო, არამედ აქა დავადგრე შენ წინაშე და შენ თანა ძჳრ-ხილულობაჲ[5] და იწროებაჲ ყოველივე აღვირჩიო, ვიდრეღა უკუნქცევაჲ კუალად მსოფლიოთა შუებათა მიმართ და განსუენებათა, რომელნი მრავალთა შფოთთა მიერ აღსავსე არიან.
ხოლო ვითარცა განიცადა ბერმან სიმტკიცე გონებისა მისისაჲ, ჰრქუა ესრეთ, ვითარმედ: მე რაჲცა გრქუა, ყავ[2]. ხოლო მან ჰრქუა: ყოველივე რაჲცა მიბრძანოს სიწმიდემან შენმან, ვყო. ხოლო ბერმან მისცა მას კუერთხი[3] თჳსი და ჰრქუა: წარვედ და კუერთხი[3] ესე ჩემი ჩაყავ მტკუარსა, ხოლო იგი გზა-გცემს და განვედ ჴმელად და წარვედ სახედ შენდა	ხოლო ვითარცა იხილა წმიდამან შიო სიმტკიცე გონებისა მისისაჲ, თქუა ევაგრეს მიმართ: აწ უკუე ვინაჲთგან ესრეთ შეგიყუარებიეს უდაბნოჲ და ღმრთისათჳს იწროებით ცხოვრებაჲ, მერჩდი მე, ყოველივე რაჲცა გრქუა შენ. და ევაგრე მიუგო: ყოველი რომელი მიბრძანოს სიწმიდემან შენმან, მხიარულებით ვყო და შევიწყნარო იგი სიტყჳსაებრ შენისა. ხოლო ბერმან მისცა მას კუერთხი თჳსი, რომელი აქუნდის ჴელთა მისთა და ჰრქუა: წარვედ შვილო და წარიღე ესე და

Ⴃ [1] არა B. [2] ყავ] იგიცა ყავ B′. [3] კუჱრთხი BB′.

Ⴂ [1] მადლობასა E. [2] სიფიცხესა CE. [3] სიტყუას E. [4] დღესავე C. [5] ძჳრ-ხილულებაჲ E.

Ⴂ

და ყოველივე საცხოვრებელი შენი განაგე და წარმოვედ. და ვითარცა მოიწიო მტკუარსა ზედა, კუალად ჩაყავ კუერთხი[1] ჩემი და, უკუეთუ გზაჲ-გცეს[2], მოვედ ჩემდა, და უკუეთუ არა გზა-გცეს[3], წარვედ შინა, რამეთუ არა სთნავს ღმერთსა საქმე ეგე, რომელსა ჰლამი.

ხოლო მან ფიცით[4] მოიმტკიცა ბერი და რაჲთა არა ივლტოდის ადგილისა მისგან. ხოლო მან აღუთქუა და იგი წარვიდა. და ვითარცა მიიწია კიდესა მდინარისასა[5], შთაყო კუერთხი[6] იგი ბერისაჲ და წყალმან გზა-სცა და ჴმელად ვანიარა.

Ⴃ

მი-რაჲ-ხვიდე[1] მტკუარსა ზედა, შთაყავ ეგე წყალსა შინა და შეწევნითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გზას[2]-გცემს[3] მდინარე იგი და წიაღ-ჴედ ჴმელად, და მისრულმან სახიდ თჳსად, განაგე ყოველი საცხოვრებელი შენი, ვითარცა ღმერთსა სთნდეს და კუალად უკმოიქეც ჩუენდავე. ხოლო მოიწიო რაჲ მდინარესა ზედა, მსგავსად პირველისა კუალად შთაყავ კუერთხი ესე ჩემი მას შინა და, უკუეთუ გზა-გცეს, მოვედ ჩემდა მომართ მოსწრაფებით, რამეთუ ნება არს ღმრთისა[4], ხოლო უკუეთუ არა განიპოს და არცა ერჩდეს ამას კუერთხსა არა გზა-მყოფელი შენი შორის მისსა, უკუნიქცე[5] სახიდ თჳსად, ვინაჲთგან მტკიცედ უწყოდე, არა სთნავს ღმერთსა ჴელ-ყოფაჲ ეგე შენი.

მაშინ ევაგრეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა სიტყუაჲ იგი წმიდისაჲ ყოვლითურთ დატევებისათჳს და განშორებისა რაოდენადცა ღირსისაგან, არამედ ეგრეცა[6] მორჩილ ექმნა ბრძანებასა მისსა ფიცთა დასარწმუნებელთა მიმღებელი მისგან, რათა არა ივლტოდის მიერ ადგილით, რამეთუ იტყოდა გონებასა შინა თჳსსა ევაგრე, ვითარმედ: ნუ სადა ჩემ ძლით დაუტეოს ადგილი ესე, რომელსა შეურაცხ-უქმნიან ყოველნივე შფოთნი ქუეყანისანი და აქა შინა მარტოებით და იწროებით აღურჩევიეს ცხოვრებაჲ შორს კაცთაგან და ყოველთავე ამბოხთა სოფლისათა. ამისთჳსცა ფიცით მიიღო სიმტკიცე ბერისაგან, რათა დაადგრეს მას ადგილსა ვიდრე უკუნქცევადმდე მისა. ხოლო წმიდამან აღთქუმით დაარწმუნა, არსადა წარსლვაჲ, ვიდრე მიწევნადმდე მისდა. და ესრეთ კუერთხისა თანა კურთხევასა ბერისასა[7] მიმღებელი ევაგრე წარვიდა აღსრულებად ბრძანებულისა. და ვითარცა მიიწია მდინარესა ზედა, ჰრქუა ყრმასა ერთსა, რათა წარვიდეს და ჰრქუას

Ⴂ [1] კუჱრთხი BB′. [2] გქცეს B′. [3] ქცეს B′. [4] ფიცითა B′. [5] მდინარისსა B. [6] კუჱრთხი BB′.

Ⴃ [1] მი-რაჲ-ხჳდე D. [2] გზა C. [3] გცემს]+შენ C. [4] ღმრთისა არს C. [5] უკუნიქცეს DE, უკუნიქეც C. [6] ეგრეთცა E. [7] ბერისა C.

Ⴂ

და ვითარცა განაგო ყოველივე და მოვიდა და შთაყო კუერთხი[1] იგი, კუალადცა გზა-სცა.

Ⴃ

ყოველთა სახლეულთა მისთა, რომელნი იყვნეს ნასდაგის[ს], რათა მიიწივნენ წინაშე მისსა ციხედიდად. ხოლო მან შთაყო კუერთხი იგი მას შინა, ვითარცა მცნებულ იყო მისთჳს ბერისაგან, და (ჵ საკჳრველი!) მეყუსეულად მდინარე ესე დიდი, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, განიპო საშუალ შეკდიმებული განჴმელისა კუერთხისაგან და გზა-სცა ევაგრეს დაულტოლველითა ფერჴითა სლვად მას შინა.

ხოლო ვითარცა მივიდა სახიდ თჳსად, განაგო ყოველივე[1] საცხოვრებელი თჳსი, ვითარცა ემცნო მისთჳს ბერსა. და მისცა გლახაკთა უმეტესი კერძო მონაგებთაგან თჳსთა და «გიხაროდენსა» დამტევებელი ნათესავთა და სოფლისა, მოსწრაფე იყო, ვითარ სხუაჲ ვინმე ლოთ სეგორს ღმრთისა მონისა მიმართ მიწევნად არღარა მიმხედველი გონებითა და თუალითა სოფლამდე[2], რამეთუ მოშიშებდა, ნუსადა მართლ უკუნ მხედველი არა წარმართებულ იქმნეს სასუფეველისა მიმართ ცათასა, ვითარ ძეგლ მარილისად შეყინებული მიწიერთა და სოდომებრთა ცნობა ვნებულებათათჳს,* ვინაჲცა მალიად მქონებელ იყო სლვისა კიდედმდე მდინარისა ჴელთა შინა მქონებელი კუერთხსა ბერისასა და მსგავსად პირველისა შთაყო წყალსა მას შინა კუერთხი იგი ღირსისა შიოჲსი და კუალად გზა-სცა[3] ფრიად დიდმან და საზარელმან წყალმან[4].

ეჰა ძლიერებაჲ შენი ქრისტე ღმერთო! ესე სასწაული არა უდარეს არს, ძმანო, სასწაულსა მას, რომელი იქმნა წინასწარმეტყუელისა და ღმრთის მხილველისა მოსეს კუერთხისა მიერ,** რამეთუ დალაცათუ მუნ ღმერთი იყო მბრძანებული და წინასწარმეტყუელთა უპირატესი მოსე ბრძანებული მსახური სალმრთოჲსა დიდებისაჲ, არამედ აქა მად-

Ⴂ [1] კუწრთხი BB'.

Ⴃ [1] ყოველი E. [2] სოფლამდი D, სოფლადმი C. [3] სცა]+წყალმან C. [4] წყალმან]—D.

* შესაქმ. 19, 22—26. ** გამოსლვ. 14, 16—22.

Ⴂ. | Ⴂ

ლით განღმრთობილი სულისა წმიდისა მიერ მსახური და მონაჲ ღმრთისაჲ შიო იყო მბრძანებელი ახლისა ამის მოსესი, რომელმან კუერთხისა ცემითა განიყვანა ისრაჱლი, ეგრეთვე ევაგრე შორს ყო[1] გონებაჲ თჳსი ყოველთავე ქუეყნიერთა ზრუნვათაგან ხედვად ღმრთისა მიმართ. ხოლო მეგჳპტელნი—შემაწუხებელნი სულისანი, ბოროტნი გულის სიტყუანი—დაანთქნა[2] სიღრმეთა შინა დავიწყებისათა და ყოვლითურთ დაფარნა იგინი სამ მოქცევთა შინა მდინარებრთა ცრემლთა ნაკადულისასა. კუალად ესე სასწაული არა უმცირეს არს, რაჟამს იორდანე განაპო ელისე ხალენითა ელიაჲსითა* და ვთქუა რამე შეკადრებით, მუნ ხალენი იყო შემცუველი ჴორცთა მათ დიდისა წინასწარმეტყუელისათა და მრჩობლ მიმღებელსა სულისა საწინასწარმეტყუელოჲსასა[3], აქუნდა ელისეს, მან სამ ვზის სცა** და ეგრეთ განიპო, ხოლო აქა კუერთხი მოღუაწისა ჴელთა შინა უსრულისა კაცისათა და ორ გზის განაპო ერთ გზის შთაყოფითა. გარნა მუნცა ღმერთი იქმოდა და აქაცა. იგივე ადიდებს მოშიშთა მისთა; დიდება დიდსა მას დიდებულსა სახელსა მისსა!

ესევითარი კადნიერებაჲ მოეღო ღმრთისაგან საკუთარსა მონასა მისსა სანატრელსა შიოს, რამეთუ განჴმელისაცა კუერთხისა მიერ მხოლოდ ბრძანებით სხუათა მიერ აღჴრ-ასხმიდა ბუნებასა წყალთასა და შორის[4] მათსა გზასა[5] გარეშე ჩუეულებისა ჴელსა[6] დასდებდა[7], რამეთუ ესევითართა სასწაულთა მიერ უწყის ღმერთმან შემკობაჲ მსახურასა თჳსისაჲ, ვინაჲცა ვისწრაფოთ ჩუენცა სიწმიდისა მიერ და კრძალულებისა სათნო-ყოფა ღმრთისა, რათა მოვიღოთ მადლი საუკუნეთა კეთილთა მიმთხუევისა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ[8].

Ⴂ. [1] ეგრეთვე ევაგრე შორს ყო]—CD. [2] დაანთქნე C. [3] საწინასწარმეტყუელოჲსასა]+ რომელი E. [4] შორს E. [5] გზასა] გზა-სცემდა E. [6] ჴმელსა C. [7] ჴელისა დადებითა E. [8] ვიდეთ C.
* IV მეფეთა 2, 14. ** ასეა (მოსალოდნელი იყო: ორ გზის).

Ⴂ

და მოვიდა წინაშე ბერისა და ჰრქუა: მამაო წმიდაო, ვითარცა მიბრძანე, ყოველივე ვყავ.

Ⴃ

ესრეთ საღმრთოჲსა სურვილისა მიერ აღძრული, ევაგრე ღირსი, ვითარცა მოიწია წინაშე ბერისა ყოველსავე ბრძანებასა მისსა სრულ მყოფელი, თქუა წმიდისა მიმართ: წმიდაო მამაო, ვითარცა მიბრძანე, ყოველივე ეგრეცა[1] ვყავ და აწ ესერა მოსრულ ვარ წინაშე სიწმიდისა შენისა კუალად მორჩილებით სრულ ქმნად, რომელიცა რაჲვე მიბრძანო.

ხოლო წმიდამან შიო მიუგო მას: კეთილ მორჩილებისა შენისა ⟨მიერ⟩, შვილო, და[2] უფალმან ღმერთმან[3] განგაძლიერენ და მოგეცინ შენ ძალი მოთმენად ყოველთავე შემთხუეულთა შენდა ძჳრის ხილვათა და ჭირთა მტერისა მიერ მოწევნულთა, ვინაჲცა განეკრძალე ყოვლით კერძო და მღჳძარე იყავ. რამეთუ მრავალ-მანქანა არს ბოროტი ეშმაკი და ისწრაფის შებრკოლებასა ჩუენსა გზათაგან საღმრთოთა, ნუ სადა შენცა დაგირწყას[4] საბრჯე[5] და შთასთესნეს[6] კეთილსა იფქლსა შინა გონებისა შენისასა ბოროტნი ღუარძლნი კუალად სოფლად[7] უკუნქცევისანი.

ესევითართა და მსგავსთა ამისთა სიტყუათა მიერ განამტკიცა ევაგრე ღირსმან შიო და ასწავა მას ვითარ ჯერ-არს წინა განწყობაჲ ღონეთა მიმართ და ძმაცუვათა მბრძოლისა ჩუენისა ეშმაკისათა და ჰრქუა: აწ უკუე, შვილო, ოდეს მოვიღეთ გულ-სავსებაჲ ღმრთისა მიმართ შენ ზედა ყოველი, რომელი გთნავს ცხოვრებისა შენისათჳს, ყავ. ხოლო შეუვრდა[8] ფერჴთა ბერისათა ევაგრე[9] და ევედრებოდა, რათა სრულ-ყოს მონაზონებითა. ჰრქუა მას შიო: აჰა ესერა მე დავასხამ, შვილო, ცოდვილთა ჴელთა ჩემთა შენ ზედა, ხოლო უფალმან ღმერთმან უხილავად ზეცით დაგდევინ მარჯუენე[10] და სრულ გყავნ[11] ყოვლითა კურთხევითა. და შეჰმოსა მას ნეტარმან შიო წმი-

Ⴃ [1] ეგრეც C. [2] და]—E. [3] ღმერთმან]—E. [4] დაგირწვას D, დაგირწყუას C. [5] საფრჯე CE. [6] შთათესნეს E. [7] სოფლადმი CD. [8] შეურდა DE. [9] ევაგრი CD. [10] მარჯუენაჲ CD, მარჯუენა E. [11] გყვენ C.

ⴃ

ⴂ

დაჲ ანგელოზთა სახე (სქემაჲ) და ასწავა მას ყოველი წესი მონაზონებისა და სჯულ-უდვა ყოველი[1] წესი მონაზონთა კრებულისა და ვითარ ჳღირს მას ყოველთავე ჴორციელთაგან განყენებაჲ და მხოლოდ ღმრთისათჳს შესაკუთრებაჲ, და განუჩინა მას საზღვარი ჯდომისა და[2] დგომისა, ლოცვისა და შრომისა. და მოვლო ზემო კერძო განშორებულად და პოვა ქუაბი და უბრძანა, რათა მუნ შინა იყოს. და განაკრძალა იგი სულთა ბოროტთა ზედა მოსლვისაგან და თუ ვითარ უჴმს ბრძოლა მათი, ასწავა ყოველი და თავადი წარვიდა თჳსადვე საყოფელად.

მიერითგან[3] განცხადნა სახელი შიოჲსი ყოველსა მას გარემო[4] სოფლებსა ევაგრეს ძლითა,[5] და მოვიდოდეს მრავალნი და მონაზონ იქმნებოდეს და დაემკჳდრებოდეს მახლობელად ევაგრესსა[6]. ხოლო აღვიდის რაჲ კჳრიაკესა[7] ნეტარი შიო, იხილნის ყოველნი და სწავლითა[8] შემოზღუდნის[9] იგინი და თჳთ იყოფებინ მყუდროებით ქუაბსა მას შინა თჳსსა.

დღესა ერთსა იხილა ნეტარმან შიო, რამეთუ ძმასა ვისმე მოაქუნდა წყალი და, ვითარ მოვიდოდა, უბრკუმა[10] მას ეშმაკმან და შემუსრა სარწყული მისი და მწუხარე იქმნა ძმაჲ იგი, რამეთუ ფრიადი შრომაჲ თავსედვა გზისა და მოაქუნდა დიდისა მისგან მდინარისა ძმათათჳს სასუმელად, რათა მოიღოს მათ მიერ კურთხევაჲ. იხილა რაჲ იგი ნეტარმან შიო, რამეთუ ცრემლოოდა[11], შეწუხნა ფრიად იგიცა და მიხედნა, რამეთუ მახლობელად კლდისა მდგომარე იყო ანგელოზი, მზრდელი მისი, და კუერთხითა ვითარცა რასმე გამოაფოსოებდა ძირსა მას[12] კლდისასა. გულისჴმა-ყო შიო, ვითარმედ მოავლინა ღმერთმან[13] ნუგეშინის-ცემისათჳს მათ ძმათასა, რათა მოსცეს[14] მათ წყალი და

ⴂ [1] ყოველივე C. [2] და]—CD. [3] ამიერითგან C. [4] გარემოს E. [5] ძლით E. [6] ევაგრისსა D. [7] კჳრიაკე C. [8] სწავლით C. [9] შეზღუდნის E. [10] უბრკმა CE. [11] ცრემლუოდა CDE. [12] მის CDE. [13] ღმერთმან]—C. [14] მისცე C.

Ⴂ

9. (10) ხოლო მან ჰრქუა: შვილო ევაგრე, უწყოდე, რამეთუ ამიერითგან განმრავლებად არიან ძმანი უდაბნოსა ამას შინა[1]. ამისთჳსცა ჯერ-არს, რაჲთა ეკლესიაჲ აღვაშენოთ, სადაცა გვბრძანოს ჩუენ უფალმან. ხოლო აღვიდეს ქედსა მას ზედა, რომლისა ძირსა მჯდომარე იყო წმიდაჲ შიო. და ვითარცა ილოცეს, მოიღო ცეცხლი წმიდამან ბერმან და დაიყარა ნებსა ზედა თჳსსა[2] და დაასხა[3] ზედა საკუმეველი. ხოლო საკუმეველი[4] იგი აღემართა ვითარცა სუეტი[5] და მერმე დადრკა დასავალით[6] კერძო ქედისა მის და ჩადგა ადგილსა ერთსა, ვითარცა სუეტი[5] ჴევსა მას შინა.

Ⴃ

ჰრქუა ძმასა მას: ნუ სწუხ, ძმაო, რამეთუ ცრემლთა მაგათ წილ შენთა და სასოებისა მაგისთჳს შენისა აჰა ღმერთმან მაგან ადგილსა აღმოაცენა წყალი, რათა მიერ აღმოივსებოდეს სარწყული უშრომელად ძმათათჳს. და აჰა ესერა სიტყჳსა თანა ბერისასა აღმოეცენა მცირე წყაროჲ, რომელი კმა-ეყოფოდა ძმათა მათ მდიდრად, რამეთუ იყვნეს იგინი ოცდახუთ ოდენ და ჰმადლობდეს ღმერთსა.

10. შემდგომად ამისსა იწყეს განმრავლებად ძმათა და უღონო იყვნეს, რამეთუ არა იყო მათდა ეკლესია, რომელსამცა შინა შეკრებულ იყვნეს დიდებულსა დღესა წმიდასა კჳრიაკესა, და ამისთჳს ეტყოდეს ნეტარსა შიოს, რათა უბრძანოს მათ აღშენებად წმიდაჲ[1] ეკლესიაჲ. აღდგა უკუე ბერი და აღვიდა დამართებით ქუაბისა თჳსისა აღმოსავალითსა მას კლდისა წუერსა და უბრძანა ყოველთა ძმათა აღსლვაჲ მის თანა ლიტანიითა. ხოლო მიიწივნეს რაჲ მუნ, ევედრებოდა ბერი ღმერთსა მრავლითა ცრემლითა; და მომდრეკელთა[2] თავისათა ილოცეს მუნ ერთბამად და ევედრებოდეს ღმერთსა, რათა მან აჩუენოს მათ ადგილი, სადაცა თჳთ მას ჯერ-უჩნს განმზადებად[3] ტაძარი დიდებისა თჳსისაჲ. მოიდრიკნა მუჴლნი და მყოვარ ჟამ მდებარე იყო ქუეყანასა ზედა. და შემდგომად[4] ლოცვისა მიიღო ცეცხლი საკჳრველთ მოქმედმან შიო და იპყრა იგი მარცხენესა ნებსა ზედა ჴელისა თჳსისასა და დაასხა მას ზედა საკ(უ)მეველი, ხოლო მარჯუენითა[5] ჴელითა გამოსახა მას ზედა საუფლოჲ ჯუარი და უბრძანა ყოველთა მათ ძმათა, რათა აღიპყრნენ ჴელნი და განაგრძონ ჟამ ერთ ჴმობაჲ კჳრიელეისონისაჲ[6], და ესრეთ აკუმევდა. ხოლო კუამლი იგი საკუმეველისა აღვიდა ჰაერსა შინა ვითარცა სუეტი აღმართ, ზეცამდე

Ⴂ [1] შინა]—B. [2] თჳსსა ზედა B'. [3] დასხა B'. [4] ხოლო საკუმეველი]—B'. [5] სუ𐀀ტი BB' [6] დასავლეთით B.

Ⴃ [1] წმიდაჲ]—CD. [2] მომდრკლთა C. [3] შემზადებად E. [4] კუალად D. [5] მარჯუენით C [6] კირიელოსნისა D.

Ⴂ

ხოლო იგინი გარდამოვიდეს[1]. და[2] ადგილსა მას, სადა უჩუენა[3] უფალმან, და სცა სათხარი მამამან ჩუენმან წმიდამან[4] შიო და აღაშენეს[5] ეკლესიაჲ სადიდებელად ღმრთისა.,

Ⴃ

ვიდრემდის თუალთაცა მათგან შეიფარა[1]. და დგეს რაჲ და ხედვიდეს ნიშსა ამას განსაკრთომელსა, კუალად გამოჩნდა წუერი იგი საკუმეველისა ჰაერთა შინა ქუეყანად შთამომავალი საკჳრველებით, ვითარცა საბელი რაჲმე შემტკიცებული. ხოლო მოეახლა რაჲ ქუეყანად, შთადგა ჴევსა მას შინა ადგილსა ერთსა, სადა ძმანი იგი მკჳდრობდეს.

იხილა რაჲ ესე დიდმან შიო, წარუძღუა[2] ძმათა მათ მადიდებელი ღმრთისაჲ. და მი-რაჲ-იწივნეს ადგილსა მას, რომელი უჩუენა მათ ღმერთმან, ხედვიდეს საკუმეველსა მას, ვითარცა ძეგლსა რასმე ეგრეთ მდგომარესა. ხოლო ნეტარისა შიოჲსთჳს რაჲ ვინ თქუას, რამეთუ უმეტეს განგრძობასა ორისა ჟამისასა სავსედ მქონებელი ჴელსა შინა ნაკუერცხალსა ცეცხლისასა, მოვიდოდა[3] ყოველსა მას ადგილსა და მოაკ⟨უ⟩მევდა; და მერმე უკ⟨უ⟩მია[4] ყოველთა ძმათა და მაშინღა დაასხა ჴელთაგან თჳსთა ნაკუერცხალი[5] საცეცხურსა შინა.

ვინმცა[6] არა განჰკჳრდა უცხოსა ამას სახილავსა და სასმენელსა[7] და არა ადიდებდა ღმერთსა მხოლოსა მოქმედსა საკჳრველებათასა, რომელმან ვითარცა ბაბილონს დაიცვნა სამნი ყრმანი ცეცხლისაგან შეუწ⟨უ⟩ველად*, ეგრეთვე მონისა თჳსისა ჴელი ზესთა ბუნებისა დაიცვა შეუხებელად.

მოითხოვა[8] უკუე ღირსმან შიო სათხროლი და სცა სამ გზის ადგილსა მას, სადა მდგომარე იყო სუეტი იგი საკ⟨უ⟩მეველისაჲ და თქუა ესრეთ: დიდება შენდა, ღმერთო, რომელი სამ-გუამოვნებით[9] და ერთ-არსებით იდიდები, ამას ადგილსა სრულ ყავ[10] ტაძარი დიდებისა შენისაჲ. და განდგა მცირედრე განშორებულად, სცა უკუე[11] ქუეყანასა კუალად სამ გზის სათხროლითა მით[12] მე-

Ⴂ [1] იგი გარდამოვიდის B. [2] და]—B'. [3] უჩუჱნა B'. [4] წმიდამან]—B'. [5] აღაშენა B.

Ⴃ [1] თუალთაგან მათთა მიეფარა E. [2] წარუძღუა DE. [3] მიმოვიდოდა C. [4] უკმივა C. [5] ნაკუერცხალი]+იგი CD. [6] ვინამცა A. [7] სასმენელსა]+ხედა C. [8] მოითხოა CE. [9] სამგუამოვანებით C. [10] ჰყავ C. [11] უკუე]—C. [12] სათხროლითა მათ სამ გზის C. * დანიელ 3,23; 49,51; 93—94.

Ⴀ | **Ⴁ**

ტყუელმან ესრეთ: ყოვლად წმიდაო ღმრთის-მშობელო მარიამ, რომელმან ჰშევ სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჴორცითა, აქა დაამტკიცე სახლი სადიდებელი შენი. და კუალად მცირედ მახლობელად იხილა მსგავსი ჯურღმულისა მღჳმე ფრიად ღრმა და ბრძანა, რათა მას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ნათლის-მცემელისაჲ.

ჰრქუა ნეტარმან ევაგრი: წმიდაო მამაო, იყავნ ნებაჲ ღმრთისაჲ და შენი[1], რამეთუ ვხედავთ ყოველნი, ვითარმედ სულითა ღმრთისაჲთა იტყჳს ნეტარი პირი შენი და ნებასა[2] შენსა ყოველსა ჰყოფს ღმერთი. ხოლო სუეტი იგი საკ(უ)მეველისაჲ დგა ადგილსა მას ზედა სამ დღე შეუძრველად და გამოსცემდა სულნელებასა მიუთხრობელსა და[3] დღესა მესამესა აღკრბა[4].

ხოლო ევაგრეს შეჰმოსა სახე მონაზონებისაჲ. და განითქუა ჰანბავი მისი და ყოვლით კერძო მოვიდოდეს და მონაზონ იქმნებოდეს.

11. აწ მიგითხრა თქუენ ღირსისა ევაგრისთჳს, თუ ვითარ ძიება-ყვეს მეფემან და მთავართა ქართლისათა, და ესმა რაჲ მონაზონებაჲ მისი, რაოდენ შეწუხნეს, რამეთუ ესე იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოჲსა[5] ქართველთაჲსა და ფრიად მჴნე და განმარჯუებულ სპასპეტი[6].

ჟამსა მას ოდეს თჳთმპყრობელი იოსტინიანოს მეფე ბერძენთაჲ ჰბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა საზღვარსა ავაზგიასასა[7] ნათესავსა ტასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოუძლუანა ნიჭი დიდი იოსტინიანოს ფარსმანს ქართველთა მეფესა და ევედრა, რათა შეეწიოს მჴედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თჳსითა და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრებაჲ ბერძენთა მეფისაჲ და დაუტევა ევაგ-

---

Ⴁ [1] შენი]+და ნებასა შენსა CD. [2] ნებაჲ C. [3] და]—C. [4] აღკრება E. [5] სამეუფოსა CE [6] სპასპეტ DE. [7] ავაზაგიასსა C.

Ⴁ

Ⴂ

რე მცველ სამეფოჲსა თჳსისა. ხოლო უკუე თჳთ წარვიდა და შეწევნითა ღმრთისაჲთა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთაჲ და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინნა[1] წინაშე იოსტინიანესსა. მერმე მოიქცა თჳსადვე სამეუფოდ.

ხოლო ცნა რაჲ ევაგრისთჳს, თუ სადა იყო და ვითარ ქმნილ იყო შეცვალებაჲ იგი ცხოვრებისა მისისაჲ, მოიცვა უკუე იგი[2] მოულოდებელმან მწუხარებამან. არღა ყოვნა, არამედ მასვე ჟამსა მიიწია, სადა-იგი იყო ნეტარი ევაგრი. და იხილა რაჲ შემოსილი სამოსლითა მოღუაწეთაჲთა, რაოდენი რაჲ ვინ თქუას, აჩუენებდა ნამეტნავსა მწუხარებასა[3] გულისასა ცრემლთა ცხელთა დათხევითა ქედსა მისსა ზედა და ევედრებოდა ესრეთ მრავალ ჟამ, რათა კუალად განვიდეს მის თანა სოფლად და არა ობოლ ყოს[4] იგი მამულისაგან[5] თჳსისა. ხოლო ჰრქუა მას ღირსმან ევაგრი: ჵ მეფეო, რად მაწუხებ[6] დაბადებულსა ღმრთისასა, რათა შევირაცხო მსგავსად ძაღლთა კუალად მიქცევითა ნათხევარსავე. და დაარწმუნებდა[7] მრავლითა სიტყჳთა, რათა კუალად არარაჲ ჰრქუას ესევითარი.

მყოვარ ჟამ[8] სადმე დასცხრეს რაჲ გოდებისაგან, წარვიდეს ქუაბად ბერისა. შევიდა უკუე პირველად ნეტარი ევაგრი და აუწყა წმიდასა[9] შიოს მისლვაჲ მეფისაჲ[10]. და ჰრქუა ევაგრის: შვილო ჩემო, ფრიად მძიმე არს ჩემ ზედა მოსლვაჲ მეფისაჲ და ვინ ვარ მე მიწაჲ ესე და ნაცარი, არამედ მე თჳთ განვიდე წინაშე ცხებულსა ღმრთისასა. და ესრეთ გამოვიდა კარსა ზედა ქუაბისასა. მიხედნა უკუე მეფემან და იხილა რაჲ ხატი მისი, ზარი განჴდა, რამეთუ მადლი რაჲმე ღმრთისაჲ იხილა მის ზედა საშინელი და მყის დააგდო ქუეყანად შარავანდი მეფობისაჲ და-

Ⴂ [1] წარავლინნ D. [2] ფიგი უკუე C. [3] მწუხარებასა]—CD. [4] ყო C. [5] მამობისაგან C. [6] მაწუევ C. [7] არწმუნებდა C. [8] ჟამ]—CD. [9] ნეტარსა C. [10] მისლვად მეუფისა C.

Ⴂ

Ⴂ

განიჴსნა სარტყელი და მიისწრაფა და დავარდა ფერჴთა თანა ბერისათა. ხოლო ნეტარი იგი ეტყოდა: შემინდევ[1] მეუფეო, და რად ჰყოფ პატივსა[2] შეუტყუებელსა[3] კაცისა მიმართ ცოდვილისა[4], მოაწევ ჩემ ზედა სასჯელსა ღმრთისასა. ხოლო მეფე კუალადცა შეუვრდებოდა და მრავლითა ცრემლითა ითხოვდა მის მიერსა კურთხევასა. ჰრქუა მას ბერმან[5]: ღმერთმან აბრაჰამისმან, ისაკისმან და იაკობისმან, რომელმან გამოირჩია დავით მონაჲ თჳსი და სცხო მას მეფედ ერსა თჳსსა ზედა, რომელმან აღავსო სოლომონ სიბრძნითა უფროჲს ყოველთა, რომელმან შეჰურა მონაჲ თჳსი კოსტანტინე საჰურველითა ჯუარისაჲთა და გამოჩნდა მძლედ ყოველთა მტერთა ზედა, ეგრეთვე აკურთხენ მეფობაჲცა შენი და დაიცევინ[6] შეურყევლად. აკურთხენ მკლავნი შენნი და აღაორძინენ[7] თესლნი შენნი მოუკლებელად და დაიცევინ[8] შეუმწიკულებელად[9] ყოვლისავე შეგინებისა სულისა და ჴორცთაჲსა და განწმიდენ ყოვლისაგან ბიწისა და მწინკულისა ცოდვისა(ჲ)სა და დაგიფარენ ყოვლისაგან საცთურისა და ზაკუვისა[10] მტერთაჲსა და საშინელ გყვენ ყოველთა მტერთა და წინააღმდგომთა მიმართ და განგამტკიცენ ჭეშმარიტითა[11] სარწმუნოებითა სიყუარულისა მისისა მიმართ, რათა იგი თავადი[12] უწყოდე მეფეთა მეფედ და მსაჯულად ცხოველთა და მკუდართა, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე, ამინ.

მიყო ჴელი მისი და აღადგინა იგი და შეჰმოსა მას ჴელითა თჳსითა შარავანდი იგი სამეუფოჲ. ეგრეთვე ყოველნი მთავარნი შეუვრდეს ფერჴთა მისთა და მიიღეს კურთხევაჲ მის მიერი.

იყო ვინმე მთავართაგანი ერთი, რომლისა თუალი მარჯუენე მოწყლულ იყო ის-

Ⴂ [1] შემინდვე C. [2] პატივსა]—CD. [3] შეუტყუებელსა E. [4] ცოდვილისა]+და C. [5] ბერმან E. [6] დაიცვენ C. [7] აღორძინენ CE. [8] დაიცვენ C. [9] და დაიცევინ შეუმწიკულებელად]—E. [10] ზაკუვისაგან E. [11] ჭეშმარიტებითა D. [12] თავადი იგი C.

Ⴂ

Ⴂ

რისა მიერ და სრულიად დაშრეტილ. ესე მოვიდოდა რაჲ მოღებად კურთხევისა,[1] სარწმუნოებით იტყოდა გულსა შინა თჳსსა, ვითარმედ: რაჟამს შევეხო ფერჳთა მისთა[2], მეყუსეულად განმეკურნოს თუალი ჩემი. და ესრეთცა იქმნა. რამეთუ დადვა რაჲ თუალი ფერჳსა წმიდისასა, მეყუსეულად განიკურნა თუალი იგი მისი და ჩნდა ვითარცა მეორე იგი. ესე რაჲ საკჳრველებაჲ იხილეს, ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

დაჯდა მეფე და ყოველნი იგი მთავარნი წინაშე ბერისა და ხედვიდეს ანგელოზებრივსა[3] მას ხატსა მისსა და უკჳრდა ყოვლად უპოვარი იგი ცხოვრებაჲ მისი და ჰკითხვიდეს[4] სულისა საცხოვრებელთა სიტყუათა. ხოლო ნეტარი იგი, ვითარცა ღმრთისა მიერ განბრძნობილი, აღმოიტყოდა ღმრთივ სულიერთა სწავლათა, რამეთუ ენა ქართული შუენიერად და მართლად ესწავა პირველვე, ოდეს იყო იოანეს თანა მოძღურისა თჳსისა, რამეთუ ოთხი წელი მუნ სრულ ყო ზედაზადენს[5]. ხოლო ლოცვასა შინა და ფსალმუნებასა ასურებრსა და ბერძულსა იჴმარებდა, რამეთუ ორივე ესე[6] ესწავა ნეტარსა მას. და ჰრქუა მეფემან ფარსმან ბერსა: მამაო, მიბრძანე მე[7], რაჲცა ჯერ-იყოს ჩემ მიერ სამსახურებელი წმიდისა ამის მონასტრისა შენისაჲ. ჰრქუა მას ბერმან: უფალო მეფე, გულნი მეფეთანი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან, ვითარცა რაჲ ჯერ-გიჩნს, ყავ. მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა ჴელითა თჳსითა თავისუფლებაჲ მათი და მისცა ევაგრის[8] ოცდაათი ლიტრა ოქროჲ ეკლესიათა მათთჳს საჴმრად, ბარძიმი ოქროჲსა და ფეშხუემი[9] და სხუაჲ ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა, ჯუარი დიდი ოქროჲსაჲ და სახარებაჲ, ფრიად შუენიერად შემკობილი სანატრელისა

Ⴂ [1] ღკურთხევისა მიღებად E. [2] მისთა]+წმიდისათა C. [3] ანგელოზებრსა C. [4] კითხვიდეს E. [5] ზედაძადენს D, ზედაძენს E. [6] ესევე C. [7] მე]—E. [8] ევაგრეს E. [9] ფეშხუმი CD.

Ⴁ

Ⴂ

მეფისა ვახტანგის მიერ. და განაჩინნა ზედამდგომელნი საქმისანი, რათა სწრაფით ყონ აღშენებაჲ ეკლესიათა მათ.

იჯმნა უკუე ბერისაგან და მივიდა მცხეთად და კათალიკოზსა მაკარის აუწყა ყოველი, რაჲცა ეხილვა და ესმინა წმიდისა შიოჲსგან და იხარებდა ფრიად სულითა მეფე და ყოველი ერი ქართლისაჲ ნეტართა მათ მამათა მოძღურებითა განათლებული. ხოლო განსრულდეს რაჲ ეკლესიანი იგი სამნივე, მიუმცნო ნეტარმან ევაგრი მეფესა, ვითარმედ: აღესრულა ნებაჲ ღმრთისაჲ და შენი, მეფეო; აწ უკუე ყავ სატფურებაჲ სახლისა ამის ღმრთისაჲ. განიხარა მეფემან და მიუმცნო კათალიკოზსა მაკარის და ყოველთა ეპისკოპოსთა[1], რათა კრება ყონ დღესა მარტჳლიასა სატფურებისათჳს მათ ეკლესიათასა. შემოკრბეს უკუე ყოველნი ეპისკოპოსნი[2] კათალიკოზისა თანა და თჳთ მეფე და ყოველნი მთავარნი და იოანე, მოძღუარი ყოველთა მათ მამათაჲ, და ყოველნი მამანი ყოვლით კერძო შემოკრბეს და ესრეთ ყვეს ენკენია ეკლესიათა მათ შჳდეულსა ერთსა შინა[3]. ფრიად აიძულებდა კათალიკოზი და ყოველნი იგი მღ(უ)დელთ-მოძღუარნი ნეტარსა შიოს, რათა მოიღოს ჴელთა[4] დასხმაჲ ხუცობისაჲ, რამეთუ დიაკონად ჴელ-დასხმულ[5] იყო ანტიოქიასვე, არამედ არა თავს-იდვა, რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე და კუალად ეპისკოპოსად[6] სადამე აიძულონ; და ამისთჳს ვითარცა ჴრმალი ორ-პირი განეწყო ყოველთა წინა[7] და ესრეთ დაამტკიცა, ვითარმედ: არცა თუ ყოვლისა სოფლისა მიერ ვირწმუნო. და ესრეთღა[8] განეყენნეს ეპისკოპოსნი იძულებასა მისსა.

წარვიდეს უკუე ყოველნი ყოვლით კერძო ლოცვასა ბერისასა მიმღებელნი. ხოლო ნეტარი იგი მასვე თჳსსა მოღუაწებისა გზასა ვიდოდა და შურებოდა დღითი-დღე შე-

Ⴂ [1] ებისკოპოსთა E. [2] ებისკოპოსნი E. [3] ო შინა ერთსა C. [4] ჴელთ E. [5] ჴელთდასხმულ C] დასხმულ E. [6] ებისკოპოსად E. [7] ო წინა ყოველთა C. [8] ესრეთ C.

Ⴂ	Ⴃ
	მატებითა[1] სხჳსა და სხჳსა უახლესისა ღუაწლისათა, რამეთუ ძაძისა იგი სამოსელი, რომელ ემოსა, პირველვე მუჴლის თავა(დ)მდე და იდაყუთამდე და კუნკულიცა ძაძისავე განცუდა სრულიად და სხუაჲ არა თავს-იდვა მიღებად ახალი და არცა იგი დაკერვად, თჳნიერ ადგილთა ოდენ[2] სირცხჳლისათა დაიფარვიდა, რამეთუ სხუასა ადგილსა მოხეთქის და მათ ადგილთა დაადგის[3].
	და განმრავლდა რიცხჳ შეკრებულთა ძმათაჲ ორი ათასად და განითქუა სახელი წმიდისა ამის ყოველსა შინა ქართლსა, და ყოვლით კერძო მოვიდოდეს ყოველნი და ვერღარა დაიტევდა ჴევი იგი, რამეთუ მარტოდ შფოთსა ვერღარა[4] უძლებდეს. და იწყეს მიერითგან სხუათა ადგილთა შენებად, რამეთუ რომელნიმე კოდმანისა[5] კერძო წარვიდეს და ქმნეს მუნცა ლავრაჲ დიდი, ხოლო რომელნიმე სარკინისა აღმოსავალით, სადათ-იგი ალექსანდრე იოტნა უცხო თესლნი.* იქმოდა უკუე ღმერთი სასწაულთა და ნიშთა აურაცხელთა ჴელითა ამის წმიდისაჲთა, რამეთუ მო[ჰ]ყვანდეს ყოვლით კერძო სნეულნი და მკელობელნი და ბრმანი და ღრეკილნი და სულთაგან არაწმიდათა შეპყრობილნი და განიკურნებოდეს წმიდისა ამის მიერ, რომლისათჳს თითოეულად წარმოთქ(უ)მა შეუძლებელ არს. უკუეთუ ვინ სასწაულთა ამის წმიდისათა თითოეულად იტყოდის, პირველად ვერ შეუძლოს[6] და მერმე მსმენელიცა ურწმუნოებად მიდრკენ, რამეთუ გონებისაგან[7] კაცთაჲსა, ვითარცა უზეშთაეს არნ[8], ეგრეთვე და ურწმუნოებითაცა შეიპყრობიან სულნი უმეცართანი და უწყის თჳთ ჭეშმარიტებამან, რამეთუ ამისთჳს თანა-წარვჴედ მასცა, რომელსა შეუძლებდი აღწერად.
10 (12). და ვითარცა განმრავლდეს ძმანი, საჴარ იყვნეს[1]	12. სიმრავლისაგან რაჲ მომავალთაჲსა აღივსებოდა ყოველი იგი ჴევნები[9], მოეტე-

Ⴂ [1] იყუნეს BB'.

Ⴃ [1] შემატებით C [2] ოდეს]—E. [3] დადგის CD. [4] ვერღა E. [5] კოდომნისა C. [6] შეუძლის E. [7] ბუნებისაგან C. [8] არიან E. [9] ჴევები DE. * შდრ. «მოქცევაჲ ქართლისაჲ» ე. თაყაიშვილის გამოცემა: Опис. II, გვ. 708.

8. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

Ⴀ

მათთჳს საჴედარნი მეტჳრთენი მოსაღებელად საზრდელისა და წყლისათჳს. ამისთჳსცა მოიდგნეს კარაულნი. ხოლო იყო ადგილი იგი ტყიანი და კლდოვანი. ამისთჳსცა მჴეცნი ფრიად იყვნეს[1] ადგილთა[2] მათ შინა[3]. ხოლო განვიდიან რაჲ[4] კარაულნი ძოვნად[5], გამოვიდიან მჴეცნი იგი და[6] მავნებელ ექმნებოდიან კარაულთა მათ. ამისთჳსცა ძმანი მწუხარე იყვნიან[7]. მაშინ წმიდაჲ მამაჲ ჩუენი შიო ევედრა უფალსა, რაჲთა სახილველ მისსა ყვნეს მჴეცნი იგი. ხოლო ლოცვასავე მისსა[8] თანა ყოველნი იგი მჴეცნი მოვიდეს წინაშე ბერისა და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს მავნებელ ექმნებით კარაულთა ძმათა ჩუენთასა[9]? აწ გეტყჳ თქუენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელმან-იგი[10] დაგბადნა[11] თქუენ, წარვედით არეთაგან შორის[12], ხოლო ერთი ოდენ დადეგინ სადიდებელად ღმრთისა ჩუენისა, რაჲთა აძოებდე კარაულთა ძმათა ჩუენთასა[13]. და მასვე ჟამსა ყოველნივე[14] განიბნივნეს, გარნა ერთი ხოლო[15] მგელი დგა მოწიწებით, ვითარცა მონაჲ წინაშე მისა, და ჰრქუა: სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გიბრძანებ შენ მჴეცსა მაგას, რაჲთა ვითარცა მწყემსი კეთილი აძოებდე კარაულთა ჩუენთა, რაჲთა ამით უკმოუზღო, რომელ[16] შეგიწუხებიან ძმანი ესე ჩემნი და სა-

Ⴁ

ვებოდეს მჴეცნი უდაბნოჲსანი და ცხენსა და კერძო ვირსა და კარაულსა, რაოდენსა ჰპო(ვ)ებდეს მუნ მომავალთასა, განჴრწნიდეს, და თჳთ ძმათაცა სამსახურებელად მყოფნი იგი კარაულნი შეჭამნეს. მივიდეს უკუე ნეტარისა მის მამისა წინაშე შეწუხებულნი ყოველნი იგი ძმანი და აუწყეს ჭირი იგი, რომელი მოიწევოდა მათ ზედა მჴეცთა მიერ. ესმა რაჲ ესე წმიდასა, შეწუხნა, რამეთუ კაცთა და პირუტყუთა ყოველთა წყალობაჲ ზოგებით აქუნდა ნეტარსა მას. ილოცა უკუე ღმრთისა მიმართ, რათა რაოდენნი მჴეცნი მკჳდრობდენ უდაბნოთა მათ შინა[1], მუნ შემოკრბენ წინაშე მისსა[2]. ეჰა საკჳრველი! რამეთუ მეყსა შინა, ვითარცა აღასრულა წმიდამან ლოცვაჲ, რაოდენი რაჲ თქუას კაცმან ყოვლისაგან ნათესავისა მჴეცთაჲსა, მუნ იხილვებოდა წინაშე ქუაბისა მისისა. იხილნა რაჲ ნეტარმან შიო, გამოვიდა და, ვითარ კაცთა, ესრეთ ლმობიერად ზრახვიდა. და იგინი ყოველნი დგეს ქედ-მოდრეკილნი და ისმენდეს ნეტარისა მის ბრძანებასა და მოელოდეს განჩინებასა, რამეთუ ყოველთა ერთბამად აღემსთო და აღეხუნეს მართუენი თჳსნი, რომელსამე კბილითა, რომელსამე ქედითა, და რომელსამე წინა უდგეს ჩჩჳლნი, და იხილვებოდა საკჳრველი და საზარელი სახილველი. ჰრქუა მათ ნეტარმან შიო: იხილეთ, მჴეცნო, სიმდაბლე ჩემი და ისმინეთ ჩემი, რომელ-ესე[3] გეტყჳ. უწყის ქრისტემან, რამეთუ ფრიად მელმის აწ გული ჩემი თქუენთჳს, გარნა რამეთუ ბუნებაჲ თქუენი ველურ არს, ამიერითგან თქუენსა და ჩუენსა[4] დამბადებელსა უბრძანებიეს, რათა პირ-მეტყუელთა კაცთა მიერ აღივსნენ ყოველნი ესე უდაბნონი. აწ წარვედით, საყუარელნო ჩემნო, და იძიეთ ადგი-

Ⴀ [1] იყუნეს BB'. [2] ადგილსა B. [3] შინა]—B'. [4] განვიდიან რაჲ] გარნავიდიან (<გან-რავიდიან) B'. [5] საძოვარსა B'. [6] და]—B'. [7] იყუნიან BB'. [8] მის B'. [9] ჩემთასა B'. [10] -იგი]—B' [11] დაგბადა B. [12] არეთაგან შორის] არეთა ამათ შორის B. [13] ჩემთასა B'. [14] ყოველნი B'. [15] ხოლო ერთი B'. [16] რომელ] თ´ილ B'.

Ⴁ [1] შინა]+ყოველნი C. [2] მისა D. [3] რომელსა-ესე E. [4] ჩუენსა და თქუენსა C.

ⴃ

ზრდელ შენდა[1] იყოს, რომლითაცა ჩუენ ვიზარდებით. ხოლო განასხემდი დილასა და ჟამსა მწუხრისასა მოასხემდი, და იყავ მწყემს და მცველ საქედართა ჩუენთა.

ხოლო მგელი იგი იქმოდა[2] მორჩილ, ვითარცა მონაჲ, და ჰყოფდა ბრძანებისაებრ ბერისა[3].

ⴂ

ლი, რომელსა შინა განისუენოთ, და განსლვასა თქუენსა ნურარას ვის ავნებთ რაჲთურთით, არამედ ერთი თქუენთაგანი დაადგერით აქა მაძოვნებელად კარაულებსა ძმათასა, რათა ამით უკუმოუზღოთ, რომლითა-იგი შეაწუხენით ძმანი[1]. ეჰა საკჳრველებასა! რამეთუ მყის სიტყუასავე თანა ბერისასა განიბნინეს[2] ყოველნი იგი მჴეცნი შთამართსა მას, განვლეს მდინარე და წარვიდეს, სადაცა-იგი ზენამან წამის-ყოფამან უბრძანა. გარნა ერთი ხოლო[3] მხოლოდ მგელი დადგა, ვითარ მონაჲ, წინაშე ბერისა მოშიშებით. და ჰრქუა მას წმიდამან შიო: სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა შენ გეტყჳ, მჴეცო, ამიერითგან ვითარცა მწყემსი კეთილი აძოებდი კარაულთა ჩემთა[4], რათა ესევითარითა მსახურებითა უკუმოუზღო[5] მწუხარებასა ძმათა ჩემთასა, რომლითა შეაწუხენ იგინი. ხოლო საზრდელი შენი იყოს, ვინაჲ და ჩუენცა ვიზარდებით[6], და ცისკრად წარმყვანებელი კარაულთა საძოვარსა ჟამსა მწუხრისასა კუალად მოიყვანებდი მათ, ვინაჲთგან მწყემსად და მცველად მათდა შენ გამიჩინებიხარ.

ხოლო მგელი იგი ერჩდა ბრძანებასა მას[7] ბერისასა და დადგა ვითარ მონაჲ ყოვლისა კაცობრივისა ბუნებისა მქონებელი და სიტყჳსა გულისჴმის-მყოფელი, რამეთუ განთიად აღიმსთჳს და ბორცუსა ზედა მდგომარე ყუვილით[8] უჴმობნ განსლვად[9] კარაულებსა. ხოლო მიმწუხრი მოვიდიან რაჲ მონასტრად, მიჰავე ჴმითა მასვე ბორცუსა ზედა ძმათა აუწყებნ მოსლვასა კარაულთასა. ხოლო რომელნი ხედვიდეს[10] და ესმოდა სასწაულისა ამისთჳს, განკჳრვებულ იყვნეს და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესევითარი მადლი მოანიჭა მონასა თჳსსა, ვიდრემდის მჴეცნიცა ველურნი ბუნებისაგან უცხოჲსა მსახურებასა

ⴃ. [1] შენთა B′. [2] იქმნა B′. [3] ბერსა B′.

ⴂ. [1] ძმანი]+ჩემნი C. [2] განიბნინეს [E] განიბნინნეს CD. [3] ხოლო]—E. [4] ჩუენთა C. [5] უმოუზღო E, უკუმოუძღო C. [6] ვიზრდებით E. [7] მას—CE. [8] ყუაჳილით C. [9] განსლსვად C. [10] ჰხედვიდეს C.

Ⴂ

ხოლო იყო ერთი ძმათაგანი, სახელით კონონ, და კარაული მისი გარდაიჭრა კლდესა და მოკუდა. **ხოლო** მგელმან მან უწინარეს ჟამისა მოასხნა საჴედარნი და, ვითარცა მოითუალნეს, კონონ ვერ-ღარა პოვა [1] ვირი მისი. მივიდა და ჰრქუა ბერსა: ჵ წმიდაო მამაო, რაჲ ჰყავ [2], რამეთუ მგელი მწყემსად მოგუეც [3]; ეგერა კარაული ჩემი შეუჭამია. და ამას რაჲ ეტყოდა ბერსა, მგელი იგი მოეკიდა კალთასა კონონისსა და მიზიდვიდა. ხოლო ბერმან ჰრქუა: წარჰყევ, რაჲთა გიჩუენოს [4], თუ რაჲ სჭირს ვირსა შენსა. და ვითარცა მივიდეს [5] თავსა მის კლდისასა [6], სადა გარდაჭრილ იყო, ტოტითა უჩუენებდა [7] ვითარცა კაცი და წკმუილით იმართლებდა თავსა თჳსსა. და ვითარცა შთავიდეს, იხილეს, რამეთუ მომკუდარ [8] იყო.

Ⴃ

ალასრულებდენ [1] დამორჩილებულნი სიტყჳსა მისისანი [2].

არამედ სხუაჲ ისმინეთ საკჳრველი, რამეთუ მჴეცმან ამან მსგავსი ბუნებისა მისისა საზრდელი არა მიიღო, ვიდრემდის იყო მსახურებასა მას შინა, რამეთუ ნეტარმან ევაგრი დაუნეცვის [3] მას პური დილეულად და დაუსხის წყალი ზედა და შეჭამის იგი. დამწუხრი ეგრეთვე მიიღის რაჲ მოლუაწეთა იგი საზრდელი, წარვიდის და კარსა მის ქუაბისასა მიწვის, სადა იყოფვოდა [4] ნეტარი შიო. და დღესამომდეცა იხილვების გამოქმნილი [5] იგი შიოჲს მიერ განსასუენებელად მჴეცისა მისთჳს ადგილი.

ხოლო დაყო რაჲ მჴეცმან ამან მსახურებასა მას შინა თჳსსა წელიწადი ექუსი, დღესა ერთსა წარიყვანნა [6] კარაულნი ძოვნად მსგავსად წესისა თჳსისა. და ვითარცა არს ჩუეულებაჲ მათი, მღერასა შინა გარდაიჭრა ჰენებული სხჳსა მიერ კლდესა კარაული კონონისი და მოკუდა. ხოლო მწუხრი ჟამისაგან უწინარეს მოიყვანნა კარაულნი მგელმან და [7] მწუხარე წკმუოდა [8] და ტიროდა. იხილა რაჲ კონონ, რამეთუ კარაული მისი არღარა იყო, შეწუხნა და მგელსა მას რისხვით უთქმიდა და შეასმენდა, ვითარმედ: მას შეუჭამიეს. შთავიდა უკუე კონონ ბერისა შიოჲსა და ესჯოდა [9] მას და ეტყოდა გულის წყრომით, ვითარმედ: დასაბამითგან არასადა ისმა, ვითარმცა მგელი მაძოვნებელ იყო კარაულთა და ესე [10] ჰყავ შენ, მამაო, რამეთუ ნუგეშინის მცემელი იგი მოხუცებულებისა [11] ჩემისაჲ და სხუათაცა ძმათაჲ კარაული მჴეცმან ამან შეჭამა. ხოლო მგელი იგი განიმართლებდა თავსა [12], რაოდენ შესაძლებელ იყო წინაშე ბერისა, გამოვიდა და ტიროდა წკმუ-

Ⴂ [1] პოა B. [2] ჵ წმინდაო... ჰყავ] რაჲ გჳყავ, ჵ წმიდაო მამაო B'. [3] მოგუეც BB'. [4] გიჩუენოს BB'. [5] მივიდა B. [6] კლდისსა B'. [7] უჩუენებდა B'. [8] მომკუდარი B'.

Ⴃ [1] ალასრულებენ C. [2] და მორჩილებენ სიტყუასა მისსა E. [3] დაუნეცჳს C, [4] იყოფოდა C. [5] გამომქმნილი D, გამოქმნული C. [6] წარიყვანნ D. [7] და]—E. [8] წკუმოდა E. [9] ესჯოდა E] ესაჯოდა CD. [10] ესე]+ვითარ E. [11] მოხუცებულისა C [12] თავსა]+თჳსსა E.

Ⴂ

ხოლო ვითარცა მოვიდა ბერისა, ეტყოდა: უბრალო არს, მამაო[1], მწყემსი ესე ჩუენთა საჴედართაჲ, რამეთუ კლდესა გარდაჭრილ არს და მომკუდარ-ა ვირი ჩემი.

ჵ[2] ძმანო ჩემნო საყუარელნო, ესრეთ ადიდებს ღმერთი მოშიშთა მისთა, რომელ მჴეცნიცა[3] ველურნი, ვითარცა მონანი, დაემორჩილებიან. აწ ჩუენცა სათნო-

Ⴃ

ვილით. მერმე უპყრა კუერთხსა კონონისსა და მიზიდვიდა მას. ჰრქუა ნეტარმან შიო კონონს: წარვედ, ბერო, და მიჰყევ მწყემსსა მაგას და იხილე, რაჲ უქმნიეს კარაული შენი. ხოლო ჰრქუა მას კონონ: ეჰა უწყალოებასა[1] ამას! და სულიცა ჩემი წარწყმედად გეგულებისა? და რაჲ არს სიძულილი ესეოდენი[2] ჩემდა[3] მომართ[4] შენი[5]? კარაული ჩემი შეაჭამე ძაღლსა ამას[6] და აწ განვიდე მის თანა, მტერისა ჩემისა, და განმბძაროს მე? და ესრეთ აღიმაღლებდა ჴმასა და სწყევდაცა ბერსა, გარნა ნეტარი იგი ყოვლად არა განრისხნა, არამედ გამოვიდა ქუაბით და აღვიდა ძმათა თანა[7], წარავლინნა მგელსა და კონონს თანა ორნი ძმანი, და მივიდოდეს[8] უკუანა მგელისა და იხილეს, რამეთუ პარეხსა გარდაჭრილ იყო კარაული კონონისი და მომკუდარ იყო. და მოიქცეს[9] ნეტარისა შიოჲსა[10] და აუწყეს ძმათა მათ, და ითხოვდა შენდობასა კონონ სიტყუათა მათთჳს, რომლითა იკადრა ყუედრებაჲ წმიდისა მის ზედა.

ხოლო მოუწოდა ნეტარმან შიო მგელსა მას და ჰრქუა: მჴეცო, კმა-არს მსახურებაჲ ეგე შენი და მადლიერ ვარ შენდა; აწ უკუე თავისუფალ ხარ შენ ამიერითგან, წარვედ მსგავსთავე შენთა თანა და ნუ ოდეს იკადრებ ვნებად ძმათა ჩემთა; ხოლო ამათ თჳთ იხილონ მწყემსი, ვითარი სთნდეს კარაულთა[11] თჳსთათჳს, რათა არა კუალად მაბრალობდენ მე შენ ძლით. და მიერითგან წარვიდა მგელი იგი თავისუფალ ქმნილი ბრძანებითა წმიდისაჲთა.

ესევითართა ნიშთა[12] და სასწაულთა მიერ შემკობილ იყო[13] სანატრელი ესე მამაკაცი, რამეთუ უსიტყუთაცა ცხოველთა მონებრ[14] მსახურებასა აიძულებდა. ვინაჲცა ნუ დაგჳკჳრდების ჩუენ, ჵ[15] ძმანო, ესევითართა

Ⴂ [1] მამაო] წმიდაო მამაო B'. [2] ჵ]—B'. [3] მჴეცნი B.

Ⴃ [1] უწყებასა D. [2] ესოდენი C. [3] შენდა DE. [4] მიმართ E. [5] ჩემი DE]+რ´ E. [6] იმას CD. [7] თანა]+და C. [8] მივიდეს CD. [9] მოიქცენ]+წინაშე CD. [10] შიოჲსსა CD. [11] კუალთა D. [12] ნიშებთა DE. [13] ესევითართა ნიშთა... იყო]—C. [14] მონებრივ CD. [15] ჵ]—E.

Ⴂ

ვეყვნეთ[1] ღმერთსა მარხვითა, ლოცვითა[2], სიწმიდითა, გლახაკთ მოწყალებითა, უცხოთ მოყუარებითა, სიმდაბლითა, სიმშჳდითა და ურთიერთას[3] სიყუარულითა და ყოვლითავე[4] საქმითა კეთილითა, რომელიცა მოგუატყუებს კეთილთა საუკუნეთა და საშუებელთა[5] ზეცისათა*.

Ⴃ

საკჳრველთა საქმეთა აღსრულებაჲ მონათა მიერ ღმრთისათა, ნუცა ურწმუნო ვიქმნებით დიდებულებათა ზედა ღმრთისათა, რამეთუ თჳთ იგი იტყჳს სახარებათა[1] შინა, ვითარმედ: «უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ და ჰრქუათ მთასა ამას: აღიფხუარ ამიერ და შთავარდი ზღუად, იყოს ეგრე»,** და რამეთუ წმიდაჲცა[2] ესე და სარწმუნოჲ მონაჲ[3] ღმრთისაჲ სარწმუნოებითა მტკიცითა და შეუორგულებელითა შეჭურვილ იყო და ამიერ მიეღო[4] ჴელმწიფებაჲ ქმნად ძალთა და საკჳრველებათა სიმრავლესა და რამეთუ მგელსაცა უფროჲსღა მბრძოლსა ესევითართა ცხოველთაცა[5] მწყსაჲ და ზედამხედველობაჲ მათი არწმუნა.

რომელიცა ესე სასწაული სამარხოსა შინა ამის[6] ღირსისა მამისასა მის მიერ აღშენებულსა ესრეთ დახატული დადგრომილ არს ვიდრე დღეინდელად დღედმდე გამომაჩინებელად დიდებულებათა ამის სანატრელისა მამისათა, რომელთა იქმოდა შეწევნითა სულისა წმიდისაჲთა.

Ⴂ

12 (13). ხოლო მას ჟამსა ინება წმიდამან მამამან იოვანე, რაჲთა მოიხილნეს მოწაფენი თჳსნი და ცნას, თუ რომელსა საზომსა მიწევნულ არიან და რაჲთა გამოაცხადნეს საქმენი მათნი კეთილნი კაცთა შორის, რამეთუ ახალნერგ იყვნეს[6] კაცნი და უჴმდა[7] განმტკიცებაჲ. და ვითარცა მოიწია საყდარსა მას წმიდისა ღმრთისა დედისასა, მოუწოდა[8] წმიდასა მამასა ჩუენსა შიოს. და ვითარცა მოიკითხეს ურთიერთას[9]

Ⴃ

13. ხოლო მას ჟამსა შინა ინება ნიშებშემოსილმან წმიდამან მამამან ჩუენმან იოანე[7] მოხილვაჲ მოწაფეთა თჳსთაჲ, რათა ცნას, თუ რომელსა საზომსა მიწევნულ არიან და თანად, რათა გამოაცხადნეს საქმენი მათნი კეთილნი სადიდებელად სამებისა ერთარსებისა ღმრთისა ჩუენისა, ვინაჲცა წარვიდა ადგილით თჳსით და მიიწია პირველ ჴსენებულსა ამას საყდარსა ღმრთისა დედისასა, სადა-იგი მოუწოდა ღირსსა შიოსცა[8], რათა მივიდეს იგიცა[9] ყოვლად უბიწოჲსა ღმრთისმშობელისა. და ვითარცა შეკრბეს მუნ ერთბამად, მოიკითხეს ურთიერთას სიყუარულითა ხა-

* ამას მოსდევს ამ რედაქციაში თხრობა ი ს ე ს შესახებ, რომელიც მეტაფრასის მიდევნების გამო აქ წინ არის გადატანილი (იხ., გვ. 87—90).

Ⴂ [1] ვეყუნეთ B. [2] ლოცვითა] + და B'. [3] ურთიერთარს BB'. [4] ყოვლითვე B. [5] მოგუატყუმბს BB'. [6] საშუმბელთა BB'. [7] იყუნეს BB'. [8] უჴდა B'. დედისსა, მიუწოდა B'. [9] ურთიერთარს BB'.

Ⴃ [1] სახარებასა C. [2] წმიდაჲ CD. [3] მონაჲ]—E. [4] მოეღო E [5] ცხოველთასა E. [6] ამის]—C. [7] იოანემ C. [8] შიოსაცა D. [9] იგიცა] + წინაშე CE. ** მათე 21,21.

Ⴂ

სიყუარულითა სულიერითა და[1] დასხდეს, მაშინ მოითხოვა[2] წმიდამან იოვანე თჳნიერ ჩუეულებისა[3] სასუმელი. და მოართუა მას ელია დიაკონმან და აღუვსო ჰიქაჲ და მისცა ბერსა. ხოლო ნეტარი იგი ბერი ეტყოდა ისეს, ვითარმედ: პირველად ებისკოპოზისა[4] ჯერ-არს ლოცვაჲ. ხოლო მან თაყუანის-სცა და ითხოვა[5] შენდობაჲ. ხოლო წმიდამან იოვანე ზე აღიპყრა ჰიქაჲ, ილოცა[6], ჯუარი დასწერა და განუტევა ჰაერსა[7] შინა ჰიქაჲ იგი და[8] დადგა ვითარცა მყარსა ქუეყანასა ზედა[9]. ხოლო რომელმან ავლინა პეტრე ზღუასა ზედა ვითარცა ჴმელსა ქუეყანასა*, მანვე მოსცა მადლი ამისდა ქმნად წმიდასა იოვანეს. და ვითარ მყოვარ[10] ჟამ ეპყრა ჰიქაჲ იგი ჰაერსა შინა, ჰრქუა იოვანე მოწაფეთა: ვინ თქუენგანმან მიიღოს ჰიქაჲ ესე ჴელისაგან ჰაერისა? და არავინ იკადრა მიყოფად ჴელისა.

მაშინ წმიდამან იოვანე დასწერა ჯუარი და მიიღო ჰიქაჲ იგი და სამთავე მიიღეს ნაკურთხევი იგი და სხუათაცა მრავალთა. მაშინ ჰრქუა წმიდამან იოვანე მამასა შიოს; ჯერ-არს მადლისა[11] მიცემაჲ ღმრთისა, რომელმან ყო ჩუენ შორის საკჳრველი ესე. ხოლო წმიდაჲ შიო მორჩილ ექმნა ბერსა და მოიღო ნაკუერცხალი[12] და დაიკრიბა ნებსა ზედა მარჯუენესა[13]

Ⴃ

ღმრთოჲთა. ამისა შემდგომად დასხდეს წმიდანი იგი ბერნი. ხოლო წმიდამან იოანე მოითხოვა ღჳნოჲ გარეშე ჩუეულებისა. და ვითარცა მოართუა მას ელია დიაკონმან ჰიქით[1], მიიღო იგი წმიდამან იოანე ჴელთა შინა თჳსთა და პატიოსნისა ჯუარისა გამომსახველმან მას ზედა მარჯუენისა ჴელისა მწუერვალთა თითთა მიერ განუტევა იგი ჰაერსა შინა და მდგომარე იყო ჰიქაჲ იგი ჰაერთა შინა შთამოკიდებული მართლად მყოვარ ჟამ. და შემდგომად მრავლისა ჟამისა ჰრქუა იოანე მოწაფეთა თჳსთა: შთამოიღეთ ჰიქაჲ ეგე აღსავსე ღჳნითა და აკურთხეთ და რამეთუ ეპისკოპოსისაცა[2] მიერ ჯერ-არს კურთხევა. ხოლო მათ ყოვლითურთ არა იკადრეს, რამეთუ განკჳრვებასა შეეპყრნეს იგინი, დიდებულსა ამას და უცხოსა სახილავსა ზედა, ვითარ თჳნიერ რომლისამე მტჳრთველისა ჰაერთა შინა მდგომარედ იხილვებოდა ჰიქაჲ იგი აღსავსე ღჳნითა.

მაშინ საკჳრველთ-მოქმედმან იოანე მიყო ჴელი თჳსი და მოიღო[3] ჰიქაჲ იგი, და კუალად ჯუარი გამოსახა მას ზედა, რომლისაგან სამთავე მიიღეს ერთბამად და სხუათა მრავალთა, რომელნი მუნ დამთხუეულ იყვნეს[4]. მაშინ ჰრქუა ღირსმან[5] იოანე ნეტარსა შიოს: ჯერ-არს, მამაო, მადლისა[6] მიცემაჲ ღმრთისა, რომელმან ყო ჩუენ შორის საკჳრველი ესე. ხოლო წმიდაჲ შიო მორჩილ ექმნა სიტყუასა ბერისასა და აღდგომილმან მოიღო ნაკუერცხალი ნებსა თჳსსა ზედა და დაას-

Ⴂ [1] და]—B'. [2] მოითხოა BB'. [3] ჩუჳულებისა BB'. [4] ებისკოპოზისაჲ B'. [5] ითხოა B. [6] ილოცა]+და B'. [7] ჰაჳრსა B. [8] და]—B'. [9] ჵზედა ქუეყანასა B'. [10] მყუარ BB'. [11] მადლის B. [12] ნაკუჳრცხალი B'. [13] მარჯუჳნესა B'. * მათე 14,29.

Ⴃ [1] ჰიქითა C. [2] ებისკოპოსისაცა E. [3] მიიღო CE. [4] დამთხუეულ იყვნეს] დაემთხჳვნეს CD, [5] ღირსმან]+მან D. [6] მადლის C.

Ⴁ

შიშველსა და დაასხა საკუმეველი[1] მას ზედა და აღუტევა საკუმეველმან[2] სული სურნელი და იწყო მო კუმევად და უკუმია მუნ მყოფთა. და იხილეს რაჲ ესე, დაუკჳრდა ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა მადლი ესევითარი მოშიშთა მისთა. და თქუა წმიდამან იოანე: რაჲსა დაგიკჳრდების, ძმანო, რამეთუ იცის ცეცხლმანცა რიდობაჲ ღმრთის მცნობელთაჲ, რამეთუ ამან ცეცხლმან იცნნა[2] სა;ნი ყრმანი ბაბილონს, რაჟამს იგი საჴუმილსა შინა შესთხივნეს ქალდეველთა. ხოლო საჴუმილსა მას[3] შინა[4] მდგომარეთა ცუარი ზეგარდამო ეცურეოდა. ხოლო გარემოჲს[5] მდგომარენი შეიწუვებოდეს[6] და ყრმანი უვნებელად დაიცვებოდეს[7]*, რამეთუ წინაშე ღმრთისა არარაჲ შეუძლებელ არს და მისი არს საკჳრველთ მოქმედებაჲ ესე.

და მერმე მიხედნა წმიდამან იოვანე ისეს და ჰრქუა: მამაო მფლობელო, გჳნებს, რაჲთა კურთხევაჲ მოვიღოთ შენგანცა, რომელი გუაქუნდეს[8] საჴსენებელად

Ⴂ

ხა მას ზედა[1] საკუმეველი, რომლისაგან აღვიდოდა სული სულნელებისაჲ ჰაერად. და უკუმია წმიდამან შიო ყოველთა მუნ მყოფთა, რომელნიცა მხილველნი ესევითართა სასწაულთანი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა, რომელმან მოსცა ესევითარი მადლი მოშიშთა მისთა. ხოლო ნეტარი იოანე იტყოდა მუნ მდგომარეთა მიმართ და განცჳბრებითა შეპყრობილთა სასწაულისა ამისთჳს: რაჲსა განკჳრვებულ ხართ, ჵ ძმანო? ანუ არა უწყითა, ვითარმედ ცეცხლიცა რიდებს შეკდიმებული მოსავთაგან უფლისათა და რამეთუ ესევე ცეცხლი იყო ბაბილონს შინა აღგზებული სამთა ყრმათათჳს, რომელმანცა შეიკდიმა უბიწოთა ჴორცთა მათთაგან, რაჟამს იგი ქალდეველთა[2] შესთხინეს საჴმილსა მას შინა ცეცხლისასა[3] შჳდ წილ აღგზებულისასა, ხოლო ანგელოზისა გარდამოსლვითა უვნებელად დაიცვებოდეს, ვიდრელა არცა თმაჲ თავისა მათისაჲ შეიწუვა ყოვლითურთ და გარემოს მდგომარენი იგი არა რომლისა ბოროტისა მოქმედთა დაწუვად მოსწრაფენი, თჳთ შეიწუვებოდეს ალისა მის[4] მიერ მათ ზედა მოფენილისა*, ვინაჲთგან არა რომელი საქმე შეუძლებელ არს ღმრთისა მიერ და მისი არს აწ ქმნილიცა ესე სასწაული, რამეთუ უწყის ღმერთმან დიდებაჲ მადიდებელთა მისთაჲ[5], რომლისათჳსცა ნუ განკჳრვებულ ხართ ღმრთისა მიერ ქმნულსა ამას საკჳრველებასა ზედა, სადიდებელად მონისა თჳსისა.

ამისა შემდგომად მიხედნა წმიდამან იოანე ღირსსა ისეს და ჰრქუა: მამაო[6], მწყემსო კეთილო სიტყჳერთა ცხოვართაო, გუნებავს, რათა კურთხევაჲ მივიღოთ შენგანცა, რომელი გუაქუნდეს საჴსენებელად შენდა.

Ⴁ [1] საჴუმელი B'. [2] საკუმელმან B'. [3] იცნა B. [4] მას]—B'. [5] შინა] + შესთხივნეს ქალდეველთა. ხოლო საჴუმილსა მას შინა B'. [6] გარემოს B'. [7] შეიწუწბოდეს B.[8] დაიცვებოდეს]+და B'. [9] გუაქუდეს B. * დანიელ, თ. 3.

Ⴂ [1] მას]+ზედა CD. [2] ქალდაველთა C. [3] ცეცხლისა E. [4] მის]—CD. [5] თჳსთაჲ C. [6] მამაო]+და DE. * დანიელ, თ. 3.

Ⴁ

შენდა. ხოლო იგი მორჩილ იყო და სავსე სულითა წმიდითა და ვერ იკადრებდა ურჩებასა. აღდგა და აღიპყრნა ჴელნი და თუალნი ზეცად მიმართ და მყოვარ[1] ჟამ ღმერთსა ევედრებოდა. და მერმე მოდრკა და ქუეყანასა ცრემლითა დაალტობდა და ჰრქუა ბერსა: ლოცვა[2]-ყავ ჩემთჳს, წმიდაო მამაო, და მცირედ შემომიდეგ. და მიჰმართა წმიდამან ისე მდინარედ ქსნად.

ვითარცა მიიწივნეს წყალსა მას ზედა[4] წმიდანი იგი მამანი, ნათელნი სოფლისანი, იწყო წმიდამან ისე ლოცვად. და ზე აღიხილნა[5] თუალნი გონებითურთ და ღმრთისა[6] შეწევნასა მოუწოდდა[7], რამეთუ იგი ჰყოფს[8], რაჲცა ენებოს. და ევედრებოდა წმიდასა ღმრთისმშობელსა და იტყოდა ცრემლით: მოვედ ჩემ ზედა, წმიდაო დედოფალო, შეწევნაჲ შენგან შობილისაჲ, რაჲთა წყალი ესე დაგუემორჩილოს[9]. და ვითარ[10] მყოვარ[1] ჟამ ილოცა და მერმე განყო კუერთხი[11], რომელი[12] აქუნდა ჴელთა და თქუა: სახელითა უფლისა[13] ჩუენისა იესუ ქრისტესითა გეტყჳ შენ, წყალო, შემოუდეგ კუერთხსა[14] ამას ჩემსა. და მადლითა სულისა წმიდისაჲთა მყის შეუდგა ღმერთ-შემოსილთა მათ მამათა. ხოლო ქუეყანაჲ იგი უქმი იყო[15] [და] დაღრმდებოდა[16]. ვითარცა კუერთხი[11] იგი მიეთრია

Ⴂ

ხოლო იგი ვინაჲთგან მორჩილებასა განსწავლულ იყო და აღსავსე სულითა წმიდითა ყოვლად არა ურჩ ექმნა ღირსსა იოანეს, არამედ მყის სიტყუასავე თანა აღდგა და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად მიმართ და მყოვარ ჟამ ევედრებოდა ღმერთსა მდუმრიად. ამისა შემდგომად ქუეყანად დავრდომილი ცრემლითა დაალტობდა იატაკსა. და მერმე ჰრქუა ბერსა: ლოცვა-ყავ ჩემთჳს, წმიდაო, მამაო, და მცირედ შემომიდეგ მე. და[1] მიჰმართა წმიდამან ისე მდინარედ მიმართ, რომელსა ეწოდების ქსანი, ღირსთა მათ მამათა თანა.

და ვითარცა მიიწივნეს წყალსა მას ზედა ყოვლად ქებულნი ესე და საკჳრველთ მოქმედნი[2], კუალად იწყო წმიდამან ისე ლოცვად და მოუწოდდა[3] შეწევნად მისა[4] სახიერსა უფალსა და ყოვლად უბიწოსა ქალწულსა ღმრთისმშობელსა ესევითართა ვედრებათა მეტყუელი ცრემლითა: მოვედინ მადლი შენი, ჵ წმიდაო და ღმრთივ მიმადლებულო დედოფალო, რათა წყალი ესე დამემორჩილოს და შემომიდგეს მე, ვინაჲცა იგი ვიდოდი. და ვითარ მიმყოვრებულად ილოცა[5], განმარტა მდინარისა მიმართ კუერთხი იგი, რომელი აქუნდა ჴელთა თჳსთა და თქუა: სახელითა უფლისა ღმრთისა[6] ჩუენისა იესუ ქრისტესითა შენ გეტყჳ მდინარესა ამას,—წოდებისაებრ შენისა კსინვით ვიდრე-მე კსინევდი[7], გარნა კუერთხსა ჩემსა შემოუდეგ. ხოლო წყალი იგი, ჵ საკჳრველებათა შენთა ქრისტე, უჩუეველსა გზასა და უვალსა მისგან პირველად ვიდოდა შედგომილი ღმერთ შემოსილთა წმიდათა მათ[8] მამათა, რამეთუ ქუეყანაჲ იგი, მყარი უწინარეს და ეკლოვანი, განიპებოდა და დაღრმდებოდა თჳნიერ რომლისავე[9] აღმომთხრელისა. ვითარცა[10] კუერთხი იგი

Ⴁ. [1] მყუარ BB'. [2] ლოცვაჲ B'. [3] ‹მამაო წმიდაო B'. [4] ზედაჲ B'. [5] აიხილნა B'. [6] ღმერთსა B'. [7] მოუწოდა B. [8] ყოფს B'. [9] დაგუმორჩილოს BB'. [10] ვითარცა B'. [11] კუერთხი BB'. [12] რომელ B. [13] უფლისა]+ღ̃თისა B'. [14] კუერთხსა BB'. [15] ‹იყო უქმი B'. [16] დაღრმებოდა B'.

Ⴂ. [1] და[—E. [2] კუალად] და კუალად C. [3] მოუწოდა E. [4] მისსა D. [5] ილოცა]+და C. [6] წმიდისა D. [7] კსინვიდი C. [8] მათ]—C. [9] რომლისა E. [10] ვითარცა] და ვითარცა C.

Ⴂ

და წყალი უკუანა[1] მივიდოდა, და ესრეთ მიიყვანა საყდარსა წმიდისა დედოფლისასა წილკანს სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა.

იხილეს ესე ყოველთა მკჳდრთა მცხეთისათა და გარემო სოფლებისათა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

ეჰა დიდებული საკჳრველი, რამეთუ კაცთა მიწისაგანთა[2] წყალნიცა დაემორჩილებიან! ერთი ჰაერსა წარმოადგინებს მსახურად და[3] მეორე ცეცხლისა ბუნებასა დაშრეტს და წარსდევნის მჴურვალებასა მისსა, სხუაჲ წყალსა[4] და მიწისა ბუნებასა დაიმორჩილებს. ამას ყოველსა ხედვიდეს და ღმერთსა ადიდებდეს ყოვლით კერძოვე.

Ⴃ

მიეთრია ღირსსა ისეს, უკუანა[1] მივიდოდა წყალი იგი მდინარე, მსმენელი ბრძანებასა წმიდისასა, და ესრეთ მიყვანებულ იქმნა მახლობელად ტაძარსა[2] ღმრთისა დედისასა წილკანს, რომელიცა ვიდრე აქამომდე დის სადიდებელად ღმრთისა ჩუენისა და ცხად-მყოფელად ღმრთისა მიმართსა კადნიერებასა წმიდისა ისესსა.

ესე სასწაული საკჳრველი იხილეს ყოველთავე მკჳდრთა მცხეთისათა და მახლობელთა დაბათა და განკჳრვებითა შეპყრობილნი ადიდებდეს ღმერთსა და მოქმედსა[3] დიდთა საკჳრველებათასა, რომელმან მისცა[4] ესევითარი ძალი მონასა თჳსსა სანატრელსა ისეს.

ესევითართა სასწაულთა და ნიშთა მიერ შემკობილ იყვნეს წმიდანი ესე მამანი და ესევითარი კადნიერებაჲ მოეღო ამათ ღმრთისაგან, რომელთა ყოველივე მსოფლიო და ზუავი კადნიერებაჲ დაუტევეს მისთჳს. ესრეთ იხარებდეს საღმრთოჲთა სიყუარულითა ერთბამად მყოფნი და კუალად თჳსაგან დადგრომილნი მოთმინებით შეიტკბობდეს მოლუაწებრივსა ცხოვრებასა, რამეთუ უწყოდეს ამათ სიტყუათა[5] მგალობელისა: «რაჲმე კეთილ, ანუ რაჲმე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაჲ[6] ძმათა ერთად»*. და კუალად: «ვიქმენი მე ვითარცა სირი მხოლოჲ[7] სართულსა ზედა»**. ესრეთ ორკერძოვე სათნოებათა სიმრავ-

---

Ⴂ [1] უკანა **B.** [2] მიწისაგანთა] მყისაგანთა **B′.** [3] და]—**B′.** [4] წყალთა]—**B′.**

Ⴃ [1] უკუანა]+მისსა C. [2] ტაძრისა D, საყდრისა E. [3] და მოქმედსა] მოქმედთა C. [4] მისცე C. [5] სიტყუა C. [6] დამკჳდრებად C. [7] მხოლოჲ CE. * ფსალმ. 132,1. ** ფსალმ. 101,7.

ჲ

ხოლო წარ-რაჲ-ვიდოდა წმიდაჲ იოვანე, თანა-აღჰყვეს მოწაფენიცა მისნი და დაყვნეს[1] მის წინაშე მცირედნი დღენი და მის თანა იხარებდეს სულითა.

13. (14) ხოლო რაჟამს ენება წარმოსლვაჲ მიერ, ნეტარი შიო ევედრებოდა წმიდასა იოვანეს, რაჲთა უბრძანოს მას დაყუდებით ცხორებაჲ. ხოლო მან ჰრქუა: მიგემადლენ ღმრთისა მიერ სათხოველი[2] შენი და მოგეცინ მოთმინებაჲ, რაჲთა აქა იწროებით ცხორებითა საუკუნესა მას ჰპოო განსუენებაჲ[3] და ფართოებით შუებაჲ[4]. არამედ წარვედ და მოაჴსენე პირველად მამათ მთავარსა[5] და, უკუეთუ ბრძანოს შენი ესრეთ ცხორებაჲ, უწყოდე, რამეთუ[6] არს ნებაჲ ღმრთისაჲ, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული[7]: «ერჩდით წინამძღუართა თქუენთა, რამეთუ იგინი[8] ილჴძებენ სულთა თქუენთათჳს»*.

და ასწავებდა ბერი, რაჲთა გონებაჲცა ჴორცთავე თანა შეაყენოს და ყოველი ზრუნვაჲ ქუეყნიერი განაგდოს, ვითარცა მკუდარმან, დაფლულმან და დაფარულ-

ჳ

ლითა ბრწყინვალე იყვნეს ერბამად და თჳსაგანცა მყოფნი.

ხოლო წარსლვასა მას წმიდისა იოანესსა ადგილად თჳსად, სადა-იგი იყოფებოდა ქუაბსა შინა, თანა-წარჰყვეს[1] მოწაფენიცა მისნი და დაადგრეს მის თანა ვითარ სამსა ოდენ დღესა და იხარებდეს სიხარულითა სულიერითა ღირსისა ამის მამისა თანა.

14. ხოლო ვითარცა ენება ამათ კუალად უკუმოქცევაჲ საყოფელთა მიმართ თჳსთა თითოეულსა, ევედრებოდა ნეტარი შიო წმიდასა იოანეს, რათა უბრძანოს მას დაყუდებით ცხოვრებაჲ. ხოლო მან მიუგო: ღმერთმან მიგმადლენ შენ სათხოველნი შენნი[2], შვილო, და მოგეცინ მოთმინებაჲ შეუძრკოლებელი, რათა ნაცვალად[3] აქა შინა იწროებით ცხოვრებისა, მერმესა მას საუკუნესა ჰპოვო განსუენებაჲ წარუვალი და ფართოებით იშუებდე მოხარული მართალთა ყოველთა თანა, არამედ წარვედ და მოაჴსენე პირველად პატრიაქსა წმიდასა მამათ მთავარსა ჩუენსა და უკუეთუ გიბრძანოს მანცა წინაღრჩევისა შენისაებრ ცხოვრებაჲ, უწყოდე, რამეთუ ნებაჲ ღმრთისაჲ არს. ხოლო თჳნიერ კათალიკოზისა კითხვისა, ნუ ჴელჰყოფ საქმესა მაგას, რამეთუ მისი გკლირს მორჩილებაჲ, ვითარ საყოველთაოსა. და რომელიცა გიწამოს მან, იგი მიითუალე სიხარულით. და რამეთუ პავლეცა, მოძღუარი იგი ყოველთაჲ, ესრეთ გუამცნებს, ვითარმედ: «დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი ილჴძებენ სულთა თქუენთათჳს»*.

ამათ ყოველთა თანა ასწავებდა მას წმიდაჲ იოანე, რათა განაყენოს გონებაჲ თჳსი ყოველთავე ჴორციელთა და ქუეყნიერთა ზრუნვათაგან და, ვითარცა მკუდარმან სამარესა შინა დადებულმან, ესრეთ[4] შეურაცხ-

ჲ დაყუნეს BB'. [2] სათხოელი B. [3] განსუჱნებაჲ BB'. [4] შუჱბაჲ BB'. [5] მამათ მთავარსა B' [6] რამეთუ]—B. [7] მოციქული]+ვ͞დ B'. [8] იგინი]—B'. * ებრ. 13,17.

ჳ [1] წარყვენ C, წარჰყვეს E. [2] სათხოველი შენი C. [3] ნაცვლად CE. [4] ესრე D. * ებრ. 13,17

Ⴂ

მან, რამეთუ ესე არს კანონი დაყუდებით ცხოვრებულთაჲ. ხოლო წმიდამან შიო მიიხუნა[1] ბერისაგან მცნებანი, ანბორს-უყო ფერჴთა და ტიროდეს ყოველნი იგი ძმანი, ვითარცა უკუანაჲსკნელისა[2] ჟამნისათჳს და ჰრქუა მათ: ლოცვა-ყავთ ჩემთჳს. და წარმოვიდა[3], და ვითარცა შევიდა კათოლიკე ეკლესიად, თაყუანის-სცა წმიდასა სუეტსა[4] და ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა, რაჲთა ღირს ყოს დაყუდებით მსახურებასა მისსა.

და შევიდა წინაშე მამათ მთავრისა[5]. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა. და ვითარცა მოიკითხნეს[6], წმიდამან შიო წარმოუთხრა ყოველივე და წადიერებაჲცა გულისა მისისაჲ.

ხოლო მან სულთ-ითქუნა და ტიროდა და ეტყოდა: წარემართე, მამაო, კეთილსა მაგას გზასა და ყავნ უფალმან მლჳმე იგი კიბედ. აღმყვანებელად შენდა ზეცად მიმართ, და ბნელი იგი — მიმყვანე-

Ⴃ

ყვნეს მიწიერნი ესე და ხილულნი ყოველნი, ვინაჲთგან ესე არს წესი და კანონი დაყუდებულთაჲ. ესევითარნი რაჲ მცნებანი და სწავლანი მიიხუნა ნეტარმან შიო წმიდისა იოანესგან შევრდომილმან, ტირილით ამბორს-უყო[1] ფერჴთა მისთა და მოიკითხნა ყოველნი მუნ დამთხუეულნი უკუანაჲსკნელითა მოკითხვითა, რამეთუ არღარა ეგულვებოდა მოკითხვაჲ მათი. ამისა შემდგომად მჴმნელმან მათგან: ლოცვა-ყავთ ჩემთჳს — ჰრქუა, — რათა, მოთმინებით და სიმჴნით დადგრომილმან დაყუდებასა შინა მიწამოს თუ წმიდამანცა მამათ მთავარმან, შეუბრკოლებელად აღვასრულნე ნეშტნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი. და ესრეთ მიმღებელი მათგან ლოცვისა და კურთხევისა წარვიდა კათოლიკე ეკლესიად და თაყუანის-მცემელი წმიდისა და ყოვლად პატიოსნისა სუეტისაჲ ცრემლით და სულ(თ)ქ(უ)მით ევედრებოდა ღმერთსა, რათა ღირს ყოს იგი დაყუდებით სათნოდ მისა გარდაჴდად ნეშტსა ჟამსა ჴორცთა შინა ყოფისა მისისასა.

ამისა შემდგომად შევიდა წინაშე მამათ მთავრისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა იგი. და ვითარცა მოიკითხნეს ურთიერთას, წარმოუთხრა მას შიო ყოველივე წადიერებაჲ თჳსი, თუ ვითარ სურვიელ არს[2] დაყუდებითსა ცხოვრებასა შეტკბობად და ვითარცა ღირსისა იოანეს მიერ წარმოივლინა[3] მისა მიმართ კითხვად და ესრეთ ბრძანებითა მისითა შეკადრებად ღუაწლსა დაყუდებისასა.

ხოლო წმიდამან მამათ მთავარმან სულთ-ითქუნა სიღრმით გულისაჲთ და ცრემლეოდა[4] ესრეთ შეურაცხ-ქმნასა თავისა თჳსისასა მსმენელი ნეტარისა შიოჲსგან სიყუარულისათჳს ქრისტესა ვიდრეღა და მლჳმესაცა შინა უკუნსა დამკჳდრებად. ხოლო მლჳმე ესე

Ⴂ [1] მიიხუნაჲ B'. [2] უკუანასკნელისა B'. [3] წარმოვიდეს B'. [4] სუსტსა BB'. [5] მამად მთავარისა B. [6] მოჲკითხნეს B'.

Ⴃ [1] ჲამბორს უყო ტირილით C. [2] სურვილ არნ D, სურვიელ არნ C. [3] წარმოავლინა D. [4] ასეა!

Ⴁ

ბელ ნათელსა მას დაულამებელსა! ჟამისა[1] ჭირი გეყავნ საუკუნოდ განსასუენებელ და არა შენ ოდენ, არამედ ყოველთა, რომელთა შემდგომად შენსა იღუაწონ ადგილსა მას შინა! და[2] დაუთმე ბრძოლასა ეშმაკთასა, რამეთუ მრავალ ღონე არს ბრძოლაჲ მათი.

ხოლო წმიდაჲ შიო ევედრებოდა და ეტყოდა: ლოცვა-ყავ ჩემთჳს უფლისა მიმართ, რაჲთა ნეშტნი ესე დღენი ჩემნი მომმადლნეს ნებისაებრ მისისა. და დაიწერა ჯუარი და წარვიდა და შევიდა უდაბნოსა თჳსსა. და მოუწოდა ყოველთა ძმათა და ჰრქუა: მე ესერა აღვირჩიე დაყუდებით ცხოვრებაჲ ბრძანებითა ბერისაჲთა და წმიდისა მამათ მთავრისაჲთა; ხოლო თქუენ განეკრძალენით საფრჴეთა[3] ეშმაკისათა[4] და მოიგეთ უმეტეს[5] ყოვლისა სიმდაბლე და მორჩილებაჲ და სიმშჳდე, რომელი უჩინო-ჰყოფს რისხვასა, და სიყუარული, რომლისა მიერ ღმერთი მოიგების, და მარხვაჲ, რომე-

Ⴂ

არს ფრიადსა სიღრმესა[1] მქონებელი და ყოვლად ბნელი, რომელსა შინა ეგულვებოდა მრავალ მოღუაწესა ამას მამაკაცსა შთასლვაჲ და დაყუდებაჲ, ვინაჲცა ცრემლით მიხედველმან შიოჲს მიმართ ნეტარმან მამათ მთავარმან: ვიდოდე—თქუა—მამაო, ვიდოდე კეთილსა ამას და იწროსა გზასა, ცხოვრებად საუკუნოდ მიმყვანებელსა, რომელსა ზედა მცირედნი ვლენან*, ვითარ მძლავრებელნი ზრქელთა ამათ და წინააღმდგომთა სხეულთაგან და ყავნ ღმერთმან მღჳმე იგი კიბე აღმყვანებელ შენდა ზეცისა სუფევათა[2] და ნეტარებათა მიმართ, ხოლო ბნელი იგი მუნ შინა—მიმყვანებელ ნათლისა მიმართ დაულამებელისა; და ჟამიერი ესე ჭირი[3] გეყავნ შენ მომატყუებელ საუკუნოჲსა განსუენებისა და წარუვალისა სიხარულისა, რომელსა მიმთხუევად არიან ყოველნი სათნოდ უფლისა აღმასრულებელნი ცხოვრებისა მათისანი!

ამათი მსმენელი შიო მხიარულ იქმნა სულითა და ევედრა ლოცვისა ყოფად მისთჳს, რათა მოსცეს მას უფალმან მოთმინებაჲ წინამდებარისა ღუაწლისა მიმართ. და ესრეთ კურთხევისა მიმღებელი მამათ მთავრისაგან[4] წარვიდა უდაბნოდ თჳსად. ხოლო ვითარცა მიიწია ღირსი ესე უდაბნოდ თჳსად[5], მოიკითხნა ყოველნივე ძმანი სიყუარულითა საღმრთოჲთა და ულოცა მათ უმჯობესი სულთა მათთაჲ. ამისა შემდგომად სიმშჳდით ზრახვიდა[6] მათდა მიმართ ესევითართა სიტყუათა მეტყუელი: ძმანო და მამანო და შვილნო სულიერნო, მცნებისაებრ ბერთა ჩემთაჲსა და წმიდისა მამათ მთავრისა დაყუდებითსა ცხოვრებასა შევიწყნარებ, ხოლო თქუენ განეკრძალენით, საყუარელნო, საფრჴეთა მრავალ-ღონისა მტერისათა და უმეტეს ყოველთასა მოიგეთ სიმდაბლე და მორჩილე

Ⴁ [1] ჟამისა] ჟამსა ამას B′. [2] და]—B′. [3] საბრჴეთა B′. [4] ეშმაკისა B′. [5] უმეტესი B′.

Ⴂ [1] ფრიად სიღრმესა E. [2] სასუფეველსა DE. [3] ღჭირი ესე C. [4] მთავრობისაგან D. [5] თჳსად]—C. [6] ზრახვიდეს C. * მათე 7,14.

Ⴀ

ლი წარიოტებს ბილწებასა, და ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისაჲ, რომელი განაქარვებს ყოველსა ძალსა მტერისასა, და დაუცხრომელი[1] ტირილი, რომელი მოატყუებს[2] სიხარულსა საუკუნოსა, და მოიპოვეთ[3] სიგლახაკე, რაჲთა საუკუნოდ[4] სიმდიდრე ჰპოოთ; მოიძულენით საქმენი სოფლისანი, იწურთიდით წერილთა, რაჲთა მარადის ფრთხილ იყოს გონებაჲ თქუენი; იქმნენით წმიდა ჴორცითა, რაჲთა სულითა წმიდა იქმნნეთ[5] და მხიარულნი შეხჳდეთ ქორწილსა უფლისასა; მიეყრდენით[6] მკერდსა უფლისასა, რაჲთა სიწმიდით ეზიარებოდით მას, და ნუ ჰგონებთ, თუმცა უჭირველად ცხორებაჲ საუკუნოჲ ჰპოეთ[7], რამეთუ[8] პავლე იტყჳს, ვითარმედ: «მრავლითა ჭირითა გჳლირს[9] შესლვად სასუფეველსა ცათასა»*. და კუალად იტყჳს: «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი»**.

Ⴁ

ბაჲ და სიმშჳდე საღმრთოჲ, რომელი უჩინო ჰყოფს რისხვასა, და სიყუარული, რომლისა მიერ მოიგების[1] ღმერთი სიყუარულად წოდებული; ამას[2] თანა შეიტკბეთ წმიდა მყოფელი იგი სულთა მარხვაჲ, რომელი წარიოტებს ბილწებასა; და ლოცვასა შინა თქუენსა ღმრთისა მიმართ მოიგეთ სიწმიდე გონებისაჲ და აღუძრველობაჲ ბოროტთა გულისსიტყუათა მიმართ, რომლითა განქარდების ყოველი ძალი ეშმაკისაჲ; ხოლო ტირილი იყავნ თქუენდა სამარადისოჲ, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნესა და[3] რამეთუ უფალი იტყჳს: «ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა»;* მოიპოვეთ[4] სიგლახაკე, რათა სასუფეველი ცათაჲ დაიმკჳდროთ;** მოიძულენით ზრუნვანი და შფოთნი სოფლისანი, რათა არა შეიცთუნნეთ მათ მიერ; წერილთა იწურთიდით საღმრთოთა, რომელნი განაფრთხობენ გონებასა და ნუ მიაყვანებთ გონებასა თქუენსა ბოროტთა გულის-სიტყუათა; იქმნენით წმიდა ჴორცითა და ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი: «განიბანენით, განიწმიდენით და მოისპეთ ყოველივე გულარძნილებაჲ სულთაგან თქუენთა»,*** რამეთუ უკუეთუ დაიცვნეთ[5] სხეულნი თქუენნი სიწმიდით, ვითარ განბრწყინვებულნი სულითა მხიარულნი შეხვიდეთ[6] ქორწილსა მას უფლისასა ლამპრითა ბრწყინვალითა[7] მიგებებად სიძისა მის უკუდავისა; მღჳძარე იყვენით გონებითა სამარადისოდ მომლოდენი უცნაურისა მის დღისა და ჟამისანი, რამეთუ არა უწყით, ოდეს უფალი მოვიდეს და ნუ სადა გპოვნეს[8] თქუენ[9] უდებად წარმგებელნი მამულისა სიმდიდრისანი და თანად დამმალველნი ტალანტისანი, რომლისათჳს საფასედ დადებისა მცნებაჲ მოგჳღებიეს.**** და უკუეთუ ვინმე უდებყვნეს მცნებანი ღმრთისა და უფლისა[10] თჳსი-

Ⴀ [1] დაუცხრომელად B′. [2] მოატყუჱბს BB′. [3] მოიპოეთ B′. [4] საუკუნოჲ B′. [5] იქმნეთ B′. [6] მიეყრდნენით B′. [7] ჰპოოთ B, ჰპეო B′. [8] რამეთუ]—B′. [9] გჳლირს] გჯჳმს B.* საქმე 14,22. ** ლუკა 21,19.

Ⴁ [1] მოიგები C. [2] ამათ D. [3] და]—C. [4] მოიპოვე D. [5] დაიცვენით C. [6] შეხვედით C. [7] ბრწყინვალებითა C. [8] გიპოვნეს C. [9] თქუენ]—C. [10] ოუფლისა და ღმრთისა CE.

* მათე 5,4; ** მათე 5,3; *** ესაია 1,16; **** მათე 25,27.

Ⴂ	Ⴃ
	სანი, მოვიდეს ჟამსა, რომელსა არა მოელოდის[1] და ორად განმკუეთელმან ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა, რამეთუ უმწარესითა მახჳლისაგან სიკუდილისაჲთა[2] განჰფხურას[3] სული უნანელთა და უდებთა ჴორცთაგან და წარავლინოს იგი ბნელსა მას[4] გარესკნელსა, სადა-იგი, — ჵ მე უბადრუკსა, — იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა:* ჴსენებაჲ სიკუდილისა და საზარელისა მის დღისაჲ მარადის წინაშე თუალთა გონებისა თქუენისათა გაქუნდინ, და ნუ გეშინინ სიკუდილისაგან, არამედ უფროჲსღა გეშინოდენ სასჯელისა მისგან საუკუნოჲსა; მოითმინენით წუთიერნი[5] ესე და მცირედ ჟამისა ტკივილნი, რამეთუ თჳნიერ ჭირისა შეუძლებელ არს ჰპოვნაჲ საუკუნოჲსა ცხორებისაჲ, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული, ვითარმედ: «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ[6] სულნი თქუენნი»** და «მრავლითა ჭირითა გჳღირს შესლვაჲ სასუფეველსა ცათასა»***.
უწყოდეთ ძმანო ჩემნო, რამეთუ აქაჲ ესე ყოველი წარმავალ არს, ხოლო საუკუნოჲ წარუვალ. მითხართ-ღა საყუარელნო. უკუეთუ გუშინ ყოველთა განსუენებათა[1] შინა ყოფილ იყოს კაცი ესე[2] და ხვალე არღარაჲ[3] ჰქონდის და არცაღა სხუასა[4] წაღმართ[5] მოელოდის რას, თჳნიერ ჭირისა და ტანჯვისა, არა დიდი დაჭირვებაჲ არს მისა[6]?!	უწყოდეთ, ძმანო ჩემნო, მტკიცედ, ვითარმედ ყოველი ესე აქა შინა წარმავალ არს და დაუდგრომელ, ხოლო საუკუნოჲ იგი წარუვალ და სამარადისო და მიელის თითოეულსა ჩუენგანსა საუკუნოსა[7] მას შინა რომელსამე განსუენებაჲ, ხოლო სხუათა — სატანჯველი საქმეთაებრ მათთა, რომელნიცა ქმნნეს სოფელსა ამას შინა. მითხართ-ღა, ჵ საყუარელნო, უკუეთუ ვინმე კაცი დღეს ყოველთა განსუენებათა და შუებათა შინა იყოს და წარაგოს ყოველი მონაგები თჳსი და არღარა დაუშთეს მას[8] ხვალისად და მიერითგან შიმშილითა[9] და სხჳთა ყოვლითავე ძჳრ-ხილულობითა განიკაფებოდეს, ნუ სარგ[ებ]ელ[10] ეყოს მას ერთისა იგი დღისა განსუენებაჲ შემდგომთა დღეთა მიმართ?!

Ⴂ. [1] განსუწნებათა BB'. [2] ესე]—B'. [3] აღარაჲ B'. [4] სხუასა]—B'. [5] წაღმა B'. [6] არა დიდი დაჭირვებაჲ არს მისა]—B.

Ⴃ. [1] მოელოდეს C. [2] სიკუდილითა CD. [3] განფხურას C. [4] მას]—C. [5] წუთ ერთნი E. [6] მოიპოვნნეთ D. [7] საუკუნესა C. [8] მას]—C. [9] სიყმილითა C, სიყუარულითა D. [10] საძაგელბ D

* მათე 25,29. ** ლუკა 21,19. *** საქმე 14,22.

ეპისკოპოს გაიოზის № ბიბლიოთეკა

Ⴀ.

14 (15). და შემდგომად მრავლისა სწავლისა[1] ჰრქუა მათ: გამოარჩიეთ ერთი, რომელიცა იღუწიდეს ცხორებასა თქუენსა, რამეთუ მე მეგულების დაჯდომაჲ მღჳმესა ამას შინა, რომელი აღვაშენე დასაფლველად თავისა ჩემისა.

მაშინ შეწუხნეს[2] ძმანი იგი და ტიროდეს მწარედ.

Ⴁ.

ესრეთ უკუე უწყოდეთ და საწუთოცა ესე ჩუენი ცხოვრებაჲ, რამეთუ უკუეთუ აქა მშუებელნი არა ვზრუნვიდეთ გულვებადისა მისთჳს და არა დავიუნჯოთ საუკუნეთა მათ შინა საუნჯეთა, მიმტაცებელთა მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, სიყმილითა მოვსწყდეთ და არად სარგებელ გუეყვნენ ჩუენ ჴორციელნი შუებანი, არამედ უფროჲსღა ვიტანჯნეთ, ვითარ[1] უძლებად და ნაყროვნებით[2] ცხოვრებულნი.

15. ამათ და ესევითართა სწავლათა მიერ განამტკიცნა შიო ყოველნი იგი მონაზონნი. ამისა შემდგომად ჰრქუა მათ: გამოირჩიეთ ერთი ძმათაგანი, რომელი იღუწიდეს ცხოვრებისა თქუენისათჳს, რამეთუ მე ამიერითგან მეგულვების შთასლვაჲ მღჳმესა შინა, რომელი შევჰმზადე[3] საყოფელად დასაფლავად ჩემდა.

ხოლო შეწუხნა ნეტარი ევაგრი, და ყოველნი ძმანი ტიროდეს მწარედ ფრიად საზარელსა[4] და უსმენელსა[5] ზედა ჴელ-ყოფასა და ეტყოდეს: წმიდაო მამაო, რაჲ არს ეგე, რომელსა გეგულების ყოფა და ვის ესმა საუკუნითგან, ვითარმცა ცოცხლივ ჯოჯოხეთად[6] შთაჰჴადე[7] ცხოვრებაჲ შენი და უფროჲსღა აწ, ოდეს გიჴმს შენ განსუენებაჲ შრომათაგან მოხუცებულსა[8]? და ვითარ არა კმა-არიან[9] ესეზომნი[10] ღუაწლნი, რომელ მოგიღუაწებიან კაცთა ბუნებისაგან[11] უცხონი! და ნუუკუე არცა ღმერთსა სთნდეს ეგევითარი ღუაწლი, რომელი არავის უქმნიეს სხუასა დღესამომდე. და კუალად ესოდენნი სულნი, რომელნი შენ ძლით შეკრებულ არიან უდაბნოსა ამას შინა, ოდეს არღა გხედვიდენ და არცა ესმოდინ ტკბილნი სწავლანი შენნი, ყოველნი განიბნივნენ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ[12] მწყემსი*. ამას და

Ⴀ. [1] სწავლისა]—B [2] შეწუხდეს B′.

Ⴁ. [1] ვითარმედ E. [2] ნაყროვანებით C. [3] შევმზადე C. [4] საზარელსა]+მას C. [5] და უსმენელსა] დაუთმენელსა C. [6] ჯოჯოხეთს C. [7] შთაჴადე C. [8] მოხუცებულთა C. [9] არნ CD. [10] ეს-ზომნი CD. [11] ბუნებისანი E. [12] აქუს CD. * მათე 9,36.

ⴂ

ხოლო იგი ნუგეშინის-სცემ-და [1].

ⴃ

ესევითარსა მრავლითა ცრემლითა ეტყოდეს შიოს ყოველნი [1] ძმანი და ევედრებოდეს არა დაობლებად მათდა და არცა შთასლვად მღჳმესა მას შინა.

ხოლო წმიდაჲ შიო ნუგეშინის-სცემდა [2] მათ და ეტყოდა: ძმანო ჩემნო, ღმერთმან მოგეცინ მადლი ყოველთა სიყუარულისა ჩემისა, არამედ მე კაცი ვარ ცოდვილი და უკუეთუ მართალნი [3] ძლით ცხოვნდენ [4], მე რაოდენ [5] უფროჲსი მიჯმს, რათა არა [6] განვარდე სასუფეველისაგან, რამეთუ მამაჲ ჩუენი და წინამძღუარი მოღუაწეთაჲ დიდი ანტონი, გასმიეს განაღა მრავალ გზის, თუ ვითარსა მოღუაწებასა დასძინებდა მოღუაწებათა ზედა და ყოვლად არა მოაკლო სიბერესა შინა თჳსსა შრომაჲ, რომელსა ჭეშმარიტად მოეღო გულ-სავსებაჲ დამკჳდრებად ანგელოზთა თანა. კუალად დიდი მაკარი, რომელმან-იგი ყოველი ცხორებაჲ თჳსი მოღუაწებასა შინა აღასრულა. იხილეთ, ვითარ-ღა მოშიშ იყო [7]: რაჟამს-იგი განვიდა ჴორცთაგან, ბოროტნი იგი ჰაერის მცველნი ეტყოდეს, ვითარმედ: მაკარი, განხუედ და განგუერი. ხოლო სამ გზის სანატრელმან მან [8] სიმდაბლე ჴორციელი სულითაცა [9] დაიცვა [10], ვიდრემდის არა შეიწყნარა იგი ნათელმან ღმრთეებისამან, არა ჰრქუა მდევართა მათ თჳსთა, თუ „განვერი ჴელთაგან თქუენთა“ და ყოველნი წმიდანი მამანი დიდითა ღუაწლითა განერნეს [11] ეშმაკისა მზაკუარებათაგან. ხოლო მე ცოდვილსა ამას, რაოდენ უმეტესი [12] მიჯმს ღუაწლი, რათა არა მივეცე სასჯელსა მას ულხინებელსა და დაუსრულებელსა, რამეთუ წერილ არს: რომელსაცა ვინ ზედა იპოვოს, მასცა ზედა განიკითხოს. აწ უკუე ლოცვა ყავთ ჩემთჳს, ძმანო, რათა მომცეს ღმერთმან მოთმინებაჲ და ძალი და რაჲთა იყოს

ⴂ. [1] ცემდა B′.

ⴃ. [1] ყოველნი]+იგი C. [2] ცემდა E. [3] მართალი C. [4] ცხონდებიან C. [5] რაოდენი E. [6] არა]+გარე D. [7] იყო]+რომელი-იგი ქუეყანასა ზედა განღთობილ იყო C. [8] მან]—E. [9] სულითა E. [10] დაიცვა]+და C. [11] განერეს C. [12] უმეტეს C.

Ⴗ

მაშინ ყოველთა ერთობით გამოარჩიეს ყოვლად ქებული ევაგრე. ხოლო მან მოუწოდა და ჰრქუა: შვილო ჩემო, უფალი ჩუენი იტყჳს: «რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყოს ყოველთა მონაჲ»*; და აწ ჯერ-არს შენდა, რაჲთა დიდებისა მომატყუებელი[1] სიმდაბლე მიიღო. ხოლო წმიდაჲ ევაგრე მშჳდ იყო და მდაბალ გულითა და არა თავს-იდებდა მთავრობასა ძმათასა და გონებისა უძლურებასა წინა-დაუდებდა და ეტყოდა: ვერ ვაგებ მსახურებასა ძმათასა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ მე დამემორჩილო, მრავალი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან[2] და დიდებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდრო, და უკუეთუ ურჩ მექმნე, ურჩთა თანა დაისაჯო.

Ⴂ

მღჳმე ესე დასაფლველლცა უბადრუკთა ამათ ჴორცთა ჩემთა. ხოლო თქუენ გამოირჩიეთ თქუენ ზედა წინამძღუარი, რომელი შემძლებელ იყოს[1] განგებად სულთა თქუენთა ცხოვრებისა. ჰრქუეს მას ყოველთა: მამაო წმიდაო, ჩუენ შენ მიერ შემოკრებულ[2] ვართ უდაბნოსა ამას[3] შინა, მინდობილნი წმიდათა ლოცვათა შენთა და სულიერთა სწავლათანი[4] ვმოქალაქობდით და მოველოდით შენ მიერ ცხოვნებასა[5] სულთა ჩუენთასა. ხოლო აწ, ოდეს ვერ შეუძლებთ ნებისა შენისა განკუეთად, შენვე იხილე, რომელი იყოს და შემძლებელ განგებად ჩუენდა და ცხოვრებად სულთა ჩუენთა. ჰრქუა ნეტარმან შიო ევაგრის, რათა მიითუალნეს ძმანი იგი და უძღოდის[6] მათ, ვითარცა იგი უხილავს მისგან ყოველსა მას გზასა.

ხოლო წმიდაჲ ევაგრი, ვინაჲთგან მშჳდ[7] იყო და მდაბალ[8] გულითა, არა თავს-იდებდა მთავრად და წინამძღურად ძმათა ზედა დადგინებასა და უძლურებასა გონებისასა წინა-დაუდებდა ესრეთ მეტყუელი: ვერ შემძლებელ ვარ ჯერისაებრ სრულ ქმნად მსახურებასა ძმათასა, ვინაჲცა ნუ მაიძულებ[9] მე ჴელ-ყოფად საქმესა ამას უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რამეთუ კაცი უმეცარი ვარ და უძლური ტჳრთვად ესეოდენთა[10] მონაზონთა ჯეროვანსა მოურნეობასა. ხოლო ნეტარმან შიო მიუგო მას: უკუეთუ მორჩილ იგუექმნა, ფრიადი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და ნეტარებაჲ მორჩილთაჲ დაიმკჳდრო დიდებასა მას შინა[11] უხილავსა, ხოლო უკუეთუ ურჩებაჲ შეიმოსო, ურჩებისა პატიჟსა ზღვეულ იქმნე მიცემად; ინებე[12] უკუე შენცა მსახურებაჲ ძმათაჲ, რომელი მოგატყუებს[13] დიდებასა, ვითარცა იტყჳს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე: «რომელსა უნდეს

Ⴗ. [1] მომატყუცბელი BB'. [2] ღმრთისა მიერ B'. * მარკ. 10,44.

Ⴂ. [1] იყო D. [2] შეკრებულ D. [3] მას D. [4] სწავლათანი]+კეთილად E. [5] ცხორებასა C. [6] უძღოდეს CD. [7] მშჳდი CDE. [8] მდაბალი CD. [9] მაბრალებთ D. [10] ესოდენთა C. [11] შინა]—E. [12] ინებ C. [13] მოატყუებს C.

Ⴂ	Ⴃ
	თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მონაჲ და მსახურ*. და აწ ჟერ-არს შენდა, რათა დიდების მომატყუებელი სიმდაბლე მიიღო[1].
ხოლო მან თაყუანის-სცა და ჰრქუა: რაჲცა მიბრძანო, ვყო, მამაო პატიოსანო. და წარემართა მსახურებასა ძმათასა.	მაშინღა ძნიად სადმე[2] ირწმუნა სიტყუაჲ ბერისაჲ და თაყუანის-მცემელმან მისმან: პატიოსანო მამაო,—თქუა,—რომელიცა რაჲვე მიბრძანო, მორჩილებით მივითუალო და ვინებო აღსრულებაჲ მისი, ლოცვათა შენთა წმიდათა მინდობითა. ამისა შემდგომად ევაგრი, მოშიშმან[3] ურჩებისა პატიჟთამან, მიიღო კურთხი წინამძღურობისაჲ ჴელთაგან შიოჲსთა. ხოლო ნეტარმან შიო მრავლითა სწავლითა განამტკიცა იგი და შევედრნა ძმანი იგი. ევედრნეს უკუე ყოველნი ძმანი ნეტარსა შიოს, რათა მისცნეს მათ სწავლანი მის მიერნი, რათა აღმოიკითხვიდენ იგინი[4] დღეთა შინა კჳრიაკეთა და სურვილსა წმიდისა მის პირისა მისისასა აღმოივსებდენ.
	16. ხოლო აღუწერა მათ ნეტარმან შიო ას სამოცი თავი[5] სწავლაჲ ყოვლად[6] შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის და ირწყუებოდეს ვითარცა ნერგნი ღმრთივ სულიერნი წყაროთა სამოთხისათა და აღორძნდებოდეს[7] ნაყოფითა კეთილთა საქმეთაჲთა[8]. აღიპყრნა[9] ღმრთისა მიმართ ჴელნი თჳსნი ნეტარმან შიო და შეჰვედრნა ყოველნი იგი ძმანი ღმერთსა და მერმე ამბორს-უყო თითოეულსა მათსა და დაჯდა მლჳმისა მის პირსა ზედა და ეტყოდა ესრეთ: შვილნო ჩემნო საყუარელნო და ძმანო ჩემნო სულიერნო და უფროჲსლა უფალნო ჩემნო, კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელმან შეგკრიბნა თქუენ უდაბნოსა ამას მაქებელად წმიდისა სახელისა მისისა. აწ ისმინეთ ჩემი, შვილნო, მოხუცებულისა ამის მამისა თქუენისა. უწყით განაღა, რამეთუ არა იძულებითა ვისითა[10] შემოხუედით

Ⴃ [1] მოიღო D. [2] სადამე D. [3] მოშიშმა D. [4] იგინი]—E. [5] თავი]—E. [6] ფრიად C. [7] აღორძინდებოდეს DE. [8] საქმეთათა CD. [9] აღიპყრნა]+უკუე C. [10] ვისითამე C. * მარკ. 10,44.

Ⴂ

Ⴂ

წესსა ამას შინა, არამედ ნებსით; და სიყუარულისათჳს ღმრთისა იჯმენით[1] აღმთქუმელთა წინაშე მისსა და ყოველთა ანგელოზთა მისთა უარ-ყოფად სოფლისა და საქმეთა მისთაგან და მოქალაქობად სიწმიდით და მორჩილებად წმიდისა სახარებისა მისისა[2] ყოვლითა გულითა შეუორგულებელად და აღებად ჯუარი მისი მჴართა თქუენთა ზედა და მოძულებად მამაჲ და დედაჲ და[3] ცოლი და შვილნი და[3] ძმანი და დანი და თჳთ სულიცა თქუენი და ეგრეთ შედგომად მისდა.

ეკრძალენით, ძმანო ჩემნო, მტერსა[4] მას ბოროტსა, რომელსა ჰნებავს მარადის წარწყმედაჲ ჩუენი, ნუ სადა მიერჩდეთ[5] სულთა მკლველსა მას გუელსა და უარ-ჰყოთ აღთქუმაჲ ეგე[6] თქუენი, რამეთუ დღე და ღამე მღჳძარე არს მტერი ჩუენი, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ და დიდებული თავი მოციქულთაჲ პეტრე, ვითარმედ: «განიფრთხუეთ და მღჳძარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოვალს[7] და ეძიებს, ვინმცა შთანთქა[8]. არამედ წინა-აღუდეგით მტკიცენი[9] სარწმუნოებითა, უწყოდეთ, იგივე ვნებათა მათ[10] მიზეზად ამას სოფელსა შინა, ძმობასა მას თქუენსა კეთილად და სათნოდ[11] აღასრულებდით»*.

ძმანო ჩემნო, მტკიცედ დეგით, რომელსა ზედა იჩინენით, რამეთუ უმჯობეს იყო ყოვლად არა შესლვაჲ მონაზონებად, უკუეთუ არა დავიცვნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან ცოდვისა, რომელი იქმნების ჴორცთაგან და რომელი იქმნების გარეშე[12] ჴორცთასა; ისმინეთ წმიდისა სახარებისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: სიტყუათათჳსცა უქმთა სიტყუაჲ მისცეთო დღესა მას**. ეჰა, ვითარ ზარის[13]-საჴდელ არს ბრძანებაჲ ესე მეუფისაჲ, რამეთუ არა წინასწარმეტყუელისა არს, არცა მოციქულისა, არცა ანგელოზისა, არამედ თჳთ მის

Ⴂ [1] იუნჯენით D. [2] მისსა C. [3] და]—C. [4] მტერსა]—C. [5] მერჩდეთ C. [6] ეგე]—E. [7] მიმოვალ C. [8] შთანთქას DE. [9] მტკიცენი]—C. [10] მათ]—C. [11] კეთილად და სათნოდ]—CD. [12] გარე C. [13] ზარი C. * I პეტრე 5,8-9. ** მათე 12,36.

Ⴂ

Ⴃ

უფლისა მსაჯულისა ცხოველთა და მკუდართასა, რამეთუ თჳთ მან თქუა[1] ესე: რომელსა ეგულვების განსჯაჲ საქმეთა ჩუენთაჲ, ვევედრნეთ თუალ-უხუავსა მას მსაჯულსა, რათა არა სიტყუათა ჩუენთაგან დასჯილად გამოვჩნდეთ წინაშე მისსა, ვითარცა-იგი კუალად წერილ არს, ვითარმედ: «სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო»*.

უწყოდეთ საყუარელნო, რამეთუ სიკუდილი ახლოს არს, ახლოს და კართა ზედა, და ჴმობს მეუფე: იღჳძებდით, რამეთუ არა იცით, ოდეს მოვიდეს მპარავი, ნუ უკუე განჴურიტოს გუერდი სახლისა თქუენისაჲ, ოდეს არა უწყოდით, და მიგპაროს სული თქუენი და არღარა გერგებოდის[1a], იღჳძებდით უკუე[2], რამეთუ არა იცით დღე იგი არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს**.

განეკრძალენით, ძმანო, ყოველსა, რომელი მიიყვანებს სულთა წარწყმედად. იყვენით მორჩილ[3] სწავლათა შინა და მსახურებასა შინა ალუზუავებელ. და ესრეთ შერაცხენით თავნი თქუენნი, ვითარცა მკუდარნი მოძაგებულნი, რამეთუ პირველი კიბე სათნოებათა არს სიმდაბლე, რომელი-იგი აღიყვანებს ღმრთისა შემტკბობელთა[4] მისთა, რამეთუ შეიყუაროთ თუ სიმდაბლე, მსწრაფლ მოიხილოს ღმერთმან თქუენ ზედა, გესმის[5] ვითარ იტყჳს: ვის მივხედნე, გარნა მშჳდსა და მდაბალსა და რომელი ძრწოდის[6] სიტყუათაგან ჩემთა.

მოიჴსენეთ, უფალნო ჩემნო, ოდეს-იგი სოფლით გამოხჳდოდეთ[7], ვითარ აღუთქუთ ღმერთსა უნდოსაცა რასმე საჴმრისა არა მოგებად თქუენდა, არამედ რათა იყვნეთ თქუენ ზოგებით, ვითარცა წერილ არს. და იყვნეს ყოველთა სულნი და გულნი ერთ. ნუ ხართ უსასო ქრისტესგან და ნუ ესავთ სი-

---

Ⴃ [1] თმქუა მან CE. [1a] გერგებოდეს CDE [2] უკუე]—CD. [3] თმორჩილ იყვენით CE. [4] შემტკბობელთა C. [5] გესმისა C. [6] ძრწოდეს CD. [7] გამოხუედით E. * მათე 12,37. ** შდრ. ლუკა 12,39-40.

Ⴀ

Ⴂ

მდიდრესა და მოგებასა და[1] საჴმართა[2], რამეთუ ესე არს დედაჲ ყოველთა ბოროტთაჲ და ესრეთ განჴრწნნეს გონებანი უმანკოთანი, ბოროტმან ამან ძჳრმან, რამეთუ იწყის პირველად მცირით რაჲთმე და უნდოჲთ საჴმრით და თქჳს: ესე არარაჲ არს; და კუალად სხუაჲ რაჲმე მოიგის და თქჳს: ესე არა სიმდიდრე არს, არამედ ჴორცთათჳს საჭიროჲ; და კუალად განვაჭრის რაჲმე და თქჳს: ვერ ეგების კაცი, თუმცა ცხოვნდა თჳნიერ ამისსა და სხუათა ჴელსა მიხედვიდა, არამედ უფროჲსღა უმჯობეს არს, რათა მოვიგო[3] ჩემთჳსცა და ვიღუწიდე გლახაკთაცა; და კუალად მიასესხის ვისმე და ჰნებავნ უფროჲსი და თქჳს: არა ვისგან მიმიხუეჭიეს, ჩემი არს უბრალოჲ და არა ჰრქჳან ამას ალნადგინები; და კუალად თქჳს: მივსცე ვისმე ესე, რათა ამიერ ვიზრდებოდიცა[4] და უკუანაჲსკნელ ჩემთჳს წარაგონ სხუათა.

ჵ უბადრუკებასა[5] ბოროტსა, რამეთუ მრავალ გზის არცა თუ ერთი დანგი ვინმე[6] წარაგის მისთჳს და ესრეთ მცირედ ანგაჰრებაჲ და ყოველთა უძჳრესი კერპთ მსახურებაჲ, ვითარ არა უწყინ, ეგრეთ აღასრულის. განეშორენით, ძმანო, სულთა დამაქცეველსა ამას სენსა, რომელი მოიგო იუდა და იხილეთ, თუ[7] ვითარსა ფსკერსა ჯოჯოხეთისასა მისცა თავი თჳსი. ნუმცა იპოვებიან თქუენ შორის კრებანი, ვაჭარნი და ვაჭრობანი. უფროჲსღა ილუაწეთ, რათა მოივაჭროთ სასუფეველი ცათაჲ, რამეთუ რაჲ შეიძინოს კაცმან, უკუეთუ ყოველი სოფელი მისი იყოს, ანუ რაჲ გჳძლავს განღებად სოფლით თჳნიერ კეთილთა საქმეთა, რომელთა სასყიდელი მუნ მოვიღოთ? შეიყუარეთ უპოვარებაჲ, რომელიიგი მიმაახლე*ბელ არს ღმრთისა. აჰა ესერა გუესმის წმიდათა მამათა ცხოვრებაჲ, რამე-

Ⴂ [1] და]—E. [2] საჴმართასა CD. [3] მოიგოთ D. [4] ვიზრდებოდეცა CD. [5] უბადრუკსა C. [6] ვინმე]—E. [7] თუ]—E.

* აქედან 136-ე გვერდის მე-13 სტიქონამდის E-ს აკლია.

Ⴂ

Ⴃ

თუ ამით მოიგეს ღმერთი და ესრეთ თუ იყვნეთ, თქუენცა მოგეახლოს ღმერთი; უკუეთუ მისდა ოდენ დასდვათ [1] სასოებაჲ, ლოცვანი თქუენნი, ვითარცა საკუმეველნი სულნელნი, მსწრაფლ შევიდენ წინაშე მისსა, რამეთუ იტყჳს: ამან გლახაკმან ჴმა-ყო, უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან იჴსნა იგი. ესე განმამდიდრებელი სიგლახაკე შეიყუარეთ, რათა ამის მიერ მოიგოთ [2] გული შემუსრვილი და სული მდაბალი, რომელი არა შეურაცხ-ყოს უფალმან.

ევლტოდეთ, ძმანო ჩემნო, სოფლისა ამის გულის-თქუმისა ჴრწნილებასა, განისწავლენით სამოციქულოთა სიტყუათა მიერ, ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებაჲ და სათნოებასა შინა მეცნიერებაჲ და მეცნიერებასა შინა მარხვაჲ და მარხვასა შინა მოთმინებაჲ და მოთმინებასა შინა ღმრთის მსახურებაჲ და ღმრთის მსახურებასა შინა ძმათ-მოყუარებაჲ და ძმათ-მოყუარებასა შინა სიყუარული. ხოლო უკუეთუ სიყუარული გაქუნდეს, გაქუს თქუენ შორის დამკჳდრებულად ღმერთი. ამათ მცნებათა შინა იწურთიდით [3] კაცად-კაცადი თქუენი და სახე კეთილი იყვენით ურთიერთას; ურთიერთას კეთილისა [4] მსწავლელ, ნუ ბოროტსა და მთრვალობასა სულთა წარმწყმედელსა, რომლითა იქმნების ბილწებაჲ, ნუ სცემთ ადგილსა [5] შემოსლვად თქუენ შორის ეშმაკსა. ნუ იქმნებიან თქუენ შორის ლალვანი [6], ნუმცა დაგისწრობნ [7] მზე შთასლვასა განრისხებულთა. ნუ ხართ მდრტჳნავ, ურჩ და მაცილობელ და წინააღმდგომ უხუცესთა მიერ. ნუ გიყუარნ [8] განსლვაჲ სოფლად, რომლისაგან იჳმენით. ნუმცა არს თქუენ შორის შური და ჴდომაჲ. მოშურნე და მობაძავ კეთილთა იყვენით და აღმაშენებელ ურთიერთას. რაჲ იგი გისწავიეს ქრისტესგან, მას ჰყოფდით და

Ⴃ [1] დადვათ D. [2] მოვიგოთ C. [3] იწურთიდენ C, იწურთიდი [D. [4] კეთილის D. [5] ადგილ C. [6] ლალვანი]+და C. [7] გისწრობნ C. [8] გიყუარან D.

Ⴂ

Ⴃ

მას ასწავებდით ურთიერთას, რათა ძე ღმრთისა და შვილ სასუფეველისა გეწოდებოდის[1]. მოიძულეთ[2] ყოველი შუებაჲ მსოფლიოჲ და შეიყუარენით მცნებანი ქრისტესნი, ვითარცა წმიდათა მამათა და მოძღუართა ჩუენთა შეიყუარნეს და დაიცვნეს, და დაიმკჳდრეს[3] სასუფეველი, რამეთუ რაოდენ ქუეყნიერთაგან განეყენნეთ, ეგოდენისა წილ მოიგნეთ სულიერნი. ხოლო უკუეთუ ქუეყანისასა ჰზრახვიდეთ და იქმოდეთ, მიერითგან განგეშოროს თქუენგან ზეცისა იგი, რამეთუ ვითარცა წერილ არს, სიყუარული სოფლისაჲ მტერობა არს ღმრთისა*. იტჳრთენით საწერტელნი იგი უფლისა იესუჲსნი ჴორცთა შინა თქუენთა, ვითარცა ჴმობს პავლე: მოითმენდით ყოველსა სიყუარულისათჳს ქრისტესისა, რამეთუ მან სიყუარულისათჳს ჩუენისა თავს იდვა გინებაჲ[4] და ყუედრებაჲ, პირსა ცემაჲ, ბასრობაჲ, ძმარი და ნავღელი, ჯუარითა დასჯაჲ და სიკუდილი. ესე ყოველი და უმრავლესი მოითმინა ჩუენთჳს, რათა ჩუენ გუაცხოვნნეს. ჩუენცა მოვითმინოთ, ძმანო, სახელისა მისისათჳს სიგლახაკე, სიშიშულე, წყურვილი, ბასრობაჲ, კიცხევაჲ, გინებაჲ და ყუედრებაჲ, რათა უკუანაჲსკნელ, ვითარცა მან თავადმან აღმითქუა ჩუენ, მოვიღოთ ნეტარებაჲ იგი და გჳხაროდის სასუფეველსა ცათასა.

ნუ დაჰბრკოლდებით ძმანო, რაჟამს ღმრთისა მიერ განისწავლებოდით. ისმინეთ წერილისა, მხილებათა მიერ უსჯულოებისათჳს განსწავლე კაცი. კუალად ძმაჲ უფლისაჲ იაკობ იტყჳს: უკუეთუ განვიცდებოდით, თჳსთაგან გულის-თქუმათა განვიცდებით[5a],**რამეთუ[5] უფლისა მიერ განვისწავლებოდით, გინა თუ განვიცდებოდით[5b]. ყოველსა შინა სიფრთხილე[6] გჳჴმს ფრიადი, რათა ლოცვასა მივსცნეთ[7] თავნი და არა დრტჳნვასა ურგებსა,***

* 134-ე გვერდის 36-ე სტრიქონიდან აქამდის აკლია E-ს. ** იაკობ 1,14. *** აქიდან E-ს კვლავ აკლია ბოლომდის.

Ⴃ [1] გეწოდებოდეს CD. [2] მოიძულვე C. [3] დაამკჳდრნეს D. [4] ვნებაჲ D. [5] რამეთუ] + გინა თუ CD ენათა E. [5a] განიცდებით CDE. [5b] განვიცდებოდეთCD. [6] სიფიცხლე CD. [7] მისცნვთ E.

Ⴗ.

Ⴂ.

და უფროჲსლა განსაცდელთა ადგილის-მცემელსა. ილოცვიდით, ძმანო, მოუწყინებელად, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა. ნუ ითხოვთ ლოცვასა შინა, რაჲ-იგი თქუენ გთნავს, არამედ მას ითხოვდით, რაჲ-იგი უფალსა ჰნებავს, რამეთუ მას დაბადებულთა მისთათჳს კეთილი ჰნებავს.

უეჭუელად უწყოდეთ, ძმანო, რამეთუ აღთქუმანი ჩუენნი აღწერნეს წმიდათა ანგელოზთა და მიიხუნეს წინაშე ქრისტესსა და დამარხულ არიან აღწერილნი დღედმდე მოსლვისა მისისა. და კუალად ანგელოზნი მცველნი ჩუენნი წერენ ცხოვრებასა ჩუენსა და იგიცა დამარხულ არს დღედმდე მოსლვისა[1] მისისა[2] და მბრძოლი იგი კაცთა ნათესავისა, წინა-მოსაჯული იგი ჩუენი ყოველსა რაოდენსა გუაცთუნებს და გარდაგუდრეკს გზისაგან საღმრთოთაჲსა[3], წერს იგიცა და დაჰმარხავს[4] იგიცა თჳსსა მას ჟამადმდე გამოძიებისა უფლისა. აწ უკუე შევიშინოთ, ძმანო, სამთა ამათ ჴელით წერილთაგან, რამეთუ მაშინ სამართალი ოდენ იქმნას და არა წყალობაჲცა, ჟამი წყალობისაჲ დღეს არს, ხოლო მაშინ ჟამი მშჳდობისაჲ. მაშინ არცა ქრთამი არს, არცა სიტყჳს მიცემაჲ, არცა შეწირულ იქმნნენ ცრემლნი, არცა დრო მოგუეცეს, არამედ წარვდგეთ შიშუელნი და თავ-დადრეკილნი ყოველნი ერთბამად და განეხუნენ წიგნნი თითოეულისა საქმეთანი და მიეჴადებოდის[5] თითოეულსა თჳსი ვალი და თჳსი აღთქუმაჲ და თჳსნი საქმენი. და გამოვიდეს საშინელი იგი ჴმაჲ, მიმწოდებელი მართალთა სასუფეველად, ხოლო წარმდევნელი ცოდვილთაჲ ცეცხლად უშრეტად. ჵ ჩემდა, ძმანო, ვითარ ვძრწი დღისა მისგან, უკუეთუ ვიპოვო მარცხენით და მესმეს ჴმაჲ წარმგზავნელი ჩემი სატანჯველად საუკუნოდ. რაჲღა-მე ვყო უბადრუკმან მა-

---

Ⴂ [1] გამოჩინებისა C. [2] უფლისა C. [3] საღმრთოჲსა C. [4] დამარხავს D, ჰმარხავს C. [5] მიეჴდებოდის D.

Ⴗ

15 (17) ხოლო წმიდაჲ შიო, მკჳდრი უდაბნოჲსაჲ და ყუავილი შუენიერი,[1] ნერგი უკუდავებისაჲ, გამომღებელი ნაყოფსა[2] კეთილსა გულითა მჴურვალითა მოლოდებისათჳს სასუფეველისა და განსუე-

Ⴂ

შინ, რამეთუ არღარა არს დასასრული სასჯელისაჲ მის, არღარა არს ლხინებაჲ, არღა გარე მოიქცეს საუკუნოჲ იგი, არღა კუალად განჴორციელდეს ქრისტე, არღა იქმნეს სხუაჲ ცვალებაჲ ერთ გზის განბრჭობილისა[1] მის, რამეთუ ვითარცა ღმერთი უცვალებელ არს, ეგრეთვე განჩინებაჲ და განბჭობაჲ ჟამისა მის არღარა შეიცვალოს არცა მართალთა ზედა და არცა ცოდვილთა ზედა.

შევიშინოთ შვილნო, რათა, რომელიიგი ნებსით აღუთქჳთ, უნებლიეთ არა მოგუეჴადოს მისთჳს სიტყუაჲ. ვიღუაწოთ მცირედ ჟამ და დაუსრულებელსა მას საუკუნესა მოვიღოთ წმიდათათჳს განმზადებული იგი სასუფეველი და შუებაჲ იგი წარუვალი და კეთილნი იგი სამოთხისანი, ვითარცა ჰმობს მოციქული: რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუჴდა.* ნუ საჭირველ გჩნს მცირედ ჟამისა ესე ნაკლულევანებაჲ ჴორცთაჲ, რამეთუ ასი წილი განმზადებულ არს თქუენთჳს, რომელთა ეგე იღუაწეთ.

ესევითარად ეზრახა მათ მყოვარ ჟამ და ნუგეშინის-სცა მათ და სწავლითა განამტკიცნა ყოველნი იგი ძმანი. მიერითგან მოსწრაფებით და ყოვლითურთ კეთილად მსახურებასა ჰყოფდა ძმათასა ევაგრე და სიმარჯუთ უძღოდა მათ და განაკრძალებდა ყოველთავე მიმართ სივერაგეთა და მანქანებათა ეშმაკისათა, ვინაჲცა კეთილად სათნოეყო უფალსა ჭეროვნად მართებითა და წინა-ძღომითა პირ-მეტყუელთა სამწყსოთაჲთა.

17. ხოლო წმიდაჲ და სანატრელი შიო შთაჴდა მღჳმესა მას ბნელსა შინა ქუე სიღრმეთა მიწისათა, რათა სიმპალესა ჴორცთასა მიცემითა აღმოაჯეჯლოს[2] ჴუვილი წმიდაჲ და რამეთუ იფქლიცა ესრეთვე მიწად შთათესული და სიმპალესა მიმთხუეული გა-

Ⴗ [1] შუშნიერი BB'. [2] ნაყოფს B.

Ⴂ [1] განბჭობილისა C. [2] აღმოაჯეჯილოს D. * I კორინთ. 2,9.

Ⴂ

ნებისათჳს[1] საუკუნოჲსა და ცხორებისათჳს სამარადისოჲსა[2] შთაჴდა მღჳმესა მას შინა.

ჵ ნეტარო და ყოვლად სანეტარო[3], ყოვლად მადლით მოჴსენებული, ვითარ ვაქებდე[4] სიმჴნეთა შენთა და სიბრძნეთა, რომელი ენაჲ იტყოდის, რამეთუ უფროჲს[5] ყოველთა ბრძენთა უბრძნეს იქმენ[6]. რამეთუ ნათლისა მის დაუსრულებელისათჳს წუთ ჟამისა ესე[7] სიბნელე მოითმინე და განქარვებადისა წილ საწუთროჲსა[8] და განსუენებისა[9] საუკუნოჲ დიდებაჲ და განსუენებაჲ[10] მიიღე, რამეთუ დანიელ უნებლიაჲთ[11] შთააგდეს მღჳმესა მას შინა ლომთასა და ღმრთისაგან სამარადისოჲ პატივი მიიღო. ხოლო შენ[12] ნეფსით თჳსით შთაჰჴედ[13] მღჳმესა ბნელსა ბრძოლად უხილავისა მის მტერისა[14], რომელიცა დაეც და შეჰმუსრე[15] ქუეშე[16] ფერჴთა შენთა და მეორითა მით ნათლისღებისა სახითა იატაკსა მას ჰპკურებდი, რაჲთა ქუეყანასა მას[17] მშჳდთასა იხარებდე.

Ⴃ

მოიღებს ნაყოფსა კეთილსა არა შეშთობილი[1] ეკალთაგან, არამედ ღრმად შთამტევებელი ძირთა, ვინაჲ და წმიდაჲცა ესე მიმცემელი მიწად თავისა თჳსისა აღიხილვიდა ზენა მთათა მიმართ თუალთა გონებისათა და მოელოდა შეწევნასა ცუართა საკურნებელთა სულისათა, რომელთა მიერ განაპოხნეს[2] იგინი ღმრთისა ზედმოხილვისა წჳმათა მიერ მორწყულთა[3].

ხოლო ვინაჲთგან შთაჴდა მღჳმესა მას შინა, ვითარ შეუძლოს კაცობრივმან ენამან ჯეროვნად წარმოთქუმა სიმჴნეთა და მოთმინებათა ნეტარისა მამისათა, ანუ რომელნი ღუაწლნი პირველად და რომელნი უკუანაჲსკნელად დააწესნეს, რამეთუ მარხვა იყო მისა სამარადისო და ლოცვა მუჴლთ მოდრეკისა[4] თანა დაუყენებელი; დავრდომილი მიწად დაალტობდის იატაკსა ცრემლთა მიერ, რომელნი შთამოდიოდეს თუალთაგან მისთა, ვითარ წყარონი დაუწყუედელნი ცრემლთა ჩემთასა: ნუ დაიდუმებ,—მეტყუელებდის,—რამეთუ მსხემ ვარ მე შენ წინაშე და მომიტევე, რათა განვისუენო პირველ წარსლვისა ჩემისა. ხოლო აღდგომილსა ზე ეპყრნიან თუალნი გონებისანი გრძნობადთა ჴელთა თანა მვედრებელსა: წარემართე[ნ],—იტყოდის,—ლოცვაჲ ჩემი ვითარცა საკ(უ)მეველი, შენ წინაშე. ხოლო აღპყრობანი ჴელთა ჩემთანი, ვითარცა მსხუერპლი სამწუხროჲ. და კუალად მცირედ განსუენებაჲ რაჲ მისცის სხეულსა, თჳსაგან მდუმრიად იტყოდის: დავიდევ მე ნებსით მღჳმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა, ვინაჲ, მოწყალე, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუ სადა ვემსგავსო შთამავალთა მღჳმედ ჯოჯოხეთისა, არამედ აღმოიყვანე საპყრობილისაგან ბოროტთასა სული ჩემი აღსაარებად სახელისა შენისა, რამეთუ[5] თმენით და-

Ⴂ 1 განსუწნებისათჳს BB'. 2 სამარადისოსა B'. 3 სანატრეო B'. 4 ვაქებდეთ B'. 5 უფროს B'. 6 იქმენ B. 7 ჟამისა ესე] ჟამი სავსე B'. 8 საწუთოჲსა B'. 9 განსუწნებისა BB'. 10 განსუწნებაჲ BB'. 11 უნებლიაათ B'. 12 შენ]—B'. 13 შთაჰჴედ]+შენ B'. 14 მტერისაჲ B'. 15 და შეჰმუსრე]—B. 16 ქუწშე BB'. 17 მას]—B'.

Ⴃ 1 შეშფოთებული C. 2 განაპოხნეს C. 3 მორწყული D. 4 დრეკისა C. 5 რამეთუ]+ [illegible]

Ⴁ

ესე წმიდაჲ შიო ესრეთ იყოფებოდა, ჴორცითა იტანჯებოდა, ხოლო სულითა განათლდებოდა. ამისთჳსცა ბნელსა მას შინა მღჳმესა [1] ვითარცა ნათელსა და განსუენებასა [2] შინა იშუებდა[3] *.

Ⴂ

გითმო შენ, ვიდრემდის მომხედნე და ისმინო ლოცვისა ჩემისა და აღმიყვანო მღჳმისაგან გლახაკობისა ჴორცთაჲსა და თიკისაგან უყისა ბრალთაჲსა. ამისა [1] შემდგომად საზრდელისა მიმღებელი, რომელი მიეცემოდა მას ზენა კერძო შთატევებული ერთისა ბერისა მიერ და ესეცა მცირედ რაოდენ დაცვად შემტკიცებასა სხეულისასა აღდგომილი კუალად ჩუეულებისათა მქონებელი [2] იტყჳს მეტყუელი: არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა და განსუენებაჲ ჴორცთა, ვიდრემდის ვპოვო ადგილი უფლისაჲ და საყოფელი ღმრთისა იაკობისი.

ამათ და ესევითართა ქების მეტყუელებათა და ვედრებათა შემწირველი მარადის უფლისა მიმართ დადგრომილ იყო ლაკუასა[3] მას შინა ყოვლითურთ წყუდიადსა, რამეთუ სასოებდა ნათელსა მას დაუსრულებელსა და საუკუნესა მიმთხუევად მცირისა ამის და წუთ ჟამიერისა ბნელისა მოთმენითა და ესევითართა ლმობიერითა სულითა მეტყუელებდის: შენ განანათლე სანთელი ჩემი, უფალო, და განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემისაჲ, ღმერთო, რამეთუ ბნელი ესე ხილული შენგან არა დაბნელდეს, ნათელო თუალთ შეუდგამო; ხოლო ღამე ვითარცა დღე განათლდეს, ვინაჲ ნუ უგულებელს-მყოფ მე ნებსით ყოველთა ამათ მომთმენელსა სიყუარულისათჳს შენისა.

ესრეთ ჟამთა მრავალთა მოთმინე იყო რაჲ მღჳმესა მას შინა მღუწელი ღუაწლსა მოღუაწეთასა, განიკაფა ყოვლითურთ სხეული მისი შრომათა მიერ და ჭირთა, რამეთუ შეილება იგი ფერსა სიშავისასა მიმღებელი ნოტიობისა და ძნელ-სულობისა გესლითა სხუად ვინამე და უცხოდ ფერად შეცვალებული და სრულიად განლეული და დამჭნარი ჴორცითა

Ⴁ [1] მღჳმესაჲ B'. [2] განსუϹნებასა BB'. [3] იშუϹბდა BB'.

Ⴂ [1] ამათსა C. [2] მქონებელ C. [3] ლაკკუასა C.

* აქ შემდეგ იოანე ზედაზნელზეა საუბარი, რაც, მეტაფრასის მიდევნების გამო, გადატანილია წინ (იხ. გვ. 62—67) და რასაც აქ მიუძღვის: „ხოლო მოძღურისა იოვანესთჳს ვიტყოდით“

Ⴁ

18 (18) ხოლო ნეტარმან ამან მამამან ჩუენმან შიო მღჳმესა მას[1] შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მრავალნი სულნი შეწირნა ქრისტესა, რამეთუ ფრიად შეკრიბნა[2] მონაზონნი და მადლითა მისითა აქამომდეცა[3] სავსე არიან ყოვლითა კეთილითა სულიერითა და ჴორციელითა, იშუებენ[4] და იხარებენ სულითა და ადიდებენ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ[5].

Ⴂ

ტყავისა მიერ და ძუალთა დაიცვიდა ხატებასა, ვინაჲ[1] არა სათქუმელ იყო ამისა, ვითარმედ: ჴორცნი ჩემნი იცვალნეს ზეცისა მიერ, არამედ უფროჲსღა შესატყჳს განქმობაჲ ძალისაჲ[1a], ვითარცა კეცისაჲ[2] ფრიადისა მარხვისა მიერ და აქუმაჲ ენისაჲ სასასა[3*] მრავლისა ლოცვისა და ფსალმუნებისა მიერ.

18. ხოლო მადლითა ამის წმიდისა მამისაჲთა აღორძნდა უდაბნოჲ იგი და აღსავსე იქმნა მონაზონთა მიერ სათნოებითა შემკობილთა და ვიდრე აქამომდე მერმეცა უმეტეს აღორძნდების შეწევნითა ქრისტესითა ამიერ, ვინაჲთგან სრბაჲ აღასრულა და სარწმუნოებაჲ დაიმარხა განწმედითა სულისა და ჴორცთათა, რამეთუ განებანა თავი თჳსი ნაკადულითა ცრემლთაჲთა სამარადისოდ, სიკუდილისა ჴსენებად მოვიდა და მერმეცა ჴორცთა შინა[4] მყოფი განჴსნილ იყო მათგან სრულიად დამვიწყებელი[5] ბუნებასა კაცობრივსა[6], რამეთუ ზე აქუნდეს თუალნი გონებისანი გონიერად წინაშე საყდართა სამეუფოთა მდგომარესა სულიერად.

ხოლო სთნდა მეუფესა აღწოდებაჲ მრავლად დამაშურალისა ამის მამაკაცისაჲ განსუენებათა მიმართ და სუფევათა უოხჳნოთა, ვინაჲ აუწყა მას განსლვაჲ ჴორცთაგან და დაცხრომაჲ ესეოდენთა[7] ტკივილთა და ღუაწლთაგან, რომელთა მიერ მძლე ექმნა მბრძოლსა ყოველთასა ბოროტსა სატანასა[8], რომლისათჳსცა ეგულვებოდა საძლეველთა მიღებაჲ ღუაწლისა დამდებელისა[9] ღმრთისაგან. ხოლო ვინაჲთგან ცნა სულისა წმიდისა მიერ დატევებაჲ სხეულთაჲ, ითხოვა მღ(უ)დელ-მემსხუერპლეთაგან ზიარებაჲ უკუდავთა ქრისტეს საიდუმლოთა, და მიმღებელმან პატიოსნისა ჴორცისა და სისხლისამან, ზეცად აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და: ჴელთა შენთა, — მეტყუელ-

---

Ⴁ [1] მას]—B'. [2] შეკრიბნნა B. [3] აქამომდენცა B'. [4] იშუჵბენ BB'. [5] უკუნითი უკუნისამდე, ამენ]—B.

Ⴂ [1] ვინ D. [1a] ძუალისაჲ CD. [2] კ῀ცი C. [3] სასასა]+და C. [4] შინა]—C. [5] დამავიწყებელი D. [6] კაცობრივსა]+და ჴორცთაგან და ნაწევართა შეერთეებასა C. [7] ესოდენთა C. [8] სატანას D. [9] მდებელისა C. * შდრ· ფსალმ. 21,16.

Ⴀ.

Ⴂ

მან, — ჵ მეუფეო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა შენ მიერ მიმღებელი მისი. ესრეთ აღმოუტევა სანატრელი სული თჳსი მასვე მღჳმესა შინა მამცნებელმან დატევებად სხეულსა მისსა, რათა რომელი საყოფელ და სამკჳდრებელ მისა იყო სიცოცხლესა შინა მისსა, და [1] ესე და შემდგომად სიკუდილისაცა საფლავი და სამარხოჲ სხეულთა მისთა იქმნეს. ვინაჲ წადიერებით და სურვილით წარგრაგნილი ძმათა მიერ და შებებკულითა მით რომლითა მოსილ იყო, დაიდვა ყოვლად მჴნე იგი გუამი მისი მასვე მღჳმესა შინა, ვითარცა ემცნო მათთჳს წმიდასა და სანატრელსა ამას მამასა, რომელი აქუს აწ მღჳმედ წოდებულსა მონასტერსა სიქადულად და ზღუდედ თჳსად, და უფროჲსღა ყოველსა ნათესავსა ქართველთასა უპყრიეს იგი მცველად და მაოტებელად ყოველთა წინააღმდგომთა ხილულთა და უხილავთა. და რომელნი მიიწივნენ სარწმუნოებით თაყუანის-ცემად საფლავსა და საყოფელსა მისსა, ეპოების მათ შემწე ძლიერი ჭირთა შინა და მკსნელი ურვათა და განსაცდელთაგან.

ესევითარი მოქალაქობაჲ აჩუენა საწუთოსა ამას შინა სამ გზის სანატრელმან ამან მამამან და ესეოდენნი [2] ღუაწლნი თავს-ისხნა ჴორცითა უძლურითა. სიყმილი და წყურვილი შეურაცხ-ყო, ცეცხლსა იწროებათასა არა ჰრიდა, უდაბნოსა ულონოებაჲ არად შერაცხა [3], ისარ ჩჩჳლთა იყვნეს მტერისა მიერ მოწევნულნი მის ზედა წყობანი, რომელთა მიერ მრავლად ეწყუებოდა მზისა ხილულისა ხედვაჲ ულირსად და ასაჯა თავსა თჳსსა, რათა გონიერი იგი მზე სიმართლისა იხილოს. ამისთჳსცა ცხოველი მკუდრად იხილვებოდა მღჳმესა შინა, მიწასა ცოცხლივ შთასრული, რათა პირნი ლომთა [4] გონიერთანი დაუყვნეს, ვითარ დანიელ, ხილულთა და გრძნობადთანი. იქმნა თეატრონ ანგელოზთა

Ⴂ [1] და]—C. [2] ჱსოდენნი C. [3] შეირაცხა C. [4] ლომთა]—C.

Ⴁ

Ⴂ

და ჴაცთა წყობასა შინა წინააღმდგომთა მბრძოლთასა, განაკჳრვნა უსხეულონი ძალნი, ვითარ ჴორცითა ხრწნადითა და უძლურითა, უჴორცოთა ძალთა მძლე ექმნა და სირცხჳლეულნი უკუნ აქცინა გჳრგჳნთა ძლევისათა მიმღებელმან, ვინაჲ აწ მდგომარე წინაშე თუალთ შეუდგამისა ნათლისა ევედრების სამარადისოდ მოტევებასა ცოდვათასა მთხოველი ჩუენთჳს სამებისა ერთღმრთეებისა, რამეთუ მას შუენის ყოველი დიდებაჲ აწ და ყოველთა საუკუნეთა[1] დაუსრულებელთა საუკუნოდ, ამინ.

Ⴂ [1] საუკუნე C.

Ⴀ

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა[1] მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ[2]

გუაკურთხენ, მამაო!

Ⴁ

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ

მამაო, გუაკურთხენ!

საჴსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობასა წმიდათასა აღმწერელთა გონებისა[1] სადამე[2] თუალთა განწმედილად ჯერ-იყო ქონებაჲ, ხოლო ენასა მეტყუელსა კეთილ მორთულად და შესწორებულად[3] მოთხრობისა[4] აღწერად მიცემულისასა, რათა დიდთა ქებათა და შესხმათა მიმთხუევად[5] ღირსი არა დაიკნინებოდის[6] ბიწიანად[7] მქონებელთა მიერ ბაგეთა სულისათა და რამეთუ მრავლად გჳსწავიეს წერილთა საღმრთოთაგან, ვითარმედ უწმიდესად[8] მიახლებად მნებებელნი ვიეთნიმე შორს დაიდგინებოდეს ვითარ უწმიდონი[9] მიახლებად წმიდათა[10]. ხოლო სხუათა განჴდაჲ ებრძანა ფერჴთაგან ჴამლთა და ესრეთ ტკებნაჲ[11] სიწმიდისა ადგილთაჲ, რომელი-ესე ნივთიერთაგან განჴსნასა დასახვიდა და სოფლიოთა ზრუნვათა და შფოთთა ვითარ ჴამლთა შემაიწრებელთა დატევებასა, რამეთუ მიწიერნი ესე და ნივთიერნი ზრუნვანი შემაშფოთებელ[12] ექმნებიან მიდევნებულთა მათთა და არა უტევებენ[13] სიწმიდისა კუალთა მიმართ სლვად.

ამათსა გულის მსიტყუელსა[14] მცონოდა ჴელ-ყოფად საქმესა[15] უზეშთაესსა ძალისა და გონებისა ჩემისასა პირველ თქუმულ-

---

Ⴀ [1] წმიდისა] ღირსისა B′. [2] გარეჯელისა B′.

Ⴁ [1] განგებისაჲ E. [2] სადმე CE. [3] შესწავებულად D. [4] მოთხრობასა E. [5] მიმთხუეულად E. [6] დაიკნინობოდის D. [7] აღწერად E. [8] უწმიდესთა CD. [9] უწმინდონი DE. [10] წმინდათა D. [11] ტკეპნა E. [12] შემაშთობელ C. [13] დაუტევებენ C. [14] მსიტყუელსა]+მე CD. [15] საქმისა D.

Ⴀ

Ⴁ

თა მიზეზთათჳს, ნუსადა შორს სადამე [1] დავიყენო, ვითარ უღირსი ესევითართა კადნიერებისათჳს.

გარნა მინდობილმან ლოცვათა ზოგადისა მამისა [2], სულთა მწყემსისა ონოფრესთა, რომლისა იძულებითა ჴელ-ვყავ აღწერად წინამდებარისა [3] ამის [4] მოთხრობისა, ვიწყო შეუორგულებელად დასასრულადმდე [5] სიტყჳსა ქონებაჲ აღყვანებისა შემწედ უმეცრებისა ჩემისა, ოხათა ამისთა მომწოდებელ ვარ, რომლისაგან ვითარ წყაროსა მიერ აღმოდის მადლი ზღჳსა უვრცელესთა სიტყუათა სიტკბოებისაჲ, რამეთუ ვითარ ნილოსი დაკორდებულთა და განჴმელთა მიწათა განაპოხებს, ეგრეთვე ესე გონიერად დაათრობს კეთილთა თხრობათა მიერ სულსა მსმენელთასა [6] და, თესლ საღმრთოსა სწავლისა ქმნილნი [7], გამოიღებენ ნაყოფსა სამოცეულსა და ასეულსა. ამის სათნოებათა საუნჯისა მამისა ლოცვათა მიმართ მსასოებელმან ძალისაებრ ჩემისა ვიწყო აღწერად, ვინაჲთგან ძალისაებრი ყოველივე კეთილ მისათუალველ ღმრთისაგანცა და რამეთუ მწულილნიცა ქურივისა მიერ დადებულნი ფასის საცავსა [8] მას შინა, უმეტეს ყოველთა მიერ შეწირულთასა საჯნა გულს-მოდგინებისა ძლით, მეცა ყოვლისაგანვე, რომელი მომიგიეს, ძლუნად სიტყჳერად მიუპყრა ზოგადსა მამასა და მწყემსსა ქართველთასა სანატრელსა დავითს, რომელმან ვითარ მზემან უკუნსა წყუდიადსა შინა მსხდომარე ერი ქართველთა განანათლა მოძღურებითა მიერ და სწავლათა თჳსთა და საკჳრველებათა და ნიშთა, რომელთა აღასრულებდა [9] მის მიერ მადიდებელთა მისთა მადიდებელი უფალი. ხოლო მგულვებელი მოთხრობად ღუაწლთა და შრომათა მისთა თჳთ ზედ მოფენილსა მისდა ყოვლად წმიდასა სულსა მოვხადი [10] შემწედ უძლურები-

Ⴁ. [1] სადმე C. [2] ზოგადისა მამისა]—E, +და C. [3] წინამდებარესა CD. [4] ამას C. [5] დასასრულადმი DE, დასასრულადმე C. [6] მასმენელთასა D. [7] ქმნილი D. [8] ფასისაცავსა E. [9] აღსრულებადსა D. [10] მოვხდი CD.

10. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

Ⴀ	ⴂ
	სა ჩემისა. არამედ უკუეთუ ვინმე პირველ და ძუელ[1] ოდესვე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკჳრდე-ბის ესრეთ სიმარტივით აღწერაჲ სიტყუათა მაბრალობელსა ჴელ-ყოფისა ჩემისასა, რამეთუ ნუუკუე მხოლოდ საქმედ აქუნდა გონე-ბისა და ძალისა ვითარებათა[2] მოთხრობად, ვითარ მხოლოდ საღმრთოთათჳს მოცალე ქმნილსა, და არღა[3] ესწრა[4] ვიეთმე აღმწერელ-თა და მომთხრობელთა მიმართ მიწევნად ცხოვრებისა მისისა მაუწყებელი წერილი, ვითარ ჟამთა სიმრავლესა შინა მიფარვითა წიგნისათა, რომელსა შინა დაუნჯებულ იყო სიმდიდრეთა ყოველთა უპატიოსნესი ცხოვ-რებაჲ სანატრელისა ამის მამისაჲ, რომელი უკუანაჲსკნელ გამოჩინებულ იქმნა შემდგო-მად რაოდენისამე ჟამისა, სარგებელად მსმე-ნელთა[5] და საცხოვრებელად მომთხრობელ-თა[6]. ხოლო მე ვიწყებ აღწერად ძალისაებრ აღძრული სურვილითა და წადიერებითა ღირსისა ამის და ყოვლად ქებულისა მამისა მიმართ.
	გამომღებელი ვიდრემე მამული ამის ღირსისა და საკჳრველთ მოქმედისა მამისა შუამდინარე ღელისა ასურეთისა იყოფების, რომელი ზესთა ჰმატს[7] მის გარემოთა[8] ყო-ველთა კეთილ ჰაეროვნებითა და ადგილთა პოხიერთა მიმთხუევითა, რომლისაგან აღმო-ეცენნეს სიმრავლენი ღირსთა და წმიდათა-ნი, განპოხებულნი სულისა მიერ წმიდისა და ანეულ ქმნილნი საღმრთოჲსა და ღმერთ მყო-ფელისა მადლისა მიერ. ხოლო დაბაჲ და თანად მშობელნი საღმრთოჲსა ამის მშობელ-თა მადიდებელისა[9] შვილისანი უცნაურ იქმნ-ნეს ჩემ მიერ, თუ რომელთა მიერ იშვა და აღიზარდა ჴორციელად, რამეთუ არცაღა თჳთ პირველითგანვე აღმწერელსა ცხოვ-რებისა მისისასა დაეტევა[10] აღწერით ვინაობაჲ

ⴂ. [1] ძუველ C. [2] ვედრებათა D. [3] არა D. [4] ეწერა C. [5] მასმენელთა CD. [6] მიმთხუეულ-თა CD. [7] ჰმატეს C. [8] გარემოსთა E. [9] მადიდებელთა CD, დიდებულისა E. [10] დაუტევა C.

Ⴀ

ⴁ

და ვიეთგან[1] ყოფაჲ ამის წმიდისა, ვინაჲთგან მხოლოდ მოქალაქობისა და შრომათა, რომელნი ღმრთისა ძლით თავს-ისხნა, და სასწაულთა და ნიშთა[2] მხოლოდ სასწრაფო იყო მისა მითხრობად[3], ხოლო სხუანი ყოველნი ვითარ ნამეტნავნი[4] დაეტევნეს. გარნა ესრეთვე კეთილთა ძირთაგან საგონებელ არს კეთილისა ამის რტოსა აღმორჩებაჲ და[5] კეთილმან[6] ხემან კეთილიცა გამოიღის[7] ნაყოფი, ვითარ და[8] ესეცა სანატრელი ნაყოფთა თჳსთაგან საცნაურ ჰყოფდა რომლობასა[9] ძირთასა.

ხოლო ვთქუა სხუაჲცა მიზეზი მშობელთა ამისთა უცნაურობისაჲ, რამეთუ პირველნი იგი მოღუაწენი და ღმრთისა ძლით უცხოობათა[10] აღმრჩეველნი, უფროჲს ყოვლისა პატივისა, განაშორებდიან თავთა თჳსთა ყოველთავე მსოფლიოთა დიდებათაგან, რათა უნდოებისა[11] მიერ სიმაღლე დიდებისა ზეცათასა მომატყუებელი მიიღონ. ვინაჲ საეჭუელ არს ღმერთ-შემოსილი[სა]ცა ამის მამაკაცისათჳს საჩინოთა და პატიოსანთა მშობელთაგან ყოფაჲ და ამის ძლით სადამე[12], ვითარ ჰგავს, არა ენება[13] ცხად ქმნა მშობელთა თჳსთა სიმდიდრისათჳს[14] გარდამატებულისა, არამედ უფროჲსღა ჯერ-იჩინა ყოვლითურთ დაფარვაჲ საჩინოებისა მათისაჲ და არა გამოცხადებაჲ, თუ რომელნი იყვნეს და ვიეთნი, რათა ამასცა შინა სიმდაბლე აჩუენოს, მიზეზი გჳრგჳნთა და მორჩილებით სმენა სიტყჳსა საუფლოჲსა, რამეთუ დამტევებელი მამისა[15], დედისა და ძმათა და ნათესავთა მოსწრაფებით შეუდგა კუალთა უფლისათა, ამღებელი უღელსა მცნებათა მისთასა[16].

გარნა დალაცათუ ჴორციელად[17] მშობელნი და თანად სახელი მათი უცხო იქმნა ჩუენგან, არამედ სულიერი მამაჲ და უსაკუთ-

ⴁ. [1] ვიეთაგან E. [2] ნიშებთა CDE. [3] მოთხრობად D. [4] ნამეტნავი E. [5] და]+რამეთუ C. [6] კეთილმა E. [7] გამოიღოს C. [8] და]—C. [9] რომელობასა E. [10] უცხოებათა C]+და შეურაცხებათა CD. [11] უდებისა C. [12] სადმე C. [13] ინება C. [14] სიმდიდრისათჳს] სიდიდისაჲ სიმდაბლისათჳს C. [15] მამისა]+და C. [16] მისთა C. [17] ჴორციელად E.

Ⴂ

ⴂ

რესად აღმზრდელი ამისი საცნაურ არს ყოველთათჳს, საკჳრველი და ღირსი იოანე ზედაზადენელი[1], რომელმან ნაცვალად სძისა და ყრმებრივთა საზრდელთაჲსა მტკიცე და ძლიერი საზრდელი[2] წინა-უყო, ესე იგი არს საღმრთოჲნი სწავლანი და მოძღურებანი, რომელთა მიერ ზეციერნი კეთილნი მიენიჭებიან ყოველთა და დამმარხველთა მისთა სიწმიდით და ღირსებით და შეუმრღუეველად[3] ქუედამზიდველთა ამათ და მიწიერთა ნივთთაგან განყენებულთა. ესე უკუე პირველ ჴსენებული ნეტარი იოანე[4] თანა მონათესავე იყო მამულით ღირსისა დავითისი, ვითარ შუამდინარით ასურეთისაჲთ, შობასა და აღზრდასა მიმთხუეული კეთილთა მშობელთა მიერ და საღმრთოთა სწავლათა მიერ განათლებული და ზეციერითა პურითა განმტკიცებული, ესე იგი არს საუფლოთა და ღმერთ-მყოფელთა სიტყუათა მიერ სახარებისათა. ამან მონაზონებრივისა მოქალაქობისა შემტკბობელმან[5] სიყრმითგანვე აღიღო ჯუარი უფლისაჲ მჴართა ზედა და მოსწრაფებით შეუდგა კეთილსა[6] მოძღუარსა და მასწავლელსა უფალსა[7] თჳსსა.

ამის უკუე ღირსისა მიერ და ესევითარისა სულიერისა მასწავლელისა აღზრდილ იქმნა და[8] განისწავლა მსგავსთავე შინა სანატრელი მამაჲ დავით და ყოვლითურთ მიბაძვებასა მოძღურისასა მოსწრაფე იყო სახესა მონაზონებისასა მიმღებელი და ტკბილსა მას უღელსა მტჳრთველი უფლისა მცნებათაჲსა, და ყოველსავე სიმდაბლესა და მორჩილებასა მაჩუენებელი მოძღურისა მიმართ თჳსისა, ვითარ სიმაღლისა სიმდაბლისა მიერ მომვაჭრებელი წერილისაებრ, რამეთუ «ყოველმან, რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს»*, სიტყჳსაებრ მაცხოვრისა.

ⴂ. [1] ზედზადენელი CE. [2] თ საზრდელი ძლიერი C. [3] შემოურღუეველად C. [4] იოანე] იგი C. [5] შემ:მტკიცებელმან D [6] კუალსა DE. [7] უფალსა]—C. [8] და]—D. * მათე 23,12.

Ⴃ

Ⴄ

ესევითარისა მწყემსისა მიერ იზარდებოდა და განისწავლებოდა[1] კეთილითა სწავლულებითა და ყოველნივე სულისა გამომზრდელნი სათნოებანი[2] წინა-დაეგებოდეს ამას დღითი დღე მწყემსისა მიერ კეთილისა, რამეთუ ადგილთა[3] მწუანვილოვანთა მიიყვანებოდა და წყალთა ზედა განსუენებისათა გამოიზარდებოდა, სულიერითა სასუმელითა შუებული სხუათაცა თანა შედგომილთა ამის ღირსისა მამისა თანა[4], რომელნი იშუებდეს საღმრთოჲთა სიხარულითა შუებულნი, მხედველნი ძალთა და სასწაულთანი, რომელნი სანატრელისა[5] იოანეს მიერ აღესრულებოდეს და ისწავებდეს მისგან მარადის წინა-განწყობად მზაკუარებათა მიმართ და ძმაცუვათაჲ ბოროტთ-დასაბამისა ბელიარისითა[6], რომელი მოსწრაფე არს დღითი-დღე დარწყმად[7] ჩუენდა საბრჭეთა[8] და დაბრკოლებად გზათაგან ღმრთისა მიმართ მიმყვანებელთა, რამეთუ თჳთ განვრდომილი ნათლისაგან და ბნელ-ქმნილი ნაცვალად ბრწყინვალებისა ზეციერისა ჰბრძავს ხატად ღმრთისა დაბადებულთა[9] მოშურნეობით[10], რათა დაკლებულ ყვნეს იგინი ზეცათა[11] სუფევისაგან, თჳთ ნებსით თჳსით დაკლებულმან საღმრთოჲსა და ბრწყინვალისა დიდებისაგან, ვინაჲცა[12] საღმრთოჲ იოანე[13] განაზრახებდა მათ განფრთხობად სივერაგეთა მიმართ ეშმაკისათა და განუცხადებდა შურსა და სიძულილსა, რომელსა მქონებელ არს კაცთა ნათესავისა მიმართ მოშურნე იგი და[14] მტერი ჩუენი ეშმაკი. და ასწავებდა ვითარ სამოთხით საშუებელისაჲთ განჴადნა პირველნი მამანი და[14] განღმრთობისა წინა-მყოფელმან მზაკუვარებით. ამისთჳს სწავლიდა მათ მარხვისა მიერ და მღჳძარებისა და ლოცვისა სამარადისოჲსა განკრძალვად მანქანებათა მიმართ მაცთური-

Ⴄ 1 განიზარდებოდა **E.** 2 სანოვაგენი E. 3 ადგილთამდი **D**, ადგილთადმი **C.** 4 მამისა თანა E] მამისათჳს **CD.** 5 სანატრელიცა **D.** 6 ბელიერისათა **D**, ბელიერისთა **C.** 7 დარწყუმად **D.** 8 საფრჴეთა **D.** 9 დაბადებათა **C.** 10 მოშურნებით **E.** 11 ზეცისა **D.** 12 ვინა **E.** 13 იოვანე **E.** 14 და]—C.

Ⴀ

Ⴁ

სა სატანაჲსათა და დაჭნობისა მიერ ჴორცთა ამათ მბრძოლთასა ამცნებდა მათ დამჴობასა გულის-თქუმათა და გემოთასა.

ამათ შინა რაჲ იყვნეს რაოდენთამე წელთა, ინება საკჳრველმან იოანე წარსლვაჲ უცხოთა ადგილთა მიმართ, რათა განევლტოს იგი მეცნიერთა და მახლობელთა მიერსა დიდებასა, რამეთუ ყოვლით კერძო მოვიდოდის მისა ღმრთის მოყუარენი მსმენელნი საკჳრველებათა და ნიშთანი, რომელთა აღასრულებდა ნეტარი ესე მადლითა ყოვლად წმიდისა სულისაჲთა. ამისი გონებად მომლებელი არღარა დაადგრა მუნ მრავალ ჟამ, არამედ წარმოვიდა წინაძღომითა საღმრთოჲთა მოწაფეთა თჳსთა თანა და მოიწია დედა ქალაქსა მცხეთისასა და მუნ თაყუანის-მცემელნი[1] პატიოსნისა სუეტისაჲ, მიერ აღვიდა მთასა ზედა, რომელ[2] არს ჩრდილოჲთ კერძო ქალაქსა მცხეთისასა, და მუნ[3] ყო სამკჳდრებელი თჳსი ყოველსა შინა ცხოვრებასა თჳსსა.

ხოლო ვინაჲთგან[4] მარტოობით[5] მნებებელ იყო ცხოვრებასა, უბრძანა მოწაფეთა თჳსთა, რათა წარვიდეს[6] თითოეული[7] მათი სხუათა მიმართ ადგილთა და[8] ქადაგებად სახარებასა უფლისასა და სინანულსა მოსატევებელად ცოდვათა. და ესრეთ განმტკიცებულნი სწავლითა და მოძღურებითა მისითა წარემართნეს სრულ ქმნად მცნებასა[9] მოძღურისასა. და რბიოდეს ფერჴითა მოხარულითა ხარებად მშჳდობისა ბრძოლილთა მიმართ და შეცთომილთა ეშმაკისაგან. ესრეთ მორჩილნი მოძღურისანი არა ოდეს მნებებელნი დატევებასა მისსა წარივლინნეს ვითარცა ცხოვარნი შორის მგელთა, და რომელნიმე მათგანნი კახეთისა საზღვართა[10] მიმართ მიიწივნეს, ხოლო სხუანი მთისა კერძოთა[11] დუალეთისა[12] მკჳდრთა მიმართ.

Ⴁ [1] თაყუანის-მცემელი C. [2] რომელი CD. [3] მუნ] მას შინა C. [4] ვინადგან E]+და D. [5] მარტოებით E. [6] წარვიდენ E. [7] თითუეული D. [8] და]+მუნ B. [9] მცნებათა C. [10] საზღვართა] სამთავროთა CD. [11] კერძოთაჲთ C. [12] დვალეთის DE, დუალეთისა C.

Ⴀ

ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჴად თავისა თჳსისა, რაჲთა წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოჲ იგი და წარუვალი შუებაჲ[1] და განსუენებაჲ[2]. ამისთჳსცა აღირჩია აქა სჴაჲ გარეგან უდაბნოთა შინა. ამისთჳს ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯაჲ.

ხოლო ჰყვანდა[3] მის თანა ერთი მოწაფე[4], სახელით ლუკიანე. და ვითარცა მიიწივნეს უდაბნოსა მას ურწყულსა, მოეწყურა მათ ფრიად და პოვეს[6] მცირე წყალი შეკრებული წჳმისაგან ნაპრალსა შინა კლდისასა[6] და სუეს[7] მისგან და დასხდეს განსუენებად[8] ჩრდილსა რასმე კლდისასა.

Ⴁ

ხოლო საკჳრველი და სანატრელი მამაჲ დავით, ვითარ სხუაჲ ვინმე ელია უდაბნოჲს მოყუარე, გარესჯისა უდაბნოდ მიიწია, რამეთუ ევლტოდა იგი ამბოხთა და შფოთთა სოფლისათა, რომელნი მრავლად შეამრღუევენ გონებასა და არა[1] ოდესმე დააყენებენცა ღმრთისა[2] მიმართ[3] მოსწრაფებათაგან. ამისთჳსცა მოსწრაფე იყო მსოფლიოთა ყოველთაგან განშორებასა და მის მიერთა გემოთაგან განყენებასა და ყოვლითურთ განსლვასა[4] სხეულისა მარხვისა მიერ და შეიწრებისა ჴორცთაჲსა.

ხოლო ჰყვა[5] მოწაფე ერთი, სახელით ლუკიანე, რომელიცა საღმრთოჲთა მადლითა აღძრული შეუდგა სანატრელსა ამას მამასა და ქალაქ მყოფელსა უდაბნოჲსასა, ღმრთისა მონასა სარწმუნოსა[6] და კეთილ მსახურსა[7], რამეთუ ხედვიდა ნეტარი ესე ლუკიანე მადლთა და სათნოებათა ღირსისა მამისა დავითისთა[8] და სულისა მარგებელთა სწავლათა მისთა, რომელნი აღმოდიოდეს[9] პირით მისით მსგავსად წყაროთა[10] დაუწყუედელთა[11]. ამისთჳსცა არა ენება დატევებაჲ მისი, არამედ სთნდა შედგომა კუალთა მისთა და განუშორებელ ყოფა საღმრთოჲსა ამის მამაკაცისაგან. ხოლო ვითარცა მიიწივნეს პირველ ოქუმულსა მას[12] უდაბნოსა, შეიშთვებოდეს წყურილითა[13] და თანად სიცხითა შეიწუებოდეს, რამეთუ ესე ადგილი მრავლად[14] შემწუელი არს მზისა მცხინვარებითა[15] მიმართ ზედ-მოფენილთა[16]. ვინაჲთგან ვორიოსა კერძოთა[17] მყოფი და ყოვლითურთ განმარტებით მდებარე უმეტეს ყოველთა აღმოსავალისა სანახებთა სიცხისა მიერ შეიცვების[18], რომლისა ძლით და წყლისაგან ნაკლუ-

---

Ⴀ [1] შუჱბა BB'. [2] განსუჱნებაჲ BB'. [3] ჰყვა B'. [4] მოწაფეცა B'. [5] პოეს B'. [6] კლდისსა B'. [7] სუჱს BB'. [8] განსუჱნებად BB'.

Ⴁ [1] არა]—E. [2] მღთისა E. [3] მიმართთა CD. [4] განლევასა C. [5] ჰყვა]+იგი B. [6] მონათა სარწმუნოთა CD. [7] კეთილთა მსახურთა CD]+მიერ D. [8] დავითისითა D, დავითისათა E. [9] აღმოდის D. [10] წყაროსა CE. [11] დაუწყუედელისა C. [12] მას]—CE. [13] წყურვილითა DE. [14] მძაფრიად E. [15] მცხინვარებათა E. [16] ზედ-მოფენითა CD. [17] კერძოდ CDE. [18] შეიცვალების D, შეიწვების C.

Ⴃ

და ვითარცა სხდეს იგინი მუნ, თქუა წმიდამან მამამან ჩუენმან დავით: ძმაო ლუკიანე, დავდგეთ ადგილსა ამას და ვევედრნეთ ღმერთსა, რაჲთა მყუდროებით ვედრებითა და ცრემლთა დათხევითა და მოთმინებითა მცირედითა მოგჳტევნეს ღმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი და მოგუანიჭნეს საშუებელნი[1] და განსუენებანი[2] სასუფეველისა მის ცათაჲსანი[3], რამეთუ ჭირი აქაჲ მცირე არს და წარმავალ[4], ხოლო დიდებაჲ იგი მუნ მოუკლებელ არს და წარუვალ და დიდებაჲ საუკუნოჲ. ამისთჳსცა ჯერ არს აქა მოთმინებაჲ.

Ⴂ

ლევან არს და სხუათა[1] ყოველთავე[2] სხეულისა ნუგეშინის-მცემელთა საჴმართაგან. აქა შინა ქმნილთა, ვითარცა ვთქუ, და წყლისა მოქენეთა ალსუბუქებად შინაგანსა შემწუველობასა მზისა დასავალთასა[3] პოვეს, რომელსამე[4] ნაპრალსა შინა კლდისასა წყალი მცირე ცუართაგან წჳმისათა შეკრებული და ამისგან მიმღებელთა სუეს რაოდენ დამაცხრობელად წყურილსა[5] შემაშფოთებელსა, სადა[6] აჩრდილსაცა მიმთხუეულნი და ნახეთქსა რომელსამე[7] ქუეშე კლდისასა მცირედ განსუენებად მიდრკეს ვითარ[8] შრომათაგან გზისათა მოუძლურებულნი[9].

ხოლო მსხდომარე იყვნეს რაჲ იგინი ერთბამად, თქუა[10] სანატრელმან მამამან დავით ლუკიანეს მიმართ: ძმაო ლუკიანე[11], ვხედავ[12], რამეთუ[13] კეთილ არს ადგილი ესე და თავისუფალ შფოთთაგან, დავადგრეთ უკუე აქა მარტოებით[14] ღმრთისა მიმართ ვედრებისა და ლოცვისა[15] მოქმედნი, რათა მყუდროებით მარხვისა[16] და მღჳძარებისა მქონებელნი და ჟამიერთა სატკივართა სიმჴნით მომთმენელნი მივემთხჳვნეთ მოტევებასა ცოდვათასა. ხოლო მოწყალემან[17] და ტკბილმან უფალმან ნაცვალად წარმავალთა ამათ და განხრწნადთა მოგუცეს სადამე[18] და ჩუენცა ნაცვალის-გებაჲ შრომათაჲ და, თანად იხილოს რაჲ გულს მოდგინებაჲ და წადიერებაჲ ჩუენი მისა მიმართ, მოგჳვლინოს ძალი საღმრთოჲ[19] განმაძლიერებელად უძლურებისა ჩუენისა და მოთმინებად[20] იწროებათა და ულონოებათა რომელთავე ჩუენთჳს შემთხუეულთა, რამეთუ ჭირი აქა შინა[21] ყოვლითურთ წუთ ჟამისა არს და მალიად წარმავალი, ხოლო შუებაჲ და დიდებაჲ ღირსთა

Ⴃ [1] საშუებელნი BB'. [2] განსუენებანი B'. [3] ცათასანი B'. [4] წარმოვალ B'.

Ⴂ [1] სხჳთა CD. [2] ყოველთვე D, ყ͠თვე C. [3] სავალთასა CD. [4] რომელსა D. [5] წყურვილისა D. [6] სადა]+და C. [7] რომლისა C, რომლისამე E. [8] ვიდრე E. [9] მოუძლურებულნი D. [10] ჰრქუა D, [11] ლუკიანე]+ვითარ C. [12] ხედავ C. [13] რამეთუ]—CD. [14] მარტოებით]+მხოლოსა C. [15] ლოცვასა CE. [16] მარხვასა CE. [17] მოწყალემან]+მან C. [18] სადმე C. [19] საღმრთოჲთა D. [20] მოთმენად CD. [21] შინა]—E.

Ⴀ

მიუგო ლუკიანე და ჰრქუა: ღმერთ-შემოსილო მამაო, ჭეშმარიტად ეგრეთ არს და ბრძანებისაებრ შენისა და მიეგებვიან კაცად-კაცადსა კეთილნი საქმეთა მათთაებრ და შრომათა. გარნა ვხედავ ფრიადსა იწროებასა და სიფიცხლესა ამის უდაბნოჲსასა, რამეთუ უპოვარ[1] არს ყოვლისაგან საჴმრისა საზრდელისა და წყლისა; და ჩუენ კაცნივართ მყოფნი ჴორცთა უძლურებასა შინა და ვითარ თავს-ვისხნეთ ჭირნი და განსაცდელნი ამის უდაბნოჲსანი?[2].

ხოლო წმიდამან მამამან დავით მიუგო[3] და ჰრქუა: ძმაო ლუკიანე, რომელმან-იგი . უდაბნოს გამოზარდა ერი იგი ისრაჱლთაჲ და კლდისაგან მყარისა წყალი[4] აღმოუცინა და მწყერ-მარჯილი უწჳმა შორის ბანაკისა მათისა,[5] და ელია ყორნისა მიერ გამოზარდა და წმიდასა ანტონის და სხუათაცა მამათა წმიდათა, რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს[6] მთათა და უდაბნოთა შინა და მისცა მათ საზრდელი, იგივე ღმერთი და აწცა შემძლებელ არს მოცემად ჩუენდა საზრდელსა ნუგეშინის-საცემელად ჴორცთა ჩუენთა უძლურებასა. აწ მჴნე იყავ, ძმაო ლუკიანე,

Ⴁ

და მოღუაწეთაჲ საუკუნო არს და მოუკლებელ მერმეთა შინა საყოფელთა.

ესე[1] რაჲ ესმა სანატრელსა ლუკიანეს მოძღურისაგან. თქუა მისა მიმართ: ღმერთ-შემოსილო მამაო, ჭეშმარიტად სიტყჳსაებრ შენისა არს ესე ყოველი და ვითარ აღმოვიკითხავთ საღმრთოთა წერილთაგან, არს ნაცვლის გებაჲ კეთილთა საქმეთა და მიეგების თითოეულსა საქმეთაებრ თჳსთა, რომელიცა რაჲვე იმოქმედონ საწუთოსა ამას ცხოვრებასა შინა, კეთილი გინა თუ ბოროტი, გარნა ვხედავ ფრიადსა იწროებასა და ულონოებასა ამის უდაბნოჲსასა, ვითარ დაკლებულ არს ყოვლისაგანვე საჭიროჲსა საზრდელისა და თჳთ მის წყლისაგანცა, რომელთა მოკლებითა უძლურ იქმნების და მოაკლდების სხეული, ხოლო ჩუენ კაცნი ვართ, მერმეცა ჴორცთა ბუნებისა უძლურებასა შინა მყოფნი და მეშინის, ნუსადა ვერ შეუძლოთ მოთმენაჲ ჭირთა და იწროებათა ამის უდაბნოჲსათა.

ამის[2] მიმართ მიუგო სანატრელმან დავით: ჵ ძმაო ლუკიანე, ნუ ზრუნავ ამისთჳს, რამეთუ არასადა უგულებელს[3] მყვნეს ჩუენ მზრდელმან ისრაელისამან უდაბნოსა ზედა, არამედ რომელმან საზრდელად მათ მანანა უწჳმა და კლდისაგან ზრქელისა წყალი[4] უწყაროა და ელია კარმელს ყორნისა მიერ გამოზარდა შურსა უფლისასა შემშურვებელი და თანად სხუანიცა მამანი მისთჳს მოღუაწექმნულნი უკუანაჲსკნელ ქუეყანად მოსლვისა მისისა და ქალწულისა უბიწოჲსაგან განკაცებისა ზარდნა პურითა ანგელოზთაჲთა, ამან და ჩუენცა გუზარდნეს საზრდელთა მიერ, რომელთაგან ინებონ მოწყალებათა მისთა. და ვინაჲთგან არა ბრძანებულ არს ჩუენთჳს ზრუნვაჲ საჭმელთათჳს და სასუმელთა[5], ნუ ვზრუნავთ შემდგომთა[6] და ხვალისათჳს, რა-

Ⴀ [1] უპუარ B′. [2] უდაბნოსანი B′. [3] მიუგოჲ B′. [4] წყალი]—B′. [5] მთისა B′. [6] იყუნეს B′.

Ⴁ [1] ესე] ეჵა C. [2] ამისა CE. [3] უგულებელ D. [4] წყარო D. [5] საზრდელთა D. [6] შემდგომად D.

Ⴂ

და ნუ გეშინინ, რამეთუ მოწყალე არს ღმერთი და არა მოგუაგებს ცოდვათა ჩუენთაებრ, არამედ სიტკბოებით ზრდის ყოველთა მოშიშთა მისთა.

ამათ სიტყუათა მიერ განმტკიცნა ლუკიანე და ჰრქუა: ვითარცა ჰბრძანო, წმიდაო მამაო, ეგრეთ ვყოთ ყოველივე. და მიმოვლეს იმიერ და ამიერ და პოვეს[1] პარეხი რაჲმე კლდისაჲ, რომელსა ქუეშე[2] დაივანეს. და რაჟამს დასცხის ანუ იყვის წჳმაჲ, პარეხსა მას ქუეშე[2] განისუენიან[3]. და საზრდელი მოირეწიან ძირთაგან რათმე მდელოთა. რამეთუ იყო ჟამი გაზაფხულისაჲ და უხუებით[4] პოვიან[5] ნუგეშინის-საცემელი ჴორცთაჲ. და ესრეთ მოირეწდეს საზრდელსა და ადიდებდეს ღმერთსა მომცემელსა ყოველთა კეთილთასა.

Ⴁ

მეთუ იგი თავადი აღაღებს ჴელსა თჳსსა და განაძღებს ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ და ჩუენცა მოგუცეს საზრდელი განმამტკიცებელი უძლურებისა სხეულთა ამათ ჩუენთასა. აწ უკუე განმჴნდი, ძმაო, და განძლიერდი, რამეთუ მოღუაწეთანი არიან გჳრგჳნნი და არავინ თჳნიერ მბრძოლთა ძლევისა და ჭირთა თავს-დებისა გჳრგჳნოსან იქმნების, ხოლო ღმერთმან სახიერებათაებრ მისთა[1] გამოგჳზარდნეს ჩუენცა სხუათავე თანა უჴმარნი ესე მონანი მისნი[2].

ამათ სიტყუათა მიერ განმტკიცებულმან ლუკიანე და შემწყნარებელმან სწავლათა მოძღურისათა თქუა დავითის მიმართ: პატიოსანო მამაო, ვითარცა, გიბრძანებიეს, ეგრეთცა[3] ვყოთ. ხოლო ღმერთმან, რომლისა მიმართ ვსასოებთ, მან იზრუნოს ჩუენისა ცხოვრებისათჳს. და ესრეთ დადგრომილთა მუნ და ყოველსავე სასოებასა თჳსსა ღმრთისა მიმართ მიმგდებელთა[4] სთნდა მოღუაწებისა შრომათა სიმჴნით თავს-დებაჲ ყოველსავე კრძალვასა ჴორცთასა, უგულებელს-მყოფელთა და მიმომავალთა[5] პოვეს ქუაბიცა რაჲმე მცირე, რომელსა ქუეშე ყვეს მკჳდრობაჲ მათი შეუწყუევლობისათჳს სიცხისა მიერ და ჰაერთა მიერ[6] შთამოტევებულისა წჳმისათჳს და თანად ყინელისა, რომელი იქმნების მათ ადგილთა შინა, რამეთუ წყალთა მიერ გარე-მოცულ არს ყოვლით კერძო. ხოლო საზრდელი მოირეწიან ძირთაგან რომელთამე მდელოთასა და მწუანვილთაგან მუნ აღმოცენებულთა,[7] ვინაჲთგან[8] ჟამი იყო არისაჲ, ოდეს მზისა მიერ და ნჴურვალებისა აღმოიზიდვიან მიწით დასაბამითგანვე აჵას ჟამსა აღმორჩებად განწესებულნი ნერგნი და მწუანვილნი, რომელთაგან მიმღებელნი რაოდენ ცხოვლობასა[9] მინიჭებად სხეულთა ნეშტად მოცალე იყვნიან ლოცვათა და ჵადლო-

Ⴂ [1] პოეს B'. [2] ქუჱშე B'. [3] განისუჱნიან B'. [4] უხუჱბით B'. [5] პოიან B'.

Ⴁ [1] თჳსთა E. [2] შენნი C. [3] ეგრეცა D. [4] დამგდებელთა E. [5] მიდმომავალთა CD. [6] შინა D. [7] აღმოცენებულთაგან C. [8] ვინადგან E. [9] ცხოვლობისა D.

Ⴂ

და ვითარცა გარდაჴდეს დღენი რაოდენნიმე, დაბერდეს მდელონი იგი და განჴმეს სიცხისაგან და მოაკლდა ნუგეშინის-საცემელი იგი მათი და შეწუხნა ლუკიანე და ჰრქუა წმიდასა დავითს: წმიდაო[1] მამაო, აწ რაჲღა იყოს ნუგეშინის-საცემელად უძლურებასა ჴორცთა ჩუენთასა, რამეთუ განჴმეს მდელონი ესე, რომლისაგან იქმნებოდა[2] სასოებაჲ ჴორცთა ჩუენთა განსუენებისაჲ.

მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა: ძმაო ლუკიანე, ნუ დაგიცსასოებაჲ მდელოთა მიმართ და მცენარეთა ქუეყანისათა. და ვითარ არა უწყი, რამეთუ ყოველნი ნივთნი ქუეყნიერნი ცვალება[დ] და წარ-

Ⴃ

ბათა შეწირვად ღმრთისა, რომელმან მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნისათა, რომელნი ხადიან მას.

ამას შინა რაჲ იყვნეს[1], წარჴდეს დღენი რაოდენნიმე, ზრქელ იქმნნეს მდელონი იგი და განჴმეს უწინარეს აღმომაცენებელისა და აღმომზრდელისა[2] მათისა მზისა მიერ. აწ დამჭნარნი და შემწუარნი, რამეთუ ყოველი დამეტებაჲ ვითარ მბრძოლი რაჲმე განმხრწნელი[3] თავისა თჳსისაჲ იქმნების[4], რომლისათჳს[5] ნაკლულევან იქმნეს ამის უნდოჲსაგანცა საჭიროჲსა საჴმრისა[6] სხეულთაჲსა, ვინაჲთგან ჟამი ზამთრისაჲ მოწევნად იყო, რომელსა შინა ყინელსა მიმფენელი ჰაერი მიწასა ზედა არღა მერმეცა უტევებს აღმოცენებად მწუანვილთა და ნერგთა[7] ვორეოსა კერძოთათა და ჩრდილოთ მიმართ[8] წიაღსლვითა[9] მზისაჲთა, ვინაჲცა შეურვებულმან[10] ლუკიანე მწუანვილთა მოკლებისათჳს მწუხარებით იწყო სიტყუად ღირსისა დავითის მიმართ: აწ უკუე, წმიდაო მამაო, რაჲღა იყოს ნუგეშინის-საცემელი უძლურთა ამათ და საზრდელის მოქენეთა ჴორცთა ჩუენთასა[11], რამეთუ განჴმეს მდელონიცა ესე, რომელთაგან კერძოებით აგებულებაჲ სხეულთა ჩუენთაჲ დაიცვებოდა და ნუგეშინის-ცემაჲ კნინ[12]-ოდენი მოგუენიჭებოდა მიწით აღმოცენებულთა ნერგთა მიერ? ხოლო აწ ბუნებისა მიერ და ჟამისა იძულებულნი ზრქელ და უჴმარ იქმნეს ჩუენთჳს.

ესრეთ რაჲ მწუხარებით მეტყუელებდა ლუკიანე შეურვებული ქუეყანით აღმოცენებულთა უნდოთა მხალთა განჴმობისათჳს და მის[13] ძლით ულონო ქმნასა საზრდელთაგან გულის მსიტყუელი, მიუგო მას ღირსმან და საკჳრველმან მოძღუარმან: ძმაო[14] ლუკიანე,

---

Ⴂ [1] წმიდაო]—B'. [2] იქმნებობდა B'.

Ⴃ [1] იყუნეს E]—CD. [2] აღმომზიდველისა C. [3] განმხრწნელ CE. [4] იქმნების]—CD. [5] რომლისათჳსცა C. [6] საჴმრისა E]—CD. [7] ნერგთა]+ვითარ დატევებათა C. [8] ჩრდილოთ მიმართ] სახრადამი D, სამხრადმი C. [9] წიაღ სლვითა] წარსლვისა C. [10] შეუორგულებელად DE. [11] ჩუენთაჲ C. [12] კნინი D. [13] ამის C. [14] მამაო C.

Ⴀ

მავალ არიან? და არა გასმია წმიდათა წერილთაგან, ვითარმედ: «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი*?». ხოლო შენ მსწრაფლ სულ-მოკლე ქმნილ ხარ და არა უწყია, უკუეთუ მოვსწყდეთ[1] შიმშილითა გინა წყურილითა ქრისტეს მცნებათათჳს, ცხოველ ვართ წინაშე ღმრთისა უკუნისამდე? და შენ ფრიად შფოთ ხარ და განილევი განხრწნადთა ჭამადთათჳს.

Ⴁ

რაჲსა დაგიც სასოებაჲ მდელოთა[1] მიმართ და მცენარეთა ქუეყანისათა? ანუ არა უწყა, ვითარმედ ყოველნივე[2] ნივთნი ქუეყანისანი ცვალებადნი არიან და წარმავალნი და ყოველი ჟამსა[2a] შორის აღორძინებული და მყოფობად მოწევნული ჟამისავე თანა განიხრწნების, ვითარ დაუდგრომელი და წარმდინარე და მხოლოდ სული უკუდავად ქმნილი ღმრთისა მიერ სამარადისოდ დაადგრების მიღებად ნაცვლის გებათა აქათა შინა მოქმედებათაჲსა[3] მის მიერ? ანუ არა გასმიესა წმიდათა წერილთაგან, ვითარ საუფლოჲსა ჴმისა მიერ მეტყუელებდენ რაჲ, ვითარმედ «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ[4] სულნი თქუენნი?*», რაჲსათჳს უკუე ესრეთ მალიად სულ-მოკლე იქმენ? ანუ არა უწყია, ვითარმედ უკუეთუ მოვსწყდეთ ქრისტეს მცნებათათჳს სიყმილითა, გინა წყურილითა[5], ნაცვალად სიკუდილისა ამის ჴორციელისა ცხოველ ვიყვნეთ სულითა მის წინაშე უკუნისამდე? რომლისათჳსცა ნუ მწუხარე ხარ მრავლად ურვეული განხრწნადთა ამათ და უნდოთა ჭამადთათჳს და უფროჲსღა მწუანვილთა ველისათა, რომელნი საზრდელად პირუტყუთა ცხოველთათჳს მინიჭებულ არიან. ხოლო ჩუენ ვითარ სიტყჳერნი და სიტყჳთა პატივ-ცემულნი უმტკიცესითა და კაცთათჳს შემსგავსებულითა[6] საზრდელითა გუზარდნეს მზრდელმან ყოველთამან.

Ⴀ

ვითარ[2] იგი ამას ეტყოდა, მეყუსეულად მოვიდეს სამნი ირემნი, რომელთა უკუანა[3] სდევდეს ნუკრნი მათნი და წარმოუდგეს[4] წინაშე მათსა[5] ვითარცა ცხოვარნი დამშჳდებულნი. და ჰრქუა მამამან დავით: ლუკიანე[6], ძმაო, მიიღე[7] პინაკი და მოწუელენ[8]

Ⴁ

ამას იტყოდა და თანად სიტყჳსავე თანა (ეჰა განგებულებათა შენთა, ქრისტე!) მეყუსეულად სამნი ირემნი ნუკრთა თანა მათთა წარმოდგეს წინაშე მათსა და ვითარცა ცხოვარნი დადგეს დამშჳდებულნი. მაშინ ჰრქუა წმიდამან დავით ლუკიანეს: მიიღე, ძმაო, პინაკი და მოწუელენ ირემნი ესე ღმრთისა მიერ მოვლინებულნი, რომელმან უწყის

Ⴀ [1] ამოვსწყდეთ B′. [2] ვითარ] და B′. [3] უკანა B′. [4] წარმოდგეს B′. [5] მათსაჲ B′. [6] ლუკიანეს B′. [7] ომიიღე ძმაო B′. [8] მოწუელენ B′. * ლუკა 21,19.

Ⴁ [1] მდელოსა C. [2] ყოველივე E. [2a] ჟამისა CDE. [3] მოქმედებულთასა C. [4] მოიპოვნნეთ C. [5] წყურვილითა D. [6] შემგზავსებულითა CD. * ლუკა 21,19.

Ⴀ

ირემნი ისი. ხოლო იგი აღდგა და მოწუელნა[1]. და ვითარცა აღავსო პინაკი, მოიღო წინაშე ბერისა. ხოლო მან დასწერა ჯუარი და შეიქმნა ხაჭოდ,[2] და ჭამეს და განძღეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ჰრქუა ლუკიანე წმიდასა დავითს: მამაო წმიდაო, საკჳრველ არს ღმერთი შორის წმიდათა[3] მისთა; და აწ განმტკიცნა გული ჩემი და მხიარულ არს სული ჩემი და ამიერითგან, უკუეთუ განიხრწნენ ჴორცნი ჩემნი და განილივნენ შიმშილითა და წყურილითა, ყოვლად არა რასვე ვზრუნვიდე მოკუდავთა ამათ ჴორცთათჳს და ამაოჲსა საწუთოჲსათჳს. და წმიდამან დავით ჰრქუა: კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განამტკიცა გული შენი და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა მისისაჲ უკუნისამდე.

Ⴁ

პირუტყუთაცა ნადირთა მიერ ზრდაჲ მოშიშთა მისთაჲ. ხოლო იგი აღდგა განკჳრვებული უცხოსა ამის სახილავისა ზედა, რამეთუ ჰხედვიდა მონებრ წარმოდგომილად ნადირთა მსახურებისა მიმართ საჭიროჲსა მათისა და ბრძანებისაებრ მოძღურისა მოწუელნა[1] იგინი და ესრეთ დადგა[2] წინაშე ბერისა[3] აღსავსე პინაკი სძითა. ხოლო მან, საუფლოჲსა ჯუარისა გამომსახველმან მის ზედა, მეყუსეულად ახლად ყუელად გარდაიქცა იგი, არა მოქენემან რომელთამე ნივთთაგან, გინა თუ ჟამთა და დღეთამან, რომელთა მიერ შეემთხუევის მას ესევითარად ქმნაჲ, რამეთუ უწყის ღმერთმან თჳთ განმზადებულისა საზრდელისა მიერ ზრდაჲ მოსავთა მისთაჲ. მაშინ მოიღეს[4] ყუელისა მისგან და კურთხევითა ზედა დამბეჭდველთა ჭამეს კმა-საყოფელად, და აღდგომილნი იტყოდეს: ჭამონ დავრდომილთა და განძღენ და აქებდენ უფალსა მომცემელსა ყოველთა კეთილთასა და ნუგეშინის მცემელსა ყოველთა მოშიშთა და მადიდებელთა მისთასა. ამისა შემდგომად ჰრქუა ლუკიანე წმიდასა დავითს: პატიოსანო მამაო, ჭეშმარიტად საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა[5] შორის მისთა წერილისაებრ და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ მისი, რომელმან ლოცვითა შენითა მტკიცე ყო და შეურყეველ აწ გული ჩემი რომელთავე შემაწუხებელთა ნაკლულევანებათა მიმართ და თანად სული ჩემი და გონებაჲ ვითარ ბნელისა რაჲსაგანმე[6] ჴორციელთა ზრუნვათაჲსა გამოიყვანა[7] ნათლად შენდა მონიჭებულითა[8] მადლითა მის მიერ, რომლისათჳსცა ამიერითგან, უკუეთუ განილივნენ[9] ჴორცნი ჩემნი სიყმილითა და მოაკლდეს სული ჩემი წყურვილითა, არღარა სადა ვზრუნვიდე, რომელსავე მოკუდავთა ამათ და დაუდგრომელთა ჴორცთათჳს ამაოჲ-

---

Ⴀ [1] მოწუჱლნა B'. [2] ხაჭოჲ B'. [3] და წმიდათა შორის B'.

Ⴁ [1] მიწეულნი C. [2] დაადგა C. [3] წინაშე ბერისა]—C. [4] მიიღეს C. [5] წმინდათა D. [6] რომლისაგანმე CD. [7] გამოიყვანე C. [8] მონიჭებულთა DE. [9] განილინენ D, განილნენ E.

Ⴀ

და მიერითგან[1] მივიდიან ირემნი ყოველთა დღეთა თჳნიერ ოთხშაბათ-პარასკევისა და თანა ჰყვიან მათ ნუკრნი მათნი და ესრეთ იშუებდეს[2] ჴორცითა და იხარებდეს სულითა.

ხოლო ქუემო[3] კერძო პარეხისა მის, რომელსა შინა იყოფებოდეს წმიდანი იგი, იყო სხუაჲ პარეხი, რომელსა შინა იყოფებოდა ვეშაპი დიდი და საზარელი, რომელსა ესხნეს თუალნი სისხლის

Ⴁ

სა ამის და წარმავალისა საწუთოჲსათჳს, არცა ვდრტჳნვიდე მე საზრდელთათჳს, ვითარცა ურჩი და ურწმუნოჲ ისრაელი, მომჴსენებელი[1] ჴორცთა და სიავთა ეგჳპტურთა, არამედ სრულებით დაგემორჩილო შენ ვითარ სხუაჲ ისუ,[2] ახალსა წინამძღუარსა ჩემსა მოსეს, რომლისა[3] მივემთხჳო, ვითარ ისუცა[4] შესლვად ქუეყანასა მას აღთქუმისასა ზეცისა იერუსალემსა. და ამისთჳს მოხარული ვსასოებ სულითა არა განჴუებად მადლთა შენთაგან. ხოლო წმიდაჲ დავით მხიარულ ქმნილი ამათ სიტყუათა ზედა «კეთილ—ეტყოდა—კეთილ, ძმაო ლუკიანე, კურთხეულ არს ღმერთი და[5] მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან განამტკიცა გული შენი და განანათლა სული და გონებაჲ შენი მის მიერითა ნათლითა.

ესრეთ უკუე დადგრომილ იყვნეს ქუაბსა მას შინა მცირესა კეთილსა სრბასა და საღმრთოსა[6] მოსაგრენი, რამეთუ ლოცვანი სამარადისონი აღივლინებოდეს მათნი ღმრთისა მიმართ მღჳძარებითა და კრძალულებითა სრულ ქმნილნი. და საზრდელ მათდა იყო ირემთა მიერი იგი საზრდელი, რამეთუ მოვიდიან იგინი მათდა მიმართ ნუკრთა თანა მათთა ყოველთა დღეთა თჳნიერ ოთხშაბათისა და პარასკევისა, რამეთუ ამათ დღეთა შინა ყოვლითურთ უსაზრდელოდ დაადგრიან ჴელ-განპყრობით მდგომარენი და გონებისა თუალითა წინაშე საყდართა ღმრთისათა წარდგომილნი.

ხოლო ქუემო კერძო ქუაბისა ამის, რომელსა შინა მკჳდრობდეს[7] წმიდანი ესე, იყო სხუაჲცა ქუაბი, და მას შინა მკჳდრ იყო ვეშაპი დიდი და საზარელი, რამეთუ აქუნდეს თუალნი დიდნი და მსგავსნი ბრწყინვალებისა[8] ცეცხლისაჲსა და რქაჲ დიდი მო-

Ⴀ [1] ამიერითგან B'. [2] იშუებდეს BB'. [3] ქუემო B'.

Ⴁ [1] მომჴსენებელ CD. [2] იისუ CDE. [3] რომლისა]+მიერ C. [4] იისუცა CDE. [5] და]—C. [6] და სალმრთოჲსა სრბასა E. [7] მკჳდრობდენ C. [8] ბრწყინვალებასა C.

Ⴀ

ფერნი და რქაჲ[1] იყო შუბლსა და ფაჩარი[2] ფრიად ქედსა მისსა.

ხოლო დღესა ერთსა წარმოვლეს ირემთა მათ[3] კარი მის პარეხისაჲ[4] და მიეტევა მათ ვეშაპი იგი და შეიპყრა ნუკრი ერთი და შთანთქა იგი. და ირემნი იგი მიივლტოდეს ბერისა[5] შეშინებულნი და[6] ძრწოდეს. და იხილნა[7] იგინი ლუკიანე მძრწოლარენი, ჰრქუა წმიდასა დავითს: მამაო წმიდაო, ირემნი ესე მოვიდეს მეოტნი და საშინელად ძრწიან და არა ჰყავს მათ თანა ნუკრი ერთი. ხოლო იგი გამოვიდა და ჴელთა აქუნდა კუერთხი.[8] და ვითარცა ჩავლო ადგილი იგი, რომელ ამოევლო ირემთა[9] მათ, იხილა ვეშაპი იგი და ჰრქუა: ბოროტო ეშმაკო[10], რად მავნებელ ექმენ ირემთა ჩუენთა, რომელნი მომცნა ღმერთმან ნუგეშინის-საცემელად[11] უძლურებასა ჴორცთა ჩუენთასა? აწ გამოვედ ადგილით მაგით და წარვედ შორთა უდაბნოთა.[12] და უკუეთუ არა ისმინო ჩემი, ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ჩემითა ამით კუერთხითა[13] მუცელი შენი განვხეთქო და საჭმელ მატლთა გყო შენ.

ხოლო იგი ჴმობდა: ნუ მრისხავ, მონაო[14] ღმრთისა მაღლისაო, და უკუეთუ[15] გნებავს გამოსლვაჲ ჩემი ამიერ, აღმომყევ თა-

Ⴁ

აქუნდა თავსა ზედა მისსა და თმაჲ ფრიადი მსგავსი ძაგრისაჲ საშუალ ქედისა მისისა და ყოვლითურთ საზარელ და განსაკრვებელ იყო მჴეცი იგი.

ხოლო დღესა ერთსა წარმოვლიდეს რაჲ დამთხუევით კარსა მას[1] ქუაბისასა ირემნი, რომელსა შინა მკჳდრ იყო ბოროტი იგი მჴეცი, მყის მოეტევა[2] ირემთა და მისტაცა[3] მათ ნუკრი ერთი და საჭმელ თჳსა ყო იგი. ხოლო ირემნი იგი მიივლტოდეს ქუაბად ბერისა, შეშინებულნი და მძრწოლარენი, რომელნიცა იხილნა რაჲ ლუკიანე ესრეთ შეშფოთებულნი, თქუა ბერისა მიმართ: მამაო წმიდაო, ირემნი ესე მსგავსად ჩუეულებისა მოვიდეს სრულ ქმნად მსახურებისა მათისა, ხოლო არიან იგინი[4] აღშფოთებულ და მძრწოლარე შიშითა და ერთი ნუკრი არღარა არს მათ თანა. ესე რაჲ ესმა სანატრელსა, აღიღო კუერთხი თჳსი, რომელსა ზედა იყო ჯუარი ქრისტესი და მიუდგა კუალსა, ვინა-იგი აღმოევლო ირემთა და იქი და აქა იხედვიდა, რათა პოვოს მავნებელი ნადირთა[5]. და ვითარ ეძიებდა, იხილა ბოროტი იგი ვეშაპი საზარელი ხილვითა და განსაკრვებელი[6] სიდიდითა, რომელიცა ყოვლად არად შეჰრაცხა ღირსმან ამან, არამედ ზედა მიადგა მას უშიშითა გონებითა და მრისხანებითა[7] ეტყოდა: ჵ ბოროტო თავო, რად მავნებელ ექმენ ირემთა ჩემთა და შესჭამე ნუკრი მათი? აწ გამოვედ მაგიერ ადგილით და წარვედ ადგილთა უდაბნოთა[8], რამეთუ ამიერითგან უდაბნოჲ ესე ქალაქ ღმრთისა მოღუაწეთა იქმნეს. და აღმპყრობელი კუერთხისა, რომელი მოაქუნდა[9] ჴელთა შინა მისთა, რისხვით აქადებდა მჴეცსა მას მეტყუელი: უკუეთუ არა სრულ ჰყო სიტყუაჲ ჩემი და არა[10] წარხჳდე ამიერ,

Ⴀ [1] რქა B'. [2] ფაჩარი] ქარი B'. [3] ~ირემთა მათ წარმოვლეს B'. [4] კარსა მის პარეხისასა B'. [5] ბერისადა B'. [6] და]—B'. [7] იხილნა] + რაჲ B'. [8] კუჱრთხი BB'. [9] ირემთაჲ B'. [10] ეშმაკო] ვეშაპო B'. [11] ნუგეშინის ცემელად B'. [12] უდაბნოოთაჲ B'. [13] კუჱრთხითა B'. [14] მონაოჲ B'. [15] უკეთუ B'.

Ⴁ [1] მის DE. [2] მიუტევა C. [3] მოსტაცა C. [4] იგი DE. [5] ~ნადირთა მავნებელი C. [6] განრვებული D. [7] მრისხანებით E. [8] უდაბურთა C. [9] აქუნდა D. [10] არა[—C.

Ⴀ

ვაღმდე ამის მთისა და თავს-მდებ მექმენ, რაჲთა არა მიაქცივნე თუალნი შენნი ჩემგან, ვიდრე არა შთავიდე წყალსა მას, რომელი დის სამხრით კერძო მთისა ამის, რამეთუ მეშინის მე მეხის ტეხისაგან და მით ვერ გამოვალ მე.

ხოლო წმიდამან დავით აღუთქუა[1] ყოფად, და გამოვიდა ვეშაპი იგი[2] და წმიდაჲ დავით წინა[3] უძღოდა და იტყოდა ფსალმუნსა: «რომელი დამკჳდრებულ არს სუფევითა მაღლისაჲთა[4] საფარველსა ღმრთისასა, ზეცას განისუენოს*»[5]. ხოლო სლვასა მას ვეშაპისასა[6] ლოდნი იგი მის ადგილისანი ირყეოდეს; და იხილა რაჲ ესე ლუკიანე, შეეშინა და დაეცა პირსა ზედა და იდვა ვითარცა მკუდარი.

და წმიდაჲ დავით აღჴდა თავადმდე მთისა მის და იწყო ვეშაპმან უმალესად-რე სლვაჲ. და ვითარცა[7] განვიდა მინდორსა უდაბ-

Ⴁ

ამით კუერთხითა და ჯუარითა ქრისტესითა განვხეთქო მუცელი შენი და საჭმელად მატლთა შეგმზადო[1] შენ და ვიძიო შენგან შური, რამეთუ შეაწუხენ შენ ირემნი, რომელნი მომცნა ღმერთმან ნუგეშინისსაცემელად ჴორცთა ჩემთა უძლურებისა. ხოლო ეშმაკი, რომელი მკჳდრ იყო ვეშაპსა მას შორის, კაცობრივითა ჴმითა ზრახვიდა წმიდისა მიმართ მეტყუელი: ნუ მრისხავ, მონაო ღმრთისა ცხოველისაო, და უკუეთუ გნებავს წარსლვაჲ ჩემი ამათ საზღვართაგან, აღმოვედ შენცა ჩემ[2] თანა ვიდრე თავადმდე ამის მთისა[3] და აღმითქუ მე. რათა არა მიაქცივნე შენ თუალნი შენნი გარე ჩემგან, ვიდრემდის არა შთავიდე მდინარესა, რომელ[4] არს სამხრით კერძო ამის მთისა, რამეთუ ვმოშიშებ წარწყმედისაგან, უკუეთუ გამოვიდე ამიერ, ნუსადა დასაწუველ ვიქმნე[5] განმწარებისა შენისათჳს.

ხოლო დიდი დავით აღუთქუმიდა ამისსა ესრეთ ქმნასა, და მალიად გამოსლვასა უბრძანებდა. და მყის ბრძანებისაებრ წმიდისა გამოვიდა ვეშაპი იგი საზარელი ბუდისაგან თჳსისა და წინა უძღოდა[6] მას მჴეცთა[7] ველურებასა აღჴრ-მსხმელი ნეტარი დავით. ხოლო სლვასა მის ვეშაპისასა, რეცა თუ იძრვოდეს[8] ლოდნი მის ადგილისანი და იატაკი, რომელსა ზედა წარითრეოდა, საგონებელ იყო ძელთა სიმრავლისა წართრევაჲ[9] მას[10] ზედა. რომელი-ესე იხილა რაჲ ლუკიანე, ზარგანჴდილი და შეშინებული დაეცა პირსა ზედა თჳსსა და მდებარე იყო ვითარცა მკუდარი.

ხოლო ღირსი დავით ვითარცა აღვიდა თავსა მის მთისასა ვეშაპისა მის თანა, იწყო ვეშაპმან მან მოსწრაფებით სლვად. და განვიდა ველად, რომელი მიიყვანებდა მდინარე-

---

Ⴀ [1] აღუთქუ'თქა B'. [2] იგი]—B'. [3] წინაჲ B'. [4] მაღლისათა B'. [5] განისუწნოს B'. [6] ვეშაპისა მის B'. [7] ვითარცა]—B'.

Ⴁ [1] შეგამზადო CD. [2] ჩუენ E. [3] მათისა E. [4] ვიდრე E. [5] რომელი C. [6] ვიქმენ C. [7] უძღოდა C. [8] მხეცთაცა CD. [9] იკრვოდა D იძრვებოდეს CE. [10] წართრევა D. [11] მის C.

Ⴀ

ნოჲსასა[1], მართ[2] ვიდოდა[2a] და თუალნი მამისა დავითისნი[3] მის კერძო იყვნეს.

ხოლო ანგელოზმან უფლისამან ჴმა-ყო უკუანა მისსა და[4] ჰრქუა: დავით, დავით! და მან მიიხილა გარე. და მიხედვასა მას მისსა ვეშაპსა მას ეცა მეხი და დაიწუა იგი სრულიად. მაშინ ვითარცა იხილა ესე წმიდამან დავით, შეწუხნა ფრიად და თქუა: უფალო მეუფეო დიდებისაო, რად მოჰკალ ვეშაპი ისი, რამეთუ სასოებით მონდობილ იყო იგი ჩემდა, ხოლო შენ სასტიკად წარსწყმიდე იგი?

მაშინ ჰრქუა მას ანგელოზმან ღმრთისამან: რაჲსა მწუხარე ხარ, სათნოო უფლისა[5] ჩუენისა იესუ ქრისტესო? რამეთუ უკუეთუმცა[6] შთასრულ[7] იყო ვეშაპი ისი წყალთა შინა, მიერ წარვიდოდა ზღუა-

Ⴁ

სა მას სახელ-დებულსა[1] მტკურად. ეჰა, საკჳრველებათა შენთა ქრისტე, რომელმან უტყუნიცა[2] მჴეცნი და ცხოველთა[3] მსრველნი დაამორჩილენ მონათა შენთა და მიეც მათ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად[4] გუელთა და ღრიანკალთა[5] და ყოველსა ძალსა მტერისასა, რამეთუ ვეშაპიცა ესე მოშიშებით მსმენელი ბრძანებასა მონისა შენისა დავითისსა შეძრწუნებული დაუტევებდა საყოფელთა თჳსთა და უცხოთა საზღვართა მიმართ მიივლტოდა. ესრეთ წარივლტოდა რაჲ ვეშაპი იგი, მიხედვიდა მას ღირსი დავით, ვიდრეცა ვიდოდა.

ხოლო ანგელოზმან უფლისამან ჴმაუყო უკუანა კერძო მისსა და ჰრქუა: დავით, დავით! და ვითარცა მიიხილა გარე ჴმისა მიმართ მისდა მეტყუელისა, მეყუსეულად ცით შთამოტევებული მეხი ეცა ვეშაპსა მას და აღანთო იგი, ვითარცა თივაჲ და მეყსა შინა სრულებით დაწუვა იგი. ხოლო ადგილი, რომელსა ზედა აღიწვო ცეცხლისა მიერ ზეგარდამოჲსა, ვიდრე აქამომდე იხილვების ნიშსა დამწუვრობისასა მქონებელი, რამეთუ ყოვლითურთ არღარა აღმოეცენების მწუანვილი მას ადგილსა, რომელიცა ესე იხილა რაჲ დიდმან დავით, კუალად ვეშაპისა მიმართ მიმხედველმან, მწუხარე იქმნა ფრიად და იტყოდა: უფალო, უფალო, რაჲ ესე ყავ[6], რამეთუ მოაკუდინე ვეშაპი, რომელი დიდითა სასოებითა მომენდო მე, ხოლო შენ ცეცხლისა მიერ უჩინო ჰყავ იგი?

ხოლო ამას რაჲ იტყოდა ნეტარი იგი მწუხარებით, ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: რაჲსა ესრეთ მწუხარე ხარ, მონაო ღმრთისაო, ანუ არა უწყია, ვითარმედ უკუეთუმცა შთასრულ იყო წყალთა იმათ[7] შინა, იმიერ[8] ეგულვებოდა წარსლვაჲ ზღუად და

Ⴀ [1] უდაბნოჲსასა] მას რომლისა B′. [2] მ῾რთ B′. [2a] მოვიდოდა B′. [3] დავითისანი B′. [4] უკუანა მისსა და] უკანა კერძო მის სადა B′. [5] სათნოო უფლისა] სათნო ღ῾ისა B′. [6] უკეთუმცა B′. [7] შთასრუ B′.

Ⴁ [1] სახელდებულად E. [2] უსიტყუნიცა E. [3] ცხოველთ D. [4] დათრქუნვად C. [5] ღრიანკელთა E, ღრიაკალთა C. [6] ჰყავ CDE, [7] ამათ E [8] ამიერ E.

11. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

Ⴀ

თა შინა და მას შინა თევზთა ჭამითა გადიდნებოდა ფრიად და მრავალთა ნავთა დააქცევდა ზღუათა შინა და მრავალთა სულთა წარსწყმედდა წყალთა შინა. და ნუ მწუხარე ხარ მისთჳს, რამეთუ ესრეთ სათნო-იჩინა უფალმან. არამედ შენ წარვედ ქუაბად შენდა, რამეთუ მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული [1] მდებარე არს პირსა ზედა შიშისაგან ვეშაპისა. ხოლო შენ [2] უპყარ ჴელი და აღადგინე და განაძლიერე და განამტკიცე იგი და ორნივე ზოგად ადიდებდით ღმერთსა, რომელმან განგათავისუფლნა შიშისაგან საძაგელისა მის ვეშაპისა.

და სიტყუასა[3] მას ზედა ანგელოზისასა გარდამოვიდა მიერ მთით და პოვა ლუკიანე შეშინებული და [4] შეძრწუნებული [5] მდებარე მიწასა ზედა. და უპყრა ჴელი და აღადგინა და ჰრქუა: ძმაო ლუკიანე, რაჲსა [6] შეშინდი ერთისაგან ჭიისა, რომელი წამსა შინა ერთსა განლია ღმერთმან ცეცხლისა მიერ. აწ ნუ გეშინინ, რამეთუ ძლიერებაჲ ღმრთისაჲ ჩუენ თანა არს და მადლი ღმრთისაჲ ჰფარავს ყოველთა მოშიშთა მისთა. ხოლო იგი განმხიარულდა სიტყუათა ამათ ზედა ბერისათა და მადლობაჲ შეწირა უფლისა.

Ⴁ

მრავალთამცა ნავთა ვნებაჲ შეემთხუეოდა [1] მის მიერ და თანად კაცთაცა [2], ვინაჲცა ნუ მწუხარე ხარ შენ წარწყმედისა მისისათჳს [3], რამეთუ ესრეთ სთნდა ღმერთსა წარწყმედაჲ მისი [4]. ხოლო შენ წარვედ ქუაბად შენდა, რამეთუ მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა თჳსსა შიშისათჳს ვეშაპისა და აღადგინე იგი და განამტკიცე და ნუგეშინის-ეც [5] და ნაცვალად [6] პირუტყჳსა ამის და ბოროტისა მჴეცისა პირმეტყუელთა და სულიერთა შვილთა იზრუნე.

ამათ [7] მსმენელი დავით მყის გარდამოვიდა მიერ მთით და პოვა ლუკიანე შიშისა მიერ დაცემული და მდებარე მიწასა ზედა და უპყრა ჴელი მისი და აღადგინა იგი და ჰრქუა: რაჲსა შეშინებულ ხარ მცირედ მორწმუნეო, ერთისა ჭიისაგან, რომელი წამსა შინა ერთსა ცეცხლისა მიერ განილია ზვგარდამოჲსა? აწ განმჴნდი და ნუ გეშინინ, რამეთუ ძალი ქრისტესი შემწე ჩუენდა არს ყოველთავე შინა, და მან დაგჳფარნეს ჩუენ ყოველთაგან საზარელებათა [8] მბრძოლთასა [9], რამეთუ მინდობილთა მისთა დავთრგუნოთ შეწევნითა მისითა ლომი და ვეშაპი. ამათ სიტყუათა მიერ ბერისათა, ნუგეშინის-ცემულ იქმნა ლუკიანე განმგდებელი მოშიშებისა და ჰმადლობდა ღმერთსა მოქმედსა დიდთა ნიშთა და საკჳრველებათასა, რომელმან მისცა და მონასაცა თჳსსა დავითს ესევითარი ჴელმწიფებაჲ მჴეცთა მიმართ უბრძოლველთა [10].

Ⴀ [1] დაცემულ B'. [2] შენ]—B'. [3] სიტყჳსა B'. [4] და]—B'. [5] შეძრწუნებული]+და B'. [6] რასა B'.

Ⴁ [1] შეჰმთხუეოდა C, შემსთხუეოდა D. [2] კაცთა DE, [3] მისთჳს D. [4] მისი]—CD. [5] ეც]+მას C. [6] ნაცვლად D. [7] ამათი C. [8] საზარელობათა D. [9] მბრძოლისათა C. [10] მიერ C. [11] უბრძოლელთა D.

Ⴀ

და შემდგომად ამისა[1] წარრაჲ-ჴდეს დღენი რაოდენნიმე, მოვიდეს მუნ კაცნი ვინმე მონადირენი კერძოთაგან კახეთისათა[2], რამეთუ უდაბნოთა მათ ვიდრე აქამომდეცა ფრიად არს ნადირი, ირემი და გარეთხაჲ[2a] და სხუათა ნადირთა თჳთო[2b] სახეთა ურიცხუებაჲ[3] მრავალი[4]. და ვითარცა მოვიდეს მონადირენი იგი იმსტუარვიდეს[4a] იმიერ და ამიერ, და იხილნეს ირემნი იგი ბერისანი შემავალნი[5] პარეხსა მას კლდისასა და მსწრაფლ შეუდგეს უკუანა მონადირენი იგი, რაჲთამცა შეაწყუდივნეს იგინი[6] პარეხსა მას კლდისასა[7]. და ვითარცა მიიწივნეს ქუაბად ბერისა, იხილნეს ირემნი მდგომარენი და წმიდაჲ ლუკიანე წუელდა[8] ირემთა მათ. და ვითარცა იხილეს კაცთა მათ, ზარი განჴდა და მირბიოდეს[9] და შეუვრდეს ფერჴთა[10] წმიდისა ბერისათა[11] და ეტყოდეს: ვითარ არს ესე, წმიდაო მამაო, რომელ ირემნი ესე ნადირნი ველისანი[12] ესრეთ დამშჳდებულ არიან, რომელ უმშჳდეს არიან ცხოვართა ეზოთა შინა სახლისათა აღზრდილთა[13]!?

ხოლო იგი ეტყოდა: რად განკჳრვებულ ხართ დიდებულებათა ზედა ღმრთისათა[14], არა გესმაა, ვითარ-იგი დანიელ ლომნი დაამშჳდნა[15] და სამნი ყრმანი ცეცხლისაგან უვნებელად[16] დაიცვნა? და აწ ირემთაჲ რაჲ საკჳრველებაჲ

Ⴁ

ხოლო წარჴდეს რაჲ მცირედნი[1] დღენი, მოიწივნეს მუნ კაცნი ვინმე[2] მონადირენი კერძოთაგან კახეთისათა, ვინაჲთგან ფრიადი ნადირი არს ამათ უდაბნოთა შინა, ირემი და გარეთხაჲ და სხუათა ნადირთა თჳთო სახეთა სიმრავლე ურიცხჳ, რომელნიცა იმსტურობდეს რაჲ აქა და იქი, იხილნეს ირემნი იგი მსგავსად ჩუეულებისა შემავალად ნაპრალსა მას კლდისასა, რომელსა შინა მკჳდრობდა წმიდაჲ დავით მოწაფითურთ. და მოსწრაფებით შეუდგეს კუალსა ირემთასა, რამეთუ სასოებდეს, ვითარმედ იწროებასა მას თანა კლდისასა მოაკუდინენ და ჴელთ-ისხნენ იგინი. ხოლო ვითარცა მიიწივნეს იგინი ქუაბად ბერისა, იხილნეს ირემნი, რამეთუ მდგომარე იყვნეს ყოვლად სიმშჳდით, ვითარცა ცხოვარნი, და ლუკიანე ჩუეულებისაებრ მწუელელი მათი, რომელიცა იხილეს რაჲ მონადირეთა მათ, ზარ-განჴდილნი მირბიოდეს შევრდომად ფერჴთა ბერისათა და განცჳფრებულნი[3] ეტყოდეს: ☩ წმიდაო ღმრთისაო, რაჲ არს უცხო ესე[4] საკჳრველი, რომელსა ვხედავთ, ვითარ ირემნი ესე ნადირნი ველისანი ესრეთ სიმშჳდით მდგომარე არიან, ვითარცა ეზოთა შინა სახლისათა აღზრდილნი კაცთა მიერ ცხოვარნი!?

ხოლო მშჳდი იგი და აღუზუავებელი გონებითა მიუგებდა: და რად განკჳრვებულ ხართ, ძმანო, დიდებულებათა ზედა ღმრთისათა, რომელი ვითარ ყოველთა დამბადებელი და მფრინველთათჳსცა მოურნეობისა მოქმედი გუზრდის ჩუენცა უძლურთა ამათ სახიერებითა თჳსითა[5] ნადირთა ამათ მიერ,

---

Ⴀ [1] ამისსა **B'**. [2] კახეთისა **B'**. [2a] გარეთხ῀ჲ **B'**. [2b] ნადირთა თჳთო] თჳთუ **B'**. [3] ურიცხუჳბაჲ **B'**. [4] მრავალ **B'**. [4a] იმსტჳრვიდეს **BB'**. [5] შემავალად **B'**. [6] იგინი] გ῀ნ **B**. [7] კლდისსა **B'**. [8] წუჳლდა **B'**. [9] მირბოდეს **B'**. [10] შეურდეს ფერჴთაჲ **B'**. [11] ბერისათა] დავითისთა **B'**. [12] ველისანი] იწუჳლებიან **B'**. [13] აზრდილთა **B'**. [14] ღმრთისათა] სულისათა **B'**. [15] დანიელს ლომნი დაუმშჳდებიან **B'**. [16] უვებელად **B'**.

Ⴁ [1] მცირენი **E**. [2] ვინმე]—**E**. [3] განცჳბრებულნი **CE**. [4] ესე უცხო **E**. [5] თჳსთა **D**.

Ⴀ

არს!? ხოლო თქუენ[1] წარვედით და სხუაჲ ნადირი ინადირეთ, რამეთუ ესენი უფალსა უძლურებისა ჩუენისათჳს[1a] უბოძებიან.

ხოლო იგინი[2] იტყოდეს: დიდ არს დიდებაჲ უფლისაჲ, გარნა ჩუენცა ღირს მყვენ ზიარებად სიწმიდისა თქუენისა, წმიდაო მამაო. ალუჩუჩა მათ გული მათი[3], ტიროდეს და იტყოდეს: არღარა მივიქცეთ[3a] ჩუენ სახლად ჩუენდა, არამედ დავადგრეთ აქა შენ თანა და არღარა დაგიტეოთ შენ ამიერითგან. ხოლო იგი ეტყოდა: შვილნო და ძმანო, ადგილი ესე საჭირო არს და ძნელოვან, არამედ წარვედით საყოფელად[4] თქუენდა.

და ძლით სადამე[5] დაარწმუნა წარსლვაჲ მათი. და ვითარცა ინადირეს, წარვიდეს და განთქუეს[6] ჰანბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა. და ყოვლით კერძო მორბიოდეს[7] წინაშე წმიდისა დავითისსა

Ⴁ

რამეთუ ყოველნივე მოველით მოცემად ჩუენდა საზრდელი ჟამსა თჳსსა, ხოლო თქუენ, ძმანო ჩემნო, სხჳსა სანადიროსა მიმართ წარვედით, რამეთუ ესენი უფალსა ჴელთა[1] ჩუენთა უძლურებისა ნუგეშინის-საცემელად მოუნიჭებიან.

ხოლო იგინი მერმეცა განცჳფრებასა[2] შინა დადგრომილნი ერთბამად «დიდ არს» იტყოდეს. ჭეშმარიტად დიდება ღმრთისა[3], რომლისათჳს შენ შრომათა და ღუაწლთა მოთმინებაჲ[4] ალგირჩევიეს უდაბნოსა ამას შინა ყოვლითურთ ულონოსა და უპოვარსა, არამედ ჩუენცა, ვითარ ქრისტეს სამწყსოდ[5] მყოფნი, გჳზიარენ სიწმიდისა შენისა, ღმრთშემოსილო მამაო, რათა სრული ღმრთის მეცნიერებაჲ ვისწაოთ[6] შენ მიერ, რამეთუ ჩუენ ამიერითგან არღარა დაგიტეოთ შენ ერთ გზის მპოვნელთა სულიერისა საუნჯისათა, არამედ დავადგრეთ შენ თანა და ვითარცა უფალსა[7] და მოძღუარსა სულთა ჩუენთასა გმსახურებდეთ. ხოლო იგი ეტყოდა მათ[8]: ნუ შვილნო და ძმანო, ნუ იქმთ ამას, რამეთუ ადგილი ესე, ვითარ ჰხედავთ, ფრიად[9] ფიცხელ არს სამკჳდრებელად კაცთა მიერ, არამედ უფროჲსღა უკუნიქეცით ადგილთავე და დაბათა თქუენთა და მუნ შინა ჰმსახურებდით უფალსა ბოროტთაგან განყენებულნი[10], გლახაკთა და ულონოთა ნაკლულოვანებისა[11] აღმავსებელნი, რამეთუ მოწყალებისა[12] მოქმედი გლახაკთა ზედა ღმერთსა ავასხებს.

ამათ და ესევითართა სიტყუათა მიერ ძლით სადამე[13] არწმუნა ბერმან კაცმან მათ განშორებაჲ მისგან. ხოლო იგინი მომნადირებელნი სხუათა ნადირთანი წარვიდეს სახიდ[15] თჳსა და განთქუეს ყოველსა მას დაბასა შინა, რომელი იხილეს და ესმა წმიდი-

Ⴀ [1] თქუენ] აქაჲთ B'. [1a] ჩ˝ისათ˝ს B'. [2] იგინი] იგი B'. [3] მათი]—B'. [3a] ვიქცეთ B'. [4] საყოფლად B'. [5] სადმე B'. [6] განთქუჱს B'. [7] მორბიოდე B'.

Ⴁ [1] ჴორცთა C. [2] განცჳბრებასა CE. [3] ღმრთისა] ღ˝ჲ CD. [4] მოთმენაჲ CD. [5] სამწყსოჲსა C. [6] ვისწავოთ C. [7] ღმერთსა E. [8] მათ]—E. [9] ყ˝დ C. [10] განყენებული DE. [11] ნაკლულევანისა C. [12] მოწყალებასა E] მოწყინებისა C. [13] სადმე C. [14] სახედ E. [15] იგინი DE.

Ⴀ

და ევედრებოდეს, რაჲთა ღირს ყვნეს ყოფად იგინი წინაშე მისსა[1]. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ძმანო, ადგილი ესე საჭირო არს და არარაჲ ნუგეშინის-საცემელი[2] ჴორცთაჲ იპოების ადგილთა ამათ. და იგინი ევედრებოდეს და ეტყოდეს: ნუ განგჳტეობ, წმიდაო მამაო, და უკუეთუ იქმნეს სიკუდილი ჩუენი შენ წინაშე, არავე გჳჩნდეს სიკუდილად. და ვითარ ვერ დაარწმუნა, ჰრქუა მათ: ვინაჲთგან დაგიც ღმრთისა მიმართ სასოებაჲ, წარვედით და მოიხუენით[3] სათხარნი და თხარენით ლაკუანი საწყლენი და ქუაბიცა[4] საყოფელად თქუნდა.

Ⴁ

სა დავითის მიერ და ყოვლით კერძო აღძრულნი საღმრთოჲთა სურვილითა მორბიოდეს წმიდისა ამის მამისა მიმართ ხილვად და შემთხუევად მისდა. და უმრავლესნი მათგანნი ევედრებოდეს მას, რათა უტევნეს დადგრომად მის თანა. ხოლო იგი[1] მიუგებდა[2] მათ: ძნელ არს და საჭირო ადგილი ესე, ძმანო, რამეთუ ყოვლითურთ უნუგეშინისცემო არს და არცა რაჲ საზრდელი მოირეწების ვინავე ჭამადისა მოქენეთა ჴორცთათჳს, და ვმოშიშებ, ნუსადა ვერ შეუძლოთ მოთმენაჲ იწროებასა ამას[3] უდაბნოჲსასა. ხოლო იგინი ნაცვალად[4] ეტყოდეს: მამაო წმიდაო, დალაცათუ იქმნეს სიკუდილი ჩუენი შენ თანა სიყმილისა მიერ გინათუ წყურილისა, ყოვლადვე არად შევჰრაცხოთ[5] იგი, რამეთუ ყოველივე ჭირი და იწროებაჲ მოწევნული ჩუენ ზედა სიყუარულისათჳს ქრისტესისა წადიერებით მოვითმინოთ წმიდათა[6] ლოცვათა შენთა მინდობითა. ხოლო ვინაჲთგან ვერ შემძლებელ იყო დარწმუნებასა მათსა ამათ სიტყუათა მიერ, რამეთუ განჴურვებულ იყვნეს გულნი მათნი ქრისტეს უღელსა ტკბილსა აღებად მჴართა ზედა და შედგომად მისსა, ეტყოდა მათ[7] კუალად სანატრელი იგი მამაჲ: აწ უკუე, ვინაჲთგან დასდევით სასოებაჲ თქუენი ღმრთისა მიმართ მხოლოჲსა და მნებებელ ხართ ტჳრთვად მცნებათა მისთა სოფლისა და მსოფლიოთა ყოველთაგან ჯმნითა[8], რომლისა სრულ ყოფაჲ თავადმან უფალმან მოგეცინ თქუენ შეუბრკოლებელად. ხოლო აწ წარვედით და მოიხუენით რკინანი სათხარნი, რათა აღმოჰკუეთნეთ ლაკუანი წჳმისა შემწყნარებელნი სასუმელად თქუენდა და თანად გამოიკუეთნეთ[9] ქუაბნიცა საყოფელად თქუენდა ყინელისა და წჳმათა სიმძაფრისაგან[10] შემცველნი სხეულისანი.

Ⴀ [1] ოწინაშე მისსა იგინი B′. [2] ნუგეშინის-ცემაჲ B′. [3] მოიხუწნით B′. [4] ქუაბნი B′.

Ⴁ [1] მიუგებდეს DE. [2] იწროებისა ანის C. [3] ნაცულად DE. [4] შეჰვრაცხოთ CD. [5] წმიდათა] —E. [6] მათ] —C. [7] ჯმნითა] + კეთილ წინა აღრჩევისა თქუენისა C. [8] გამოიკუეთნენ CD. საფარველთაგან C. [10] შემოუცველნი C.

Ⴀ

ხოლო იგინი[1] ერჩდეს და ყვეს ბრძანებისაებრ მისისა. და ვითარცა განმრავლდეს ძმანი და ესმა ჰანბავი[2] მისი წმიდასა და ღირსსა მამასა[3] დოდოს, მოვიდა იგიცა წინაშე მამისა დავითისსა და მოიკითხნეს ურთიერთას[4].

და ვითარცა წარჴდეს მცირედნი დღენი შემოკრიბა სიმრავლე[5] სხუათაცა ძმათაჲ და ჰრქუა დავით მამასა დოდოს: წარვედ, ძმაო, რქასა ამის[6] კლდისასა, რომელ არს პირისპირ ჩუენსა, და წარიტანენ თანა სხუანიცა ძმანი, რამეთუ წადიერ არიან, რაჲთა გარე ისჯებოდიან ჴორცითა სულთა მათთა ცხორებისათჳს. და ერჩ-

Ⴁ

ხოლო იგინი ერჩდეს ბრძანებასა მისსა და წარსრულთა მოიხუნეს ბრძანებულნი მათთჳს, და აღმოკუეთნეს ლაკუანი შემწყნარებელად წყალთა, ქუაბნი საყოფელად მათდა, რომელთაცა შინა დაემკჳდრნეს სიმრავლენი მამაკაცთანი უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემტკბობელნი, რამეთუ დღითი-დღე შეეძინებოდა რიცხუსა მათსა სიმრავლე ფრიადი[1]. ესრეთ განჴდა რაჲ სიტყუაჲ ამის წმიდისათჳს ყოველსა მას გარემო[2] სოფლებსა, არა მხოლოდ მახლობელთა, არამედ შორს მყოფთაცა[3] მიმართ, შემოკრბებოდეს ყოვლით კერძო სურვილით თანა-აღრიცხვად არვესა ქრისტეს სამწყსოთასა. ხოლო მას ჟამსა შინა[4] ისწავა სანატრელმან დოდოს წმიდისა დავითისთჳს, რომელი იყო ღირსი და სათნოებითა შემკობილი მონაზონი, რომელსაცა ესმა რაჲ ამის წმიდისა საქმეთათჳს და ვითარმედ მრავალნი სულისა ცხოვრებისათჳს[5] მოსწრაფენი შეკრბებიან მისა მიმართ, აღიძრა ესეცა საღმრთოჲთა სურვილითა და მოსწრაფებით[6] მოვიდა მისა მიმართ და მოკითხვასა მიმთხუეულნი ურთიერთას[7] ერთბამად იყოფებოდეს რაოდენთამე დღეთა მოხარულნი სულითა ესრეთ აღორძინებისათჳს ქრისტეს სამწყსოთასა.

ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა იხილა რაჲ ნეტარმან მამამან დავით სიმტკიცე და სიმახვლე საღმრთოთა[8] შინა დოდოჲს გონებისა, თქუა[9] მისა მიმართ: მამაო დოდო, ვინაჲთგან ღმერთსა,[10] რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრებაჲ და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა[11] მოსლვაჲ, ინება და ამათცა უდაბნოთა აღშენებაჲ ღმერთმან საცხოვრებელად სულსა მრავალთასა და წადიერ არიან ძმანიცა ესე დამტევებელნი სოფლისანი შორს

Ⴀ [1] იგი B'. [2] ჰამბავი B'. [3] მამასა]—B'. [4] ურთიერთარს B'. [5] შემოკრიბა სიმრავლე] შემოკრებულნი ვლე B'. [6] იმის B'.

Ⴁ [1] ფრიად D. [2] გარემოს D. [3] მყოფთა C. [4] შინა]—C. [5] ცხოვნებისათჳს C. [6] მოსწრაფებითა E. [7] ურთიერთარს D. [8] საღმრთოსა D. [9] თქუა] და თქუა C. [10] ღმერთმან CD. [11] ჭეშმარიტისა D, ჭეშმარიტებისად C]+და D.

Ⴀ

და ბრძანებასა მისსა წმიდაჲ დო-დო და წარვიდა და აღაშენა უდაბ-ნოჲ იგი[1] სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობელისასა[2] და სადი-დებელად მამისა და ძისა და წმი-დისა სულისა და დღითი-დღე შე-ეძინებოდა სიმრავლე ძმათაჲ და ყოველნი ზოგად ადიდებდეს ღმე-რთსა.

Ⴁ

თჳსთა და ნათესავთაგან გარე სჯად უდაბნო-თა ადგილთა შინა ჴორცთა[1] მათთა ცხოვ-რებისათჳს და სასჯელთა მერმეთაგან გამო-ჴსნისა სულთა მათთასა, ნუცა ჩუენ უდებ ვიქმნებით უზრუნველობასა მაჩუენებელნი სარ-გებელისათჳს მათისა, არამედ აღვედ რქასა იმას კლდისასა, რომელი აღმართებულ არს პირისპირ ჩუენსა და წარიყვანენ[2] შენ თანა[3] სხუანიცა ძმათაგანნი, რათა აღეშენოს მუნცა სამკჳდრებელი და საყოფელი ძმათაჲ და ქა-ლაქი დასამკჳდრებელი[4] ღმრთისა მონათა, იქმნეს უდაბნოჲ და უვალი ადგილი სადიდე-ბელად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა[5] და საქებელად ყოვლად წმიდისა და ღმრთის მტჳრთველისა ქალწულისა მარიამისა. ხოლო ნეტარი დოდოს ერჩდა ბრძანებასა ბერისასა და აღვიდა თავსა პირველ თქუმულისა კლდი-სასა მის თანა მიმყვანებელი სხუათაცა ძმა-თაჲ; და მოსწრაფებით ჴელ-ყო შენებად ად-გილსა მას ქუაბთა[6] გამომკუეთელმან და ლა-კუათა სიმრავლისა აღმომჭრელმან[7] და მცი-რესა ჟამსა შინა აღსავსე იქმნა სიმრავლისა მიერ მარტოდ მცხოვრებელთაჲსა ყოველი იგი უდაბნოჲ. რამეთუ ყოველი იგი გარემოჲ-სა[8] დაბნები მსმენელი საკჳრველებათა და მადლთა, რომელთა მიერ განმდიდრებულ და განშუენებულ იყო ნეტარი დავით, მოსწრა-ფებით მიიწეოდეს[9] მუნ და სამწყსოსა მისსა[10] ქუეშე დაწესებასა აღირჩევდეს და სახლადმი ღმრთისა მივრდომასა ვიდრეღა რაჲ კუა-ლად უკუნქცევითა დამკჳდრებად საყოფელ-სა ცოდვილთასა.

ხოლო წმიდაჲ მამაჲ დავით დღითი-დღე განვიდის პარეხთა[3] კლდეთასა და მარტოჲ მყუდროე-ბით აღასრულებდა წმიდათა ლოც-ვათა და ოფლთა[4] და ცრემლთა[5]

ხოლო წმიდაჲ დავით დღითი-დღე გან-ვიდოდის ნაპრალთა[11] მიმართ კლდეთასა და მყუდროებით თჳსაგან აღმასრულებელი ლოცვათა მხოლოჲ მხოლოსა ზრახვიდის გო-ნიერად, რათა არა ებაძოს[12] ესეცა მას ზუა

Ⴀ [1] იგი]—B'. [2] მშობელისა B'. [3] პარეხსა B'. [4] და ოფლთა] მათთა B'. [5] ცრემლთაჲ B'.

Ⴁ [1] სულთა E. [2] წარიყვანე C. [3] შენ თანა]—C. [4] ქალაქ დასამკჳდრებელ CDE [5] ქრის-ტესსა CD. [6] ქუაბსა E. [7] აღმომთხრელმან C. [8] გარემოსი CD. [9] მიიწეოდის C. [10] მისისა CE. [11] ნაპრალებთა CDE. [12] ებაძოს]—CD.

Ⴂ

ნაკადულითა რწყვიდა უდაბნოთა მათ. და დღესა ერთსა ესრეთ რაჲ ილოცვიდა იგი, მოვიდა ბარბაროზი ვინმე ნათესავით ადგილთაგან რუჲსთავისათა[1] და ინადირობდა ნადირთა. და მიუტევა ქორი კაკაბსა მახლობელად ადგილსა მას, სადა ილოცვიდა წმიდაჲ დავით. და კაკაბიცა[1a] იგი მივლტოდა ბერისა და დაჯდა იგი ფერჴთა თანა მისთა, ხოლო ქორი მახლობელად მისა[2]. და ესე იქმნა განგებითა ღმრთისაჲთა, რაჲთა მონადირე იგი მოინადიროს მოწყალებითა თჳსითა. ხოლო ბარბაროზი იგი მიისწრაფდა, რაჲთა მოუღოს კაკაბი ქორსა[3] მას. და ვითარცა იხილა წმიდაჲ იგი მდგომარე ლოცვასა შინა და კაკაბი იგი ფერჴთა წმიდისა მის თანა მჯდომარე, დაუკჳრდა ბარბაროზსა მას და ჰრქუა: ვინაჲ ხარ შენ?

Ⴃ

ობით ნჩემებელსა კეთილთა[1] საქმეთა მოქმედებისა და[2] საანჯმნო[3] ქმნა[4] უდაბნოთა ზედა, რათამცა ჩუენებულ[5] იყო იგი კაცთათჳს მმარხველად გინა მლოცველად. არამედ საუნჯეთა შინა გულისათა მარტოებით მამისა მიმართ ზეცათასა ილოცვიდის სამარადისოდ[6] განბანელი პირისა ცრემლთა მიერ დამალტობელი იატაკისა ნაკადულთა მიმართ[7] თუალთა[8] მისთაგან შთამომდინარეთა. ამას წესსა აღასრულებდა სამარადისოდ ყოველსავე ზრუნვასა ჴორცთასა დამვიწყებელი ნეტარი დავით. ხოლო დღესა ერთსა აღვიდოდა რაჲ ნეტარი თავსა მის მთისასა, სადა იგი მკჳდრ იყვნეს ძმანი, ჩუეულებისაებრ დადგა იგი ჴელ-განპყრობით ლოცვად ქუეშე კერძო ძირსა რომლისამე კლდისასა. და ვითარ იგი ილოცვიდა, იხილა კაკაბი, ლტოლვილი ქორისაგან და შევრდომილი ფერჴთა მისთა და ქორიცა დაჯდომილი მახლობელად მისა, რამეთუ ბარბაროზი ვინმე აღმოსრულ იყო ნადირობად ნადირთა მათ შინა, და მახლობელად წმიდისა მოწევნულსა განეტევა ქორი კაკბისა[9] მიმართ, რომელიცა წყალობის მოყუარემან ღმერთმან მეძიებელი პირუტყუთა ცხოველთაჲ თჳთ სიტყჳერებითა პატივ-ცემული ცხოველი მომნადირებელ ყო ამის კეთილისა სულთა მონადირისა მიერ და ბადეთა მიერ საღმრთოთა მოძღურებათასა ჴელთ გდებულ ყო იგი, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, განმტევებელი ქორისა მოსწრაფებით მირბიოდა ცხენითა გამოღებად ქორისაგან სანადიროჲსა. ხოლო მახლობელად მისრულმან ვითარცა იხილა წმიდაჲ იგი ლოცვად მდგომარე და კაკაბი მდებარე ფერჴთა თანა ბერისათა და კუალად მახლობელად მისა მდგომარე[10] ქორი, განკჳრვებულ იქმნა ფრიად და განცჳფრებული იტყოდა მისა მიმართ,

Ⴂ [1] რუისთ˝ვისათა B'. [1a] კაკაბი B. [2] მახლობელად მისა] მ˝ღლდ მისსა B'. [3] ქორსა] ცხორსა B'.

Ⴃ [1] კეთილსა D. [2] და]—CE. [3] საამჯნო D. [4] ქმნასა E. [5] ჩუენებით E. [6] სამარადისოდ]+და C. [7] მიერ C. [8] თ˝ლთა C, უჲლთა D. [9] კაკაბისა DE. [10] მჯდომარე C.

Ⴀ

მიუგო მან სომხურითა ენითა: მე კაცი ვარ ცოდვილი მონაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და ვევედრები მოწყალებათა მისთა, რაჲთა მომიტევნეს[1] ცოდვანი ჩემნი და რაჲთა მყუდროებით და უშფოთველად განვლო წუთი ესე ცხორებაჲ ჩემი. და კუალად[2] ჰრქუა: ვინაჲ არს აქა მზრდელი და[3] ნუგეშინის-მცემელი შენი? და[4] მიუგო მან და ჰრქუა: რომელსა-იგი მე ვესავ და თაყუანისვსცემ, იგი არს მზრდელი და ნუგეშინის-მცემელი ყოველთა შექმნულთა და დაბადებულთა მისთაჲ და მის მიერ იზარდებიან ყოველნი კაცნი და ყოველნი პირუტყუნი და ყოველნი მცენარენი, მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღჳსანი და აჰა ესერა კაკაბიცა ესე ლტოლვილი შიშისაგან ქორისა შენისა მოივლტის ჩემ ცოდვილისა მონისა ქრისტესისა, და შენ წარვედ და სხუაჲ ნადირი ინადირე, რამეთუ ესე დღეს ჩემდა შემოხუეწილ[5] არს, რაჲთა განერეს სიკუდილისაგან. მიუგო ბარბაროზმან მან და ჰრქუა: მე მოკუდინებაჲ შენი მნებავს და შენ ვითარ[5a] განარინო კაკაბი სიკუდილისაგან!?

ხოლო წმიდამან დავით ჰრქუა: არა ჴელ-გეწიფების სიკუდილი ჩემი და არცა კაკბისაჲ ამის[6], რა-

Ⴁ

ვინ[1] ხარ შენ, ჵ კაცო, და სადაჲთ მოწევნული ადგილთა ამათ შინა დამკჳდრებულ ხარ?

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა მას[2] სომხურითა ენითა: მე მონა ვარ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ვევედრები მოწყალებათა მისთა მოტევებად ცოდვათა ჩემთა სიმრავლესა და რათა უშფოთველად ღირს მყოს წარსლვად წუთისა ამის საწუთოჲსა. ხოლო ბარბაროზი იგი კუალად ჰკითხვიდა მას: და ვინაჲ აქა შინა მზრდელი შენი და ნუგეშინის-მცემელი? ხოლო დიდი იგი ეტყოდა: რომელსა-იგი მე ვესავ და თაყუანისვსცემ, იგი არს მზრდელი და მოურნე ჩემი და თანად[3] ყოველთა ქმნულთა და დაბადებულთა თჳსთა, რაოდენნი ქუეყანასა ზედა და ზღუათა და ჰაერთა შინა იყოფებიან. ხოლო შენ დამტევებელი ცხოველისა ამის მფრინველისა, რომელი მოივლტოდა ჩემ ცოდვილისა მიმართ, სხუათა სანადიროთა მიმართ წარვედ, რამეთუ ესე დღეს ჩემდა მოლტოლვილ[4] არს, რათა განერეს ჴელთაგან სიკუდილისათა. ხოლო ზუაკი იგი ბარბაროზი (და უფროჲსღა მერმეცა სულითა ბარბაროზი[5]) ჰუნესა ზედა მჯდომარე სილაღით ეტყოდა წმიდისა მიმართ: ჵ საწყალობელო ბერო, მე მოკუდინებაჲ შენი მეგულვების და შენ განრინებასა მეტყჳა ამის მფრინველისასა სიკუდილისაგან? თანამდებ-იყო შენდა უწინარეს თავისა თჳსისათჳს ვედრება ჩემთჳს, ვიდრელა ამის მფრინველისათჳს.

ხოლო მშჳდი იგი და აღუშფოთებელი[6] გონებითა მყუდროებით მიუგებდა: არა გაქუს არცა ერთი ჴელმწიფებაჲ მოკუდინებად

Ⴀ [1] მომიტევნეს]+ყოველნი B'. [2] კუალად]—B'. [3] და] ანუ B'. [4] და]—B'. [5] შემოხუეწილ BB'. [5a] ვერ B'. [6] კაკაბისაჲ ამისთჳს B'.

Ⴁ [1] ვინაჲ C. [2] მას]—E. [3] თანა D. [4] მოვტოლვილ D. [5] და უფროჲსღა მერმეცა სულითა ბარბაროზი]—C. [6] აღუშფოთველი CE.

Ⴀ

მეთუ უფალი ჩემი ჩემ თანა არს და იგი არს ჴელის ამპყრობელი ჩემი[1].

და სიტყუასა მას ზედა ბერისასა ბარბაროზმან მან მჯდომარემან ჰუნესა[2] ზედა იწუადა ჴრმალი, რაჲთა სცეს ქედსა წმიდისა დავითისსა. და ვითარცა აღიღო ჴელი, მეყსეულად შეჰჴმა იგი და იქმნა[3] ვითარცა შეშაჲ. მაშინ გულისჴმა-ყო ბარბაროზმან მან უკეთურებაჲ თჳსი[4] და გარდაჰჴდა ჰუნესა[5] და დავარდა ფერჴთა თანა ბერისათა და ცრემლით ევედრებოდა, რაჲთა მიუტეოს ცთომილებაჲ[6] იგი მისი.

მაშინ შეეწყალა იგი წმიდასა დავითს და ევედრებოდა[7] უფალსა და თქუა: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი მოხუედ[8] ცხორებად ნათესავისა კაცთაჲსა[9], სახიერო და მოწყალეო,[10] რომელმან განჰკურნე ჴელი იგი

Ⴁ

ჩემდა, გინათუ განტევებად, და არა მხოლოდ ჩემდა, არამედ არცა უნდოჲსა ამის მფრინველისა, რამეთუ ღმერთი ჩემი შემწე ჩემდა არს და მან დამიცვას მე უვნებელი ქადებათა შენთაგან.

ამათმან მსმენელმან ბარბაროზმან იჴადა[1] მახჳლი მრისხანებით, რათა სცეს ქედსა წმიდისასა. ხოლო ვითარცა აღიღო ჴელი თჳსი სიმაღლედ (ეჰა წყალობათა შენთა მსჯავრსა. ქრისტე! რამეთუ) მეყსეულად ჰაერთა შინა განმარტებულად დაადგრა მარჯუენე მისი და ყოვლითურთ მოუდრეკელ იყო იგი, ვითარცა შეშაჲ, რამეთუ ძჳნად მართლისა ყოვლად უმსჯავროდ განმარტებულ იქმნა მაშინღა ძნიად სადამე[3] გულისჴმის[2]-მყოფელი ცთომილებისა თჳსისაჲ, ზუავი იგი ბარბაროზი ყოვლითურთ სიმდაბლესა[4] შემოსილ[5] იყო მონებრივსა და ძრწოლისა მიერ შეპყრობილი, გარდამოვარდა ცხენისაგან თჳსისა და შევრდომილი ფერჴთა ბერისათა ცრემლით და·ლტობდა მათ[6] მჴურვალითა სულთქმითა და გოდებით, მვედრებელი სულით გამო, რათა მიუტეოს მას ცთომილებაჲ მისი და ლმობიერითა სულითა ტირილით იტყოდა: ჵ მონაო ღმრთისა სახიერისაო, სახიერ იქმენ ჩემ ზედა საწყალობელისა ამის და უქმებასა[7] თანა მარჯუენისა ჩემისასა განმკურნე მრჩობლ კერძოვე სნეული სულით და ჴორცით და მომიტევე მე ცთომილებაჲ ესე, რომელი ვიმოქმედე შენდა მიმართ უგუნურებით.

ამათ სიტყუათა მიერ საწყალობელთა ბარბაროზისათა მოწყალე ქმნილი მოწყალისა ღმრთისა მოწაფე დავით ლმობიერ[8] იქმნა სულითა და აღმპყრობელი ჴელთაჲ ცად მიმართ ილოცვიდა ღმრთისა მიმართ: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, სახიერო და კაცთ მოყუარეო, რომელმან[9] შეიწყალე მვედ-

Ⴀ [1] ჩემი]—B. [2] ჰონესაჲ B. [3] იქმნაჲ B'. [4] თჳსი] მისი B'. [5] ღონესა B'. [6] ცთომილობაჲ B'. [7] ევედრა B'. [8] მოხუჱ B'. [9] კაცთასა B'. [10] მწ̃ყლოჲ B'.

Ⴁ [1] იწოდა D, იწუადა C. [2] სადმე C. [3] გულისხუმის C. [4] სიმდაბლეს C. [5] შემომოსელ C. [6] მას E. [7] უქმობასა C. [8] ლმობილ C. [9] რამეთუ D.

Ⴂ

განჴმელი, შენვე, მეუფეო, რომელმან ესე იკადრა აღებად ჴელი უღირსსა ზედა მონასა შენსა, მოვედინ აწცა მადლი და წყალობაჲ შენი და განკურნე ჴელი ესე განჴმელი ბარბაროზისაჲ, რაჲთა გულისჴმა-ყოს და გიცნას შენ და ადიდებდეს სახელსა[1] შენსა.

და მიყო ჴელი მისი წმიდაჲ და შეახო რაჲ, მეყუსეულად განიკურნა შეწევნითა ღმრთისაჲთა. და ვითარცა იხილა დიდებულებაჲ ღმრთისაჲ ფრიად,[2] იწყო ვედრებად მისსა ცრემლითა მკურვალითა და ეტყოდა წმიდასა დავითს: მონაო ღმრთისა ცხოველისაო, არს სახლსა შინა ჩემსა ძე ჩემი კოჭლი ორითავე ფერჴითა, რომელი ყოვლად ვერ შემძლებელ არს[3] ზე აღდგომად და აწ ვესავ სიწმიდესა[4] თქუენსა, რაჲთა ევედრო უფალსა შენსა მისთჳს და უკუეთუ[5] განიკურნოს იგი, უმეტეს იდიდოს სახიერებაჲ მისი და ყრმაჲ იგი მოვიყვანო წინაშე სიწმიდისა თქუენისა, რაჲთა იკურთხოს იგი თქუენ მიერ, და მე და ყოველთა სახლეულთა ჩემთა თაყუანის-ვსცეთ სახელსა ქრისტეს ღმრთისასა და მოვიღო წინაშე თქუენსა ფრიადი საჭმარი და ნაყოფთაგან სახლისა ჩემისათა იშუებდე[6] შენ და ყოველნი შენთანანი. მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა: წარვედ სახედ შენდა და უკუეთუ ენებოს

ფ.

რებელი იგი შენი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა და კურნებაჲ მიანიჭე მას, აწცა შენ მეუფეო, განკურნე ჴელიცა საწყალობელისა ამის ბარბაროზისა, რომელმან სილაღით აღილო მარჯუენე თჳსი ჩემ ზედა უღირსისა ამის მონისა შენისა, რათა გულისჴმა-ყოს და გიცნას შენ ღმერთი მხოლოჲ მოქმედი საკჳრველებათა და ნიშთა და ადიდებდეს სახელსა შენსა უკუნისამდე.

ამის ლოცვისა სრულ მყოფელმან მიყო ჴელი თჳსი და შეახო მარჯუენესა მის ბარბაროზისასა და მყის[1] შინა განიკურნა იგი და მოეგო ვითარცა მეორე იგი ჴელი. ხოლო ბარბაროზი იგი, მიმთხუეული კურნებისა, განკჳრვებულ იქმნა ფრიად დიდებულებათა[2] ზედა ღმრთისათა და მრავლად მადლობასა შესწირვიდა მისა ესევითართა სასწაულთა და ძალთა ხილველი მონისა მისისა დავითის მიერ. ამისა შემდგომად კუალად[3] იწყო ტირილით[4] ვედრებაჲ წმიდისა მიმართ და იტყოდა: მონაო ღმრთისა ცხოველისაო, არს სახლსა შინა ჩემსა[5] ძე ჩემი კოჭლი ჴელით და ფერჴით და ყოვლითურთ ვერ შემძლებელი ზე აღდგომად, აწ უკუე გევედრები, რათა ევედრო შენ უფალსა შენსა მისთჳს, რამეთუ მრწამს, ვითარმედ[6] ისმენს შენსა, ვითარ სარწმუნოჲსა მონისასა, და უკუეთუ განიკურნოს იგი, უმეტესად იდიდოს სახიერებაჲ მისი და მიბრძანო თუ, მოვიყვანო ყრმაჲ იგი წინაშე სიწმიდისა თქუენისა, რათა მიიღოს შენ მიერ კურთხევაჲ და მე და ყოველმან ნათესავმან ჩემმან შეწყნარებულთა[7] ნათლის-ღებისათა თაყუანის-ვსცეთ უფალსა შენსა და ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყოვლად[8] დიდებულსა სახელსა მისსა უკუნისამდე. და ვიყო მე მსახურ სიწმიდისა

ფ. [1] ღ̃თეებასა B: [2] ფრიად] კუალად B'. [3] არს]—B'. [4] სიწმიდესა] წმიდასა ლოცვასა B'. [5] უკეთუ B'. [6] იშუებდე B'.

ფ. [1] მყისსა E. [2] დიდებათა D, დაბადებულთა C. [3] კუალად]—E. [4] ცრემლით C. [5] ჩემსა შინა CD. [6] ვითარმედ]—C. [7] შეწყნარებითა E. [8] ყ̃ა D.

Ⴂ

ღმერთსა, ჰპოო ძე შენი განკურნებული.

ხოლო იგი წარვიდა განმხიარულებული სახედ თჳსად, რამეთუ ნადირიცა ფრიად ენადირა. ხოლო ვითარცა მიიწია იგი სახიდ თჳსად (ეჰა დიდებულებათა შენთა, ქრისტე! რამეთუ) ყრმაჲ იგი კოჭლი ბლუნვით მავალი სიხარულით წინა მიეგებვოდა მამასა მას თჳსსა. და ვითარცა იხილა იგი მამამან მისმან მრთელი და ყოვლითურთ უნაკლულოჲ, გარდაჰჴდა* ჰუნესა[1] და მადლობაჲ შეწირა ღმრთისა. და ვითარცა შევიდა ტაძართა თჳსთა, ჰკითხა მეუღლესა და სახლეულთა: რომელსა ჟამსა განიკურნა ყრმაჲ ესე? მიუგეს მას და ჰრქუეს[2]: დღეს მესამესა ჟამსა აღდგა ეგე და ხლდომით[3] ვიდოდა ვითარცა ქურციკი. ხოლო მოეჴსენა მას, რამეთუ მას ჟამსა ჰრქუა მას ბერმან, ვითარმედ: ენებოს ღმერთსა, განიკურნოს ყრმაჲ იგი შენი. და ყოველივე, რაჲცა ექმნა და ეთხრა მისდა წმიდასა დავითს, წარმოუთხრა მან. და ყოველნი ზოგად ადიდებდეს ღმერთსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა.

Ⴁ

შენისა საჴმართა მიერ ჩემთა. ხოლო წმიდაჲ დავით, ვითარ ოდესმე ჩემი იესუ იაიროსის[1] მიმართ, ეგრეთვე ესე ბარბაროზისა მიმართ იტყოდა: წარვედ სახიდ შენდა და ვითარცა გრწმენა, გეყოს შენ სიტყჳსაებრ შენისა, რამეთუ ჰპოვო შენ ძე იგი შენი განკურნებული და ყოვლითურთ მრთელი და უნაკლულო მესამესა ოდენ ჟამსა დღისასა.

ხოლო იგი წარვიდა აღვსებული ფრიადითა სიხარულითა მადიდებელი ღმრთისაჲ ესევითართა სასწაულთა საკჳრველთა ხილვისათჳს და ვითარცა მიიწია სახიდ თჳსად, ჵ უცხოჲ საკჳრველი და დიდებული, რამეთუ ძე იგი მისი კოჭლი და უწინარეს სხუათა მიერ მიმოსაყვანებელი[2] სიხარულით და ხლდომით მიეგებოდა მამასა თჳსსა, რომელიესე იხილა[3] ბუბაქარ (რამეთუ ესე იყო სახელი კაცისა მის), გარდამოსრული ცხენისაგან მადლობასა შესწირვიდა უფალსა. ხოლო ვითარცა შევიდა სახლად, ჰკითხვიდა იგი მეუღლესა თჳსსა და სახლეულთა თჳსთა, თუ რომელსა ჟამსა განიკურნა ძე იგი მისი. ხოლო იგინი ეტყოდეს, ვითარცედ: დღეს ჟამსა ოდენ მესამესა[4] დღისასა. ამათი მსმენელი მამაჲ ყრმისაჲ ჰმადლობდა ღმერთსა და მონასა მისსა დავითს, რომლისა ლოცვითა და ვედრებითა მიემთხჳა იგი ძისა თჳსისა განკურნებასა; და ყოველივე, რაოდენი შეემთხჳა და ესმა და იხილა ბერისაგან, წარმოუთხრა სახლეულთა თჳსთა. და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა ყოველთა მიერ. და რომელთა ესმა უცხო ესე დიდებული, ერთბამად ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა საკჳრველებათასა.

Ⴂ [1] ჰუნესა] ლონესა B. [2] ჰრქუეს]+მას B′. [3] ხლტომით B′. * ამაზე წყდება B ხელნაწერი.

Ⴁ [1] იაიროს CD. [2] მიდმოსაყვანებელი CD. [3] იხილა]+რაჲ C. [4] მეორესა D.

Ⴀ

და ვითარცა განთენა, აჰკიდა საჴედართა ფრიად საჭმარი: პური და ღჳნოჲ, თევზი და ხილი მრავალ-ფერი და წარვიდა მამისა დავითისსა. და თანა ჰყვა ძეცა იგი განკურნებული და ორნი ძენი სხუანი. და ვითარცა მიიწივნეს იგი(ნი) ადგილსა მას მოჴსენებულსა. და ვითარცა ბერი ვერ იხილა, შეუძნ[დ]ა ფრიად და ჰრქუა მონასა, რაჲთა იძიოს[1] იგი. და ვითარცა შთავიდეს ქუემო[2] კერძო, პოვეს იგი სხუასა თანა. მოვიდეს და აუწყეს მას. ხოლო იგი სიხარულით შთავიდა ბერისა, დავარდა ფერჴთა თანა მისთა წმიდათა, ცრემლით ეტყოდა: ჭეშმარიტად გპოვე მკურნალი სულთა და ჴორცთაჲ; და აჰა ესერა წინაშე თქუენსა დგას ყრმაჲ იგი უფერჴო, ხოლო დღეს ლოცვითა თქუენითა განკურნებული და უვნებელი, და სხუანიცა ესე ორნი ძენი ჩემნი მომიყვანებიან წინაშე სიწმიდისა თქუენისა, რაჲთა შეეხნენ სამოსელსა შენსა და იკურთხნენ შენ მიერ.

Ⴁ

ხოლო ვითარცა განთიადი[1] იქმნა, ალტჳრთნა საჴედარნი ფრიადითა საჭმრითა[2] და პურითა და მხლითა[3] და წარვიდა წმიდისა მის ბერისა მის[4] თანა[5] წარმყვანებელი განკურნებულისა მის შვილისა მისისა[6] ორთა სხუათა ძეთა თანა[7] მისთა, და მიწევნილმან ადგილსა მას პირველ ჴსენებულსა ვითარცა ვერ იხილა ბერი, შეწუხნა ფრიად და უბრძანა მონათა თჳსთა[8] ძიებაჲ მისი[9]. ხოლო იგინი მეძიებელნი ყოვლით კერძო და ვერ მპოვნელნი[10] შთავიდოდეს[11] ქუეშე კერძო მის ადგილისა, სადა-იგი პოვეს სხუათა მათ თანა ძმათა შეკრებულთა; და უკუმოქცეულთა აუწყეს[12] უფალსა თჳსსა. ხოლო იგი შთავიდა ბერისა მიმართ და მოსწრაფებით შეუვრდა ფერჴთა მისთა და ცრემლით იტყოდა მისა[13] მიმართ: ჭეშმარიტად გპოვე შენ მკურნალი სულთა და ჴორცთაჲ, მონაო ღმრთისაო, რამეთუ ყრმაჲ იგი ჩემი განჴმელი ჴელით და ფერჴით, აჰა ესერა წინაშე შენსა მდგომარე არს ყოვლითურთ უვნებელი[14], რომლისათჳსცა აწ აქა წარმომიდგენიეს[15] ესე ორთა თანა ძმათა მისთა, რათა კურთხევასა შენ მიერსა მიემთხჳნენ.

Ⴀ

ხოლო მან დასდვა წმიდაჲ ჴელი მისი და ჰრქუა: ღმერთმან, რომელმან აკურთხა იაკობი, მანვე სახიერმან გაკურთხნეს და შვილ წმიდისა ენბაზისა გყვნეს თქუენ. და ვითარცა მოიკითხნა იგინი, უბრძანა ბუბაქრ მონათა თჳსთა (რამეთუ ესე იყო სახელი ბარბაროზისაჲ მის), რაჲთა მიუძღუა-

Ⴁ

ხოლო მან განმმარტებელმან მარჯუენისა ჴელისამან თავთა მიმართ მათთა, თქუა[16]: ღმერთმან,[17] რომელმან აკურთხა აბრაჰამ ისაკის თანა და იაკობის თანა,[18] გაკურთხ[ნ]ეს თქუენ და შვილ ნათლისა და დღისა გამოაჩინნეს წმიდისა ნათლის-ღებისა მიერ. ამისა შემდგომად დასხდეს იგინი ურთიერთას მომკითხველნი. ხოლო ბუბაქარ ჰრქუა მონათა თჳსთა, რათა მოიღონ ყოველივე იგი

Ⴀ [1] იძინო B'. [2] ქუშმო B'.

Ⴁ [1] განთიად C. [2] საჭმარითა C. [3] მჴლითა E. [4] მის CE]—D. [5] თანა] მისთა D. [6] თჳსისა C]+და C. [7] თანა]—CD. [8] ძიებაჲ მონათა მისთა C. [9] მისი]—C. [10] მპოვნელი CD. [11] შთავიდეს C. [12] აუწყეს] რ˝ა აუწყოს C. [13] მისსა CE. [14] შეუგინებელი C. [15] წარმომიდგინეს D. [16] თქუა]—CD. [17] ღმერთმან]+თქუა CD. [18] თანა] მან CD.

Ⴀ

ნონ ბერსა ყოველი, რაოდენი[1] მოელო მისთჳს. ხოლო ბერმან შეკრიბნა ყოველნი ძმანი და ჭამეს და სუეს[2] და განძღეს. და ვითარცა აღდგეს სერობისაგან და ჰრქუა მამამან დავით ბუბაქრს: რაჲ გნებავს შენ აწ, რაჲთა გიყოთ შენ? ხოლო იგი ევედრებოდა, რაჲთა ნათელი სცეს მათ. ხოლო იგი ეტყოდა: აღიღე რაოდენიმე[3] საფასეთა შენთაგანი და წარვედ მამისა დოდოჲსა და მიართუ მას[4], რაჲთა უღუაწოს მუნ მყოფთა[5] ძმათა და განუსუენოს[6], და იკურთხო მათ მიერცა. და ჰყვა მას მღუდელი პატიოსანი და მიუმცნო მას, რაჲთა თანა წარმოგაყოლოს და მან ნათელ-გცეს შენ და ყოველთა სახლეულთა შენთა. მაშინ თანა წარაყოლა წმიდაჲ ლუკიანე და მიუმცნო მას, რაჲთა თანა წარაყოლოს მღდელი, რაჲთა ნათელ-სცეს ბუბაქრს და ყოველთა სახლეულთა მისთა.

ხოლო წმიდამან დოდო ყო ბრძანებისაებრ ბერისა. და ვითარცა ნათელს-იღო ბუბაქრ, კუალად მოვიდა[7] წინაშე წმიდისა დავითისსა შვილი იგი ნათლისაჲ. და თანა მიატანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა, რომელი-იგი უკუანაჲსკნელ[8] წმიდამან და ღმერთ-შემოსილმან ილარიონ განავრცელა და აკურთხა, რომელსა შინა სამხრით კერძო ეკლესიასა

Ⴁ

საჭმარი წინაშე ბერისა, რომელი მოელო მის თანა. მაშინ უკუე წმიდამან დავით შემოკრიბნა ყოველნი ძმანი და განუსუენა მათ ბაბუქარის მიერ მოღებულისა საზრდელისაგან. ხოლო ვითარცა აღდგეს სერობისაგან, ეტყოდა მამაჲ დავით ბუბაქარს, თუ რომლისა სათხოველისა მოქენე არს მისგან. ხოლო იგი ევედრებოდა მას წმიდისა ნათლის-ღებისათჳს. მაშინ ჰრქუა წმიდამან დავით, რათა აღიღოს რაოდენიმე მათ საჭმართაგანი და წარვიდეს მამისა დოდოსსა და განუსუენოს მუნ[1] მყოფთაცა ძმათა, რათა იკურთხოს მათ მიერ. ხოლო იგი ერჩდა ბრძანებასა მისსა და წარვიდა ნეტარისა დოდოს[2] მიმართ. და წმიდამან დავით თანა წარატანა[3] მათ მოწაფე თჳსი ლუკიანე და მიუმცნო მამასა დოდოს, რათა მისცეს მღდელი ერთი თანა წარსლვად ბუბაქარისა და ნათლის-ცემად მისა[4] ყოველთა თანა[5] ნათესავთა მისთა.

ხოლო ღირსმან მან მამამან დოდო მხიარულებით შეიტკბო ბუბაქარ და ძენი მისნი და[6] მონანი მისნი[7] და აკურთხნა იგინი და ბრძანებისაებრ[8] მამისა დავითისა მისცა მათ[9] მღდელი ერთი, რომლისა მიერ მიემთხჳა ბუბაქარ და ყოველნი სახლეულნი მისნი ნათლის-ღებასა სახელისა მიმართ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა[10]. ხოლო შემდგომად ამისა[11] კუალად მიიწია წინაშე წმიდისა მამისა დავითისა მიმყვანებელი მუშაკთაჲ და გამოუკუეთა[12] ქუაბთა მათ შინა ქუაბი ეკლესიად სალოცველად ძმათათჳს,

---

Ⴀ [1] რაჲოდენი B'. [2] სუჳს B'. [3] რაჲოდენიმე B'. [4] მიართუა მას B'. [5] მყოფთაჲ B'. [6] განუსუჳნოს B'. [7] მოვიდაჲ B'. [8] უკანასკნელ B'.

Ⴁ [1] მუნ]—D. [2] დოდოსა C. [3] წარიტანა D. [4] მისსა CD. [5] თანა]—D. [6] და]—CE. [7] მისნი]—DE. [8] ბრძანებისა D. [9] მას CD. [10] თსულისა წმიდისა DE. [11] ამის D. [12] გამოკუეთა D.

Ⴀ

მას შექმნა [1] ლუსკუმაჲ შუენიერი [2], რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი. და ვიდრე აქამომდე სამარხოჲსა მისგან აღმოდის სული სურნელებისაჲ და ყოველთა, რომელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუერი [3] სამარხოჲსა [4] მისგან წმიდისა, ჰკურნებს ყოველსა სენსა და უძლურებასა კაცთასა. ხოლო სამარხოჲ წმიდისა ლუკიანესი არს დამართებით წინა კერძო საკურთხეველისა. და არს იგიცა შემწე და ნუგეშინის მცემელი და ჴელის ამჰყრობელი ყოველთა მვედრებელთა მათთა [5].

Ⴁ

რომელიცა [1] უკუანაჲსკნელთა ჟამთა შინა განავრცელა და აკურთხა წმიდამან და ღმრთშემოსილმან მამამან ილარიონ და [2] მნათობმან ელვარემან ქართველთა ნათესავთამან, რამეთუ განბრწყინდა მადლთა და სასწაულთა სიმრავლითა ქუეყანასა ბერძენთასა, სადა-იგი დაასრულა ცხოვრებაჲ ქალაქსა შინა თესალონიკისასა, ხოლო აღმოყვანებულ იქმნნეს კოსტანტინეპოლედ ნაწილნი მისნი ფრიად პატიოსნად ბასილი მეფისა მიერ მაკედონიად [3] წოდებულისა და ეკლესიაჲ შუენიერი და ბრწყინვალე შეუმზადა მას სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა ზენა კერძო სოსთენისა რომანად წოდებულსა [4], ადგილსა შინა, სადა-იგი დაისხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი ყოვლად შუენიერებით. და მონასტერი შუენიერი შენ არს მუნ მონაზონთა მწყობრისა მიერ აღსავსე, რომელსა შინა ვიდრე აქამომდე საკჳრველებათა ძალნი აღესრულებიან სანატრელისა ილარიონის მიერ. ამან ღმრთ-შემოსილმან მამამან მერმეცა გარესჯას ყოფასა მისსა სამხრით კერძო ეკლესიასა ამას [5] შინა შექმნა ლარნაკი შუენიერი, რომელსა შინა აწ მდებარე არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი, სადა გარეკერძო დამართებით წმიდისა საკურთხეველისა არს სამარხოჲ წმიდისა ლუკიანესი, რომელი მრავლად შეეწევის ყოველთა ჰირვეულთა, რომელნი სარწმუნოებით ევედრებიან მას.

Ⴀ

და ესე აქამომდე. ხოლო წმიდისა მამისა და სამარადისოჲსა ჩუენისა დავითისთჳს ვიტყოდით.

ხოლო ვითარცა წარჴდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე [6] და განმრავლდა სიმრავლე ძმათაჲ, მი-

Ⴁ

ხოლო წარჴდეს [6] რაჲ ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და სიმრავლე ფრიადი შემოკრბებოდა ძმათა, და მოუწოდა ნეტარმან დავით

Ⴀ [1] შექმნაჲ B′. [2] შუენიერი B′. [3] მტუერი B′. [4] სამარხოსა B′. [5] მავედრებელთა მათ თაჲ B′, [6] რაჲოდენნიმე B′.

Ⴁ [1] რომელი C. [2] და]—C. [3] [მაკედონად C. [4] წოდებულ D. [5] სამხრით კერძო ეკლესიაჲსა ამას]—DE. [6] წარჴდა DE.

Ⴀ

უწოდა მამამან დავით ლუკიანეს და ჰრქუა: ძმაო ლუკიანე, მე წარვალ წმიდად ქალაქად იერუსალემად[1], ხოლო შენ წინა-უძლოდი ძმათა ამათ ჩუენ მიერ შეკრებულთა. მიუგო ლუკიანე და ჰრქუა მას: უკუეთუ[2] წარხჳდე, მეცა წარმოვიდე წინაშე სიწმიდისა თქუენისა.

ხოლო წმიდამან დავით ჰრქუა მას: ნუ ძმაო, ნუ იქმ, არა სათნო არს ღმრთისა, რამეთუ, უკუეთუ ეგე ვყოთ და ორნივე წარვიდეთ[3], ძმანი ესე ჩუენ მიერ შეკრებულნი, თჳთოეულნი განიბნივნენ დაბათა და ქალაქთა შინა, დაეცნენ და წარწყმდენ გულის-თქუმათა მიერ ცოდვილისათა და წარწყმედაჲ სულთა მათთაჲ ჩუენ მიერ იძიოს ღმერთმან. ხოლო მე წარვიდე მარტოჲ და ჩემთჳს, შენთჳს და შენთანათა ამათ ძმათათჳს ვევედრო ღმერთსა; და ნუ ჰგონებ, ძმაო, თუ ჩემი ოდენ მარტოჲსაჲ მნებავს ცხოვნებაჲ, უკუეთუ მე წარვიდე და წყალობით მოხედვა ყოს ღმერთმან ჩემ ზედა

Ⴁ

მოწაფესა თჳსსა ლუკიანეს და ჰრქუა: ძმაო ლუკიანე, უკუეთუ სათნო უჩნდეს ღმერთსა, მეგულვების წარსლვად წმიდად ქალაქად იერუსალიმად მოლოცვად წმიდათა მათ ადგილთა და თაყუანის-ცემად განმაცხოველებელსა საფლავსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ხოლო[1] ღმრთისა თანა წინა-უძლოდე ძმათა ამათ და განამჴნობდი მათ, რათა მტკიდედ დაადგრენ სარბიელსა შინა კეთილსა მოღუაწებისასა, ნუსადა ექმნას[2] მათ შებრკოლებაჲ[3] ბოროტთ-დასაბამისა მაცთურისა ჩუენისა მტერისაგან, რომელი უმზირის ბრჭალსა ჩუენსა დღითი-დღე და ჰნებავს შებრკოლებულთა დაკლებაჲ ჩუენი სამეუფოთა და საძლეველთა გჳრგჳნთაგან. ამათ სიტყუათა მსმენელი ლუკიანე მწუხარე იქმნა ფრიად და იტყოდა წმიდისა მიმართ: არასადა დაგიტეო შენ, პატიოსანო მამაო, ვიდრე დღემდე სიკუდილისა ჩემისა, არამედ მეცა წარმოვიდე შენ თანა, ვიდრეცა-იგი ხჳდოდი.

მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა: რად იტყჳ ძმაო საქმესა ღმრთისა არა სათნოსა, რ~ უკუეთუ ეგე ჰყო და ორნივე წარვიდეთ, ცუდ იქმნეს[4] შრომაჲ ჩუენი, რამეთუ ძმანი ესე ჩემ[5] მიერ შეკრებულნი დიდებისათჳს ღმრთისა, კუალად განიბნივნენ დაბათავე და სოფელთა მიმართ თჳსთა, ვითარ არა მქონებელნი მმართებელისანი, და ვითარცა სამწყსონი ოჴერნი მწყემსისაგან, მიიტაცნეს და წარწყმიდნეს მგელმან მან სულთა მომზირალმან. და რაჲ სადამე[6] იქმნეს ესეოდენი შრომაჲ ჩუენი, ანუ არა ჩუენგან იძიოს[7] ღმერთმან უგულებელს-ყოფაჲ ესოდენთა სულთაჲ? აწ უკუე დაადგერ, ძმაო, ხოლო მე წარვიდე და კერძოებით შენთჳს და ჩემთჳს და აქა დაშთომილთა ყოველთათჳს ვევედრო ღმერთსა, და ნუ დამაყენებ მე საქმისა ამისგან, რამეთუ სურვიელ არს სული ჩემი თა-

Ⴀ [1] იერ~ლმად B'. [2] უკეთუ B'. [3] წავიდეთ B'.

Ⴁ [1] ხოლო] + შენ C. [2] ექმნეს C. [3] დაბრკოლებაჲ D. [4] იქმნესა C. [5] ჩუენ C. [6] სადმე C. [7] იძიოსა C.

Ⴀ

და სახარებისა და სიტკბოებისა მისისათჳს დაადინოს ჩემ ზედა წუეთი[1] მადლისა და სიტკბოებისა[2] შენ და შენთანათა ამათ ძმათა ერთბამად გჳხაროდენ, რამეთუ ერთბამად ყოველთა ქრისტეანეთათჳს[3] და ყოველნი[4], რომელნი ამას უდაბნოსა შინა მკჳდრ იყვნენ, ყოველთა შეწყალებისათჳს ვევედრები ღმერთსა, რაჲთა ერთობით ღირს მყვნეს საშუებელთა[5] საუკუნეთა ყოველთა[6] წმიდათა მისთა თანა.

ესრეთ და ესევითარითა სიტყჳთა დააყენა ლუკიანე ძმათა თანა. ხოლო იგი წარემართა სხუათა რაოდენთამე[7] ძმათა თანა და წარვიდა იერუსალჱმად[8]. და ვითარცა მიიწივნეს ადგილსა მას, რომელ არს ქედი მადლოვნებისაჲ, რამეთუ მუნით აჩნდების წმიდაჲ იერუსალჱმი[9], მაშინ აღიპყრნეს ჴელნი და მადლობაჲ შეწირეს ღმრთისა. ხოლო წმიდაჲ მამაჲ დავარდა და იატაკსა დაალტობდა ცრემლითა და იტყოდა: უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, რომელი მოხუედ[10] ქუეყანად ცხორებისათჳს კაცთა ნათესავისა და ჩუენ ცოდვილთათჳს ჯუარცუმაჲ და სიკუდილი თავს იდევ სახიერებისა[11] და მოწყალებისა შენისათჳს, მეუფეო, კურთხეულ არს, უფალო, სახელი წმიდაჲ დიდებისა შენისაჲ, რომელმან მეცა უღირსი მონაჲ შენი ღირს მყავ ხილვად ადგილთა ამათ წმიდათა. ხოლო მე არღარა ვიკადრო წაღმართ

Ⴁ

ყუანის ცემად წმიდათა ადგილთა, სადა ცათა მფლობელი ღმერთი ჩუენთჳს კაც-ქმნილი კაცთა თანა იქცეოდა.

ამათ და ესევითართა სიტყუათა მიერ ძლით დაარწმუნა ლუკიანეს დადგრომაჲ ძმათა თანა. ხოლო თჳთ წარვიდა[1] იერუსალიმად რომელთამე ძმათა თანა შედგომილთა მისდა. და ვითარცა მიიწივნეს ადგილსა მას, რომელსა ეწოდებოდა[2] ქედი მადლობისაჲ, სადაჲთ-იგი საჩინო იქმნების ქალაქი ღმრთისაჲ წმიდაჲ იერუსალიმი, აღიპყრნეს ყოველთა ჴელნი მათნი ზეცად მიმართ და მადლობაჲ შეწირეს ღმრთისა. ხოლო წმიდამან მამამან დაჳით იხილა რაჲ იერუსალიმი, დავარდა მიწასა ზედა და ცრემლით იტყოდა: უფალო ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, რომელი მოხუედ ქუეყანად ცხოვრებისათჳს კაცთა ნათესავისა და ჯერ-იჩინე დამკჳდრებაჲ საშოსა შინა[3] ყოვლად უბიწოსა ქალწულისასა უმამაკაცოდ, და ყოვლითურთ კაც იქმენ თჳნიერ ცოდვისა, და ნებსით თჳსით თავს-იდევ საცხოვრებელთა ჩუენთა ვნებათა მითუალვა ადგილთა ამათ შინა აწ ჩემ[4] მიერ ხილულთა, და ჯუარი და სიკუდილი დაითმინე, ვითარცა კაცმან, და საფლავსა დაიდევ მოკუდავთაებრ, ხოლო ღმრთეებისა ძლიერებითა აღდგომილმან ღმრთეებით შენ თანა აღადგინე ადამ ყოვლით[5] ნათესავითურთ[6] და წმიდათა მო-

Ⴀ [1] წუჱთი B′. [2] სიტკბობისა B′. [3] ქრისტეანეთაჲთჳს B′. [4] ყოველთა B′. [5] საშუჱბელთა B′. [6] ყოველთაჲ B′. [7] რაჲოდენთამე B′. [8] ი҃ჱლმად B′. [9] ი҃ჱლმი B′. [10] მოხუჱდ B′. [11] სახიარებისა B′.

Ⴁ [1] წარემართა C. [2] ეწოდების C. [3] შინა]—E. [4] ჩუენ C. [5] ყოველ C. [6] ნათესავითურთ]+მისით C.

Ⴂ

სლვად და დატკებნად ფერჴითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერჴნი შენნი წმიდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვაჲ ოდენ თუალითა. და ტიროდა და დასთხევდა ცრემლთა მისთა წმიდათა.

Ⴃ

ციქულთა შენთა მიერ მოგუეც ჩუენ სახარებაჲ მომთხრობელი განგებულებათა შენთაჲ, რაოდენნი უკუდავმან და უსხეულომან ღმერთმან და ზეცას წიაღთა მამულთაგან[1] განუშორებელმან ქუეყანასა ზედა სრულ ჰყვენ ჩუენისა ცხორებისათჳს, რათა გულისჴმის-მყოფელსა ცთომილებისა ჩემისასა სინანულისა მიერ აღმოუწოდო[2] ცხოვრებად საუკუნოდ პირველსავე მას[3] ნეტარებასა;[4] კურთხეულ არს სახელი წმიდისა დიდებისა შენისაჲ,[5] რომელმან მეცა უღირსი მონაჲ შენი ღირს მყავ მოწევნად და ხილვად ადგილსა ამას, სადა დადგეს წმიდანი[6] ფერჴნი შენნი. ხოლო მე არღარა ვიკადრო წალმართ სლვად და დათრგუნვად ფერჴითა ამით ჩემითა ცოდვილითა იატაკსა, რომელსა ზედა ვლეს უბიწოთა და ღმერთ-კაცებრივთა ფერჴთა შემოქმედისა ჩემისათა, ვინაჲთგან კმა არს ჩემდა მადლი ესე, რამეთუ ღირს ვიქმენ მხოლოდ ხილვასა წმიდათა მათ ადგილთასა თუალითა ჩემითა უღირსითა. ამათი მეტყუელი დაალტობდა იატაკსა ცრემლთა მიერ მჴურვალეთა, მყოვარ ჟამ მდებარე პირსა ზედა თჳსსა.

Ⴂ

ხოლო მოყუასნი იგი ეტყოდეს წარსლვად მათ თანა და შესლვად იერუსალჱმდ[1]. მიუგო და ჰრქუა: არღარა ვიკადრებ მე წაღმართ სლვად, არამედ თქუენ წარვედით და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვა-ყავთ. და ვითარცა ფრიად აიძულეს და იგი არა ერჩდა, ცრემლით ანბორის-უყვეს, დაუტევეს და წარვიდეს.

Ⴃ

ხოლო მიმყოვრებულადღა სადამე[7] ადგილსა[8] ეტყოდეს მას მოყუასნი მისნი, რათა ვიდოდის მათ თანა ჩუეულებისაებრ იერუსალიმად მიმყვანებელსა მას[9] გზასა, არამედ ჭეშმარიტად მშჳდი იგი და წრფელი დავით, ვითარ ძუელ ოდესმე მუნ შინა მყოფი მეფე და წინასწარმეტყუელი, ეტყოდა[10] მისთანათა მათ: არა, ძმანო, არა, არღარა ვიკადრო მე ამით ადგილით წალმართ სლვად, რამეთუ ყოვლად უღირსად ვსჯი თავსა ჩემსა, მხოლოდ მიახლებად წმიდათა მათ[11] ადგილთა, ხოლო თქუენ წარვედით და ჩემ ცოდვილისათჳსცა[12] ლოცვა-ყავთ[13] ღმრთის შემწყნარე-

---

Ⴂ [1] იჱლ῀მდ B'.

Ⴃ [1] წიაღთაგან მამულთა E. [2] აღმოიწოდო CD [3] მას] მიმართ C. [4] ნეტარებისა C. [5] შენისაჲ]—D. [6] წმიდანი]—D. [7] სადამე]+მდებარე E. [8] აღდგომილსა C. [9] მას]—CD. [10] იტყოდა D. [11] იმათ C. [12] ჩემ ცოდვილთათჳსცა D, ცოდვილთათჳს D. [13] ჰყავთ C.

Ⴀ

ხოლო ესე რაჲ ყო წმიდამან დავით, მიხედნა ღმერთმან წმიდასა გონებასა მისსა და მიანიჭა მას მადლი უმეტეს ყოველთა, რომელნი შევლენან იერუსალჱმს[1].

ხოლო წმიდა დავით ადგილსა მას ფრიად ევედრა უფალსა, და აღიხუნა ადგილისა მისგან სამნი ქვანი და შთაისხნა მახალაკსა ევლოგიად და უკუნიქცა მიერ.

ხოლო ღამესა მას მიუვლინა ანგელოზი ღმერთმან ელია პატრიაქსა და ჰრქუა: მოიწია ვიდრე სახლად ჩემდამდე საკუთარი მონაჲ ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მადლი იერუსალჱმისაჲ[2]. ხოლო შენ სწიენ მალე მსრბოლნი კაცნი,

Ⴁ

ბელსა საფლავსა ზედა. ვითარცა[1] აიძულებდეს იგინი ფრიად, უფროჲსღა ურჩ ექმნებოდა მათ ნეტარი დავით. და შემდგომად მრავლისა იძულებისა ცრემლით ამბორის-მყოფელთა მისთა დაუტევეს იგი და წარვიდეს.

ეჰა სიწრფოებასა და სიმარტივესა საღმრთოსა ამის მამაკაცისასა, რომელი[2] ესოდენთა[3] გზათა შრომასა[4] თავს-მდებელი და წმიდათა[5] ჴელთა შინა მქონებელი სასურველისა და საძიებელისა უღირსად სჯიდა თავსა თჳსსა მხოლოდ დათრგუნვად ფერჴითა თჳსითა და მიახლებად ღმერთ-მყოფელსა მიმთხუეულთასა.

ჵ სარწმუნოებასა და სისრულესა გონებისასა, რამეთუ სიტყჳსაებრ საუფლოჲსა სარწმუნოებისა თჳსისაებრ ექმნა ამას, ვინაჲთგან სიწრფოებისათჳს სულისა უმეტესი სასყიდელი მიიღო, რამეთუ ღმერთი გონებისაებრ და გულის ზრახვისა კაცთაჲსა და არა საქმეთაებრ სჯის.

ესრეთ შემდგომად ფრიადისა ვედრებისა და ცრემლთა დათხევისა ადგილსა მას ზედა, ქუეყანად დადრეკილმან აღიხუნა სამნი ქვანი და ვითარ თჳთ მის ქრისტეს საფლავისაგან გამოკუეთილნი[6] სარწმუნოებით შთასხნა იგინი ევლოგიად მალაკსა შინა თჳსსა. ამისა შემდგომად უკუმოქცეული ვიდოდა გარესჯამდი[7] მომყვანებელსა გზასა მოხარული.

ამას სიწრფოებასა და სარწმუნოებასა ზედა კაცისასა[8] განკჳრვებულმან ღმერთმან ინება საჩინო ქმნა ბრწყინვალისა ამის და საჩინოჲსა მონისა თჳსისა, რომელმან გარდამატებულისა სიწრფოებისა მიერ არა იკადრა შთასლვა იერუსალემად, რამეთუ მოუვლინა[9] მას ღამესა შინა ჩუენებით ანგელოზი პატრიაქსა იერუსალემისასა ელიას ესრეთ[10]

Ⴀ [1] ი῀ჱლემს B'. [2] ი῀ჱლმისაჲ B'.

Ⴁ [1] ვითარცა] და ვითარცა C. [2] რამეთუ CE. [3] ესეოდენთა E. [4] შრომათა CD. [5] წმიდათა] აწლა C. [6] გამოუკუეთელნი D. [7] გარესჯადმი C: [8] კაცისასა]—E. [9] მოავლინა D, მიუვლინა E. [10] ესრეთ]—E.

Ⴀ

რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაბულისსა. და არს იგი მოსილი სამოსლითა ძუელითა[1] დაბებკულითა და ჰკიდავს მას ძუელი[2] მახალოკი, რომელსა შინა უსხენ სამნი ლოდნი, რომელნი-იგი მიიხუნა ადგილისა მისგან, სადაჲთ-იგი უკუნიქცა; და მიუმცენ შენ კაცთა მათ მალე მსრბოლთა, რაჲთა მოუხუნენ[3] მახალაკისაგან ლოდნი იგი და ერთი ოდენ მისცენ მას. და ჰრქუა, ვითარმედ: მოუნიჭებიეს შენდა უფალსა მესამედი მადლი იერუსალÜმისაჲ[4] და გიბრძანებს, ვითარმედ სარწმუნოებითა შენითა წარგელო მადლი იერუსალÜმისაჲ. ხოლო მე ვინებე ორი ნაწილი უკუნქცევად და მესამედი მომინიჭებია შენდა. წარვედ და წარიტანე უდაბნოსა შენსა, წმიდა ყავ იგი მისლვითა[5] შენითა. და რომელი მოიწიოს უდაბნოსა[6] მას და სარწმუნოებით შეეხოს სამარხოსა ძუალთა შენთასა, მიიღოს კურნებაჲ სულთა და ჴორცთაჲ და მიუტევნეს მას ცოდვანი მისნი. ხოლო ლოდი ეგე ერთი იყოს მოსაჴსენებელად ჟამისა ამის.

და ვითარცა წარმოუთხრა[7] ესე ყოველი პატრიაქსა ანგელოზმან უფლისამან, მიეფარა იგი თუალთაგან მისთა. ხოლო პატრიაქი პირველად განცჳბრდა სიტყუათა მათ ზედა ანგელოზისათა, მერმე დავარდა პირსა ზედა და ცრემლით ვედრებაჲ შე-

Ⴁ

მეტყუელი: მოიწია ვიდრე სამკჳდრებელად ჩემდა იერუსალემად საკუთარი მონა ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო[1] მადლი იერუსალემისაჲ, ხოლო შენ წარავლინენ[2] მალე მსრბოლნი კაცნი, რათა ეწივნენ მას, რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაბოლისასა შემოსილი დაბებკულითა სამოსლითა, და აქუს ძუელი მალაკი, რომელსა შინა[3] სხენან სამნი ქვანი ევლოგიად მიღებულნი[4] მის მიერ ადგილისაგან, ვინაჲ-იგი უკუნიქცა; და ამცენ შენ კაცთა მათ, რათა მიიხუნენ მისგან ქვანი იგი და ერთი მხოლოდ მისცენ მას და ესრეთ ჰრქუან,[5] ვითარმედ: ამას გიბრძანებს შენ უფალი, სარწმუნოებისა შენისათჳს მიგელო მადლი ქალაქისაგან ჩემისა წმიდისა იერუსალიმისა, ხოლო მე[6] სათნო მიჩნდა, რათა ორი[7] ნაწილი უკუნ ვაქციო იერუსალიმადვე და არა სრულიად ჰუებულ იქმნეს მადლთაგან, ხოლო მესამედი იგი მომინიჭებიეს შენთჳს წარღებად უდაბნოსა შენსა. წარვედ უკუე მშჳდობით და წმიდა-ყავ იგი მისლვითა შენითა და მუნ შინა დადებითა სხეულისა შენისაჲთა, რომლისა სარწმუნოებით შემხებელთა მიიღონ კურნებაჲ სულთა და ჴორცთა მათთაჲ; ხოლო შენ წარიღე ქვაჲ ეგე ევლოგიად უდაბნოსა მას შენსა საჴსენებელად და მისათხრობელად სარწმუნოებისა შენისა.

ესე ყოველი ვითარცა იხილა ჩუენებასა შინა ღამისასა[8] პატრიაქმან, დაეცა განკჳრვებაჲ დიდი და განკრთომილი ძილისაგან აღდგა მოსწრაფებით და მყის მომწოდებელმან მალე მსრბოლთამან წარმოუთხრა მათ ყოველი, რომელი იხილა და ესმა ჩუენებასა შინა ანგელოზისაგან. და მალიად წარავლინნა იგინი, რათა ღევნა-უყონ კაცსა მას ღმრთი-

Ⴀ [1] ძუÜლითა B'. [2] ძუÜლი B'. [3] მოუნახნენ B'. [4] იÜლმისაჲ B'. [5] მისთავითა B'. [6] უდაბნოსაჲ B'. [7] წარმოუთხარა B'.

Ⴁ [1] წაიღო D. [2] წარავლინე D. [3] შინა]—DE. [4] მიმღებელნი DE. [5] ჰრქუა D. [6] მე]—CE. [7] ორნი D, ორ C. [8] ღამისასა]—CD.

Ⴂ

წირა უფლისა და მოუწოდა კაცთა მალე მსრბოლთა და მიუთხრა ესე ყოველი და მიუმცნო[1] მათ, რაჲთა უკმოაქციონ, და იგინიცა შეემთხჳვნენ მას. ხოლო იგინი წარვიდეს. და ვითარცა ეწივნეს იგინი, მიუთხრეს მას, რომელი-იგი მიემცნო პატრიაქსა და აღმოუხუნეს სამნი იგი ლოდნი, და ერთი იგი მისცეს[2] მას.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდასა დავითს, პირველად შეძრწუნდა და მერმე თაყუანის-სცა უფალსა და ცრემლით იტყოდა: დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო ჩუენო! და დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო, ერთ-ღმრთეებაო[3], ერთ-არსებაო! დიდებაჲ შენდა, ღმერთო, რომელმან ღირს მყვენ ჩუენ პოვნად წყალობისა! და ესევითარითა სიტყჳთა მადლობაჲ შეწირა უფლისა.

ხოლო კაცთა მათ მალე მსრბოლთა აიძულეს წმიდასა დავითს უკუნქცევად იერუსალჱმს[4], ვითარცა ემცნო პატრიაქსა. ხოლო იგი არა ერჩდა მათ, და ანბორს-უყვეს და განუტევეს იგი.

Ⴃ

სასა. ხოლო იგინი, გამოსრულნი[1] ქალაქისაგან და მოსწრაფებით მოქმედნი საგრობისანი, ეწივნეს წმიდასა მამასა დავითს და იცნეს იგი მათდა მოთხრობილისა სახისაებრ პატრიაქისაგან და ერთბამად «გიხაროდენისა» მეტყუელთა და მოწლედ თაყუანის-მცემელთა ამბორს-უყვეს მას. თანად მიმღებელთა მალაკისათა პოვნეს[2] მას შინა სამნი იგი ქვანი, და წარმოუთხრეს მას[3] ყოველი, რომელი ესმა პატრიაქისაგან. და მოუხუნეს მას ორნი იგი ქვანი, ხოლო ერთი იგი მისცეს მას, ვითარცა ემცნო მათთჳს პატრიაქსა ელიას.

ესე ყოველი რაჲ ესმა მამასა დავითს კაცთა მათგან მისა მიმართ მოვლინებულთა, განკჳრვებულ იქმნა ფრიად სახიერებასა ზედა ღმრთისასა და[4] დავრდომილი კუალად პირსა ზედა თჳსსა დაალტობდა მიწასა ცრემლთა მიერ ესრეთ მეტყუელი: დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, უშობელო მამაო, მიზეზო ყოველთა კეთილთაო! დიდებაჲ შენდა, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მხოლოდ შობილო, ძეო მხოლოჲსა[5] მამისაო! დიდებაჲ შენდა, სულო წმიდაო, მამისაგან გამოსრულო და ძისა თანა დიდებულო, სამებაო წმიდაო, ერთარსებაო, ღმერთო ყოველთაო, რომელმან ღირს იჩინე ჩემ ზედაცა ცოდვილსა ამას და ულირსსა მონასა შენსა! მომხედენ[6] სახიერებისა შენისათჳს და არა უგულებელს-მყავ მვედრებელი შენი პოვნად შენმიერსა წყალობასა.

ხოლო კაცნი იგი აიძულებდეს სანატრელსა დავითს უკუნქცევად და შესლვად იერუსალიმად, რამეთუ ესრეთ ემცნო მათთჳს პატრიაქსა, რათა იგიცა შეემთხჳოს სიწმიდესა მისსა. და ვითარ ვერ შეუძლეს დარწმუნებაჲ მისი, ამბორს-უყვეს მას[7] და[8] განუტევეს. ხოლო თჳთ უკუნიქცეს პატრია-

Ⴂ [1] მიუმცნოჲ B'. [2] მისცენ B'. [3] ერთღ͠თებოო B'. [4] ი͠ჱლმს B'.

Ⴃ [1] გამოსრული D. [2] პოვეს DE. [3] მათ CD. [4] და]—C. [5] მხოლო C. [6] მოხედენ D, მოხედვაჲ C, ო͠ მომხედენ E. [7] მას] იგი CD; ამბორს უყვეს მას]—E. [8] და]—E.

Ⴀ

ხოლო წმიდაჲ დავით მიიწია[1] რაჲ უდაბნოსა თჳსსა, ყოველნი ძმანი სიხარულით მიეგებვოდეს[2] და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან კუალად უჩუენა[3] მწყემსი და მაცხოვარი სულთა მათთაჲ. და ვითარცა მოილოცეს ძმათა მათ, დავითის თანა წარსრულთა, იერუსალჱმს[4], შემდგომად ამისსა მოვიდეს იგინიცა უდაბნოსა მას წმიდისა დავითისსა[5]. და განთქუეს ჰამბავი მისი და ყოველი, რაჲცა იხილეს და ესმა წმიდისა დავითისთჳს. და ყოვლით კერძო შემოკრბა სიმრავლე ძმათაჲ და აღივსო უდაბნოჲ იგი, და რომელნიმე დაეყუდნეს ნაპრალსა კლდეთასა.

Ⴁ

ქისა მიმართ ორთა მათ ქვათა მიმღებელნი წმიდისაგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე იერუსალიმს შინა და ყოველსა მას გარემოსა დაბნებსა, რომელი[1] ქმნა ღმერთმან საჩინოქმნისათჳს მონისა თჳსისა დავითისა.

ხოლო წმიდაჲ დავით შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოიწია უდაბნოდ თჳსად. და ყოველნივე ძმანი სიხარულით და სურვიელად[2] მიეგებვოდეს მსმენელნი მოსლვასა სულიერისა მწყემსისასა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოუვლინა მათ კუალად მოურნე და მღუწელი მათი სულიერი. ხოლო არა მრავლისა შემდგომად მოიწივნეს ძმანიცა იგი იერუსალიმით თაყუანის-მცემელნი წმიდათა ადგილთანი, რომელნი ერთბამად მამასა დავითს თანა წარსრულ იყვნეს იერუსალიმად. და მიუთხრეს ყოველი იგი სიტყუაჲ, რომელი ესმა და იხილეს წმიდისა დავითისთჳს, და ვითარ-იგი არა ინება მათ თანა შესლვაჲ იერუსალიმად უღირსად მსჯელმან თავისა თჳსისამან სლვად ფერჴითა თჳსითა წმიდათა მათ ადგილთა ზედა, და თანად ქვათა მათთჳს, და ვითარ ორნი იგი მიეხუნეს მისგან, ხოლო ერთი მონიჭებულ იქმნა მისა, რომელიცა ესე ქვაჲ მდებარე არს უდაბნოსა ამას ვიდრე აქამომდე და სასწაულთა და კურნებათა აღასრულებს, სიმრთელესა სხეულისასა მიიღებენ სარწმუნოებით შემთხუეულნი მისნი. ამისნი მსმენელნი ყოველნი და უმეტესითა სურვილითა აღძრულნი ყოვლით კერძო შემოკრბებოდეს მისა, და დღითი-დღე ფრიადი სიმრავლე მოიწეოდა უდაბნოსა ამას შინა, რომლისა ძლით აღსავსე იქმნა კაცთა მიერ სათნოთა და ღირსთა ყოველი იგი ადგილი. და რომელნიმე[3] მათგანნი მარტოებით იყოფებოდეს ნაპრალთა შინა კლდისათა დამკჳდრებულნი, ხოლო სხუანი კრებულსა თანა ძმათასა დაეწესებოდეს და ყოვლით კერ-

Ⴀ [1] მიიწიაჲ B'. [2] მიეგებოდეს B'. [3] უჩუჱნა B'. [4] ი˜ჱლმს B'. [5] დავითისასა B'.
Ⴁ [1] რომელ E. [2] სურვილით E. [3] რომელნიმე] + იგი C.

Ⴀ

მაშინ წმიდაჲ მამაჲ და მწყემსი კეთილი წმიდაჲ დავით დღითი-დღე განვიდის მოკითხვად ძმათა მათ განშორებულთა მარტოდ-მყოფთა დაყუდებულთა და ყოველთა ნუგეშინის-სცემდა[1], განამტკიცებდა და განაძლიერებდა და ახარებდა მათთჳს განმზადებულსა სასუფეველსა ცათასა[2].

ხოლო მივიდა ოდესმე ერთისა ძმათაგანისა, რომელი იყოფებოდა[3] ძირსა რასმე კლდის(ა)სა და ჰკითხა მას და ჰრქუა: ვითარ ხარ, ძმაო? მიუგო მან: კეთილად, ლოცვითა შენითა წმიდითა, გარნა წყალი ესე, რომელ სწუთის კლდესა[4] ამას, არს ესე ფრიად მწარე, და ოდეს მივიღო მისგან, განმიმწარებს საგრძნობელთა. და ეგრეთვე მხალნი ესე, რომელნი მის მიერ ირწყვებიან, ესეცა მწარე არიან, ვითარცა ნავღლი, გარნა ვი(ი)ძულებ მე თავსა ჩემსა და ვიტყჳ: ფრიად უმწარეს არიან სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი და უკუეთუ აქა წუთ ერთ დაითმინო, უმჯობეს არს შენდა და მუნ უკუნისამდე არღარა იჭირვოდი სიმწარესა მას შინა ჯოჯოხეთისასა[5].

ხოლო ესე რაჲ ჰრქუა წმიდასა დავითს, შეეწყალა იგი და

Ⴁ

ძო განდიდნებოდეს სადიდებელნი ღმრთისანი.

ხოლო დიდი იგი მწყემსი და მამაჲ ჩუენი დავით მოხარული ესრეთ აღორძინებასა ზედა სამწყსოთასა დღითი-დღე განვიდოდის მოხილვად ძმათა განშორებულთა და მარტოებით მყოფთა მოღუაწეთა და ყოველთავე ნუგეშინის-სცემნ და განამჴნობნ და განაძლიერებნ მათ კეთილისა მიმართ საგრობისა[1], რომელი მიიყვანებს მათ ზეცათა შუებისა და განსუენებისა მიმართ და მოაჴსენებდა განმზადებულთა კეთილთათჳს[2], რომელნი მიელიან აქა შინა ძჳრ-ხილულთა და მაჭირვებელთა[3] ხრწნადისა ამის სხეულისათა.

ხოლო ოდესმე დღესა ერთსა მივიდა[4] ერთისა ძმათაგანისა მიმართ, რომელი აღასრულებდა მოღუაწებასა თჳსსა ქუეშე კერძო რომლისამე კლდისა და მოიკითხა იგი და ჰრქუა: ვითარ იყოფები,[5] ძმაო? ხოლო მან მიუგო: კეთილად ვარ, პატიოსანო მამაო, წმიდითა შენითა ლოცვითა, გარნა წყალი ესე, რომელი[6] შთამოსწუეთის კლდესა ამას, არს იგი ფრიად მწარე, და რაჟამს მოვიშთო წყურილითა და ვსუა ამისგან[7], ფრიადსა სალმობასა შემიქმს[9] მე განმწარებითა საგრძნობელთაჲთა; და მხალნიცა ესე, რომელ მისგან ირწყუებიან, იგინიცა ფრიადსა სიმწარესა მქონებელ არიან მსგავსად ნავღლისა. და მომეშმიოს: რაჲ,[10] ვჭამო მისგანი, ფრიად შემაწუხებს, გარნა ვეტყჳ[11] თავსა ჩემსა, ვითარმედ: ფრიად უმწარეს არიან სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი და უმჯობეს არს შენდა, რათა აქა შინა მომთმენელი წუთ ერთსა სიმწარეთაჲ უმწარესთა განევლტო სასჯელთა ყოფადსა მას[12] შინა საუკუნესა.

ესე რაჲ ესმა ბერისა მისგან წმიდასა დავითს, მხიარულ იქმნა ფრიად კეთილისა

Ⴀ [1] ნუგეშინის ცემდა B'. [2] ცათასაჲ B'. [3] იყოფობოდა B'. [4] კლდეს B'. [5] ჯოჯოხეთისსა B'

Ⴁ [1] სარგებლისა C. [2] კეთილთა C. [3] მჭირვებელთა C. [4] მოვიდა D. [5] იყოფი C. [6] რომელ D. [7] მოვიშთო წყურილითა და ვსუა ამისგან] ვსუა მისგან, ნუუკუე მოვიშთო, რამეთუ E. [8] ფრიად CD. [9] შემიქს D. [10] რაჲ] + და DE. [11] ვეტყჳ] + მე C. [12] მას] — E.

Ⴀ

ჰრქუა: ნუ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვევედრნეთ უფალსა და რომელმან-იგი მერანს დაატკბნა წყალნი*, მანვე სახიერმან დაატკბნეს ესენიცა. და აღდგეს და ევედრნეს უფალსა. და აღავსო სარწყული და დასწერა ჯუარი და მისცა ბერსა. და ვითარცა იხილა გემოჲ წყლისაჲ მის, უტკბილეს იყო იგი ყოველთა წყალთა, და ვიდრე აქამომდესცა ტკბილ არს წყალი იგი და მხალიცა, რამეთუ მიერითგან დგას ადგილსა მას ნიახური და რომელნი მივიდენ ადგილსა მას, მიიღებენ ევლოგიად წყლისა მისგან და მხლისა.

ესევითარნი არიან სასწაულნი, რომელთა იქმოდა მამაჲ ჩუენი დავით და განჰკურნებდა ყოველსა უძლურებასა კაცთასა. ხოლო ბრძანებითავე მამისა დავითისითა აღეშენა უდაბნოჲ მრავალმთისაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისასა[1].

Ⴁ

გულის სიტყჳსა მისისათჳს და შემწყალებელმან მისმან ჰრქუა სიტკბოებით: ნუ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვევედრნეთ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და ვითარცა იგი მერრანს დაატკბნა წყალნი მწარენი*, ეგრეთვე მსგავსითა სახიერებითა დაატკბოს ესეცა და შეცვალოს სიმწარისაგან სიტკბოებად. და აღდგომილნი ევედრნეს უფალსა ბრძანებისაებრ ბერისა. ამისა[1] შემდგომად უბრძანა, რათა აღავსოს სარწყული წყლითა. ხოლო მან აღავსო და დადგა წინაშე მისსა. და წმიდამან დავით მიიღო ჴელითა თჳსითა და აკურთხა[2] იგი და ჯუარი გამოსახა მას ზედა. ამისა[3] შემდგომად ჰრქუა ბერსა: მიიღე ესე, ძმაო, და სუ ამისგან[4] შეუორგულებლად. ხოლო იგი გემოჲს მხილველი მისგან განკჳრვებულ იყო სიტკბოებასა ზედა მის წყლისასა და ადიდებდა ღმერთსა და მონასა მისსა ღირსსა დავითს, რომელიცა-ესე წყალი[5] ვიდრე აქამომდე დადგრომილ არს სიტკბოებასა და გემოვნებასა ფრიადსა მქონებელი, ვიდრელა არა რომელი[6] სხუაჲ წყალთაგანი უტკბილეს არს ამისსა[7] და აღმოეცენების ადგილსა მას ნიახურიცა, რომელი ამისვე ბერისა მიერ დათესილ იქმნა, და რომელნი მიიწივნენ ამას ადგილსა, მიიღებენ წყლისა ამისგან და თანად მხლისა ევლოგიად, რამეთუ ზამთრის და ზაფხულის მოუკლებელად იპოების ადგილსა მას ბერისასა ნიახური იგი.

Ⴀ [1] ნათლის-მცემელისსა B′. * გამოსლვ. 15,22-25.

Ⴁ [1] ამის C. [2] +და აკურთხა ჴელითა თჳსითა C. [3] ამისა]—E. [4] ამისგანი C. [5] +წყალი ესე C. [6] რომელი]—C. [7] მისსა C. * გამოსლვ. 15,22-25.

Ⴀ

და ვითარცა წარჴდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, ცნა მამამან დავით განსლვაჲ მისი ჴორცთაგან. და მოუწოდა ყოველთა ძმათა და ჰრქუა: ძმანო და შვილნო ს(უ)ლიერნო, მე ესერა განვალ ჴორცთაგან, ვითარცა ერთი კაცთაგანი, ხოლო თქუენ ნუ შესძრწუნდებით, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქუენთა ცხორებისათჳს.

Ⴕ

ამას შინა რაჲ წარჴდეს[1] ჟამნი რაოდენნიმე და სავსე იყო ნავი კეთილითა ტჳრთითა[2] სიმდიდრესა დაულევნელსა მომღებელი შინაგან თჳსსა და ჯერ-იყო შინაგან ნავთ საყუდლისა შორს მსოფლიოთა ღელვათაგან დაზამთრებაჲ მისი და უფროჲსღა ზეცისა სავანეთა მიმართ აღწევნაჲ, ესე იგი არს განჴსნაჲ სხეულთა მიწიერთაგან სულისა, არცაღა[3] ამას უმეცარ იქმნა ღმერთ-შემოსილი ესე და ზეცისათა ღირსი სანატრელი დავით, რამეთუ ეუწყა მას ღმრთისა მიერ განსლვაჲ თჳსი[4] ჴორცთაგან. მოუწოდა[5] ყოველთავე მის მიერ შეკრებულთა[6] ძმათა უდაბნოსა მას შინა და მამობრივ სწავლიდა მათ ესევითართა მამცნებელი[7]: ძმანო ჩემნო და შვილნო სულიერნო, აჰა ესერა მე თანა-მდებსა ბუნებისასა მიმცემელი განვალ ჴორცთაგან და[8] მიწად ბრძანებული მიქცევად შემოქმედისა მიმართ[9] კაცთა[10] განწესებულსა სრულ ვჰყოფ მსგავსად ყოველთასა, ხოლო თქუენ, შვილნო ჩემნო, ნუ შესძრწუნდებით და ნუცა აღჰშფოთნებით, არამედ უფროჲსღა განმტკიცდით და განძლიერდით და ცანთ[11] ამაოებაჲ ესე საწუთოჲსა ამის დაუდგრომელისა, რამეთუ ყოველნივე წარმავალ ვართ წერილისაებრ და არა რომელი სოფლისა ამის მდგომად შერაცხილთაგანი[12] დაადგრების; ხოლო სული, ვითარ უკუდავებისა მიმღებელი ღმრთისაგან, საუკუნოდ დაადგრების, და გუეგულვების მიღებაჲ კეთილთა გინათუ[13] ბოროტთაჲ, რომელიცა რაჲვე ვიმოქმედეთ[14] ცხოვრებასა ამას შინა. ამისთჳსცა დაუცხრომელად დღე და ღამე ევედრებოდეთ ღმერთსა, რათა მოგცეს ძალი წინააღმდგომთა და უხილავთა მტერთა მიმართ, რომელნი მოსწრაფე არიან შებრკოლებად ჩუენდა ღმრთისა მიმართთა სლვათაგან, მცირედ ჟამ დაითმინეთ[15] კნინი[16]

Ⴕ. [1] წარჴდენ C. [2] ტჳრთითა] + და C. [3] არცა E. [4] მისი D. [5] მოუწოდა] და მოუწოდა C. [6] შემოკრებულთა C. [7] მამცნობელი DE. [8] და] — E. [9] მიერ C. [10] კაცთა] + ზედა C. [11] ცნათ D. [12] შერაცხილთაგან C. [13] თუ] — C. [14] რომელნიცა რაჲვე ვიმოქმედნეთ C. [15] დაითმინენით C. [16] კნი ნნი C.

Ⴀ

უბრძანა მღუდელთა [1] (შეწი-რვაჲ) მსხუერპლისაჲ [2] და ეზიარა წმიდასა მსხუერპლსა [3] ქრისტეს ღმრთისასა და აღიპყრნა ჴელნი და მადლობაჲ შეწირა [4] ღმრთისა და ესრეთ შეჰვედრა სული თჳსი წმიდაჲ უფალსა. და ყოველნი იგი ძმანი ტიროდეს [5] დაკლებისათჳს მწყემსისა მის კეთილისა.

და იყო მათ შორის ერთი ძმათაგანი, რომელსა ერთი თუა-ლი არა ედგა, და შე-რაჲ-ეხო გუამსა მას წმიდასა, მეყსეულად განიკურნა, და ყოველნი ადიდებ-დეს ღმერთსა. ესევითართა სასწა-

Ⴁ

ესე სატკივარნი და საუკუნოდ იხარებდით [1] ტკბილთა მათ შინა განსასუენებელთა კეთილ-თა ნაცვალის [2] მომცემელისა ღმრთისა მიერ, რომელი მისცემს სასყიდელსა მოთმინეთა და ღირსთა თჳსთა, რამეთუ წერილ არს, ვითარ-მედ «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი»*.

ამათ და ესევითართა სწავლათა მიერ გან-მკრძალებელი [3] ყოველთა ძმათაჲ და მღდელ-მემსხუერპლეობითსა მსახურებასა სრულ ქმნად მბრძანებელი [4] ეზიარა უხრწნელთა და უკუდავთა [5] ქრისტეს საიდუმლოთა წმიდასა ჴორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ამისა შემდგომად აღმპყრობელმან [6] ჴელთამან ღმრთისა მიმართ და მადლობისა შემწირველმან ჴელთა სამეუ-ფოთა შეჰვედრა [7] წმიდაჲ სული თჳსი და დაუტევა [8] მრავალ მოღუაწე იგი გუამი მისი მრავალთა შრომათა მიერ განკაფული მიცე-მად მიწაჲ მიწასა, რომლისაცა გარე მოდგო-მილნი კრებულნი ძმათანი ტიროდეს სალმო-ბიერად დაკლებისათჳს მწყემსისა მის კეთი-ლისაგან და იტყებდეს [9] თავთა თჳსთა, ვითარ ოჴრად დაშთომილნი ესევითარისა მასწავ-ლელისა [10] და მკურნალისაგან, რომელი შე-მძლებელ იყო კურნებასა ორკერძოსა მინი-ჭებად მათდა, და ურთიერთას წინასწრობით შეემთხუეოდეს ყოველნი პატიოსანსა მას სხეულსა მიღებად რომელსამე [11] მადლსა გა-მომკრთოლვარესა [12] მისგან.

ხოლო იყო ვინმე მათ შორის [13] ძმაჲ, რომელი დაკლებულ იყო ხილვად [14] ნათელ-სა თუალთაა სიყრმით თჳსითგან, და მიეახ-ლა რაჲ წმიდასა მას გუამსა (ჵ ‖საკჳრველი დიდებული! რამეთუ), შემთხუევასავე თანა მიემთხჳა განათლებასა თუალისასა, რომლი-

---

Ⴀ [1] მღდელთა B'. [2] მსხუმრპლისაჲ B'. [3] მსხუმრპლსა B'. [4] შეწირაჲ B'. [5] ტიროდე B'.

Ⴁ [1] იხარებდეთ C. [2] განსუენებულთა D, განსუენებათა E. [3] ნაცულის DE. [4] განმაკრძა-ლებელი E. [5] ბრძანებული D. [6] უკუდავსა და უხრწნელსა D. [7] ამპყრობელმან E. [8] შეჰვედ-რე C. [9] დაუტევე C. [10] ეტყებდეს CE. [11] მსწავლელისა C. [12] რომელსავე C. [13] გამომკლთოლ-ვარესა C, გამომკთოლვარესა DE. [14] შინა C. [15] ხილვად]—C. * ლუკა 21,19.

Ⴀ

ულთა იქმოდა წმიდაჲ მამაჲ დავით შემდგომად სიკუდილისაცა. და დაჰკრძალეს ესრეთ პატივით ლუსკუმასა მას ზემოჴსენებულსა [1]. და რომელნი სარწმუნოებით მივლენ სამარხოსა მას, მიიღებენ კურნებასა სულთა და ჴორცთასა და ადიდებენ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

Ⴁ

საცა მხილველნი ადიდებდეს საკჳრველთა დიდთა მოქმედსა ღმერთსა, რომელმან შემდგომად [1] სიკუდილისაცა ადიდა მსახური თჳსი ესევითართა მადლთა ღირს ქმნად, ხოლო პატიოსანი სხეული მისი სურვილით წარმგრაგნელთა დადვეს სამარხოთა მათ [2] შინა ზემო ჴსენებულთა [3], რომლისაგან ვიდრე აქამომდე აღმოდის სული სულნელებისაჲ და კურნებისა [4] მადლი [5] ურიცხჳ და ყოველთა, რომელთა სარწმუნოებით მიიღიან მტუერი სამარხოჲსა მისგან [6], ექმნების მათ საკურნებელ სულისა და ჴორცთა, რამეთუ ესევითართა მადლთა და ნიჭთა მიერ ადიდა ღმერთმან მადიდებელი თჳსი.

ესევითართა საკჳრველებათა და ძალთა ნიშნებსა მიემთხჳე, ჵ კაცო ზეცისაო და ანგელოზო ქუეყანისაო, ესევითართა მადლთა მიერ განმსდიდრდი [7] ნაცვალად მრავალთა მათ ოფლთა და შრომათა, რომელნი ღმრთისათჳს დაითმინენ, რამეთუ ჴორცნი განსცენ საწუთოსა ამას შინა იწროებათა მიმართ და ჭირთა და ამიერთა ამათ ხრწნადთა და [8] წარმავალთა მიცემითა, საუკუნოჲ იგი და უხრწნელი ნეტარებაჲ მოიყიდე და აწ იშუებ ზეცისა სავანეთა შინა წინაშე თუალთ შეუდგამისა ნათლისა დამკჳდრებული, ვინაჲ მოგუხედევდ ჩუენ შვილთა შენთა, რომელნი მერმეცა ღელვათა შინა ამის სოფლისა სამოქცევისათა ვიღელვებით; და იოხე ჩუენთჳს ღმრთისა მიმართ სატკივართა ამათ და ქუედამზიდველთა ჴორცთა [9] ზესთა ქმნად, რათა განრომილნი ოხათა შენთა მიერ მრავალ-ღონეთა და [10] მანქანებათა და საბრჭეთაგან ბელიარისათა ქებასა აღვავლენდეთ ერთისა ღმრთისა მიმართ, სამებისა ერთ-არსებისა, რამეთუ [11] მამასა ჰშუენის დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ დაუსაბამოჲსა თანა [12] ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა აწ და [13] მარადის [14] და საუკუნეთა დაუსრულებელთა საუკუნეთასა, ამინ.

Ⴀ [1] ზემოყვენებულსა B'.

Ⴁ [1] შემდგომად]—CD. [2] სამარხოსა მას C. [3] ზემო ჴსენებულსა CD. [4] კურნებათა C. [5] მადლი]—C. [6] ძისისგან C. [7] განჰმსდიდრდი C. [8] და]—C. [9] ჴორცთა] ამათ ჴორცთა C. [10] და]—E. [11] რამეთუ] რომლისა მიერ CD. [12] თანა]—C. [13] და]—D. [14] მარადი E.

Ⴀ

[თ]თუესა ნოენბერსა იბ.

წმიდისა მღდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ

ხოლო ჯერ-არს, რათა მცირედ შუვა შემოვიღოთ ჴსენებაჲ წმიდისა და უბიწოჲსა მღდელთ-მოძღურისა და მოწამისაჲ, რომელსა-იგი სამართლივ მონიჭებულ იყო პატივი განწესებულისა მის სასოებისაჲ დიდებისა საყდარი, უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მისისა სიწმიდისათჳს, უმეტესად ყოველთა მიერ წამებულ ჭეშმარიტებისათჳს, დამამტკიცებელი სისხლითა თჳსითა, რომელმან იგი თჳსითა სისხლითა მიჴსნნა ჩუენ. დაიდგა გჳრგჳნი ძლევისაჲ თჳთ მოტაცებითა, აფრინებითა მაღლად, რომელმან ნაყოფნი გამოუხუნა თჳსით თავით თჳთ შეწევნითა მადლისაჲთა, სიწმიდისა იგი სამეოცი და მოწამებისა ასეული, და თჳთ თავისა თჳსისა თანა შეერთებითა შჳდეულისა განმასრულებელ იპოვა იგი მღდელთ-მოძღუარი მადლისაჲ, შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაჲ ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, რომელი ორთა განწყობილთა კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღდელობისა საყდრისა მოდგამთა მათ თანა უბიწოთა საყდარი დაიპყრა. და კუალად მჴნეთა მათ თანა მოწამეთა ღუაწლსა მიისწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ წარიტაცა და გჳრგჳნითა პატივ-ცემულთა შორის იპოვა შურის მეძიებელთა მართალთა რჩეულისათა.

Ⴁ

[მო]ქალაქობაჲ და წამებაჲ [წმიდისა ა]ბიბო(ს) ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ

მამაო, გუაკურთხენ!

[ჯერ არს] ჴსენებაჲ წმიდისა მღ[დელთ-მო]ძღურისაჲ და უბიწ[ოჲსა] და ახუვანისა მოწამი[საჲ], რომელსა-იგი სამართლად [მონი]ჭებ[ულ იყო] საყდარი დიდებისაჲ დიდისა მისთჳს სარწმუნოებისა მისისა და ყოველთა მიერ წამებისა ჭეშმარიტებისათჳს, რომელმან შეწირა თავი თჳსი მსხუერპლად [1] მისთჳს, რომელი შეიწირა მამისა, და სისხლითა თჳსითა მომიყიდნა ჩუენ, რომელმან ნაყოფნი გამო[ი]ხუნა თავით თჳსით შეწევნითა მადლისაჲთა სიწმიდისა იგი სამოცეული და მოღუაწებისა ასეული თავისა თჳსისა თანა შეერთებითა შჳდეულისა განმასრულებელი მ[ღდელთ]-[მოძღუარი მად]ლ]ისაჲ, შუამდგ[ომელი ღმრთი]სა და კაცთაჲ, ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი. რამეთუ შორის ორთა წმიდათა განწყობილთა წარმოდგა მღდელობისა საყდარი მოდგამთა თანა უბიწოდ მღდელობითა და მართლმკუეთელობითა [2], და კუალად მოწამეთა თანა მჴნედ მოღუაწებითა ორითა გჳრგ[ჳნითა] პატივცემული [შორის] განწყობილსა მართალთასა.

Ⴁ [1] მსხუჱრპლად B. [2] მკუჱთელობითა B.

Ⴀ

ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი, სპეტაკი ვარდი, ჰაერისა სულნელ მყოფელი, ჩემდა მომფენელი, რომელმან სანთელი თჳსი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რათა ყოველი სოფელი ჰხედვიდეს მას ნათელსა დაუშრეტელსა, ორპირად მანათობელსა, ღმრთისა მიმართ შემწირველსა თჳთ მის სიტყჳსა დაუსაბამოჲსა ჴორცსა, უკუანაჲსკნელ მასვე სანატრელსა საკურთხეველსა თავი თჳსი შეწირა, მრგულიად დასაწუელად მისსა მიმართ შესწირვიდეს ჴელითა უსჯულოჲსა მის მარზაპნისაჲთა, რომელმანცა შეწირა.

აწ მნებავს, საყუარელნო, რათა უწყოდით მიზეზი საქმისა ამის. რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჴელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა, და ბილწსა მას კერპთ მსახურებასა — ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა — აღასრულებდეს მარადის; ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა, სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა ჟამად-ჟამად, ვითარცა იწუეოდეს თჳსისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა. ამის გამო ადგილნი მრავალნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათჳს ქუეყანისა[1] და მრავალთა შეაცთუნებდეს, დაუმტკიცებელსა სარწმუნოებასა, გონებითა ნაკლულევანთა.

ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი[2], ჴევისა კახეთისაჲ, აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და ვერ თავსიდვა უცხოჲსა მის სამსახურებელისა მახლობელად მისა ყოფად და დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი. ესე რაჲ ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემეს, კნინლა ვიდრემელა მოკლეს ნეტარი იგი, და საპყრობილესა შეაყენეს დიდითა იწროვები-

Ⴁ

ჩემი არს მოწამე ესე და მღდელთ მოძღუარი უბიწოჲ. ნაყოფი შუენიერი[1], მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი, სანთელი მაღლად მნთებარე. მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემწირველი უბიწოდ ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თჳსი შეწირა მსხუერპლად[2] მისსა მიმართ ჴელითა უსჯულოჲსა მარზაპნისაჲთა.

ხოლო მიზეზი წამებისა მისისაჲ ესრეთ იყო. რამეთუ ჟამსა მას, ოდეს სამეუფოჲ ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა და ბილწსა მას მსახურებასა აღასრულებდეს, ვითარცა ესწავა ბოროტად მასწავლელისა მათისა ეშმაკისაგან. ამის გამო მრავალნი ადგილნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისათჳს ქუეყანასა ამას ჩუენსა და მრავალთა, დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაკლულევანთა გონებითა, შეაცთუნებდეს.

ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, სამ[თავ]როჲსა კახეთისაჲ, [აღიძრა] საღმრთოჲთა შურითა გულსმოდგინედ და მივიდა მახლობელად უცხოჲსა მის სამსახურებელისა მათისა, დაასხა წყალი და ხენეში იგი [ღმერთი], ცეცხლი მათი დაშრიტა. ესე რაჲ ცნეს

Ⴀ [1] ქუეყანასა D. [2] ეპისკოპოზი F. Ⴁ [1] შუჱნიერი B. [2] მსხუჱრპლად B.

Ⴀ

თა და მრავლითა ტანჯვითა. ამისა შემდგომად მიწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზაპნისა საქმე ესე. ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ მისი შეკრვაჲ და მიყვანებაჲ მისი მის წინაშე. და მივიდეს მივლინებულნი იგი მტარვალნი და წარიყვანეს, ვითარცა ბრძანებულ იყო: მრავალ-ფერითა ჭირითა მიიყვანეს იგი.

ხოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სჳმეონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ, არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ. მას ოდენ ჟამსა, ოდეს მიჰყვანდა წმიდაჲ აბიბოს, დაემთხჳა მას მოციქული იგი წმიდისა სჳმეონ მესუეტისაჲ სოფელსა, რომელსა ჰრქჳან იალდო, და მოართუა მას წიგნი, ევლოგიაჲ[1] და კუერთხი წმიდისა სჳმიონ მესუეტისა ანტიოქელისა საკჳრველთ-მოქმედისაჲ. და ვითარცა მიიღო წიგნი იგი ეპისკოპოსმან, აღმოიკითხა. და მიუპყრა მას ევლოგიაჲ იგი და კუერთხი. და განიხარა სიხარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად. და თანა წარმოიხუნა იგი⟨ნი⟩ და განმხიარულებული მოვიდა, დაღათუ შესაძლებელ იყო მისა არა მოსლვაჲ: მომყვანებელთა მათ დაემთხჳნესცა, და ჰრქუეს: უკუეთუ არა გნებავს წარსლვის, ჩუენ მოგილოთ და უკუნგაქციოთ. ხოლო მან არა თავს-იდვა, რამეთუ ისწრაფდა და ჰსუროდა[2] მარტჳლობაჲ.

Ⴁ

უსჯულოთა მათ სპარსთა, შეიპყრეს და ესოდენ გუემეს[1], ვიდრელა სიკუდიდ საგონებელ იყო ნეტარი იგი, და მერმე შეაყენეს საპყრობილესა იწროებითა დიდითა. და შემდგომად მრავლისა ტანჯვისა მიწერეს ზენა სოფლად მეფისა მათისა მარზაპნისა თანა. ხოლო მან მიუმცნო, რაჲთა შეკრული მსწრაფლ მიიყვანონ მის წინაშე. და მოვიდეს მოვლინებულნი იგი და წარიყვანეს წმიდაჲ აბიბოს მრავალ-ფერითა ჭირითა მგზავრ.

ხოლო ნეტარი ესე ებისკოპოსი მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სჳმიონ მესუეტისა[2] ანტიოქელისაჲ და არა თუ თუალითა ეხილვა ურთიერთარს, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ. და მას [ოდენ] ჟამსა, ოდეს მიჰყვანდა წმიდაჲ აბი[ბოს, დაემთხჳა მას მოციქული] ნეტარისა [სჳმიონ მესუეტისაჲ] სოფელსა, რომელ[სა ჰრქჳან იალ]დოს და მისცა წ[იგნი, ე]ვლოგიაჲ და კ[უერთხი] წმიდისა მამისა ჩუენისა [სჳმიონ საკჳ]რველთ მოქმედისაჲ. და [ვითარცა მიი]ღო ებისკოპ[ოსმან] ევ[ლოგი]აჲ იგი და კუერთხი[3], დ[ა წიგ]ნი იგი წმიდისაჲ აღმოიკითხა, განიხარა სიხარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად. ამისსა [შემდგომად შე]ემთხჳნეს ვიეთნიმე და ჰრქუეს: უკუეთუ

Ⴀ [1] ევლოგიად DF. [2] სუროდა F. Ⴁ [1] გუემეს B. [2] მესუეტისა B. [3] კუერთხი B.

Ⴀ

და ვითარ მოიწივნეს მახლობელად ჩუენსა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხეთისასა, ჰხადოდა იგი დედასა თჳსსა რაქელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკლესიაჲ სამოციქულოჲ. და ვიდრელა თუ იტყოდაცა, ვითარმედ: დედაო, აჰა ესერა შვილი შენი იოსებ წარვჰყავ[1] ეგჳპტედ კრული, ვითარცა ტყუე; და ვითარმცა ვინ ჰრქუა: არა ეგრე, არამედ სუფევად განემზადები ნაყოფთა მათგან შუენიერთა, საუნჯეთა მათგან თჳსთა; მთნავს შენი ეგე გზაჲ და ვიდოდე მას ზედა. მაშინ ევედრა მტარვალთა, რათა მივიდეს იგი ნეტარისა შიოჲსა მღჳმედ, რამეთუ იცოდა იგი წინაჲთვე და სურვიელ იყო იგი ხილვად მისა. ხოლო მათ განუტევეს იგი და შთავიდა უდაბნოდ და იხილა ნეტარი იგი ბერი. და ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხეს ურთიერთას. და ვითარცა ზრახვიდეს, ჰრქუა წმიდამან ეპისკოპოსმან ბერსა: ლოცვა ყავ, მამაო, რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განძჳნდეს ჩუენ ზედა ამპარტავანებითა თჳსითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი. შენ უწყი, რამეთუ ბაბილოვნი მარადის კერპთ მაწუეველ არს და ღონის მეძიებელ არიან, რათამცა ყოველნი კაცნი თაყუანის-აცემინნეს კერპთა. მაშინ სადამე სამთა ყრმათა ძისა ღმრთისაჲსა[2] თანა-მდგომარეთა მის მიერითავე ძალითა კერპი იგი დაადნვეს[3] და განაქარვეს[4] და მძლავრი[5] იგი ყოვლით ძალით მისითურთ კდემასა ქუეშე შეაყენეს, და აწცა მათ უსჯულოთა მისთა სახედ ეგულების, რათამცა კუალად განაგეს[6] ბადე და შეაყენნეს კაცნი და თაყუანის-აცემი[ნ]ნეს ცეცხლსა.

Ⴁ

არა გნებავს წარსლვის, ჩუენ უკუნგაქციოთ საყოფელადვე შენდა. და არა ინება, რამეთუ სუროდა მარტჳლობად ქრისტესთჳს.

და ვითარ მიიწივნეს სამეუფოსა ქალაქსა მცხეთასა, ვედრებით ხადოდა იგი წმიდასა კათოლიკე სამოციქულ[ოსა] ეკლესიასა და იტყოდა, ვ[ითარმედ]: შვილი შენი იოსებ წარვალს ეგჳპტედ კრული, ვითარცა ტყუე[1]; და ვითარმცა ვინ ჰრქუა მას, ვითარმედ: არა ეგრეთ, არამედ სუფევად განემზადები და ზეცისა სავანეთა მიერ არს გზავნაჲ შენი და ვიდოდე მას ზედა მშჳდობით. მაშინ ევედრა ნეტარი იგი მტარვალთა მათ, რაჲთა მივიდ*[ეს

Ⴀ [1] წარჰ˜ყვ F. [2] ღ˜ჲსა F. [3] დაადნეს F. [4] განაქარვნეს DF. [5] მძლავრნი D. [6] განაგდეს D.

Ⴁ [1] ტყუჱ B. * ამას ქვემოთ გვ. 193, 37-მდის აკლია ნუსხას ერთი ფურცლის დაკარგვის გამო.

Ⴇ Ⴂ

მიუგო ბერმან და ჰრქუა: ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე[1] ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რათა აღტყინებულიცა იგი უჩინოჲ ცეცხლი, რომელ აღუგზნიეს შენთჳს ეშმაკსა განსაცდელად, დაჰშრიტო ადვლად. არა უმეცარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გჳღირს შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა[2]; ხოლო ნუ შესძრწუნდები[3] მათისა მისგან მძლავრებისა, ვინაჲთგან იტყჳს მოციქული, ვითარმედ: «მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი»*. უწყოდი, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალ და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა.

და შემდგომად მრავლისა სიტყჳსა განმტკიცნა[4] ნეტარი აბიბოს ბერისაგან და ყვეს ლოცვაჲ, და წარემართა ღუაწლსა მას სიხარულით. და ვითარცა მიიყვანეს იგი მარზაპანისა მის ზენა სოფლად, სოფელსა, რომელსა ჰრქჳან რეჳი, და შეკრბა მუნ სიმრავლე ეპისკოპოსთა და მღდელთა და ერის მთავართაჲ, და თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარზაპანისა.

მაშინ წარმოადგინეს წმიდაჲ აბიბოს ეპისკოპოსი და ჰრქუა მას მარზაპანმან მან: რაჲსათჳს უვარ-ჰყავ[5] უფლებაჲ მეფეთ-მეფისაჲ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი? მიუგო აბიბოს და ჰრქუა: მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე იგი, რათამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ, რათა განეყენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი, და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ, რამეთუ წერილ არს: «უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე»**. ჰრქუა მას მარზაპანმან მან: მე გკითხავ, რაჲსათჳს მოჰკალ ღმერ-

---

Ⴇ [1] დაშრიტეს F. [2] ღ˜ჲსა F. [3] შეძრწუნდები F. [4] განამტკიცნა D. [5] უარ ყავ D.

* II თესალ. 1,6-7. ** ლუკა 4,8.

Ⴀ

თი ჩუენი და შენ გნებავს, რათამცა შენისა ღმრთისა წარგჳყვანნე? ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქუა: უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს[1], ხოლო ცეცხლი დავშრიტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგან მცირედ ნაწილი, რომელთაგან აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე. განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიაჲ, ცივი, ჴმელი და ცეცხლი, რომელ ერთიერთისა მპყრობელობაჲ აქუს სიმრგულესა მას შინა. ესრეთ განსწორებითა ნაწილთაჲთა დგანან ესენი, და უკუეთუმცა ერთიერთსა[2] აღემატა, გან-მცა-ქარდა მეორე იგი. ხოლო თქუენი იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილ [არს] ჴმელითა და ცივითა, აღ[მ]დგომი შეშისა ჰამითა მყოვარ-ჟამიერ. ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროჲს მისა იპოვა წყალი იგი. აწ მიკჳრს თქუენი ესევითარი[3] სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის-დებად[4] ღმრთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს (რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს და კერპთა შეურაცხის მყოფელთა ვერვის ჰხედავს), უკუეთუ ღმერთ არს ეგე? თქუენ იტყჳთ, რამეთუ ოდესმე თქუენსავე სოფელსა განჰმზადეთ მსახურებაჲ მის კერპისაჲ, რომელ-იგი ჰქმენით ოქროჲსაჲ; სატანჯველად განმზადებულსა მას თქუენ მიერ მაშინდელსა აწ ღმერთ ეწოდების!?

მაშინ განრისხნა[5] ფრიად მარზაპანი იგი მეფისაჲ და შემდგომად მრავლისა გუემისა და საკრველთა სატანჯველთაჲსა[6] ქვითა განტჳნეს იგი, ნეტარი აბიბოს, და მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა. და მცველნი განეწესნეს მის ზედა, რათა მჴეცთა და მფრინველთა შეჭამნენ[7] ჴორცნი მისნი, რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე ქრისტეანენი მოვიდენ და წარიხუნენ იგი და დიდებით დაჰკრძალნენ.

Ⴁ

ქრისტიანეთა დიდე[ბითა დაჰკრძა]ლნენ იგინი.

Ⴀ [1] მამიკლავს DF. [2] ერთიერთსამცა F. [3] ესევითარი] ესე F. [4] სახელის-დებაჲ F. [5] განრისხდა F. [6] სატანჯველთათა F. [7] შეჭამნეს DF.

13. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

Ⴂ

ხოლო სამ გზის სანატრელსა მას, ჴორცთა მისთა, არარაჲ შეეხო ყოვლადვე მჴეცთა და მფრინველთაგან. და ვითარ მყოვარ ისხნეს, დაუტევეს მცველთა მათ და წარვიდეს. გამოვიდეს მამანი იგი, რომელნი მყოფ-იყვნეს გარემოს[1] ქალაქებსა მას რეჴისასა, და მათთა მოწაფეთაგანსა აღეშენა მონასტერი იგი, და აღიხუნეს ნაწილნი იგი წმიდისა აბიბოჲსნი და დაჰფლ[ნ]ეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა. და ესრეთ შეიწირა წმიდაჲ აბიბოს, ვითარცა მსხუერპლი წმიდაჲ და მართლიადმცა ვინმე თქუა, ვითარმედ სეხნა არს იგი ზაქარიაჲსსა, მამისა იოანესსა, არა თუ სახელითა, არამედ სახითა, რომელსა-იგი წილი ხუედრებულ იყო მღდელთ-მოძღურებისაჲ და კუალად სისხლიცა მისი წმიდად დაითხია.

ამას რაჲ გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოსისა აბიბოსისსა, არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუენ, ანუ ვითარ-იგი დალეწნა კერპნი და ულმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა მათ სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ ვითარ დედაკაცსაცა მას უწინასწარმეტყუელა შემდგომად ხოლო მისსა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე; მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართლისა და სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წ ა მ ე ბ ი ს ა მისისასა.

Ⴃ

[ხოლო სამ გზის სანა]ტრელისა წქიდისა მ[ო]ღ[უაწისა] ჴორცთა არარაჲ [შეეხო] მჴეცთა და მფრინველთაგანი. და ვითარ მყუარ სცვიდეს, დაუტევეს იგი და წარვიდეს. მაშინ მოვიდეს რომელნი-იგი მყოფ იყვნეს ქუაბსა მას, რომელი-იგი მათვე წმიდათაგან სავანე[სა] აღეშენა მონასტერი, და [აღ]იხუნეს ნაწილნი წმიდისა [აბი]ბოჲსნი, დიდითა პატივით[ა დაჰ]კრძალნეს ადგილსა [მას. და ეს]რეთ შეიწირა ღმრთისა [ნეტარი აბიბ]ოს, ვითარცა ძღუენი[1] სა[მსხუერპლოჲ, შე]საწირავი სულნელი, [ვითარცა მამაჲ დიდისა ზა[ქარიაჲსა, რომელსა-იგი⁝ წილი ხუედრებუ]ლ იყო [მღდელთ-მოძღურებისა, და] მისებრ [სისხლიცა წმიდაჲ მ]ისი დაით[ხია უფლისა ჩუენის]ათჳს.

[...არა თუ ყოველსა მისისა ღუაწ]ლისაგან გაუ[წყებ თქუენ] ნეტარისა აბი[ბოს ეპისკოპოსისა] წამებისათჳს. [არა თუ ყოველთა] საქმეთა და [შრომათა მისთა გაუწყებ თქუენ, ანუ ვითარ-იგი დალეწნა კერპნი და ულმრთოთა მან არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა] სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ ვ[ითარ] დედაკაც[საცა მას უ]წინასწარმეტყუელა [შემდგომად მ]ისა მოსლვაჲ [ბე]რძენთაჲ და დაპყრობაჲ ქ[უეყანი]სა ამის ჩუენისაჲ, რომელცა-იგი [იქმნა] მსწრაფლ, მისვე დედაკაც[ისა] ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს

Ⴂ [1] გარემო F.

Ⴃ [1] ძღუჱნი B.

Ⴀ

არამედ მინდა, რათა გაუწყო თქუენ, ძმანო, ვითარმედ ესევითარნი ქუეყანისა ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, ჰურნი სავსენი ნელსაცხებელითა, რომელთა თჳსითა მით სიმჴნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი ერთსა ჟამსა შინა, იყვნეს ვითარცა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ მოდებული ერთიერთსა: წმიდაჲ ეპისკოპოსი აბიბოს ნეკრესელი და[1] იოანე ზედაზადნელი[2] და ღირსებით მოჴსენებული ისე წილკნელი[3] ეპისკოპოსი და მადლითა სავსე ბერი შიო ანუ სხუანი იგი მოწაფენი მისნივე ნეტარისა იოანე ზედაზადნელისანი[4], რომელთა შუენიერითა მით სლვითა შეამკვეს ეკლესიაჲ.

Ⴁ

ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა. და სხუანი მრავალნი საქმენი და საკჳრველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა.

არამედ იხილეთ და ცანთ გონიერად, საყუარელნო ქრისტესნო, თუ ვითარნი და რაბამნი კაცნი წმიდანი და ყოვლითურთ ღმრთისა სათნონი, ნათელნი სოფლისანი, ჰურნი რჩეულნი, სავსენი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონ[ნ]ი უცთომელნი მონაზონებისანი, ნათესავ[ნი . .]საგან ქუეყანასა ამას შ[ინა . . . ერ]თსა შინა ჟამსა გამო[ჩნდეს . . . .

. . . .

. . . .] და წმიდანი მცნე[ბა]ნი მისნი სათნოჲთა მოქალაქობითა წარმართებულთა [ეტ]კრთნეს. და ესევე ქუეყანაჲ [ჩუე]ნი წმიდათა ნაწილთა მათთა დაუნჯებითა სანატრელ იქმნა. ხოლო აწ, ძმანო საყუარელნო, ვედრებით ვითხოვდეთ ქრისტეს ღმრთისაგან, რაჲთა წმიდითა ლოცვითა და მეოხებითა მათითა ღირს მყვნეს მიბაძვად სათნოებათა მათთა და მარადის დიდების მეტყუელებად სამებისა წმიდისა, რომელსა შუენის[1] პატივი და თაყუანის-ცემაჲ აწ და მარადის და [უკუნითი უკუნისამდე, ამინ].

Ⴀ. [1] და]+ნეტარი F. [2] ზედაძნელი F. [3] წილკნელ F. [4] ზედაძნელისანი F, ზედაზადნელისათა D.
Ⴁ. [1] შუჱნის B.

Ⴚ

Ⴂ

ერთმან ვინმე მათგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდელად[1] დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და და მრავალნი კურნებანი, განთქმულნი გარემოს ყოველსა მას სოფელსა; და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგეს კუხეთს[2] მონასტერნი, და ერთმან უდაბნოჲ გარესჯისაჲ და მრავალნი საკჳრველებანი ქმნნა. ხოლო ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რათა არარაჲ[3] დედალთაგანი შევიდეს მას შინა. რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუეწარმავალნი ენასა თჳსსა დაამორჩილნა, ვერ იკადრებდეს დაბუდებად მას შინა, რომელსა-ესე თუალნი ჩუენნი ხედვიდეს დღეს. და ვითარ-იგი განშუენებულ არიან ყოველნი ადგილნი მათ წმიდათანი და ყუავიან დღეს, უკუეთუმცა ვისმე უხილავი იგი მათი დიდებაჲ არა ჰრწმენა, ვითარ[4] გულისჴმა-ყომცა მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა ადგილთა მათთაგან!? ხოლო სხუათა მათ ყოველთა ვერ ძალ-მიც მოჴსენებად. არამედ მცირედითა ამით სიტყჳთა დიდი იგი ვცნათ და ზემოჲ ვიხილოთ. წმიდათაგან წყაროთა და ადიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა.

ხოლო ნეტარმან შიო მღჳმესა მას შინა პოვა[5] ზეცისა იგი მარგალიტი და მოიღო თავჳა შინა თჳსსა და დაამკჳდრა, და ისწრაფდა მისლვასა მის წინაშე, რომელი იგი მოიქუა[6] მან, მიიყვანა ადგილსა მას, სადაცა სუროდა და შეისუენა დიდითა განცხადებულებითა. და შეკრბა მუნ სიმრავლე მონაზონთაჲ, მსგავსად ჩუეულებისა დაჰმარხნეს ჴორცნი მისნი[7] მას ადგილსა და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ მეხუთესა ზატიკსა დღესა კჳრიაკესა. და შემდგომად ამისსა[8] წმიდაჲ[9] და კეთილად მოღუაწე[10] ევაგრე ჩაჯდა მღჳმესა მას, რათა არა დააცალიეროს ადგილი თჳსისა მის მოძღურისაჲ და რათა სათნოებათა მისთა მკჳდრ იქმნეს, რომელიცა აღასრულა საქმით.

Ⴚ [1] დღეინდელად F. [2] კახეთს F. [3] არაჲ F. [4] ვითარ]—D. [5] ჰპოვა F, [6] მოიქვა D [7] მისნი]—F. [8] ამის D. [9] წმიდასა D. [10] მოღუაწე D.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოჲსთაჲ, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ად-გილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან, ძმამან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან

გუაკურთხენ, მამაო

მეუფემან მან დიდებისამან, იესუ ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან, რომელმან ინება ჴსნაჲ კაცთა ნათესავისაჲ წმიდითა და საცხოვრებელითა ვნებითა და სიკუდილითა თჳსითა და აღადგინა ბუნებაჲ ჩუენი დაცემული ხრწნილებისაგან ცხოველს მყოფელითა აღდგომითა თჳსითა, ამან კაცთ მოყუარემან ღმერთმან[1] თჳსისა სახიერებისა[2] მსგავსად იზიარნა კაცნი მსგავსად ღმრთეებისა[3] თჳსისა და ამაღლებულმან ზეცად თანა-აღიყვანნა, რაჟამს ღმრთისა მამისა ადიდნა ჴორცნი ჩუენგან მიხუმულნი[4] საყდართა მამულთა დაჯდომითა. ამან ქველის მოქმედებითა თჳსითა განაჭჳნო[5] ბუნებაჲ კაცთაჲ, რაჟამს ყოვლითურთ განგუსწავლნა თჳთო სახეთა მტერისა განცდათა თავს-დებითა. ამისთჳსცა ქადაგებისა მიერ წმიდათა მოციქულთა მისთაჲსა განმტკიცებულნი ებაძვნეს ქუეყანასა ზედა კაცნი ცათა შინასა მას მოქალაქობასა ანგელოსთასა და მიიწივნეს ვითარცა იგინი სრულსა უვნებელობასა ღუაწლთა ძლიერთა წინა ჩუენებითა, და დათრგუნეს ყოველი ძალი მტერისა შეწევნითა ღუაწლთა დამდებელისა მათისა ღმრთისათა. ამისთჳსცა ადიდნა ღმერთმან ქუეყანასა ზედა, რომლისათჳს იგი იღუაწეს და სულიცა თჳსი უარ-ყვეს მორჩილებისათჳს მცნებათა მისთასა, ხოლო ცათა შინა რადღა საჭმარ არს თქუმად, თუ ვითარითა დიდებითა შემკობილნი წინაშე ღმრთისა კადნიერებით დგანან და ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა იდიდებიან მოქმედებითა დიდითა სასწაულთაჲთა.

ხოლო ღმერთმან ესევითართა კეთილთა არცაღა ქუეყანაჲ ესე ჩუენი დააკლო, არამედ უფროჲსღა გარდაჰმატა უხუებითა წყალობითა თჳსთაჲთა მოვლინებითა წმიდათა დიდებულთა მამათაჲთა, რომელთა მამულად აქუნდა ანტიოქია ასურეთისა, ხოლო ნიჭად ღმრთისა მიერად მოემადლნეს სამეუფოსა ამას ჩუენსა და დიდთა შინა წარმატებათა სათნო-ეყვნეს ღმერთსა და მრავალთა ნიშთა და საკჳრველებათა მიერ განთქუმულ ყვნა იგინი ღმერთმან, რომელნი უკუეთუმცა ბერძენთა შორის ქმნილ იყვნეს, ძლითმცა აღსარიცხველი[6] წერილი შეექმნა, გარნა ვითარცა და არს ნათესავი ქართველთა მარტივ და ამას თანა ლიტონცა, არავინ იღუაწა აღწერად, გარნა ესე მცირედი თითო სახედ სხუათა და სხუათა მოსაჴსენებელთა შინა ჩემ მიერ პოვნილი, არა

---

[1] ღმერთმან]--H. [2] სახიერებისამან H. [3] ღვთაებისა H. [4] მიხმულნი H. [5] განამჭჳო H [6] აღსარიცხვავი H.

დავიცონე ერთად შეკრებად, ვინაჲთგან თჳთ მეცა მრავალთა თუალითა ჩემითა მხილველ[1] ვარ სასწაულთა წმიდისა ამის და დიდისა მამისა შიოჲსთა თჳთ ჩემ ზედაცა აღსრულებულთა და სხუათაცა მრავალთა, და ვითარცა ღმერთმან ძალი მოგუცეს, ყოველი გარდამოვსცეთ სიყუარულსა თქუენსა.

სასწაულნი წმიდისა მამისა შიოჲსნი, თავნი: ႨႧ:

თ ა ვ ი: ⴀ:

ოდეს-იგი მღჳმესა შინა მჯდომარე იყო სანატრელი მამაჲ შიო, იყო ვინმე კაცი სამთავროსა შინა სპარსთასა სენითა წყლით მანკიერებისაჲთა ფიცხლად გუემული და ყოველი, რაჲ იყო მისი, წარაგო მკურნალთა ზედა, გარნა მას არარაჲ სარგებელ ეყო. ამას ესმოდა საკჳრველებათათჳს წმიდისა შიო[ჲ]სთა და ჰრქუა მონათა თჳსთა, რათა წარიყვანონ წინაშე მისსა. ესე ვითარცა მოიწია და დავარდა ზედა კერძო მღჳმისა[2] მის და ჴმობდა[3] ჴმითა ძლიერითა ბერისა მიმართ, ვითარმედ: წმიდაო მამაო შიო[4], შემიწყალე[5], რამეთუ სარწმუნოებით მოსრულ ვარ ფრიად საწყალობელი და განმკურნე გუემისა ამისგან ჩემისა. და ესრეთ ჴმობდა დღე ყოველ. ხოლო ჰრქუეს მას ძმათა მონასტრისათა: დუმენ, ძმაო, რამეთუ ბერი არავის ეზრახების, თჳნიერ დღესა ოდენ კჳრიაკესა მამასახლისისა[6] ამის მონასტრისაჲსა. გარნა იგი ეგრეთცა დაადგრა ჴმობასა და ვედრებასა შინა. ხოლო მოიწია რაჲ დღე კჳრიაკე და კაცმან მან ნეტარი ევაგრე[7] იხილა შთამავალი ბერისა, უმეტეს იწყო ღაღადებად და ფიცით დაამტკიცებდა, რაჲთა ვიდრემდის არა განიკურნოს, არა წარვიდეს. ჰრქუა ღირსმან ევაგრი ნეტარსა შიოს: მამაო, ლოცვა-ყავ კაცისა იმისთჳს, რამეთუ შორით გზით მოიწია, მიიღოს სიწმიდისა შენისა კურნებაჲ. ხოლო ბერმან შეიჭუვა[8] პირი თჳსი და მიუგო ევაგრის: დუმენ, ძმაო, და ნუ მეტყჳ ესრეთ, და ვინ[9] ვარ მე, ცოდვილი ესე და უსაწყალობელესი ყოველთა კაცთა, ღმერთი არს ყოველთა მკურნალი და ვისი უნებს, თჳთ იგი განკურნებს ჴელითა ანგელოზისა თჳსისაჲთა. ხოლო ევაგრი არღარა შესძინა წყინებად ბერისა, არამედ მიზეზ ყო დაბერტყად კუნკული მისი. და პოვნა სამნი ბეწუნი თმათაგან მის წმიდისათა და იპყრნა ჴელსა შინა თჳსსა იდუმალ ბერისაგან მტკიცითა სასოებითა, რაჲთა კაცსა მას მისცეს საკურნებელად სალმობისა მისისა. ეზრახა უკუე სამ ჟამ ოდენ ბერსა, მერმე აღმოვიდა მღჳმით და ძიება ყო კაცისა მისთჳს და არღარა პოვა მღჳმისა მის პირსა. განვიდა უკუე და იხილა იგი სრულიად განკურნებული, რამეთუ ქადაგებდა წინაშე ყოველთა დიდებულებასა მას ღმრთისასა, რომელი იქმნა მის ზედა ნეტარისა შიოჲს მიერ. მოუწოდა უკუე ღირსმან ევაგრი კაცსა მას და განკჳრვებული ჰკითხვიდა: ძმაო, ვითარ განიკურნე, მაუწყე მე? ხოლო იგი ეტყოდა: შთა-რაჲ-ხვედ შენ მღჳმესა შინა, ვეჭუ, თუ შენ წარმოავლინე ჭაბუკი იგი, რომელმან მომცნა[10] მე სამნი თმანი მოხუცებულისა კაცისანი და მიბრძა-

[1] მხილველ]+ქმნილ H. [2] მღჳმისსა H. [3] ჰჴმობდა H. [4] შიო]—G. [5] შემიწყალე] – H. [6] მამასახლისსა H. [7] ევაგრი H. [8] შეიჭუა G. [9] ვინა G. [10] მომცა G.

ნა, რაჲთა შთავისხნე პირსა შინა ჩემსა, და შთავისხენ; მყისსა შინა განვიცალე ვითარცა თხიერი და აჰა ესერა ვდგა მე წინაშე შენსა. განიხილა უკუე ევაგრი ჴელი თჳსი და არღარა აქუნდეს თმანი იგი ჴელსა შინა თჳსსა. მო[ი]ცვა უკუე განკჳრვებამან დიდმან და გულისჴმა-ყო უკუე, ვითარმედ ანგელოზისა მიერ მიეცნეს კაცსა მას ჴელთაგან მისთა უხილავად ახუმულნი. და ყოველთა რომელთა იხილეს ესე სასწაული, ადიდებდეს ღმერთსა და აქებდეს მონასა მისსა შიოს.

წარვიდა უკუე კაცი იგი ქუეყანად თჳსად, თმათა მათ მიერ იქმოდა საკჳრველებათა დიდთა. და მოვიდის კაცი იგი წლითი-წლად და მოიღის საკუმეველი და ზეთი წმიდაჲ[1] ეკლესიისათჳს, და ქადაგებდა სასწაულსა მას მისსა ზედა აღსრულებულსა და ყოველნი, რომელთა ესმა და იხილეს, ადიდებდეს ღმერთსა.

სასწაული მეშჳდე

სხუაჲ ვინმე კაცი იყო მორწმუნე ქუეყანისაგანვე სპარსთაჲსა, რომლისა ძე ბრმაჲ განეკურნა ნეტარსა შიოს. ესე ოდესმე ჩოვიდოდა ნეტარისა შიოჲსა[2] და აქუნდეს ორნი კერძოვირნი აღტჳრთულად ზეთითა, სიმსიმითა, თაფლითა და ღელღჳთა ჴმელითა, რაჲთა უევლოგიოს ძმათა მონასტრისა მისისათა. შეუღამდა უკუე უდაბნოსა ადგილსა და დაესხნეს მათ ზედა ავაზაკნი, დაწყლნეს მონანი მისნი და თჳთ იგი ივლტოდა, ვიდრემდის განთენა[3]. ხოლო განგებულებითა ღმრთისაჲთა მოვიდეს მონანიცა მისნი ლტოლვილნი წინაშე მისსა. არა შეორგულდა ყოვლადვე კაცი ესე, არამედ აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და ჴმა-ყო ესრეთ: მამაო წმიდაო შიო, შენ იზრუნვე ყოვლისა მისთჳს, რაჲ-იგი ევლოგია მოგუაქუნდა მონასტერსა შენსა, და კერძოვირთაცა მათ ჩუენთათჳს. და ესრეთ წარემართა გზასავე მონასტრისასა. ხოლო ღმერთმან შეცვალნა გონებანი მათ ავაზაკთანი. და ვითარ ვიდოდეს იგინი გზასა, ეგონა მათ, ვითარმედ თჳსად საყოფელად მივლენ. იხილნეს თავნი თჳსნი, რამეთუ მისრულ იყვნეს მახლობელად მონასტერსა[4] მღჳმისასა. და გუემნა ღმერთმან სიბრმითა, ვიდრემდის დასხდეს გზასა ზედა ყოვლად უნათლონი. ხოლო მოიწია კაცი იგი და იხილნა კერძოვირნი თჳსნი თჳსითავე ტჳრთითა და კაცნი იგი ბრმანი, და განკჳრვებული უკუე ჰკითხვიდა მათ: კაცნო, სადანი ხართ, ანუ კერძოვირნი ესე ვინაჲ[5] არიან თქუენ თანა. ხოლო მათ უნდა და თუ არა აღიარებდეს ბრალსა თჳსსა, ვითარმედ: ჩუენ კაცნი ვართ ავაზაკნი და ესე სხუათაგან მიტაცებულნი გუქონან. ჩუენ ვგონებდით, თუ სახიდ ჩუენდა მივალთ და ვიხილენით თავნი ჩუენნი უცხოთა რათმე კლდეთა შინა, და აჰა მოხუცებული ვინმე მონაზონი ვიხილეთ, რომელმან გუბერა თუალთა ჩუენთა და დავბრმდით, და არა უწყით, თუ სადა ვართ, არამედ გევედრებით შენცა[6], ვინცა-ეგე ხარ, რაჲთა წყალობა-ყო ჩუენ თანა და სადა-იგი[7] მიხვალ, წარგჳძღუე[8] ჩუენცა, რაჲთა არა უდაბნოსა ზედა მოვსწყდეთ.

---

[1] წმიდაჲ]—H. [2] შიოჲსსა GH. [3] განთენდა GH. [4] მონასტრისა H. [5] ვინ H, ვინა G [6] შენ H. [7] სადა-იგი]+შეა H. [8] წარგჳყვანე H.

ხოლო მორწმუნემან მან კაცმან არარაჲ ჰრქუა მათ ყოვლადვე, არამედ ესე: მოვედით, ძმანო, და მიგიყვანნე ესერა მახლობელად მონასტერსა კაცისა ღმრთისა შიოჲსსა. და შეუდგეს მას კაცნი იგი. ხოლო მი-რაჲ-ვიდეს მონასტრად, ჰრქუა ავაზაკთა მათცა[1] და[2] მონათა თჳსთა: დასხედით, ძმანო, თქუენ აქა მახლობელად ეკლესიისა. ხოლო მე აღვიდე მამასახლისისა. და მივიდა უკუე ქუაბსა ნეტარისა ევაგრესსა, იხილა იგი და მოიღო ლოცვაჲ მის მიერ[3]. მერმე მიუთხრა ყოველი, რომელი შემთხუეულ იყო მისდა სლვასა მას შინა გზისასა. ესმა რაჲ ესე ყოველი ევაგრის, უბრძანა, რაჲთა დაჰრეკონ ძელსა და შემოკრბენ ყოველნი ძმანი.

მერმე მოიყვანნა ავაზაკნი იგი და[4] ჰრქუა წინაშე ყოველთასა: შვილნო, ვინანი ხართ, ანუ რაჲ არს თქუენ ზედა მდებარე ეგე სასჯელი[5]? იწყეს უკუე კაცთა მათ და წარმოუთხრეს ყოველი თითოეულად. ეგრეთვე მორწმუნემან მან კაცმან წარმოუთხრა პირველი განსაცდელი თჳსი. და ყოველთა ესმოდა რაჲ საკჳრველებაჲ ესე, ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო კაცთა მათ ავაზაკთა ცნეს რაჲ მათ ზედა აღსრულებული იგი საკჳრველებაჲ, აღიმაღლეს ერთბამად ჴმაჲ და ღაღადებდეს, ვითარმედ: მონაო ღმრთისაო შიო, შეგჳწყალენ ჩუენ უღირსნი ესე მონანი შენნი და ნუ მოგუაგებ უსჯულოებათა ჩუენთაებრ. და ესრეთ ჴმობდეს მრავალ ჟამ. ხოლო ევაგრი უბრძანა: დასცხერით, ძმანო, დღედმდე კჳრიაკედ და მაშინ ვევედრო წმიდასა თქუენთჳს. ხოლო თქუენ დაადგერით ლოცვასა შინა და ვედრებასა ღმრთისასა.

მოიწია რაჲ დღე კჳრიაკე, შთავიდა ევაგრი ხილვად ბერისა. ხოლო კაცთა მათთჳს დაიდუმა განგებულებითა. არამედ რაჟამს იჯმნიდა ბერისაგან, ჰრქუა მას ბერმან: ძმაო ევაგრი, მიიღე კუერთხი ესე და არქუ კაცთა მათ, რაჲთა განეყენნენ ეგევითარსა უწესოებასა. აჰა ესერა განმიჴსნიეს კრულება ეგე[6] ვერ-მხედველობისა მათისა. შეახე თუალთა მათთა და განეხუნენ და ეკრძალნენ, რაჲთა არა უძჳრესი ეყოს. განკჳრდა უკუე ევაგრი, რამეთუ არარაჲ[7] დაეფარვის არცა თუ მცირეთაგანი რაჲმე. აღმოვიდა და მიუთხრა ყოველივე კაცთა მათ, რაჲ-იგი იქმნა[8]. ჰრქუა მას ბერმან, ხოლო იგინი აღუთქუმიდეს, ვითარმედ არღარა ოდეს შესძინონ ეგევითარი უწესოებაჲ. შეახო თუალთა მათთა კუერთხი ბერისა[ჲ] ღირსმან ევაგრი და მეყუსეულად დაჴსნდა სიბრმე მათი და იხილეს ნათელი დღისაჲ და ადიდებდეს ღმერთსა. წარვიდეს სოფლად თჳსა და აღიარებდეს ცთომილებასა მას თჳსსა და ქადაგებდეს დიდებულებასა[9] ღმრთისასა და მიუთხრობდეს სასწაულთ-მოქმედებასა ნეტარისა შიოჲსსა და ყოველნი, რომელთა ესმოდა[10], ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო მორწმუნემან მან კაცმან დაყუნა მცირედნი დღენი მონასტერსა მას შინა და კერძოვირნიცა იგი მისნი მისცნა[11] სამსახურებელად მონასტრისა. ხოლო თჳთ მიიღო კურთხევაჲ ბერისაგან[12] და ყოველთა მათ ძმათა და წარვიდა სოფლად თჳსად მშჳდობით და მიუთხრობდა ყოველთა საკჳრველებასა მას ნე-

---

მათცა]—H. [2] და]+მათცა H· [3] მიერი H [4] და]—H. [5] ეგე სასჯელი] სჯული H. [6] იგი H. [7] რამეთუ არარაჲ] თუ ვითარ არა H. [8] ჰქმნა H. [9] დიდებულებასა]+მას H. [10] ესმა H. [11] მისცა H. [12] ბერისა H.

ტარისა შიოჲს მიერ აღსრულებულსა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა და აქებდეს მონასა მისსა შიოს.

სასწაული მერვე

ჟამთა მათ შინა ოდეს ქართლს შინა მთავრობდა სტეფანოზ, ამან ოდესმე ღმრთის მოყუარებისა[1] ჩემებითა ინება, რაჲთამცა მოვიდა მღჳმედ თაყუანის-ცემად ნეტარისა შიოჲსსა. ხოლო ინება პირველად მივლინებად მსახური თჳსი და მიჰრქუა მამასახლისსა მისლვაჲ თჳსი. და მივიდა დღესა მეორესა თჳთ იგი და აღმოუწოდა კათალიკოზსა ბართლომეს, რაჲთა იგიცა მივიდეს კრებისა ყოფად მის თანა. და მივიდა რაჲ კათალიკოზი, ცნეს მამათა ყოველთა და განვიდეს მიგებებად მის წინაშე ჯუარებითა და კერეონებითა, ვითარცა ჰშუენის მამათ მთავარსა. და იკურთხეოდეს ყოველნი და ამბორს უყოფდეს ჴელთა და ფერჴთა და რომელნიმე აღიღებდეს მიწასა კუალთა მისთასა ევლოგიად და შეასხმიდეს გალობითა ჯერისაებრ. დაყვეს დღე იგი და მიიღო ყოველთა მამათა ლოცვაჲ კათალიკოზმანცა. და იჯმნა სტეფანოზისგან და წარვიდა. და წარსლვასა მას ეგრეთვე პატივი უპყრეს ყოველთა ჯეროვნად. იხილა რაჲ ესე[2] სტეფანოზ, განიხეარხებოდა შურითა, რამეთუ ამას არარაჲ ესევითარი პატივი უყვეს მონათა მათ ღმრთისათა და რამეთუ იყოცა კაცი ესე ამპარტავან და ბოროტითა შურითა აღსავსე და ეკლესიათა ფრიად ძჳრსა უყოფდა.

მოუწოდა თჳსაგან[3] მამასახლისსა და ჰრქუა უპატიოდ, ვითარმედ: ბერო არა კეთილო, არა სცანა მოსლვაჲ ჩემი უწინარეს დღისა ერთისა? და მან ჰრქუა: ჰე, ვცან. და მიუგო: და ვითარ შეურაცხ-მყავთ, რამეთუ არარაჲ მთავრობისა პატივი წინა-მიყავთ[4] და ოდეს სცანით ეპისკოპოზისა თქუენისა მოსლვაჲ, ესეოდენ ადიდეთ იგი? მიუგო მამასახლისმან მდაბლითა ჴმითა: უფალო მთავარო, და რაჲ არს ჩუენ მიერ პატივი გინა თუ შენ ზედა, გინა თუ მას, არამედ ჩუეულ ვართ წესთაგან ეკლესიისათა, რაჲთა მსგავსად ქრისტესსა გუეპყრნენ მწყესნი და რად უსწავლულეს გამოვჩნდეთ ყრმათა მათ ებრაელთასა, რამეთუ გუესმის ეგერა სახარებისაგან ვითარ პატივ-სცეს მათ შესლვასა მეფისასა იერუსალემდ,[5] და აწ ესერა მსგავსად მეუფისა[6] პატივს-ვსცემთ ამას, რომელი გამოირჩია მან სიძედ ეკლესიისა თჳსისა ნაცვალად თჳსსა. და ჰრქუა სტეფანოზ: და უმეტეს არსა საყდარსა ჩემსა ეპისკოპოზისა, და რამეთუ მე მეფეთა საყდართა ვზი და იგინი არიან ნაცვალნი ღმრთისანი ქუეყანასა ზედა? ჰრქუა მას მამასახლისმან: მთავარო, კეთილად იტყჳ, რამეთუ მეფენი ოდეს ემსგავსნენ ღმერთსა სიმართლითა და სახიერებითა და მოწყალებითა, არიან ნაცვალ ღმრთისა, არამედ ვითარ ვხედავ გონებასა შენსა, ფრიად შორს ხარ ღმრთისა მსგავსებისაგან, რამეთუ სიტყუანი ეგე ამპარტავანთანი არიან და მოშურნეთანი, რომელთათჳს წერილ არს სულისა მიერ წმიდისა: «შერისხენ შენ ამპარტავანთა და წყეულ არიან, რომელთა გარდააქციეს მცნე-

[1] მოყუარებისა] მსახურებისა H. [2] ესე]+ყოველი H. [3] თჳსაგა G. [4] რამეთუ არა რაჲ... მიყავთ]—H. [5] იერუსალიმად GH. [6] მეუფისა] მეფისა მის H.

ბათაგან შენთაჲ»*. და კუალად შურმან რაჲ შეიპყრა ერი უსწავლელი, ცეცხლი აღეგზნა და აწ შენ განეშორე წინა-აღდგომასა[1] ღმრთისასა და მიიღე მსგავსთა შენთაგან კაცობრივი პატივი, ხოლო ეპისკოპოსთა—ეკლესიისა და შვილთა მისთაგან, რამეთუ ოდეს შენ ჯეროვნად არა პატივ-სცემ, რად აყენებ მონათა ღმრთისათა მცნებისა მისისა აღსრულებად? განრისხნა გულის წყრომით სტეფანოზ მხილებათა მათთჳს და მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: არა მივსცე შეურაცხის-მყოფელთა მამული ჩემი. და წარვიდა და უთქმიდა მრავალსა შინებით.

ღამესა მას ზედა მიადგა ვინმე დიდებული კაცი სახითა მონაზონისაჲთა და აქუნდა ჴელთა შინა მისთა კუერთხი ოქროჲსა[ჲ] და ჰრქუა: სტეფანოზ, ბოროტო და მედგარო, რად მისტაცენ მონასტერსა ჩემსა აგარაკნი? ირწმუნე ჩემი. არა თუ უკუნსცნე, მოვავლინო შენ ზედა რისხვაჲ ღმრთისაჲ და ბოროტად შეგჭამოს. განიღჳძა და თქუა: ესე საოცრებაჲ რაჲმე არს და არარაჲ არს ჭეშმარიტი. მოიწია რაჲ ღამე მეორე, კუალად გამოუჩნდა დიდებული იგი სახილავი და აქუნდა ჴელთა მისთა ჯუარი და კუერთხი და ეტყოდა საშინელებით: სტეფანოზ უკეთურო, მე ვარ მონაჲ ღმრთისაჲ შიო. რომელი გეტყჳ, უკუეთუ არა უკუნსცნე[2] აგარაკნი იგი მონასტერსა ჩემსა, ამიერითგან არღარა დაგითმო, არამედ განვაქიქო სიცოფე შენი. განკრთა უკუე და განიზრახვიდა ოჳსაგან ჩუენებისა მისთჳს და ეძნებოდა მონათაგან, რამეთუ ყოვლად არა ელმოდა აგარაკთა მათთჳს, არამედ ღმრთისა მიმართ ოდენ დაედვა სასოებაჲ მათი და განიზრახა ესრეთ, რაჲთა ერთი იგი აგარაკი მისცეს მონათა, ხოლო ერთისა მისთჳს კუალად განიზრახოს და ნუუკუე მონაზონნიცა იგი მივიდენ ვედრებად. ხოლო მომავალსა მას ღამესა კუალად გამოუჩნდა სტეფანოზს ძილსა შინა მონაჲ ღმრთისაჲ შიო მითვე პირველ ხილულითა სახითა და ეტყოდა: შვილო ბნელისაო სტეფანოზ, ვინა[ჲ]თგან სულგრძელებასა ღმრთისასა აუსამართლოებ შენ ზედა, მართლიად გეტყჳ შენ: ანგაჰარისა მაგისთჳს გონებისა შენისა არღარა მივიხუნე ორნი იგი აგარაკნი ჩემნი, უკუეთუ არა უკმომცნე ორნი სხუანი აგარაკნი შენნი მათ ზედა, და უკუეთუ ესე არა ჰყო, საწყალობელ გყო ყოველთა მხილველთა შენთა და მოვაწიო მოულოდებელი მწუხარება შენ ზედა. განკრთა უკუე სტეფანოზ[3] შეშფოთებული[4], დაჯდა ცხედარსა ზედა განლიგებული. მოუწოდა მერმე ერთსა მონათა თჳსთაგანსა და ჰრქუა მას ესრეთ: წარვედ აწვე ჟამსა ამას და მივედ მონასტრად შიოჲსსა და არქუ მამასახლისსა, რაჲთა აგარაკნი იგი კუალად მიითუ[ა]ლნეს, რომელნი მე მიუხუენ და არწმუნე მათ ლოცვის ყოფად ჩემთჳს. ხოლო ვითარცა ენება მსახურსა მას, რაჲთა წარვიდეს, ვერ ეძლო განვლად კარსა პალატისასა, არამედ შეეკრნეს ფერჴნი მისნი ვითარცა ბორკილითა. იხილა რაჲ ესე სტეფანოზ, განცჳფრდა და მოიცვა იგი ურვამან საშინელმან და ჴმიერისა მისგან ურვისა კუალად მიერულა მას და მყის წარმოუდგა მას ნეტარი შიო არღარა ძილსა შინა, არამედ ცხადად, განაღჳძა იგი და ჰრქუა მას: ჵ[5] საწყალობელო და ბრმაო გულითა სტეფანოზ! აჰა მსგავსად გულისა

[1] წინააღმდგომსა H. [2] სცე GH. [3] სტეფანოზს G. [4] შეშფოთებულსა GH. [5] ჵი GH.
* ფსალმ· 118,21.

შენისა იქმნე ბრმა თუალითაცა შენ და ცოლი შენი და შვილნი შენნი და ცოფ, ვიდრემდის განგსწავლოს შენ უფალმან საქმედ[1] უმჯობესისა. და მეყსეულად მიეღო თუალთა მისთა ნათელი და განცოფნა. ეგრეთვე იქმნნეს ცოლი და შვილნი მისნი და იწყეს ღაღადებად და ჴმობად. და მიეტევებოდა ერთიერთსა ზედა კბილითა. და იხილვებოდა ხილვაჲ[2] საწყალობელი, რამეთუ ძლით იპყრობდეს ჴელებითა მთავარნი და ყოველი ერი. და ჴმობდეს იგინი ძლიერად, ვითარმედ შიოჲს მიერ მონისა ღმრთისა ვიგუემებით, ვიდრემდის განცჳვეს ველად. გულისჴმა-ყვეს ესე უკუე წარჩინებულთა მათ ქართლისათა და კრულნი წარიყვანნეს იგინი და მიიყვანნეს სარკინისა მღჳმედ წოდებულსა მას მონასტერსა ნეტარისა შიოჲსსა. ხოლო იხილნეს რაჲ მამათა მონასტრისათა ეგრეთ საწყალობელად გუემულნი თანა-ლმობით იკითხვიდეს მიზეზსა ჭირისა მის მათისასა. ხოლო ცნეს რაჲ, მიისწრაფეს ეკლესიად და დაჰრეკეს ძელსა, ვიდრემდის შემოკრბეს ყოველნი ძმანი. და მიიყვანნეს იგინი წინაშე საფლავსა წმიდისასა, და ლოცვა ყვეს მათთჳს. მერჩე მოიღო მამასახლისმან მტუერი წმიდისა მის საფლავისა და შთაყარა ბარძიმსა შინა და ასუა თჳთ სტეფანოზს და ცოლსა და შვილთა მისთა და მყის მოეგნეს გონებასა ცოფნი იგი, გარნა სიბრმე მათი ეგო განუკურნებელად. მაშინღა იწყეს ვედრებად ნეტარისა შიოჲსსა და ყოველთა მათ მამათა ცრემლით ევედრებოდეს ლოცვისა ყოფად მათთჳს.

მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რაჲთა დაწერნეს ორნი დაბანი დაბათაგან სამეუფოთა ურჩეულესნი. მერმე აღიღო ჴელითა თჳსითა ქარტაჲ იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიოჲსსა და ესრეთ გოდებდა: აჰა,[3] მამაო, პატიჟი ბრალისა ჩემისაჲ, მიიღე ჴელით წერილი ესე და შემინდევ ბრალი ჩემი, რომელი უსჯულოვებისა ჩემისათჳს[4] შემემთხჳა, დამიჴსენ სიბრმისა ამისგან ჩემ ზედა მდებარისა. ესრეთ მრავალ ჟამ რაჲ ევედრებოდა, მოიღო კუერთხი იგი ნეტარისა შიოჲსი მამასახლისმან იოანე და განბანა იგი წყლითა და დაბანნა თუალნი მათნი წყლითა მით. და იქმნა საკჳრველებაჲ დიდი, რამეთუ მეყსა შინა განეხუნეს თუალნი მათნი და ხედვიდეს. და ადიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა, ნეტარსა შიოს. და დაამტკიცა უკუე ჴელით წერილი იგი ჴელითა თჳსითა, და მასვე ჟამსა დაწერა ჰროარტაკი და დაამტკიცა ჴელითა თჳსითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჲთა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიჴდისა. ესრეთ ამიერითგანღა იწყო სტეფანოზ კეთილის ყოფად ეკლესიათა და პატივისა პყრობად ეპისკოპოზთა, მღუდელთა და მონაზონთა. და ამანცა ფრიადი აშენა ეკლესიასა ზედა ჯუარისასა. ეგრეთვე ცოლმან მისმან ფრიადი საფასე მიანიჭა წარსაგებელად მონასტერსა მამისა შიოჲსსა. ამიერითგან[5] წლითი-წლად აღვიდიან ცხრასა მაისსა დღესასწაულობად საჴსენებელსა ამის წმიდისასა და მრავალსა კეთილსა უყოფდა მიერითგან ყოველთა ეკლესიათა სტეფანოზ. და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა შიოს.

---

[1] საქმედ]— G. [2] ხილვად H. [3] აჰა]ღ´სა H. [4] ჩემისა მიერ H. [5] მიერითგან H.

სასწაული მეცხრე წმიდისა შიოჲსი

მრავალ გზის უკუე სამხილებელად ცოდვათა ჩუენთა გარდარეულებისათჳს მისცა ღმერთმან განსაწურთელად ყოველი ქართლი ჴელსა ბილწთა აგარიანთასა, რომელ არიან სარკინოზნი. ესენი ოდესმე შემოვიდეს ბრძანებითა ამირ-მუმინისაჲთა და ტყუე-ყვეს ყოველი სომხითი და ქართლი და ვიდრე მთადმდე არგუეთისა ყოველი ოჴრებასა მისცეს. ხოლო იყო წინამძღუარ სპისა მის მათისა აჰმადა, ნათესავი ამირ-მუმინისა[1], კაცი მძლავრი და გულ-ფიცხელი და ანგაჰარი. და ამან აღვლო ველი მუხნარისა და[2] იმიერ მდინარისა მტკურისა წარავლინნა სპასპეტნი თჳსნი უმარ და ბურულ. მიიწივნეს რაჲ სოფელსა ციხედიდისასა, იხილეს პირისპირ კლდეთა შინა სარკინისათა გამოქმნილი იგი ქუაბები. დადგეს და თქუეს: ისი სიმაგრენი უკუეთუ არა გამოვიხუნეთ, სირცხჳლ იყოს ჩუენდა და არცა სულტანმან შეგჳნდოს უდებ მყოფელთა ამისთა. განირჩიეს უკუე წყალი მდინარე მტკუარი, და შთავიდეს ყოველნი, რაჲთა[3] წიაღჴდენ, გარნა უქმ იყო სლვაჲ მათი, რამეთუ დღე ყოველ იაოებოდეს მდინარესა მას შინა და ვერ უძლებდეს განსლვასა ამიერ. ხოლო იქმნა რაჲ მწუხრი, მაშინღა ძლით მოეგნეს გონებასა და ცნეს, რამეთუ ცუდად შურებიან და განკრთეს საკჳრველებისაგან და უნდოდა, რაჲთა ცნან მიზეზი. და მოიყვანეს ტყუეთაგანი ერთი და ჰკითხვიდეს, თუ რაჲ არს ქუაბთა მათ შინა კლდოვანთა? ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: იქი მონანი ღმრთისანი არიან შეკრებულ ნეტარისა კაცისა მიერ ფრიად სასწაულთ მოქმედისა, რომელსა ეწოდების შიო. განკჳრდეს უკუე ფრიად და წარვიდეს. და რაჟამს მიიწივნეს წინაშე აჰმადისა, სადა შეკრბებიან ორნი მდინარენი მტკუარი და ლიახვი, რამეთუ მუნ დაებანაკა, ჰრქუეს მას რომელი-იგი იხილეს სასწაული წმიდისა შიოჲს მიერ. ხოლო მან ფრიად აბრალა მათ, რამეთუ არა უწინარეს ჰრქუეს, რაჲთამცა ეხილა ადგილი იგი. ამისა შემდგომად წარავლინა ერთი მთავართაგანი უმარ და წარგზავნა ფრიადი საჴმარი, რომელი შეეტყუების საზრდელად მონაზონთა და ოქროჲ ფრიადი და ალვაჲ საკუმეველი ტჳრთი ერთი, და მიჰრქუა[4] ესრეთ, ვითარმედ: ლოცვა-ყავთ ჩემთჳს, მონანო ღმრთისანო, და საჴმარი ესე მიიღეთ და ალვაჲ ესე ყავთ სამსახურებელად საფლავსა ზედა მოძღურისა თქუენისასა, და მო-რაჲ-ვიქცე, თჳთ გიხილნე მშჳდობით. მიიწია უკუე მთავარი იგი და მიეახლა რაჲ[5] ბჭეთა მონასტრისათა, იხილა აურაცხელი სპაჲ მჴედრობისაჲ, რომელნი იარებოდეს ჰაერთა[6] ზედა და შორის მათსა მოხუცებული კაცი მონაზონი, ფრიად შუენიერი, რომელი უბრძანებდა მათ და იგინი განამტკიცებდეს ყოველთა მათ ადგილთა. მიავლინა უკუე მონა და მიუმცნო ბრძანებაჲ სულტანისაჲ მონაზონთა და მშჳდობაჲ და უშიშოებაჲ მისცა მათ. ხოლო მათ შეიყვანეს შინაგან მონასტრისა და ყოველი იგი შეწირა, რომელ წარმოევლინა სულტანსა და მსგავსად სჯულისა მათისა ილოცა საფლავსა ზედა ნეტარისა შიოჲსსა, და მიხედნა ძმათა მათ ყოველთა და იხილნა დაბებკულითა ფლასისაჲთა მოსილნი მყუდროდ მავალნი, არარაჲს

---

[1] დუმინისა G. [2] და] ხოლო H. [3] რათა]—H. [4] მიურქუა G. [5] რაჲ]—H. [6] ლავრთა H.

ქუეყნიერისა მზრუნველნი. ჰკითხა მათ და ჰრქუა: წმიდანო ღმრთისანო, რაჲსათჳს გეშინის თქუენ კაცთაგან, რამეთუ ̣არარას[1] ვინ შემძლებელ არს თქუენგან მიღებად[2] და ვხედავ, რამეთუ უხილავნი რაჲმე ძალნი ჰაერთა შინა იარებიან სახითა მჴედართაჲთა და წმიდასა ამას ადგილსა სცვენ და ვეჭუ, თუ ანგელოზნი არიან იგინი, რამეთუ გამოჩნდებიან და დაიფარვიან, და არიან ბრწყინვალენი საკჳრველად, და შორის მათსა მონაზონი ყოვლად მიუთხრობელი[3] სიკეთითა სახისაჲთა და მოხუცებულთა თმათა და წუერთა მქონებელი, და ესე უცილობელად არს მოძღუარი თქუენი. ესმა რაჲ ესე ძმათა მათ და კუალად სასწაულიცა იგი, რაჟამს უნდოდა მჴედრობასა მას წიაღსლვად მდინარე იგი მტკუარი და ვერ უძლეს, ადიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა შიოს, რამეთუ მარადის ესრეთ მცველ არს ცხოვრებისა მათისა. ხოლო მთავარმან მან ყო აღთქუმაჲ, რამეთუ[4] მიერიითგან არარაჲ სადა[5] ევნოს ეკლესიათა და უძლოს, თუ ვითარ ნათელ-იღოს და იქმნეს ქრისტეანე და მონაზონ და დაემკჳდროს მათ თანა. იქმნა უკუე მათგან და წარვიდა მაშინ.

ხოლო შემდგომად [თ]თჳსა ერთისა ორთა თანა ერთგულთა თჳსთა უარ-ყო სჯული სპარსთაჲ, იჯმნა ყოვლისა დიდებისა თჳსისაგან, წარმოვიდა იდუმალ და მოიწია მღჳმედ. აღასრულა აღთქუმაჲ თჳსი: ნათელ-იღო და შეიმოსა წმიდაჲ სქემაჲ. და უწოდეს მას სახელი ნეოფიტე. იქმნა ყოვლად რჩეულ მონაზონ და მისწუთა მაღლითა მოღუაწებითა დიდთა მამათა საზომსა და მიანიჭა მას ღმერთმან ძალი სულთა არაწმიდათა სიტყჳთ ოტებად. და მრავალნი სასწაულნი[6] აღასრულნა ღმერთმან ჴელითა მისითა. და ამისთჳს დიდითა იძულებითა იქმნა ეპისკოპოს საყდარსა ზედა ურბნისისასა სამოელ კათალიკოზისა მიერ. ამან ნეტარმან ფრიადი ღუაწლი თავს-იდვა სამწყსოჲსა თჳსისათჳს და მრავლითა კადნიერებითა ჰბრძოდა ცეცხლის მსახურთა. ხოლო უკუანაჲსნელ იწამაცა მათ მიერ ქრისტესთჳს, რამეთუ ღამე შეიპყრეს და დაქოლეს იგი ქვითა. და ესრეთ მოწამეთაცა გჳრგჳნითა შეიმკო. ხოლო ორნი იგი მსახურნი მისნი—ესენიცა მონაზონ იქმნნეს და კეთილად აღასრულეს ცხოვრებაჲ ესე ფრიადითა სიფიცხითა მოღუაწებისაჲთა. ხოლო რომელსა ერთსა ეწოდა ხრისტოდოლე, ხოლო მეორესა ქრისტეფორე. ამას ქრისტეფორეს ერწმუნა მამასახლისობაჲ ილარიონ მამასახლისისა მიერ მემღჳმისა ვანისა[7] მკოდომანისა[8], და იქმნა ყოვლად რჩეულ და გამოცდილ მკურნალ სულთა, და მიიცვალა ას ორმეოცდა ხუთისა წლისა.

სასწაული მეათერთმეტე

კაცი ვინმე იყო წარჩინებული, სახელით გიორგი, და ცოლი მისი იყო ბერ წ. და კაცი ესე იყო მრავლისა მონაგებისა და სიმდიდრისა უფალ და უძნდა ფრიად, რამეთუ არა ესუა მათ შვილი. მარადის ევედრებინ ღმერთსა და წმიდათა მისთა, რაჲთამცა მიეცა შვილი. ოდესმე მოახდა დღესასწაული წმიდისა ამაღლებისაჲ. აღდგა კაცი უკუე ესე გიორგი და წარვიდა მღჳმედ, რაჲთა მუნ აღასრულოს დღესასწაული იგი. და მოახლებულ იყო დღეცა ჳსე

[1] რას] რაჲსა H. [2] მიღებად თქუენგან H. [3] მონაზონნი ყოვლად მიუთხრობელნი H. [4] რამეთუ] რათა H. [5] სადა]—H. [6] სასწაულნი] ღვაწლნი H. [7] ვანასა GH. [8] ასეა! ([illegible])

ნებისა წმიდისა შიოჲსი და დაეყოვნა კაცსა მას დღე რაოდენიმე მუნ. მოიწია რაჲ იგიცა დღე, რომელსა შინა აღესრულებოდა საჴსენებელი მამისა შიოჲსი, აღდგა უკუე დედაკაციცა იგი, ცოლი პირველ ჴსენებულისა მის კაცისაჲ, და მოიწია მღჳმედ, ქუაბსა მას, რომელსა შინა პირველ ღუაწლნი ძლიერნი მოილუაწნა ნეტარმან შიო. და არს ქუაბი იგი გარეშე ბჭეთა მონასტრისათა მცირედ განშორებულად. და არავინ პოვა სხუაჲ მუნ, რამეთუ იყო ღამე. და დაადგრა მუნ და ილოცვიდა და ტიროდა მრავლითა ცრემლითა უშვილოებისათჳს თჳსისა. ხოლო ქმარმან მისმან არა უწყოდა მისლვაჲ ცოლისა მისისაჲ, არამედ შეემოსა ძაძისა სამოსელი და წინაშე მღჳმესა მისსა [დგა]. და არს საფლავი წმიდისაჲ მუნ. მრავალთა სულთქუმითთა ვედრებათა განჰფენდა წინაშე ღმრთისა და ევედრებოდა წმიდასა შიოს. შეესმნეს უკუე ვედრებანი მისნი ღმერთსა და უცხოჲ რაჲმე სასწაული იქმნა წმიდისა ამის მამისა მიერ მის ზედა, რამეთუ მცირედ მიერულა[1] კაცსა ამას და ჰრქუა ვინმე ძილსა შინა, ვითარმედ: კაცო, აღდეგ და წარვედ ძუელად ქუაბად გარეშე ბჭეთა და მუნ ევედრე ღმერთსა და მონასა მისსა შიოს. აღდგა უკუე და მიიწია ბჭეთა მონასტრისათა და იხილნა დაკრძალულნი. უკმო მეკარესა და მიზეზ ყო რაჲმე და განვიდა, და მიიწია ქუაბად და არავინ პოვა მუნ, გარნა ცოლი იგი მისი და ვერ იცნა იგი, რამეთუ ღამე იყო, და არცა დედაკაცმან იცნა ქმარი მისი, რამეთუ ეცუა მას ძაძაჲ და ეგონა, თუ მარტო-მყოფთაგანი ვინმე არს. და ილოცვიდეს ორნივე ჟამ ერთ მდუმრიად. ხოლო განვიდა კაცი იგი კარსა ქუაბისასა, რაჲთა დაიძინოს მცირედ, და დედაკაციცა იგი განვიდა და დაიძინა განშორებულად. და გამოუჩნდა უკუე კაცსა მას ძილსა შინა ნეტარი შიო და ჰრქუა: აღდეგ, კაცო, უკუეთუ გინებს, რაჲთა შვილიერ იქმნე, და დაწევ დედაკაცსა იმას თანა მძინარესა. განიღჳძა კაცმან მან და თქუა: წყეულმცა არს ეშმაკი, ვითარითა სახითა ინებებს ცთუნებასა ჩემსა! დაიძინა კუალად. და კუალად გამოუჩნდა იგივე პირველი სახილავი. და აქუნდა ჴელთა ჯუარი და ჰრქუა: კაცო, მართლიად გეტყჳ, უკუეთუ ამას ღამესა არა დასწვე დედაკაცსა იმას თანა, არა განიჴსნენ საკრველნი შენნი, და მე ვარ მონაჲ ღმრთისაჲ შიო, რომელი ამას გეტყჳ. განიღჳძა უკუე კაცმან მან და თქუა: ჵ[2], რაჲმე არს განსაცდელი ესე, და ვითარცა ეგებოდა ესე კაცისაგან, რომელი ქალწულებით აღიზარდა და მსგავსად უჴორცოთა მოქალაქობდა, და ესე სიტყუანი რაღმცა იყვნეს წმიდისანი! დამძიმდა უკუე გონებაჲ მისი და კუალად დაიძინა. და აჰა კუალად აღდგა მის ზედა მონაჲ ღმრთისაჲ შიო და ეტყოდა: კაცო, გრწმენინ ღმრთისა და ჩემისა, მონისა მისისა შიოჲსი, რამეთუ უკუეთუ ამას ღამესა არა თანა-ეყო დედაკაცსა იმას, არა უკუე ოდეს კუალა შეუძლო შვილიერებად. აღდგა კაცი ესე განცჳფრებული და ზარ-ტეხილი და მივიდა მრავლითა სირცხჳლითა და ცრემლითა და ჰუვილითა[3] გულისაჲთა და დასხნა დედაკაცსა მას ჴელნი. ხოლო ღმერთმან დასდვა დედაკაცისა მის ზედა ჴშირი ძილი, ვიდრემდის უკჳრდაცა კაცსა მას. და თანა-ეყო რაჲ, მეყსეულად განჰკრთა დედაკაცსა მას და იკრჩაიალნა უშუერად. ესმა მონათა მის დედაკაცისათა, რა-

[1] შეერულა H. [2] ჵი DH. [3] ჰუილითა H, ჰუვითა D.

მეთუ იყვნეს მცირედ განშორებით. ხოლო კაცი ივლტოდა შეშინებული, რაჲთა არავინ შეიპყრას. და შეივლტოდა ბჭეთა მონასტრისათა, რამეთუ განგებულებითა ღმრთისაჲთა პოვა ღიად ბჭე მონასტრისაჲ. შევიდა უკუე, გოდებდა თჳსაგან და იტყოდა: ეჰა, ვაჲმე მოკიცხულსა ეშმაკისაგან! და აწ რაჲ ვყო, რამეთუ შევაგინე საწოლი ჩემი და ეჰა მე საწყალობელსა, რაჲ ესე ვყავ? ხოლო დედაკაცისა მის ზედა მოკრბეს რაჲ მონანი მისნი, არარაჲ ჰრქუა მათ თჳნიერ ესე, ვითარმედ: ძილსა შინა რაჲმე საოცრებით ვიხილეო; გარნა თჳსაგან, ვინ უწყის, თუ ვითართა მხილებათა მოეცვა! და რასა ჰყოფდა ტირილისა და მწუხარებისაგან, არა უწყოდა, რამეთუ შემრუშედ ხადოდა თავსა თჳსსა. არღარა ყოვნა, არამედ მწრაფლ აღდგა და ღამევე წარვიდა სახიდ თჳსად [1]. ხოლო კუალად კაცი იგი, მისი ქმარი, სირცხჳლეული ბასრობდა თავსა თჳსსა და იტყოდა: [არა] კეთილი შვილიერებაჲ მოვიღე სადამე [2], რამეთუ გამოვჩნდი მეძავად და ბილწად, ნაცვალად ამისსა, რაჲთა კეთილი რაჲმე შევიძინო. წარვიდა უკუე კაციცა იგი შემდგომად დღეთა რავდენთამე და მივიდა სახლად თჳსად მრავლისა ურვისა შინაგან მქონებელი. და ყოვლად ეკრძალებოდა საწოლსა ცოლისასა. და იყო დიდსა შინა სინანულსა. გარდაჴდეს ორნი თუენი და დედაკაცი იგი მიდგომილად ჰხედვიდა თავსა თჳსსა და განიკრძალებოდა, თუ რაჲ ყოს. და მოეცვა განსაცდელთა და გულის-სიტყუათა მრავალთა. განიზრახა უკუე სიტყჳთა კეთილითა [3] და ჰრქუა ქმარსა თჳსსა: უფალო ჩემო გიორგი, მაქუს რაჲმე სიტყუად შენდა. ხოლო მან ჰრქუა: იტყოდე. და იწყო ესრეთ სიტყუად დედაკაცმან: უწყის და მოწამე არს ჩემდა ღმერთი, რამეთუ, რაჲთგან შევეყავ საწოლსა შენსა, არაოდეს შემოვიდა გულსა ჩემსა გულის-სიტყუაჲ შეგინებული და არცა ვისი პირი განვიცადე ცოდვისა იჭჳთა. გარნა მოშურნეთა თუალთა ეშმაკისათა ვერ დაითმინეს ესე. და რაჟამს წარხუედ შენ მღჳმედ და დაიყოვნე, არა მოხუედ, გულსა მომიჴდა, რაჲთა მეცა წარმოვიდე დღესასწაულსა წმიდისა შიოჲს ჴსენებისასა. აღვდეგ ორთა თანა მონათა და მივედ ქუაბსა მისსა, რომელ არს გარეშე ბჭესა მონასტრისასა. და იყო ღამე. ვილოცევდ უკუე გულს-მოდგინედ მარტოებით მუნ. სხუათა ყოველთავე მიეძინა განშორებულად. მოვიდა ვინმე [4] სახითა მოღუაწეთაჲთა და შემოვიდა და ილოცვიდა მახლობელად ჩემსა და აჩუენებდა ტკივნეულებასა მრავალსა. გამოვედ უკუე მე, გზისაგან მაშურალი, და დავწევ დაძინებად. და გამოვიდა იგიცა და მცირედ განშორებულად ჩემგან მანცა დაიძინა. ამათ სიტყუათა იტყოდა დედაკაცი. კაცსა ნიშანი მიეცემოდის და გული ეჩქუეფებოდა [5], გარნა დუმნა და ისმენდა თავ-მოდრეკით. აქა იწყო ცრემლოვად დედაკაცმან და სირცხჳლთაგან ვერღარას შეუძლებდა სიტყჳსა თქუმად, გარნა ქმარმან მისცა ძალი სიტყუათა მისთა. და აღიარა [6], ვითარმედ: ვიდრელა მეძინა, არა უწყი, გარნა ოდეს განმკრთა, ვპოვე თავი ჩემი დაცემულად. ჴმავყავ და კაცი იგი წარვიდა მეოტად. და ჵ [7] მე, საწყალობელსა, რამეთუ აწ ვარ მე მეცელ-ქმნულ.

---

[1] თჳსა H. [2] სადმე მოვიდე H. [3] ა კეთილითა გულის-სიტყჳთა H. [4] ვინმე]+კაცი H. [5] ეჩქვიფებოდა GH. [6] აღიარა] აჰა რა H. [7] ჵი GH.

14. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე დედაკაცისანი გიორგის, აღივსო გული სიხარულითა და ეტყოდა: ნუ მწუხარე ხარ, პატიოსანო მეუღლეო, არამედ იხარებდი, რამეთუ საღმრთო არს საქმე ეგე და ნიჭი ოხათა მამისა შიოჲსთა. იწყო უკუე და ყოველივე მიუთხრა მანცა და ვითარმედ თჳთ იგი არს ყოვლისა მოქმედ და მოწამე. მაშინღა უკუე გულ-პყრობილ იქმნა დედაკაცი იგი და ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო მოწავალსა მას ღამესა გამოუჩნდა ძილსა შინა მამაჲ შიო თითოეულსა[1] მათსა და ეტყოდა, ვითარმედ: თქუენგან შობადი ყრმაჲ ეგე გამოირჩია ღმერთმან წინაჲსწარვე და განაძლიეროს იგი მტკიცითა ძალითა თჳსითა, რომელმან დამწყსოს ერი ღმრთისაჲ ჯეროვნად. ხოლო თქუენ, რაჟამს აღმოშვათ იგი წმიდით ემბაზით, უწოდეთ სახელი მისი იოანე, რამეთუ მადლი ღმრთისაჲ იყოს მის ზედა და შეწირეთ იგი ღმრთისა. გარნა ნუმცა რაჲ შევალს პირსა მისსა მშჳნვიერთაგან თჳნიერ ხოლო თევზისა. განიღჳძეს რაჲ, მიუთხრეს ჩუენებით ესე ურთიერთას და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს ფარულად.

ხოლო აღესრულნეს დღენი, შვა დედაკაცმან. ყრმაჲ იგი იქმნა წელიწდისა[2] ერთისა. შიიყვანეს მშობელთა მისთა მონასტერსა მღჳმისასა და ქადაგებდეს უცხოსა მას სასწაულსა, რომელი იქმნა მათ შორის. აღმოშვეს უკუე წმიდით ემბაზით ჴელითა ელია მემღჳმისაჲთა[3]. და იქმნა რაჲ ყრმაჲ ესე ათის წლის, კუალად მუნვე მიიყვანეს და შეჰვედრეს იგი ღმერთსა და მონასა მისსა ნეტარსა შიოს. ესე ყრმაჲ არს იოანე ქართლისა კათალიკოზი[4], რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი, უკუეთუ ვისმე უნდენ ცნობად, მიიღენ ჴელად მისთჳს აღწერილი წიგნი და მუნით სცნობდინ.

სასწაული მეათორმეტე

საჴსენებელსა დიდებულისა მამისა შიოჲსსა იყო კრებაჲ ერისაჲ[5] მონასტერსა მღჳმისასა და მუნ იყო მეფე და ყოველნი მთავარნი ჩუელებისაებრ, და სარმიანე მამათ მთავარი ყოველთა თანა ეპისკოპოზთა თჳსთა. იყვნეს ვინმე კაცნი მეგჳპტელნიცა მუნ[6] სარწმუნოებისაგან იაკობიტთასა[7], რომელნი მოვიდეს ქალაქით ტფილისით. ამათ ვითარცა იხილეს მოსლვაჲ კათალიკოზისაჲ, მივიდეს წინაშე მისსა და მიართუეს ძღუენი რაჲმე ქუეყანისა მათისაჲ; და მიიღეს რაჲ კურთხევაჲ მის მიერ[8], ჰრქუა მას: წმიდაო მეუფეო, ღირს მყვენ დღეს ზიარებად წმიდითა ჴელითა შენითა. ხოლო მან არარაჲ გამოიკითხა, თუ ვინაჲ ანუ რომლისა სარწმუნოებისანი არიან, არამედ ჰრქუა დიაკონსა თჳსსა, რაჲთა ჟამსა ზიარებისასა მოიყვანნეს იგინი. იქმნა უკუე წმიდაჲ ჟამის წირვაჲ და მივიდეს კაცნი იგი და აზიარნა კათალიკოზმან სარმიანე ჴელითა თჳსითა. გამოვიდეს რაჲ ეკლესიით, ისტუმრნა მეფემან სერსა თჳსსა ყოველნი. და წარვიდა კათალიკოზი მას დღესა მცხეთად, რამეთუ მიუწოდდა მას ხვალისა დღე ჴსენებაჲ ყოველთა სულთა ქრისტეანეთაჲ.

---

[1] თვითოეულსა GH. [2] წელიწადისა GH. [3] მღვდლისათა H. [4] ქათალიკოზი G. [5] ერისა კრება H. [6] მუნ] მაშინ მუნ H. [7] იაკობითასა H. [8] მიერი H.

მოიწია რაჲ მწუხრი, ძილსა შინა გამოუჩნდეს ვინმე სარმიანე კათალიკოზსა კაცნი დიდებულნი ხილვითა და საშინელნი ხატითა და ერთი იგი იყო მღუდელთ მოძღუარი [1], ხოლო თავსა მისსა ზედა მდებარედ კუნკულისა მსგავსი რიდე. ხოლო ერთი იგი მონაზონი მოხუცებული, რომელსა აქუნდა კუერთხი ოქროჲსაჲ, რომელსა ზედა იყო ჯუარი. და ვითარ იხილნა [2] სარმიანე [3], ზარი განჴდა და იგონებდა, თუ ვინ არიან იგინი. და ვიდრე იგი ამას განიზრახვიდა, მივიდეს და მოსძარცუეს სარმიანეს ზეწარი მისი. და ესრეთ მღუდელთ მოძღუარი იგი მიეფარა. ხოლო მონაზონი იგი დაადგრა ზრახვასა შინა მისსა და ეტყოდა: ჵ [4] სარმიანე, ვითარ ჰხედავ თავსა შენსა? და მან ჰრქუა: ვითარცა განბასრებულსა. და მან ჰრქუა: ფრიად გთნავსა ეგე? და [5] მიუგო კათალიკოზმან: და ვითარმცა არა, რამეთუ სასწაული ღმრთისაჲ მდებარე ჩემ ზედა მიმიღეთ [6]. და გამოჩინებული იგი ეტყოდა: ჵ [4] ძმაო, რომელთა-იგი განაშიშულეს ქრისტე ღმერთი ბუნებათა და მოქმედებათა და ნებათა მისთაგან და არცა ღმრთეებით საცნაურ ყვეს იგი და არცა კაცებითა გამოაჩინეს ძალი მისი და შენ შეიწყნარენ ზიარებად ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რაოდენ უფროჲს მძიმედ აღუჩნდეს ცათა და ქუეყანისა შემოქმედსა მას მეუფესა ესე! ხოლო კათალიკოზი ეტყოდა: და ვინ არიან იგინი, უფალო ჩემო? და მან ჰრქუა: იგინი, რომელთაგან ძღუენი მიიღე და მან დააბრმო გული შენი არღარა გამოკითხვად, თუ ვინ არიან იგინი, და ესრეთ შეურაცხ-ჰყავ სჯული ღმრთისა მწვალებელთა მათ ბილწთა მიერ, და აჰა ესერა შიშუელ ხარ მადლისაგან ღმრთისა შენცა. ხოლო შეშინებულ იქმნა იგი სიტყუათა მათგან და ზარ-ტეხილ, და ძლით მიუგო მას, ვითარმედ: და შენ ვინ ხარ, უფალო ჩემო, რომელი ეგრეთ ეძიებ ცხოვრებასა ჩემსა, ანუ ეპისკოპოზი იგი ვინ იყო, რომელი-იგი [7] ვიხილე შენ თანა? ჰრქუა მას მოხუცებულმან მან [8]: ეპისკოპოზი იგი კჳრილე მამათ მთავარი ალექსანდრიისა, რომელმან მრავალი ღუაწლი თავს-იდვა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათჳს მართლ-მადიდებელთაჲსა, რომელი დღეს შენ დასთრგუნე არაწმიდად. ხოლო მე ვარ მონა ღმრთისა შიო, რომელი გეტყჳ. და უჩინო იქმნა მისგან. და განჰკრთა ძილი სარმიანეს და შეშფოთებულმან იწყო ურვად და მწუხარებად. და მსწრაფლ უბრძანა, რაჲთა ყოველნი ეპისკოპოზნი შემოკრბენ ეკლესიად და მიუთხრა ჩუენებაჲ ესე ყოველთა მრავლითა ცრემლითა და იკითხვიდა მათგან, თუ ვითარ ყოს სინანული საქმისა მისთჳს. ხოლო მათ განბჭვეს ესრეთ, რაჲთა პირველად მიიღოს ძღუენი იგი იაკობიტთა [9] მათ მიღებული და გარეშე ბჭეთა დაიწუვას [10]. ხოლო შენ აღიმსთუე და მივედ წმიდისა შიოჲს მონასტერსა და პირველად მადლი აღუარე, რამეთუ ესრეთ მოღუაწებით გამოგეცხადა და მერმე ორმეოცთა ამათ დღეთა დიდითა მოღუაწებითა აჩუენე სინანული. ხოლო ჩუენ განვეკრძალნეთ ყოველნი თითოეულად ლოცვასა და მარხვასა და ვევედრნეთ ღმერთსა შენდობისათჳს მაგის ბრალისა შენისა, და ინებოს თუ ძჳრ-უჴსენებელობითა თჳსითა და გამოგჳცხადოსცა აღსასრული საქმისა, რომლითა გულ-სავსე ვიქმნნეთ. სათნო-უჩნდა

---

[1] მთავარი H. [2] იხილნა]+იგინი H. [3] სარმიანეს H. [4] ჵი GH. [5] და]—H [6] მიიღეთ H. [7] იგი] პ˝ლ H. [8] მის G. [9] იაკობთა G, იაკობითთა B. [10] დაწვას H.

სიტყუაჲ ესე კათალიკოზსა და აღმსთობილმან განთიად ამცნო ყოველთა ეპისკოპოზთა, რაჲთა დღესასწაული მარტჳლიისაჲ მუნ აღასრულონ. და ევედრა ყოველთა ლოცვასა, ხოლო თჳთ მიიწია მღჳმედ სარკინისა წინაშე საფლავსა ნეტარისა შიოჲსსა. დააგდო თავი თჳსი და მრავლითა სინანულითა და ცრემლითა ესრეთ ეტყოდა: მამაო წმიდაო, განჰფინენ წმიდანი ლოცვანი შენნი მამობრივ წინაშე ღმრთისა და მითხოვე შენდობაჲ, რამეთუ განვარისხე ღმერთი უდებებითა ჩემითა და აჰა მე არა განვიდე ამიერ, ვიდრემდე არა მოვიღო გულ-სავსებაჲ ბრალთა შენდობისაჲ. და დაადგრა მღჳმესა მას შინა ფრიადითა გულს-მოდგინებითა ლოცვისა და მარხვისა მიერ. მოიწია ღამე წმიდისა[1] და დიდებულისა კჳრიაკისაჲ და მიერულა სარმიანეს სიმაშურალითა და იხილა, ვითარმცა დგა წინაშე წმიდასა გოლგოთასა და ხედვიდა მუნ ჯუარ-ცუმულსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა. და ეპყრა იგი კაცთა ვიეთმე საშინელთა. და შეიყვანეს წინაშე ჯუარ-ცუმულისა მის და მიჰკდიდეს სიტყუასა შეცოდებისა მისისათჳს[2]. ხოლო იგი აქა და იქი იხედვიდა, რაჲთამცა შეეწია[3] ვინმე. და არავის ჰპოვებდა. და აჰა მიმყოვრებითრე ხედვიდა, რამეთუ დიდებული იგი მღუდელთ მთავარი კჳრილე, რომელი ეხილვა პირველ. და ნეტარი მამაჲ შიო, მისვე ჯუარიანისა კუერთხისა ჴელთა შინა მქონებელი, შემოიყვანეს მუნ დიდითა პატივითა და დიდითა ბრწყინვალებითა შემოსილნი. წარდგეს უკუე წინაშე ჯუარ-ცუმულისა ქრისტესა კადნიერად და ევედრებოდეს სარმიანესთჳს. ხოლო ჯუარ-ცუმულისა მისგან მყოვარ სადამე მიიღეს ბრძანებაჲ ესრეთ: ხედავთა, თუ ვითარ ვიწყლვი ჯუარისა ამისგან და რომელთა მიერ დღითი-დღე ესე შემემთხუევის, მტერნი ჩემნი შეიყვანნა ჭამად ჴორცისა ჩემისა და სუმად მისცა მათ სისხლი ჩემი და არა არს ღირს შენდობისა სარმიანე, გარნა სიყუარულისა თქუენისათჳს და ვედრებისა მიმიცემიეს შენდობაჲ და არქუთ, რაჲთა ამიერითგან ეკრძალოს. ხოლო მოვიდეს დიდებულნი იგი მამანი და ეტყოდეს სარმიანეს: ძმაო, განმართე თავი შენი ამიერითგან და ეკრძალე. და მოიღეს იგივე ზეწარი და შემოსეს მას. განიღჳძა უკუე ჩუენებისა მისგან სარმიანე და აღივსო გული მისი სიხარულითა, გარნა იჭუნეულ იყო, თუ: ნუთუ არა ჭეშმარიტი იყოს ხილვაჲ იგი? ხოლო გან-რაჲ-თენა, მოიწია ფილიპე ეპისკოპოზი, რომელი წარმოევლინა კრებასა მას ეპისკოპოზთასა და მოიღო ეპისტოლე, რომელსა აქუნდა წერილი[4] ესრეთ:

«დიდსა მამათ მთავარსა მეუფესა ჩუენსა კათალიკოზსა სარმიანეს გიხაროდენ!

«შვილნი შენნი და სიწმიდისა შენისა მრწემნი ყოველნი ეპისკოპოზნი გაუწყებთ, რაჲთა არღარა დააშრობდე მოხუცებულსა გუამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ყვეს ღმერთი დიდებულისა მაგისთჳს წმიდისა მამისა შიოჲს მეოხებითა და გამოგჳჩნდა უღირსთა მონათა მისთა რიცხჳთ ხუთთა და თითოეულსა გჳბრძანა. ვითარმედ: მიუტევა ღმერთმან სარმიანე კათალიკოზსა ბრალნი მისნი და აწ შეუორგულებელად მიიყვანეთ მწყემსი* თქუენი. აწ გჳბრძანენ

---

[1] წმიდა G. [2] მისთჳს G. [3] შეეწია] შემწე ეყო H. [4] დაწერილი H.

* აქას ქვემოთ G-ს აკლია (118 v).

სიწმიდემან შენმან, რაჲთა ყოველნი მანდა მოვიდეთ და მადლი აღუაროთ საკჳრველთ მოქმედსა მამასა შიოს».

ესე რაჲ წიგნი აღმოიკითხა, გულ-პყრობილ იქმნა სარმიანე და ბრძანა ყოველთა ეპისკოპოზთა მუნ მოსლვაჲ ყოველთა თანა სავსებასა ეკლესიისასა. და მრავალი მადლობა შეწირა ღმრთისა და ნეტარისა მამისა შიოჲს მიმართ და სამადლობელად ამისთჳს განუჩინა, რაჲთა კანდელი ერთი და სანთელი ერთი დაუშრეტელად კათოლიკე ეკლესიით ენთებოდის საფლავსა ზედა წმიდისა შიოჲსსა.

დიდება ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გამოყენებული ხელნაწერები

A: Q 795, XV ს., მხედრული; ანასეულ ქართლის ცხოვრებაზე დართული ცხოვრება.

B: A 199 და A 832, XIII ს., ხუსხა-ხუცური; ცხოვრებათა მოკლე წიგნების შემცველი აგიოგრაფიული კრებული.

B: H 1336, 1669 წ., ნუსხა-ხუცური; ცხოვრებათა მოკლე წიგნების შემცველი აგიოგრაფიული კრებული.

C: A 160, 1699 წ., ნუსხა-ხუცური; ცხოვრებათა მეტაფრასული რედაქციების კრებული.

D: H 1557, A 130 1713 წ., ნუსხა-ხუცური; ცხოვრებათა მეტაფრასული რედაქციების კრებული.

E: S 449, XVII ს., ნუსხა-ხუცური; ცხოვრებათა მეტაფრასული რედაქციების კრებული.

F: H 2121, 1748 წ., ნუსხა-ხუცური; ცხოვრებათა მეტაფრასული რედაქციების კრებული.

G: H 1371, XVIII ს., მხედრული; შიოს მეტაფრასული ცხოვრება და სასწაულები.

H: S 4621, XVIII ს., მხედრული; შიოს მეტაფრასული ცხოვრება და სასწაულები.

ლ Ე Ქ Ს Ი Კ Ო Ნ Ი

აგარაკ-ი 75,4; 204,6 ყანა, საყანე ადგილი.

აზნაურება 33,3 თავისუფლება.

ათერ-ი || **ათიერ-ი** 42,9 ეთერი.

ალვა 206,27 სურნელოვანი საკმეველი.

ამბოხ-ი 93,2; 99,37 შფოთი; ამბოხება 43,16 აღელვება.

ამირ-მუმინ-ი 206,5 ხალიფა („თავი მორწმუნეთა").

ამპარტავან-ი 17,24 ამაყი; ამპარტავანება 17,25 სიამაყე.

ანაზდათ-ი 74,17 მოულოდნელი, უეცარი.

ანგაჰარ-ი 204,26 ხარბი; ანგაჰრება 134,22 სიხარბე.

ანდამატ-ი 54,24 ალმასი.

ანეულ-ი: ანეულ-მყოფელი 15,9 მხვნელი

არე: ჟამი არისაჲ 154,32 გაზაფხული.

არე 114,22 გარემო, მიდამო.

ასპარეზ-ი 188,24 სარბიელი.

აღბორგებულ-ი 43,12 აღშფოთებული

აღმორჩება 154,35 აღმოცენება.

აღმოტჳფრვა 75,22 ამობეჭდვა.

აღმსთობა, ი, 115,28; 114,23 ადრე ასწრაფება, ადრიანობა (საბა).

აღმწერელ-ი 146,37 ავტორი.

აღმხუმელ-ი 17,28 ამღები (ბევრისა).

აღნადგინები 134,16 პროცენტი, სარგებელი.

აღწბოლა (აღიწბო ცეცხლისა მიერ) 161,21 ათქვლეფა.

ახუვან-ი 188,3 ახოვანი, ბრგე, ფიზიკურად ძლიერი.

ბანაკ-ი 50.4 ჯარი.

ბარბაროზ-ი 11,38; 168,3 წარმართი.

ბარძიმ-ი 111,35; 205,15 ეკლესიის სამსახურებელი ჭურჭელი ზიარებისათვის.

ბასრობა 136,19 კიცხვა, საცინლად აგდება. იხ. განბასრვა.

ბელიარ-ი 149,16 სატანა, ეშმაკი.

ბიწ-ი 3,3 ლაქა, ნაკლი; ბიწიან-ი 144,13.

ბომონ-ი 29,1; 90,20 კერპთმსახურთა სამლოცველო სახლი.

ბრკუმა (უბრკუმა მას ეშმაკმან) 105,25 წაბორძიკება, წასხლეტა; შეცთენა.

ბრკჳნვალ-ი 6,12 (ენა-ბრკჳნვალი) ენა-ბორძიკა, ბლუ, ენა-ბრგვნილი.

ბლუნვა (ბლუნვით სვალი) 172,15 ოთხზედ დგომა (საბა).

ბჭე 31,9 კარი.

გამოთარგმანება 71,32 განმარტება.

გამოქმნილ-ი 116,12; 206,10 გამოკვეთილი.

გამოჴდა 46,1 გამოძევება.

განბასრვა 30,11 დაცინვა; გაკიცხვა

განკაფვა განლევა; გაცვეთა. განმკაფელი 5,5 გამცვეთელი.

განკრძალულ-ი 21,7 მორიდებული.

განლიგებულ-ი 204.30 გაშტერებული; ჭკუა-დაკარგული.

განმაპოხებელ-ი 21,16 გამანოყივრებელი.

განმკაფელ-ი იხ. განკაფვა.

განოტება 5,15 გაქცევა.

განპოხება 6,24; 29.16 გასუქება, გამოკვებვა განოყიერება. განმაპოხებელი (იხ.).

განრინება 169,32 გადარჩენა; თავის დახრწევა.

განრომა 36,24 თავის დახრწევა.

განსასუენებელ-ი 26,13 მოსასვენებელი.

განტევება 21,13 გაშვება.

განტჳნვა 0—2 193,34 ჩაქოლვა.

განუცდელ-ი 95,7 შეუხედველი (რომელსაც ვერ შეხედვენ).

განქიქება, ა—2, 204,17 გამომჟღავნება; გამოქვეყნება; შერცხვენა.

განცდა 40,28 ხედვა, გასინჯვა (თვალით).

გჱსლ-ი 140,35 ჟანგი. გესლოვანება 28,11.

გივის 37,9 გყავს.

გოდოლ-ი 25,19 კოშკი.

გუამ-ი 9,27 სხეული.

გულის-თქუმა 17,4 გრძნობა.

გულისჴმის-ყოფა 71,31; 4.11 გაგება, შეტყობა.

გულ-პყრობილ-ი 210,5 გულ-მაგარი. უშიშარი.

დაბებკულ-ი 81,27; 180,4 დაკონკილი.

დაგება, ე, 36,31 შერიგება.

დავანება 154,18 (=ყვეს მკვდრობაჲ Ⴗ.) დაბინავება.

დათრგუნვა 39.4 გათელვა.

დაკორდებულ-ი 145,14 დაუმუშავებელ მიწად ქცეული.

დაკრძალულ-ი 203,16 დაბმული, დაკლიტული.

დალტობა 15.32; 121,8 დასველება. **დ ა მ ა ლ ტ ო ბ ე ლ ი** 23,9 დამასველებელი.

დამარხულ-ი 137,14 შენახული.

დამდოვრება 54,24 დაწყნარება.

დამმარხველ-ი 2,6; 3,18 შემნახველი.

დანგ-ი 134,21 წვრილი ფული.

დანეცვა 116,7 პურის დამტვრევა (საბა).

დარწყმა 104.20 დაგება (მახისა და სხ.).

დაუცადებელ-ი 19,3 განუწყვეტელი.

დაყოფა, ი/უ. 54,21; 142,38 დაცმვა.

დაყუდება 14,2 დაწყნარება.

დაცონვა 200,1 დახარება.

დედა-ზარდლ-ი 78,10 თბობა.

დიდროა 85.25, **მდიდროა** წყალდიდობა.

დრტვნვა 136,38 უკმაყოფილება, პროტესტი

ევლოგია 179,25-26 მოსაკითხი; **უ ე ვ ლ ო გ ი ო ს**—მოუკითხოს.

ემბაზ-ი ‖ **ენბაზ-ი** 78,33; 173,32 სანათლავი.

ენკენია 112,22 განახლება (დღესასწაული).

ეპისტოლე 71,21 წერილი.

ერთიერთ-ი 34,22 ერთურთი, ერთმანეთი.

ერქუან-ი 15,9 საპვნელი იარაღი.

ესმოდა 74,38 უსმინა, გაუგონა.

ექსორია 31,6 გადასახლება; **ე ქ ს ო რ ი ო ბ ა** 39,29 სამშობლოდან გაძევება.

ვერჩდეთ 79,19 გავუგონოთ.

ვინა, **ვინაჲ** 159,20; 97.8 საიდან. **ვ ი ნ ა ი გ ი**—საიდანაც.

ვორეთ. **ვორიით** 155,16; 151,32 ჩრდილოეთი.

ზარ-ი: **ზ ა რ - გ ა ნ კ დ ი ლ - ი** 160,30 შეშინებული, შიშ-დაცემული: **ზ ა რ - ტ ე ხ ი ლ ი** 208,36.

ზეწარი 211,7 შესამოსი, ფილონი.

ზოგად 162,14 ერთად.

ზრახვა 114,20; 203,16 ლაპარაკი.

ზრქელ-ი 153,26 (=მყარი Ⴀ)

თანა-მდებ-ი 34,17 მოვალე.

თანა-წარჰყდომა 113,35 გვერდის ავლა.

თარგმანება 71,16 განმარტება, კომენტარია.

თბე 31,11 ახლად შეზელილი ფქვილი.

თეატრონ-ი 142,39; 192,23 მოედანი.

თჳსაგან 122,30 ცალკე, მარტოდ.

თხიერ-ი 201,2 ტიკი.

იატაკ-ი 173,22 ნიადაგი.

იეფობა 13,4 სიუხვე.

იფქლ-ი 39,34; 104,21 ხორბალი.

კადნიერ-ი 11,10 თამამი, გამბედავი.

კარაულ-ი 114,3 ვირი.

კერეონ-ი 203,10 დიდი სანთელი.

კერძოვირ-ი 114,2; 201,16 ჯორი.

კეც-ი 141,5 თიხის ჭურჭელი.

კირიელეისონ-ი 79,36; 108,35 უფალო შეგვიწყალე.

კრჩხიალ-ი 208,40 კივილი.

კრძალვა 18,25 გაფრთხილება.

კხინვა 121,28 სუსხი.

კუართ-ი 26,27; 83,21 სამოსელი; პერანგი.

კუერთხი 95,9 ხელჯოხი.

კუნკულ-ი 81,29 ბერის ქუდი.

ლავრა 91,36 დიდი მონასტერი.

ლაკუა 140,16 ორმო; 165,16 საწყლე ორმო.

ლალვა 135,30 ჩხუბი.

ლარნაკ-ი 65,15; 175,23 (=ლუსკუმა Ⴀ) სამარხი ნეშტთა.

ლიტანია 106,19 სავედრებელი ლოცვა; ლამის თევა.

ლმობა, **ე**, 114,30 ტკივილი.

ლუსკუმა 65.13; 175,1 (=ლარნაკი Ⴗ) სამარხი ნეშტთა.

ლხინება 18,8 შველა; შვება.

მალაკ-ი 179,26 (=მახალაკი Ⴀ) ხურჯინი.

მამულ-ი 71,10 მამა-პაპისა.

მანანა 153,25 ბიბლიური მითოლოგიით: რაღაც საჭმელი, რომელსაც ვითომ ღმერთი უგზავნიდა ებრაელებს უდაბნოში ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ.

მანქანა 22,17 ჭაპრაკი: **მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ა** 22,25; 46,3 ეშმაკობა.

მარზაპან-ი 189,13 კუთხის განმგებელი (სპარსული სამოხელეო ტერმინი).

მართუე 114,24; 155,2 ბარტყი; თოთო, ჩვილი.

მარტჳლია 112,16 სულიწმიდის მოფენა (დღესასწაული).

მარტჳლობა 190,39 წამება.

მასმენელ-ი 46,14 დამსმენელი.

მასწავლელ-ი 19,3 მასწავლებელი.

მალნარ-ი 26,12; 85,7 ტევრნალი; გაუვალი ტყე.

მახალაკ-ი 179.24 (= მალაკი Ч.) ხურჯინი.

მბრძოლ-ი 11,12 მებრძოლი, მოწინააღმდეგე.

მდელო 155,5 (= მწუანვილი Ч.) მწვანილი.

მდიდროა 85,20 იგივეა, რაც დ ი დ რ ო ა (იხ.).

მდრტჳნავ-ი 135,32 მჩივანი; პროტესტანტი.

მეუოშეობა 95,28 ზრუნვა.

მეყ-ი 114,14 წამი.

მეცნიერ-ი 13,18; 73,8 მცოდნე. **მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა** 6,11 ცოდნა.

მეხ-ი: მ ე ხ ი ს ტ ე ხ ა 160,6 მეხი.

მზრახველ-ი 90.3 მოლაპარაკე, მოთათბირე.

მზრდელ-ი 169,16 საზრდოს მიმცემი, გამომკვებავი.

მთხრებლ-ი 17,23 თხრილი.

მიმდემ-ი 72,1 ჩეუწყვეტელი.

მიმყოვრებულად 23,9 შეუსვენებლად.

მიმწუხრი 22,24; 115,30 საღამოს.

მინიჭება 6,4 ჩუქება, ბოძება.

მიქცევა 84.31 მიბრუნება.

მიხუეჭა 43.22 უსამართლოდ მიტაცება.

მიხუმა, **ი—2**, 33,2; 72,3 მიღება (პირდ. ობიექტით მრავლობითში); ი/უ წართმევა.

მკელობელ-ი 113,23 კოჭლი.

მკჳრსედ: (განიცდიდა მ კ ჳ რ ს ე დ = მიხედვიდა ს ი მ ა ხ ჳ ლ ი თ Ч.) 99,1 თვალ-მოუწყვეტლად.

მოგება შეძენა.

მოდგამ-ი 188,24 თანამდგომელი, მოსაყდრე.

მოთუალვა. **ი—2**. 116,20 მიღება (თვლით).

მომატყუებელ-ი 56,29 შემძინებელი.

მონა 193,23 კაცი მსახური.

მონაზონ-ი 30,29 ბერი, მარტომყოფი; მ ო ნ ა ზ ო ნ ე ბ ა 14,4; 75,35 ბერობა.

მორეწვა 154,21 შოვნა.

მოსაგრე 158,20 თანამებრძოლი.

მოტყუება 31,3; 32,1 შეძინება.

მოურნე 25,6; 169,14 მომვლელი, მზრუნველი.

მოურნეობა 97,18 ზრუნვა. იგივე მ ე უ რ ნ ე ო ბ ა (იხ.)

მოუწყინებელად 137,2 დაუზარებლად.

მოქადულ-ი 13,7 ვინც იქადის, თავი მოაქვს, იკვეხნის.

მოქალაქეობა 142,24 მოღვაწეობა.

მოქენე 19,12 მოსურნე; მახვეწარი. **76,37**. 155,23 ვისაც საჭიროება აქვს; **ნაკლულევანი**.

მოცვალება 93,29 მოსვლა.

მოძღუარ-ი 19.2; 94,15 ხელმძღვანელი, მასწავლებელი.

მოწილვა 6.17 მოკრეფა.

მრწემ-ი 83.5 უმცროსი; მცირე.

მატუარვა 163,10 თვალთვალი.

მხნემ-ი 21,5; 139,22 უკნო ძნარეში მყოფი

მსხმო 72,20 მოსხმული, მსხმოიარე.

მღერა 116,19 თამაში.

მღჳმე 128,16 ეხი კლდეში, გამოქვაბული.

მყოვარ ჟამ 26,8 ხანდაზმით.

მწიგნობარ-ი 205,19 მწერალი, მდივანი.

მწინკულ-ი 110,2 ჭუჭყი, ლაქა.

მწირობა 21.4; 52,3 უცხოობა.

მწყერ-მარჯილ-ი 153,26 ერთგვარი მწყერი

მხალ-ი 183,25 მწვანილი.

მჴდომ-ი 34.9 მოწინააღმდეგე, მოცილე.

მჴცოვან-ი 15,15 ჭაღაროსანი; ბერი კაცი

ნაზორევ-ი 28,8 შეწირული მსხვერპლი.

ნახაპეტ-ი 8,6 მამათ მთავარი.

ნებ-ი 106,24 ხელისგული.

ნესტუ-ი 2.7 საყვირი.

ნეშტ-ი 21,3 ნაშთი, დარჩენილი.

ნიშ-ი 7,36; 95,3 ნიშანი (მომასწავებელი რისამე), სასწაული.

ნიჭ-ი 4,6; 3.16 საჩუქარი, ძღვენი; **ტალანტი**.

ნუგეშინის-საცემელ-ი 96,25 **განმამხნევებელი**, განმამძლიერებელი.

ორნატ-ი 22.3 კვალი, ხნული.

ოცნება 42,28; 93,30 **მოჩვენება**.

ოხა 29,4 შუამდგომლობა.

პარეხ-ი 117.16; 154,17; **163.13** (= **ნაპრალი**, ქუაბი Ч.) კლდის ნაპრალი ან **გამოქვაბული**.

პინაკ-ი 156,37 ჯამი.

პოლოტიკ-ი 56,7 ფარი რკინისა.

რაბამ-ი 15,26 როგორი.

რეცა 42,19 თითქოს.

რკინობა 36.33 შეჭიდება.

რჩოლა ნახე ერჩდა, ვერჩდეთ.

საანჯმნო 168,2 გამოსაცხადებელი, გამოსაქვეყნებელი, საქვეყნო.

საბრჯე 58,5 მახე.

საგრობა 181,2 ბრძოლა.

საზარელ-ი 31,27; 62,31 საშინელი.

საზრდელ-ი 7,13; 92,28 საზრდო, საჭმელი.

სათხარ-ი 107,31; 165,15 (= სათხროლი Ч) ბარი, წერაქვი და მისთ...

სათხროლ-ი 107,29 ბარი.

სალმობა 183,25 სატკივარი.

სამოთხე 6,16 ყვავილნარი, ბაღი.

საოცრება 84,30 მოჩვენება.

სართულ-ი 122,36 სახურავი.

სარწყულ-ი 184,6 წყლის ჭურჭელი.

სატფურება 112,13 იგივეა, რაც ენკენია (იხ.).

საურავ-ი 4,1 საზრუნავი

საფახე 40,13 განძი, ქონება.

საფსალმუნე 74,31 მედავითნის ადგილი ეკლესიაში; 77,1 დავითნი.

საყდარ-ი 17,25 საჯდომელი, ტახტი.

საწერტელ-ი 42,13; 136,14 საჩხვლეტელი.

საჭირო 165,17 სადაც გაჭირვებაა.

სახე 135,24 ნიმუში, მაგალითი.

სახიერ-ი 21,18; 95,35 კეთილი; კეთილის მყოფელი.

სახიერება 97,10 სიკეთე

სახლეულ-ი 171,28 (= ნათესავი, Ч) ოჯახი.

საჯედარ-ი 115,5 ცხენი, ჯორი, ვირი.

საჯუმილ-ი 120,14 დიდი ღუმელი; ქურა.

სერობა 174,5 პურის ჭამა.

სერტყ-ი 86,12 ტყე.

სიავ-ი 158,4 ქვაბი.

სიბილწე 30,31 გარყვნილობა; გაფუჭება.

სიკეთე 207,7 სილამაზე.

სილაღე 17,24 სითამამე.

სიმხიმ-ი 201,16 ქუნჯუთი.

სირ-ი 122,36 ჩიტი.

სისრა 93,17 სროლა, ტყორცნა (ისრისა).

სიყმილ-ი 142,27 სიმშილი.

სპასპეტ-ი 108,28 მხედართ მთავარი.

სპოდიონ-ი 12,6 მოსწრაფე, მოწესე, ბერი.

სულტან-ი 206,12 დიდი მეფე.

სქემა 76,24; 104,1 საბერო სამოსელი.

ტაკუკ-ი 61,24 ჭურჭელი (საღვინე).

ტალავარ-ი 67,28; 86,16 საჩრდილობელი; ჩარდახი.

ტალანტ-ი 126,34 განძი.

ტანჯულ-ი 17,14 ნაცემი, ნაგვემი.

ტრაპეზ-ი 79,16 საკურთხეველი.

ტყება 186,28 მოთქმა.

უბიწოდ 5,1 უნაკლოდ, უზადოდ.

უდაბნო 7,23 დაუსახლებელი ადგილი; 4,15 მონასტერი უდაბნოში; მონასტერი.

უდებ-ი 126,33 თავ-დაუდებელი (საქმისა უ დ ე ბ ე ბ ა 49,13.

უნდო 155,33 არაფ საკმარი (საბა); უ ნ დ ო ე ბ ა 26,7 გამოუსადეგრობა.

უოხჭნო 67,27 დაუსრულებელი.

უპოვარ-ი 153,11 არას მქონე.

ურვება 76,17 ზრუნვა; წუხილი.

ურნატ-ი 77,17 იგივე ო რ ნ ა ტ ი (იხ.)

უყე 140,3 საფლობი მიწა.

უცნაურ-ი 146,34 უცნობი; უ ც ნ ა უ რ ო ბ ა 147,14 უცნობლობა, უცოდინრობა.

უწყება 2,13 თხრობა, ისტორია.

უჯამლო 81,27 უფეხსაცმლო.

ფაჩარ-ი [ფაჩარი ფრიად ქედსა მისსა (ვეშაპისასა) 159,2 = თმაჲ ფრიადი მსგავსი ძაგრისაჲ—Ч.] თმა.

ფეშხუემ-ი 111,35 ეკლესიის სამსახურებელი ჭურჭელი.

ფინიკ-ი 70,1 ხურმა.

ფიცხელ-ი 43,3 სასტიკი.

ფლას-ი 206,39 ბალნის ძაძა (საბა), უხეში სამოსელი.

ქარტა 4,19; 205,21 წერილი, წიგნი.

ქორ-ი 6,8 სახლი.

ქუაბ-ი 16,12 გამოქვაბული.

ქცევა ცხოვრება, მიმოსვლა.

ღუარძლ-ი 39,34; 104,22 ერთგვარი სარეველა ბალახი.

ყინელ-ი 39,23 ყინვა.

ყოვლითურთ 19,5 სრულიად.

შანთ-ი 10,27 რკინა გავარვარებული.

შარავანდ-ი 109,38 გვირგვინი; შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ ი 3,7 მზის სხივი.

შებეკულ-ი 142,10 დაკონკილი; იხ. დ ა ბ ე ბ კ უ ლ ი.

შევედრება 64,6 მიბარება.

შეხუეწა: შ ე მ ო ხ უ ე წ ი ლ ი 169,28 (= მოლტოლვილი Ч) თავ-შეფარებული.

შეთქმულება 22,2 ერთ-პირიანობა.

შემტკბობელ-ი 15,23 შემწყნარებელი, მიმღები.

შეტყუება 65,2 შეფერება.

შეუმწიკულებელ-ი 110,20 უმწიკვლო, უნაკლო.

შეუტყუებელი 110,4 შეუფერებელი.
შეჭუვება, ი, 200,23 შეწუხება.
შივშაგ-ი 52,20 შუშა.
შფოთ-ი 19,28 არეულობა; შ ფ ო თ ე ბ ა 42,20; 43,16 არევა, აღგზნება.

ჩქუება, ჩქუეფება 9,23, 209,33 ბარბაცი; ბეცობა (საბა); აქეთ-იქით ცემა.

ცხედარ-ი 58,10; 204,30 ლოგინი, საწოლი.
ცხოველ-ი 8,37 ცოცხალი.

ძაძა 208,9 უხეში ტანსაცმელი.
ძმაცუვა 104,27; 149,15 ზაკვა.

წამ-ი (წ ა მ ი სასწორისაჲ 32,33) ისარი, მანიშნებელი; წ ა მ ი ს - ყ ო ფ ა 20,2; 115,10 ნიშანი; ნიშნება.
წიაღ-ხლვა 24,36 გადავლა (წყლისა).
წინა-განწყობა 34,19; 15,30 წინააღმდეგობის გაწევა, შებრძოლება.
წყრთა 23,18 ზომის ერთეული: ხელიდან იდაყვამდის.

ჭალაკ-ი 38,9 კუნძული.
ჭირვეულ-ი 175,29 გაჭირვებული.
ჭუვილ-ი 208,37 წუხილი.

ხადილ-ი 94,20 მოწოდება.
ხალენ-ი 39,21; 101,14 მოსასხამი (ცხვრის ტყავისა).
ხარისხ-ი 24,1 საფეხური, საფუძველი.
ხენეშ-ი 189,36 ცუდი; საძაგელი.
ხლდომა 172,26 ხტომა.
ხუროთმოძღუარი 28,23 არქიტექტორი.

ჴამლ-ი 144,9 ფეხსაცმელი.
ჴდომა 135,36 წინააღმდეგობა.
ჴელ-ყოფა 72,2 ხელის მოკიდება.
ჴელოვან-ი 4,25 ხელოსანი, ოსტატი.
ჴმელ-ი 40,24; 85,37 ხმელეთი.
ჴორც-ი 34,1 სხეული.
ჴუებულ-ი 19,14; 77,8 დაკლებული.
ჴუვილ-ი 138,37 თაველი.
ჴჳმირ-ი 19,9 საწყალო ჭურჭელი.

ჯემნა 80,37 გაშორება, გაცლა: გამომშვიდობება.
ჯურღმულ-ი 108,15 ჭა.

ჰასაკ-ი: ჰასაკისა სწორი 72,16 ერთი ხნისა.
ჰგიეს 34,38 არის.
ჰროარტაკ-ი 205,30 ბრძანების წიგნი.
ჰრუშლ-ი 70,29 ძილი, თვლემა.
ჰუნე 169,24; 170,18 ცხენი.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

პირთა, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა

აბიბოს ნეკრესელი 80,7; 88,8-12-13-35; 90,30; 188,19-20; 189,31; 190,13-15-23-27; 192,17-25-29; 193,3-34; 194,9-11-14-23-24; 195,13.

აბრა(ჰ)ამ 8,3; 20,7-11-12-15; 23,5; 64,21; 110,9; 173,28.

აგარიანნ-ი 206,3.

ადამ 9,34; 30,13; 31,2; 34,24; 35,11; 37,23-24; 44,37; 45,21-23; 46,16; 177,35.

ავაზგნ-ი 108,31.

ალავერდ-ი 67,1-5; 196,1.

ალექსანდრე (მაკედონელი) 113,20.

ანა 6,28.

ანტიოქი(ა) 12,17; 13,15; 69,3; 71,1; 72,27; 112,27; 199,28.

ანტონი (ასურელი) 80,6.

ანტონი (დიდი, მეგჳპტელი) 129,12; 153,29.

არაგჳ 24,35; 26,1; 85,20.

არგუეთ-ი 206,6.

არიოზ 9,23; არიან-ი 9,31.

არონ 26,27.

არსენი კათალიკოზი 2; 3.

არსენი დიდი კათალიკოსი 188.

ასურეთ-ი 14,4; 17,18; 61,24; 70,38; 146,25; 148,14; 199,28.

ასურნ-ი 81,29.

აჰმადა 206,7-22.

ბაბილონ-ი, ბაბილოვნ-ი 37,19; 107,25; 120,13; 191,27.

ბართლომე კათალიკოსი 203,8.

ბასილი კათალიკოსი ძე დიდისა პატრიკისა ვაჩესი 199,3.

ბასილი მეფე მაკედონელი 175,10.

ბერძენნ-ი 175,6; 194,30-33-37; 199,31.

ბუბაქარ, ბუბაქრ 172,17; 173,33-34; 174,2-4-6-16-23-26-27-30.

ბურულ 206,9.

გარესჯა 67,6; 151,3-10; 175,21; 179,28; 196,7.

გიორგი 207,34-38; 209,19; 210,1.

გიორგი წმ. 67,7.

გოლგოთა 212,11.

დავით (წინაწარმეტყუელი) 97,34; 110,11.

დავით გარესჯელი 38,8; 39,7; 67,6; 80,6; 145,29; 148,13-28; 151,2-20; 152,15-16; 153,20-21; 154,14; 155,9-31; 156,35-36; 157,18-23; 159,13; 160,20-22-25-34; 161,2-8-12-16-20-26; 164,37; 166,6-15-28-30; 167,27-33; 168,9-12; 170,9-32-33; 171,16-18-35; 173,2-26-33; 173,5-36; 174,2-4-6-7-13-28-29-34; 175,4-25-33-36; 176,1-20; 177,22; 178,29; 179,3-15-21-34; 180,3; 181,3-13-14-32; 182,5-6-13-15-16-18; 183,4-12-19-37; 185,3-11; 187,1.

დანიელ 54,23; 55,9; 139,22; 142,38; 163,33.

დოდო(ს) 166,5-15-29-30; 167,1-16; 174,9-12-15-25.

დუალეთ-ი 150,38.

ებრაელნ-ი 11,36; 203,27.

ეგჳპტე 7,21; 191,10-11.

ევაგრე, ევაგრი 69,3; 98,21-25-31-35-36; 99,6-13-14-19-20-29-30; 100,5-19-29-33; 101,17-25-35; 102,9; 104,2-25-32; 105,15-18; 106,11; 108,8-17-22-38; 109,7-12-20-29-30; 111,33; 112,11; 116,6; 128,19; 130,14-18; 131,11; 138,27; 196,37; 200,19-21-23-26-34; 201,2; 202,6-8-19-21-23-26-30.

ევლავიოს კათალიკოსი 81,10-22; 85,21; 91,19.

ეზდერიოს 38,14; 39,8.

ელია პატრიაქი იერუსალემისა 179,31-37; 181,12.

ელია (წინაწარმეტყ.) 96,28-30; 103,14; 153,27-28.

ელია დიაკონი 48,34; 52,30-34; 62,26-27; 80,7; 119,4.

ელია მემლჳმე 210,17.

ელისე (წინასწარმეტყ.) 20,24; 103,13-18.

ეფთჳმი (წინამძღუარი) 80,32.

ვაჩე დიდი პატრიკი 199,4

ვახტანგ (გორგასალი) 112,1.

ზადენ-ი (კერპი) 85,9.

ზაქარია 194,13-17.

ზედა-ზადენ-ი 26,10; 84,22; 111,21.

ზენა-ხოფელი 67,12; 81,23; 196,9.

თათა 62,3-25-27; 65,12-13; 66,17; 80,6.
თეოდოსიოს (ასურელი) 80,6.
თესალონიკე 175,8.

იაკობ 8,4; 64,15; 110,10; 136,33; 140,13; 173,29-30.
იალდო 190,25-29.
იერუსალემ-ი 13,13; 28,24; 158,9; 176,3-4; 177,14-16-19-22; 178,27; 179,18-35-36-37; 180,2-4-14-16-17-18; 181,33; 182,2-13-14-16-20; 203,29.
ილარიონ (ქართველი) 174,34; 175,3-20.
ილარიონ (მამასახლისი) 207,30.
იოანე კათალიკოზი (ქართლისა) 210,19.
იოანე-მარტჳრ-ი 69,6.
იოანე ნათლის-მცემელ-ი 27,3; 66,33; 95,16; 184,37; 194,13.
იოანე (მამასახლისი) 205,26.
იოანე ოქროპირი 210,20.
იობ 43,29.
იო(ვ)ანე ზედაზნელი 2,3; 5,12; 4,13-21; 12,5-14-15-16; 17,21; 18,11-21; 20,10-18; 23,2; 24,22; 25,1; 28,7-20; 29,4; 38,2; 39,2; 40,9-10-25; 41,13; 42,16; 43,1; 44,2-3-6-10; 45,1-2-9; 46,29-36; 48,7-8; 51,2-11-12; 52,35; 56,16; 58,14; 59,17; 60,1-13-28-29; 61,6-20-26-30; 62,17; 65,16-32; 66,21-35-37; 69,8; 72,25-31-36; 73,8-19; 74,6; 75,34; 77,10-12-24-27; 78,2-6-14-24-35; 79,5-32; 80,2-7-8-17-20; 81,5-13-33-35; 82,5-8-17-26-33; 83,26; 84,-6-21-35; 85,28-35; 86,13; 87,8-15-17-21-23-32; 88,26; 90,31; 91,2-7-18-24-28-30-32; 92,8-21; 94,16; 96,13-15; 111,20; 112,20; 118,24; 119,2-3-5-11-12-19-21-26-30-31; 120,8-9-33; 121,3; 123,2-4-11-12-35; 124,4-29; 148,2-12; 149,13-27; 150,5; 195,13-17.
იორდანე 37,14; 103,13.
ოსებ (ასურელი) 80,6.
იოსებ 191,10.
იოსტინიანოს, იოსტინიანე 108,29-34; 109,5.
ისაკ 8,3; 110,9; 173,29.
ისე წილკნელ-ი 67,17; 87,33; 88,9-10-11-15-36; 90,17-30; 119,7; 120,33; 121,11-15-16; 122,1-8-14; 195,15.
ისრაელ-ი 7,36. 48,38; 49,23; 103,4; 153,24; 158,3.
ისუ 158,6-7.
იუდა 134,26.
იულით-ი 67,4-9; 196,6.

ქარმელ-ი 153,27.
კასტელ-ი 28,13.
კახეთ-ი 38,4-6; 39,6; 67,15; 150,36; 163,4; 189,32-33.
კლემენტოს (კათალიკოსი) 96,30.
კოდმან-ი 113,17.
კონონ 116,16-20-24-27; 117,1-3-5-14-19
კოსტანტინე 110,14.
კოსტანტინეპოლ-ი 69,8; 175,9.
კჳრილე ალექსანდრიელი 211,24; 212,16.
კუხეთ-ი 38,5-6; 196,6.

ლიახვ-ი 206,23.
ლიბან-ი 70,1.
ლოთ 102,17.
ლუკიანე 151,14-19; 152,16; 153,3-22-37 154,13; 155,8-19-32-36; 156,35-36; 157,7-23; 158,13; 159,12-13; 160,30; 162,6-9-19-20-24-32; 163,17-19; 174,14-20; 176,1-2-6-14; 175,12-27; 177,13.

მაკარი 111,5-15; 129,16-23.
მაკედონ 11,7.
მარიამ (ღვთისმშობელი) 89,9; 96,11; 108,2;
მარტჳრ-ი 69,6.
მეგჳპტელ-ი 7,15; 103,7; 210,27.
მერან-ი, მერრან-ი 184,3-4.
მირიან (მეფე) 23,12; 24,3-5.
მიქაელ 4,10.
მკოდომან-ი 207,30 (შდრ. კოდმანი).
მოსე (წინასწარმეტყ.) 6,29-32; 7,8; 8,8; 48,38; 102,34-37; 103,3; 158,6.
მრავალმთა (გარესჯისა) 184,35.
მტკუარ-ი 92,23; 98,27-31; 100,36; 101,1-3; 122,8-10; 161,1; 206,9-13-22; 207,10
მუხნარ-ი 206,8.
მლჳმე 210,15-25.
მცხეთა 12,19-21; 22,8-10; 23,6; 24,31-32; 25,10; 33,9; 66,30; 97,11-12; 112,4; 150,16-19; 191,6; 210,36.

ნაბოლ-ი, ნაბულ-ი 189,2-7.
ნათან 80,7.
ნათანაელ 34,26.
ნასლავის-ი 102,2.
ნეკრეს-ი 88,1-14-35.
ნეოფიტე 207,18.
ნილოს-ი 145,13.
ნინო 22,29-30; 23,16; 78,33; 81,16; 84,11; 85,10; 91,3.
ნოე 7,10.

ოვსეთ-ი 108,31.
ონოფრე 145,5.

პავლე (მოციქ.) 20,13; 24,15; 30,30; 31,24; 60,4; 63,30; 71,21; 123,24-29; 126,20; 127,17; 136,15.

პეტრე (მოციქ.) 119,16; 132,19.

პიმენ 80,7.

პიროს (ასურელი) 80,7.

რაქელ 191,7.

რეჯ-ი 192,21; 194,6.

რუჲსთავ-ი 168,5.

საბა 28,12.

საკჳრველ-ი (მთა) 81,3.

სამარიტელ-ი 6,2.

სამთავის-ი 38,14; 39,8.

სამოელ (კათალიკოსი) 207,22.

სარკინე 69,5; 113,19; 205,9; 206,10; 212,3.

სარკინოზნ-ი 206,3.

სარმიანე კათალიკოზი 210,26-34; 211,1-5-7-9-28; 212,10-19-23-26-27-32-38; 213,3.

სეგორ-ი 102,17.

სინა (მთა) 7,24.

სიონ-ი 82,12.

სოლომონ 110,12.

სომეხ-ი: სომხური ენა 169,4.

სომხით-ი 206,5.

სოსთენ 175,14.

სპარსნ-ი 189,17-18-37; 190,1; 191,24; 194,33-38; 200,8; 201,14; 207,16.

სტეფანოზ 203,4-14-16-31; 204,6-10-15-23-24-29-39; 205,15-19-32-38.

სჳმეონ, სჳმიონ ანტიოქელი მესუეტე 81,2; 190,17-24-27-28-32.

ტასკუნ-ი (ტომი) 108,32-37; 109,3.

ტფილის-ი 210,28.

უმარ 106,9-26.

ურბნის-ი 207,22.

ურია 6,36.

ფარსმან (ქართველთა მეფე) 108,34-37; 111,25.

ფილიპე ეპისკოპოზი 212,29.

ქალდეველ-ი 120,15-16.

ქართველ-ი 67,1; 68,7; 78,27-29; 91,27; 108,27-34; 142,16; 145,29-31; 175,4; 199,32.

ქართლ-ი 2; 3; 12,17-20; 20,4; 22,6-16-27; 23,5; 24,4; 27,14; 53,3; 69,4; 79,13; 81,7-10; 83,38; 84,2; 91,6; 108,24; 112,8; 189,17; 194,35; 203,4; 205,8-31; 206,3-5.

ქედი მადლოვნებისაჲ, მადლობისაჲ (იერუსალიმს) 177,17-18.

ქრისტეფორე 207,29.

ქსან-ი 121,12.

შიო 39,9; 69,2-3; 73,9-10-14-28; 74,1-11-33; 75,8-30-36; 76,10-25-32; 77,15-23; 78,8-22; 80,5; 85,28; 91,29-32; 92,8-9-26-36; 94,12-20-29; 95,5-27; 96,22-32; 97,6; 98,32-36; 99,5-16-21-27; 100,6-28; 102,28; 103,2-27; 104,10-26-34-38; 105,14-19-23-31-36; 106,15-18-29; 107,9-14-29-32; 109,29; 112,6-25; 114,12-19-28; 114,12; 115,13; 116,12-13; 117,2-18-22; 118,32-34; 119,31-32-34; 120,3; 123,10-12; 124,3-4-26-36; 125,20; 128,16; 129,2-5; 130,14-29; 131,13-16-21-28; 138,33; 140,30; 141,9; 191,17; 195,16; 196,26; 199,2; 200,2-5-11-13-21-34; 201,7-15-22; 202,3-16-34; 203,1-6; 204,16-23-32-38; 205,7-10-18-25-28-36-39; 206,1-21-38; 207,1-2-5-15-22-33-34; 210,3-19-24; 211, 27-34; 212,4-16-36; 213,2-5-8.

შუამდინარე 2; 3; 12,15-16; 13,2-14; 69,3; 146,25; 148,13.

ციხედიდ-ი 98,24; 102,3; 206,10.

წილკან-ი 67,17; 87,38; 88,13-16-36; 121,5 122,3.

ხრისტოდოლე 207,29.

შემჩნეული კორექტურული შეცდომები

გვ. სტრიქ.	არის:	უნდა იყოს:
24,30	ღმერმან	ღმერთმან
40, 3	მათთგან	მათთაგან
40,24	მიირბიეს(!)	მიირბიეს(!),
40,25	ზლჳსანიცა	ზლჳსანიცა
46,29	განგუას ხამს	განგუასხამს
48,16	განაახებდა	განაახლებდა
48,30	აღიკდის	აღიკიდის
54,21	დაუღო	დაუყო
54,25	მისთჳნ	მისთჳს
68 შენიშ., 1	[1] შიოჲსი A. [2] მამაო]—A.	[1] შიოჲსი B. [3] მამაო]—B.
75,20	განრინ ბად	განრინებად
131,14	შევედრნა	შეჰვერდნა

უე 5941. შეკვ. 88. ტირაჟი 1000.

გადაეცა წარმოებას 31/I—55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XI—55 წ. ანაწყობის ზომა 7×11. ქაღალდის ზომა 84×102 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 13,91. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 19,05.

ფ ა ს ი 10 მან.

სტალინის სახელობის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ., 1.

Типо-литография изд-ства ТГУ им. Сталина, Университетская. 1.